ISSN—0132—6058

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

ისტორიის
არქეოლოგიის
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

1. 1981

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე
ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია

СЕРИЯ ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ, ЭТНОГРАФИИ И ИСТОРИИ ИСКУССТВА

თბილისი
ТБИЛИСИ
მეცნიერება

1. 1981

ჟურნალი დაარსებულია 1971 წელს
Журнал основан в 1971 году

ჟურნალი გამოდის 3 თვეში ერთხელ
Журнал выходит раз в 3 месяца

სარედაქციო კოლეგია: ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, ვ. გაბაშვილი, ი. კაჭარავა (რედაქტორის მოადგილე), რ. კიკნაძე (რედაქტორის მოადგილე), გ. მელიქიშვილი (რედაქტორი), გ. ჩიტაია, ლ. ჭილაშვილი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М. Апакидзе, В. В. Беридзе, В. Н. Габашвили, Ю. М. Качарава (*зам. редактора*), Р. К. Кикнадзе (*зам. редактора*), Г. А. Меликишвили (*редактор*), Г. С. Читая, Л. А. Чилашвили

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლორთქიფანიძე
Ответственный секретарь Г. Г. Лордкипанидзе

შინაარსი

წერილები

სკკპ XXVI და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობები 5
ა. სურგულაძე, საბჭოთა საქართველოს 60 წელი . . . 18

ქართული საბჭოთა საისტორიო მეცნიერება 60 წლის მანძილზე

ი. კაჭარავა, საბჭოთა საქართველოს ისტორიის მეცნიერული კვლევის თანამედროვე მდგომარეობა 25
ნ. მახარაძე, ვ. ჯიქია, საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული და სოციალისტური რევოლუციების ისტორიოგრაფია (1895—1921 წწ.) 44
ა. გენდიანიშვილი, მ. გაფრინდაშვილი, გ. მარგიანი, ე. ორჯონიკიძე, XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის საბჭოური ისტორიოგრაფია 60
მ. ლორთქიფანიძე, IV—XII საუკუნეების საქართველოს ისტორიის საკითხები ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში 78

საბჭოთა კავშირის ხალხებთან საქართველოს ურთიერთობის ისტორიის საკითხები საბჭოურ ისტორიოგრაფიაში

გ. პაიჭაძე, რუსეთთან და უკრაინასთან საქართველოს ურთიერთობის ისტორიის საკითხები ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში 87
გ. მაისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხების ისტორიულ ურთიერთობათა ასახვა ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში 95
გ. მაჭარაძე, აზერბაიჯანელი და ქართველი ხალხების ისტორიულ ურთიერთობათა ასახვა ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში 101
გ. თოგოშვილი, ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიისა და საქართველოსთან მათი ურთიერთობის საკითხები ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში . . . 106
გ. გიორგაძე, ძველაღმოსავლური ისტორიულ-ფილოლოგიური პრობლემების შესწავლა საქართველოში 1921—1980 წლებში 117
ნ. შენგელია, მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის (VI—XVIII სს.) შესწავლა საბჭოთა საქართველოში 128
გ. ალასანია, გ. ანჩაბაძე, ქართული საბჭოთა წყაროთმცოდნეობა . . . 147
ო. ლორთქიფანიძე, საქართველოს არქეოლოგია საბჭოთა საქართველოს 60 წლისთავზე 162
ვ. ითონიშვილი, ქართული საბჭოთა ეთნოგრაფია 1921—1980 წლებში . . 183
ვ. ბერიძე, ქართული ხელოვნებათმცოდნეობა 60 წლის მანძილზე . . 204

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ე. მენაბდე, ა. ლეჟავა, ნათელი მომავლისათვის ბრძოლის ისტორიიდან 222

СОДЕРЖАНИЕ

СТАТЬИ

XXVI съезд КПСС и XXVI съезд КП Грузии 5
А. СУРГУЛАДЗЕ. 60 лет Советской Грузии 18

ГРУЗИНСКАЯ СОВЕТСКАЯ ИСТОРИЧЕСКАЯ НАУКА НА ПРОТЯЖЕНИИ 60 ЛЕТ

Ю. КАЧАРАВА, Современное состояние научного исследования истории Советской Грузии 25
Н. МАХАРАДЗЕ, В. ДЖИКИЯ, Историография буржуазно-демократической и социалистической революций в Грузии 44
А. БЕНДИАНИШВИЛИ, М. ГАПРИНДАШВИЛИ, Г. МАРГИАНИ, Э. ОРДЖОНИКИДЗЕ. Советская историография истории Грузии XIX века . 60
М. ЛОРДКИПАНИДЗЕ, Вопросы истории Грузии IV—XII веков в грузинской советской историографии 78
Вопросы истории взаимоотношений Грузии с народами Советского Союза в грузинской советской историографии
Г. ПАЙЧАДЗЕ, Вопросы истории взаимоотношений Грузии с Россией и Украиной в грузинской советской историографии 87
Г. МАГСУРАДЗЕ, Отображение исторических взаимоотношений грузинского и армянского народов в грузинской советской историографии . . . 95
Г. МАЧАРАДЗЕ, Отображение исторических взаимоотношений азербайджанского и грузинского народов в грузинской советской историографии . . 101
Г. ТОГОШВИЛИ, Вопросы истории народов Северного Кавказа и их взаимоотношений с Грузией в грузинской советской историографии . 106
Г. ГИОРГАДЗЕ, Изучение древневосточных историко-филологических проблем в Грузии в 1921—1980 гг. 117
Н. ШЕНГЕЛИЯ, Изучение истории стран Ближнего Востока (VI—XVIII вв.) в Советской Грузии 128
Г. АЛАСАНИА, Г. АПЧАБАДЗЕ, Грузинское советское источниковедение . 147
О. ЛОРДКИПАНИДЗЕ, Археология Грузии к 60-летию Советской Грузии . 162
В. ИТОНИШВИЛИ, Грузинская советская этнография в 1921—1980 гг. . . 183
В. БЕРИДЗЕ, Грузинское искусствоведение на протяжении 60 лет . . 204

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Э. МЕЛАБДЕ, А. Лежава. Из истории борьбы за светлое будущее . 222

წ ე რ ი ლ ე ბ ი

სკკპ XXVI და საქართველოს კპ XXVI ყრილობები

განვითარებული სოციალიზმის პირობებში საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ყველა დარგში; სწრაფი ტემპით წყვეტს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, კომუნისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა თანდათანობით განვითარებისა და ახალი, კომუნიზმის მშენებელი ადამიანის აღზრდის დიდ ამოცანებს. ეს ერთხელ კიდევ დადასტურდა სკკპ და საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობებზე.

სკკპ XXVI ყრილობა (1981 წლის თებერვალ-მარტი) დიდმნიშვნელოვანი მოვლენა გახდა ლენინური პარტიის გმირულ ისტორიაში. ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიშისა და საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში პარტიის მორიგი ამოცანების შესახებ მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა რელიეფურად გვიჩვენა კომუნისტური პარტიის მრავალმხრივი მოღვაწეობა განვითარებული სოციალიზმის აქტუალური პრობლემების გადაწყვეტისათვის, მეცნიერულად გააშუქა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და საბჭოთა ინტელიგენციის თავდადებული შრომის შედეგები, მოგვცა თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობისა და მსოფლიო რევოლუციური პროცესის ყოველმხრივი ანალიზი, დასახა კომუნისტური მშენებლობის, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების, მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის ბრძოლის გზით ჩვენი ქვეყნის წინსვლის ძირითადი პერსპექტივები.

ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში ღრმა მეცნიერულ გაშუქებას პოულობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საერთაშორისო პოლიტიკის ყველა ძირითადი საკითხი. კერძოდ, მოხსენებაში ხაზგასმით აღინიშნა ლენინური პარტიის მიერ მემკვიდრეობითობის მტკიცედ დაცვის ფაქტი, რომ კვლავ განამტკიცებს იგი სოლიდარობას საერთაშორისო მუშათა კლასთან და მის პოლიტიკურ ავანგარდთან — კომუნისტურ და მუშათა პარტიებთან. ამასთან, მოხსენებაში კონკრეტული ფაქტებითაა ნაჩვენები ის დიდი ზრუნვა, რასაც კომუნისტური პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი იჩენს სოციალისტურ ქვეყნებთან სსრ კავშირის მეგობრობისა და თანამშრომლობის გაფართოება და განვითარებისათვის, მათთან მჭიდრო ურთიერთმოქმედების განმტკიცებისათვის; დასაბუთებულია იმ კურსის სისწორე, რომელსაც ჩვენი პარტია და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი ახორციელებს კოლონიური უღლისაგან განთავისუფლებულ ქვეყნებთან ურთიერთობის განვითა-

რებისათვის, სოციალიზმისა და ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობის კავშირის განმტკიცებისათვის. აგრეთვე დასაბუთებული და განვითარებულია ახალი ისტორიული ვითარების შესაბამისად, კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი თანაარსებობის, ამასთან ერთად, იმპერიალიზმის აგრესიული შემოტევის მოგერიების ლენინური პოლიტიკის ძირითადი პრინციპები. ამასთან დაკავშირებით ყრილობის მაღალი ტრიბუნიდან ლ. ი. ბრეჟნევმა აუწყა მთელი მსოფლიოს ხალხებს: „დ ა ვ ი ც ვ ა თ მ შ ვ ი დ ო ბ ა — ჩ ვ ე ნ ს პ ა რ ტ ი ა ს, ჩ ვ ე ნ ს ხ ა ლ ხ ს, ს ა ე რ თ ო დ პ ლ ა ნ ე ტ ი ს ყ ვ ე ლ ა ხ ა ლ ხ ს დ ღ ე ს დ ღ ე ო ბ ი თ ა რ ე გ უ ლ ე ბ ა თ ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო თ ვ ა ლ ს ა ზ რ ი ს ი თ ა მ ა ზ ე უ ფ რ ო მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ა ნ ი ა მ ო ც ა ნ ა... ა რ ა მ ზ ა დ ე ბ ა ო მ ი ს ა თ ვ ი ს, რ ო მ ე ლ ი ც ხ ა ლ ხ ე ბ ს თ ა ვ ი ა ნ თ ი მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი დ ა ს უ ლ ი ე რ ი დ ო ვ ლ ა თ ი ს უ გ ნ უ რ ფ ლ ა ნ გ ვ ა ს უ ქ ა დ ი ს, ა რ ა მ ე დ მ შ ვ ი დ ო ბ ი ს გ ა ნ მ ტ კ ი ც ე ბ ა — ა ი, ჩ ვ ე ნ ი მ ე რ მ ი ს ი ს შ უ ქ უ რ-ვ ა რ ს კ ვ ლ ა ვ ი“.

ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ყრილობის ტრიბუნიდან ამ მგზნებარე მოწოდების რეალურ საფუძველსა და მტკიცე გარანტიას წარმოადგენს ის კონკრეტული წინადადებანი, რომელიც მან წამოაყენა საანგარიშო მოხსენებაში მშვიდობის დაცვისა, დაძაბულობის შენელებისა და საერთაშორისო ვითარების რადიკალური გაჯანსაღებისათვის. ეს კონსტრუქციული წინადადებანი ორგანული გაგრძელება და განვითარებაა კომუნისტური პარტიის სამშვიდობო პოლიტიკისა, რომელსაც დღენიადაგ იცავდა და იცავს სკკპ და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი მშვიდობის დიდი მედროშის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში დიდი შეფასება მიეცა საბჭოთა მრავალეროვანი ხალხის იმ აქტიურ შემოქმედებით შრომას, რომელსაც იგი ეწეოდა საბჭოთა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გრანდიოზული პროგრამის განხორციელებისათვის. აგრეთვე იმ რწმენას, რომელიც თითოეულ საბჭოთა ადამიანს აქვს სოციალისტური სამშობლოს უკეთესი მერმისისათვის ბრძოლაში. „დიახ, საბჭოთა ადამიანები რწმენით შეჰყურებენ ხვალინდელ დღეს, — აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევმა, — მაგრამ მათი ოპტიმიზმი ბედის ნებიერთა თავდადება როდია. ჩვენმა ხალხმა იცის: ყველაფერი, რაც მას აქვს, საკუთარი შრომით შექმნა, საკუთარი სისხლით დაიცვა. და ჩვენ ოპტიმისტები ვართ იმიტომ, რომ გვწამს შრომის ძალა. იმიტომ რომ გვწამს ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ხალხი. ჩვენ ოპტიმისტები ვართ იმიტომ, რომ გვწამს ჩვენი პარტია, ვიცით რომ გზა, რომელსაც იგი გვიჩვენებს ერთადერთი სწორი გზაა“.

ყრილობამ ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ კომუნისტურ მშენებლობაში ჩვენი ქვეყნის წარმატებები უშუალოდ არის დაკავშირებული საბჭოთა ხალხის აღიარებული პოლიტიკური ბელადის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მრავალმხრივ მოღვაწეობასთან, მისი ბრძოლისუნარიანობის, ავტორიტეტის, წარმმართველი და ხელმძღვანელი როლის ზრდასთან. კომუნისტურმა პარტიამ, მისმა ლენინურმა ცენტრალურმა კომიტეტმა მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი განვითარების საფუძველზე თანამედროვე ეპოქის

მოთხოვნილებათა შესაბამისად შეიმუშავა ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და საერთაშორისო ურთიერთობის ძირითადი მიმართულებანი და დასახა ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის გზები და მეთოდები.

სკკპ წარმატებით ახორციელებს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების სტრატეგიას, რომლის მიზანია მთელი მუშაობის ეფექტიანობისა და ხარისხის განუხრელი ამაღლება, ეკონომიკის უფრო ღრმა შემობრუნება ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების მრავალფეროვანი ამოცანებისაკენ. პარტიის ეკონომიკური სტრატეგიის განხორციელებისათვის დღენიადაგ ზრუნვამ შესაძლებელი გახადა მეათე ხუთწლედში ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის გადიდება — მისი საწარმოო და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის განუხრელი ზრდა, თავდაცვითი ძლიერების განმტკიცება და საბჭოთა ადამიანების მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის გაუმჯობესება. 1971—1980 წლებში საბჭოთა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მაჩვენებლები შემდეგ სურათს იძლევა: მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულება შესადარ ფასებში 1970 წელთან შედარებით 1980 წლისათვის გაიზარდა 167 %-ით, მოხმარებისა და დაგროვებისათვის გამოყენებული ეროვნული შემოსავალი —155, მოხმარებისა და არასაწარმოო მშენებლობისათვის გამოყენებული ეროვნული შემოსავლის რესურსები —162, მრეწველობის პროდუქცია —178, სოფლის მეურნეობის პროდუქცია (საშუალო წლიური წარმოება) —123, კაპიტალური დაბანდებანი —166, ძირითადი საწარმოო ფონდები (წლის დამლევისათვის) —216, ყველა სახეობის ტრანსპორტის ტვირთბრუნვა (მილიარდი ტონა-კილომეტრი) —161, საცალო საქონელბრუნვა — 170 და მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები —182 %-ით.

განვლილ ათწლედში, როგორც სკკპ XXVI ყრილობაზე აღინიშნა, შეუნელებელი ბრძოლა მიმდინარეობდა სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის და შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის. ამ დროის განმავლობაში შრომის ნაყოფიერება თითქმის ერთ-ნახევარჯერ გაიზარდა. მეცნიერების მიღწევათა საფუძველზე მძლავრად განვითარდა და შეიქმნა სახალხო მეურნეობის ისეთი დარგები, როგორიცაა ატომური მანქანათმშენებლობა, კოსმოსური ტექნიკა, ელექტრონული და მიკროელექტრონული, მიკრობიოლოგიური მრეწველობა, ლაზერული ტექნიკა, ხელოვნური ალმასების, აგრეთვე, სხვა ახალი სინთეზური მასალების წარმოება. საბჭოთა ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ზრდისადმი მუდმივი ზრუნვა შესაძლებლობას იძლევა საბჭოთა სახელმწიფომ თანმიმდევრულად გამოიყენოს ყველაფერი ადამიანისათვის, ყველაფერი ადამიანის კეთილდღეობისათვის.

საბჭოთა ქვეყანა, წარმატებით წყვეტს საბჭოთა ხალხის მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის ამოცანებს, თანდათანობით უზრუნველყოფს ქვეყნის შიგნით სოციალურ ერთგვაროვნებას, ხოლო კაპიტალისტურ სამყაროში კიდევ უფრო მეტად მწვავდება სოციალური წინააღმდეგობანი, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევათა სოციალური შედეგები აქ მძიმე მდგომარეობას უქმნის მილიონობით მშრომელ ადამიანს. საკმარისია აღინიშნოს, რომ 1970 წელთან შედარებით 1980 წლისათვის კაპიტალისტურ სამყა-

როში უმუშევართა არმია ერთიორად გადიდდა, იგი 19 მილიონ კაცს ითვლის. თავის რიგებში. ამასთან ერთად, იქ დიდად გაიზარდა გაფიცულთა რაოდენობა, ოფიციალური მონაცემებით გაფიცვებმა მეოთხედი მილიარდი კაცი მოიცვა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში კონკრეტული ფაქტებითაა ნაჩვენები, რომ პარტია განუხრელად ახორციელებს საბჭოთა ადამიანების მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის გაუმჯობესებისა და სოციალური განვითარების ფართო პროგრამას, დიდია ამ პროგრამის განხორციელების შედეგები ათწლედში. 32 მილიარდი მანეთი მოხმარდა საერთო-სახალხო ღონისძიებებს, რომელთა განხორციელების შედეგად გადიდდა ხელფასი, პენსიები და სხვა ხასიათის დახმარება. საშუალო თვიურმა ხელფასმა 1980 წელს 168 მანეთს გადაამეტა და 1970 წელთან შედარებით თითქმის 1,4-ჯერ გადიდდა. კიდევ უფრო სწრაფი ტემპით იზრდებოდა კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება. თითქმის ერთი-ორად გადიდდა დახმარება და შეღავათები მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან და ა. შ.

დიდად გაიზარდა მუშების, მოსამსახურეების და კოლმეურნეების პენსიების ოდენობა. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა დიდი სამამულო ომის მონაწილეთა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო პირობები. გაუდიდდათ სტიპენდიები უმაღლესი სასწავლებლისა და ტექნიკუმების სტუდენტებს. პირველი ხუთი კლასის მოსწავლეებს უფასოდ ეძლევათ სახელმძღვანელოები და ა. შ.

მნიშვნელოვანი წარმატებები იქნა მოპოვებული სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და საბჭოთა ადამიანების კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საქმეში. მეათე ხუთწლედში დამთავრდა სავალდებულო საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლა. მნიშვნელოვნად განმტკიცდა სკოლების, ტექნიკუმების და უმაღლესი სასწავლებლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. გაიზარდა საავადმყოფოების, პოლიკლინიკების რაოდენობა და საწოლთა რიცხვი. განმტკიცდა სახალხო ჯანმრთელობის დაცვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. საკმარისია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ დღეს საბჭოთა ქვეყნის პოლიკლინიკებს შესაძლებლობა აქვთ ერთ ცვლაში ნახევარი მილიონი მოქალაქით მეტი მიიღონ, ვიდრე ხუთი წლის წინათ.

ლ. ი. ბრეჟნევმა საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნა არა მარტო ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შედეგები, არამედ გაამახვილა ყურადღება ამ დარგში არსებულ ხარვეზებზედაც და ჩამოაყალიბა საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებები თანამედროვე ეტაპზე. მან მიუთითა ამ ძირითად მიმართულებათა განხორციელების გზებსა და საშუალებებზე, კერძოდ, დასახა განვითარებული სოციალიზმის პირობებში პარტიულ-ორგანიზატორული, პარტიულ-პოლიტიკური და იდეოლოგიური მუშაობის ძირითადი ამოცანები, რომელთა შესრულებაზე დიდად არის დამოკიდებული საბჭოთა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სადღეისო პროგრამის განხორციელება.

ლ. ი. ბრეჟნევმა საანგარიშო მოხსენებაში, მისცა რა სათანადო შეფასება პარტიის პროგრამის არსებულ რედაქციას, მეცნიერულად დაასაბუთა მასში

ცვლილებების შეტანის აუცილებლობა და ჩამოაყალიბა ის ძირითადი მიმართულებანი, რომელიც უნდა აისახოს პარტიის პროგრამის ახალ რედაქციაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ანგარიში და საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში პარტიის მორიგი ამოცანების შესახებ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენება შემოქმედებითი მარქსიზმ-ლენინიზმის თვალსაჩინო დოკუმენტია, მასში მეცნიერულ შეფასებას პოულობს თანამედროვე ეპოქის აქტუალური პრობლემები, იგი წინ სწევს და ახალი თეორიული დებულებებით ამდიდრებს მეცნიერული კომუნიზმის თეორიას.

ყრილობაზე თავიანთ გამოსვლებში მსოფლიოს მოძმე პარტიების წარმომადგენლებმა მაღალი შეფასება მისცეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოღვაწეობას. ერთსულოვნად აღიარეს, რომ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ერთგული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მისი პოლიტბიურო ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით დღენიადაგ იბრძვის მსოფლიო ასპარეზზე სოციალიზმის პოზიციების განმტკიცებისათვის და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობისა და შეკავშირებისათვის. მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიული მემკვიდრეობის შემოქმედებითი განვითარების საფუძველზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია პრინციპულ ბრძოლას აწარმოებს რევიზიონიზმის და დოგმატიზმის წინააღმდეგ და მტკიცედ იცავს მარქსისტულ-ლენინური თეორიის სიწმინდეს.

ყრილობის დელეგატებმა თავიანთ გამოსვლებში ერთხმად მოიწონეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საქმიანობა საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში. ყრილობის მიერ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია:"!. მთლიანად და სავსებით იქნეს მოწონებული პარტიის ცენტრალური კომიტეტის ლენინური კურსი და პრაქტიკული საქმიანობა.

2. მოწონებული იქნას სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება და წინადადება მიეცეს ყველა პარტიულ ორგანიზაციას თავიანთ მუშაობაში იხელმძღვანელონ საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში დებულებებით და ამოცანებით, რომლებიც ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა წამოაყენა".

ყრილობამ მიიღო აგრეთვე დადგენილება სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის მომზადების შესახებ. დადგენილებაში აღინიშნა: „დაევალოს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს შეიტანოს საჭირო დამატებანი და ცვლილებანი პარტიის მოქმედ პროგრამაში, რომელიც საერთოდ სწორად განსაზღვრავს მსოფლიო საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებებს. კომუნიზმისათვის პარტიისა და საბჭოთა ხალხის ბრძოლის მიზნებსა და ძირითად ამოცანებს და მოამზადოს სკკპ პროგრამის ახალი რედაქცია პარტიის მორიგი ყრილობისათვის. ამასთან პროგრა-

მაში ღრმა მეცნიერული გამოხატულება უნდა პოვოს საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებისა დ მსოფლიო საზოგადოებრივი განვითარების უმნიშვნელოვანესმა ცვლილებებმა, კომუნიზმის მშენებლობის უმთავრესმა ამოცანებმა“.

ყრილობამ ფართოდ განიხილა საკითხი სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებების შესახებ. ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ტიხონოვი. მან, საყოველთაო სახალხო განხილვის შედეგების გათვალისწინებით, მკაფიოდ დაახასიათა სსრ კავშირის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებები.

სსრ კავშირის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითად მიმართულებებში განზოგადებულია საბჭოთა ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პრაქტიკა, გათვალისწინებულია მოძმე სოციალისტური ქვეყნების გამოცდილება, შეჯამებულია მეათე ხუთწლედის შედეგები, განსაზღვრულია ეკონომიკური და სოციალური განვითარების ამოცანები ახალი ხუთწლეულისა და 1990 წლამდე პერიოდისთვის, აგრეთვე, შემუშავებულია მათი განხორციელების ღონისძიებათა მთელი სისტემა. ყრილობაზე აღინიშნა:

„მეათე ხუთწლედის მთავარი ამოცანაა — კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობა იმის საფუძველზე, რომ მყარად, შეუნელებლად განვავითაროთ სახალხო მეურნეობა, დავაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი დ ეკონომიკის გადაყვანა ინტესიური განვითარების გზაზე, უფრო რაციონალურად გამოვიყენოთ ქვეყნის საწარმოო პოტენციალი, ყოველი ღონისძიებით დავზოგოთ ყველა სახეობის რესურსები და გავაუმჯობესოთ მუშაობის ხარისხი“.

საბჭოთა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი მიმართულებების განსაზღვრისას ყრილობა, ერთი მხრივ, დაეყრდნო საბჭოთა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შედეგებს, ხოლო, მეორე მხრივ, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის და საბჭოთა ინტელიგენციის მზარდ შრომით შემოქმედების აქტივობას.

მეთერთმეტე ხუთწლედი მიზნად ისახავს საზოგადოებრივი წარმოების ინტენსიფიკაციის გაძლიერების საფუძველზე ეროვნული სიმდიდრის გადიდებისათვის, საბჭოთა ქვეყნის ეკონომიკური ძლიერებისა და თავდაცვისუნარიანობის გამტკიცებისათვის სახალხო მეურნეობის შესაძლებლობათა უფრო სრულ და რაციონალურ გამოყენებას. იგი წარმოადგენს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, საზოგადოებრივ ურთიერთობათა სრულყოფისა და სოციალისტური ცხოვრების წესის განვითარების ახალ დიდმნიშვნელოვან ეტაპს.

მეთერთმეტე ხუთწლედის თავისებურებას ის შეადგენს, რომ უფრო სწრაფი ტემპით გაიზრდება სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება. 1980 წელთან შედარებით 1985 წლისათვის კვების მრეწველობის დარგების პროდუქცია გაიზრდება 23-26 %-ით, მსუბუქი მრეწველობის —18-20%-ით, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საოჯახო დანიშნულების საქონლის —1,4-ჯერ.

სახალხო მეურნეობის განვითარებასა და მაღალი საბოლოო შედეგების მიღწევაში განმსაზღვრელ როლს შეასრულებენ ინდუსტრიის საბაზო დარგები, — ელექტროენერგეტიკა, მეტალურგია, ქიმია, მანქანათმშენებლობა. 1980 წელთან შედარებით 1985 წლისათვის ელექტროენერგიის წარმოება გაიზრდება 20-24 %-ით, ნავთობისა —3,7, გაზის — 38-47, ქვანახშირის —7-12 %-ით, მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების —1,4-ჯერ, მინერალური სასუქების —44-49%-ით, სინთეზური ფილებისა და პლასტიკური მასების — 65-72, ქიმიური ბოჭკოსი და ძაფის —36, ცემენტის —13-15 %-ით.

მეთერთმეტე ხუთწლედში დიდი ამოცანები დაისახა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებისა და სასურსათო პროგრამის განსახორციელებლად. გათვალისწინებულია, 1980 წელთან შედარებით 1985 წლისათვის, საბჭოთა ქვეყანაში მარცვლეულის წარმოების ზრდა 16-19%-ით, შაქრის ჭარხლის — 13-16, მზესუმზირის — 28, ხამი ბამბის — 3-4, ხორცის —15-18, რძის — 5-7, კვერცხის — 14, ბოსტნეულის — 13, ხილისა და კენკრის — 22 და მატყლის — 2-4 %-ით.

კომუნისტური პარტია ითვალისწინებს მეთერთმეტე ხუთწლედში ღონისძიებათა ფართო სისტემის განხორციელებას, რათა თანამიმდევრულად გაუმჯობესოს ხალხის კეთილდღეობა, შექმნას სულ უფრო ხელსაყრელი პირობები პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის, მაღალნაყოფიერი შრომისათვის, საბჭოთა ადამიანების ჯანმრთელობისა და დასვენების გაუმჯობესებისათვის, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებისათვის — ყოველივე იმისათვის, რაც სოციალისტური საზოგადოების ცხოვრების წესს შეადგენს.

1985 წლისათვის მოხმარების ფონდის წილი ეროვნულ შემოსავალში 77,3 პროცენტამდე გაიზრდება. მუშა-მოსამსახურეთა თვიური მინიმალური ხელფასი 80 მანეთამდე გადიდდება. 1981-1985 წლებში საშუალო თვიური ხელფასი 13-16%-ით გადიდდება და 190-195 მანეთს მიაღწევს. ასევე 20-22%-ით გაიზრდება კოლმეურნეთა შემოსავალი საზოგადოებრივ მეურნეობებიდან. დიდი ღონისძიებები განხორციელდება დედების, ბავშვებისა და პენსიონრების სოციალური უზრუნველყოფის საკითხების გადასაწყვეტად. ხუთწლედში აშენდება 530-540 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში შრომის პირობები ფიზიკური შრომის ხვედრითი წილის შემცირების ბაზაზე. გათვალისწინებულია საამწეო-სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვისა და სასაწყობო სამუშაოთა მექანიზაციის საფუძველზე 1985 წლისათვის ამ სამუშაოებზე დაიზოგოს 1,5-2 მილიონი კაცის შრომა.

ყრილობამ ერთსულოვნად დაამტკიცა სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1981-1985 წლებისა და 1990 წლამდე პერიოდის ძირითადი მიმართულებანი და მისი განხორციელებისათვის ბრძოლა მიიჩნია პარტიულ და სხვა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ორგანიზაციების, მთელი შრომითი კოლექტივების უმნიშვნელოვანეს სამეურნეო-პოლიტიკურ ამოცანად. ყრილობამ აირჩია ხელმძღვანელი პარტიული ორგანოები — სკკპ ცენტრალური კომიტეტი, ცენტრალური სარევიზიო კომისია და პოლიტბიუროლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

სკკპ XXVI ყრილობაზე თვალსაჩინო წარმატებებით წარსდგა საქართველოს კომუნისტური პარტია, მთელი ჩვენი რესპუბლიკა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ უპატაკა ყრილობას, რომ საქართველოს „რესპუბლიკას არ გაუტეხია XXV ყრილობისათვის მიცემული სიტყვა". მართლაც, საქართველოს მუშათა კლასმა, კოლმეურნე გლეხობამ და ინტელიგენციამ პარტიული ორგანიზაციების მხრივ ნაყოფიერი ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს სახალხო მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

მეათე ხუთწლედში საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შედეგები შეაჯამა საქართველოს კპ XXVI ყრილობამ, რომელიც 1981 წლის იანვარში გაიმართა. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ე. ა. შევარდნაძემ რელიეფურად წარმოაჩინა მეათე ხუთწლედში საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შედეგები და მეცნიერულად შეაფასა სახალხო მეურნეობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მართვის ის ტენდენციები, რომლებიც საქართველოში 70-იან წლებში დამკვიდრდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის თებერვლის ცნობილი დადგენილების შესრულების საფუძველზე. აღნიშნული დადგენილებით შეიარაღებულმა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითადი საკითხების ღრმად შესწავლის საფუძველზე წარმატებით გაართვა თავი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ძირითად მიმართულებათა შემუშავებას, რომლებიც არა მარტო გამოხატავს რესპუბლიკის წინაშე მდგარ სადღეისო ამოცანებს, არამედ ითვალისწინებს მომავლის პერსპექტივებსაც.

საქართველოში 70-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი საშუალო საკავშირო დონესთან შედარებით რესპუბლიკის ინდუსტრიული და საერთოდ ეკონომიკური განვითარების გარკვეული ჩამორჩენის დაძლევის ტენდენციას. რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების დღენიადაგ ზრუნვის მეოხებით ამ მიმართულებით გაბედული ნაბიჯები გადაიდგა, რასაც მოჰყვა ფრიად დადებითი შედეგები ერთ სულ მოსახლეზე წარმოების საკავშირო მონაცემებთან შედარებით რესპუბლიკის ჩამორჩენა მარტო მეათე ხუთწლედის წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა. ეროვნული შემოსავლისა—14, სამრეწველო პროდუქციისა—9 და სოფლის მეურნეობის პროდუქციისა—8 პროცენტული პუნქტით.

მეათე ხუთწლედში საქართველოში შეიქმნა ჯეროვანი წანამძღვრები იმისათვის, რომ 1990 წლისათვის რესპუბლიკამ დაძლიოს ეკონომიკური განვითარების ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით საშუალო საკავშირო დონესთან შედარებით ჩამორჩენა. ამის მტკიცე გარანტიას იძლევა სამრეწველო განვითარების თვალსაზრისით შემუშავებული პროგრამა. 1981-1990 წლებში გათვალისწინებულია საქართველოში საექსპლუატაციოდ 200-მდე ახალი სამრეწველო საწარმოს გადაცემა, 100-ზე მეტის — გაფართოება და რეკონსტრუქცია. ამავე პერიოდში აშენდება მანქანათმშენებლობის და ლითონდამუშავების 18 ქარხანა და მსუბუქი მრეწველობის 6 ფაბრიკა, სადაც სიმძლავრეთა ათვისების შემდეგ 70 ათას კაცი დასაქმდება.

მნიშვნელოვნად გაიზრდება სასოფლო რეგიონების სამრეწველო განვითარების მასშტაბები. მარნეულში აშენდება უდიდესი ჩარხსაშენებელი ქარხანა, რომელიც გამოუშვებს მძიმე და უნიკალურ ლითონსაჭრელ ჩარხებს.

70-იან წლებში დაედო სათავე საქართველოს სასოფლო რეგიონების, განსაკუთრებით მთის რაიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და მათი სამეურნეო აქტივიზაციის ამაღლების პრობლემებს. საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა რესპუბლიკის ბუნებრივ-საწარმოო პირობებისა და სოფლის მეურნეობის დარგობრივი სტრუქტურის გათვალისწინებით შეიმუშავა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვის ვრცელი პროგრამა და აიღო მცირე მექანიზაციის პრობლემების გადაწყვეტის კურსი, რომელსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს სოფლის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. აღებული კურსის განხორციელებისათვის მუდმივმა ზრუნვამ თავისი დადებითი შედეგები გამოიღო. მეათე ხუთწლედში მნიშვნელოვნად ამაღლდა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგების დანერგვის დონე. გაფართოვდა სასოფლო-სამეურნეო შრომის ინდუსტრიული შრომის ნაირსახეობად გარდაქმნის მასშტაბები.

სახალხო მეურნეობის მართვის და სოციალური პროცესის სწორი რეგულირებისათვის გაწეული ნაყოფიერი მუშაობის შედეგად საქართველომ წარმატებით შეასრულა მეათე ხუთწლედი და 1980 წლის 20 ნოემბრისათვის უპატა-

კა სამშობლოს საგეგმო დავალებათა და სოციალისტურ ვალდებულებათა ვადამდე შესრულება.

მეათე ხუთწლედში ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის მოცულობა 42%-ით და მეტად გაიზარდა და დაახლოებით 16 მილიარდი მანეთი შეადგინა, ხოლო წარმოებული ეროვნული შემოსავალი 43 %-ით გაიზარდა და 1980 წელს 7,3 მილიარდი მანეთი შეადგინა.

მრეწველობის სწრაფი ტემპით განვითარებასთან ერთად მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში. მეათე ხუთწლედში რესპუბლიკის სოფლის მეურნეობამ 2,5 მილიარდით მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია აწარმოვა, ვიდრე მეცხრე ხუთწლედში. მისი წარმოების საშუალო წლიური მოცულობა მეცხრე ხუთწლედთან შედარებით 34%-ით გაიზარდა. ზრდის მაღალი ტემპი ახასიათებდა საზოგადოებრივ სექტორს. მკვეთრად გაიზარდა იმ სასოფლო სამეურნეო პროდუქტების წარმოება, რომლებსაც დიდი ხვედრითი წონა აქვთ საკავშირო მასშტაბით. მეათე ხუთწლედში საქართველოში წარმოებული იქნა 2 მილიონ 155 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, 2 მილიონ 650 ათასი ტონა ყურძენი, 2,8 მილიონი ტონა ხილი და ციტრუსები.

ყრილობაზე ფართოდ აღინიშნა ის წარმატებები, რომლებსაც მეათე ხუთწლედში მიაღწია საქართველომ სახალხო განათლების, კულტურის, სახალხო ჯანმრთელობის და მშრომელთა მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის ზრდაში.

რესპუბლიკის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის ნაყოფიერ შრომას სათანადო შეფასება მიეცა. საქართველოს რესპუბლიკამ 1980 წლის შედეგებისათვის უკვე მერვედ მიიღო გარდამავალი დროშა. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში მოპოვებული წარმატებები რესპუბლიკაში პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფის, შრომითი კოლექტივების მართვაში დემოკრატიული პრინციპების განვითარების შედეგია. ამის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის მომზადებისა და ჩატარების პრაქტიკა. ყრილობის მომზადებასა და ჩატარებაში მეცნიერული მართვის დემოკრატიული პრინციპების შესაბამისი ორგანიზაციული ფორმებისა და მეთოდების გამოყენებამ შესაძლებელი გახადა ყრილობის ყოველ მეოთხე დელეგატს მონაწილეობა მიეღო კამათში და გამოეთქვა თავისი შეხედულება და მოსაზრება ამა თუ იმ საკითხის გარშემო.

ყოველივე ამან შესაძლებელი გახადა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში არსებული წარმატებების, ხარვეზების, ნაკლოვანებების, ჩრდილოვანი მხარეების, ობიექტური შეფასება, და ბოლოს, ყრილობის მიერ მიღებულ დადგენილებებში ყოველმხრივ ასახვა იმ ძირითადი სადღეისო ამოცანებისა, რომლებიც დგას რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებსა და შრომითი კოლექტივების წინაშე.

ყრილობამ ერთსულოვნად მოიწონა საანგარიშო პერიოდის მანძილზე საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ გაწეული მუშაობა და მიიღო ვრცელი დადგენილება, რომლის განხორციელებისათვის ბრძოლა რესპუბლიკის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის ნაყოფიერ შრომას მოითხოვს.

სკკპ XXVI ყრილობამ ჯეროვანი ყურადღება მიაქცია საბჭოთა ქვეყანაში მეცნიერების შემდგომ განვითარებას. ფართოდ აღინიშნა ყრილობაზე ის დიდი როლი, რომელსაც ასრულებს საბჭოთა მეცნიერება ჩვენი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში.

ლ. ი. ბრეჟნევმა საანგარიშო მოხსენებაში მკაფიოდ ჩამოაყალიბა საბჭოთა მეცნიერების შემდგომი განვითარების ძირითადი მიმართულებები თანამედროვე პერიოდში და მიუთითა: „ქვეყანას უაღრესად სჭირდება, რომ „დიდმა მეცნიერებამ" თეორიულ პრობლემათა დამუშავებასთან ერთად, თავისი მეცადინეობა უფრო მეტად მოახმაროს მთავარ სახალხო-სამეურნეო საკითხთა გადაწყვეტას, აღმოჩენებს, რომლებიც ჭეშმარიტად რევოლუციურ ცვლილებებს შეიტანენ წარმოებაში... მეცნიერება ყოველთვის „შფოთის თავი" უნდა იყოს, უნდა ცხადყოფდეს, თუ რა უბნებზე შეიმჩნევა უძრაობა და ჩამორჩენა, სად გვაძლევს უფრო სწრაფი, წარმატებული წინსვლის შესაძლებლობას ცოდნის თანამედროვე დონე. უნდა მოვიფიქროთ როგორ გადავაქციოთ ეს მუშაობა მართვის მექანიზმის განუყოფელ ნაწილად".

ყრილობამ საჭიროდ მიიჩნია სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის როლის და პასუხისმგებლობის შემდგომი ამაღლება ჩვენს ქვეყანაში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ყველა დარგში, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მთელი სისტემის უფრო მოქნილი და მობილური ორგანიზაცია, რომელიც ვერ იგუებს უმაქნის ინსტიტუტებსა და ლაბორატორიებს. ყრილობამ მკვეთრად გაამახვილა ყურადღება სამეცნიერო დაწესებულებების ხელსაწყოებითა და მოწყობილობებით უზრუნველყოფის ამოცანების დროულ გადაწყვეტაზე, ექსპერიმენტული წარმოებების ფართო ქსელის შექმნაზე.

ყრილობამ ჯეროვანი შეფასება მისცა იმ ხარვეზებს, რომელთაც ადგილი აქვთ პერსპექტიული სამეცნიერო გამოკვლევების დანერგვაში და მოითხოვა აღმოფხვრა იმ ხარვეზებისა, რომლებიც იწვევენ ხშირად საკმაოდ დიდი თანხების ხარჯვას საზღვარგარეთ ისეთი ტექნიკისა და ტექნოლოგიის შესაძენად, რომელიც სავსებით შესაძლებელია შეიქმნას ჩვენთან და უკეთესი ხარისხითაც.

სკკპ XXVI ყრილობამ მოიწონა ლ. ი. ბრეჟნევის მითითება იმის შესახებ, რომ „მეცნიერებისა და წარმოების მჭიდრო ინტეგრაცია თანამედროვე ეპოქის მტკიცე მოთხოვნაა"... რადგან „დღეს, როცა ხუთი, ათი წლის წინ ვიხედებით, არ უნდა ვივიწყებდეთ, რომ სწორედ ამ წლებში ჩაეყრება საძირკველი და შეიქმნება სახალხო-სამეურნეო სტრუქტურა, რომლითაც ქვეყანა ოცდამეერთე საუკუნეში შევა. ეს სტრუქტურა უნდა ასახავდეს ახალი საზოგადოების ძირითად ნიშნებსა და იდეალებს, იყოს პროგრესის ავანგარდში, განასახი-

ერებდეს მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციას, შემოქმედებითი აზრისა და შემოქმედებითი შრომის ურღვევ კავშირს".

ყრილობაზე ჯეროვანი ყურადღება მიექცა საზოგადოებრივ მეცნიერებათა შემდგომი განვითარების ძირითად პრობლემებს. კმაყოფილებით აღინიშნა, რომ XXV ყრილობის შემდეგ კომუნისტური პარტიის თეორიული არსენალი მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი განზოგადებებით და დასკვნებით შეივსო და გამდიდრდა. ამ მხრივ აღსანიშნავია ლ. ი. ბრეჟნევის მიერ განვითარებული სოციალიზმის კონცეფციის შემუშავება.

უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვანი მეცნიერული ნაშრომები გამოქვეყნდა განვითარებული სოციალიზმის ცალკეულ პრობლემებზე, სათანადოდ გაშუქდა მსოფლიო სოციალიზმის გამოცდილება და მსოფლიო რევოლუციური პროცესის კანონზომიერებანი. მრავალი გამოკვლევა მიეძღვნა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის იატოლიის, კაპიტალიზმის საერთო კრიზისის თანამედროვე ეტაპისა და სახელმწიფო მონოპოლისტური კაპიტალიზმის განვითარების ცალკეულ საკითხებს. მნიშვნელოვანი მუშაობა მიმდინარეობს თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა შესასწავლად. მიუხედავად ამისა, საზოგადოებრივი მეცნიერების განვითარებაში, როგორც ყრილობაზე აღინიშნა, ჯერ კიდევ სერიოზული ხასიათის ხარვეზებია, არ არის დაძლეული მიდრეკილება სქოლასტიკური თეორეტიკოსობისადმი. ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმისთ მიუთითა, რომ „ფილოსოფოსები ხშირად ამჯობინებენ დაამტკიცონ ის, რაც უკვე დამტკიცებულია, ნაცვლად იმისა, რომ გაიაზრონ ცხოვრების ახალი მოვლენები. ბევრი გადასაჭრელი პრობლემა დაგროვდა სოციალიზმის პოლიტეკონომიაში უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სოციალური შედეგები. უფრო ღრმად და გაბედულად უნდა ვაანალიზებდეთ საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების მოვლენებს. ჯერ კიდევ სუსტად ვსწავლობთ საზოგადოებრივ აზრს... ეს მხოლოდ ნაწილია საკითხებისა, რომლებსაც ხელი უნდა მოვკიდოთ".

სკკპ XXVI ყრილობამ დიდი ამოცანები დასახა საერთოდ მეცნიერების, კერძოდ კი საზოგადოებრივ მეცნიერებათა წინაშე. ამ ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის ყრილობამ საჭიროდ მიიჩნია მეცნიერებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის მნიშვნელოვანი გაძლიერება, რათა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა წარიმართოს იმ მიმართულებით და იმ მასშტაბით, რასაც თანამედროვე ეპოქა აყენებს მეცნიერების წინაშე.

საქართველოს კპ XXVI ყრილობაზე აღინიშნა, რომ უახლოეს პერიოდში საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი საფუძვლიანად იმსჯელებს რესპუბლიკაში მეცნიერების განვითარების აქტუალურ პრობლემებზე და შეიმუშავებს როგორც მისი განვითარების ძირითად მიმართულებებს, ისე პრაქტიკასთან კავშირის განმტკიცების სადღეისო ამოცანებს.

თანამედროვე პერიოდში მეცნიერების განვითარების შესახებ პარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებანი დიდ ამოცანებს უსახავს საქართველოს ისტორიკოსებს, განსაკუთრებით ამ დარგში სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ცენტრის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მრავალრიცხოვან კოლექტივს. ყრილობის მოთხოვნილებათა შესაბამისად სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის წარმართვა ინსტიტუტის კოლექტივის უპირველესი ამოცანაა. მრავალსაუკუნოვან საქართველოს ისტორიის შესწავლასთან ერთად მკვეთრად

უნდა გაფართოვდეს და ჯეროვანი ყურადღება მიექცეს განვითარებული სოციალიზმის პერიოდის აქტუალური პრობლემების დამუშავებას. დიდი ადგილი უნდა დაეთმოს საბჭოთა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ისტორიული პროცესის შესწავლასა და განზოგადებას. ჯეროვნად უნდა დამუშავდეს და მეცნიერულად შეფასდეს რესპუბლიკის ცხოვრების ყველა სფეროში მიმდინარე არსებითი ხასიათის ცვლილებები, რომლებსაც სათავე 70-იან წლებში დაედო. ფართოდ უნდა აისახოს ცხოვრება შრომითი კოლექტივებისა, რომლებსაც დიდი წვლილი შეაქვთ ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანების წარმატებით განხორციელებაში.

სკკპ და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობათა მოთხოვნების შესაბამისად სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის წარმართვა — აი, რა არის დღეს სამეცნიერო-დაწესებულებებისა და თითოეული მეცნიერის საბრძოლო ამოცანა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი
აკაკი ხურგულაძე

საბჭოთა საქართველოს 60 წელი

60 წლის წინათ, 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს მშრომელებმა წითელი არმიის ძმური დახმარებით დაამხეს მენშევიკური მთავრობა და საბჭოთა ხელისუფლება დაამყარეს. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით დაიწყო ახალი და უბედნიერესი ერა ქართველი ხალხის ისტორიაში.

სოციალისტური საქართველოს დაბადება დიდი ოქტომბრის ძლევამოსილების შედეგად მოხდა. იგი პირმშო და უშუალო გაგრძელება იყო 1917 წლის ნოემბრის ქარიშხლიანი მოვლენებისა, რომელმაც დაამხო ბურჟუაზიულ-მემამულური რეჟიმი რუსეთის იმპერიაში და მისი ხალხები სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან გაანთავისუფლა.

რუსეთის ცარიზმისა და დროებითი ბურჟუაზიული მთავრობის დამხობისათვის ბრძოლაში საქართველოს მშრომელი მასები რუსეთის პროლეტარიატისა და გლეხობის გვერდით იდგნენ. მათ ერთობლივი ბრძოლის დიდი ტრადიციები ჰქონდათ: ჯერ კიდევ იმ დროიდან, — XIX ს-ის დამდეგიდან, — როცა რუსეთთან შეერთების შედეგად ქართველი ხალხის ისტორიულ ბედ-იღბალში ძირეული შემობრუნება მოხდა და ახალი ხანა დაიწყო, ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული რუსეთის განმათავისუფლებელ მოძრაობასთან და მის განშტოებას წარმოადგენდა. იმპერიალიზმისა და პროლეტარული რევოლუციის ეპოქაში საბრძოლო თანამეგობრობა კიდევ უფრო განმტკიცდა. რუსეთის იმპერიის ჩაგრული მასების საბრძოლო ერთიანობას აპირობებდა საერთო ინტერესები, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის იდეებისადმი თანმიმდევრული ერთგულება, რასაც განუხრელად იცავდა კომუნისტური პარტია — ყველა ეპოქალურ გამარჯვებათა სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი ჩვენს ქვეყანაში.

მაგრამ 1917 წ. ნოემბერში საქართველოს მშრომელებს არ ერგოთ გამარჯვების ნაყოფი. კონტრრევოლუცია აქ უკეთ ორგანიზებული აღმოჩნდა. კონტრრევოლუციურმა ძალებმა დასავლეთის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა დახმარებით შეძლეს ძალაუფლების დაპატრონება და საბჭოთა ხელისუფლებისათვის მებრძოლ მშრომელ მასებს ომი გამოუცხადეს.

ცნობილია, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია თავისი ხასიათით ერთ-ერთი ყველაზე უსისხლო რევოლუცია იყო. მაგრამ ზღვა სისხლი დაიღვარა ამ რევოლუციის მონაპოვართა დაცვისათვის ბრძოლაში. საბჭოთა რესპუბლიკის შექმნის მეორე დღიდანვე შინაგანი თეთრგვარდიული კონტრრევოლუცია ევროპისა და ამერიკის რეაქციულ ძალებს დაუკავშირდა. მათ ერთობლივად აღმართეს მახვილი უკვე დამხობილი რეჟიმის აღდგენისათვის. ასე დაიწყო სამოქალაქო ომი, რომელიც სამნახევარი წლის მანძილზე ბობოქრობდა და რომლის ფრონტები გადაჭიმული იყო რუსეთის ყოფილი იმპერიის მთელ სიგრძე-სიგანეზე.

ქართველ მენშევიკებს, რომლებმაც 1918 წლის მაისში ჩვენი ქვეყანა იძულებით მოგლიჯეს რევოლუციურ რუსეთს, უყვარდათ ტრაბახი თავიანთი დემოკრატიულობისა და სუვერენულობის შესახებ. სინამდვილეში მათი დემოკრატიზმიც და დამოუკიდებლობაც სრული ფიქცია იყო და საქართველო წარმოადგენდა სამოქალაქო ომის ერთ-ერთ ფრონტს, სადაც რევოლუციისა და კონტრრევოლუციის ძალები ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძოდნენ. ადგილობრივ კონტრრევოლუციას ზურგს უმაგრებდა ხან გერმანელი, ხან ინგლისელი ინტერვენტები და დენიკინი, ხოლო რევოლუციის ძალებს კი საბჭოთა რუსეთი. საქართველოს მუშათა კლასისა და გლეხობის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ორგანულად იყო შერწყმული იმ ბრძოლასთან, რომელსაც რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის, შუა აზიის და საერთოდ, რუსეთის ყოფილი იმპერიის ყველა ეროვნების მშრომელები ეწეოდნენ ოქტომბრის მონაპოვართა გადასარჩენად.

საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში საქართველოს მშრომელებმა მრავალი სასახელო ფურცელი ჩაწერეს. საბჭოური კერები 1918 წლიდან ჩნდებოდნენ საქართველოს სხვადასხვა რაიონებში, აფხაზეთსა, ოსეთსა და აჭარაში, მაგრამ მენშევიკური ხელისუფლება ახერხებდა მათ ჩახშობას გვარდიული რაზმებითა და ინტერვენტთა ხიშტებით, ახერხებდა იმიტომ, რომ საქართველოსა და საბჭოთა რესპუბლიკას შუა გაწოლილი იყო სამხრეთის კონტრრევოლუციის ფართე ზოლი და საბჭოთა რუსეთი ვერ უწევდა აქტიურ დახმარებას. მხოლოდ 1920 წლის დამდეგიდან, როცა წითელმა არმიამ გაანადგურა დენიკინის თეთრგვარდიული არმია და ძლევამოსილად დაიძრა სამხრეთისაკენ, დადგა გადამწყვეტი ეტაპი გამარჯვებისა. წითელი არმიის დახმარებით დაემხო მუსავატური რეჟიმი აზერბაიჯანში, დაშნაკური რეჟიმი სომხეთში. 1921 წლის დამდეგს კი სოციალისტური რევოლუციის მზე ამობრწყინდა საქართველოშიც და ეს იყო შედეგი იმ გადამწყვეტი ძმური დახმარებისა, რომელიც წითელი არმიის ნაწილებმა საქართველოს მებრძოლ მშრომელ მასებს გაუწიეს.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებით დასრულდა სამოქალაქო ომი და ინტერვენცია რუსეთის სამხრეთში. ამრიგად: წითელი არმიის დახმარებით მენშევიკური ხელისუფლების დამხობამ არა მხოლოდ დაამკვიდრა აქ მარად ცხოველმყოფელი მზე ოქტომბრისა. არამედ აღკვეთა იმპერიალისტური ინგლის-საფრანგეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მცდელობა რუსეთსა და საქართველოში ბურჟუაზიულ-მემამულური რეჟიმის აღდგენისათვის.

საბჭოთა ხელისუფლებას საქართველოში მძიმე მემკვიდრეობა დაჰვდა. 1921 წლისათვის ჩვენი ქვეყანა საცოდავ სანახაობას წარმოადგენდა: ჯერ პირველმა იმპერიალისტურმა ომმა, შემდეგ მენშევიკების სამწლიანმა ბატონობამ იგი სრულ გაპარტახებამდე მიიყვანა. საქართველოს ისედაც სუსტი მრეწველობა ამ დროისათვის მთლიანად პარალიზებული იყო, გაჩანაგებული იყო სოფლის მეურნეობა, მძვინვარებდა აღვირახსნილი სპეკულაცია, ხალხი შიმშილობდა. ვისაც ჩაუხედია იმდროინდელ ოფიციალურ დოკუმენტებში, დაგვემოწმება, რომ სახალხო მეურნეობის ყველა დარგი ნგრევის უკანასკნელ ზღვრამდე იყო მისული. ამას თვით მენშევიკური მთავრობის ლიდერებიც არ უარყოფდნენ, მთავრობის მეთაური ნ. ჟორდანია 1920 წელს იძულებული იყო ელიარებინა, რომ საქართველოს სახელმწიფო კატასტროფამდე იყო მისული და უკანასკნელ სულს ღაფავდა.

ასეთ მძიმე ვითარებაში დაიწყო საბჭოური მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში; და თუ შევადარებთ ჩვენს სამეურნეო-ეკონომიკური და სულიერი ცხოვრების დღევანდელ დონეს ყოველივე ამასთან, რაც 1921 წლისათვის გაგვაჩნდა, წარმოგვიდგება გიგანტური სხვაობა, გადაგვეშლება ამ ექვსი ათეული წლის განმავლობაში რესპუბლიკის ზრდის და აყვავების გრანდიოზული სურათი. ჩვენ შევაჩვიეთ თვალი რესპუბლიკის ამ გიგანტურ წინსვლას გამარჯვებათა მწვერვალებისაკენ და იგი ჩვეულებრივად გვეჩვენება, — ზოგჯერ აღარც კი გვაკმაყოფილებს და მეტი გვინდა; ეს ალბად იმიტომაც, რომ ეს წინსვლა ჩვენს თვალწინ, ჩვენივე უშუალო მონაწილეობით ხორციელდება. უცხო თვალს კი ყოველივე ის, რაც ამ პერიოდში შეიქმნა, ნამდვილ სასწაულად მოეჩვენებოდა და ეჩვენება კიდეც.

დღეისათვის ჩვენი რესპუბლიკა მძლავრი ინდუსტრიულ-აგრარული ქვეყანაა, რომელსაც გააჩნია თანამედროვე დონის მაღალგანვითარებული მძიმე, მსუბუქი და კვების მრეწველობა, მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობა. სახალხო მეურნეობის მრავალ დარგში საქართველო წინ უსწრებს ბევრ მსხვილ კაპიტალისტურ ქვეყანას. დღეისათვის ქართული კულტურა და მეცნიერება განვითარების ისეთ დონეზეა, რომ იგი იპყრობს მთელი მსოფლიოს ყურადღებას. სამეურნეო ცხოვრებისა და კულტურის რა დარგითაც არ უნდა წარვდგეთ ჩვენ საერთაშორისო ასპარეზზე, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ იგი უცხო თვალის, უცხოელი მნახველის აღტაცებას და ქების ტაშს გამოიწვევდა. ამის ცხადი მოწმობაა ქართული ლიტერატურის, ქართული კინოს, ქართული სპორტის დღევანდელი მიღწევები, მათი პოპულარობა შორს გასცდა საბჭოეთის საზღვრებს.

ახლა, ვფიქრობთ, აზრიც აღარ აქვს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგების ციფრობრივი მაჩვენებლების შედარებას 1913 წელთან, რასაც ჩვეულებრივ მიმართავენ ხოლმე. მაშინ ჩვენ თითქმის არაფერი არ გვქონდა, ახლა ყველაფერი გვაქვს. არ გვქონდა ერთი უმაღლესი სასწავლებელიც კი, ახლა 19 უმაღლესი სასწავლებელი და მეცნიერებათა აკადემია გვაქვს.

თუ თვალს გადავავლებთ მარტო შარშანდელ მაჩვენებლებს ჩვენი სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგებისას, წარმოგვიდგება წარმატებათა გრანდიოზული სურათი: გასულ წელს ჩვენმა მევენახეებმა მოიწიეს სარეკორდო მოსავალი — 800000 ტონა ყურძენი. საქართველმა მეჩაიეებმა ნახევარმილიონიანი მიჯნა გადალახეს. საექსპლუატაციოდ გადაეცა 226 უმნიშვნელოვანესი ობიექტი, ამოქმედდა ენგურჰესის ხუთივე აგრეგატი. ბოლო ხუთწლედში რესპუბლიკას შეემატა მძიმე და მსუბუქი მრეწველობის ახალი სიმძლავრეები, მეცხოველეობის კომპლექსები, თბილისის მეტროპოლიტენის ახალი სადგურები, ახალი საცხოვრებელი სახლები, სკოლები, საბავშვო ბაღები, ქუჩები, მოედნები, საავადმყოფოები და მრ. სხვ. 1972 წლიდან მოყოლებული საქართველოს ეკონომიკას ახასიათებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის დინამიკური და პროპორციული განვითარება, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით წარმოებული ეროვნული შემოსავლის განუხრელი ზრდა.

რესპუბლიკის ესოდენ დიდი წარმატებანი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაში ამ ბოლო წლებში აღინიშნება სასიხარულო და საამაყო ფაქტით: წელს საქართველო მერვეჯერ დაჯილდოვდა სკკპ ცენ-

ტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფ-საბჭოს და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით. ეს ჯილდო სამართლიანად ეკუთვნის ოთხგზის ორდენოსანი საბჭოთა საქართველოს მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობას; ჩვენს სახელოვან ინტელიგენციას, — ყველა მშრომელს, — რომლებიც სხვა მოძმე რესპუბლიკის მშრომელებთან ერთად ერთსულოვან ოჯახად გულდაჯერებით აშენებენ კომუნისტურ საზოგადოებას.

საიდან მომდინარეობს ამ გამარჯვებათა წყაროები, რა ძირითადი ფაქტორები განსაზღვრავენ ჩვენს შეუჩერებელსა და შეუნელებელ წინსვლას? ეს წინსვლა, პირველ რიგში, ჩვენი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრებითაა შეპირობებული. სოციალისტურმა საზოგადოებამ მოსპო რა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია, შრომა გადააქცია ღირსებისა და დიდების საქმედ. სწორედ ჩვენმა სოციალისტურმა სისტემამ. რომელიც დემოკრატიზმის უმაღლესი დონის გამოხატულებაა, სარქველი ახსნა ადამიანებში დაგუბებულ უშრეტ ენერგიას, რომელსაც ადრე, ექსპლუატაციურულ სისტემაში გზა დახშული ჰქონდა. ამ სისტემამ შეაპირობა ხალხთა არა მარტო შრომითი წარმატებანი, არამედ მანამდე გაუგონარი საბრძოლო გმირობაც, რაც ფაშისტი აგრესორების წინააღმდეგ ყველაზე დიდი მაშტაბის საომარულო ომში გამოვლინდა. „მთელმა ხალხმა რომ ერთად ამოისუნთქოს, ქარიშხალი ღადგებაო“ ამბობს ძველი აღმოსავლური ანდაზა. ამ ანდაზის ბრძნული შინაარსი ყველაზე უკეთ ასახავს სოციალისტურ სინამდვილეს, სადაც აღარ არიან ანტაგონისტური კლასები, მჩაგვრელი და ჩაგრული ერები და ყველა ერთად შრომობს კეთილშობილური აზრითა და მისწრაფებებით განმსჭვალულნი.

ეს გამარჯვებანი შეპირობებულია ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელობით, რასაც სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ღღიდან თანმიმდევრულად ახორციელებდა და ახორციელებს საქართველოს კომუნისტური პარტია — საქართველოს მშრომელთა ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი. ლენინური ეროვნული პოლიტიკა საფუძველთა საფუძველია საბჭოთა ქვეყნის ხალხთა ურღვევი თანამეგობრობისა, რომელიც თავის მხრივ, ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს ძალისა და უძლეველობის უშრეტ წყაროს წარმოადგენს. „თვით სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების არსმა — გვასწავლის ლ. ი. ბრეჟნევი, — პარტიის მიერ ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელებამ შეაკავშირა ჩვენი ქვეყნის ხალხები, გადააქცია მათი შეგობრობა საბჭოთა საზოგადოების განვითარების მამოძრავებელ ძალად. საბჭოთა კავშირის ყველა ერისა და ეროვნების ენერგიისა და შემოქმედების დაუშრეტელ წყაროდ. ალბად არ არის კაცი, რომელსაც ძვალ-რბილში არ ჰქონდეს გამჯდარი მამა-პაპათა მამულის, მშობლიური კულტურის, თავისი ენის, თავისი ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულებების სიყვარული, მაგრამ სოციალისტურ საზოგადოებაში ეს გრძნობა — პატრიოტიზმის გრძნობა — სცილდება ეროვნული კუთვნილების საზღვრებს, ახალი შინაარსით ივსება“.

საბჭოთა კავშირის ხალხთა განუხრელი ერთობლიობის ძირითადი იდეა პროლეტარული ინტერნაციონალიზმია, რომელიც ჩვენი კრედო და მომავლისადმი რწმენის სიმბოლოა. „ინტერნაციონალიზმი და პატრიოტიზმი საბჭოთა საზოგადოებაში განუყოფელია“—მიუთითებდა ე. ა. შევარდნაძე სტატიაში, რომელიც ჟურნალში «Вопросы мира и социализма» გამოქვეყნდა.

ეს გამარჯვებები შეაპირობა აგრეთვე იმან, რომ საქართველოს კომპარტია, მისი ხელმძღვანელობა სოციალიზმის მშენებლობის მთელ პერიოდში, მრისხანე ომის წლებში განუხრელად იცავდა ლენინურ ნორმებს, ლენინურ სტილს თავის ყოველდღიურ საქმიანობაში. რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ხელმძღვანელობის ლენინური ნორმებიდან და სტილიდან გადახვევას, თვალნათლივ მტკიცდება საქართველოს პარტიული ცხოვრების 50—60-იანი წლების მაგალითზე. ამ ორი ათეული წლის განმავლობაში საქართველოში ხელმძღვანელობის ლენინური სტილიდან გადახვევის შედეგად მოიშალა სახელმწიფოებრივი დისციპლინა და წესრიგი, გაბატონდა უპასუხისმგებლობისა და მოდუნების ატმოსფერო. პატიოსანმა შრომამ, შეჯიბრებამ, ნამდვილმა კაცურ-კაცობამ დაჰკარგა თავისი უპირატესობა, ყველაფრის საზომად თანამდებობა და ფული გახდა. „ტკბილი მცონარობის“ ატმოსფერო შეარქვეს ამ წლებს ქართული სიტყვის ოსტატებმა. ამ სენმა შეაღწია რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზმის თითქმის ყველა უჯრედში, მათ შორის, ინტელიგენციის რიგებშიც. კი. აქ ამ სენმა გამოვლინება პოვა მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობის მოდუნებაში, ობიექტური კრიტიკის სულისკვეთების მოშლაში, პროტექციონიზმის ზრდაში. გაჩნდა ხვრელები უცოდინარი, კარიერისტი, მომხვეჭელობის მოყვარული ადამიანებისათვის, რომელთაც მეცნიერების დიპლომი სჭირდებოდათ მაღალი თანამდებობის მისაღებად, მომრავლდნენ მლიქვნელები, რომლებიც თვალს ხუჭავდნენ ამ მანკიერებათა წინაშე და განადიდებდნენ იმ ადამიანებს, რომელთაგან ყველა ეს დანაშაული მომდინარეობდა. ახალგაზრდობის გარკვეულმა ნაწილმა დაჰკარგა ხალისი პატიოსანი შრომისა, რადგან თვით პატიოსნებას გზა დაუვიწროვდა. ასეთ ვითარებაში თითქოს დონკიხოტობად გამოიყურებოდა მაღალი მეცნიერული პრინციპებისათვის ბრძოლა, დაიკარგა საზომი და მეცნიერებაც ნაწილობრივ დევალვაციის გზაზე დადგა, ეს ვითარება რომ დღემდე გაგრძელებულიყო, წარმატებანი კი არა, გადაგვარების ღრმა ჭაობში ვიქნებოდით ჩაფლული.

ჩვენი დიდი ბედნიერებაა, რომ 70-იანი წლების დასაწყისიდან საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობაში ძირფესვიანი ცვლილებები მოხდა, რომ ახალმა ხელმძღვანელობამ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ე. ა. შევარდნაძის მეთაურობით ამ 8 წლის მანძილზე განახორციელა, არ გადავაჭარბებ თუ ვიტყვი, — რევოლუციის თანაბარმნიშვნელოვანი გარდაქმნები არა მარტო სამეურნეო დარგებში, რითაც დაღმა მიმავალი რესპუბლიკა კვლავ წინსვლის აღმართს შეუდგა და მოწინავეთა რიგებში ჩადგა, არამედ ხალხის სულიერი ცხოვრების ყველა სფეროში. მომხდარმა გარდაქმნებმა გაწმინდა მოდუნების ატმოსფერო, განამტკიცა რწმენა კომუნისტური იდეებისადმი, აამაღლა პასუხისმგებლობის გრძნობა კომუნისტებისა და ყველა მოქალაქისა და დარაზმა ისინი ადრეულ ჩამორჩენათა სწრაფი ლიკვიდაციის და რესპუბლიკის მატერიალური და სულიერი ძალების შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენებისათვის. ამ ძირფესვიანი ძვრებისა და გარდაქმნების ვითარებაში იყო ეჭვიც და სიძნელეებიც, მაგრამ ახლა უკიდურესი სკეპტიკოსიც კი ვერ უარყოფს, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი ხელმძღვანელობის მიერ აღებული კურსი ბრძნული, შორს გამიზნული და პერსპექ-

ტიული აღმოჩნდა, რომ ეს კურსი იყო ხსნა ჩვენი რესპუბლიკისა და მისი, შემდგომი წინსვლის შემაპირობებელი.

განსაკუთრებით თვალსაჩინოა საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობის მიერ გატარებული ღონისძიებანი ჩვენი ეროვნული კულტურის განვითარების მიმართულებით. ქართული ენის დაცვისა და გამდიდრების, საქართველოს ისტორიული ცხოვრების ღრმამეცნიერული შესწავლის, ეროვნული ტრადიციების გაჯანსაღების, გაწმენდის და გამრავალფეროვნების, ჩვენი მატერიალური და სულიერი ძეგლების დაცვის, გამომზეურების, საერთაშორისო ასპარეზზე გატანის და პოპულარიზაციის მხრივ ამ ბოლო წლებში გაკეთდა გაცილებით მეტი, ვიდრე ჩვენი საბჭოური ეპოქის სხვა შესაბამის მონაკვეთში. ამასთან, ყველა ეს დიდი ეროვნული ღონისძიება ხორციელდებოდა და ხორციელდება ინტერნაციონალიზმის პრინციპების განუხრელი დაცვით, საქართველოში მოსახლე ეროვნული ერთეულების ინტერესთა თანაბარი გათვალისწინებით, საბჭოთა ქვეყნის ყველა რესპუბლიკასთან, ყველა სოციალისტურ ქვეყანასთან ძმურ, მჭიდრო თანამშრომლობაში. ესაა ეროვნულისა და ინტერნაციონალურის ის ბრძნული შეხამება, რომელიც ლენინიზმის სახელმძღვანელო პრინციპია, ვინაიდან ეროვნული და ინტერნაციონალური ლენინურ მოძღვრებაში მუდამ დიალექტიკურ მთლიანობაშია, ერთიმეორეს ავსებს და აპირობებს.

ჩვენი რესპუბლიკის სამეურნეო-იდეოლოგიური წარმატებანი მნიშვნელოვანწილად შეპირობებულია იმ განსაკუთრებული ყურადღებითა და მზრუნველობით, რასაც საქართველოს მიმართ იჩენს საკავშირო მთავრობა, კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, პირადად ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი. ეს მზრუნველობა და ყურადღება ნათლად გამოსჭვივის იმ ისტორიულ დოკუმენტებში, რომლებიც უშუალოდ შეეხებიან თბილისის კომიტეტის, რესპუბლიკის პარტორგანიზაციის საქმიანობას, მათს წინაშე მდგომ ამოცანებს.

მეათე ხუთწლედმა, რომლის ყველა დავალებათა შესრულებაში ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა მასობრივი ენთუზიაზმი და გმირობა გამოიჩინეს, მტკიცე საფუძველი შეუქმნეს საწარმოო ძალების შემდგომ დაჩქარებულ ზრდას, საქართველოს საერთო-ეკონომიკური და ინდუსტრიული პოტენციალის გადიდებას.

საიუბილეო წელს — 1981 წელს ჩვენი რესპუბლიკის წინაშე ახალი დიდმნიშვნელოვანი ამოცანებია დასახული. ეს ამოცანები კონკრეტულადაა განსაზღვრული საქართველოს კომპარტიის 26-ე ყრილობის გადაწყვეტილებებში. „საქართველოს სსრ რესპუბლიკის ეკონომიკური და სოციალური განვითარების მთავარ ამოცანად 1981 წელს — ჩვენ მიგვაჩნია რესპუბლიკის წვლილის შემდგომი ზრდა ქვეყნის ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსში. ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება, იმ საფუძველზე, რომ ვუზრუნველყოთ საზოგადოებრივი წარმოების შეწონასწორებული და ეფექტიანი განვითარება, სრულვყოთ ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურა, განვაახლოთ და განვამტკიცოთ მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, დავაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, უფრო სრულად გამოვიყენოთ საქართველოს შრომითი და საწარმოო პოტენციალი, მისი ბუნებრივ-ეკონომიკური რესურსები“,—მიუთითებდა ამხ. ე. ა. შევარდნაძე თავის მოხსენებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XXII პლენუმზე 1980 წ. 11 ნოემბერს.

დასახული გეგმის მრავალმხრიობა და მაშტაბურობა იმის მოწმობაა, რომ საქართველოს რესპუბლიკა დადგა თავისი განვითარების თვისობრივად ახალ ეტაპზე, რომელსაც ახასიათებს საზოგადოებრივი წარმოების უმაგალითო ჰორიზონტები.

ახალ ხუთწლედში ახალ გამარჯვებათა მოსაპოვებლად სტრატეგიული გზა დაგვისახა და იდეოლოგიური დასაბუთება მოგვცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 26-ე ყრილობამ და საქართველოს კომპარტიის 26-ე ყრილობამ. ამ გზით კვლავ მტკიცედ ივლის საქართველოს მშრომელი ხალხი, რათა დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს საერთაშორისო მშვიდობის განმტკიცებისა და ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მშენებლობაში.

იური კაბარავა

საბჭოთა საქართველოს ისტორიის მეცნიერული კვლევის თანამედროვე მდგომარეობა[1]

საზოგადოებრივი პროგრესის ერთ-ერთი საფუძველი, როგორც ცნობილია, მეცნიერებისა და ცხოვრების კავშირია. საზოგადოებათმეცნიერების, თუ რომელიმე დარგი გამოირჩევა ცხოვრებასთან უშუალო კავშირით და ურთიერთზემოქმედებით, უწინარეს ყოვლისა, ეს ითქმის ისტორიულ მეცნიერებაზე საერთოდ, უახლესი წარსულის ისტორიაზე განსაკუთრებით. ეს გარემოება ხელსაყრელ პირობებთან ერთად ქმნის ამ დარგის, უახლესი წარსულის ისტორიის კვლევის ზოგიერთ სიძნელესაც. უახლესი წარსულის ისტორიის მეცნიერული შესწავლისას მკვლევარი ყოველთვის ვერ გამოდის მიუდგომელი აღმწერ-დამკვირვებლის როლში, რადგან იგი თვით არის ისტორიული პროცესის უშუალო მონაწილე და ამიტომ მას ყოველთვის როდი შეუძლია ეპიკური სიმშვიდით შეაფასოს თანამედროვეობის და ახლო წარსულის მოვლენები. გარდა ამისა, მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ უახლესი წარსულის ისტორიას ყველაზე მეტად ეტყობა პოლიტიკური ტენდენცია, რაც სამწუხაროდ, საეჭვოდ ხდის ზოგიერთისათვის მის მეცნიერულ ღირებულებას. უახლოესი წარსულის ისტორიის კვლევა რთული და ძნელი იყო ჩვენში იმის გამოც, რომ ამ უბანზე მოღვაწე ყველა მკვლევარი იყო დამწყები, გამოუცდელი, თითქმის ყოველგვარ მეცნიერულ მემკვიდრეობას მოკლებული, და ბოლოს, თვით დამწყებთა შორის საგრძნობი იყო კვალიფიციური კადრების სიმცირე, მიუხედავად ამისა, საბჭოთა მეცნიერების გადაუდებელ ამოცანად აღიარებულ იქნა უახლოესი წარსულის მეცნიერული ისტორიის შექმნა.

ვ. ი. ლენინმა დასახა ისტორიული მეცნიერების წინაშე ახლო წარსულისა და თანამედროვეობის ისტორიის მეცნიერული შესწავლის გადაუდებელი ამოცანა. „ჩვენ უნდა ვაკეთოთ, — წერდა ვ. ი. ლენინი, — პუბლიცისტების მუდმივი საქმე — ვწეროთ თანამედროვეობის ისტორია და ვეცადოთ ვწეროთ იგი ისე, რომ ჩვენი ყოფაცხოვრების აღწერილობა შეძლებისდაგვარ დახმარებას უწევდეს მოძრაობის უშუალო მონაწილეებსა და გმირ პროლეტარებს იქ, მოქმედების ადგილზე, ვწეროთ ისე, რომ ხელი შევუწყოთ მოძრაობის გაფართოებას, ბრძოლის ისეთი საშუალებების, ხერხებისა და მეთოდების შეგნებულად შერჩევას, რომლებსაც შეეძლებათ ძალების ნაკლები დახარჯვით მოგვცენ ყველაზე დიდი და ყველაზე მტკიცე შედეგები“[2]. აი, რატომ დააყენა საბჭოთა ისტორიკოსების წინაშე კომუნისტურმა პარტიამ უახლოესი წარსულისა

---

[1] აქ არ არის განხილული ისტორიულ-პარტიული, ისტორიულ-ეკონომიკური და ისტორიულ-იურიდიული სამეცნიერო ლიტერატურა, თუმცა მათ დიდი წვლილი შეაქვთ როგორც რევოლუციამდელ, ისე რევოლუციის შემდეგდროინდელი ისტორიის შესწავლაში.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 8, გვ. 108.

და თანამედროვეობის მეცნიერული ისტორიის შექმნის ამოცანა. ამ ამოცანის განხორციელებისათვის საჭიროა „ძალების 99/100-ს დაეკალოს იმის დამუშავება, რაც პრაქტიკულად და დაუყოვნებლივ არის საჭირო ჩვენი მშენებლობისათვის"[3], ე. ი. ახალი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობის მშენებლობისათვის.

ჩვენი ქვეყნის თანამედროვეობისა და უახლოესი წარსულის მეცნიერული ისტორიის შექმნა კვლავ პირველი რიგის ამოცანად დააყენა ლენინური პარტიის XXIV ყრილობამ. ამასთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა გადაჭრით მოითხოვა: „საზოგადოებრივ მეცნიერებათა სულ უფრო მკვეთრი შემობრუნება აწმყოსა და მომავლის აქტუალური პრობლემების შემუშავებისაკენ. აი რა გვჭირდება ჩვენ"[4].

* * *

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტში ჯერ კიდევ 50-იანი წლების დასაწყისში ჩამოყალიბდა სპეციალური სამეცნიერო უჯრედი — საბჭოთა საქართველოს ისტორიის შემსწავლელი განყოფილება აკად. გ. ხაჭაპურიძის ხელმძღვანელობით. მან თავიდანვე გაშალა მუშაობა საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის ისტორიის შესასწავლად, შემდეგში თანდათანობით, ახალი კადრებით განყოფილების დაკომპლექტების კვალობაზე, გაფართოებას იწყებს მეცნიერული კვლევის თემატიკა. მაგრამ მეცნიერული კვლევის შედეგები თავიანთი ხარისხით, ჯერ კიდევ მკვლევართა პროფესიული დაოსტატების შედარებით დაბალი დონის გამო, ვერ იდგა სათანადო სიმაღლეზე, რაც აღნიშნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის 1955 წლის ივნისის დადგენილებაში, სადაც მითითებულია, რომ ისტორიის ინსტიტუტს გააჩნია სერიოზული ნაკლი საქართველოს ისტორიის საბჭოთა პერიოდის შესწავლაში, რომ ამ დარგში მუშაობა უაღრესად ნელა მიმდინარეობს, ინსტიტუტის საქართველოს საბჭოთა პერიოდის ისტორიის განყოფილება არ იძლევა მეცნიერულად ღირებულ პროდუქციას, შესრულებული თემების უმეტესობა ზერელე, აღწერით ხასიათს ატარებს და ა. შ.[5].

უნდა ითქვას, რომ უახლოესი წარსულისა და თანამედროვეობის ისტორიის დარგში კვლევა-ძიება მაშინ არც მოსკოვისა და სხვა დიდი სამეცნიერო ტრადიციების მქონე ცენტრებში იდგა უკეთესად[6]. ამის გამო იყო საკ. კპ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა ყურადღება რომ გაამახვილა 1952 წელს უახლესი და თანამედროვეობის ისტორიის მეცნიერული კვლევის მიმართ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო „ბოლშევიკი", გამოდიოდა რა ცენტრალური

---

[3] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 33, გვ. 14—15.

[4] ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას 1971 წლის 30 მარტს, თბ., 1971, გვ. 119.

[5] საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. 1, 1955, გვ. 453—464.

[6] «Литературная газета», 2 октября 1948 г.

კომიტეტის დადგენილებიდან, ჟურნალ „ვოპროსი ისტორიის“ რედაქციას მოაგონებდა: „ჩვენი ისტორიული მეცნიერებისათვის არ არის იმაზე მნიშვნელოვანი და უფრო საპატიო ამოცანა, ვიდრე საბჭოთა საზოგადოების ისტორიის შესწავლა“[7]. ეს იყო დირექტივა ყველა სამეცნიერო ცენტრისათვის, სადაც კი იკვლევდნენ ერის წარსულს. მაგრამ საბჭოთა საქართველოს ისტორიის შესწავლა ჯერ კიდევ ჩამორჩებოდა ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების საერთო დონეს, რაც სამართლიანად აღნიშნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანომ გაზეთმა „კომუნისტმა“, როდესაც წერდა: „წარმატებით ამუშავებენ რა ძველი ისტორიის პრობლემებს საქართველოს ისტორიკოსები, ამასთანავე ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ საბჭოთა პერიოდის ისტორიის კვლევას. ამ პერიოდის შესახებ ჯერ კიდევ არა გვაქვს სერიოზული მეცნიერული ნაშრომი. ასეთი მდგომარეობა აშკარად არანორმალურია“[8]

ეს არანორმალური მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელებულა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტმა საბჭოთა საქართველოს ისტორიის განყოფილება შეავსო ახალი, შედარებით კვალიფიციური კადრებით და საბჭოთა პერიოდის ისტორიის კვლევაც სასურველი შედეგებით აღინიშნა. ამ მიმართულებით განსაკუთრებით გაძლიერდა მუშაობა სკკპ XX ყრილობის შემდეგ, კერძოდ გაზეთ „კომუნისტის“ სარედაქციო წერილის გამოქვეყნების შემდეგ[9].

საქართველოს უახლესი წარსულის ისტორიის დარგში ამ პერიოდის ყველაზე მნიშვნელოვანი მიღწევაა გ. ხაჭაპურიძის მიერ შეესებული და გადამუშავებული სახით გამოქვეყნებული ფუნდამენტური მონოგრაფია „ქართველი ხალხის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის“, სადაც ავტორი გვიჩვენებს საქართველოს მშრომელთა ბრძოლას მენშევიკური მთავრობისა და უცხოელ ოკუპანტთა წინააღმდეგ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის. აქვე წარმოაჩენს ავტორი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პირველი ნაბიჯების მნიშვნელობას ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკური აღორძინებისათვის.

აღსანიშნავია ამ პერიოდში სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის მეცნიერთანამშრომელთა კოლექტივის მიერ შექმნილი ნაშრომი „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები (1883—1921 წწ.)“, პირველი ნაწილი გამოქვეყნდა 1957 წელს. აგრეთვე, „საქართველოს ისტორია“ (საშუალო სკოლის სახელმძღვანელო), იგი გამოქვეყნდა 1958 წელს და მოიცავდა პერიოდს უძველესი დროიდან XX საუკუნის 50-იანი წლების ბოლომდე. ეს იყო „საქართველოს ისტორიის“ სასკოლო სახელმძღვანელოს პირველი სრული კურსი. აღსანიშნავია აგრეთვე „აფხაზეთის ასსრ ისტორიის ნარკვევები (1921-1964)“, II ნაწილი გამოქვეყნდა 1964 წელს. ამავე პერიოდში გამოვიდა ა. კიკვიძის „საქართველოს ისტორია, XIX-XX სს“ (ლექციების კურსი, 1959) და „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევების (1921-1961 წწ.)“ მეორე ნაწილი (1961) და ა. შ. გარდა აღნიშნულისა, არა ერთი მონოგრაფია

---

[7] Журн. «Большевик», 1957, № 2.

[8] გაზ. „კომუნისტი“, 1957 წლის 2 იანვარი.

[9] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა და ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია, 1962.

მიეძღვნა აღნიშნული პერიოდის საქართველოს ისტორიას. მათ შორის აღსანიშნავია: ა. სურგულაძის წიგნი „ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ამიერკავკასიაში“ (ორ ტომად), გ. ძიძარიას — „აფხაზეთის ისტორიის ნარკვევები“ (1963), მ. ჯიჯეიშვილის — „ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის აჭარაში“ (1957), ა. იოსელიანის — „საქართველო საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომში (1941-1945 წწ.), (1958) და ა. შ., ამ შრომებმა მნიშვნელოვნად შეავსეს ხარვეზი, რომელიც ესოდენ დიდხანს იგრძნობოდა საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის მეცნიერულ კვლევაში. მათ ფრიად გააადვილეს საბჭოთა საქართველოს ისტორიის მეცნიერული კვლევა. რამდენადაც მათში მოცემული იყო საქართველოს უახლოესი წარსულის ისტორიის თითქმის ყველა ძირითადი პრობლემის მარქსისტულ-ლენინური შეფასება და ერის ისტორიის აგების გეგმა.

საბჭოთა საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლა თავიდანვე ორი ძირითადი მიმართულებით წარიმართა: ერთ შემთხვევაში, მეცნიერული კვლევის ობიექტად იყო აღებული ქვეყნის ისტორიის ესა თუ ის პერიოდი, ესა თუ ის ეტაპი. იგი შეისწავლებოდა მთლიანობაში, ე. ი ისტორიული განვითარების ამ ეტაპისათვის დამახასიათებელი ყველა ძირითადი მომენტის თუ მხარის კვლევის გზით. მეორე შემთხვევაში კი, კვლევის ობიექტი ხდებოდა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ცალკეული მოელენები, რომლებიც შეისწავლებოდა მათი ჩასახვა-განვითარების მთელ მანძილზე, რომელიც ქვეყნის ისტორიის რამდენიმე ეტაპს თუ პერიოდს გასდევდა ხოლმე.

საბჭოთა საქართველოს ისტორიის ცალკეულ პერიოდებიდან დღეისათვის შედარებით უკეთაა შესწავლილი სახალხო მეურნეობის აღდგენის, სოციალიზმის განვითარება-განმტკიცებისა და საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომისა და ომის შემდგომი პერიოდები. აღდგენითი პერიოდის შესწავლას მიეძღვნა ჩვენი ნაშრომი „საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში (1921-1925 წწ.)“, იგი გამოქვეყნდა 1958 წელს; მასში მთელი რიგი საკითხებისა განხილულია სრულიად ახლებურად. პირველად ამ მონოგრაფიაში პოვა შედარებით სრული გაშუქება საქართველოს კომუნისტებისადმი ვ. ი. ლენინის სადირექტივო წერილებმა. აგრეთვე ნაჩვენებია ამ წერილების მნიშვნელობა საქართველოში სოციალისტური მშენებლობისათვის, ინტელიგენციასთან ურთიერთობის ნორმალიზაციისათვის. შედარებით ახლებურადაა განხილული მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებთან საქართველოს სახელმწიფოებრივი კავშირ-ურთიერთობის საკითხები. ვ. ი. ლენინის წერილი „ავტონომიზაციის“ შესახებ და სხვ. ასევე ახლებურადაა განხილული საქართველოში ახალი ეკონომიკური პოლიტიკის საკითხები. მისი შემოღებისა და გატარების თავისებურებანი, კერძოდ, სასურსათო-ნატურალური გადასახადის ფულადი ეკვივალენტით შეცვლის საკითხი; რევკომების სისტემა განხილულია როგორც პროლეტარიატის დიქტატურის დროებითი. გარდამავალი ხასიათის სახელმწიფოებრივი (პოლიტიკური) ფორმა, ნაჩვენებია სოფლად მიმდინარე გაგლეხება. როგორც განგლეხების პირუკეთ პროცესი. გარდა ამისა, შედარებით ამომწურავადაა წარმოდგენილი ქვეყნის ეკონომიკური, საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების თითქმის ყველა ძირითადი საკითხი.

საქართველოს სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდს, გარდა დასახელებული ნაშრომისა, მიეძღვნა არაერთი მონოგრაფია. მათ შორის აღსანიშნავია: მ. ნათმელაძის, მ. ჯიჯეიშვილისა და სხვ. შრომები[10].

საქართველოში სოციალისტური საზოგადოების განვითარებისა და განმტკიცების ისტორია შედარებით სრულსა და ამომწურავ გაშუქებას პოულობს ი. ჩიქავავას ნაშრომში „საქართველო სოციალისტური საზოგადოების განმტკიცებისა და განვითარების პერიოდში" (1972). ავტორმა არა მარტო შექმნა ამ პერიოდის მეცნიერული ისტორია, არამედ ახლებურად წარმოაჩინა რიგი საკითხი, სოციალისტური საზოგადოების აშენების დამთავრებასა და მის განმტკიცებასთან დაკავშირებით რომ იდგა მაშინ პარტიისა და ქვეყნის წინაშე. მათ შორის აღსანიშნავია ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის აქტუალური საკითხები, კლასობრივ ძალთა თანაფარდობისა და შინაკლასობრივ ურთიერთობათა ხასიათი და ა. შ.

საბჭოთა საქართველოს ისტორიის 1941-1945 წლების პერიოდის მეცნიერული გაშუქება მოცემულია ა. იოსელიანის ნაშრომში „საქართველო საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომში (1941-1945 წწ.)". აქ განხილულია ომის დაწყებასთან დაკავშირებით ქვეყნად შექმნილი მდგომარეობა, ნაჩვენებია ხალხის პატრიოტიზმი, მისი თავდადებული შრომა ზურგში და სამამულო ომის ფრონტებზე საქართველოს მშრომელთა წარგზავნილების საბრძოლო მამაცობა. სამამულო ომის პერიოდში საქართველოს ისტორიის ცალკეული საკითხები განხილულია კ. ცქიტიშვილის, ი. ბაბალაშვილის, მ. ქოჩიაშვილის, ბ. პლიევის, შ. ნოზაძის, ე. კუპატაძის, მ. ცანავას და სხვათა მონოგრაფიებში.

ომისშემდგომი (1945-1953 წწ.) პერიოდის საქართველოს ისტორია გადმოცემულია ნ. სტურუას სადოქტორო დისერტაციაში „საქართველოს სსრ ომისშემდგომ პერიოდში (1945-1953 წწ.)", იგი, ზოგიერთი ცვლილებებით მთლიანად შევიდა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" VIII ტომში (1980). ავტორმა ახალ წყაროებზე დაყრდნობით წარმოაჩინა საქართველოს სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარებისათვის მშრომელთა დაძაბული შრომა, აგრეთვე მასების დიდი პოლიტიკური აქტივობა ქვეყნის წინაშე მდგარი ისტორიული ამოცანების გადაჭრისათვის.

მ ე ო რ ე მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა, რომლითაც წარიმართა საბჭოთა საქართველოს ისტორიის მეცნიერული კვლევა-ძიება, მოიცავდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების პრობლემებს, კერძოდ, სახალხო მეურნეობისა და კულტურის ცალკეული დარგების განვითარებას, საზოგადოებრივი კლასებისა და ფენების ისტორიას და ა. შ.

პირველ რიგში აღსანიშნავია ქ ვ ე ყ ნ ი ს ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი ი ნ დ უ ს ტ რ ი ა ლ ი ზ ა ც ი ი ს ლენინური გეგმის განხორციელებისათვის მშრომელთა ბრძოლის ისტორიის შესწავლა, რომელიც ინტენსიურად მიმდინარეობდა და მიმდინარეობს დღესაც.

ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და საერთოდ, მრეწველობის ისტორიის პრობლემას არაერთი ნაშრომი მიუძღვნა ა. კოპლავაშვილ-

---

[10] მ. ნ ა თ მ ე ლ ა ძ ე, საქართველოს მუშათა კლასის კონსოლიდაცია (1921-1925), თბ., 1965; მ. ჯ ი ჯ ე ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ისტორიისათვის, თბ., 1970.

მა[11]. საქართველოში მანქანათმშენებლობის ისტორიის შესწავლით ავტორმა გვიჩვენა მრეწველობის ამ ძირითადი დარგის განვითარების კანონზომიერება და მისი როლი ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ზრდასა და განვითარებაში. შედარებით სრულადაა შესწავლილი კვების მრეწველობის[12], საფეიქრო მრეწველობის[13] და ქიმიური მრეწველობის ისტორია[14]. ოციან წლებში ქვეყნის ელექტროფიკაციის ლენინური გეგმის განხორციელებისათვის ბრძოლის ისტორია[15]. გადადგმული იქნა პირველი ნაბიჯი სოციალისტური ქალაქების ისტორიის შესასწავლად[16]. ამ მიმართულებით, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ძალიან ცოტაა გაკეთებული. აღსანიშნავია აგრეთვე კ. ტოტოჩავას საყურადღებო ნაშრომი ტრანსპორტისა და მის საწარმოთა ისტორიის შესახებ[17].

ნაყოფიერად იმუშავეს ავტონომიური ერთეულების ისტორიკოსებმა. აღსანიშნავია აფხაზეთში მრეწველობის განვითარების ისტორიისადმი მიძღვნილი არაერთი ნაშრომი, მათ შორის უნდა დავასახელოთ ა. კუპრავას, ა. აფშილავას, ლ. პრიცკერის და სხვ. გამოკვლევები[18].

საქართველოს მრეწველობის განვითარების კვალდაკვალ შეისწავლებოდა მ უ შ ა თ ა კ ლ ა ს ი ს ი ს ტ ო რ ი ა, მისი ჩამოყალიბებისა და კონსოლიდაციის, მისი შრომითი და პოლიტიკური აქტივობისა და კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლების ისტორია.

საქართველოს მუშათა კლასის ისტორიას რამდენიმე ფუნდამენტური გამოკვლევა უძღვნა მ. ნათმელაძემ. მან შეისწავლა საქართველოს მუშათა კლასის ისტორია 1921 წლიდან დაწყებული, ვიდრე 1945 წლამდე ჩათვლით. საქართველოს მუშათა კლასის 1941-1961 წლების ისტორია შეისწავლა ს. შარიქაძემ, საქართველოს მუშათა კლასის ისტორიას მიეძღვნა აგრეთვე მ. კანტერეს, გ. ლეჟავას, ხ. ახალაიას და სხვ. შრომები[19].

---

[11] ა. კ ო ჭ ლ ა ვ ა შ ვ ი ლ ი, მანქანათმშენებლობის ისტორია საბჭოთა საქართველოში (1921—1941 წწ.), თბ., 1966; მ ი ს ი ვ ე, ინდუსტრიალიზაციის ლენინური გეგმის განხორციელება საქართველოში, თბ., 1974, და სხვ.

[12] Л. М. Б е р и д з е, Борьба трудящихся Грузии за развитие пищевой промышленности, 1921-1932 гг. (автореферат к. д.), Тб., 1970.

[13] Д. П. К е к е л и д з е, Борьба трудящихся Грузии за развитие текстильной промышленности, 1921-1932 гг. (автореферат к. д.), Тб., 1970.

[14] Н. Г. Д а т е ш и д з е, Трудящиеся Грузии за развитие химической промышленности в период Отечественной войны Советского Союза и послевоенного мирного строительства (1941-1955 гг.), (автореферат к. д.), Тб., 1971

[15] ნ. ჩ ა ფ ი ძ ე ელექტროფიკაციის ლენინური გეგმის განხორციელების ისტორია საქართველოში (1921-1929 წწ.), თბ., 1964.

[16] ქ. თ ო ფ უ რ ი ძ ე, რუსთავი (ისტორიული ნარკვევი), თბ., 1965.

[17] კ. ტ ო ტ ო ჩ ა ვ ა, ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხნის ისტორია, თბ., 1970; მ ი ს ი ვ ე, საქართველოს სსრ ტრანსპორტის ისტორია, თბ., 1973.

[18] А. Э. К у п р а в а, Промышленность и транспорт Абхазии в первые годы Советской власти, Сухуми, 1969; А. А б ш и л а в а, История промышленности Абхазской АССР, 1921-1944 гг., Сухуми, 1969; е г о ж е, Промышленность Абхазской АССР в годы Великой Отечественной войны, Сухуми, 1972; Л. А. П р и ц к е р, История освоения ткварчельского каменно-угольного месторождения, Сухуми, 1966.

[19] მ. ნ ა თ მ ე ლ ა ძ ე საბჭოთა საქართველოს მუშათა კლასის ისტორია (1921-1932 წწ.), თბ., I, 197'; მ ი ს ი ვ ე, საბჭოთა საქართველოს მუშათა კლასის ისტორია (1933-1945 წწ.), თბ., 1975; ს. შ ა რ ი ქ ა ძ ე საქართველოს მუშათა კლასის ისტორია (1941-1961 წწ.), თბ., 1969; М. Я. К а н т е р е, Из истории рабочего класса Грузин, Тб., 1970; Г. П. Л е ж а в а,

მუშათა კლასის ისტორიისადმი მიძღვნილ ზემოთ დასახელებულ შრომებში გაშუქებულია მუშათა კლასის ისტორიის ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხები, როგორიცაა მუშათა კლასი და სახალხო მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის პროცესი, მუშათა კლასის შევსების წყაროები, მისი რაოდენობრივი და თვისებრივი ზრდა სოციალიზმის მშენებლობის ეტაპებისდა მიხედვით, მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლი სოციალისტურ საზოგადოებაში და სხვ.

სოფლის პროლეტარიატის, სოფლის დაქირავებულ მუშათა ისტორიისადმი მიძღვნილია ალ. კოპლავაშვილის ნაშრომი „საქართველოს სოფლის მუშათა ბრძოლა სოციალიზმისათვის" (1977). აქ გაშუქებულია მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისათვის სოფლის პროლეტარიატის ბრძოლის ისტორია, აგრეთვე ნაჩვენებია სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის განხორციელებისა და საკოლმეურნეო მშენებლობის წარმატებათა საფუძველზე სოფლის დაქირავებული მუშების საზოგადოებრივი წარმოების მუშაკებად თანდათანობით გარდაქმნის პროცესი.

საქართველოს მუშათა კლასის საერთო ისტორიის შესწავლის პარალელურად შეისწავლებოდა მის მოღვაწეობასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები: მუშათა კლასის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობა, მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკური დონის ზრდა-განვითარება, შრომითი მამაცობა და სოციალისტური შეჯიბრება, საშეფო მოძრაობა და ა. შ.

სოციალისტური მშენებლობის განვითარებაში გადამწყვეტი როლი შეასრულა სოციალისტურმა შეჯიბრებამ, როგორც სოციალიზმის მშენებლობის მეთოდმა. ამიტომ ბუნებრივია ის ინტერესი, რომელიც გამოიჩინეს საქართველოს ისტორიკოსებმა სოციალისტური შეჯიბრების ჩასახვის, მისი განვითარების ეტაპებისა და შედეგების შესწავლაში. აღსანიშნავია ს. ჩხარტიშვილის მიერ გაწეული მეცნიერული კვლევა-ძიება ამ ახალი საზოგადოებრივი მოვლენის შესასწავლად. მან რამდენიმე ნაშრომი უძღვნა აღნიშნულ პრობლემას, მათ შორის აღსანიშნავია „სოციალისტური შეჯიბრების ისტორია საქართველოს მრეწველობაში" (1921-1973 წწ.), რომელიც გამოქვეყნდა 1974 წელს. მიუხედავად ამისა, სოციალისტური შეჯიბრების ჩასახვისა და განვითარების ისტორიის სხვადასხვა ასპექტს კვლავ დიდი ინტერესით სწავლობენ ისტორიკოსები[20].

საქართველოს მუშათა კლასის ისტორია მდიდარია არა მარტო სოციალისტური შრომის ახალი და ახალი ფორმებისა და მეთოდების დამკვიდრებით, არამედ დიდი პატრიოტული შემართებითაც. ამის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი წარმოაჩინა ა. იოსელიანმა თავის ნაშრომში „საქართველოს მუშათა კლასის ისტორიიდან"[21].

საქართველოს მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკური დონის განვითარების ისტორიას სპეციალურად იკვლევს მ. კანტერე,

---

Из истории рабочего класса Абхазии в послевоенные годы, Тб., 1970; его же, Из истории рабочего класса Абхазии (1921-1941 гг.) Тб., 1978; Х. В. Халая, Рабочий класс Абхазии в период коммунистического строительства, (1959-1965 гг.), Сухуми, 1971.

[20] ჯ. გაფრინდაშვილი, სოციალისტური შეჯიბრება და სოფლად კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის წინაპირობა საქართველოში (1953-1958 წწ.), 1972; ნ. ჯოიდავა, სოციალისტური შეჯიბრების ჩასახვა და გაშლა აფხაზეთის სახალხო მეურნეობაში (1921-1941 წწ.), 1967, და სხვ.

[21] ა. იოსელიანი, საქართველოს მუშათა კლასის ისტორიიდან (ტრანსპორტის მუშაკთა პატრიოტიზმი დიდი სამამულო ომის პერიოდში), თბ., 1957.

მან ამ საკითხს რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა და ფრიად საყურადღებო დებულებებიც წამოაყენა მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკური დონისა და მისი განვითარების კანონზომიერებათა შესახებ[22]. მუშათა კლასის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობის მაჩვენებელია მისი შეფობა სახელმწიფო დაწესებულებებისა და სოფლებისადმი, რაც ძლიერ გაიშალა ოციან წლებში, განსაკუთრებით საკოლმეურნეო მოძრაობის საწყის ეტაპზე, რაც ყურადღების გარეშე არ დარჩენილა ქართულ ისტორიოგრაფიაში. საშეფო მოძრაობა იყო მუშათა კლასისა და გლეხობას შორის ორგანიზაციული და იდეური კავშირის განმტკიცების ერთ-ერთი ფორმა. მაგრამ ამ კავშირის შექმნასა და განმტკიცებას არაერთი ფაქტორი განაპირობებდა საერთოდ, კერძოდ კი საქართველოში. ამ დიდმნიშვნელოვანი საკითხის ყოველმხრივსა და ამომწურავ გაშუქებას ისახავენ მიზნად მ. ჯიჯეიშვილის და სხვათა მონოგრაფიები[23].

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ისტორია, განსაკუთრებით საკოლმეურნეო მშენებლობის პერიოდში, შეიძლება ითქვას საფუძვლიანადაა შესწავლილი ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში საკმაოდ დიდი ადგილი ეთმობა საქართველოში სოფლის მეურნეობის მდგომარეობისა და საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხებს. ამ პრობლემის მეცნიერული შესწავლა განსაკუთრებით აქტიურად წარმოებს დიდი სამამულო ომის შემდგომ პერიოდში, რასაც ხელი შეუწყო საქართველოს უახლესი ისტორიის შესახებ, აგრეთვე ისტორიული, ისტორიულ-პარტიული და ეკონომიკური ხასიათის სპეციალური და განმაზოგადებელი მონოგრაფიული გამოკვლევების გამოქვეყნებამ.

საქართველოს სოფელში სოციალისტური გარდაქმნის ისტორიისადმი მიძღვნილ შრომებში განხილულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა ბრძოლა ლენინური კოოპერაციული გეგმის განხორციელებისათვის საქართველოში, სოფლის მეურნეობის აღდგენისა და საკოლმეურნეო მშენებლობის პირველი ნაბიჯები, საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვება-განმტკიცება და მასთან დაკავშირებული ის ღრმა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ხასიათის ცვლილებები, რომლებიც განხორციელდა საბჭოთა სოფელში[24].

საქართველოს სოფლის მეურნეობის ისტორიის საკითხები სპეციალურად განხილულია ჯ. პატარაიას, ი. წურწუმიას, ვ. სახეიშვილის, გ. ჩხაიძისა და სხვა ისტორიკოსთა სადისერტაციო შრომებში[25]. პირველი მათგანი იკვლევს მხოლოდ 1933-1937 წლების პერიოდში სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის მშრომელთა ბრძოლის ისტორიას, მეორე — საქართველოში ჩაის საბჭოთა მეურნეობების ისტორიას ხანგრძლივი დროის მონაკვეთში — 1921-1965 წლების პერიოდში, მესამე — აფხაზეთის საბჭოთა მეურნეობების ისტორიას, ხო-

[22] М. Я. Кантере, История развития культурно-технического уровня рабочего класса Грузии в период строительства социалистического общества (1921-1937 гг.), Тб., 1977.

[23] ლ. ნადირაშვილი, საქართველოში საშეფო მოძრაობის ისტორიიდან (1921-1933 წწ.), თბ., 1972; მ. ჯიჯეიშვილი, საქართველოს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ისტორიისათვის (1917-1925 წწ.), თბ., 1970.

[24] „საქართველოს ისტორიის ნარკვევები", თბ., 1976, ტ. VII, გვ. 46.

[25] ჯ. პატარაია, საქართველოს მშრომელები სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ბრძოლაში (1933-1937 წწ.), თბ., 1970; ი. წურწუმია, საქართველოს ჩაის საბჭოთა მეურნეობების ისტორია (1921-1965 წწ.), თბ., 1966; გ. ჩხაიძე, ბრძოლა ირიგაციის განვითარებისათვის საქართველოში (1921-1937 წწ.), თბ., გვ. 970; ვ. სახეიშვილი, აფხაზეთის მშრომელები მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში..., თბ., 1968.

ლო მეოთხე — საქართველოში ირიგაციის ლენინური გეგმის განხორციელების ისტორიას.

სოფლის მეურნეობის განვითარების ისტორია, მისი განვითარების ცალკეული საკითხები განხილულია ისტორიკოსთა იმ შრომებში, რომლებიც მიეძღვნა საკოლმეურნეო მშენებლობის ისტორიას საქართველოში, აგრეთვე ავტონომიურ ერთეულებში. ამ ხასიათის გამოკვლევებით კი, შეიძლება ითქვას, მეტად მდიდარია ქართული ისტორიოგრაფია. ყველა მათი განხილვა ამ მოცულობის ნაშრომში შეუძლებელია, ამიტომ შევეხებით მხოლოდ ძირითადსა და შედარებით მნიშვნელოვანს მათ შორის.

საქართველოში საკოლმეურნეო მშენებლობის ისტორია შედარებით სრულსა და თანმიმდევრულ გაშუქებას პოულობს ა. კიკვიძის ნაშრომში „საქართველოს ისტორია XIX-XX სს. ნაწ. III“ (1967), ავტორი აქ, ისე როგორც მის სხვა შრომებში, იზიარებს იმ აზრს, რომ საქართველოში მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობის და მთლიანი კოლექტივიზაციის დაწყებას ადგილი ჰქონდა 1929 წლის მეორე ნახევარში.

ი. მირცხულავას ნაშრომში „ლენინური კოოპერაციული გეგმის განხორციელება საქართველოში“ (1968) გადმოცემულია საკოლმეურნეო მშენებლობის 1929-1941 წლების ისტორია. ავტორმა გააშუქა საქართველოში საკოლმეურნეო მოძრაობის რიგი მნიშვნელოვანი საკითხი, კერძოდ, სოფლის მეურნეობის აღდგენა, საკოლმეურნეო მოძრაობის პირველი ნაბიჯები, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი საკოლმეურნეო მოძრაობაში და სხვ. ი. მირცხულავა, ისე როგორც ა. კიკვიძე, იზიარებს ტრადიციულ შეხედულებას — საქართველოში მასობრივი საკოლმეურნეო მოძრაობის 1929 წლის მეორე ნახევრიდან დაწყების შესახებ.

ეს ტრადიციული თვალსაზრისი გადასინჯეს თავიანთ უკანასკნელ შრომებში ისტორიკოსებმა ფ. ლომაშვილმა, თ. ჟღენტმა, ს. შარიამ, ა. ბაუჟაძემ და სხვ. და გვიჩვენეს, რომ 1929 წლის მეორე ნახევარში არ დაწყებულა საქართველოში მასობრივი საკოლმეურნეო მოძარობა, რომ ის გვიან დაიწყო და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია დამთავრდა მეორე ხუთწლედში. გარდა ამისა, აღსანიშნავია, აგრეთვე საკითხები, რომლებიც დღესაც იწვევენ დავას ისტორიკოსთა შორის. მათ განეკუთვნება შემდეგი პრობლემები: არსებობდა თუ არა საქართველოში ოცდაათიანი წლების დასაწყისში საკოლმეურნეო მშენებლობისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, როდის მოხდა და რა გზით კულაკობის როგორც კლასის ლიკვიდაცია საქართველოში და მის ავტონომიურ ერთეულებში და ა. შ.[26].

საქართველოში საკოლმეურნეო მშენებლობის ისტორია, კერძოდ კულაკობის, როგორც კლასის ლიკვიდაციისათვის ბრძოლის ისტორია, რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაშინდელი დონე მეცნიერულ გაშუქებას პოულობენ ფ. ლომაშვილის ნაშრომში „დიადი გადატრიალება“, რომელიც გამოვიდა 1972 წელს. საქართველოში საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებას, საკოლმეურნეო მშენებლობის ისტორიას მიეძღვნა თ. ჟღენტის

[26] იხ. დაწვრილებით: ფ. ლ ო მ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის ისტორიოგრაფია, თბ., 1976; С. И. Ш а р и я, Некоторые вопросы коллективизации и колхозного строительства в Грузинской ССР, Сухуми, 1978.

ორი ნაშრომი[27], რომელთა ერთ-ერთი სიახლე ისიც არის, რომ ავტორმა გადასინჯა ტრადიციული შეხედულება საქართველოში მასობრივი საკოლემურნეო მოძრაობის საწყისი ეტაპის შესახებ, აგრეთვე საკოლმეურნეო წყობილების მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის ფორმების შესახებ.

კარგად არის გაშუქებული საკოლმეურნეო მშენებლობის ისტორია საქართველოს ავტონომიურ ერთეულებში, კერძოდ, შესწავლილია ის თავისებურებანი, რომლითაც ხასიათდებოდა მათში საკოლმეურნეო მოძრაობა სახალხო მეურნეობის განვითარების პირველსა და მეორე ხუთწლედებში.

საკოლმეურნეო მშენებლობის ისტორიის მეცნიერული შესწავლის მაღალი დონით გამოირჩევა აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ-ოსეთის ისტორიკოსთა: ა. კუპრავას, ს. შარიას, გ. ჯიჯეიშვილის, ა. ბაუეაძის, ზ. ვანეევის, ვ. აბაევის, ბ. პლიევისა და სხვათა შრომები[28].

შედარებით სუსტადაა შესწავლილი საქართველოს გლეხობის, კერძოდ, კოლმეურნე გლეხობის ისტორია. ამ დარგში ქართულ ისტორიოგრაფიას მხოლოდ თითო-ოროლა ნაშრომი თუ გააჩნია. ასეთი შრომების რიცხვი მიეკუთვნება ნ. შველიძის, ა. კუპრავას, ი. ჩიქავას, რ. კოჭლამაზაშვილის და სხვათა შრომები[29]. საქართველოს სოფლის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურის საკითხები შეისწავლა ე. ქვათაძემ[30]. მის მონოგრაფიაში კარგად არის ნაჩვენები ის ცვლილებები, რომელიც მოხდა საქართველოს სოფლის მოსახლეობაში გლეხურ მეურნეობათა სოციალისტური გარდაქმნის ლენინური გეგმის განხორციელების შედეგად. აგრეთვე ავტორის მიერ დადგენილია ის ტენდენციები, რომლებიც შეინიშნებოდა სოფლის მოსახლეობის სოციალურ განვითარებაში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გავლენით.

ქართული ეროვნული კულტურის ისტორიის კვლევა სხვადასხვა ასპექტით სწარმოებდა და სწარმოებს დღესაც, მას განაპიროებებს თვით კულტურის მრავალდარგიანობა. საბჭოთა საქართველოში, განსაკუთრებით, განვითარებული სოციალიზმის ეპოქაში, დიდი ყურადღება მიაქციეს როგორც მატერიალური, ისე სულიერი კულტურის, საერთოდ

---

[27] თ. ეღენტი, საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვება საქართველოში, თბ., 1967; მისივე, История колхозного строительства в Грузии, (1921—1950 гг.), Тб., 1977.

[28] А. Э. Куправа, История кооперации Абхазской АССР (1921—1932 г. г.). Тб., 1970; его же, Абхазская деревня на пути строительства социализма (1926—1929 гг), Тб. 1977; ს. შარია, აფხაზეთის სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა (1921-1932, წწ.), სოხუმი 1970; ა. ბაუეაძე, აჭარის მშრომელთა ბრძოლა საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებისათვის, თბ., 1962; გ. ჯიჯეიშვილი, სოციალისტური მშენებლობის ისტორიისათვის აჭარაში (1921-1937 წწ.); З. Н. Ванеев, Революционная земельная реформа в Юго-Осетии(1921—1927 гг.), (ИЮОНИИ АН ГССР, вып. 18), Цхинвали, 1957;. Д. Абаев, Экономическое развитие Юго-Осетии, ч. II, Социализм (1921-1940 гг.), Сталинири, 1956; Б. З. Плиев, Материально-техническая база коллективизации сельского хозяйства Южной Осетии (1922-1980 гг.), (ИЮОНИИ АН ГССР вып. 18), 1974.

[29] შ. შველიძე, საქართველოს გლეხობა სოფლის მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაციის მომზადების პერიოდში (1926—1929 წწ.), თბ., 1975; ი. ჩიქავა, საქართველოს გლეხობის სოციალისტური აღზრდა, თბ., 1979; რ. კოჭლამაზაშვილი, საქართველოს გლეხურ მეურნეობათა სოციალურ-ეკონომიური ხასიათი (1921—1929 წწ.), 1975; მისივე, საქართველოს გლეხთა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ერთიერთობის ისტორიიდან (1930—1937. წწ), თბ., 1980.

[30] ე. ქვათაძე, საქართველოს სოფლის მოსახლეობის სოციალური სტრუქტურა განვითარებული სოციალიზმის პერიოდში, თბ., 1976.

კი მრავალდარგოვანი სოციალისტური კულტურის პრობლემებს. ისტორიკოსთა ამ მოღვაწეობას როდი აქვს თვითმიზნური და მხოლოდ შემეცნებითი დანიშნულება, იგი, უწინარეს ყოვლისა, უაღრესად ეფექტური ღონისძიებად გვევლინება კომუნიზმის მშენებლობის ერთ-ერთი ძირითადი პირობის — ახალი ადამიანის ფორმირებაში, მის იდეურ-პოლიტიკურსა და მხატვრულ-ესთეტიკურ აღზრდაში. ამიტომ შემთხვევითი არ არის, კულტურის ისტორიის მეცნიერულ კვლევაში, ერთ-ერთ არსებით პრობლემად რომ ისახება კულტურული რევოლუციის მომზადების, გატარებისა და შემდგომი განვითარების საკითხები.

საქართველოში, შეიძლება ითქვას, შედარებით კარგადაა შესწავლილი ქართულ, აფხაზურ და ოსურ ეროვნულ კულტურათა ისტორია, განსაკუთრებით საბჭოთა ხელისუფლების წლებში მათი განვითარებისა და სრულყოფის ისტორია.

კულტურის ცალკეული დარგები — ლიტერატურა, ხელოვნება და სახალხო განათლება თავის მხრივ მოიცავენ ისეთ დარგებს როგორიცაა: პოეზია, პროზა, დრამატურგია, თეატრი, კინემატოგრაფია, მუსიკა, მხატვრობა, სკულპტურა, დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი განათლება, მეცნიერება, პრესა, ტელე და რადიომაუწყებლობა, კულტგანმანათლებლობა და სხვ. ყველა ამ დარგის ისტორიას თავისი სპეციალისტი ისტორიკოს-მკვლევარი ჰყავს, რომელიც იკვლევს ამა თუ იმ დარგის სპეციფიკას, ძირითადად მისი მხატვრულ-შემოქმედებითი მეთოდის განვითარების ისტორიას, მხატვრულ-ესთეტიკური სრულყოფის მდგომარეობას და ა. შ. სამოქალაქო ისტორიის მკვლევარი, სწავლობს რა კულტურის ისტორიას, ძირითადად იკვლევს კულტურის განვითარებაში სოციალური გარემოს და იდეოლოგიის განმსაზღვრელ როლს, კულტურის ამა თუ იმ დარგის იდეურ-პოლიტიკური განვითარების გავლენას მასების სოციალისტური სულისკვეთებით აღზრდაზე, ახალგაზრდობის მხატვრულ-ესთეტიკურ აღზრდაზე და ა. შ. აი, სწორედ ძირითადად ასეთ ამოცანებს ისახავენ სამოქალაქო ისტორიის მკვლევრები, როდესაც ხელს ჰკიდებენ საერთოდ კულტურის, კერძოდ, მისი ამა თუ იმ დარგის ისტორიის შესწავლას.

ქართული, აფხაზური და ოსური ეროვნული კულტურის პრობლემისადმი მიძღვნილ შრომებში განხილულია საბჭოთა საქართველოში, აფხაზეთსა და სამხრეთ-ოსეთში კულტურული მშენებლობის ძირითადი საკითხები, წარმოჩენილია ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის ჩასახვა-განვითარების ისტორიული წინამძღვრები, ეროვნულ კულტურათა ურთიერთგავლენისა და ურთიერთგამდიდრების მიმდინარე პროცესების ხასიათი და ინტენსივობა, მისი როლი სოციალისტური ერების დაახლოებისა და მეგობრობის შემდგომი განმტკიცება-განვითარებისათვის და ა. შ.

ქართული ეროვნული კულტურის ისტორიის ზოგადი სურათია წარმოჩენილი დ. მაისურაძის ნაშრომში „საბჭოთა საქართველოს კულტურა", რომელიც გამოვიდა რუსულ ენაზე 1965 წელს. აქვე უნდა აღინიშნოს ზ. ბაბუნაშვილის ნაშრომი „ქართული საბჭოთა კულტურა ნახევარი საუკუნის მანძილზე" (1972). ქართული სოციალისტური კულტურისათვის ბრძოლის პირველი პერიოდი გაშუქებულია დ. სტურუას ნაშრომში[31]. აფხაზეთში კულტურული მშენებლობის

[31] Д. Г. Стуруа, За грузинскую социалистическую культуру, Тб., 1970.

საკითხები განხილულია ა. კუპრავას, ა. ადლეიბასა და სხვ. შრომებში[32]. სამხრეთ-ოსეთში სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში კულტურული მშენებლობის საკითხები განხილული აქვთ ბ. პლიევს, ვ. ალბოროვსა და ე. ჯიოევას თავიანთ შრომებში[33]. საქართველოში წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისათვის ბრძოლის ისტორიას სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა თ. კაპანაძემ[34]. რესპუბლიკაში კულტურულ-საგანმანათლებლო მოღვაწეობის ისტორიას სოლიდური გამოკვლევა მიუძღვნა ფ. ყურაშვილმა[35].

ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური კულტურის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში, ახალი ადამიანის ფორმირებაში დიდი მნიშვნელობის ფაქტორია კულტურული რევოლუცია, რომელიც ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციასა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციასთან ერთად გადამწყვეტი ღონისძიებაა სოციალისტური მშენებლობის ლენინური გეგმის განხორციელებაში. ამან განაპირობა შედარებით ის დიდი ყურადღება, რომელიც გამოიჩინეს საქართველოს ისტორიკოსებმა რესპუბლიკაში კულტურული რევოლუციის ისტორიისადმი. აქ, პირველ რიგში, აღსანიშნავია ც. კალანდაძის ნაშრომი „კულტურული რევოლუცია საქართველოში", რომელიც გამოვიდა 1959 წელს. იგი ერთადერთი გამოკვლევაა, სადაც შედარებით სრულად და ამომწურავადაა განხილული რესპუბლიკაში კულტურული რევოლუციის განხორციელების გზები და მეთოდები, მისი ეტაპები და თავისებურებანი. ც. კალანდაძის ნაშრომში კულტურული რევოლუციის ისტორია განხილულია რესპუბლიკაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ ძვრებთან კავშირში. საქართველოში კულტურული რევოლუციის პირველ ეტაპად თელის პერიოდს 1921 წლიდან 1937 წლამდე, როდესაც კულტურულმა რევოლუციამ მოიპოვა გადამწყვეტი წარმატება ეროვნული კულტურის ყველა უბანზე.

კულტურული რევოლუციის საკითხები 1921-1925 წლებში კულტურული მშენებლობის ისტორიასთან დაკავშირებით განხილული აქვს ზ. ბაბუნაშვილს[6], ხოლო სოციალიზმის ეპოქაში კულტურული მშენებლობის რიგი თეორიული და ისტორიული პრობლემა გააშუქა დ. ჩხიკვიშვილმა თავის შრომებში[37]. აქ დახასიათებულია კულტურული რევოლუციის სოციალური და მატერიალური

---

[32] А. Э. Куправа, Из истории культурного строительства в Советской Абхазии, Сухуми, 1961; его же, Культурное строительство в абхазской деревне (1921-1929 гг.), Сухуми, 1973; А. К. Адлейба, К истории культурного строительства в Абхазии, Сухуми. 1961.

[33] Б. З. Плиев, О культурном строительстве в Юго-Осетии, 1921-1925 гг. (ИЮО НИИ АН ГССР, вып. 10), 1960; В. З. Алборов, К вопросу о культурном строительстве в Юго-Осетии, (1929-1941 гг.), ТСГПИ, 1965, № 256; Е. А. Джиоева, Борьба за ликвидацию культурной отсталости трудящихся Южной Осетии в 1921-1932 гг., Цхинвали, 1973.

[34] Т. Капанадзе, Ликвидация неграмотности в Советской Грузии в 1921-1937 гг., (автореферат к. д.), Тб., 1972.

[35] ფ. ყურაშვილი, საბიბლიოთეკო საქმის განვითარება საბჭოთა საქართველოში (1921-1974 წწ.), თბ., 1976; მისივე, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის განვითარება საბჭოთა საქართველოში, თბ., 1978.

[36] ზ. ბაბუნაშვილი, კულტურული რევოლუცია საქართველოში, თბ., 1963.

[37] დ. ჩხიკვიშვილი, სოციალისტური კულტურის ეროვნული ფორმის შესახებ, თბ., 1955; მისივე, სოციალიზმი და ეროვნული კულტურის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1964; მისივე, კულტურა და ხალხი, თბ., 1970.

წანამძღვრები, მისი მიზნები და ამოცანები, წარმოჩენილია კულტურული რევოლუციის შედეგები საბჭოთა ხალხის სულიერ გარდაქმნაში. ამასთან აღსანიშნავია, რომ ქართული სოციალისტური კულტურის წარმოქმნისა და განვითარების რიგი საკითხი განხილულია მოძმე საბჭოთა ხალხების კულტურასთან კავშირში. კულტურული რევოლუციის როლი ქართული სოციალისტური ერის ფორმირებაში კარგადაა ნაჩვენები გ. ბრეგაძის ნაშრომში „ქართველი სოციალისტური ერის ისტორიისათვის", რომელიც გამოვიდა 1959 წელს.

აჭარაში კულტურული რევოლუციის ისტორიას სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა დ. დიასამიძემ — „ბრძოლა კულტურული რევოლუციის ლენინური იდეის განხორციელებისათვის აჭარაში (1921-1937 წწ.)", რომელიც გამოვიდა 1964 წელს. ავტორმა კარგად წარმოაჩინა კულტურული რევოლუციის განხორციელებისათვის ბრძოლის ისტორია და შედეგები.

საქართველოში კულტურული მშენებლობის ერთ-ერთ უბანზე — საბჭოთა სკოლაში — კულტურული რევოლუციის განხორციელებისათვის ბრძოლის ისტორია, მისი **განხორციელების შედეგების** მნიშვნელობა მოსწავლე ახალგაზრდობის სოციალისტური აღზრდისათვის წარმოაჩინა გ. დარცმელიამ თავის მონოგრაფიაში[38]. აქ ავტორი აშუქებს კულტურული რევოლუციის ლენინურ იდეას, მის ადგილსა და როლს სოციალისტური საზოგადოების აშენების ლენინურ გეგმაში. განხილული აქვს კულტურული რევოლუციის ძირითადი ამოცანები საერთოდ და, განსაკუთრებით, სახალხო განათლების სისტემაში, ახალგაზრდობის სოციალისტურ აღზრდაში.

ქართულ ისტორიოგრაფიაში, კერძოდ ვ. სულაძის, მ. ბინიაშვილისა და სხვ. შრომებში[39] გაშუქებულია სოციალისტური კულტურის ზოგად თეორიული პრობლემები, კერძოდ, ვ. ი. ლენინის შეხედულებანი სოციალისტური კულტურისა და ინტელიგენციის შესახებ, ნაჩვენებია ვ. ი. ლენინის როლი ახალი, სოციალისტური კულტურის მშენებლობაში და ბოლოს, ქართული საბჭოთა კულტურისა და ახალი ინტელიგენციის ფორმირების წარმატებანი.

ქართული საბჭოთა ინტელიგენციის ფორმირებისა და განვითარების ისტორიის შესწავლას პირველმა მოკიდა ხელი ვ. სულაძემ[40]. მან მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა შრომების მომარჯვებით მეცნიერულად ახსნა ქართველი საბჭოთა ინტელიგენციის ფორმირებისა და განვითარების სოციალურ-პოლიტიკური წანამძღვრები. კარგად წარმოაჩინა მისი მტკიცე და განუყრელი კავშირი მუშათა კლასსა და მშრომელ გლეხობასთან, ამასთანავე გვიჩვენა საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლი ქართული ეროვნული კულტურისა და საბჭოთა ინტელიგენციის ფორმირება-განვითარებაში.

უკანასკნელ პერიოდში ინტელიგენციის ისტორიის შესწავლა რამდენადმე ორგანიზებულად წარიმართა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საბჭოთა საქართველოს ისტორიის განყოფილებაში. ინსტიტუტის

---

[38] Г. Е. Дарцмелия, История воплощения ленинской идеи культурной революции в советской школе и социалистического воспитания молодежи в Грузии. Тб., 1978.

[39] ვ. სულაძე, სოციალისტური ინტელიგენციის შექმნა საქართველოში, თბ., 1972; ი. კაპარაძე, ვ. ი. ლენინი და სოციალისტური კულტურის პრობლემები. თბ., 1979; მ. ბინიაშვილი, სოციალისტური კულტურის ლენინური თეორია და თანამედროვეობა, თბ., 1971.

[40] ვ. სულაძე, სოციალისტური ინტელიგენციის შექმნა საქართველოში. თბ., 1972.

მეცნიერ თანამშრომელთა გეგმიურ მუშაობას სათანადო შედეგიც მოჰყვა: შეიქმნა ნაშრომი საწარმოო-ტექნიკური ინტელიგენციის ჩამოყალიბების შესახებ[41], აგრეთვე შეიქმნა ნარკვევები ინტელიგენციის შესახებ. ამრიგად, შესწავლილ იქნა ქართული ეროვნული კულტურისა და ახალი საბჭოთა ინტელიგენციის ფორმირება-განვითარების ისტორიის არაერთი პრობლემა. ამ დარგში კვლევის შედეგების პუბლიკაცია სისტემატურად ხდება თემატურ კრებულში „სოციალისტური კულტურისა და ინტელიგენციის ისტორიის ნარკვევები", რომლის ოთხი წიგნი (I—1976, II— 1977, III—1979, IV—1980 წელს) უკვე გამოვიდა. აქ დაიბეჭდა ლ. ბერიძის, მ. გველესიანის, ნ. ნადირაძის, ც. კალანდაძის, მ. კანტერეს, ი. კაჭარავას, დ. კეკელიძის, დ. მაისურაძის, ლ. ნადირაშვილის, მ. ნათმელაძის, ნ. სტურუას და სხვათა წერილები, რომლებშიც გადმოცემულია მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება ინტელიგენციისა და ეროვნული კულტურის შესახებ, ნაჩვენებია საქართველოს კომუნისტური პარტიის მოღვაწეობა რევოლუციამდელი ინტელიგენციის სოციალისტური აღზრდისა და ახალი, საბჭოთა ინტელიგენციის ჩამოყალიბებისათვის სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში. გარდა ამისა, განხილულია ცალკეული საკითხები ეროვნულ კულტურათა დაახლოებისა და ურთიერთგამდიდრების მიმდინარე პროცესების შესახებ და ა. შ. აქვე ნაჩვენებია მათი მნიშვნელობა სოციალისტური ერების დაახლოებისა და ხალხთა მეგობრობის შემდგომი განვითარება-განმტკიცებისათვის.

ეროვნული პრობლემისა და ეროვნულ ურთიერთობათა ისტორიის მეცნიერული კვლევა ყოველთვის ინტენსიურად სწარმოებდა საქართველოში, განსაკუთრებით გამახვილდა მკვლევართა ყურადღება ამ საკითხისადმი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ და განვითარებული სოციალიზმის ეპოქაში. ეროვნული პრობლემისა და ეროვნულ ურთიერთობათა ისტორიისადმი მიძღვნილ გამოკვლევებში გადმოცემულია მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება ეროვნული საკითხის შესახებ, ნაჩვენებია ეროვნული საკითხის ლენინური გადაჭრის ისტორიული მნიშვნელობა, ხალხთა მეგობრობის ისტორიის ცალკეული ეპიზოდები და მათი ისტორიული და სოციალურ-ეკონომიკური წანამძღვრები, შესწავლილია და განზოგადებული სახითაა გადმოცემული საქართველოში ეროვნული საკითხის ლენინური გადაწყვეტის ნახევარსაუკუნოვანი გამოცდილება. ნაჩვენებია საქართველოს სახალხო მეურნეობისა და კულტურის აღმავლობის ბაზაზე ქართული ბურჟუაზიული ერის ძირეული გარდაქმნა სოციალისტურ ერად და, ბოლოს, ლენინური ეროვნული პოლიტიკის ზეიმი საქართველოში[42].

დიდი მეცნიერული ინტერესი გამოიწვია ქართველი ხალხის ბურჟუაზიულ ერად, და შემდეგში მისი სოციალისტურ ერად ფორმირების ისტორიამ. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ ს. ჯანაშიამ წამოაყენა დებულება იმის შესახებ,

[41] М. Л. Гвелесиани, Формирование советской производственно-технической интеллигенции в Грузии в 1921-1932 гг. (автореферат к. д.) Тб., 1971.

[42] გ. ბ რ ე გ ა ძ ე, ქართველი სოციალისტური ერის ისტორიისათვის, თბ., 1954; მ ი ს ი ვ ე, საქართველოში ეროვნული საკითხის ლენინური გადაწყვეტის ისტორიული გამოცდილება, თბ., 1970; ე. ა ხ ო ბ ა ძ ე. ს. ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი, ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობა ბრძოლასა და შრომაში, თბ., 1961; ე. ჯ ი ქ ი ა, საბჭოთა პატრიოტიზმი და ხალხთა მეგობრობა საქართველოში (1921-1925 წწ.), თბ., 1964; ი. კ ა ჭ ა რ ა ვ ა, ლენინური ეროვნული პოლიტიკის ზეიმი, თბ., 1975; გ. თ ო ფ ო შ ვ ი ლ ი, საქართველოს სსრ ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან (1921-1941 წწ.), თბ., 1972 და სხვ.

რომ ქართველი ხალხის ერად ფორმირება ხანგრძლივი ისტორიული პროცესია, და რომ იგი მთავრდება XIX ს-ის მეორე ნახევარში, ე. ი. ქართველი ერის არსებობას ამათუ იმ ხარისხით ს. ჯანაშია გულისხმობდა წინაბურჟუაზიულ ეპოქაში. ამ სტრიქონების ავტორმა, გაიზიარა რა ეს თვალსაზრისი, წამოაყენა დებულება ფეოდალიზმის ეპოქაში ქართველი ხალხის ფეოდალურ ერად არსებობის შესახებ[43]. დაახლოებით ასეთსავე თვალსაზრისს ავითარებენ ამ საკითხზე ნ. ბერძენიშვილი, ა. აფაქიძე, პ. შარია და სხვები[44], ხოლო გ. მელიქიშვილმა, უარყო რა წინაბურჟუაზიულ ეპოქაში ერის არსებობის შესაძლებლობა, სცადა ქართველი ხალხის ერად ფორმირების ახლებური დასაბუთება[45].

ერის ცნების ცნობილ განსაზღვრებაში მეხუთე ნიშნის — სახელმწიფოებრივობის დამატებას დაუჭირა მხარი ა. სურგულაძემ[46], მაგრამ მკვლევართა უმრავლესობამ იგი, სამართლიანად, არ გაიზიარა. სახელმწიფოებრივობა ვერ გამოდგება ერის ნიშნად, რადგან მაშინ მთელი რიგი ხალხები უნდა მიგვეჩნია ეთნიკური განვითარების დაბალ საფეხურზე მყოფ ხალხებად იმის გამო, რომ ბევრ მათგანს არ გააჩნდა და არ გააჩნია თავიანთი ეროვნული სახელმწიფოებრივობა.

ქართველი, აფხაზი და ოსი ხალხების საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრივობის შექმნისა და განმტკიცების ისტორიას დიდი გულმოდგინებით იკვლევენ საქართველოს ისტორიკოსები. სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში ქართველი ხალხის საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრივობის შექმნის საკითხი გაშუქებულია ამ სტრიქონების ავტორის მიერ[47]. სოციალისტური მშენებლობის პერიოდში ქართველი ხალხის საბჭოთა ეროვნული სახელმწიფოებრივობის შექმნისა და განვითარების ისტორიას სპეციალური გამოკვლევა უძღვნეს ვ. მერკვილაძემ და ი. ფუტკარაძემ[48]. აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში რევკომების როლისა და ხასიათის შესახებ გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრება. ავტორთა ერთი ჯგუფი (ნ. სუმბაძე, გ. ერემოვი, ი. კაჭარავა და სხვ.) საქართველოში რევოლუციური კომიტეტების სისტემას განიხილავს, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის გარდამავალი ხასიათის სახელმწიფოებრივ ფორმას; ავტორთა მეორე ჯგუფი (ვ. მერკვილაძე, ი. ახალაია, ლ. თოიძე და სხვ.) რევკომების სისტემას არ მიიჩნევს პროლეტარიატის დიქტატურის სახელმწიფოებრივ ფორმად, მას თვლის პროლეტარიატის დიქტატურის მხოლოდ საგანგებო ორგანოდ.

ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში დიდი ყურადღება აქვს დათმობილი

---

[43] ი. კაჭარავა, ქართველი ხალხის ეროვნული კონსოლიდაციის ეტაპები, თბ., 1965.

[44] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ 2, გვ. 5-48; ა. აფაქიძე, („თეზისები", თბ., 1966; იხ. აგრეთვე „ორიონი", 1967, გვ. 90-96); პ. შარია, შოთა რუსთაველის მსოფლმხედველობისა და შემოქმედების ზოგიერთი ძირითადი საკითხი, თბ., 1976, გვ. 7.

[45] გ. მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1973, გვ. 107-132.

[46] ა. სურგულაძე, ერის ცნებისა და რევოლუციამდელ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეტაპების შესახებ, თბ., 1970.

[47] ი. კაჭარავა, საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში (1921-1925 წწ.), თბ., 1958.

[48] В. Н. Мерквиладзе, Создание и укрепление советской государственности в Грузии (1921-1936 гг.), Тб., 1969; ი. ფუტკარაძე, საქართველოს საბჭოთა სახელმწიფოებრივობის განვითარება, თბ., 1969.

რესპუბლიკაში ახალი სახელმწიფოებრივი წყობილების ჩამოყალიბების საკითხს. საკითხთა ამ რიგს მივაკუთნებთ რესპუბლიკის შიგნით ეროვნულ უმცირესობათა სახელმწიფოებრივი მოწყობის, ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციული გაერთიანების და საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკათა კავშირში საქართველოსა და ამიერკავკასიის შესვლის საკითხებს. ბ. საღარიამ სპეციალური გამოკვლევა მიუძღვნა აფხაზეთის ეროვნულ-სახელმწიფოებრივობის შექმნის ისტორიას. აქ დახასიათებულია აფხაზეთის სახელმწიფოებრივობის შექმნის და განვითარების ეტაპები და თავისებურებანი[49].

ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციული გაერთიანებისა და სსრ კავშირის შემადგენლობაში მისი შესვლის საკითხი ვრცლადაა გაშუქებული ქართულ ისტორიოგრაფიაში, რაც განზოგადებული სახით გადმოცემულია „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ VII ტომში (1976). საქართველოს ისტორიკოს-მკვლევართა დამსახურებაა ამიერკავკასიის ფედერაციული სახელმწიფოსა და სსრ კავშირის შექმნის წარმოჩენა როგორც ლენინური ეროვნული პოლიტიკის ძალისა და ცხოველმყოფელობის დადასტურება.

ახალი სახელმწიფოებრივი წყობილების მშენებლობაში ერთ-ერთი არსებითი საკითხია რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის საკითხი. ეს პრობლემა ამომწურავ გაშუქებას პოულობს ვ. ეზუგბაიას ნაშრომში[50]. აქ ავტორის მიერ საქართველოს სსრ ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის საკითხი განხილულია იმ დიდ ამოცანებთან კავშირში, რომლებიც იდგა რესპუბლიკის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის წინაშე ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის პერიოდში. ავტორის მიერ სამართლიანადაა გაკრიტიკებული საბჭოებისადმი ლიკვიდატორული დამოკიდებულება და საქართველოს მაგალითზე ნაჩვენებია საბჭოების დიდი როლი სოფლის სოციალისტურ გარდაქმნაში. განხილულია პარტიისა და ხელისუფლების რიგი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება საბჭოების როლის შემდგომი ამაღლებისათვის, ქვეყნის მართვა-გამგეობაში მშრომელთა ფართო მასების ჩაბმისათვის.

საბჭოთა საქართველოს ისტორიის ცალკეული პრობლემების შესახებ სამეცნიერო და სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის სტატიები 1962 წლიდან სისტემატურად ქვეყნდება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საბჭოთა საქართველოს ისტორიის განყოფილების თემატურ კრებულებში[51], აგრეთვე სხვადასხვა ისტორიულ და ისტორიულ-რევოლუციური პრობლემებისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებულებში[52].

---

[49] Б. Э. Сагария, Образование Абхазской СССР—торжество ленинской национальной политики КПСС, Сухуми, 1979.

[50] ვ. ეზუგბაია, საქართველოს სსრ ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა და საბჭოების როლის შემდგომი ამაღლება (1921-1932 წწ), თბ., 1973.

[51] „საბჭოთა კავშირის შექმნის 40 წელი“, I, 1962; „საბჭოთა საქართველოს ისტორიის საკითხები“, II, 1967; „საქართველოს უახლესი ისტორიის საკითხები, III, 1970; იგივე, IV, 1971; იგივე, V, 1972; იგივე, VI, 1972; იგივე, VII, 1973; იგივე, VIII, 1975; იგივე, IX 1976; იგივე, 1977; იგივე, XI, 1979; იგივე, XII, 1980. „საქართველოს სოციალისტური მრეწველობისა და მუშათა კლასის ისტორიიდან“, თბ., 1974; „ქართული საბჭოთა ინტელიგენციის ისტორიიდან“, თბ., 1974 და სხვ

[52] „სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება საქართველოში“, თბ., 1957; „საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომპარტიის 40 წელი“, თბ., 1961; „საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წელი“, თბ., 1972 და სხვ.

საქართველოს უახლესი ისტორიის ცალკეული პერიოდებისა და პრობლემების მეცნიერულმა შესწავლამ შესაძლებელი გახადა საქართველოს საბჭოთა პერიოდის ისტორიის შესახებ განმაზოგადებელ ნაშრომთა შექმნა. ნაშრომთა ამ რიგს შეიძლება განეკუთვნოს: 1. „საქართველოს ისტორია" (საშუალო სკოლის სახელმძღვანელო), რომელიც მთლიანი სახით პირველად 1958 წელს გამოქვეყნდა, 2. „საქართველოს ისტორია" (დამხმარე სახელმძღვანელო) მესამე ტომი, რომელიც მთლიანად საბჭოთა საქართველოს ისტორიას მიეძღვნა; 3. „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევების" მეორე ნაწილი, რომელიც გამოვიდა 1963 წელს; მასში მეცნიერულ ახსნას და გაშუქებას პოულობს საბჭოთა საქართველოს ისტორიის თითქმის ყველა საკვანძო პრობლემა; 4. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ 1967 წელს გამოცემული ა. კიკვიძის ზოგადი კურსი „საქართველოს ისტორია XIX-XX საუკუნეებში"; ნაწ. III, სადაც გადმოცემულია საქართველოს ისტორია დაწყებული 1917 წლიდან, ვიდრე 60-იანი წლების დასაწყისამდე; 5. კოლექტიური ნაშრომი „ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების ისტორიის ნარკვევები"-ს მეორე ტომი (1971); 6. „აფხაზეთის ასსრ ისტორიის ნარკვევების" მეორე ტომი (1964); 7. ვ. ქარჩავას 1966 წელს გამოსული ნაშრომი „აფხაზეთის ასსრ ომისშემდგომ პერიოდში (1945-1958 წწ.)" და სხვ.

ქართული ისტორიოგრაფია აგრეთვე წინ წასწიეს ისეთმა გამოკვლევებმა, რომლებიც მიეძღვნა პარტიული, პროფესიული და კომკავშირული ორგანიზაციების ისტორიას. პარტიული ორგანიზაციების ისტორიის ნარკვევებზე ზემოთ უკვე აღვნიშნეთ; უნდა დავასახელოთ კოლექტიური ნაშრომი „საქართველოს პროფესიული კავშირების ისტორიის ნარკვევები" (1972) და ცალკეულ ავტორთა უკანასკნელი წლების სამეცნიერო გამოკვლევები პროფკავშირული ორგანიზაციების ისტორიისადმი მიძღვნილი[53]. საქართველოს კომკავშირის ისტორიას გვაცნობს ჯ. ნინუას, გ. ჟვანიას, ვ. ქარუმიძისა და ნ. ჩახვაშვილის ნაშრომი „საქართველოს კომკავშირის სახელოვანი გზა (1917-1977 წწ.)", (თბ., 1977) და სხვ.

ქართულ ისტორიოგრაფიას საბჭოთა საქართველოს ისტორიის მეცნიერულ შესწავლაში დიდი სამსახური გაუწიეს ისტორიულ-პარტიული, ისტორიულ-იურიდიული, ისტორიულ-ეკონომიკური და ეკონომიკური ხასიათის სამეცნიერო შრომებმა; ამ მომიჯნავე მეცნიერებათა მიღწევებმა განაპირობეს ყველა წარმატება, რომელიც კი გაჩნია ქართულ ისტორიოგრაფიას საბჭოთა საქართველოს ისტორიის მეცნიერულ შესწავლაში. მათ შორის უმთავრეს მიღწევად გვესახება „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" რვატომეულის შექმნა, რომელთა შორის საბჭოთა საქართველოს ისტორიისადმი მიძღვნილია VII და VIII ტომები, რომლებიც დაწერილია ფართო ისტორიოგრაფიულ და წყაროთმცოდნეობით ბაზაზე დაყრდნობით. ავტორთა მიერ გამოყენებულია დიდძალი დოკუმენტები და მასალები, ესოდენ სათუთად და მდიდრად რომ შემოუნახავს სახელმწიფო საისტორიო და პარტიულ არქივებს თბილისში, მოსკოვში, ლენინგრადში, ბაქოში, ერევანში, ბათუმში, სოხუმსა და ცხინვალში.

---

[53] ნ. არდაშელია, აფხაზეთის პროფკავშირები, 1964; ი. შენგელაია, საქართველოს პროფკავშირთა ბრძოლა სახალხო მეურნეობის განვითარების მერვე ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის (1966-1970 წწ.), 1971.

მრავალმხრივი და დაძაბული შრომის შედეგად ავტორებმა შეძლეს დამაჯერებლად ეჩვენებინათ მშრომელთა თავდადებული ბრძოლის ისტორია რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრება-განმტკიცებისათვის, ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციისათვის, სოციალიზმის გამარჯვებისათვის, დიდ სამამულო ომში ქართველი, აფხაზი და ოსი ხალხების თავდადებული ბრძოლა ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვებისათვის, ომის შემდგომ პერიოდში სახალხო მეურნეობის აღდგენისა და მისი შემდგომი განვითარებისათვის, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობისათვის, ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური და ხასიათით ინტერნაციონალური კულტურის განვითარებისათვის, კომუნიზმის მშენებელი ახალი ადამიანის აღზრდის, მავნე ტრადიციებისა და ნეგატიური მოვლენების აღმოფხვრისათვის, პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელობის ლენინური ნორმების აღდგენა-დამკვიდრებისათვის, სკკპ უკანასკნელი ყრილობებისა და პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის და ა. შ.

ასეთია მოკლედ საბჭოთა საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლის თანამედროვე მდგომარეობა ქართულ ისტორიოგრაფიაში, რომელიც დაფუძნებულია მეცნიერული კვლევის მარქსისტულ მეთოდოლოგიაზე და ჭეშმარიტად პარტიულობის ლენინურ პრინციპებს ემყარება. ყოველივე ამის შედეგად „დიდი წარმატებებია მოპოვებული საქართველოს ისტორიის კვლევა-ძიების დარგში, — აღნიშნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა, აწ განსვენებულმა აკად. ი. ვეკუამ ჟურნალ „საქართველოს კომუნისტის“ კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში, — განსაკუთრებით კარგად არის გაშუქებული ვ. ი. ლენინის როლი საქართველოში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის შექმნა-განვითარებაში, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური პარტიების წინააღმდეგ ქართველი ბოლშევიკების ბრძოლაში, საქართველოსა და ამიერკავკასიაში მშრომელთა ინტერნაციონალური სოლიდარობის სულისკვეთებით აღზრდასა და საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებასა და სოციალისტურ მშენებლობაში.

ქართული ისტორიოგრაფია მდიდარია გამოკვლევებით უახლესი ისტორიის ისეთ პრობლემებზე, როგორიც არის ეროვნული საკითხის ისტორია, აგრარულ-გლეხური ურთიერთობის ისტორია, საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ისტორია, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის შექმნისა და განმტკიცების ისტორია და სხვ.

ქართველმა ისტორიკოსებმა სერიოზული ყურადღება მიაქციეს საქართველოს საბჭოთა პერიოდის ისტორიის შესწავლას. განსაკუთრებით საფუძვლიანად შესწავლილია საბჭოთა მუშათა კლასისა და სოციალისტური მრეწველობის ისტორია, სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის პრობლემები, სოციალისტური შრომის ფორმებისა და მეთოდების დანერგვისა და განვითარების ისტორია, სახალხო მეურნეობის აღდგენისა და ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის ისტორია, დიდ სამამულო ომში ქართველი ხალხის მონაწილეობის საკითხები და ომის შემდგომი პერიოდის ისტორია. ქართველი ისტორიკოსები ამჟამად ინტენსიურად სწავლობენ და აშუქებენ მიმდინარე საუკუნის 50-60-იანი წლების საქართველოს ისტორია[54], ამ მუშაობის მაღალე-

[54] ჟურნ. „საქართველოს კომუნისტი“, 1973, № 7, გვ. 69.

ფექტურობის თვალნათლივი მოწმობაა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების VII და VIII ტომები, რომლებიც მოიცავენ პერიოდს 1921 წლიდან, ვიდრე 1975 წლამდე ჩათვლით.

ამრიგად, ქართულ ისტორიოგრაფიაში შექმნილია მტკიცე მეცნიერული ბაზა, რომელიც ხელს უწყობს საბჭოთა საქართველოს ისტორიის საკვანძო პრობლემების შემდგომ გაღრმავებულ შესწავლას, საერთოდ კი, ისტორიული კვლევა-ძიების კიდევ უფრო ფართოდ გაშლასა და მეცნიერული ისტორიული აზრის განვითარებას. ძირითადად მიღწეულია კიდევ ერთი, მთავარი მიზანი. საბჭოთა საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლის თანამედროვე დონე საშუალებას აძლევს საბჭოთა საზოგადოებას — მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას და, რაც მთავარია, ჩვენს ახალგაზრდობას, რომელსაც უყვარს და აინტერესებს თავისი ქვეყნის ისტორია, უფრო ფართოდ გაიცნოს, უკეთ გაიგოს და შეისწავლოს მისი თანამედროვეობა და ახლო წარსული და ამით კიდევ უფრო აქტიურად ემსახუროს სამშობლოს მომავალს[55] — ახალი, კომუნიზმის მშენებელი ადამიანის აღზრდას, ხალხთა მეგობრობისა და ინტერნაციონალური სოლიდარობის შემდგომ განმტკიცებას, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობას.

[55] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, თბ., 1976, გვ. 57—58; საქართველოს უახლესი ისტორიის კვლევის ორგანიზაცია, შედეგები და ამოცანები, თბ., 1979.

ნიკოლოზ მახარაძე, ვალერიან ჯიქია

საქართველოში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული და სოციალისტური რევოლუციების ისტორიოგრაფია (1895 — 1921 წწ.)

ამ პერიოდს, რომელიც საქართველოს ისტორიის მეოთხედ საუკუნეს შეიცავს, მრავალი მნიშვნელოვანი სოციალური მოვლენა ახასიათებს. ის სამი რევოლუციის ეპოქაა.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან, როგორც ცნობილია, იწყება რევოლუციური მოძრაობის პროლეტარული პერიოდი და საზოგადოებრივი განვითარების ძირითად წამყვან ძალად მუშათა კლასი გვევლინება.

საქართველოს მუშათა კლასი წარმოიშვა და განვითარდა, როგორც რუსეთის მუშათა კლასის შემადგენელი ნაწილი, მისი ერთ-ერთი მოწინავე მებრძოლი რაზმი.

საქართველოს მუშათა კლასის ისტორიის შესწავლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პირველივე დღიდან ფართო ხასიათს იღებს.

ამ საკითხის დამუშავება, ისე როგორც სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ყველა სხვა საკითხის გაშუქება, წარიმართა მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების საფუძველზე და განვლილი პერიოდის განმავლობაში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია.

XIX ს-ის 90-იანი წლების საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორიის შესასწავლად დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენს ვ. ი. ლენინის შრომები. ვ. ი. ლენინის და მისი თანამებრძოლების შრომებს აქვს როგორც მეთოდოლოგიური მნიშვნელობა, ისე მათში მოცემულია საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის მნიშვნელოვანი საკვანძო პრობლემების ნათელი დახასიათება.

საქართველოში მარქსისტული ორგანიზაციების შექმნასთან დაკავშირებით 90-იან წლებში არალეგალურად ვრცელდებოდა მარქსისტული ლიტერატურა — კ. მარქსის, ფ. ენგელსის, გ. პლეხანოვისა და ვ. ი. ლენინის ცალკეული შრომები.

ფართო გამოხმაურება პოვა საქართველოს მარქსისტ-ლენინელებში ვ. ი. ლენინის შრომებმა. როგორიცაა „განმარტება კანონისა ჯარიმების შესახებ", „სოფლის ღარიბებს" და სხვ. საქართველოში ვ. ი. ლენინის შრომების გავრცელების საკითხი ვრცლად გაშუქებულია ჩვენს ლიტერატურაში.

საქართველოში მარქსიზმის გავრცელების, რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების შექმნა-განმტკიცების, ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური ისტორიის შესწავლის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ვ. ი. ლენინის თანამებრძოლებმა ი. სტალინმა, ლ. კეცხოველმა, ა. წულუკიძემ, ფ. მახარაძემ და სხვებმა.

საქართველოში, ისე როგორც სხვა ქვეყნებში, სადაც ფეხს იკიდებდა, მაგრამ ჯერ კიდევ არ იყო საკმაოდ განვითარებული კაპიტალიზმი, მარქსიზმისა და მეცნიერული სოციალიზმის მოძღვრების გავრცელებას წინ უძღოდა უტოპიური სოციალიზმის პერიოდი.

საქართველოში ნაროდნიკობის დაშლას, მარქსიზმისა და სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ჩასახვა-განვითარებას აშუქებენ თავიანთ შრომებში — ე. მახარაძე, ს. ხუნდაძე, პ. გუგუშვილი, ლ. გორგილაძე, ნ. სტურუა და სხვები[1].

ქართული საზოგადოებრივი აზრის მკვლევარი ს. ხუნდაძე თავის კაპიტალურ შრომაში — „სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში" (თბ., 1927 წ.), რომელიც ორი ტომისაგან შედგება, განიხილავს ნაროდნიკობის დაშლას და მარქსისტული მოძრაობის დაწყების პერიოდს.

ს. ხუნდაძის ნაშრომი ქართული საზოგადოებრივი აზრის საფუძვლიანი განხილვის პირველი ცდაა საქართველოს ისტორიის ამ უაღრესად რთულ პერიოდში, როცა საფუძველი ეყრებოდა მასობრივ რევოლუციურ მოძრაობას და ისახებოდა ნაროდნიკობიდან მარქსისტულ მოძრაობაზე გადასვლა.

ს. ხუნდაძის დასახელებული ნაშრომი შეიცავს სადაო დებულებებსაც, მაგრამ უდავოა, რომ მკვლევარმა ღირსეული წვლილი შეიტანა პრობლემის მეცნიერული გაშუქების საქმეში.

ამავე საკითხებს ეხება პ. გუგუშვილი ნაშრომში — „კარლ მარქსი ქართულ პუბლიცისტიკასა და საზოგადოებრიობაში 1898 წლამდე".

ლ. გორგილაძის მონოგრაფიაში — „ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან" (თბ., 1961 წ.)—და სხვა შრომებში გარკვეულია პრობლემის რიგი საკითხი და გაშუქებულია პირველი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წარმოშობისა და განვითარების ისტორია.

აღნიშნული პრობლემის საფუძვლიანი გაშუქება მოცემულია „საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევების (1883 — 1921 წწ.)" პირველ ნაწილში (1957 წ.). ამ წიგნის პირველი თავი — „მარქსიზმის გავრცელება და პირველი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებს შექმნა საქართველოში (1883 — 1900 წწ.)" — ეკუთვნის ნ. მახარაძეს, ხოლო მეორე თავი — „საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები ბოლშევიზმის წარმოშობის პერიოდში (1901 — 1904 წწ.)" — გ. ჯვანიას და კ. ივანიძეს.

საქართველოსა და ამიერკავკასიაში მარქსიზმის გავრცელების, ბოლშევიკური ორგანიზაციების ჩასახვა-განვითარების საკითხები გაშუქებულია აგრეთვე კოლექტიურ ნაშრომში — «Очерки истории коммунистических организаций Закавказья», ნაწილი პირველი (1967). ეს პრობლემა და ვ. ი. ლენინის როლი საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების საქმიანობაში ფართოდაა განხილული ვ. ესაიაშვილის მონოგრაფიაში — „ვ.ი.ლენინი და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები (1895—1924 წწ.) (თბ., 1959).

---

[1] Ф. И. Махарадзе, Грузия в XIX веке, Тиф., 1933; მისივე, საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა XIX საუკუნეში (თხზ., ტ. 8, 1932); ს. ხუნდაძე, სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში", ტ. 1—2, თბ., 1927—1929; პ. გუგუშვილი, კარლ მარქსი ქართული პუბლიცისტიკასა და საზოგადოებრიობაში 1898 წლამდე, თბ., 1971; ლ. გორგილაძე, მარქსიზმის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1957; მისივე, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, თბ., 1961; Н. И. Стуруа, Из истории борьбы за создание и упрочение большевистских организаций Закавказья, Тб., 1956.

მარქსიზმის გავრცელებისა და ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების ამ პერიოდის ისტორიას აშუქებს გ. ზაქარიაძე[2]. იგი განიხილავს საქართველოში ლენინიზმის დამკვიდრებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობად ჩამოყალიბების პროცესს და ქართველ ლენინელთა ბრძოლას ანტიმარქსისტულ მიმდინარეობათა წინააღმდეგ.

ამრიგად, საქართველოში მარქსიზმის გავრცელების შესახებ შექმნილია ვრცელი და საინტერესო ლიტერატურა, რომელიც საფუძვლიანად არკვევს ამ მოძრაობის არსსა და განვითარების ისტორიას.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი დიდმნიშვნელოვანი საკითხის გარშემო მკვლევართა შორის ჯერ კიდევ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, ეს შეეხება პირველ ყოვლისა პირველ სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას — „მესამე დასს“.

ადრე ლიტერატურაში მიღებული იყო აზრი, რომ აღნიშნული ორგანიზაცია შეიცავდა ორ მიმდინარეობას — რევოლუციურ-მარქსისტულს (მ. ცხაკაია, ლ. კეცხოველი, ფ. მახარაძე, ა. წულუკიძე, ი. სტალინი და სხვები) და ოპოოტუნისტულს (ნ. ჟორდანია, ს. ჯიბლაძე, ი. რამიშვილი და სხვები).

უკანასკნელ დროს ეს საკითხი დავას იწვევს. მკვლევართა ერთი ნაწილი არ ეთანხმება ზემოთ მოტანილ დებულებას და ფიქრობს, რომ „მესამე დასი“ იდეურად ერთიანი იყო და მის შიგნით არსებითი მნიშვნელობის რაიმე უთანხმოებას ადგილი არ ჰქონია.

აღსანიშნავია, რომ ამ საკითხმა ერთ დროს მიიპყრო ყურადღება მენშევიკური ემიგრაციის ნაშთებისა, რომლებიც ამაოდ შეეცადნენ ეს ორგანიზაცია თავის იდეურ წინაპრად გამოეცხადებინათ.

საქართველოში მარქსიზმის გავრცელება და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წარმოშობა მჭიდროდაა დაკავშირებული მუშათა გაშოსვლებთან, რომლებიც ფართო ხასიათს იღებს 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან და რუსეთის მუშათა მრძოლის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს.

მუშათა და გლეხთა მოძრაობის წარმოშობისა და განვითარების ისტორიას, მუშათა კლასის შემადგენლობისა და მდგომარეობის საკითხებს მიეძღვნა ფ. მახარაძის, ქ. კვანტრეს, გ. ხაჭაპურიძის, ა. კიკვიძის, ნ. ჩახვაშვილის, ე. ხოშტარიას, გ. მარგიანის, ვ. ჯიქიას და სხვ. ნაშრომები[3].

აღნიშნული ავტორები და სხვა მკვლევრები მუშათა მოძრაობას სამართლიანად განიხილავენ საქართველოში მრეწველობის მდგომარეობასთან კავშირში.

---

[2] გ. ზ ა ქ ა რ ი ა ძ ე, ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის განვითარების ლენინური ეტაპი, თბ., 1974.

[3] Ф. И. М а х а р а д з е, Очерки революционного движения в Закавказье, Тиф., 1927; е г о ж е, История возникновения и развития рабочего движения в Грузии, Тиф., 1932; ქ. კ ვ ა ნ ტ რ ე, საქართველოს სამთამადნო მუშათა მოძრაობის ისტორია, თბ., 1926; გ. ხ ა ჭ ა პ უ რ ი ძ ე, საქართველოს მუშათა კლასი რუსეთის პირველ რევოლუციაში (ისტორიის ინსტ. შრ., ტ. 2. 1956); ა. კ ი კ ვ ი ძ ე, მუშათა მოძრაობის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1945; Н. А. Ч а х в а ш в и л и, Рабочее движение в Грузии (1870—1904 гг), Тб., 1958; ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა, მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX ს. საქართველოში, ნაწ. I—II, (თბ., 1966—1968 წწ.); გ. მ ა რ გ ი ა ნ ი, საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი 1864—1917 წწ., თბ., 1976; ვ. ჯ ი ქ ი ა, საქართველოს მუშათა კლასის ისტორიიდან (1900—1914 წწ), თბ., 1973 და სხვები.

ქართველმა მკვლევრებმა (პ. გუგუშვილმა, გ. ბაქრაძემ, ნ. ტყეშელაშვილმა, ი. მირცხულავამ, ა. ბენდიანიშვილმა და სხვ. რიგი საინტერესო ნაშრომი მიუძღვნეს საქართველოს სახალხო მეურნეობის, განსაკუთრებით მრეწველობის და სოფლის მეურნეობის მდგომარეობის გაშუქებას. ამათგან შედარებით კარგადაა შესწავლილი საქართველოს მრეწველობის ისეთი მნიშვნელოვანი დარგები, როგორიცაა რკინიგზის მთავარი სახელოსნოები[4] და სამთამადნო მრეწველობა[5].

ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში შედარებით ვრცლადაა გაშუქებული ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ვითარება, რევოლუციის მამოძრავებელი ძალები და სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების როლი რევოლუციურ მოძრაობაში რუსეთის პირველი რევოლუციის წინ. მათში ნაჩვენებია, რომ ამ დროს საქართველოსა და ამიერკავკასიაში ჩამოყალიბდა მძლავრი რევოლუციური სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, რომლებსაც აერთიანებდა და სათავეში ედგა რსდმპ კავკასიის კავშირი. ამ ორგანიზაციების მოღვაწეობა მეტ-ნაკლებად ამომწურავ გაშუქებას პოულობს ნ. სტურუას, პ. თავხელიძის და სხვათა შრომებში[6]. საქართველოს ისტორიის ამ პერიოდის ისტორიოგრაფია სათანადოდაა განხილული ქართულ ისტორიულ ლიტერატურაში[7]. კერძოდ, განხილულია ქართული რევოლუციური-დემოკრატიული ისტორიული აზრის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორია, კრიტიკულადაა გარჩეული XIX ს-ის დასასრულისა და XX ს-ის დასაწყისის იდეური მიმდინარეობანი, ნაჩვენებია ქართულ მარქსისტულ-ლენინურ ინსტორიოგრაფიაში საქართველოს XIX და XX საუკუნის დასაწყისის ისტორიის გაშუქების თანამედროვე მდგომარეობა და ა. შ. ნაწილობრივ შესწავლილია ისტორიული მეცნიერების მეთოდოლოგიური საკითხები[8], აგრეთვე კ. მარქსისა და ფ. ენგელსის შეხედულებანი საქართველოს შესახებ[9].

*
* *

რევოლუციური მოძრაობა საქართველოში არის რუსეთის რევოლუციის ორგანული და განუყოფელი ნაწილი. ამასთანავე მას რევოლუციის საერთო ნიშნებთან ერთად მნიშვნელოვანი საინტერესო თავისებურება ახასიათებს. იგი განპირობებული იყო ქვეყნის ისტორიულ და ეკონომიკური განვითარებით, რაც საკმაოდ სრულად და დამაჯერებლად ასახულია საბჭოთა ისტორიულ ლიტერატურაში.

---

[4] გ. ბ რ ე გ ა ძ ე, ი. კ ა ჭ ა რ ა ვ ა, მ. ც ე რ ც ვ ა ძ ე, თბილისის ორთქმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშათა რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან, თბ., 1955.

[5] გ. მ ა რ გ ი ა ნ ი, სამთამადნო მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი საქართველოში 1879—1921 წწ. “, თბ., 1968.

[6] Н. И. С т у р у а, Тбилиси накануне первой русской революции («Революционное прошлое Тбилиси», Тб., 1964); პ. თ ა ვ ხ ე ლ ი ძ ე, ვ. ი. ლენინი და რსდმპ კავკასიის კავშირი, თბ., 1969.

[7] ი. კ ა ჭ ა რ ა ვ ა, ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები, თბ., 1962.

[8] ი. კ ა ჭ ა რ ა ვ ა, ვ. ი. ლენინი ისტორიული მეცნიერების შესახებ, თბ., 1974.

[9] ი. კ ა ჭ ა რ ა ვ ა, კ. მარქსი და ფრ. ენგელსი საქართველოს შესახებ, თბ., 1969.

რევოლუციის მსვლელობამ საქართველოში, როგორც ცნობილია, მთელი რუსეთის და მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობის ყურადღება მიიპყრო, ცნობები მის შესახებ შორს გასცდა ჩვენი ქვეყნის საზღვრებსა და საზღვარგარეთის პრესისა და ფართო საზოგადოების დიდი ინტერესი გამოიწვია.

ქართველ ისტორიკოსთა შრომები, რომლებიც მიეძღვნა 1905 — 1907 წლების რევოლუციას, დაწერილია ვ. ი. ლენინის შრომების საფუძველზე და დამაჯერებლად უჩვენებენ, რომ ვ. ი. ლენინს საქართველოსა და ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები მიაჩნდა ჩვენი პარტიის ერთ-ერთ ყველაზე მებრძოლ ორგანიზაციებად.

პრობლემის გარშემო არსებული შრომებიდან უნდა აღინიშნოს ფ. მახარაძის ვრცელი მონოგრაფიები. „1905 წელი ამიერკავკასიაში“ და „ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის ნარკვევები“ (თბ., 1927). ფ. მახარაძის ამ ნაშრომებში გაშუქებულია რუსეთის პირველი რევოლუციის მომზადებისა და გატარების, აგრარული საკითხის გამწვავების, მუშებისა და გლეხების რევოლუციური მოძრაობის ზრდის, ბოლშევიკური ორგანიზაციების მოღვაწეობის შედარებით სრული და ამომწურავი ისტორია.

რევოლუციის ისტორიის შესწავლაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გ. ხაჭაპურიძემ. ის თავის შრომებში, რომლებიც მიეძღვნა რუსეთის პირველი რევოლუციის 50 წლისთავს, აშუქებს რევოლუციის სხვადასხვა საკითხს. ამ შრომებიდან განსაკუთრებით საინტერესოა 1905 — 1907 წლების რევოლუცია საქართველოში“ (1955 წ.).

ამ რევოლუციის ისტორიის შესწავლას მიეძღვნა აგრეთვე ი. ხუციშვილის, გ. ჯამბურიას, ვ. საბახტარიშვილის, ი. კაჭარავას ი. მირცხულავას და სხვათა შრომები[10].

ამ ნაშრომებში გაშუქებულია რუსეთის პირველი რევოლუციის მიმდინარეობა, მუშათა კლასისა და გლეხობის პოლიტიკური კავშირის შექმნა საქართველოში. საქართველოს მშრომელთა ბრძოლის მტკიცე კავშირი რუსეთის სხვა რაიონების მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციურ ბრძოლებთან.

რუსეთის პირველი რევოლუციის 70 წლისთავს მიეძღვნა რიგი ნაშრომები, სადაც გაშუქებულია ვ. ი. ლენინისა და საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების ხელმძღვანელი როლი მშრომელთა რევოლუციურ ბრძოლაში; ნაჩვენებია საქართველოს გლეხთა მოძრაობის თავისებურებანი, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ჩამოყალიბება, გლეხთა რევოლუციური მოძრაობის ფორმები და მეთოდები.

რუსეთის პირველი რევოლუციის საკითხები ფართო შესწავლის საგანი გახდა აღტონომიურ ერთეულებში. ამ მხრივ საყურადღებოა ავტორთა კოლექტივის ნაშრომი «Очерки истории Абхазской АССР» (1961), ამ განმაზოგადებელ ნაშრომში გაშუქებულია აფხაზეთის XXს-ის ისტორია 1921 წლამდე, დიდი ადგილი აქვს დათმობილი 1905-1907 წლების რევოლუციის ისტორიას.

[10] ი. ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი, 1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში, თბ., 1955; გ. ჯ ა მ ბ უ რ ი ა, გლეხთა რევოლუციური კომიტეტები 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში, თბ., 1957; ვ. ს ა ბ ა ხ ტ ა რ ი შ ვ ი ლ ი, გლეხთა რევოლუციური მოძრაობა დასავლეთ საქართველოში 1905—1907 წლებში, თბ., 1959; ი. კ ა ჭ ა რ ა ვ ა, სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებული პირობები და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის თავისებურებანი საქართველოში, თბ., 1959; ი. მ ი რ ც ხ უ ლ ა ვ ა, აგრარულ-გლეხური საკითხი საქართველოში (1900—1917 წწ.)“, თბ., 1964.

აჭარაში მშრომელი მასების რევოლუციურ ბრძოლას აშუქებენ ხ. ახვლედიანის, პ. ცქვიტარიას, ვ. სიჭინავას და სხვა ავტორთა შრომები.

სამხრეთ ოსეთში 1905 — 1907 წლების რევოლუციას მიუძღვნეს ნაშრომები ს. ბეკოევამ, ნ. ცხოვრებოვმა და სხვ.[11]. აღნიშნულ ნაშრომებში მრავალი ფაქტობრივი მასალის საფუძველზე განხილულია მუშებისა და გლეხების ცხოვრების პირობები, კლასობრივი წინააღმდეგობის გამწვავება, საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელი როლი მშრომელთა რევოლუციურ ბრძოლაში და სხვა საკითხები.

რევოლუციის ძალებს საქართველოში, ისე როგორც მთელ კავკასიაში, სათავეში ედგა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის კავკასიის კავშირის კომიტეტი, რომელიც არჩეულ იქნა 1903 წლის მარტში რსდმპ კავკასიის კავშირის I კონფერენციაზე.

კავკასიის კავშირის კომიტეტი, რომლის დიდ უმრავლესობას ბოლშევიკები შეადგენდნენ, განუხრელად ემხრობოდა რევოლუციის ხელმძღვანელობის ლენინურ ხაზს, რამაც ხელი შეუწყო რევოლუციური ბრძოლის ფართო გაქანებას საქართველოსა და ამიერკავკასიაში.

რსდმპ კავკასიის კავშირის დიდი და მრავალმხრივი მოღვაწეობა კარგად აისახა მის ლიტერატურულ მემკვიდრეობაში, რომლის დიდი ნაწილი შესწავლილი და გამოცემულიცაა, ამათგან ყურადღებას იპყრობს — რსდმპ კავკასიის კავშირის პროკლამაციების და ფურცლების ორი კრებული ქართულ და რუსულ ენებზე (თბ., 1955).

აღსანიშნავია, რომ მდიდარი შინაარსის გარდა, რომელიც კარგად ასახავს ამ შესანიშნავი რევოლუციური ორგანიზაციის გიგანტურ მუშაობას, რევოლუციის ძალების დარაზმვის საქმეში განსაკუთრებული როლი შეასრულა ბოლშევიკურმა გაზეთებმა — „დრო“, „ახალი ცხოვრება“, „ჩვენი ცხოვრება“ და სხვ. ბოლშევიკური პრესა ღირსეულად ასრულებდა პარტიის პროპაგანდისტისა და ორგანიზატორის როლს, აშუქებდა რევოლუციის მსვლელობას რუსეთში და საქართველოში, არკვევდა მოძრაობის პრაქტიკულ და თეორიულ საკითხებს ამ დროინდელ ბოლშევიკურ ბეჭდვით სიტყვას უაღრესად მდიდარი და საინტერესო ისტორია აქვს. მას მიეძღვნა გ. ყვანიას, ს. ბერიძის, ზ. გეგეშიძის, ჯ. ვათეიშვილის და სხვა ავტორთა შრომები[12].

აღსანიშნავია, რომ დიდი სამამულო ომის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა და გაღრმავდა რევოლუციის ისტორიის შესწავლა, განსაკუთრებული ყურადღება მიექცა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის გაშუქებას. ამ პრობლემაზე დაიბეჭდა ლ. ებანოიძის, ი. მელქაძის და სხვათა საყურადღებო ნაშრომები[13]. დიდი ადგილი დაეთმო ამ საკითხის გაშუქებას „სა-

[11] ხ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, სახალხო განმანთავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, 1957; პ. ც ქ ვ ი ტ ა რ ი ა, აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები (1890—1914 წწ.), ბათუმი, 1959; ვ. ს ი ჭ ი ნ ა ვ ა, ბათუმის ისტორიიდან, 1958; С. Г. Б е к о е в а, Юго-Осетия в период первой русской революции, 1956., Н. З. Ц х о в р е б о в, Очерки истории Юго-Осетинской организации Компартии Грузии, ч. I, 1960.

[12] Г. К. Ж в а н и я, Большевистская печать Закавказья накануне и в период первой русской революции, Тб., 1958; Д. В а т е и ш в и л и, Из истории легальной рабочей печати Закавказья, Тб., 1963.

[13] ლ. ებ ა ნ ო ი ძ ე, საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციები 1905—1907 წლების რევოლუციის პერიოდში, თბ., 1959; ი. მ ე ლ ქ ა ძ ე, რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი და 1905—1907 წლების რევოლუცია დასავლეთ საქართველოში, თბ., 1960.

ქართველოს კომპარტიის ისტორიის ნარკვევებში", სადაც მას მიეძღვნა ცალკე თავი.

კარგადაა გაშუქებული მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლი რევოლუციაში, მისი კავშირი გლეხობასთან. ამ საკითხებს ეძღვნება ფ. მახარაძის, გ. ხაჭაპურიძის, ნ. ჩახვაშვილის, ნ. მახარაძის, ა. კიკვიძის და სხვა ავტორთა შრომები.

რუსეთის პირველ რევოლუციაში საქართველოს პროფკავშირების როლსა და მონაწილეობას აშუქებენ თავიანთ ნარკვევებში გ. სტურუა — „პროფმოძრაობის ისტორიის საკითხებისათვის საქართველოში" (თბ., 1937), აგრეთვე ს. ბერიძე, ბ. მაჩაიძე და სხვები[14], ხოლო ავტორთა კოლექტივის ნაშრომი „საქართველოს პროფესიული კავშირების ისტორიის ნარკვევები (1883 — 1921 წწ.)" გამოქვეყნდა 1974 წელს. ეს არის საქართველოს პროფკავშირების პირველი ისტორია, რომელიც აშუქებს ამ ორგანიზაციების მოღვაწეობას მათი არსებობის მთელ მანძილზე.

საქართველოს ახალგაზრდობის როლი, მისი წვლილი რევოლუციაში შეისწავლეს მკვლევრებმა ნ. ჩახვაშვილმა, ა. იმედაშვილმა, გ. შენგელიამ, ვ. ქარუშიძემ, გ. გაბუნიამ და სხვ.[15]

უკანასკნელ დროს მნიშვნელოვნად გაძლიერდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული და სოციალისტური რევოლუციების სოციალურ-ეკონომიკური წანამძღვრების შესწავლა. ამ პრობლემას მიეძღვნა ე. ხოშტარიას, ი. მირცხულავას, ე. ახობაძის, ა. ბენდიანიშვილის — და სხვ. შრომები[16].

როცა საქართველოში პირველი რევოლუციის ამსახველ ისტორიულ ლიტერატურას ვახასიათებთ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ აქ მაინც ნაკლებად არის გაშუქებული ეკონომიკური მხარე. ამ საკითხის გაშუქებისას ავტორები ჩვეულებრივ კმაყოფილდებიან ინ მოვლენების წარმოჩენით, რაც რევოლუციურ მოძრაობასთან არის დაკავშირებული. ამიტომ ვერ იძლევიან მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და, საერთოდ, სახალხო მეურნეობის მდგომარეობის სრულ სურათს.

იგივე ითქმის კულტურის შესახებაც. მართალია, უკანასკნელ წლებში გამოქვეყნდა ნაშრომები, რომლებიც აშუქებენ კულტურული მშენებლობის ზოგიერთ საკითხს, კერძოდ, სახალხო განათლების, ხელოვნების მდგომარეობას, მაგრამ აღნიშნული პრობლემა ჯერ კიდევ სათანადოდ შესწავლილი არ არის რევოლუციურ მოძრაობასთან კავშირში.

რუსეთის პირველი რევოლუცია მიზნად ისახავდა თვითმპყრობელობის დამხობას და დემოკრატიული წყობილების დამყარებას. საქართველოში, ისე

---

[14] ს. ბერიძე, საქართველოს პროფკავშირების წარმოშობა და განვითარება 1905—1907 წლებში (იხ. კრებული—„1905—1907 წლების რევოლუცია საქართველოში", თბ., 1955); ბ. მაჩაიძე, საქართველოს პროფკავშირები 1905 წელს, თბ., 1930.

[15] ნ. ჩახვაშვილი, საქართველოს მშრომელი ახალგაზრდობა პირველი რევოლუციის პერიოდში, თბ., 1941; ა. იმედაშვილი, საქართველოს ახალგაზრდობის რევოლუციური მოძრაობა 1900—1917 წწ., თბ., 1961; გ. შენგელია, საქართველოს ახალგაზრდობის რევოლუციური წარსულიდან, თბ., 1979.

[16] ე. ახობაძე, ეროვნული საკითხის ისტორიიდან საქართველოში (1900—1917 წწ.), თბ., 1965; ა. ბენდიანიშვილი, აგრარული ურთიერთობანი საქართველოში 1890—1917 წწ., თბ., 1969; მისივე, სოციალისტური რევოლუციის წანამძღვრები საქართველოში, თბ., 1971.

როგორც რუსეთის იმპერიაში შემავალ სხვა ეროვნულ რაიონებში, ადგილი ჰქონდა როგორც სოციალურ, ისე ეროვნულ ჩაგვრას. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოტივი ამ რევოლუციის მნიშვნელოვან მამოძრავებელ ძალას წარმოადგენდა, მაგრამ ეს საკითხიც სათანადო სიღრმით არაა გაშუქებული ამ პრობლემის ამსახველ ლიტერატურაში.

ვ. ი. ლენინი და ცენტრალური პარტიული პრესა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საქართველოს და კავკასიის პარტიული ორგანიზაციების გამოცდილებას. ფართოდ აცნობდნენ მას რუსეთის პარტიულ ორგანიზაციებს.

რუსეთის პირველი რევოლუციის დროს უკვე კარგად გამოვლინდა მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების შებრძოლი ხასიათი, მათი მჭიდრო კავშირი მასებთან, თეორიულ და ორგანიზატორული მუშაობის მაღალი დონე. ეს საკითხები საფუძვლიანად არის დამუშავებული ისტორიულ ლიტერატურაში, მას მიეძღვნა არაერთი საინტერესო მდიდარი მასალის შემცველი ნაშრომი.

საქართველოს 1907 — 1917 წლების ისტორია შედარებით ნაკლებადაა შესწავლილი. ამ პერიოდიდან უფრო საფუძვლიანადაა დამუშავებული რევოლუციური მოძრაობისა და ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხები.

საქართველოს ისტორიის ეს მონაკვეთი მოიცავს საზოგადოების ცხოვრების ისეთ მნიშვნელოვან ეტაპებს, როგორიცაა — რეაქციისა და ახალი რევოლუციური აღმავლობის პერიოდი, მსოფლიო ომისა და 1917 წლის თებერვლის ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ხანა.

საქართველოს ისტორიის ამ ეპოქის რევოლუციური მოძრაობისა და ბოლშევიკური ორგანიზაციების მოღვაწეობის საკითხები გაშუქებულია წიგნში — „საქართველოს კომპარტიის ისტორიის ნარკვევები" (ნაწილი I), ამ პერიოდს მიეძღვნა IV, V და VI თავები და „ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის ნარკვევები" (ნაწილი I), აღსანიშნავია აგრეთვე ს. ჩხარტიშვილის, გ. არუთინოვის, მ. ცერცვაძის და სხვათა მონოგრაფიები[17].

საქართველოს ისტორიის ამ პერიოდის სოციალურ-ეკონომიკური პირობები, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის მდგომარეობა და აგრეთვე რევოლუციის სხვა წანამძღვრები გაშუქებულია „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" VI ტომში (თბ., 1972).

ამრიგად, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინა პერიოდის გაშუქებას ეძღვნება ვრცელი ლიტერატურა, სადაც ნაჩვენებია: მუშათა კლასისა და გლეხობის რევოლუციური მოძრაობის წარმოშობა და განვითარება, სოციალ-დემოკრატიული და შემდეგ ბოლშევიკური ორგანიზაციების ჩამოყალიბება და მათი ხელმძღვანელი როლი რევოლუციის ძალების დარაზმვის საქმეში და ნაჩვენებია რუსეთის პირველი რევოლუციის, როგორც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გენერალური რეპეტიციის, მნიშვნელობა.

---

[17] ს. ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი, რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში, თბ., 1957; Г. А. А р у т ю н о в. Рабочее движение в Закавказье в период нового революционного подъема (1910—1914), М., 1963; М. Ц е р ц в а д з е, Революционное движение в Грузии в 1914—1917 гг., ч. I. М., 1957.

*
* *

საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება 1921 წლის თებერვალში უდიდესი მოვლენა იყო ქართველი ხალხის ცხოვრებაში. საქართველოს მშრომელთა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, რაც გამარჯვებით დამთავრდა, არის დიდი ოქტომბრით შობილი მსოფლიო რევოლუციური პროცესის შემადგენელი ნაწილი.

ბრძოლა მიმდინარეობდა რთულ საშინაო და საგარეო ვითარების პირობებში და მისი ისტორია დიდად საინტერესოა, როგორც საბჭოთა ადამიანებისათვის, რომლებმაც დიდი ხანია ბოლო მოუღეს სოციალურ ჩაგვრას და უკვე მიაღწიეს განვითარებულ სოციალიზმს, ისე საზღვარგარეთის იმ ქვეყნების ხალხებისათვის, სადაც კიდევ წარმოებს ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ეროვნული და სოციალური ჩაგვრის მოსასპობად.

საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისთანავე ისტორიული მეცნიერების უმთავრესი ამოცანა გახდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლის ისტორიის შესწავლა. მისი რთული და შედარებით ხანგრძლივი ხასიათი არამარტო ქმნიდა ამ მხრივ სერიოზულ სიძნელეებს, არამედ ამასთან იწვევდა, როგორც ქართველი ისტორიკოსების, ისე სხვა საბჭოთა რესპუბლიკების და საზღვარგარეთის ქვეყნების მეცნიერების დიდ ინტერესსაც.

ჩვენი ისტორიკოსების უპირველესი ამოცანაა ყოველმხრივ გააშუქონ შუშათა კლასისა და საქართველოს ყველა მშრომელის გამარჯვება, რასაც მოჰყვა ექსპლუატაციისა და ეროვნული ჩაგვრის ლიკვიდაცია. ამ საკითხზე არანაკლები მნიშვნელობა აქვს საზღვარგარეთული ბურჟუაზიული პროპაგანდის ცრუ მონაჩმახების და კონტრრევოლუციური ემიგრაციის ნაბირალების მხილებას.

ცილისმწამებლური კამპანია, რომელიც დაიწყო საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლებიდან, არასოდეს არ შეწყვეტილა და ამ უკანასკნელ დროს კიდევ უფრო გაძლიერდა საერთაშორისო ასპარეზზე იდეოლოგიური ბრძოლის გამწვავებასთან დაკავშირებით. ამ ამოცანის დიდმნიშვნელობაზე არაერთხელ მიუთითებდა ვ. ი. ლენინი, მისი სახელმძღვანელო მითითებები საფუძვლად დაედვა საბჭოთა ისტორიკოსების მუშაობას. დეპეშაში გ. კ. ორჯონიკიძისადმი 1921 წლის 18 აპრილს ვ. ი. ლენინი წერდა, რომ მარტოვი, წერეთელი და სხვები საზღვარგარეთ ეწევიან გააფთრებულ აგიტაციას რსფსრ წინააღმდეგ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასთან დაკავშირებით. „საჭიროა, — აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, — რომ საქართველოს რევკომმა დაიწყოს სერიოზული კონტრაგიტაცია, რომელშიც უნდა აღინიშნოს, ჯერ ერთი, რსფს რესპუბლიკის მშვიდობისმყოფლური როლი, მეორე — საქართველოს შუშათა და გლეხთა და წითელ არმიელთა მასების აქტიური და ინიციატივიანი როლი, მასებისა, რომლებმაც დაამხეს საქართველოს ბურჟუაზიული მთავრობა...“[18].

თვალყურს ადევნებდა რა ამ დირექტივის შესრულებას, ვ. ი. ლენინი ისევ მალე დაუბრუნდა ამ საკითხს გ. ჩიჩერინისადმი წერილში 1921 წლის 25 ივლისს და დასახა რიგი ღონისძიებებისა ამ ამოცანის განსახორციელებ-

[18] ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 45, გვ. 106.

ლად, კერძოდ, მითითება მისცა მას დაევალებინა ნ. მეშჩერიაკოვისათვის, რომელიც მუშაობდა წიგნზე „მენშევიკურ სამოთხეში", დაეჩქარებინა მისი დაწერა და ამასთან დაენიშნა საგანგებო პირი, ვინც უზრუველყოფდა მის სწრაფ დაბეჭდვას. ასეთ პირად ვ. ი. ლენინს მიაჩნდა ა. ენუქიძე[19].

ამრიგად, საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიის დამუშავების აუცილებლობა წარმოიშვა, როგორც მნიშვნელოვანი პოლიტიკური ამოცანა, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე და, ბუნებრივია, მან მიიქცია საბჭოთა მეცნიერების ყურადღება.

საქართველოს მეცნიერ-ისტორიკოსთა დიდი კოლექტივი წარმატებით წყვეტს ამ საპატიო ამოცანას.

ვ. ი. ლენინის შრომები და პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების გადაწყვეტილებები შეიცავენ ფუძემდებლურ მითითებებს, რომლებიც შესაძლებლობას იძლევა სწორად გაშუქდეს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ყველაზე რთული საკითხები საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის პარტიული ორგანიზაციებისა და მშრომელთა რევოლუციური ბრძოლის ისტორიაში.

ამ საკითხების შესახებ დიდ და ძვირფასს მასალებს შეიცავს სტატიები და წერილები — ს. კიროვის, ს. ორჯონიკიძის, ი. სტალინის, ს. შაუმიანის, ა. მიქოიანის და აგრეთვე მ. ცხაკაიას, ფ. მახარაძის, მ. ორახელაშვილის, ს. ქავთარაძის, ვ. ნანეიშვილის, პ. ბიბინეიშვილის, გ. ჩხეიძის, ვ. სტურუას, გ. სტურუას და პარტიის სხვა მოღვაწეებისა, რომლებიც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლის წლებში იმყოფებოდნენ ხელმძღვანელ სამუშაოებზე ამიერკავკასიაში.

ვ. ი. ლენინის რჩევისა და მითითების განუხრელი შესრულების შედეგად, გამოყენებულ იქნა რა ამასთან საბჭოთა ისტორიკოსების მდიდარი გამოცდილება, პრობლემის — „საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში" დამუშავებამ მიაღწია დიდ წარმატებებს. უკვე პირველ წლებში გამოჩნდა შრომები, რომლებიც ამუქებდნენ ამ პრობლემის მნიშვნელოვან საკითხებს, აქედან უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს ნ. მეშჩერიაკოვის ნაშრომები: „მენშევიკურ სამოთხეში" და „ქარაფშუტა მგზავრი". მასში ნაჩვენებია კაუკასისა და II ინტერნაციონალის სხვა მემარჯვენე ბელადების, რომლებმაც ნახეს საქართველო 1920 წლის მიწურულს, ნამდვილი მიზანი. მათი მისწრაფება — გაემაგრებიათ თავიანთ მოკავშირეთა პოზიციები, ისინი აღუთქვამდნენ ქართველ მენშევიკებს დახმარებას და ამყარებდნენ რა მათზე იმედებს, ამით ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ საქართველო, როგორც ანტისაბჭოთა ძალების პლაცდარმი.

ამასთანავე აღსანიშნავია შრომები: ფ. მახარაძის «Диктатура меньшевистской партии в Грузии» (1921) „საბჭოები და ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვს საქართველოში (1917—1921 წწ.)" (თბ., 1927); მ. ორახელაშვილის—„ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები 1917 წელს", „ქართული ჟირონდის გზა" (წიგნში მის ავტორად მითითებულია მ. ამია)—(თბ., 1927). მასში ნაჩვენებია ქართველი მენშევიკების იდეოლოგიისა და პოლიტიკის კრახი, მათი გადაქცევა ქართველი ხალხის უბოროტეს მტრად და იმპერიალიზმის აგენტებად. უფრო გვიან გამოქვეყნდა ამავე ავტორის საინტერესო სტატია «Победа Октябрьской социалистической революции в Грузии» (ჟურნ. «Пролетарская революция»,

[19] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზულებანი, ტ. 45, გვ. 240.

1936, № 7). ამ წლებში დაიბეჭდა აგრეთვე ს. სეფის ნაშრომი «Борьба за Октябрь в Закавказье» (1933) და ე. დრაბკინას წიგნი „ქართული კონტრრევოლუცია“. უფრო გვიან გამოიცა გ. ხაჭაპურიძის შრომები.

ამ პერიოდის ლიტერატურა მიუხედავად იმისა, რომ შეიცავს სადაო დებულებებს და ზოგიერთი საკითხი დამუშავებულია არასაკმაო სიღრმით, მაინც მნიშვნელოვანი ეტაპია აღნიშნული პრობლემის დამუშავების ისტორიაში. ეს ლიტერატურა ასრულებდა დიდ როლს საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობით რესპუბლიკის მშრომელთა აღზრდის საქმეში; ამასთან ხელს უწყობდა ანტისაბჭოთა პარტიების პოლიტიკის მხილებას. მან უჩვენა საქართველოში რევოლუციის გამარჯვების კანონზომიერება, მუშათა კლასისა და მისი პარტიის როლი გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ეს ლიტერატურა გახდა მტკიცე ბაზა პრობლემის შემდგომი შესწავლისა, რაც არ შეწყვეტილა დიდი სამამულო ომის წლებშიც.

საჭირო მასალების შეგროვებისა და პრობლემის აქტუალური საკითხების გასაშუქებლად დიდი მუშაობა შეასრულა პერიოდულმა პრესამ, განსაკუთრებით ჟურ. „რევოლუციის მატიანემ“. ის იყო საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პარტიის ისტორიის ინსტიტუტის ორგანო და გამოდიოდა 1923 — 1932 წლებში.

უკანასკნელ 10 — 12 წელს საბჭოთა მეცნიერებმა დიდ წარმატებებს მიაღწიეს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების საკითხის გაშუქებაში. განსაკუთრებით ამ საქმეში მნიშვნელოვანი წინსვლა მოხდა დიდი ოქტომბრის 60 წლის იუბილესათვის მზადებასთან დაკავშირებით. ეს განპირობებულ იქნა იმით, რომ ამ დროისათვის ისტორიკოსთა რიგები შეივსო ახალი ძალებით, მეცნიერებაში მოვიდნენ ახალი კადრები, რომელთა დიდმა ნაწილმა გაიარა პოლიტიკური აღზრდა გერმანელ ფაშისტთა ურდოებთან ბრძოლის ფრონტებზე და შემდეგ მიიღო სათანადო მეცნიერული მომზადება.

ომის ძლევამოსილად დამთავრებამ, შემდეგ ქვეყნის აღორძინებამ და ფაშიზმთან ბრძოლებში მიღებული მძიმე ჭრილობების ჩქარა მოშუშებამ, შესაძლებლობა მისცა საბჭოთა ქვეყნის ადამიანებს კიდევ უფრო ღრმად გაეაზრებინათ ოქტომბრის გამარჯვების მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა. ეს ფაქტორი თავის ნათელ გამოხატულებას პოულობს ისტორიკოსების ომის შემდგომ დაწერილ უკვე პირველ ნაშრომებში. აქედან მნიშვნელოვანია კოლექტიური ნაშრომი „სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება საქართველოში“ — (თბ., 1962). ის ჩვენი პრობლემის კომპლექსური დამუშავების ცდაა და აშუქებს — დიდი ოქტომბრის მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობას, რევოლუციის წინამძღვრებსა და გამარჯვებას საქართველოში, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას აჭარასა, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში და ამასთან საბჭოთა საქართველოს მიღწევებს 40 წლის მანძილზე.

უფრო ადრე გამოიცა გ. ხაჭაპურიძის ნაშრომები — საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება საქართველოში“ (თბ., 1958), „საქართველოს მშრომელთა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის“ (თბ., 1956), გ. ხაჭაპურიძის ეს შრომები, რომლებიც ხანგრძლივი მუშაობის შედეგია, აშუქებს კარტიის ხელმძღვანელ როლს რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლაში, ქართველი ხალხის ცხოვრებაში ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენის სოციალურ-ეკონომიკურ წინამძღვრებსა და ისტორიულ მნიშვნელობას. ამავე საკითხს

მიეძღვნა ნ. სტურუას, მ. ცერცვაძის, ა. სურგულაძის, ნ. მახარაძის და სხვათა შრომები[20].

მ. ცერცვაძის წიგნი ემყარება ვრცელ ფაქტობრივ მასალას და შეიცავს საყურადღებო მოსაზრებებს კლასობრივი ძალების განლაგების, ბურჟუაზიულ-საერონალისტური პარტიების პოლიტიკის და სხვა აქტუალური საკითხების შესახებ. ამასთან წიგნში არის ზოგიერთი სადაო დებულებები. ავტორი უარყოფს 1917 წელს ორხელისუფლებიანობას საქართველოში. ამას გარდა, ახასიათებს რა პარტიის საამხარეო კომიტეტის ტაქტიკას 1917 წლის ნოემბერში, ამტკიცებს, რომ მას თითქოს არ სურდა „გაემწვავებინა" ურთიერთობა ბურჟუაზიასთან და მის დამცველ — მენშევიკებთან, მაგრამ ამ მოსაზრებებმა მკვლევრების მხარდაჭერა ვერ პოვა და შემდეგში თვით ავტორმა უარყო ეს თვალსაზრისი.

პრობლემის დამუშავებამ მიაღწია ახალ დიდ წარმატებებს ოქტომბრის რევოლუციის 60 წლისთავის მზადების დროს, რომელიც დაიწყო ამ საიუბილეო დღესასწაულის რამდენიმე წლით ადრე. 1972 წელს გამოვიდა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" მეექვსე ტომი, რომელიც აშუქებს 1900—1921 წლების მთელ პერიოდს.

უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაძლიერდა მუშაობა დიდი ოქტომბრის იდეების გამარჯვებისათვის მშრომელთა ბრძოლის ამსახველი კოლექტიური შრომების შესაქმნელად. ამის კარგი მაგალითია დიდი მონოგრაფია «Победа Советской власти в Закавказье» (1971). წიგნი დაწერეს საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის ისტორიკოსებმა (მთავარი რედაქტორია აკად. ი. მინცი). მან პრესისა და საზოგადოებრიობის მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ანალოგიური ხასიათისაა პ. აზიზბეკოვის, ვ. მნაცაკანიანის და მ. ტრასკუნოვის კოლექტიური ნაშრომი — „საბჭოთა რუსეთი და ბრძოლა საბჭოების ხელისუფლების დამყარებისა და განმტკიცებისათვის ამიერკავკასიაში". დანაჩელებულ შრომებში ნაჩვენებია ამიერკავკასიისა და დიდ რუს ხალხთა საბრძოლო თანამეგობრობის ფესვები, მისი განვითარება და მნიშვნელობა საბჭოების ხელისუფლების დამყარებისათვის ბრძოლაში: მითითებულია საბჭოთა რუსეთის ძმურ, უანგარო დახმარებაზე ამიერკავკასიის მშრომელების ისტორიული გამარჯვების მოპოვებასა და ახალი ცხოვრების წარმატებით მშენებლობაში.

ამიერკავკასიის ხალხების საბრძოლო თანამეგობრობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, მაგრამ ის წინათ არასდროს არ იყო ისე მტკიცე და ნათლად გამოხატული, როგორც საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის პერიოდში. ამიტომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ამ პერიოდის ისტორიის ერთობლივ დამუშავებას, რაც უზრუნველყოფს ზოგიერთი ბუნდოვანი და საჭიროებს საკითხების გარკვევას და პრობლემის დამუშავების მაღალ მეცნიერულ დონეს.

---

[20] Н. И. Стуруа, Грузия в 1917 году, Тб., 1964; М. Церцвадзе, Революционное движение в Грузии в 1914—1917 гг., ч. II, Тб., 1960; ა. სურგულაძე, ნარკვევები რევოლუციური მოძრაობის ისტორიიდან საქართველოში (1917—1921 წწ.), თბ., 1956; მ ი ს ი ვ ე, ამიერკავკასიის მშრომელთა ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის (1917—1918 წწ.), თბ., 1957; მ ი ს ი ვ ე, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ამიერკავკასიაში (1918—1921 წწ.), თბ., 1961; ნ. მ ა ხ ა რ ა ძ ე, დიდი ოქტომბრის გამარჯვება საქართველოში, თბ., 1967.

იმისათვის, რომ სრულად წარმოვიდგინოთ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მიმართულება და ზრდა, მხედველობაში უნდა მივიღოთ, ის რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ჭარბობდა მონოგრაფიები, რომლებიც მოიცავდა მეტ-ნაკლებად საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შესახებ პრობლემის ყველა მხარეს. მათში ჩვეულებრივ ნაჩვენები იყო სოციალისტური რევოლუციის წანამძღვრები, მამოძრავებელი ძალები და ბრძოლის მსვლელობაც. ასეთი შრომები მაშინ პასუხობდნენ დროის მოთხოვნებს, მაგრამ არ გამოირჩეოდნენ საკმაო სიღრმით, რაც განპირობებულ იქნა უმთავრესად კვალიფიციური კადრების სიმცირით. დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ, საქართველოში შეიქმნა რევოლუციური პროცესების ცალკეული მხარეების ამსახველი გამოკვლევები. ეს შედეგი იყო კვალიფიციური კადრების სწრაფი ზრდისა, რასაც მოჰყვა პრობლემის საკითხების გაღრმავებული შესწავლა. მაგალითად, კ. ჩარკვიანის წიგნი „ქართველი მენშევიკების ანტიხალხური ეკონომიური პოლიტიკის შესახებ" (თბ., 1962)... ეს არის პირველი სპეციალური გამოკვლევა ამ საკითხზე, რომელიც თანამიმდევრულად ამხელს მენშევიკური მთავრობის ეკონომიკური პროგრამისა და პოლიტიკის ანტიხალხურ ხასიათს, რამაც ქვეყანა მიიყვანა სამეურნეო კატასტროფამდე.

შემდეგ გამოსული შრომები აშუქებს რევოლუციის მამოძრავებელ ძალებს—მუშათა კლასის, გლეხობის და დემოკრატიული ინტელიგენციის როლს[21].

ახალგაზრდობის მონაწილეობა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში გაშუქებულია საქართველოს კომკავშირის ისტორიისადმი მიძღვნილ ნაშრომებში. აქედან მნიშვნელოვანია — „საქართველოს კომკავშირის ისტორიის ნარკვევები" და ცალკეული მონოგრაფიები, რომლებიც უკანასკნელ წლებში გამოქვეყნდა[22].

50-იანი წლების დამლევს საგრძნობლად გაიშალა მუშაობა სოციალისტური რევოლუციისათვის მშრომელთა რევოლუციურ ბრძოლაში კავკასიის არმიის როლის გასაშუქებლად. ამ პერიოდის მდგომარეობის ზოგადი ფუძემდებლური შეფასება მოცემულია ვ. ი. ლენინის ცნობილ ნაშრომში „დამფუძნებელი კრების არჩევნები და პროლეტარიატის დიქტატურა". მასში ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ კავკასიის ფრონტის ჯარებში პროლეტარული ზედაფენის სისუსტისა და რევოლუციური ცენტრებიდან დიდი დაშორების გამო, ძლიერი იყო წვრილბურჟუაზიული პარტიების გავლენა, რაც მკვეთრად გამოჩნდა დამფუძნებელი კრების არჩევნების დროს.

ბოლშევიკური ორგანიზაციების მოღვაწეობისა და კავკასიის არმიის მდგომარეობას მიეძღვნა არაერთი მონოგრაფია[23].

---

[21] ი. მირცხულავა, ოქტომბრის რევოლუცია და აგრარულ-გლეხური საკითხი საქართველოში 1917—1921 წწ., თბ., 1965; მ. ჯიჯეიშვილი, საქართველოს მშრომელთა ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის, თბ., 1960; მ ი ს ი ვ ე, მუშათა კლასის და გლეხობის კავშირი საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის პერიოდში, თბ., 1970; ე. ა ხ ო ბ ა ძ ე, ქართული დემოკრატიული ინტელიგენცია და რევოლუციური მოძრაობა საქართველოში, თბ., 1977.

[22] ა. ი მ ე დ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს კომკავშირის წარმოშობა და მისი ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის, თბ., 1967.

[23] А. Стеклов, Революционная деятельность большевистских организаций на Кавказском фронте в 1914—1917 гг., Тб., 1969; ს. ჩ ხ ა რ ტ ი შ ვ ი ლ ი, საბჭოები საქართველოში ოქტომბრის რევოლუციის მომზადებისა და გატარების პერიოდში, 1977; ს. კ ვ ა ჭ ა ძ ე, თბილისის ბოლშევიკები 1917 წელს, თბ., 1967.

ოქტომბრის რევოლუციის საიუბილეო დღეებში გამოიცა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლების მიერ მომზადებული კრებულები: „დიდი ოქტომბრის გზით“ და „საბჭოთა საქართველო დიდი ოქტომბრის 60 წლისთავისათვის“, მათში გაშუქებულია საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლა, მისი ისტორიული მნიშვნელობა და ნაჩვენებია საბჭოთა საქართველოს მიღწევები ოქტომბრის რევოლუციის 60 წლისთავზე. ასევე აღსანიშნავია გ. ყვანიას და კ. ივანიძის შრომები[24]. გ. ყვანიას ნაშრომში გაშუქებულია პარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელი როლი და საქართველოს კომუნისტების მოღვაწეობა საბჭოთა ხელისუფლების განსამტკიცებლად. კ. ივანიძემ შეძლო შეეგროვებინა და შემოეტანა მეცნიერულ ბრუნვაში ახალი დოკუმენტები, რომლებიც აშუქებენ 1917—1920 წლებში პარტიის სამხარეო კომიტეტის მოღვაწეობის ზოგიერთ ნაკლებად ცნობილ მხარეს. წიგნი შეიცავს ზოგიერთ სადაო დებულებასაც. მაგალითად, სამხარეო კომიტეტში არსებული ვითარების შესახებ და სხვ.

საბჭოთა ისტორიკოსები დიდ ყურადღებას უთმობენ ამიერკავკასიაში დასავლეთის იმპერიალისტთა კოლონიზატორული პოლიტიკის მხილებას. ამ საკითხის გაშუქებას სათანადო ყურადღება ეთმობა განმაზოგადებელ ისტორიულ ლიტერატურაში.

აღნიშნული პრობლემა განხილულია კოლექტიურ შრომაში — „საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება ამიერკავკასიაში“. აქ ნაჩვენებია წითელი არმიის დიდი განმათავისუფლებელი მისია ამიერკავკასიაში; დამაჯერებლად გადმოცემულია საბჭოთა რუსეთის შეიარაღებული ძალების ძმური დახმარება უცხოელ ინტერვენციასა და შინაგან კონტრრევოლუციაზე ამიერკავკასიის მშრომელების ისტორიული გამარჯვების მოპოვებაში, მხილებულია ამიერკავკასიის ხალხების დამონებისაკენ მიმართული იმპერიალისტების პოლიტიკა; მითითებულია იმაზე, რომ ამიერკავკასიის მშრომელთა მამაცური ბრძოლა იყო საბჭოთა რუსეთის ხალხთა დიადი ბრძოლის განუყოფელი შემადგენელი ნაწილი უცხოელი ინტერვენტების წინააღმდეგ.

საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიის შესწავლის საქმეში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საკავშირო სამეცნიერო ფორუმებს, რომელიც ჩატარდა თბილისში, ბათუმსა და წყალტუბოში; აქედან ერთი (1975 წ. 2 — 7 ივნისი) იყო საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თბილისში თემაზე — „რუსეთის პირველი რევოლუცია — დიდი ოქტომბრის გენერალური რეპეტიცია“; მეორე—სკოლა-სიმპოზიუმი სოციალისტური ქვეყნების მეცნიერთა მონაწილეობით „დიდი ოქტომბრის ისტორული გამოცდილება და მისი საერთაშორისო მნიშვნელობა“; შედგა ბათუმში 1976 წლის 18—29 აგვისტოს; მესამე—სამეცნიერო სიმპოზიუმი მუშაობდა წყალტუბოში 1978 წლის 24 — 25 ოქტომბერს და განიხილა „ამიერკავკასიის კომუნისტური ორგანიზაციების იდეოლოგიური ბრძოლა ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული პარტიების წინააღმდეგ“, ხოლო მეოთხე—საკავშირო სამეცნიერო კონფერენცია ჩატარდა 1979 წლის 2 — 4 ოქტომბერს ისევ წყალტუბოში პრობლემაზე—„საბჭოთა რესპუბლიკების სამხედრო-პოლიტიკური კავშირი და

[24] Г. К. Жвания, Великий Октябрь и борьба большевиков Закавказья за Советскую власть, Тб., 1967; его же, В. И. Ленин, ЦК партии и большевики Закавказья. Тб., 1969; К. Иванидзе, Славные страницы борьбы и побед, Тб., 1975.

კავკასიის მშრომელთა ბრძოლა ინტერვენციისა და ადგილობრივი კონტრრევოლუციის წინააღმდეგ 1919 წელს“.

მეცნიერთა ამ დიდ ფორუმებში მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების გამოჩენილი მკვლევრები. აქ საინტერესო მოხსენებებით გამოვიდნენ აკადემიკოსები ი. მინცი, ა. ნაროჩინსკი, სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის წ/კ ი. პოლიაკოვი, აკადემიის წ/კ დრიზული (ლატვია), გ. გალოიანი, ც. ალაიანი (სომხეთის სსრ), ავრეთვე მოხსენებები და ინფორმაციები გააკეთეს პროფესორებმა ვ. ბოვიკინმა, ვ. სალოვმა, ვ. გოროდეცკმა, ა. მურაშოვმა, ი. კორაბლევმა და სხვებმა.

სამეცნიერო ფორუმების მუშაობაში თავისი წვლილი შეიტანეს საქართველოს მეცნიერებმა: ნ. სტურუამ, ა. კიკვიძემ, თ. ბუაჩიძემ, ნ. მახარაძემ, ი. მირცხულავამ, ე. ახობაძემ, ს. ჩხარიტაშვილმა, ა. მატარაძემ, გ. ძიძარიამ, ბ. პლიევმა და სხვ. ისინი თავიანთ მოხსენებებში აშუქებდნენ საქართველოში სოციალისტური რევოლუციის მომზადებისა და გამარჯვების ისტორიის აქტუალურ და ნაკლებად შესწავლილ საკითხებს.

პირველი ორი სამეცნიერო კონფერენციისა და სკოლა სიმპოზიუმის მასალები მომზადებულ იქნა დასაბეჭდად სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ოქტომბრის რევოლუციის საპრობლემო სამეცნიერო საბჭოს და წინა საქართველოს სექციის მეცნიერ მუშაკების მიერ და დაიბეჭდა ორ წიგნად, ეს ნაშრომები შეიცავს მდიდარ მასალას და საინტერესო განზოგადოებებს და მნიშვნელოვანი წვლილია ამ პრობლემის ლიტერატურაში.

წარმატებით მუშაობენ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და სოციალიზმის მშენებლობის ისტორიაზე აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის მეცნიერები. ეს მუშაობა განსაკუთრებით ინტენსიურია ბოლო დროს, რაც ჩანს უკანასკნელ წლებში გამოცემული შრომებიდან[25].

ავტორები ნათლად და დამაჯერებლად, მრავალი ფაქტობრივი მასალის საფუძველზე აშუქებენ ლენინური პარტიის ხელმძღვანელ როლს. მისი ადგილობრივი ორგანიზაციების ნაყოფიერ მოღვაწეობას მშრომელთა დასარაზმავად საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა ისტორიკოსების უდავო მიღწევაა ვ. ი. ლენინისა და ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელი როლის გაშუქება საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში. ამ საკითხს წამყვანი ადგილი უკავია სოციალისტური რევოლუციის პრობლემის მთელ ლიტერატურაში; აქედან ყურადღებას იმსახურებს ა. ირემაძის, ვ. ესაიაშვილის, ვ. მერკვილაძის და სხვ. მონოგრაფიები[26]. მათ შრომებში მრავალი ფაქტობრივი მასალის ანალიზის საფუძველზე ნაჩვენებია დიდი ბელადის ხელმძღვანელი როლი საქართველოს კომპარტიისა და მშრომელთა ბრძოლაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის. საბჭოთა სახელმწიფოებრიობის საფუძვლე-

---

[25] Г. Дзидзария, Очерки истории Абхазии в 1910—1921 гг., Тб., 1963; პ. ცქვიტარია, აჭარაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ნარკვევები (1914—1921 წწ.), ბათუმი, 1962; И. С. Чулок, Очерки истории батумской коммунистической организации, Батуми, 1870.

[26] ა. ირემაძე, ბრძოლას ლენინი წარმართავდა, თბ., 1968; ვ. ესაიაშვილი, ვ. ი. ლენინი საქართველოს შესახებ, თბ., 1956; В. Н. Мерквиладзе, Создание и укрепление советской государственности в Грузии (1921—1925 гг.). Тб., 1969.

ბის შექმნისა და სამეურნეო და კულტურული მშენებლობის გაფართოებისათვის.

საბჭოთა ისტორიკოსებმა დიდი და ნაყოფიერი მუშაობა ჩაატარეს საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიის შესასწავლად. შექმნილია მრავალფეროვანი და ღრმამეცნიერული მნიშვნელობის ვრცელი ლიტერატურა, რომელიც მკვეთრად წარმოაჩენს რევოლუციის გამარჯვების კანონზომიერებას, ამხელს ბურჟუაზიული ისტორიის ფალსიფიკატორების შეხედულებათა უსაფუძვლობას; უჩვენებს მუშათა კლასის, შრომელი გლეხობის და დემოკრატიული ინტელიგენციის თავდადებულ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის; მიუხედავად აღნიშნულისა, ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი; ასე მაგალითად, ჯერ კიდევ სრულყოფილად არაა შესწავლილი პარტიის ბრძოლა რევოლუციის პოლიტიკური არმიის ფორმირებისათვის; არასაკმარისად გაშუქებულია აგრეთვე ბოლშევიკური პრესის როლი ამ საქმეში; დამატებით მუშაობას მოითხოვს 1917 წლის დამლევს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და პარტიის სამხარეო კომიტეტის ტაქტიკის საკითხები; ამასთან არაა სათანადოდ შესწავლილი საქართველოს ბოლშევიკების ეროვნული პოლიტიკა საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის წლებში. აღნიშნულ და ზოგიერთ სხვა საკითხზე არაა ისტორიკოსთა შორის შეხედულებათა ერთიანობა; ჩვენ მიგვაჩნია აგრეთვე დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პრობლემის შესწავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად კავკასიის მხარის ხალხთა საბრძოლო თანამეგობრობის გაშუქება.

ეს და ზოგიერთი სხვა ამოცანის გადაჭრა მოითხოვს ქართველ ისტორიკოსთა შემდგომ დაძაბულ მუშაობას. უეჭველია ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანები წარმატებით იქნება გადაწყვეტილი სკკპ XXIV, XXV, და XXVI ყრილობების და ლ. ი. ბრეჟნევის შრომებისა და გამოსვლების სახელმძღვანელო მითითებათა საფუძველზე.

ალექსანდრე ბენდიანიშვილი, მიხეილ გაფრინდაშვილი, გრიგოლ მარგიანი, ეთერ ორჯონიკიძე

XIX საუკუნის საქართველოს ისტორიის საბჭოური ისტორიოგრაფია

საქართველოს მრავალსაუკუნოვან ცხოვრებაში XIX საუკუნე დიდმნიშვნელოვანი ეპოქაა. რუსეთთან შეერთების შედეგად საქართველოში ეშვიდობიანობა დამყარდა. ქართველმა ხალხმა წარმატებები მოიპოვა სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განახლების გზაზე. ეროვნულმა კონსოლიდაციამ და ეროვნული თვითშეგნების ამაღლებამ, სოციალური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გაფართოებამ სტიმული მისცა ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და კულტურის აღმავლობას. მოცემულ ეპოქას ამშვენებენ 30—40-იანი წლების პოპულარული ქართველი მოღვაწენი, 60—70-იანი წლების სახელოვანი თერგდალეულები, ხალხოსნები, განმათავისუფლებელი მოძრაობის პროლეტარული ეტაპის გამოჩენილი წარმომადგენლები, რომლებიც სრულიად რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაშიც თვალსაჩინო როლს ასრულებდნენ.

XIX ს-ის საქართველოში ფეოდალურ-ბატონყმურმა სისტემამ კრიზისი და კრახი განიცადა, კაპიტალიზმმა გაიმარჯვა, მომზადდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ყველა წინაპირობა, დაიწყო პროლეტარიატის განმათავისუფლებელი მოძრაობა.

განაპირა ეროვნული მხარის XIX ს-ის ისტორიის შესწავლას რევოლუციამდე მტკიცე საძირკველი ვერ ჩაეყარა. ამას აფერხებდა ქვეყნის „უსახელმწიფოებრიობა“, მეცნიერებაში დამკვიდრებული „დისტანციის თეორია“, ასევე „ევროპოცენტრისტული“ თვალსაზრისი, რომლებიც არაევროპელი ხალხების ისტორიულ შემოქმედებას უგულებელყოფდა. დაბრკოლებას ქმნიდა აგრეთვე გასულ საუკუნეშივე ჩვენშიც ფეხმოკიდებული ვულგარული სოციოლოგიზმი და ნიჰილიზმი.

ამის მიუხედავად, XIX ს-ის საქართველოს ისტორიის შესამუშავებლად დიდძალი, მრავალფეროვანი მასალა დაგროვდა. თანამედროვენი თავისი წოდებრივ-კლასობრივი პოზიციებიდან აქტიურად ეხმიანებოდნენ ქვეყნის ცხოვრების გარდაქმნებს. ხსენებული ეპოქის ისტორიის არაერთი საკითხი გაშუქდა XIX ს-ის პირველ ნახევარში (ი. ბაგრატიონი, ა. ჭავჭავაძე, ს. დოდაშვილი, ნ. ბარათაშვილი, დ. ყიფიანი და სხვანი). 60—90-იან წლებში თერგდალეულებმა და ხალხოსნებმა დაწერეს მეცნიერულ-პუბლიცისტური ნარკვევები, რომლებშიც მოცემულია ქვეყნის ცხოვრების უფრო ღრმად შესწავლისა და შეფასების ცდა (ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ი. გოგებაშვილი, ა. ცაგარელი, ა. ფურცელაძე, ე. მჭედლიძე, ს. ჭრელაშვილი, გ. მაიაშვილი, რ. ფანცხავა — ხომლელი და სხვანი).

90 — 900-იან წლებში განმანათლებლური და ხალხოსნური ისტორიოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლაში ყალიბდებოდა სოციალ-დემოკრატიული (ს. ჯიბლაძე, ნ. ჟორდანია, ი. წერეთელი, პ. გელეიშვილი, ი. გომართელი და სხვ.) ნაციონალურ-დემოკრატიული (კ. აბაშიძე, ა. ჯორჯაძე, ი. ფანცხავა და სხვ.) ისტორიოგრაფია. ამავე დროს მეცნიერი ისტორიკოსები და ლიტერატორები განაგრძობდნენ ქართული კულტურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის მასალების შეკრებისა და განზოგადების ადრე დაწყებულ საქმეს (ივ. ჯავახიშვილი, ალ. ხახანაშვილი, ს. გორგაძე, გ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ალ. ბაქრაძე, ნ. ბერძენიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ნ. ბერძენიშვილი

ვის ბრძოლას ერთი შეხედვით თითქოს უფრო წინა პლანზე აყენებდნენ სოციალურ ბრძოლასთან შედარებით.

ამის საწინააღმდეგო გზას დაადგნენ ქართველი ხალხოსნები, რომლებმაც სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლის მნიშვნელობა ძირითადად სწორად შეაფასეს, ხოლო ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის შეუფასებლობა გამოიჩინეს, რამაც ზოგიერთი ხალხოსანი ეროვნულ ნიჰილიზმამდე მიიყვანა. ამ უკიდურესობას არ ეთანხმებოდნენ თერგდალეულები.

ქართველ მარქსისტთა პირველი თაობის წარმომადგენლებმა ზოგადად სწორად შეაფასეს XIX ს-ის საქართველოს ვითარება. ამასთანავე ამ თაობის ზოგიერთ წარმომადგენელს მემკვიდრეობის უარმყოფელობა დასჩემდა, რის შედეგების დაძლევასაც კარგა ხანი დასჭირდა.

ასეთია მოკლედ, ჩვენთვის საინტერესო ეპოქის საისტორიო და პუბლიცისტური ლიტერატურა, რასაც ამრავალფეროვნებდა ბეჭდვითი სიტყვის ორგანოთა მომრავლება.

*

* *

ქართული ისტორიული მეცნიერების განვითარებაში ახალი ეტაპი საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ დაიწყო.

კვლევის მარქსისტულ-ლენინურმა მეთოდმა, რევოლუციამდე გამოცემული წყაროების ახლებურმა გააზრებამ და სამეცნიერო ბრუნვაში ახალი საარქივო მასალის შემოტანამ შესაძლებელი გახადა რევოლუციამდელი ისტორიოგრაფიის მეთოდოლოგიური ნაკლის დაძლევა, ზოგი საბჭოთა მკვლევრის მიერ დაშვებული შეცდომების გასწორება, ახალი ხანის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-კულტურული განვითარების რეალური სურათის აღდგენა.

XIX ს-ის საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია საქართველოს რუსეთთან შეერთება და მისი ობიექტურად დადებითი შედეგები. საბჭოთა მკვლევრების ნ. ბერძენიშვილის, გ. ხაჭაპურიძის, შ. ჩხეტიას, ა. კიკვიძის, ი. ანთელავას, მ. დუმბაძის, მ. ალექსიშვილის, ა. სურგულაძის და სხვათა ნაშრომებში მეტ-ნაკლები სიცხადითაა ნაჩვენები შეერთების ისტორიული აქტის მნიშვნელობა საქართველოს ყოველმხრივი წინსვლისათვის, საქართველოს ისტორიული მიწა-წყლის გაერთიანებისა და მისი შემდგომი ბედისათვის. სერიოზულ ისტორიულ გამოკვლევებში დასაბუთებულია შეერთების აქტის (ისტორიული მიდგომით) კლასობრივი პოზიციიდან განხილვის აუცილებლობა, ურომლისოდაც ეს მოვლენა სწორად ვერ შეფასდება.

ა. კიკვიძის, ი. ანთელავას, შ. მეგრელიძის, ნ. ქორთუას, შ. ლომსაძის, ე. ბურჭულაძის, ე. ორჯონიკიძის და სხვათა ნაშრომებში განხილულია რუსეთ-ირანის და რუსეთ-თურქეთის ომები კავკასიაში გასულ საუკუნეში. ნაჩვენებია ამ ომებში რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობა და რუსეთის ძლიერების მნიშვნელობა საქართველოსა და კავკასიისათვის.

XIX ს-ის საქართველოს ისტორიის კარდინალური პრობლემა არის კაპიტალიზმის გენეზისი და განვითარება. მის თაობაზე ჯამათი ჯერ კიდევ XIX — XX საუკუნეთა მიჯნაზე ატყდა. ამ პრობლემაზე თავის თვალსაზრისს

გამოთქვამდნენ ოფიციალური ისტორიოგრაფიის წარმომადგენლები, ხალხოსნები, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული და მარქსისტული მიმდინარეობანი. აზრთა ამ ჭიდილში, მართალია, თეორიულად მარქსისტებმა გაიმარჯვეს, დამაჯერებლად დაასაბუთეს კაპიტალიზმის გარკვეული დონის არსებობა და ძისი შემდგომი განვითარების გარდუვალობა, მაგრამ სათანადო წყაროების გამოუყენებლობისა და კონკრეტული გამოკვლევების არარსებობის პირობებში ჯერ კიდევ დიდ ხანს იგრძნობოდა ხალხოსნური და სოციალ-ფედერალისტური კონცეფციების გავლენა. რევოლუციამდელი მკვლევრები ვერ ხედავდნენ, ან სხვადასხვა მოსაზრებათა გამო ვერ ამჩნევდნენ ქვეყნის კაპიტალისტური განვითარების ტენდენციებს. ბევრი მათგანი ცდილობდა დაესაბუთებინა ქვეყნის არაკაპიტალისტური გზით განვითარების შესაძლებლობა. ინტელიგენციის ფართო წრეში ასეთი შეხედულების გავრცელების შედეგად რევოლუციამდელ ქართულ ლიტერატურაში კაპიტალიზმზე არც ერთი საფუძვლიანი გამოკვლევა არ გვხვდება.

პირველად ვ. ი. ლენინმა მოგვცა რუსეთში კაპიტალიზმის განვითარებასთან დაკავშირებული ყველა მოვლენის მთლიანობაში, ურთიერთგანპირობებულობაში შესწავლის ნიმუში. მან სიცხადე შეიტანა ცარიზმის ოფიციალური ისტორიკოსებისა და ხალხოსნების მიერ არეულ-დარეული სტატისტიკური მასალების ლაბირინთში და ნათლად გვიჩვენა ქვეყნის კაპიტალისტური განვითარება, ძველი წოდებრივი ურთიერთობის დაშლა და ახალი კლასობრივი ურთიერთობის ჩამოყალიბება.

საბჭოთა მკვლევრები პირველნი შეუდგნენ საქართველოში კაპიტალიზმის ჩასახვისა და განვითარების სპეციალურად შესწავლას.

საქართველოს სამრეწველო ცხოვრების ბურჟუაზიული ევოლუციის გაშუქებას ფ. მახარაძემ სათავე დაუდო 1930-იან წლებში. ავტორმა კაპიტალიზმის გენეზისი მრეწველობაში XIX საუკუნის რეფორმამდელ ხანას დაუკავშირა. ამ მოვლენის ხელშემწყობად აღიარებულ იქნა საქართველოს რუსეთთან შეერთება, ხოლო ხელშემშლელად ცარიზმის პოლიტიკა. ჩვენში კაპიტალიზმის გამარჯვება 1870 — 1890-იანი წლებით რომ დააოარიღა, ფ. მახარაძემ შეიმუშავა ქვეყნის სამრეწველო პროგრესის ძირითადად სწორი სქემა[2].

საქართველოში კაპიტალიზმის ჩასახვა-განვითარების შესწავლას ერთ-ერთი პირველთაგანი შეუდგა პ. გუგუშვილი. მკვლევარმა მრავალ ნაშრომში გააშუქა მრეწველობის დარგები, მისი სხვადასხვა სტადიები, ცხადყო მანუფაქტურული წარმოების პროგრესი, რომლის საწყისებს XVIII ს-ის მეორე ნახევარში ამჩნევს, ხოლო მანუფაქტურულ სტადიას გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან 80-იანი წლების პირველ ნახევრამდე ვარაუდობს. ავტორის აზრით, ჩვენი მრეწველობის მთავარ დარგებში მანქანურ წარმოებაზე გადასვლა 80-იანი წლებიდან ხდება. უაღრესად მნიშვნელოვანია მუშათა კლასის მდგომარეობის ავტორისეული დახასიათება[3].

---

[2] Ф. Е. Махарадзе, История возникновения и развития рабочего движения в Грузии (იხ. წიგნში: Ф. Е. Махарадзе и Г. В. Хачапуридзе, Очерки по истории рабочего и крестьянского движения в Грузии, М., 1932); მისივე, Грузия в XIX столетии, Тб., 1933.

[3] პ. გუგუშვილი, კაპიტალიზმის წარმოშობა და განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში, თბ., 1941; მისივე, Развитие промышленности в Грузии и Закавказье в XIX—XX вв., 1957 და სხვ.

კვლევის სფეროში მოექცა XIX ს-ის საქართველოს საქალაქო ცხოვრების ბურჟუაზიული ეეოლუცია. სავაჭრო კაპიტალის აყვავებისა და სამრეწველო კაპიტალის ჩასახვის ხანად 1840 — 1860-იანი წლები იქნა აღიარებული, ხოლო კაპიტალიზმის დამკვიდრებისა და მუშათა კლასის ჩამოყალიბების პერიოდად 1880 — 1900-იანი წლები[4].

შემუშავდა XIX ს-ის საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრების საერთო სურათი. გაკეთდა დასკვნა: „საეროოდ, XIX საუკუნის პირველ ნახევარში, მექანიკური წარმოება საქართველოში აქა-იქ გვხვდება და საფაბრიკო-საქარხნო წარმოებას სპორადული ხასიათი აქვს, გაბატონებულია მანუფაქტურა". საფაბრიკო-საქარხნო წარმოებაზე გადასვლა 70-იანი წლებიდან ივარაუდება[5].

საქართველოს კაპიტალისტური მრეწველობის გენეზისისა და განვითარების კვლევისას დადგინდა მრეწველობის სხვადასხვა ფორმის ხანგრძლივი თანაარსებობა. მუშათა კლასის ჩამოყალიბება დახასიათებული იქნა სამრეწველო განვითარებასთან კავშირში. ამასთანავე თავი იჩინა ჩვენში მანუფაქტურული სტადიის უარყოფისა და მრეწველობის ზოგიერთი წამყვანი დარგის განვითარების დონის შეუფასებლობამ[6].

მართებულად იქნა დახასიათებული საქართველოს კაპიტალისტური განვითარება და კლასობრივ ძალთა განლაგება, პოლიტიკურ მიმდინარეობათა იდეური ბრძოლა ბურჟუაზიული ურთიერთობის ჩამოყალიბებისა და განმტკიცების პერიოდში. გადაისინჯა თეორიულადაც არასწორი თვალსაზრისი XIX ს-ის 60-იანი წლების საქართველოს ე. წ. „აღმავალი ბურჟუაზიის" პროგრესულობაზე[7].

დაკვირვების საგანი გახდა კაპიტალისტური სამრეწველო წამოწყებები და დაქირავებული მუშახელის კონტინგენტის ჩამოყალიბება XIX ს-ის რეფორმამდელ პერიოდში[8].

ასევე კაპიტალიზმის გენეზისისა და პროგრესის თვალთახედვით იქნა განხილული სამთო-საქარხნო მრეწველობა XIX ს-ის საქართველოში[9].

კაპიტალისტური მრეწველობის ჩასახვა-განვითარებისა და მუშათა კლასის ჩამოყალიბების პროცესის კომპლექსურად გამოკვლევით დადგინდა XIX ს-ის საქართველოს სამრეწველო ცხოვრების სტადიალურობა, მრეწველობის ფორმების ხვედრითი თანაფარდობის ცვალებადობა, სამრეწველო პროლე-

---

[4] Ш. К. Чхетия. Тбилиси в XIX столетии, Тб., 1942 და სხვ.

[5] ა. კიკვიძე, მუშათა მოძრაობის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1945; მ ი ს ი ვ ე, საქართველოს ისტორია (XIX საუკ.), თბ., 1954

[6] Г. К. Бакрадзе, Возникновение и развитие капиталистической промышленности в Грузии в XIX веке, Тб., 1958.

[7] Г. И. Мегрелишвили, Грузинская общественно-экономическая мысль во второй половине XIX века, т. I, Тб., 1960.

[8] ე. ხოშტარია, დამმუშავებელი მრეწველობის განვითარება საქართველოში XIX საუკუნის 30—60-იან წლებში (ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. III, 1958); დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე, კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში რეფორმამდელ საქართველოში (1830—1864), თბ., 1959; მ. ს ა მ ს ო ნ ა ძ ე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარება XIX საუკუნის პირველ მესამედში, თბ., 1980.

[9] ა. კ ო ჭ ლ ა ვ ა შ ვ ი ლ ი, აკაკი წერეთელი და ჭიათურის მარგანეცი, თბ., 1958; მ ი ს ი ვ ე, საქართველოს სამთომეტალურგიული მრეწველობის განვითარება XIX საუკუნეში, თბ., 1962; დ. გ ო გ ო ლ ა ძ ე, სამთამადნო, სამთო-საქარხნო მრეწველობა საქართველოში და კაპიტალიზმის გენეზისის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1966.

ტარიატის რიგების შევსების წყაროები და მისი რიცხობრივი ზრდის დინამიკა, საქალაქო ცხოვრების აღმავლობა, ქალაქის სავაჭრო-სამრეწველო ძოსახლეობის ზრდა სამიწათმოქმედო მოსახლეობის ხარჯზე და სხვ.[10].

რაკი სამეცნიერო ლიტერატურაში 1960-იან წლებამდე უმთავრესი აქცენტი მრეწველობის მარტივი ფორმების ბურჟუაზიულ ევოლუციაზე იყო გადატანილი, ხოლო მსხვილი მრეწველობა ჯეროვანი სიღრმით არ შუქდებოდა, შემდგომი კვლევის ცენტრში მოექცა მანქანური წარმოების განვითარება რევოლუციამდელ საქართველოში. ვრცლად გაშუქდა ქვეყნის სამრეწველო ცხოვრება, კაპიტალისტური საზოგადოების ძირითადი ანტაგონისტური კლასების — სამრეწველო პროლეტარიატისა და სამრეწველო ბურჟუაზიის — ჩამოყალიბების პარალელურად დეტალურად იქნა შესწავლილი ადგილობრივი, რუსული და უცხოური კაპიტალის მეტოქეობა ქვეყნის მრეწველობის ზოგიერთ სფეროში, განისაზღვრა მათი როლის სხვადასხვაობა, ქვეყნის მრეწველობის მაგალითზე იქნა ნაჩვენები ბურჟუაზიული ხანის საქართველოს ჩაბმა მსოფლიო მეურნეობასა და საქონლის მსოფლიო მიმოქცევაში.

შესაძლებელი გახდა გადასინჯულიყო რთული პრობლემისადმი მარტივი მიდგომით მიღებული, შინაგანად წინააღმდეგობრივი თვალსაზრისი, რომელიც ერთი მხრივ, რევოლუციამდელ საქართველოს მრეწველობის „უკიდურეს ჩამორჩენილობას“ უცილობელ ფაქტად მიიჩნევდა, ხოლო, მეორე მხრივ, მართებულად აღიარებდა პროლეტარული მოძრაობის უმაგალითო გაქანებას[11].

საქართველოს სამრეწველო ცხოვრების მრავალი ასპექტი განხილულია ნ. ტყეშელაშვილის, ა. ბრეგვაძის, ნ. როდონაიას, ა. ბენდიანიშვილის, ვ. ჯიქიას, ვ. ჭანიშვილის, ლ. პრიცკერის, ვ. სიჭინავას, ა. კასპაროვას, ნ. მელკონიანის, დ. ცინცაძის, მ. მირიანაშვილის, ქ. მუშკუდიანის, ლ. ეძგვერაძის, ა. ფარსადანიშვილის, თ. ვახტანგიშვილის, ა. მიქავას და სხვ. ნაშრომებში

ქართული საბჭოური ისტორიოგრაფია დიდ ყურადღებას აქცევს სოფლის კაპიტალისტური განვითარების შესწავლას. პრობლემის დამუშავებაში მეტ-ნაკლები წვლილი შეიტანეს ფ. მახარაძემ, პ. გუგუშვილმა, შ, ჩხეტიამ, ი. ანთელავამ, ა. კიკვიძემ, ვ. მოჩალოვმა, პ. რატიანმა, ა. ფანცხავამ, ა. ბენდიანიშვილმა, დ. გოგოლაძემ, ი. უთურაშვილმა, ე. ორჯონიკიძემ, გ. ძიძარიამ, ო. ჟორდანიამ, აბ. სურგულაძემ, ნ . შველიძემ, ვ. ადაშიამ, ნ. ნაცვლიშვილმა, თ. ჩხეიძემ, გ. ბოსტოღანაშვილმა, ჰ. დათიშვილმა და სხვა მკვლევრებმა.

პ. გუგუშვილის დასაბუთებული დასკვნით, საქართველოში 30 — 50-იანი წლებიდან განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობს ნატურალური მეურნეობის რღვევისა და სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარების პროცესი. მოცემულ პერიოდში თავს იჩენს ბატონყმური მურნეობის საერ-

---

[10] ე. ხ ო შ ტ ა რ ი ა, მრეწველობის განვითარება და მუშათა კლასის ჩამოყალიბება XIX საუკუნის საქართველოში, წიგნი I. თბ., 1966; წიგნი II, 1968; მ ი ს ი ვ ე, Очерки социально-экономической истории Грузии, Тб., 1974.

[11] გ. მ ა რ გ ი ა ნ ი, სამთამადნო მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი რევოლუციამდელ საქართველოში, თბ., 1968; მ ი ს ი ვ ე, საქართველოს მრეწველობა და სამრეწველო პროლეტარიატი, 1864—1917., თბ., 1976.

თო კრიზისი, გარდაუვალი ხდება. საგლეხო რეფორმის გატარება[12]. ამავე თვალსაზრისს იზიარებენ შ. ჩხეტია და გ. ხაჭაპურიძე[13].

დაიწერა მრავალი მონოგრაფია და სტატია, რომლებშიც ძირითადად პირველწყაროებზე დაყრდნობით შესწავლილი და წარმოჩენილია XIX ს-ის რეფორმამდელი ხანის საქართველოს სოფლის მეურნეობაში ფეოდალური წარმოებითი ურთიერთობის რღვევის ინტენსიური პროცესი, კაპიტალისტური წყობის ჩამოყალიბება და 50—60-იან წლებში ჩამორჩენილ წარმოებით ურთიერთობასა და მზარდ საწარმოო ძალებს შორის კონფლიქტის წარმოქმნა[14].

სახელდობრ, ი. ანთელავას, ე. ხოშტარიას, დ. გოგოლაძის, ა ფანცხავას, ე. ორჯონიკიძის და სხვ. შრომებში მოტანილი მასალა ცხადყოფს, რომ XIX ს-ის 30—50-იან წლებში მნიშვნელოვნადაა გაფართოებული საქართველოს საგარეო და საშინაო ბაზარი, დაწყებულია სოფლის მეურნეობის დარგობრივი სპეციალიზაცია, სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგს მიღებული აქვს სასაქონლო ხასიათი.

რუსეთის მთავრობის ღონისძიებებისა და ქვეყნის ისტორიული განვითარების შედეგად გაბატონებული კლასის ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები: ვასალურ-სენიორალურ იმუნიტეტზე დამყარებულ სათავადოთა სისტემის მოსპობა, საეკლესიო, საბატონო აზნაურთა და საეკლესიო ყმა-მამულის სახაზინოდ აღრიცხვა, საერთო-საგვარეულო მიწათმფლობელობის რღვევა და საკუთრების ინდივიდუალიზაციისაკენ მისწრაფება საფუძვლიანადაა შესწავლილი დ. გოგოლაძის მონოგრაფიაში და ყოველივე ეს ბატონყმური ურთიერთობის რღვევის დამაჩქარებელ ფაქტორად არის მიჩნეული, ი. ანთელავას, ნ. ნაცვლიშვილის, დ. გოგოლაძის, ე. ორჯონიკიძის და სხვ. ნაშრომებში წარმოჩენილია, აგრეთვე, ზოგიერთი საბატონო მეურნეობის რაციონალურად ბოწყობის ცდები და თითო-ოროლა მსხვილი ბურჟუაზიული ფერმების დაარსება.

დიდი ყურადღება მიექცა სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარების შედეგად სახელმწიფო, საბატონო ბეგარა-გადასახადებსა და ფეოდალური რენტის ფორმათა თანაფარდობაში მომხდარი ცვლილებების შესწავლას. კერძოდ საეკლესიო გლეხთა და სახელმწიფო ბეგარა-გადასახადების კომუტაცია საფუძვლიანადაა შესწავლილი ი. ანთელავას, ა. ფანცხავას, ლ. გვახარიას და ე. ორჯონიკიძის ნაშრომებში და მართებულადაა გაკეთებული დას-

---

[12] პ. გუგუშვილი, კაპიტალიზმის განვითარება საქართველოსა და ამიერკავკასიაში, თბ., 1941.

[13] შ. ჩხეტია, საქართველოში ბურჟუაზიული კულტურის გენეზისის საკითხისათვის, თბილისის სახელმწიფო სამსწავლებლო ინსტიტუტის შრომები, 1943; № 3; მისივე, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, საისტორიო მოამბე. 1948. № 4; Г. В. Хачапуридзе, К истории Грузии первой половины XIX века, Тб., 1950.

[14] И. Г. Антелава, Государственные крестьяне Грузии в первой половине XIX века, Сухуми, 1955; მისივე, К вопросу о характере экономического развития Грузии в предреформенный период, Труды Абхазского института языка, литературы и истории им. Д. И. Гулиа, Сухуми, 1956, XXVII; И. Г. Антелава. Э. А. Орджоникидзе, Э. В. Хоштария, К вопросу о генезисе и развитии капитализма в сельском хозяйстве и промышленности Грузии, Тб., 1967; დ. გოგოლაძე, საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარება გვიანფეოდალურ ხანაში, თბ., 1971; ე. ორჯონიკიძე, XIX ს-ის რეფორმამდელი ხანის საქართველოს აგრარულ ურთიერთობათა ევოლუცია, თბ., 1979; А. А. Панцхава, К вопросу о развитии аграрных отношений в дореформенной Восточной Грузии, М., 1957 და სხვ.

კვნა, რომ პროდუქტად გადასახადების ფულით შეცვლა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონით იყო განპირობებული და, თავის მხრივ, მის შემდგომ განვითარებას უწყობდა ხელს.

რაც შეეხება ფეოდალური რენტის ფორმათა თანაფარდობაში მომხდარი ცვლილებების გარკვევას, მართალია მკვლევრები (ა. ფანცხავა, დ. გოგოლაძე, ე. ორჯონიკიძე) განსხვავებულ დასკვნებამდე მივიდნენ[15], მაგრამ მათ შორის საერთო ის არის, რომ ყველა მათგანის ნაშრომში მოტანილი მასალა ფულადი რენტის განუხრელ ზრდაზე მიუთითებს. ფეოდალური რენტის ამ უმაღლესი სახეობის ზრდა კი, გარდა იმისა, რომ ქვეყნის დაწინაურებაზე მეტყველებდა, მის შემდგომ ეკონომიკურ პროგრესს ენერგიულად უწყობდა ხელს და წარმოების წესში საგრძნობ ცვლილებებს იწვევდა.

შესწავლილია სასაქონლო-ფულადი ურთიერთობისა და ფულადი რენტის განვითარების შედეგად ფეოდალურ მიწათმფლობელობასა და მიწათსარგებლობაში მომხდარი ცვლილებები. ი. ანთელავას, ა. ფანცხავას, დ. გოგოლაძის და ე. ორჯონიკიძის ნაშრომებში წარმოჩენილია ფეოდალური მიწათმფლობელობის შემცირებისა და უწოდებრივ ბურჟუაზიულ საკუთრებაზე გადასვლის ტენდენცია.

დ. გოგოლაძისა და ე. ორჯონიკიძის ნაშრომებში მოტანილი მდიდარი საარქივო მასალა ცხადყოფს, რომ XIX ს-ის 40-იანი წლებისათვის ფეოდალური ურთიერთობიდან უშუალო მწარმოებლის განთავისუფლების პროცესს საკმაოდ ფართო ხასიათი ჰქონდა მიღებული, რაც, თავის მხრივ, ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის კრიზისზე მეტყველებდა.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა გლეხობის სოციალურ სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებების შესწავლას. ი. ანთელავას, ა. ფანცხავას, დ. გოგოლაძის, ე. ორჯონიკიძის ნაშრომებში მდიდარი პირველადი საისტორიო წყაროების ფონზე ილუსტრირებულია გლეხებს შორის ღრმად წასული ქონებრივი დიფერენციაცია და ზემოთ აღნიშნული ძვრების შედეგად ქონებრივი უთანასწორობის გლეხთა კლასობრივ დაშლაში გადასვლის საწყისები დამაჯერებლად არის დასაბუთებული.

გამოითქვა მოსაზრება, რომ ყველა ამ მოვლენისა და ძვრების სათავე XVIII საუკუნეში, მეტადრე მის მეორე ნახევარშია საძიებელი. შეიქმნა ნაშრომი, რომელშიც XVIII ს-ის საქართველოს სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის ელემენტების ჩასახვაა დადგენილი[16].

საკმაო სიღრმე-სისრულითაა შესწავლილი საგლეხო რეფორმა. შ. სხეტიას, პ. გუგუშვილის, ი. ანთელავას, ი. უთურაშვილის, ა. ბენდიანიშვილის, ა. სოფიას, ი. ახალაიას, ლ. ძიძიგურის, გ. ფურცელაძის და სხვ. ნაშრომებში[17].

---

[15] დ. გოგოლაძის აზრით, XIX ს-ის რეფორმამდელი ხანის საქართველოს მთელ საადგილ-მამულო ურთიერთობაში გაბატონებული იყო შრომამიგებითი რენტა; ა. ფანცხავას მიაჩნია, რომ XIX ს-ის 60-იანი წლებისათვის აღ. საქართველოს ყველა კატეგორიის გლეხებში ფულადი რენტა იქცეოდა გაბატონებულ ფორმად, ხოლო ე. ორჯონიკიძე საქართველოს მთელ საადგილმამულო ურთიერთობაში ფულადი რენტის ბატონობას უკვე XIX ს-ის 40-იანი წლებისათვის აღიარებს.

[16] ი. ა ნ თ ე ლ ა ვ ა, XVIII ს-ის საქართველოს სოციალურ-ეკონომიური განვითარების ხასიათის საკითხისათვის, თბ., 1977.

[17] შ. ჩ ხ ე ტ ი ა, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1950; Сельское хозяйство и аграрные отношения, т. II, под. ред П. В. Г у г у ш в и л и; ი. ა ნ თ ე ლ ა ვ ა, საგლეხო რეფორმა საქართველოში, თბ., 1972; И. И. У т у р а ш в и л и, Реализация крестьянской реформы в Грузии, Тб., 1976; А. А. С о п и я. Дворянство и крестьян-

უარყოფილია მითი „დიდი რეფორმის“ შესახებ, დადგენილია აგრარული რეფორმის არსი და მნიშვნელობა, დამაჯერებლადაა დასაბუთებული სამი ძირითადი დასკვნა: 1. 1861 წ. 19 თებერვლის მანიფესტი და დებულება საქართველოში მექანიკურად არ გადმონერგილა. ადგილზე მომზადდა რეფორმის გატარების ყველა აუცილებელი წანამძღვარი (კაპიტალიზმის ჩასახვა-განვითარება, სოციალური ანტაგონიზმის გამწვავება, გლეხთა კლასობრივი ბრძოლის გაძლიერება ანტიბატონყმური იდეოლოგიის ჩამოყალიბება); 2. მთავრობის ადმინისტრაციისა და თავადაზნაურობის მიერ გატარებულმა რეფორმამ ბლომად დატოვა ბატონყმობის ნაშთები; 3. მიუხედავად ამისა, საგლეხო რეფორმა ატარებდა ბურჟუაზიულ ხასიათს, ჰქონდა პროგრესული მნიშვნელობა, რამდენადაც სპობდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური დაწინაურების ხელშემშლელ ზოგიერთ მიზეზებს, უფრო ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა კაპიტალიზმის შემდგომი განვითარებისათვის.

ქართული საბჭოთა ისტორიული მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე საყოველთაოდ მიღებული თვალსაზრისის მიხედვით ბურჟუაზიული რეფორმების გატარების შედეგად საქართველოში გაბატონდა კაპიტალისტური ფორმაცია. ამის გამოხატულება იყო ის, რომ საგრძნობლად დაჩქარდა საკუთრების ფორმებისა და აგრარულ ურთიერთობათა ბურჟუაზიული ევოლუცია, სოფლის მეურნეობის კაპიტალისტურ ყაიდაზე გარდაქმნის ტემპი. გაფართოვდა ვაჭრობა და საკრედიტო ოპერაციები, გაიზარდა ქალაქები, მომძლავრდა საქალაქო მეურნეობა. დიდი ცვლილებები მოხდა მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურაში, კლასობრივი ანტაგონიზმის ხასიათსა და კლასობრივი ბრძოლის ფორმებში. კაპიტალიზმის განვითარების პროცესთან დაკავშირებული ეს პრობლემები, ბუნებრივია, მოექცა ქართველ საბჭოთა ისტორიკოსების ყურადღების ცენტრში, გადაიქცა კონკრეტული კვლევა-ძიების ობიექტად.

ს. გუგუშვილმა, ი. ანთელავამ, ს. რატიანმა, ი. უთურაშვილმა, ალ. ბენდიანიშვილმა და სხვ. ავტორებმა[13] ფაქტობრივი მასალის ანალიზის გზით დაასაბუთეს, რომ რეფორმის მომდევნო ხანის საქართველოს სოფელში, მართალია, კაპიტალისტური ურთიერთობა დომინირებდა, მაგრამ მსხვილი თავადაზნაურული მიწათმფლობელობის ბაზაზე კვლავ განაგრძობდა არსებობას დროებითვალდებულეების ინსტიტუტი, ხიზნობა, კაბალური იჯარა, შრომამიგება და ნახევრად ბატონყმური ურთიერთობის სხვა ფორმები. მკვლევრებმა ისიც აღნიშნეს, რომ მეფის მთავრობა, იცავდა რა მემამულეთა ინტერესებს, ხელოვნურად აფერხებდა დროებითვალდებულ გლეხთა მიერ ნადელების გამოსყიდვას. უარს ამბობდა სახაზინო გლეხების და ხიზნების მესაკუთრეთა კატეგორიაში გადაყვანაზე. მაგრამ ობიექტურ-ეკონომიკური განვითარების ძალა იმარჯვებდა კონსერვატორთა სუბიექტურ მისწრაფებაზე. ბატონყმობის

ская реформа в Восточной Грузии, автореферат канд. дисс., 1950; ი. ახალაია, საგლეხო რეფორმა სამეგრელოში, 1958; ლ. ძიძიგური, საგლეხო რეფორმა აფხაზეთში, 1960; Г. А. Пурцеладзе. Крестьянская реформа в Восточной Грузии, автореферат докт. дисс., 1960.

[13] Сельское хозяйство и аграрные отношения, т. IV, под. ред. П. В. Гугушвили; ი. ანთელავა, ე. გუჩუა, საქართველოში სოციალური ურთიერთობის ისტორიდან, თბ., 1967; ალ. ბენდიანიშვილი, აგრარული ურთიერთობანი საქართველოში 1864—1917 წწ., თბ., 1965.

ნაშთები თანდათან იკვეცებოდა, გაბატონებული ხდებოდა ბურჟუაზიული აგრარული წყობა.

დღემდე გამოქვეყნებული 'გამოკვლევები[19] ნათელ წარმოდგენას გვაძლევს სოფლის მეურნეობის ევოლუციაზე. კარგად ჩანს, რომ რეფორმის მომდევნო ხანის საქართველოში განუხრელად იზრდებოდა წარმოება ბაზრისათვის, სოფლის მეურნეობის თითქმის ყველა დარგმა სავაჭრო-სასაქონლო ხასიათი მიიღო. ამის შედეგად გაღრმავდა შრომის საზოგადოებრივი დანაწილება, სოფლის მეურნეობის დარგობრივი სპეციალიზაცია.

სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის განვითარების მაღალმა დონემ, შრომითი და პროდუქტადი რენტიდან ფულად რენტაზე გადასვლის დამთავრებამ განაპირობა მიწის დიდი რაოდენობით შესვლა სავაჭრო ბრუნვაში. ქართველმა ისტორიკოსებმა საკმაოდ დეტალურად შეისწავლეს დროებითვალდებულ გლეხთა მიერ ნადელთა გამოსყიდვის საქმე, მიწის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციები საერთოდ. დამაჯერებლად დაასაბუთეს დებულება იმის შესახებ, რომ XIX ს.-ის 70—80-იანი წლებიდან უფრო ინტენსიური გახდა მსხვილი თავადაზნაურული მიწათმფლობელობის რღვევისა და წვრილ გლეხურ და ბურჟუაზიულ საკუთრებაზე გადასვლის ადრე დაწყებული პროცესი.

სავაჭრო მიწათმოქმედება და დარგობრივი სპეციალიზაცია ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობა იყო კაპიტალისტურ მიწათმოქმედებაზე გადასვლისათვის. უახლეს გამოკვლევებში[20] მოტანილი ცნობები, ფაქტობრივი მდგომარეობის ანალიზი და სათანადო დასკვნები ცხადყოფს, რომ მიმდინარეობდა მემამულური მეურნეობის კაპიტალისტური ევოლუცია. ქართველ თავადაზნაურთა ერთი ნაწილი დადგა ბურჟუაზიული მესარეწეობის გზაზე. ასეთი მემამულეები თავის საქმიანობით არსებითად გამოეთიშნენ ფეოდალურ არისტოკრატიას, მოექცნენ კაპიტალისტური ურთიერთობის სფეროში. მომრავლება მეწარმე თავადაზნაურთა, რომელებიც საკმაო რაოდენობით იყენებდნენ დაქირავებულ მუშახელს, იყო სოფლის მეურნეობაში კაპიტალიზმის განვითარების ერთ-ერთი გამოხატულება. პრობლემის შკვლევრებმა კარგად შეამჩნიეს ისიც, რომ XIX ს-ის 90-იანი წლებიდან განსაკუთრებით გაძლიერდა სოფლის მეურნეობაში კაპიტალის დაბანდების ტენდენცია. ადგილობრივი და მოსული ვაჭარ-მრეწველები დიდი რაოდენობით იძენდნენ მიწას და კაპიტალისტურ საწარმოებს ქმნიდნენ ისეთ რენტაბელურ დარგებში, როგორიც იყო მევენახეობა-მეღვინეობა, მეთამბაქოეობა, მებამბეობა, მეცხოველეობა და სხვ. ძირითადად ისინი უდგებოდნენ სათავეში სოფლის მეურნეობის პრო-

---

[19] პ. გ უ გ უ შ ვ ი ლ ი საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX—XX სს., ტ. IV, თბ., 1965; И. Г. А н т е л а в а, Государственные крестьяне Грузии в XIX веке, т. II, Тб., 1962; И. Г. А н т е л а в а, Э. А. О р д ж о н и к и д з е, Э. В. Х о ш т а р и а, К вопросу о генезисе и развитии капитализма в сельском хозяйстве и промышленности Грузии, Тб., 1967; В. Д. М о ч а л о в, Крестьянское хозяйство в Закавказье к концу XIX в., М., 1958; ან. ს ურ გ ულ ა ძ ე, სასაქონლო ურთიერთობის განვითარება საქართველოს სოფლის მეურნეობაში XIX ს. მეორე ნახევარში, თბ., 1959.

[20] ა. ბ ე ნ დ ი ა ნ ი შ ვ ი ლ ი, კაპიტალისტური მეურნეობები საქართველოს სოფელში XIX—XX სს. მიჯნაზე, „მაცნე", 1968, № 1; მ ი ს ი ვ ე, სოციალისტური რევოლუციის წანამძღვრები საქართველოში, თბ., 1971; И. И. У т у р а ш в и л и, Развитие капиталистических отношений в деревне Восточной Грузии (1864—1914 гг.), автореферат докт. дисс., 1967; თ. ჩ ხ ე ი ძ ე, კაპიტალიზმი აღმოსავლეთ საქართველოს სოფლის მეურნეობაში, თბ., 1978.

დუქტთა ტექნიკური გადამუშავების საქმეს, აარსებდნენ ღვინო-კონიაკის, ყველ-კარაქის, საკონსერვო და სხვ. ქარხნებს.

ქართველმა საბჭოთა მკვლევრებმა (ი. ანთელავა, ა. ბენდიანიშვილი, ი. უთურაშვილი და სხვ.) დამაჯერებლად დაასაბუთეს, რომ სოფლად კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარების მთავარი გამოხატულება, გლეხობის კლასობრივი დაშლის — სოფლის ბურჟუაზიისა და სოფლის პროლეტარიატის წარმოშობის - პროცესი საქართველოს ყველა კატეგორიის გლეხობაში მიმდინარეობდა. გამოირკვა, რომ სახაზინო სოფელში უფრო ინტენსიურად ეზრდებოდა კაპიტალისტური ურთიერთობა. აბსოლუტური მონარქიის ბურჟუაზიულ მონარქიად გადაქცევის პარალელურად იცვლებოდა ხაზინის მიწათმფლობელობის არსი, თანდათან უფრო მეტად ვლინდებოდა მისი გამოყენების კაპიტალისტური ხასიათი. ხაზინა, მართალია, ინარჩუნებდა მიწის საკუთრების მონოპოლიას, მაგრამ მიწის როგორც მეურნეობის ობიექტის მონოპოლიას გლეხობას, კერძოდ, მის ზედაფენას უთმობდა. ამდენად, სახაზინო მიწათმფლობელობა ფაქტობრივად „უფრო თავისუფალი აღმოჩნდა, ვიდრე მემამულური მიწათმფლობელობა“ (ვ. ი. ლენინი). დამტკიცდა, რომ სახაზინო სოფელში უფრო სწრაფად მიმდინარეობდა გლეხობის კლასობრივი დაშლა, უფრო სწრაფად გამოიყოფოდა სოფლის ბურჟუაზია. სახელმწიფო გლეხთა ზედაფენამ კაპიტალისტურ-ფერმერული მეურნეობები შექმნა სიღნაღის, ბორჩალოს, დუშეთის, თიანეთის, ქუთაისის მაზრებში. დასაბუთდა მოსაზრება, რომ ზემოაღნიშნულ რაიონებში ჭარბობდა სოფლის მეურნეობის ე. წ. ამერიკული განვითარების ევოლუციის გზა. სხვა რაიონებში და საერთოდ საქართველოში, მართალია უფრო ძლიერი იყო კაპიტალიზმის პრუსიული გზით განვითარების ტენდენცია, მაგრამ ამერიკული ევოლუციაც შეინიშნებოდა. იქ გლეხურ-ბურჟუაზიული განვითარების ძირითადი ძალა მესაკუთრე გლეხობა იყო. ფაქტობრივი მდგომარეობის მეცნიერული ანალიზის საფუძველზე გამოტანილ იქნა საკმაოდ დასაბუთებული დასკვნა, რომ საქართველოში თავადაზნაურული და სახაზინო მიწათმფლობელობის დომინირების მიუხედავად, თავადაზნაურობა და ხაზინა ვერ ახერხებდნენ გადაექციათ გლეხური მეურნეობა მემამულური მეურნეობის დანამატად. საქართველოში გლეხური მეურნეობა (განსაკუთრებით ეს იოქმის კულაკურ-ფერმერულ მეურნეობებზე) ძირითადად დამოუკიდებელ ეკონომიკურ ერთეულს წარმოადგენდა და გადამწყვეტ როლს ასრულებდა საქართველოს სოფლის ეკონომიკაში.

არსებულ გამოკვლევებში ნაჩვენებია სოფლის ბურჟუაზიის ჩამოყალიბების პროცესი. მეტ-ნაკლებად მძლავრი კულაკური ფენა ჩამოყალიბდა საქართველოს ყველა რაიონში, სოფლის მეურნეობის ყველა დარგში. სოფლის ბურჟუაზიის ხელში მოექცა წარმოების საშუალებათა დიდი ნაწილი. ამასთან ერთად მკვლევრებმა განსაზღვრეს გაღატაკებული და ღარიბი გლეხობის რაოდენობა, რომელიც თანდათან ავსებდა სოფლისა და ქალაქის დაქირაველებულ მუშათა კონტინგენტს. ამ ბოლო დრომდე თითქმის არაფერი ვიცოდით სოფლის მეურნეობაში დასაქმებული დაქირავებული მუშების რაოდენობის, მუშათა კლასის ამ შემადგენელი ნაწილის როლისა და მნიშვნელობის შესახებ. ამჟამად ეს ხარვეზი მნიშვნელოვანწილად ამოვსებულია (იხ. უთურაშვილი და ალ. ბენდიანიშვილი).

საქართველოს სოფელში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროცესებზე დაკვირვებამ, ფაქტობრივი მდგომარეობის მეცნიერულმა

ანალიზმა ქართველი საბჭოთა მკვლევრები იმ მართებულ დასკვნამდე მიიყვანა, რომ XIX — XX სს. მიჯნაზე მოსახლეობის სხვადასხვა ფენას ერთმანეთისაგან განასხვავებდა არა იმდენად ძველიდან შემორჩენილი წოდებრივი ნიშნები, რამდენადაც ეკონომიკური მდგომარეობა საზოგადოებაში. საქართველოს სოფელში ძველი, მაგრამ უკვე რამდენადმე ტრანსფორმირებული კლასების (მემამულეები, გლეხობა) გვერდით გაჩნდა ახალი კლასები — ბურჟუაზია და პროლეტარიატი.

დაბოლოს, მკვლევრები პ. გუგუშვილი, შ. ჩხეტია, ა. კიკვიძე, ი. ანთელავა, პ. რატიანი, ა. კოპლავაშვილი, ე. ხოშტარია, დ. გოგოლაძე, ე. ბენდიანიშვილი, ე. ორჯონიკიძე რეფორმამდელ საქართველოში ხედავენ ფეოდალურ-ბატონყმური სისტემის რღვევასა და ბურჟუაზიულ ურთიერთობათა ინტენსიურ განვითარებას. მათი ერთი ნაწილი აღიარებს მანუფაქტურული სტადიისა და კაპიტალისტური წყობის ჩამოყალიბებას რეფორმამდელ საქართველოში.

რამდენადმე განსხვავებულ თვალსაზრისზე დგანან მ. დუმბაძე და გ. ბაქრაძე, რომელნიც რეფორმამდელ საქართველოში ხედავენ გარკვეულ შინაგან ძერებს, მაგრამ თვლიან რომ ახალ ურთიერთობათა ელემენტების ერთობლიობა არ ქმნიდა კაპიტალისტურ წყობას.

კაპიტალიზმის გენეზისის სადავო საკითხებს ბოლო 30 წლის მანძილზე ოთხი დისკუსია მიეძღვნა (1954 და 1966 წლებში—თბილისში, 1965 წელს—მოსკოვში, 1969 წელს—ბაქოში). დისკუსიები უმთავრესად თეორიულ ასპექტში მიმდინარეობდა, დისკუსიებზე გამოვლენილი ცალმხრივობა XIX ს-ის რეფორმამდელი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შეუფასებლობითაც აღინიშნა. ამ თვალსაზრისის დასაბუთება (გამოქვეყნებული წყაროებისა და ლიტერატურის ზოგიერთი მონაცემის თავისებური გააზრებით) სცადა ზ. ანჩაბაძემ წიგნში— «Очерки экономической истории Грузии первой половины XIX века» (1966). მისი აზრით, რეფორმამდელი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე ისე დაბალი იყო, რომ არავითარი კონფლიქტი საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობებს შორის არ შეიძლებოდა არსებულიყო და კაპიტალიტური ურთიერთობის სრულიად უნიშვნელო ელემენტებს არ შეეძლო ფეოდალიზმის რღვევა გამოეწვია. აღნიშნული ხანის საქართველოში წამყვან მოვლენას წარმოადგენდა არა ბატონყმური სისტემის რღვევა, არამედ ფეოდალურ წარმოებით ურთიერთობათა განმტკიცება-გაჯანსაღებისაკენ მისწრაფება.

XIX ს-ის რეფორმამდელი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას ასევე დაბალ შეფასებას აძლევდა მ. დუმბაძეც. შემდგომი მუშაობის გაღრმავებისას მან უფრო მეტი ყურადღება მიაქცია იმ ახალსა და მზარდ მოვლენებს, რომლებიც ფეოდალური ურთიერთობის რღვევას იწვევდა და მონოგრაფიაში „დასავლეთ საქართველო XIX ს-ის პირველ ნახევარში“ (1957) იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ჩვენში საგლეხო რეფორმის გატარება, საგარეო ფაქტორთან ერთად, უ მ თ ა ვ რ ე ს ა დ მაინც ქვეყნის შინაგანი განვითარებით იყო გამოწვეული. კიდევ უფრო მეტიც, „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ IV ტომში (1973) იგი XVIII ს-ის მიწურულისათვის ბატონყმობის რღვევის პერსპექტივების არსებობას აღიარებს, მაგრამ 1978 წ. გამოცემულ „ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის ძირითად მიღწევებში“ იგი კვლავ ძველი პოზიციებისაკენ იხრება და ზ. ანჩაბაძის აღნიშნულ ნაშრომში წამოყენებულ დებულებებს ფაქტობრივ სავსებით ეთანხმება.

პრობლემის ისტორიოგრაფიაში თავი იჩინა მეორე უკიდურესობამაც: მაგალითად, მკვლევარ ა. როგავას განსაზღვრით, კაპიტალისტური წყობა ჩამოყალიბდა არა XIX ს-ის პირველი ნახევრის, არამედ უფრო ადრე, — XVIII ს-ის მეორე ნახევრის საქართველოში.

ახალი ისტორიის სპეციალისტთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ მსჯელობა რეფორმამდელ საქართველოში ფეოდალიზმის „გაჯანსაღებასა და განმტკიცებაზე" დაუსაბუთებელია. ამჟამად თითქმის საყოველთაოდ მიღებულია დებულება, რომლის თანახმადაც XVIII ს-ის მეორე ნახევარსა და XIX საუკუნის პირველ მესამედში საქართველოში იყო კაპიტალისტური ურთიერთობის მცირე ჩანასახები, XIX ს-ის 30-იანი წლებიდან 60-იან წლებამდე კი კაპიტალისტური ურთიერთობა თანდათან განვითარდა და რეფორმის წინ უკვე ჩამოყალიბებული იყო კაპიტალისტური წყობა.

დიდი მუშაობაა ჩატარებული XIX ს-ის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის შესასწავლად, რაც აგრეთვე რეფორმამდელ პერიოდში იქნა წამოწყებული (ნ. დუბროვინი, ვ. ჩუდინოვი, ვ. პოტო, ალ. ჭავჭავაძე, დ. ყიფიანი, ი. ჭავჭავაძე. გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ივ. ჯავახიშვილი, ა.ფრონელი, ს. ავალიანი და სხვ.).

მოცემული ისტორიული პროცესის ზოგადი დახასიათება 1920-იან წლებში დაიწყო[21], შემდეგში ნაშრომები მიეძღვნა მთიანეთის 1804 წლისა და კახეთის 1812 წლის აჯანყებებს, 1819 — 1820 წლების იმერეთის აჯანყებას, 1832 წლის შეთქმულებას, გურიის გლეხთა 1841 წლისა და სამეგრელოს გლეხთა 1857 წლის აჯანყებებს, აფხაზეთის 1866 წლისა და სვანეთის 1875—1876 წლების აჯანყებებს[22].

ეს აჯანყებები სხვადასხვა ნაშრომში არათანაბარი სიღრმითა და სისრულითაა გაშუქებული, სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა დროს გაშლილი მოქმედებანი თუ აჯანყება ერთმანეთისაგან რამდენადმე იზოლირებულადაა წარმოდგენილი.

ამასთანავე XIX ს-ის რეფორმამდელ, მეტადრე პირველი მესამედის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის და, კერძოდ, გლეხთა აჯანყებების ბუნების განსაზღვრისას თავი იჩინა აზრთა პრინციპულმა დაპირისპირებამ. ზოგს მიაჩნდა, რომ ეს იყო რესტავრატორული ფეოდალურ-მონარქისტული მოძრაობა, სხვები ხაზს უსვამდნენ ამ მოძრაობის ორმაგ ბუნებას — ანტიბატონყმურ და ანტიკოლონიურ ხასიათს. ზოგი ავტორი ყურადღებას ამახვილებდა ამ მოძრაობაში ფეოდალური ელემენტების მონაწილეობაზე და მასში

---

[21] ს. ხუნდაძე. გლეხთა მოძრაობა საქართველოში (კონსპექტური ნარკვევი), იხ. ჟურ. „რევოლუციის მატიანე", 1929, № 2/22; Ф. Е. Махарадзе, Г. В. Хачапуридзе. Очерки по истории рабочего и крестьянского движения в Грузии. 1932 და სხვ.

[22] ვ. ტოგონიძე., ქართლის მთიანეთის გლეხთა აჯანყება, თბ., 1951; ა. კიკვიძე, გლეხთა აჯანყება კახეთში 1812 წელს, თბ., 1941; О. П. Маркова, Восстание в Кахетии в 1912 году, М., 1951; Н. Б. Махарадзе, Восстание в Имеретии 1819—1820 годов, 1942; З. Н. Ванеев, Крестьянский вопрос и крестьянское движение в Юго-Осетии в XIX веке, Сталинири, 1956; გ. ხაჟაპურიძე, გურიის აჯანყება 1841 წელს, თბ., 1951; დ. ლემონჯავა, გლეხთა აჯანყება სამეგრელოში 1856—1857 წლებში, თბ., 1957; Г. А. Дзидзария, Восстание 1866 года в Абхазии, Сухуми, 1955; მ. ახობაძე., გლეხთა მოძრაობა საქართველოში საგლეხო რეფორმის წინ, თბ., 1953; ა. ჩარკვიანი, სვანეთი, თბ., 1967; გ. გასვიანი, დასავლეთ საქართველოს მთიანეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1979 და სხვ.

ორ ნაკადს არჩევდა; ამასთანავე, მოცემულ მოვლენას ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობად მიიჩნევდა (ა. კიკვიძე). ნ. ბერძენიშვილის აზრით, XIX ს-ის პირველი მეოთხედის საქართველოს გლეხთა მოძრაობა ანტირეაქციულია და არა ანტიბატონყმური. ამ ბოლო ხანს ჩვენს ისტორიოგრაფიაში შეინიშნება მოცემული მოძრაობის ორმაგი ბუნების, — ანტიბატონყმურ და ანტიკოლონიურ გამოსვლად აღიარების ტენდენცია (ნ. როდონაია და სხვ.)[23].

დავის საგანია 1832 წლის საიდუმლო ორგანიზაციის შეფასებაც. არაერთი ავტორის აზრით, შეთქმულებაში შეინიშნება სხვადასხვა პოლიტიკური ტენდენცია (რეაქციული თავადაზნაურული და პროგრესული დემოკრატიულ-რესპუბლიკური მიმდინარეობანი). ამ აზრს ავითარებენ ა. კიკვიძე, მ. გოცაძე და სხვ. ამასთანავე ეხვდებით შეთქმულების ერთობ უარყოფით ან მთლიანად დადებით შეფასებასაც.

XIX ს-ის ქართული კულტურისა და საზოგადოებრივი აზროვნების მეცნიერული კვლევა უაღრესად გაფართოვდა და გაღრმავდა საბჭოურ პერიოდში. უკვე 20 — 30-იან წლებში გამოქვეყნდა კ. კეკელიძის, ვ. კოტეტიშვილის, კ. კაპანელის, ს. ხუნდაძის, გრ. გიორგაძის, გ. ქიქოძის, ს. კაკაბაძის, მ. ზანდუკელის, ლ. ასათიანის, ქრ. რაჭველიშკილის და სხვათა ვრცელი განმაზოგადებელი ნაშრომები მთლიანად ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის თუ ცალკეულ მწერალთა და მოაზროვნეთა შესახებ[24], რომლებშიც, დროის ვითარებით გამოწვეული უსრულობისა და უზუსტობის მიუხედავად, თავმოყრილი და სისტემატიზებულია არქივებსა და პრესაში გაბნეული დიდძალი ფაქტობრივი მასალა და პირველადაა მოცემული ახალი ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების წარმოშობისა და განვითარების ეტაპების, მიმდინარეობათა, იდეურ წყაროთა კლასობრივი შინაარსის მეცნიერული დახასიათება. შემდეგ პრობლემის კვლევაში დიდი წვლილი შეიტანეს შ. ნუცუბიძის, ს. ჯანაშიას, ნ. ბერძენიშვილის, გ. ლეონიძის, შ. რადიანის, ბ. ჟღენტის და სხვათა გამოკვლევებმა[25].

უკანასკნელი 30 — 40 წლის განმავლობაში ახალი ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისა და ლიტერატურის ისტორიას ვრცელი ნაშრომები უძღვნეს პ. ინგოროყვამ, პ. გუგუშვილმა, გ. ჯიბლაძემ, ლ. გორგილაძემ, ა. სურგულაძემ, მ. კვესელავამ, ი. ანთელავამ ვ. დონდუამ, პ. რატიანმა, ა. კიკვიძემ, ი. კაჭარავამ, ი. ბოცვაძემ, მ. დუდუჩავამ, ვ. ბახტაძემ, გ. მეგრელიშვილმა, გ. ზაქარიაძემ, ა. კენჭოშვილმა, ა. ჩავლეიშვილმა, დ. გამეზარდაშვილმა, გ. რუსიამ, ა. მახარაძემ, ვ. ვახანიამ, ს. ავალიანმა, თ. კუკავამ, ვ. გაგოიძემ, კ. მეძველიამ, ო. ჭურღულიამ, ა. ქუთელიამ, ლ. ებანოიძემ მ. გოცაძემ, ა ნიკოლაძემ, გ. აბზიანიძემ, ვ. შადურმა, ვ. დონაძემ, ზ. შველიძემ, ს. ბერა-

---

[23] ნ. რ ო დ ო ნ ა ი ა, საქართველოს გლეხთა მოძრაობის ისტორიოგრაფია, თბ., 1980.

[24] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ძველი მწერლობის ისტორია, ტ. I—II, თბ., 1923—1924; ვ. კ ო ტ ე ტ ი შ ვ ი ლ ი, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I—III, ქუთაისი, 1925—1927; კ. კ ა პ ა ნ ე ლ ი, ქართული სული ესთეტიკურ სახეებში, თბ., 1926; ს. ხ უ ნ დ ა ძ ე, სოციალიზმის ისტორიისათვის საქართველოში, ტ. I—II, თბ., 1926 — 1927; მ. ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი, ახალი ქართული ლიტერატურა ტ. I—II, თბ., 1932—1933; ლ. ა ს ა თ ი ა ნ ი, ვოლტერიანობა საქართველოში, თბ., 1933; გ. ქ ი ქ ო ძ ე, ნარკვევები, თბ., 1939.

[25] შ. ნ უ ც უ ბ ი ძ ე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. I—II; შ. რ ა დ ი ა ნ ი, ახალი ქართული ლიტერატურა, ტ. I—II.

ძემ გ. თოდუამ, მ. გაფრინდაშვილმა, ა. ბენდიანიშვილმა და სხვა მრავალნა ისტორიკოსმა, ფილოსოფოსმა, ლიტერატორმა, ეკონომისტმა[26].

ახალი ქართული კულტურისა და საზოგადოებრივი აზროვნების როგორც რეოლუციამდელი, ისე რევოლუციის შემდეგდროინდელი ორმოცწლიანი კვლევის ყველა მონაპოვარმა მოამზადა პირობები აღნიშნული პრობლემების მეტი სიღრმე-სისრულით შესწავლისათვის. 60—70-იან წლებში გამოქვეყნებულ ნაშრომებში მოცემულია შედარებით სწორი და დასაბუთებული მოსაზრებანი საქართველოს ეროვნულ და სოციალურ განმათავისუფლებელი მოძრაობის არსისა და ხასიათის შესახებ. თუმცა სხვადასხვა ნაშრომები ტერმინოლოგიით და შინაარსით მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაინც მათში გადმოცემული მდიდარი ფაქტობრივი მასალა, ავტორთა სათანადო დასკვნები და შესაბამისი განზოგადებანი ბოლოს უღებს ნიჰილიზმის, სქემატიზმისა და ვულგარიზმის ადრინდელ გამოვლინებებს და ნათელ წარმოდგენას გვაძლევს საზოგადოებრივი მოძრაობისა და საზოგადოებრივი აზროვნების არსებით შინაარსსა და ძირითად მიმართულებებზე, ხალხის მატერიალურ და სულიერ ყოფაზე, ლიტერატურისა და პრესის, განათლების, მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარების დონის შესახებ. სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ დამაჯერებლადაა დასაბუთებული, რომ XIX ს-ის საქართველოს სოციალური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა რუსეთის ხალხთა რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის და მსოფლიო რევოლუციური პროცესის შემადგენელი ნაწილი იყო. საკმაოდ ფართო აღიარება მოიპოვა იმ თვალსაზრისმაც, რომ ფეოდალიზმის რღვევისა და კაპიტალიზმის განვითარების პროცესის ამსახველი ახალი ქართული საზოგადოებრივი აზროვნება, ახალი განმანათლებლური იდეოლოგია ძველის წიაღში უკვე XVIII ს-ის მეორე ნახევრიდან ისახებოდა და XX საუკუნემდე განვითარების სამი ეტაპი განვლო; რომ XIX ს-ის ბოლო მესამედში ჯერ ისევ პროგრესული და დემოკრატიული ახალი იდეოლოგია წარმოგვიდგება სამი იდეური მიმდინარეობის სახით, რომელთა ეროვნული და სოციალური პროგრამები მესამე წოდების, ფართო, ძირითადად მშრომელი დემოკრატიის ინტერესებს გამოხატავდა. ამჟამად ჩვენი მკვლევრების დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ ახალ ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში ერთმანეთს განუყრელად უკავშირდებოდა განმანათლებლობა და ჰუმანიზმი, რევოლუციური დემოკრატიზმი და უტოპიური სოციალიზმი. ამ იდეათა მატარებელი ჩვენი მოღვაწენი სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის სათაეში

---

[26] პ. გუგუშვილი, ქართული ჟურნალისტიკა, ტ. I, თბ., 1941; კარლ მარქსი ქართულ პუბლიცისტიკასა და საზოგადოებრიობაში, თბ., 1952, პ. რატიანი, თერგდალეულთა რევოლუციური მოღვაწეობის ისტორიიდან, თბ., 1962; მისივე, ილია ჭავჭავაძე, მოღვაწეობა და აზროვნება, თბ., 1965; მისივე, Грузинские шестидесятники в русском освободительном движении, Тб., 1968; გ. ჯიბლაძე, კრიტიკული ეტიუდები, ტ. 1—4, თბ., 1950—1963. ლ. გორგილაძე, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიიდან, თბ., 1961; მ. კვესელავა; ფაუსტური პარადიგმები, ტ. 1—11, თბ., 1961; ი. ანთელავა, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიიდან, თბ., 1967; ვ. გაგოიძე, ფილოსოფიური აზრის ძირითადი მიმდინარეობანი მე-19 ს. საქართველოში, თბ., 1964; მ. გაფრინდაშვილი, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიის ნარკვევები, ტ. 1, 11, თბ., 1959—1976. დაწვრილებით იხ. ავტ. კოლ., საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 5, ი. ანთელავას რედ., თბ., 1970, გვ. 36—38; აგრეთვე, М. М. Гаприндашвили, Грузинское просветительство, Тб., 1977, გვ. 230—254.

იდგნენ და ობიექტურად იმ ახალი წყობილების იდეოლოგებად, მედროშეებად გამოდიოდნენ, რომელიც ფეოდალური და კაპიტალისტური ექსპლუატაციის მოსპობის შემდეგ უნდა აშენებულიყო.

მართალია, ახალი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ამგვარ დახასიათებას ყველა არ იზიარებს, მაგრამ ეს დებულებანი, ჩვენი აზრით, საამოცწლიანი ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიის მნიშვნელოვანი მონაპოვარია, რამდენადაც ისინი საკმაოდ დამაჯერებლად ხსნიან ახალი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების წარმოშობის, განვითარების, მისი ეროვნული და კლასობრივი ბუნების არსებით მხარეებს.

*

* *

საქართველოს ახალი ისტორიის პრობლემათა დამუშავებაში თავისი წვლილი შეაქვთ აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის მეცნერ მკვლევრებს.

თავის დროზე ქართველი და აფხაზი ხალხების ისტორიულ-კულტურულ ურთიერთობას და მეგობრობას ბრწყინვალე ნაშრომი მიუძღვნა ს. ჯანაშიამ. აღნიშნულ პრობლემას აშუქებენ თავის მონოგრაფიაში ზ. ანჩაბაძე და გ. ძიძარია[27].

საგძნობლად გაღრმავდა აფხაზეთის ისტორიული წარსულის კვლევა-ძიება. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აფხაზი და ქართველი ისტორიკოსების მიერ მომზადებული განმაზოგადებელი ნაშრომი და ამ ბოლო დროს გ. ძიძარიას მიერ გამოქვეყნებული მონოგრაფიები[28].

აჭარის ისტორიის საკითხები გაშუქებულია ს. ახვლედიანის, შ. მეგრელიძის, ვ. სიჯინავას, ო. თურმანიძის, ა. ჩხეიძის და სხვ. ნაშრომებში. სამხრეთ ოსეთის ისტორიის გლეხთა მოძრაობა შესწავლილია ზ. ვანეევის მონოგრაფიაში[29].

ქართული საბჭოური ისტორიული მეცნიერების საერთო აღმავლობამ, კონკრეტული გამოკვლევების მომრავლებამ შესაძლებელი გახადა განმაზოგადებელი ნაშრომებისა და სახელმძღვანელოების შექმნა.

1958 წ. გამოქვეყნდა საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელო, რომლის XIX ს-ის მონაკვეთის ავტორებია მ. დუმბაძე და პ. რატიანი. უფრო ვრცლად ეს პერიოდი გაშუქებულია 60-იან წლებში გამოცემულ საქართველოს ისტორიის სამტომეულის პირველ (XIX ს-ის რეფორმამდელი

---

[27] გ ი ო რ გ ი შ ე რ ვ ა შ ი ძ ე, ეპოსი, დრამა, ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს რედაქციითა და ნარკვევით, სოხუმი, 1946; З. В. А н ч а б а д з е, Г. А. Д з и д з а р и я, Дружба извечная, нерушимая, Сухуми, 1972.

[28] Очерки истории Абхазской АССР, Сухуми, 1960; Г. А. Д з и д з а р и я, Махаджирство и проблемы истории Абхазии XIX столетия, Сухуми, 1975; მ ი ს ი ე ვ, Формирование дореволюционной абхазской интеллигенции, Сухуми, 1979.

[29] ს. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, სახალხო-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, ბათუმი, 1957; შ. მ ე გ რ ე ლ ა ძ ე, აჭარის წარსულიდან, თბ., 1964; ო. თ უ რ მ ა ნ ი ძ ე, აჭარის სოფლის სოციალურ-ეკონომიური განვითარების ისტორიიდან, ბათუმი, 1973; ვ. ს ი ჯ ი ნ ა ვ ა, ბათუმის ისტორიიდან, ბათუმი, 1958; З. Н. В а н е е в, Крестьянский вопрос и крестьянское движение в Юго-Осетии в XIX веке, Сталинири.

ხანა) და მეორე წიგნებში (მ. დუმბაძე, პ. რატიანი, ა. კიკვიძე, ი. კაჭარავა, ა. სურგულაძე). ეს წიგნები განასახიერებდნენ ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში იმ დროს მიღწეულ დონეს.

XX ს.-ის 70-იან წლებში ქართველმა მკითხველმა მიიღო „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" რვატომეული, რომლის მეოთხე წიგნის ბოლო ნაწილში გაშუქებულია XIX ს-ის პირველი მესამედი, ხოლო მეხუთე ტომში — ქართველი ხალხის ისტორია XIX ს.-ის 30-იანი წლებიდან 1900 წლამდე.. „ნარკვევები" ერთგვარად აჯამებს ქართველ ისტორიკოსთა რამდენიმე თაობის მიერ გაწეულ მუშაობას; ასახავს ქართული ისტორიული მეცნიერების მიერ 60 — 70-იან წლებში მიღწეულ დონეს. ამ წიგნებში მრავალფეროვანი მასალის დეტალური ანალიზის საფუძველზეა გაშუქებული ქართველი ხალხის ერთსაუკუნოვანი სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების რთული პროცესი. შესწავლილი და ნაჩვენებია ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის რღვევა, კაპიტალისტური ურთიერთობის ჩასახვა და ახალი ფორმაციის განვითარება-დამკვიდრების ეტაპები, საქართველოს ისტორიული საზღვრების აღდგენა და ქართველი ერის კონსოლიდაცია, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მიმდინარეობათა ურთიერთობის ხასიათი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის განვითარების პერიოდები, გლეხთა აჯანყებები და პროლეტარიატის რევოლუციური ბრძოლის პირველი ნაბიჯები. „ნარკვევები" არა მარტო ასახავს ქართველ ისტორიკოსთა საბოლოო მუშაობის შედეგს, არამედ იგი საბჭოთა ისტორიული მეცნიერების შემდგომი წინსვლის მაჩვენებელიცაა.

ეს ისტორიოგრაფიული ნარკვევიც ცხადყოფს, რომ ქართულმა საბჭოურმა ისტორიოგრაფიამ 60 წლის მანძილზე თვალსაჩინო წარმატება მოიპოვა საქართველოს ახალი ისტორიის მეცნიერულად გამართვაში. ამასთანავე აღსანიშნავია ზოგიერთი პრობლემის არასაკმაო სიღრმით გაშუქება ან კიდევ სრულიად შეუსწავლელობა.

მნიშვნელოვანი ხარვეზი შეინიშნება არაერთი სამრეწველო რეგიონის (ალავერდი, ჭინკათხევი, ტყიბული) შესწავლაში. სპეციალურ მონოგრაფიულ გაშუქებას საჭიროებს რეფორმის მომდევნო ხანის საქართველოს ვაჭრობა. გამოსარკვევია შინაგანი ბაზის ტევადობა, რუსეთთან და უცხოეთთან სავაჭრო კავშირურთიერთობის ხასიათი, საგარეო ვაჭრობის ბალანსი და სხვ.

ზედმიწევნით გამორკვეულია უცხოური კაპიტალის პოზიციები ჭიათურის სამრეწველო რაიონში, მაგრამ ჯერ კიდევ შეუსწავლელია საერთოდ უცხოური, აგრეთვე რუსული კაპიტალის ადგილი და როლი საქართველოს ეკონომიკაში.

შესასწავლია ქართველი ეროვნული ბურჟუაზიის ჩამოყალიბების პროცესი, საჭიროა სავაჭრო და სამრეწველო ბურჟუაზიის კონტინგენტის დადგენა, მათი როლის გამოკვლევა. მონოგრაფიულ შესწავლას საჭიროებს აგრეთვე ბურჟუაზიული საქართველოს ქალაქები და საქალაქო ცხოვრება.

ჩამორჩება პოლიტიკური ზედნაშენის შესწავლის საქმე. გამოსაკვლევია საქართველოს მართვა-გამგეობის სისტემის განვითარების ეტაპები, შეფის მთავრობის კავკასიური ადმინისტრაციის ევოლუცია 117 წლის მანძილზე. ამოსავსებია საქალაქო თვითმმართველობათა ისტორიის შესწავლაში არსებული ხარვეზი.

დადგა დრო მეცნიერულ-მონოგრაფიულად შევისწავლოთ საქართველოს ბურჟუაზიული, წვრილბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიულ-სოციალისტური პარტიები, მათი ადგილი და როლი საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში.

არა ერთი ჩაეარდნა შეინიშნება საქართველოს გლეხთა მოძრაობის გაშუქებაში. ჯერ კიდევ არაა შემუშავებული გლეხთა მოძრაობის პერიოდიზაცია. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა გლეხთა ცალკეული აჯანყებების ურთიერთკავშირში გაშუქებას და გლეხთა კლასობრივი ბრძოლის დაბალი, პარტიული ფორმების შესწავლას, რაც აგრარული მოძრაობის ისტორიაში დიდ წყვეტილებს ქმნის, ამ რთულ მოვლენას რამდენადმე ამარტივებს. გლეხთა აჯანყებებთან ერთად და მათთან კავშირში კლასობრივი ბრძოლის დაბალი ფორმების დეტალური შესწავლა უფრო სრულ წარმოდგენას მოგვცემს გლეხთა მოძრაობის ეტაპებზე და მნიშვნელობაზე, შესაძლებელს გახდის გლეხთა აჯანყება-გამოსვლების ტიპოლოგიურ კლასიფიკაციას მათი ხასიათის მიხედვით. ამასთან ერთად გამოსარკვევია გლეხთა მოძრაობასთან დემოკრატიული ინტელიგენციის კავშირის ხასიათი, /მესასწავლია მოძრაობის პროცესში გლეხობის შეგნებულობის ზრდა, აგრეთვე გლეხთა მოძრაობის გავლენა ანტიბატონყმურ და გლეხურ-დემოკრატიული იდეოლოგიის ჩამოყალიბებაზე.

ჯერჯერობით, კარგად არ არის შესწავლილი ახალი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების. მოძრაობის და კულტურის ადრინდელი პერიოდი. კლასიკური ხანის ახალი საზოგადოებრივი აზროვნების შესწავლაშიც ზოგჯერ დაძლეული არაა სქემატიზმი, სათანადოდ არ არის გათვალისწინებული თანადროულ მსოფლიო აზროვნებასთან ქართული აზროვნების მიმართება, ანარადა, პირიქით, ჯერაც იგრძნობა არაქართველ მოაზროვნეებთან ქართველ მოაზროვნეთა მექანიკური გათანაბრების და „რომელიმე კარგად ცნობილ სქემაში მათი მოთავსების სურვილი"[30]. დღემდე არ მოგვეპოვება გამოკვლევა, რომელშიც ცოტად თუ ბევრად ვრცლად, სრულად და სისტემურად იქნებოდა გადმოცემული ახალი ქართული საზოგადოებრივი აზროვნების მთლიანი ისტორია. ამგვარი ნაშრომის შექმნა, ცხადია, ერთი ადამიანის ძალღონეს, აღემატება და სხვადასხვა დარგის ზემოხსენებულ მკვლევართა კომპლექსურ შრომას საჭიროებს, მათი კვლევითი მუშაობა კი ერთი ცენტრიდან კოორდინაციას მოითხოვს. იგივე უნდა ითქვას ახალი ქართული კულტურის მთლიანი ისტორიის შექმნაზეც.

ასეთია მოკლედ XIX ს-ის საქართველოს ისტორიის კვლევის მდგომარეობა დასაწყისიდან, საბჭოთა საქართველოს 60 წლისთავამდე და ის ამოცანები, რომლებიც ამ დარგის მკვლევართა წინაშე დგას უახლოეს მომავალში.

---

[30] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის შესწავლა ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავზე („საისტორიო წერილები", ტ. 1, 1968, გვ. 27).

მარიამ ლორთქიფანიძე

IV—XII საუკუნეების საქართველოს ისტორიის საკითხები ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში

IV — XII საუკუნეების საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში ქართულ საბჭოთა მედიევისტიკას მყარი ისტორიოგრაფიული საყრდენი ფაქტობრივად არ ჰქონია. შუა საუკუნეების საქართველოს წარსულის კვლევას საკმაოდ დიდი ტრადიცია აქვს, მაგრამ რევოლუციამდელი ბურჟუაზიული იდეოლოგიის ბატონობა აფერხებდა მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის დანერგვას, რაც თავისთავად სათანადო მეცნიერულ ეფექტს უკარგავდა კვლევას. თვით XIX საუკუნეშიც კი, როდესაც განსაკუთრებით აღორძინდა ისტორიული მეცნიერება ევროპაში, ჩვენში ჯერ კიდევ არ არსებობდა ეროვნული სამეცნიერო ცენტრი. რამდენიმე პროფესიონალი ისტორიკოსი (მ. ბროსე, ს. ბარათოვი) ვერ გაცდა „ქართლის ცხოვრების“ სქემას, თუმცა მათმა მოღვაწეობამ მნიშვნელოვნად გაამდიდრა საქართველოს ისტორია უცხოური წყაროებით, ეპიგრაფიკული მასალის მონაცემებით და რაც მთავარია, ბევრი მოვლენის ორიგინალური ანალიზით. შემდეგში ჩვენი ქვეყნის წარსულის ახლებურად გამრათვა სცადა დ. ბაქრაძემ, მან აუცილებლად ჩათვალა ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური სურათის წარმოჩენა, ხალხის ყოფის და ცხოვრების ნამდვილი სურათის აღდგენა. სამწუხაროდ, მის მიერ შემუშავებული გეგმის ვანხორციელებისათვის საჭირო წყაროთმცოდნეობითი ბაზა იმდროინდელ საქართველოში არ არსებობდა. საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობითი ბაზის გასაფართოებლად დიდი მუშაობა გასწია დ.ბაქრაძემ, ქართველმა ენთუზიასტმა მოღვაწეებმა (ალ. ცაგარელი, დ. ფურცელაძე, თ. ჟორდანია, მ. ჯანაშვილი, ე. თაყაიშვილი და სხვები) — მათ ფასდაუდებელი ღვაწლი დასდეს ეროვნულ ისტორიოგრაფიას ახალი წყაროების მოპოვებით თუ მათი გამოქვეყნება-კომენტირებით.

მაგრამ ქართული მედიევისტიკა ფაქტობრივად მაინც ივ. ჯავახიშვილის მეცნიერულ მოღვაწეობას უკავშირდება.

IV — XII სს. საქართველოს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური თუ კულტურის ისტორიის საკითხებს განსაკუთრებული ადგილი უკავიათ ივ. ჯავახიშვილის შემოქმედებაში. საგანგებოდ აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ივანე ჯავახიშვილს ეკუთვნის ამ პერიოდის საქართველოს ისტორიის მეცნიერული პერიოდიზაციის პირველი ცდა. ეს პეროდიზაცია ასეთია:

I — VII საუკუნეებში ჩვენში მონობაა, VII — IX სს. მონობიდან პატრონყმობაზე გარდამავალი ხანაა, ხოლო X — XV სს. პატრონყმობის ხანაა. რათა გასაგები იყოს ამ პერიოდიზაციის არსი, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისით „მონა“ ძველ ქართულში თანამედროვე გაგებით კი არ ნიშნავს „მონას“, არამედ კლიენტ-ყმას, ხოლო მისი კონტრა-

გენტი „უფალი“ იყო. ასე, რომ, ჯავახიშვილის თანახმად, I — VII საუკუნეებში „უფალმონობას“ ჰქონდა ადგილი, VII — IX საუკუნეები პატრონყმობაზე გარდამავალი ხანა იყო, ხოლო X საუკუნიდან დამკვიდრდა პატრონყმობა. პატრონყმობა კი, ჯავახიშვილის თანახმად, განვითარებული ფეოდალური ურთიერთობაა[1].

ივ. ჯავახიშვილმა გამოიკვლია და შეისწავლა ამ პერიოდის მიწისმფლობელობის ძირითადი ფორმის — „მამულის“ — ადრინდელი სახეობანი და მისი ევოლუციის საფეხურები, ძირითადი საზოგადოებრივი ფენების — „მდაბიოთა“ და „აზნაურთა“ — ევოლუცია, გამოავლინა მდაბიოთა სოციალური და კლასობრივი ბრძოლის ფაქტები. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამ ეპოქის ეკონომიკური ისტორიის რიგი საკითხების, ქალაქების, ვაჭრობა-ხელოსნობის, სახელმწიფო შემოსავლის და სხვა საკითხების შესწავლაში. განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა განვითარებული ფეოდალიზმის ხანის (ჯავახიშვილისეული ტერმინოლოგიით, პატრონყმობის) X — XIII სს. საქართველოს სახელმწიფო წყობილების, სამეფო ხელისუფლების ევოლუციის, საერისთავოთა სისტემის, უხუცესთა (უწყებათა მეთაურების) და სხვა მნიშვნელოვანი საკითხების შესწავლას.

როგორც ცნობილია, საკუთრივ საქართველოს ისტორიის ცალკეული საკითხების ახლებურად გააზრების ცდებს ადგილი ჰქონდა საუკუნის დამდეგსავე (ი. სტალინი, ა. წულუკიძე, ფ. მახარაძე და სხვები). ქართველი მარქსისტი ისტორიკოსების ეს პირველი თაობა ეწეოდა ბრძოლას ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ. ამ მიმართულებით განსაკუთრებით გამწვავდა ბრძოლა მიმდინარე საუკუნის 20-იან წლებში. მაგრამ ამ დროს ე. წ. „პოკროვსკის სკოლის“ ბატონობამ, რომელიც უარყოფდა ისტორიული მეცნიერებისათვის ფაქტობრივი მასალის აუცილებლობას და სოციოლოგიური სქემებით იფარგლებოდა, თავისი უარყოფითი გავლენა მოახდინა საბჭოური ისტორიოგრაფიის განვითარებაზე.

მოსაბრუნი ხანა საბჭოურ ისტორიოგრაფიაში 30-იანი წლებიდან იწყება. როდესაც ხდება ჭეშმარიტად მარქსისტულ-ლენინური მეთოდისა და მოძღვრების დამკვიდრება ისტორიულ მეცნიერებაში. ამ დროს დაიწერა შუა საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის რიგი საკითხებისადმი მიძღვნილი შრომები (ს. კაკაბაძე, გ. ნათაძე, გ. გიორგაძე და სხვ.), რომლებიც საქართველოს ისტორიის მარქსისტული მეთოდოლოგიის საფუძველზე განხილვას ისახავდნენ მიზნად. მაგრამ ამ შრომათაგან ნაწილი ფაქტობრივი მასალის სიღარიბეს განიცდიდა, ზოგი კი — მეთოდოლოგიურ სისუსტეს. ამავე დროს გამოდიან ასპარეზზე სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი, რომელთაც მკვიდრი მეცნიერული საფუძველი ჩაუყარეს ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიის განვითარებას.

20-იანი და 30-იანი წლების დასაწყისი არის ქართულ ისტორიოგრაფიაში მარქსისტული მეთოდოლოგიის დამკვიდრებისათვის ინტენსიური მუშაობის წლები.

ქართული მედიევისტიკის წინაშე იდგა ფეოდალიზმის ხანის საქართველოს მარქსისტულ-ლენინური ისტორიის შექმნის აუცილებლობის საკითხი.

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წ. II, ნაკე. I, თბ., 1928, გვ. 107; აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია და საქართველოს და სომხეთის ისტორიის მონაცემები— წიგნში: ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1961, დამატება I.

ამისათვის კი საჭირო იყო ფეოდალიზმის ხანის საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის, ფეოდალიზმის გენეზისისა და მისი შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემათა ახლებური კვლევა. ინტენსიური სამეცნიერო მუშაობა ქართული ფეოდალიზმის გენეზისისა და მისი პერიოდიზაციის პრობლემებზე უკვე 30-იანი წლების დასაწყისიდანვე მიმდინარეობდა. 1933 წ. გამოვიდა ჯანაშიას პირველი შრომა, რომელშიც ეს საკითხები იყო აღძრული და დაყენებული. ამ შრომაში მოცემულია ინტენსიური მეცნიერული მუშაობის წინასწარი შედეგები, რომლებიც შემდეგ, ავტორის მიერ დამუშავებულ იქნა და საბოლოოდ ჩამოყალიბდა მის კაპიტალურ შრომებში: „საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე“ (1937). „ფეოდალური რევოლუცია საქართველოში“ (1935), ს. ჯანაშიამ პირველმა შემოიტანა ქართულ ისტორიოგრაფიაში მარქსისტული ცნება „ადრინდელი ფეოდალიზმი“ და მოგვცა ფეოდალიზმის ორი პირველი ეტაპის პერიოდიზაცია. ჯანაშიას თანახმად IV საუკუნიდან იწყება ჩვენში „ადრინდელი ფეოდალიზმი“, ხოლო ფეოდალური კლასის მიერ ძალაუფლების ხელში აღების ხანად მას მიაჩნდა VI საუკუნე. მართალია, ს. ჯანაშია თავის შრომებში არ გამოყოფს საგანგებოდ მსჯელობას პერიოდიზაციის საკითხებზე, მაგრამ მისი შრომების ანალიზიდან ჩანს, რომ VI — VIII სს. მას გამარჯვებული ფეოდალიზმის შემდგომი განმტკიცების, ხოლო IX — X სს. საქართველოს ფეოდალური დაშუცმაცებულობის, ფეოდალურ ურთიერთობათა გაღრმავების, ახალ ფეოდალურ სამეფო-სამთავროთა წარმოშობისა და ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის შექმნისათვის ბრძოლის ხანად მიაჩნდა. საბოლოოდ IV — X საუკუნეები ჯანაშიასეული პერიოდიზაციით ადრინდელი ფეოდალიზმის ხანაა საქართველოში, ხოლო X — XIII საუკუნეები მას მიაჩნია ჩვენში ფეოდალური ურთიერთობის აყვავების ხანად[2].

შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის ამ ორი პირველი პერიოდის ჯანაშიასეული პერიოდიზაცია ძირითადად დღესაც გაზიარებულია ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში. გარკვეული კორექტივი იქნა შეტანილი პერიოდიზაციის ამ სისტემაში 1958 წელს გამოსულ საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოში (რედაქტორი და ამ პერიოდის ავტორი ნ. ბერძენიშვილი). ამ სახელმძღვანელოში „ადრეფეოდალურ ხანად“ აღიარებულ იქნა VI — X საუკუნეები, განვითარებული ფეოდალიზმის ხანად მიჩნეულია X — XIX საუკუნეები, ოღონდ განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში გამოყოფილია პირველი, ფეოდალური ურთიერთობის აღმავალი განვითარების ეტაპი XI — XIII სს. (60-იან წლებამდე). საქართველოს ისტორიის მრავალტომეულის სათანადო ტომებში გაზიარებულია ჯანაშიასეული პერიოდიზაცია[3].

მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აღნიშნული პერიოდიზაციის შინაგანი პერიოდების გამოყოფასა და დამუშავებაში ნ. ბერძენიშვილმა. ის წერდა: „ქართული ფეოდალიზმის ძირითადი ეტაპები ჩვენ შემდეგნაირად შეიძლება

---

[2] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ადრინდელი ფეოდალიზმი, ნაკვ. III, თბ., 1933; იხ. ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, ტ. II; მ ი ს ი ვ ე, საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIII საუკუნის დამდეგამდე, შრომები, ტ. II; С. Н. Д ж а н а ш и а, О времени и условиях возникновения Абхазского царства, შრომები, ტ. II;. ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველოს ისტორია, I, 1943, ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს რედაქციით.

[3] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბ., 1970, ტ. III, 1979.

წარმოვიდგინოთ: ადრეფეოდალური ხანა VI საუკუნიდან X საუკუნის შუამდე. შუა ფეოდალური ხანა X საუკუნის ნახევრიდან XII საუკუნის მიწურულამდე". ამასთანავე ადრეფეოდალურ ხანას ნ. ბერძენიშვილი ორ ქვეპერიოდად ყოფდა. ნ. ბერძენიშვილის აზრით, VI — VIII საუკუნეებში მთავრდება ჩვენში ადრეფეოდალური სახელმწიფოს პოლიტიკური ორგანიზაციის ფეოდალურ საფუძველზე მოწყობა[4]. აღნიშნული პერიოდიზაციის მიმართ კრიტიკული შენიშვნები 1963 წელს ივ. სურგულაძემ გამოთქვა, ადრეფეოდალური ხანის ქრონოლოგიურ საზღვრებად ის VI — VIII სს. გვთავაზობდა[5]. ამ ტრადიციულ თვალსაზრისს არ იზიარებს გ. მელიქიშვილი, რომელიც თვლის, რომ XI — XII საუკუნეების „ძირითადი შინაარსი მდგომარეობდა განვითარებულ ფეოდალიზმზე გადასვლაში[6]. რომ საქართველოს ფეოდალიზმის ხანის, და კერძოდ პირველი ორი ეტაპის პერიოდიზაციის საკითხი შენიშვნებს იმსახურებს, ამის დასტურად 1978 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მიერ ჩატარებული სამეცნიერო სესია გამოდგება, რომელიც ფაქტობრივად წარმოადგენდა დისკუსიას აღნიშნულ საკითხზე. დისკუსიამ ცხადყო, რომ მკვლევართა შორის ამ საკითხში არ არსებობს ერთიანი შეხედულება.

ფეოდალიზმის ხანის საქართველოს ისტორიის პირველი ორი პერიოდის ქრონოლოგიური საზღვრის საკითხი მჭიდროდ უკავშირდება ჩვენში ბატონყმობის გამარჯვების თარიღის პრობლემას. აღნიშნულ საკითხზე ქართულ ისტორიოგრაფიაში იყო და ახლაც არის აზრთა სხვადასხვაობა. ივ. ჯავახიშვილი ბატონყმობის საბოლოო გამარჯვებას XV საუკუნით ათარიღებდა. ასეთ დათარიღებას არაერთი მკვლევარი უჭერდა მხარს. თავის დროზე ს. ჯანაშიამ ბატონყმობის გამარჯვების, ე. ი. გლეხობის საბოლოოდ მიწაზე მიმაგრების დროდ XII ს. სცნო. აღნიშნულ თარიღს მხარი დაუჭირა ნ. ბერძენიშვილმა, რომელმაც ეს დებულება სათანადო საბუთიანობით შეამაგრა. მწარმოებელი საზოგადოების, მდაბიო-მსოფლიოთა, გლეხობის სხვადასხვა კატეგორიების, გლეხთა კლასის ჩამოყალიბებისა და გლეხთა მიწაზე მიმაგრების პრობლემამ ფართო ასახვა პოვა ქართველ ისტორიკოსთა შრომებში. ამჟამად აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ბატონყმობის საბოლოო დამკვიდრების თარიღი: IX — X, XII თუ XIII — XIV სს. ბატონყმობის საბოლოო გამარჯვების თარიღის საკითხისათვის, ეფიქრობთ, ანგარიშგასაწევია ქართული დოკუმენტური და სამართლის ძეგლების მონაცემები, რომელთა ანალიზი გლეხობის კლასად ჩამოყალიბებასა და მათ მიწაზე მიმაგრებას X საუკუნეზე გვიან არ უნდა უთითებდეს. ანგარიშგასაწევია ის გარემოება, რომ სელჩუკთა შემოსევებმა და ბატონყმობამ შეაფერხა ეს პროცესი, მაგრამ

---

[4] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, საქართველოს ისტორიის საკითხები, V, 1971; მ ი ს ი ვ ე, საქართველოს ისტორია XIII—XIV სს. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, 1965.

[5] ი ვ. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე, საქართველოს ისტორიის პერიოდიზაციის ზოგიერთი საკითხისათვის, თსუ შრომები, ტ. 94, 1963; იმდროინდელმა ქართულმა ისტორიოგრაფიამ არ გაიზიარა სურგულაძისეული პერიოდიზაცია, იხ. შ. მ ე ს ხ ი ა, ადრეფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის ძირითადი პერიოდები, წგნ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, გვ. 12-13);

[6] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი. თბ., 1973, გვ. 73;

XII საუკუნეში ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების დამყარებას ამ პროცესის დამთავრებისათვის უნდა შეეწყო ხელი[7].

ქართული ფეოდალიზმის ბუნების და მისი თავისებურებების გარკვევისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფეოდალიზმის გენეზისის პრობლემას. ს. ჯანაშიამ ფეოდალური საზოგადოების ჩამოყალიბება განიხილა, როგორც სასოფლო თემის დაშლის შედეგი. აღნიშნულთან დაკავშირებით დგება ფეოდალური მიწისმფლობელობის ფორმების ჩამოყალიბების საკითხი, სახელდობრ, აგარაკის როლის და ადგილის განსაზღვრა, როგორც თემიდან გამოყოფილი, კერძო მფლობელობაში მყოფი ნაკვეთისა, რომელშაც, ჩანს, ევოლუციის ისეთივე გზა განელო, როგორიც ევროპულმა ალოდმა. ქართულ ისტორიოგრაფიაში შესწავლილია ფეოდალური მიწისმფლობელობის სხვადასხვა ფორმების არსებობა, ნასყიდი მიწის მნიშვნელობა ფეოდალური მსხვილი მიწისმფლობელობის და მიწის საკუთრების განვითარებაში[8].

მწარმოებელი საზოგადოების პარალელურად იმთავითვე იდგა დღის წესრიგში ფეოდალური საზოგადოების მეორე კონტრაგენტის, აზნაურ-წარჩინებულთა ევოლუციისა და მათი კლასად ჩამოყალიბების ისტორიის შესწავლა. ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში შესწავლილია ადრეფეოდალური ხანის გაბატონებული საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენელთა როლი და ადგილი ქვეყნის ისტორიაში, ადრეფეოდალური ხანისათვის დაშახასიათებელი მრავალწყობიანობის ნაშთების თანდათანი ლიკვიდაციისა და გაბატონებული საზოგადოების ერთ აზნაურთა კლასად (წოდებად) ჩამოყალიბების პროცესი, ხოლო შემდეგ, უკვე განვითარებული ფეოდალიზმის ხანაში, აზნაურობიდან, თანდათან დიდებულთა ფენის გამოყოფა და მისი ცალკე წოდებად ჩამოყალიბება[9].

შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება IV საუკუნეს, როდესაც ქრისტიანობა სახელმწიფო რელი-

---

[7] ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIII ს-ის დამდეგამდე; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია XII—XIV სს. იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, 1965; მ. ლორთქიფანიძე, სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან XII ს. საქართველოში, იხ. კრ. საქართველო რუსთაველის ხანაში, 1966; მ. ბერძნიშვილი, საქართველო XI—XIII საუკუნეებში, 1971; გ. ჯამბურია, ბატონყმობის გამარჯვების საკითხისათვის, „მაცნე", ისტორიის სერია, 1979, № 4; გ. მელიქიშვილი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, 1973.

[8] ს. ჯანაშია, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები, 1; ნ. ბერძენიშვილი, ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვება საქართველოში. საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, 1978; ივ. სურგულაძე, საკუთრების უფლების ინსტიტუტი ფეოდალურ საქართველოში, თსუ შრომები, XXXVII, 1949; მ. ლორთქიფანიძე, მიწისმფლობელობის ფორმების საკითხისათვის IX—X სს. საქართველოში, იხ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 34, 1962; Г. Меликишвили, К истории древней Грузии, 1959; ა. ბოგვერაძე, ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური განვითარება IV—VIII სს., თბ., 1979; ბ. ლომინაძე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, 1, თბ., 1966 და სხვ.

[9] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წ. I, წ. II; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია XIII—XIV სს. საქართველოს ისტორიის საკითხები, II; მ. ლორთქიფანიძე, ძირითადი საზოგადოებრივი კლასები IX—X სს. საქართველოში, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების „მოამბე", 1960, № 1; მ. ბერძნიშვილი, საქართველო XI—XIII სს. და სხვ.

ვიად იქნა გამოცხადებული. ქრისტიანობა ჩვენში შემოვიდა როგორც აღმავალი ფეოდალური კლასის იდეოლოგია და ამ ახალი კლასის პოლიტიკური ბატონობის ერთ-ერთი იარაღი. ივ. ჯავახიშვილმა შეისწავლა საქართველოში ქრისტიანული რელიგიის შემოსვლის გზების, გავრცელებისა და სახელმწიფო რელიგიად აღიარების საკითხები. ს. ჯანაშიამ ამ მოვლენის კლასობრივ-სოციალურ ფაქტორზე საგანგებოდ გაამახვილა ყურადღება და საერთაშორისო ვითარების მნიშვნელობაზე მიუთითა. მართალია ქრისტიანობის მიღების თარიღი დღესაც აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, მაგრამ, ჩანს, მართებული უნდა იყოს მოსაზრება ამ მოვლენის IV ს-ის 30-იანი წლებით დათარიღების შესახებ. მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ პოლიტიკური მოსაზრებით, დასავლეთ საქართველოში, სადაც ქრისტიანობა ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდანვე იყო გავრცელებული, ხელოვნურად შეყოვნდა მისი ოფიციალურ რელიგიად აღიარება. თუმცა, ვფიქრობთ, მართებული უნდა იყოს თვალსაზრისი, რომ მსგავსად ქართლისა, ეგრისშიც ქრისტიანობის ოფიციალურ კულტად აღიარება IV ს. 20 — 30-იან წლებში მოხდა. მაგრამ შემდეგ, სწორედ პოლიტიკურმა მიზეზებმა განაპირობეს სამეფო სახლის მერყეობა ამ მხრივ და VI ს-ის 20-იან წლებში მომხდარი აქტი განმეორებითი უნდა იყოს. ქართულ ისტორიოგრაფიაში დადგენილია ჩვენში ქრისტიანობის შემოსვლის ორი გზის არსებობა: იერუსალიმ-სირიიდან და რომ-ბიზანტიიდან. აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ქართული ეკლესიის კანონიკური წყობილების, ანტიოქიაკონსტანტინოპოლთან თუ სომხეთის ეკლესიასთან დამოკიდებულების, ავტოკეფალიის მოპოვების და სხვა საკითხები.

ქართველ ისტორიკოსთა კვლევის საგანია ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის საკითხები. ქართულ ისტორიოგრაფიაში შესწავლილია როგორც მსხვილი საეკლესიო სენიორიების წარმოშობისა და ევოლუციის ისტორია, ასევე ამ სენიორიების როლი ეკონომიკურ განვითარებასა და მის სოციალურ-კულტურულ ცხოვრებაში. საგანგებო ყურადღება ეთმობა ეკლესიის იმუნიტეტის საკითხს და სახელმწიფოსადმი ეკლესიის დაქვემდებარების მნიშვნელობას ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისა და თვითმპყრობელობის დამყარებისათვის[10].

---

[10] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, წ. II; ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველო ადრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები, 1, 1949; ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან, 1948; მ ი ს ი ვ ე, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, 1, 1960; IV, 1952; ს. გ ო რ გ ა ძ ე, წერილები საქართველოს ისტორიიდან, ძველი საქართველო, ტ. II; მ ი ს ი ვ ე, საქართველოს ძველი ისტორია, ქუთაისი, 1920; ნ. ლ ო მ ო უ რ ი, ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968; მ ი ს ი ვ ე, ნარკვევები ქართლის (იბერიის) სამეფოს ისტორიიდან, თბ., 1967; კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, კანონიკური წყობილება ძველ საქართველოში, ეტიუდები. IV, 1957; ა. ბ ო გ ვ ე რ ა ძ ე, ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV—VIII სს. 1979; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო წესწყობილება, საქართველოს ისტორიის საკითხები, V, 1970; მ ი ს ი ვ ე, სავაზირო ფეოდალურ საქართველოში, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, 1966; ბ. ლ ო მ ი ნ ა ძ ე, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა VIII—XIII სს. საქართველოში, კრ. საქართველო რუსთაველის ხანაში, 1966; პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, გიორგი მერჩულე, 1954; მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, თბ., 1963; მ ი ს ი ვ ე, ქართლი V ს-ის მეორე ნახევარში, თბ., 1979; З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии, 1958; ზ. ა ლ ე ქ ს ი ძ ე, ეპისტოლეთა წიგნი, თბ.,1972.

ქართული ფეოდალური სახელმწიფოს ისტორიის თვალსაზრისით ჩვენს ისტორიოგრაფიაში სათანადოდ არის შეფასებული ქართული მიწების ერთ სახელმწიფოდ გაერთიანების ის ტენდენცია, რომელიც უძველესი დროიდან შეიმჩნევა.

განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი IX — X სს. ქართულ პოლიტიკურ ერთეულთა შორის საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის პროცესს და ამ ბრძოლაში ისტორიული შიდა ქართლის ადგილსა და მნიშვნელობას. ქართულ ისტორიოგრაფიაში საგანგებოდაა აღნიშნული ამ პროცესის მნიშვნელობა და ბრძოლის შედეგად ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს ჩამოყალიბება. აღნიშნულია ისიც, რომ ქართული მიწების პოლიტიკური გაერთიანებისათვის ბრძოლის თანადროულად მიმდინარეობს ერთიანი ქართული ფეოდალური ხალხის ჩამოყალიბება და ერთიანი ქართული კულტურისა და თვითშეგნების შექმნა. გ. მელიქიშვილმა დააყენა საკითხი საერთოდ და კერძოდ საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლის ხანაში არსებული ქართული სამეფო-სამთავროების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების რეგიონალური შესწავლის აუცილებლობის შესახებ. მართალია, ჩვენში იყო დიფერენცირებული მიდგომა მთისა და ბარის განვითარების საკითხში, მაგრამ გ. მელიქიშვილის მიერ საკითხი ახლებურადაა დაყენებული. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კვლევის ამგვარი მიმართულება რიგ საკითხებს მოფენს "შუქს"[11].

ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში იმთავითვე სერიოზული ყურადღება ჰქონდა დათმობილი ეკონომიკური ისტორიის საკითხებს. ივ. ჯავახიშვილმა თავისი ფუნდამენტური გამოკვლევებით საქართველოს ეკონომიკურ ისტორიაზე მყარი მეცნიერული საფუძველი შეუქმნა ამ დარგში შემდგომ კვლევას. გამახვილდა ყურადღება მიწის ფეოდალური საკითხების ფორმების ევოლუციასა და მსხვილი ფეოდალური მიწისმფლობელობის ჩამოყალიბების საკითხებზე. განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება ქალაქების ისტორიის კვლევას. ქართული ფეოდალური ქალაქების გენეზისის, ახალი ფეოდალური ქალაქების ჩამოყალიბების, ფეოდალური ქალაქების როლის საკითხს ქვეყნის ცხოვრებაში საგანგებო გამოკვლევები მიეძღვნა. ახსნილია ჩვენში ახალი ფეოდალური ქალაქების წარმოშობის გზები, ქალაქების, როგორც საეკლესიო-სახელოსნო ცენტრების, პოლიტიკური ცენტრების, საეკლესიო სენიორიების ცენტრების მნიშვნელობა და სხვ. სათანადოდაა გამახვილებული ყურადღება საგაჭრო გზების მნიშვნელობასა და საერთაშორისო ვაჭრობაზე, წერილობით წყაროებთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საერთოდ ეკო-

---

[11] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. ქართველი ერის ისტორია, წ. II; ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. საქართველოს ისტორია უძველესი დროიდან XIII ს. დამდეგამდე, შრომები, II; პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა, გიორგი მერჩულე, 1954; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, 1975; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ეახტანგ გორგასალი, 1958; ზ. ა ლ ე ქ ს ი ძ ე, ეპისტოლეთა წიგნი; З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии; დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის განვითარების ძირითადი საკითხები, თბ., 1977; მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ქართლი V ს-ის მეორე ნახევარში, 1978; მ ი ს ი ვ ე, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება, 1963; თ. პ ა პ უ ა შ ვ ი ლ ი, ჰერეთის ისტორიის საკითხები, 1970; შ. ბ ა დ რ ი ძ ე, „ქართველთა სამეფოს" პოლიტიკური სტრუქტურის ისტორიიდან, თსუ შრომები, გვ. 113, 1965; გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება და საქართველოში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების ზოგიერთი საკითხი, 1973.

ნომიკური ისტორიისა და კერძოდ ქალაქების ისტორიისათვის ფეოდალიზმის ხანის არქეოლოგიური მასალის გამოყენებას[12].

შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიოგრაფიაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს მმართველობის სისტემის ჩამოყალიბების საკითხს. VI ს-ის 70-იან წლებში მომხდარი მოვლენები ს. ჯანაშიამ შეაფასა როგორც ფეოდალთა კლასის მიერ ძალაუფლების ხელში აღება და ფეოდალური ზედაფენის მიერ თავის წრეში უპირველესის, ერისთავრის არჩევა. ნ. ბერძენიშვილმა ქვეყნის საბოლოოდ მოწყობა ფეოდალური ურთიერთობის საფუძველზე, VIII ს-ის 40—50-იანი წლების რეფორმებს დაუკავშირა.

ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური სტრუქტურის შესწავლის საკითხში აღსანიშნავია ი. ჯავახიშვილის, ს. კაკაბაძის, ნ. ბერძენიშვილის, შ. მესხიას და სხვათა ნაშრომები.

დიდი ყურადღება დაეთმო ე. წ. „კარაკისელთა“ პრობლემას, სხვა ეროვნებისა და სარწმუნოების ხალხებისადმი დამოკიდებულების საკითხს[13].

ქართულმა საბჭოურმა ისტორიოგრაფიამ იმთავითვე დააყენა თავისი მეცნიერული კვლევის დღის წესრიგში კლასობრივი ბრძოლის შესწავლის აუცილებლობის საკითხი. ფეოდალიზმის ხანაში კლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ ურთიერთობათა განმტკიცებასთან ერთად მწვავდება. თაედაპირველად ის ვლინდება თავისუფალ მწარმოებელთა ბრძოლაში ფეოდალური უღლის დადების წინააღმდეგ, ხოლო შემდეგ ფეოდალურ ვალდებულებათა სიმძიმის წინააღმდეგ ბრძოლაში. ქართულ ისტორიოგრაფიაში შესწავლილია კლასობრივი ბრძოლის პასიური და აქტიური ფორმები, გამოვლენილი ფეოდალურ ვალდებულებათა წინააღმდეგ გამოსვლებში. მსხვილი საერო და საეკლესიო-სამონასტრო მიწისმფლობელობის შექმნის წინააღმდეგ ბრძოლებში, ორგანიზებულ გამოსვლებში ქრისტიანობის დამკვიდრების წინააღმდეგ, ქართველ მთიელთა ბრძოლაში ფეოდალურ ვალდებულებათა წინააღმდეგ და სხვ. ჩვენ ხელთ არსებული წყაროების ხასიათი, მათი ტენდენციურობა აძნელებს კლასობრივი და შიდაკლასობრივი ბრძოლის მთელიანი და უტყუარი სურათის წარმოჩენას, მაგრამ კვლევაძიების მარქსისტული მეთოდი, წყაროთა ჩვენებების მკაცრი კრიტიკული ანალიზი, იძლევა კლასობრივი ბრძოლის სხვადასხვა სტადიებისა და ფორმების დადგენის შესაძლებლობას[14].

---

[12] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, 1906, 1931, 1934 წწ; Ш. А. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, 1959; შ. მ ე ს ხ ი ა, საქალაქო კომუნა შუა საუკუნეების თბილისში, 1962; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, გზები რუსთაველის/ეპოქის საქართველოში, 1966; დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი. უჯარმა, 1966; ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, I, 1968, II, 1970.

[13] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ. 1, წ. II; მ ი ს ი ვ ე, ქართული სამართლის ისტორია, I—II; ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ფეოდალური რეფორმაცია საქართველოში, შრომები, 1, 1949; ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, 1974; მ. ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველო XI—XII საუკუნეებში; რ. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, შინაკლასობრივი ბრძოლა ფეოდალურ საქართველოში, 1973; ა. ბ ო გ ვ ე რ ა ძ ე, ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება; შ. მ ე ს ხ ი ა, საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობა XII საუკუნის საქართველოში, თბ., 1979; ვ. ა ბ ა შ მ ა ძ ე, ნარკვევები პოლიტიკურ მოღვაწეობათა ისტორიიდან, თბ., 1969; მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობის წარსულიდან, თსუ შრომები, გვ 125, თბ., 1968.

[14] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. გლეხთა მოძრაობის ისტორიის ერთი ფურცელი ძველ სომხეთში, უნივერსიტეტის „მოამბე“, 1922—23, ტ. II; ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ბრძოლა მიწის ფეოდალური მითვისებისათვის ძველ საქართველოში, შრომები, II, 1949; მ ი ს ი ვ ე, შრომები, ტ. I,, და სხვ.

ქართველ ხალხს უძველესი დროიდანვე მჭიდრო სამხედრო-პოლიტიკური თუ კულტურული ურთიერთობა ჰქონდა მეზობელ ხალხებთან. ქართველ ხალხს საუკუნეთა მანძილზე უხდებოდა თავდაცვა მრავალ დამპყრობთაგან. საქართველოს ურთიერთობა მეზობელ ხალხებთან სათანადოდ აისახა მრავალრიცხოვან წყაროებში და ეს საკითხები გაშუქებულია ქართულ საბჭოურ სამეცნიერო ლიტერატურაში.

უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე განსაკუთრებით ინტენსიურად გაიშალა კვლევა-ძიება ქართული ფეოდალიზმის ისტორიის (კერძოდ, VI — XII სს. საქართველოს ისტორიის) კარდინალური პრობლემების შესწავლის ხაზით. თანამედროვე ქართული მედიევისტიკის მიღწევები ძირითადად აისახა „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ სათანადო მონაკვეთებში.

საბჭოთა კავშირის ხალხებთან საქართველოს ურთიერთობის ისტორიის საკითხები ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში

გიორგი პაიჭაძე

I რუსეთთან და უკრაინასთან საქართველოს ურთიერთობის ისტორიის საკითხები ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში

საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის ისტორია. როგორც ქვეყნის წინაშე მდგომი მნიშვნელოვანი პრობლემა, ბუნებრივია, ყოველთვის იყო ქართველ ისტორიკოსთა ყურადღების ცენტრში. მაგრამ ჩვენი ისტორიული მეცნიერების პროფესიული დონის ამაღლებამ და იმ მეთოდოლოგიურმა საფუძვლებმა, რაზედაც საბჭოური ისტორიოგრაფია აღმოცენდა, გადამწყვეტი როლი შეასრულეს როგორც საკუთრივ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური ისტორიის პრობლემატიკის გაშუქების საქმის ყოველმხრივ განვითარებაში, ისე მეზობელ ქვეყნებთან, მათ შორის რუსეთთან საქართველოს ურთიერთობის ისტორიის საკითხების ძიების გაშლაში. ცხადია, რომ ამ მიმართულებითაც სათანადო სამუშაოები იმთავითვე და ერთბაშად არ დაწყებულა. აღნიშნულ საქმეშიც ქართულმა საისტორიო მეცნიერებამ გარკვეული ეტაპები გაიარა, რაც, თავის მხრივ, უშუალოდ იყო დაკავშირებული ქართული საბჭოური ისტორიოგრაფიის განვითარების საერთო ხაზთან. ამავე დროს, აღნიშნული მიმართულებით კვლევა-ძიების განვითარება ხასიათდებოდა თავისებურებებითაც, რომელიც მთელი რიგი მიზეზებით იყო განპირობებული. მაგალითად, საკუთრივ საგნის სპეციფიკით გამოწვეული სიძნელეებით, ამ დარგში სათანადო კადრების მოუმზადებლობითა და სხვ.

პირველი მკვლევარი, ვინც საბჭოურ ისტორიოგრაფიაში მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის შესწავლის საქმეში, იყო რუსეთის საგარეო პოლიტიკის ისტორიის შესანიშნავი სპეციალისტი და საარქივო საქმის დიდი მცოდნე მ. პოლიევქტოვი. იგი 1920 წელს პეტერბურგიდან თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად და თბილისის უნივერსიტეტში დაიწყო საქმიანობა. ბუნებრივია, რომ თბილისში მ. პოლიევქტოვმა განაგრძო მუშაობა რუსეთის საგარეო პოლიტიკის ისტორიის საკითხებზე, რომლებიც უკვე ადგილობრივი ისტორიის პრობლემებს დაუკავშირა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მ. პოლიევქტოვს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის საკითხებზე მუშაობის იდეა, ჯერ კიდევ თბილისში გადმოსვლამდე, მისმა სიმამრმა ნიკო ნიკოლაძემ მიაწოდა.

მ. პოლიევქტოვის საქმიანობაში ცენტრალური ადგილი დაიკავა არქეოგრაფიულმა სამუშაომ, კერძოდ, რუსეთ-საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობის ისტორიის დოკუმენტური მასალების გამოცემამ. 20—30-იან წლებში მ. პოლიევქტოვმა გამოავლინა და შესანიშნავად, მაღალ პროფესიულ დონეზე გამოსცა XVII ს-ის პირველი ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიეთობის ისტორიის მნიშვნელოვანი მასალები. ადრე არსებული პუბლიკაციები, რომლებიც მ. ბროსე-

სა და ს. ბელოკუროვს ეკუთვნოდა, მხოლოდ ნაწილობრივ ასახავდნენ XVII ს-ის რუსეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის ისტორიას. მ. პოლიევქტოვის პუბლიკაციების წყალობით კი XVII ს-ის პირველი ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის თითქმის ყველა ძირითადი დოკუმენტი მეცნიერულ მიმოქცევაში შევიდა. აღნიშნულ პუბლიკაციებს დიდი მნიშვნელობა აქვთ არა მარტო თვით რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის შესწავლისათვის, არამედ აღნიშნული პერიოდის საქართველოს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ისტორიის მრავალი საკითხის გაშუქების თვალსაზრისითაც, რადგანაც ისინი არაერთ საინტერესო და მნიშვნელოვან ცნობასა და დეტალს შეიცავენ. ივ. ჯავახიშვილი ამ მხრივ დიდ შეფასებას აძლევდა მ. პოლიევქტოვის საქმიანობას.

გარდა პუბლიკაციებისა და არქივთმცოდნეობის დარგში წარმოებული დიდი მუშაობისა, მ. პოლიევქტოვმა გამოკვლევებიც გამოაქვეყნა. ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია მისი ნაშრომი XVII საუკუნეში მოსკოვის სახელმწიფოს მიერ კავკასიაში წარმოებული პოლიტიკური და ეკონომიკური დაზვერვების შესახებ, აგრეთვე XVIII ს-ის რუსული კავკასიისმცოდნეობის ისტორიის საკითხებზე ორი სპეციალური სტატია. ავტორი აღნიშნავდა, რომ უკვე XVII ს-ში მოსკოვის სახელმწიფო კავკასიაში წინსვლისათვის საგულდაგულოდ ემზადებოდა, ზვერავდა იმ შესაძლებლობებსა და სიძნელეებს, რომლებსაც აქ შეიძლება შეხვედროდა. მ. პოლიევქტოვის დასკვნით: „კავკასიაში რუსული კაპიტალიზმის კოლონიური შეტევის მეცნიერულ ავანგარდს, XVIII და XIX სს. „აკადემიურ“ კავკასიისმცოდნეობას, თავისი უშუალო წინამორბედი ჰყავდა XVII ს-ის მოსკოვის კავკასიისმცოდნეობითი ძიებების სახით. ერთისა და მეორის შესწავლა, მათ ურთიერთდამოკიდებულებაში და კავკასიაში რუსეთის კაპიტალიზმის პოლიტიკასთან მჭიდრო კავშირში, არის თანამედროვე საბჭოური მარქსისტული კავკასიისმცოდნეობისათვის ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა“. ამრიგად, მ. პოლიევქტოვი მთელი სიღრმით გვიჩვენებდა XVII—XVIII სს. რუსეთის სახელმწიფოს მმართველი წრეების კლასობრივ ინტერესებს კავკასიის მიმართ. მის სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში შესწავლის ძირითადი საგანი სწორედ ეს მხარე—კავკასიაში რუსეთის მიერ გაბატონებისათვის წარმოებული პოლიტიკის ისტორია იყო. ამდენად, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორია ცალმხრივად, მხოლოდ რუსეთის სახელმწიფოს ისტორიის თვალსაზრისით შუქდებოდა.

ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში პირველი ნაშრომი, სადაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის საკითხები ორივე სახელმწიფოს პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესების საფუძველზე იყო გაშუქებული, ნ. ბერძენიშვილმა შექმნა. ს. ბელოკუროვის მიერ ჯერ კიდევ 1889 წელს გამოცემულ დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით ნ. ბერძენიშვილმა გააშუქა რუსეთსა და საქართველოს შორის პოლიტიკური ურთიერთობის განვითარების ისტორია XVI—XVII სს. მიჯნაზე. 1944 წელს მკვლევარმა გამოაქვეყნა მონოგრაფია „რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI—XVII საუკუნეთა მიჯნაზე“, სადაც საფუძვლიანად გვიჩვენა, რომ ორივე მხარე თანაბრად აქტიურობდა დიპლომატიურ-პოლიტიკურ ურთიერთობაში. მკვლევარმა გაარკვია აღნიშნულ პერიოდში თუ რა რეალურ მოტივებს მოჰყავდა რუსეთი ამიერკავკასიისაკენ, რა პირობებით, და რა საშუალებებით მოდიოდა ის, რა განსაზღვრავდა საქართველოს სახელმწიფო მოღვაწეთა პოლიტიკას რუსეთთან ურთიერთობის დროს და როგორი იყო ორივე მხარის

საერთაშორისო პოლიტიკური პოზიციები, სად და რაში იყო ამ ორი ქვეყნის ინტერესთა თანხმობის თუ უთანხმოების მომენტები.

ისტორიის შემეცნების მარქსისტულ-ლენინური მეთოდის დაუფლებამ, დიდმა ერუდიციამ, მახვილმა კრიტიკულმა ალღომ, ცალკეული ისტორიული ფაქტების მიღმა ისტორიულ მოვლენათა დანახვის უნარმა, სამაგალითო მეცნიერულმა კეთილსინდისიერებამ შესაძლებლობა მისცეს ნ. ბერძენიშვილს ახლებურად, საბჭოთა მკვლევრისათვის დამახასიათებელი სიღრმით განეხილა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის საკვანძო საკითხები.

პრინციპულად ახალი, რაც ნ. ბერძენიშვილმა ისტორიოგრაფიაში ამ პრობლემის შესწავლა-გაშუქების საქმეში შეიტანა, არის ფეოდალური ხანის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის არსის ახსნა, ურთიერთობის განვითარების ხასიათის განსაზღვრა.

საქართველოს ურთიერთობა სხვა ქვეყნებთან ნ. ბერძენიშვილმა გაიაზრა საზოგადოებრივი განვითარების, ამ შემთხვევაში ფეოდალიზმის განვითარების ისტორიასთან მჭიდრო კავშირში. მკვლევარმა გააანალიზა ყურადღება საქართველოს ისტორიაში ისეთ მოვლენებზე, როგორიც იყო „ულუსობა", „ოსმალობა", „ყიზილბაშობა" (ე. ი. ფეოდალიზმის ბარბაროსული სისტემები) და თვალნათლივ გვიჩვენა, თუ როგორ ემუქრებოდა ის გაქრობით „ქართველობას", ე. ი. ქართულ სოციალურ-პოლიტიკურსა და ეკონომიკურ წყობას. ქართული ფეოდალური საზოგადოების პროგრესული ნაწილის „გამოხსნა-აღდგომისათვის" და ფეოდალური საზოგადოების პროგრესული განვითარებისათვის ბრძოლის ისტორიის გაშუქებისას ნ. ბერძენიშვილმა გვიჩვენა საქართველოს რუსეთთან დაკავშირების ისტორიული აუცილებლობა, მისი უაღრესად აქტუალური მნიშვნელობა და საქართველოს რუსეთთან შეერთების გარდუვალობა.

მთელ რიგ სტატიებში, რეცენზიებსა და საქართველოს ისტორიაზე დაწერილ საკითხავ (პოპულარულ) შრომებში, სადაც ნ. ბერძენიშვილს საქართველოს ისტორიის მრავალი პრობლემა აქვს განხილული, იგი შეეხო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის საკითხებსაც და მოგვცა მნიშვნელოვანი დაკვირვებები, მაგალითად, მოსკოვის ქართული კოლონიის მნიშვნელობის, XVIII საუკუნეში რუსეთთან საქართველოს ურთიერთობის, 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატისა და რუსეთთან საქართველოს შეერთების შესახებ.

საქართველოს მდგომარეობის ყოველმხრივი გათვალისწინების საფუძველზე ნ. ბერძენიშვილი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ XVIII ს-ის დამლევსა და XIX ს-ის დასაწყისში საქართველოს პროგრესის საქმე მხოლოდ რუსეთთან შეერთების გზით შეიძლებოდა წარმოებულიყო, რომ ეს იყო შექმნილი მდგომარეობიდან ერთადერთი გამოსავალი. „საქართველო, — დაასკვნიდა ნ. ბერძენიშვილი, — რუსეთთან კავშირს ეძებდა. ის ნებაყოფლობით ხელმწიფის საფარველში შევიდა და ცარიზმის „ხალხთა საპყრობილეში" კი აღმოჩნდა. მაგრამ ქართველი ხალხის „გამოხსნისა და აღდგომისათვის" ბრძოლის გზა ამის შემდეგაც რუსეთზე გადიოდა: ყველა სხვა გზა უარესი იყო და უპერსპექტივო. ქართველი ხალხის ბრძოლა ამიერიდან კიდევ უფრო რთულდებოდა, მაგრამ ეს ბრძოლა გამარჯვების იმედიანი იყო: საქართველო თავის „გა-

მოხსნასა და აღდგომას“ ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ ამ გზით მიაღწევდა“[1].

ნ. ბერძენიშვილმა თავისი შრომებით ახალი ეტაპი შექმნა საერთოდ ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში და ამავე დროს კონკრეტული პრობლემის — რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის შესწავლა-გაშუქების საქმეც ახალ საფეხურზე აიყვანა.

40—60-იან წლებში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის პრობლემატიკაზე ნაყოფიერად მუშაობდა ი. ცინცაძე. მან საფუძვლიანად შეისწავლა ქართული და რუსული მატიანეების ცნობები და 1956 წელს გამოაქვეყნა მონოგრაფია „ძიებანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (X—XVI სს.)“[2]. ი. ცინცაძემ გააშუქა აგრეთვე XVII—XVIII სს. რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიის რიგი საკითხები, მონოგრაფია მიუძღვნა 1783 წლის მფარველობით ტრაქტატს, გამოაქვეყნა ამ პერიოდის რამდენიმე დოკუმენტი, ქართულად თარგმნა და გამოაქვეყნა მ. პოლიევქტოვის მიერ გამოცემული XVII ს-ის ზოგიერთი მასალა, საინტერესო წერილი მიუძღვნა რუსულ ლიტერატურულ ძეგლს „თქმულებას დინარ დედოფალზე“ და სხვ.

შემდგომ ეტაპზე გაიზარდა სპეციალისტების წრე და 1962 წლის დამლევს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში ჩამოყალიბდა სპეციალური სამეცნიერო უჯრედი — საბჭოთა კავშირის ხალხებთან საქართველოს ურთიერთობის ისტორიის განყოფილება, რომლის საქმიანობაშიც საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის ისტორია კვლევის ერთ-ერთი ძირითადი ობიექტი გახდა.

გაიშალა სამუშაოები ახალი დოკუმენტური მასალების გამოსავლენად, გაღრმავდა თვით კვლევა-ძიებაც, ფართოდ დაიწყო ცალკეული პერიოდების, ეტაპებისა და საკითხების მონოგრაფიული შესწავლა, დაცული იქნა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები. 1967 წელს სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „რუსეთ-საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა XVIII საუკუნის პირველ ნახევარში“ დაიცვა გ. პაიჭაძემ. 1970 წელს ეს მონოგრაფია გამოქვეყნდა. 1968 წელს სადოქტორო დისერტაცია თემაზე „მასალები XVIII ს-ის მეორე ნახევრის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის“ დაიცვა ვ. მაჭარაძემ, და იმავე წელს თავისი ნაშრომი ცალკე წიგნად გამოაქვეყნა. 1968 წელს გამოქვეყნდა ნ. ნაკაშიძის მონოგრაფია „საქართველო-რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობა XVII საუკუნის პირველ ნახევარში“, რომელიც 1969 წელს ავტორის მიერ დაცული იქნა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.

კიევის რუსეთთან საქართველოს ურთიერთობის საკითხებს მიუძღვნა საინტერესო ნაშრომი ო. ეუეუნაძემ. მანვე გააშუქა საქართველოსა და რუსეთის ეკლესიების წარმომადგენელთა მონაწილეობა 1437—1439 წლების ფერარა-ფლორენციის საეკლესიო კრებაზე.

XVII ს-ის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის საკითხებზე ნაყოფიერად მუშაობს თ. ტივაძე. 1977 წელს გამოქვეყნდა მისი მონოგრაფია „საქართველო და რუსეთ-ირანის პოლიტიკური ურთიერთობა XVII ს-ის მეორე ნახევარში“.

---

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1965, გვ. 263.

[2] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიიის საკითხები, V, თბ., 1971, გვ. 186.

საინტერესო დაკვირვებები აქვთ გამოთქმული XVII—XVIII სს-ის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის სხვადასხვა საკითხზე ვ. დონდუას, ა. იოსელიანს, ნ. ასათიანს, გ. ზედგინიძეს, დ. კაჭარავას.

მოსკოვის ქართული კოლონიის ისტორიის საკითხების გაშუქებას მიუძღვნეს ნაშრომები გ. პაპავამ, ფ. სიხარულიძემ, გ. პაიჭაძემ.

საქართველოს მონაწილეობა 1768—1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომში გაშუქებული აქვთ ვ. მაჭარაძეს, გ. პაიჭაძეს, ვ. ქორიძეს.

იმერეთის სამეფოს ურთიერთობა რუსეთთან XVIII ს-ის 80-იან წლებში გაშუქებულია ვ. მაჭარაძის წიგნში „ბესიკი დიპლომატიურ სარბიელზე" (თბ., 1968), რომელსაც დართული აქვს საინტერესო დოკუმენტები. მნიშვნელოვანი დოკუმენტური მასალების პუბლიკაციები ეკუთვნით გ. პაიჭაძეს, ვ. მაჭარაძეს, თ. ტივაძეს.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის საკითხებზე ისტორიოგრაფიული ხასიათის სპეციალური ნაშრომები გამოქვეყნებული აქვთ მ. ალექსიშვილს, გ. პაიჭაძეს. პრობლემის ისტორიოგრაფიის ამა თუ იმ საკითხს გარკვეული მოცულობით, ცხადია, ეხება თითქმის ყველა მონოგრაფიის ავტორიც.

ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს რუსეთთან საქართველოს შეერთების პრობლემა. ქართველი ერის ისტორიაში ეს ფაქტი ახალ ეტაპს წარმოადგენდა და ამიტომაც, ბუნებრივია, მისი გააზრება და შეფასება XVIII—XIX და XX სს. პერიოდზე მომუშავე ასე თუ ისე თითქმის ყველა ისტორიკოსის ყურადღების ცენტრში დადგა და, ბუნებრივია, ახლაც დგას. აღნიშნულ პრობლემაზე ქართულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში იმთავითვე დაიწყო შეხედულებათა ფორმირება და დღეს გარკვეული კონცეფცია სრულყოფილად არის შემუშავებული. ბუნებრივია, რომ მისი ჩამოყალიბება უშუალოდ დაუკავშირდა კომუნისტური პარტიის ეროვნულ პოლიტიკას, პარტიის იდეოლოგიურ მუშაობას, რუსულ, უკრაინულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და სხვა ისტორიოგრაფიების განვითარებას.

20—30-იან წლებში საბჭოურ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული იყო ისტორიკოს მ. პოკროვსკის შეხედულებანი. ამ მეცნიერმა საერთოდ დიდად შეუწყო ხელი რუსულ ისტორიოგრაფიაში მარქსისტული მეთოდოლოგიის დამკვიდრებას. იგი იხილავდა რუსეთის ისტორიას მატერიალისტურ-კლასობრივი პოზიციებიდან და ილაშქრებდა ბურჟუაზიულ-იდეალისტური კონცეფციების წინააღმდეგ. თავის შრომებში მ. პოკროვსკი კიცხავდა ცარიზმს, მის წარმომადგენლებს და აპოლოგეტებს, ააშკარავებდა ლიბერალურ-მონარქისტული შეხედულებების ანტიმეცნიერულობას და პოლიტიკურ არსს, მაგრამ ზოგჯერ თვითონაც ცდებოდა ისტორიული მოვლენების შეფასებაში და არასწორ დასკვნებს აკეთებდა. მაგალითად, საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხის განხილვისას მ. პოკროვსკის მთელი სიმძიმე რუსეთის ცარიზმის საგარეო და საშინაო პოლიტიკის რეაქციულ ხასიათზე გადაჰქონდა, ე. ი. მოვლენას ცალმხრივად უდგებოდა და აქედან გამომდინარე ამ ისტორიულ ფაქტს უარყოფითად აფასებდა[3].

ქართულ მარქსისტულ ლიტერატურაში კი საქართველოს რუსეთთან შეერთება იმთავითვე იყო შეფასებული როგორც დადებითი შედეგების მქონე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელმაც ხელი შეუწყო საქართველოში პროგრე-

[3] М. Н. Покровский, Дипломатия и войны царской России в XIX столетии, М., 1923.

სულ განვითარებას. მაგალითად, ლ. კეცხოველი გაზეთ „ბრძოლაში 1901 წ. წერდა:

„ამ დროიდან საქართველოს ცხოვრება ახალ კალაპოტში ჩადგა. გარეშე მტრებისაგან უზრუნველყოფილი, იგი შინაური ცხოვრების გარემოებას ჩაუფიქრდა და რუსეთის ცხოვრებით გამოფხიზლებული მოქალაქეობრივი ძალღონის მოკრებას შეუდგა“.

1929 წ. იანვარში მოსკოვში ჩატარდა მარქსისტ-ისტორიკოსთა პირველი საკავშირო კონფერენცია, სადაც ერთ-ერთი მოხსენებით ფ. მახარაძე გამოვიდა და საქართველოს რუსეთთან შეერთების პროგრესული შნიშვნელობა აღნიშნა. მ. პოკროვსკი ფ. მახარაძეს არ დაეთანხმა[4].

1933 წ. რუსულ ენაზე გამოქვეყნდა ფ. მახარაძის ნაშრომი „საქართველო XIX საუკუნეში“, სადაც ავტორი კვლავ შეეხო საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიულ აუცილებლობას და ამ ფაქტის ობიექტურად პროგრესულ შედეგებს. ფ. მახარაძის თვალსაზრისს იზიარებდნენ გ. ხაჭაპურიძე და ს. ხუნდაძე.

1934 და 1936 წლებში გამოქვეყნდა საკავშირო მთავრობისა და კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებები საშუალო სკოლებში სამოქალაქო ისტორიის სწავლების შესახებ. დაიწყო მუშაობა სახელმძღვანელოების შესადგენად. შემდეგ ჩატარდა კონკურსი და 1937 წ. აგვისტოში გამოქვეყნდა მთავრობის კომისიის ჟიურის დადგენილება, სადაც გამოთქმული იყო კრიტიკული შენიშვნები. ერთ-ერთი შენიშვნა შემდეგნაირად იყო ფორმულირებული: „ავტორები დადებითს ვერაფერს ვერ ხედავენ XVII საუკუნეში ხმელნიცკის საქმიანობაში, პანების პოლონეთისა და სულთნის თურქეთის მიერ უკრაინის ოკუპაციის წინააღმდეგ მის ბრძოლაში. ავტორები, მაგალითად, რუსეთის პროტექტორატის ქვეშ XVIII საუკუნეში საქართველოს შესვლის ფაქტს, ისევე როგორც რუსეთის ხელისუფლების ქვეშ უკრაინის გადასვლის ფაქტს იხილავენ როგორც აბსოლუტურ ბოროტებას, იმ დროის კონკრეტული ისტორიული პირობების გაუთვალისწინებლად. ისინი ვერ ხედავენ, რომ მაშინ საქართველოს წინაშე იდგა ალტერნატივა — ან ყოფილიყო შთანთქმული შაჰის ირანისა და სულთნის თურქეთის მიერ, ან გადასულიყო რუსეთის პროტექტორატის ქვეშ, ასევე უკრაინის წინაშეც მაშინ იდგა ალტერნატივა — ან ყოფილიყო შთანთქმული პანების პოლონეთისა და სულთნის თურქეთის მიერ, ან გადასულიყო რუსეთის ხელისუფლების ქვეშ. ავტორები ვერ ხედავენ, რომ მეორე პერსპექტივა მაინც ნაკლები ბოროტება იყო“[5].

აღნიშნული კვალიფიკაცია, ბუნებრივია, საფუძვლად დაედო შემდგომ შრომებში რუსეთთან საქართველოს შეერთების ფაქტის შეფასებას და ეს ფორმულაც გამოყენებული იყო საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში, რომელიც 1940 წელს ნ. ბერძენიშვილის, ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას ავტორობით შეიქმნა და 1943 წელს გამოქვეყნდა ს. ჯანაშიას რედაქტორობით.

რუსულ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში 1940 წ. საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხზე სპეციალური სტატიით გამოვიდა ო. მარკოვა, რომელმაც ბ. პოკროვსკის შეხედულება გააკრიტიკა[6].

---

[4] Труды 1-й Всесоюзной конференции историков-марксистов, т. I, გვ. 492.

[5] კრებ. «К изучению истории», М., 1938, გვ. 38.

[6] იხ. О. Маркова, Присоединение Грузии к России в 1801 г., журнал «Историк-марксист», 1940, გვ. № 3.

1951 წელს ჟურნალ „ეროპროსი ისტორიის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა მ. ნეჩკინას წერილი (ჟურნალის რედაქციის მისამართით გაგზავნილი) სათაურით „ნაკლები ბოროტების“ ფორმულის საკითხისათვის“. ავტორმა აღნიშნა, ოომ ეს ფორმულა არ შეეფერება რუსეთთან სხვა ხალხების შეერთების პროგრესულ ხასიათს და ამიტომ ხმარებიდან უნდა იქნეს ამოღებულიო. მ. ნეჩკინას ამ წერილს იმავე წელს გამოეხმაურნენ: მ. მუსტაფაევი, ნ. თავაქალიანი, ა. იაკუნინი. 1952 წელს დაიბეჭდა უ. მეხტიევის წერილი რუსეთთან აზერბაიჯანის შეერთების ისტორიული მნიშვნელობის შესახებ, ნ. სტეპანოვის წერილი რუსეთთან ჩრდილოეთის ხალხების შეერთების ისტორიული მნიშვნელობის შესახებ, 1953 წელს ი. ბრაგინსკის, ს. ოჯაბოვის, ვ. რომოდინის წერილი სათაურით „რუსეთთან შუა აზიის შეერთების მნიშვნელობის საკითხისათვის“, 1954 წელს გამოქვეყნდა ი. ზუტისის წერილი რუსეთთან ლატვიის შეერთების ისტორიული მნიშვნელობის შესახებ და გ. ხაჭაპურიძის წერილი სათაურით: „რუსეთთან საქართველოს შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის“. ამრიგად, ეს იყო სტატიების მთელი ციკლი, სადაც ხაზგასმული იყო სხვადასხვა ხალხის რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობა. გ. ხაჭაპურიძის წერილში ამ თვალსაზრისით განხილული იყო XIX ს-ის საქართველოს ისტორია.

1954 წელს ჟურნალ „მნათობში“ გამოქვეყნდა ნ. ბერძენიშვილის წერილი „საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის“, სადაც შეერთების წინა პერიოდის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორია იყო განხილული და თვით შეერთების ისტორიული ფაქტი შეფასებული იყო როგორც „საუკეთესო გამოსავალი“.

რუსეთთან საქართველოს შეერთების ობიექტურად პროგრესული შედეგები ხაზგასმით იქნა აღნიშნული საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოებსა და ქართველ საბჭოთა ისტორიკოსების ყველა იმ ნაშრომში, რომელიც ამ საკითხს პირდაპირ თუ რომელიმე კუთხით ეხება.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ე. ა. შევარდნაძე საგანგებოდ შეჩერდა საქართველოა რუსეთთან შეერთების შეფასების საკითხზე და აღნიშნა: „ჩვენს პროგრესულ ისტორიოგრაფიაში რუსეთთან საქართველოს შეერთებას ყოველთვის განმარტავდნენ საერთოდ როგორც პროგრესულ მოვლენას, მაგრამ ცნობილი ალტერნატივის გადაწყვეტის გაშუქებისას განიხილავდნენ როგორც „ნაკლებ ბოროტებას“. იმ სწავლულებმა და მოღვაწეებმა, რომლებმაც მეცნიერებაში დანერგეს ტერმინი „ნაკლები ბოროტება“, როგორც ჩანს, ვერც თუ უკეთესი ტერმინი, შესაფერისი სიტყვები ვერ გამონახეს რუსეთთან საქართველოს შეერთების ისტორიული აზრის ყველა ასპექტის გამოსახატავად.

საქმე ის არის, რომ ჩვენს მეგობრობას, რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის ისტორიას არ უხდება სიტყვა „ბოროტება“, როგორადაც არ უნდა შეეფერადოთ იგი. ბოროტება ბოროტებაა, დიდი იქნება თუ მცირე...

რუსეთთან საქაროველოს შეერთების ისტორიის საკითხის გაშუქებას უნდა ჩამოვაცილოთ ე. წ. „ნაკლები ბოროტების“ ჩენჩო და იგი თავისი ცეცხლით უნდა აკურთხოს ისტორიამ, რომელიც დიალექტიკის კანონებით, ხატოვნად რომ

ვთქვათ, კეთილის აღმავალი დიალექტიკური სპირალით ვითარდება. ეს არის პრობლემებისადმი ერთადერთი სწორი მიდგომა"[7].

ქართველი საბჭოთა ისტორიკოსები ისევე როგორც ყოველთვის დიალექტიკურად უდგებიან საქართველოს ისტორიის ამ უმნიშვნელოვანესი პრობლემების შესწავლა-გაშუქების საქმესაც. ხაზგასმით და მთელი სიცხადით აღნიშნავენ და უჩვენებენ მოვლენის დიდ პროგრესულ მნიშვნელობას, ამავე დროს ამჟღავნებენ მეფის რუსეთის პოლიტიკის კლასობრივ არსს, არ აიდეალებენ მას, არამედ მკაფიოდ განასხვავებენ ცხოვრების განვითარების პროგრესულ ობიექტურ პროცესს მეფის რუსეთის ექსპლუატატორული და კოლონიზატორული პოლიტიკისაგან, მისი სამხედრო-ფეოდალური მეთოდებისაგან, რომელიც მიზნად ისახავდა მშრომელი მასების დამონებას და არარუსი ხალხების ჩაგვრას.

საქართველოს რუსეთთან შეერთების პროცესის მიმდინარეობა, შეერთების ისტორიული შედეგები გაშუქებული აქვთ ნ. ბერძენიშვილს, გ. ხაჭაპურიძეს, ა. კიკვიძეს, მ. დუმბაძეს, ი. ანთელავას, ი. კაჭარავას, ა. ფირცხალაიშვილს, ა. სურგულაძეს, გ. პაიჭაძეს და სხვა მკვლევრებს.

XIX ს-ის საქართველოს ისტორიის თითქმის ყველა ძირითადი პრობლემისა და საკითხის გაშუქება ასე თუ ისე საქართველოს რუსეთთან, რუსეთის საზოგადოებასთან ქართული საზოგადოების ურთიერთობის განვითარების ჭრილშია განხილული და გადაწყვეტილი, რაც სავსებით კანონზომიერია. მაგრამ გარდა ყოველივე ამისა შექმნილია მთელი რიგი სპეციალური შრომებისა, რომლებიც უშუალოდ ეხებიან XIX ს-ში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიას ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების სფეროში. ამ რიცხვს მიეკუთვნებიან გ. ხაჭაპურიძის, ა. ფირცხალაიშვილის, შ. ჩხეტიას, პ. გუგუშვილის, გ. გოზალიშვილის, ა. სურგულაძის, გ. მარგიანის, ც. კალანდაძის, ვ. შადურის, ა. ნიკოლაძის, დ. ჩხიკვიშვილის, ე. ხოშტარიას, ე. ორჯონიკიძის, მ. სამსონაძის, ვ. სიფრაშვილის, ჯ. ვათეიშვილის, შ. მეგრელიძის, ნ. ქორთუას, ე. ბურჭულაძის, დ. ლემონჯავას და სხვათა შრომები.

ასევე რუსეთთან და რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებასთან კავშირში არის გაშუქებული საქართველოში რევოლუციური მოძრაობის, მარქსიზმის გავრცელების და სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლის ისტორიის საკითხები. ამ მხრივ აღსანიშნავია გ. ხაჭაპურიძის, ლ. გორგილაძის, ნ. მახარაძის, ა. სურგულაძის, ნ. სტურუას, ი. კაჭარავას, გ. ყვანიას, პ. რატიანის, ე. ხოშტარიას, გ. მარგიანის, ვ. ესაიაშვილის, მ. ცერცვაძის, ი. მირცხულავას, ზ. შველიძის, კ. ივანიძის, ს. კვაჭაძის, ლ. თოიძის, ზ. გეგეშიძის, ს. ბერიძის და სხვა ავტორების შრომები.

სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის, სამამულო ომის წლებისა და განვითარებული სოციალისტური საზოგადოების შექმნის პრობლემებისადმი მიძღვნილ შრომებში ფართოდაა გაშუქებული საბჭოთა კავშირის ხალხთა ჭეშმარიტი მეგობრობის, როგორც სოციალისტური საზოგადოების მამოძრავებელი ძალის ჩამოყალიბება და მნიშვნელობა, სოციალისტური ერების შექმნა და მათ

---

[7] ლენინური ეროვნული პოლიტიკის განხორციელება და ინტერნაციონალური აღზრდის აქტუალური საკითხები სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ე. ა. შევარდნაძის მოხსენება საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე 1976 წლის 20 ოქტომბერს ქ. თბილისში, გაზ. „კომუნისტი", 4 დეკემბერი 1976 წელი.

შორის დღითიდღე მზარდი ურთიერთკავშირი ცხოვრების ყველა სფეროში, მათი განვითარება და დაახლოვება. აღნიშნული საკითხები გაშუქებული აქვთ ი. კაჭარავას, ვ. მერკვილაძეს, ნ. სტურუას, ს. ჩხარტიშვილს, მ. ნათმელაძეს, დ. მაისურაძეს, ც. კალანდაძეს, ნ. მახარაძეს, ა. იოსელიანს, დ. ჩხიკვიშვილს, დ. სტურუას, მ. ჯიჯეიშვილს, გ. დევდარიანს, ე. ქვათაძეს, ს. შარიქაძეს, რ. გრძელიძეს, გ. ფირცხალავას, გ. ბრეგაძეს, ა. ებრალიძეს, დ. ჯაბიძეს, ა. აღლაძეს, ა. კოჭლავაშვილს, ი. ბაბალაშვილს, მ. ქოჩიაშვილს და სხვ.

ქართველი საბჭოთა ისტორიკოსების შესწავლის საგანი საქართველო-უკრაინის ურთიერთობის ისტორიაც არის. სავსებით გასაგებია, რომ ამ მიმართულებით მუშაობა პირველ რიგში საყოველთაოდ ცნობილი და ყველაზე უფრო თვალსაჩინო ფაქტების შესწავლა-გაშუქებით დაიწყო . მაგალითად, ასეთი საკითხებით, როგორიცაა დავით გურამიშვილი უკრაინაში, ქართული საზოგადოებრივი აზრი ტარას შევჩენკოს შესახებ, ლესია უკრაინკა საქართველოში. შემდგომ თემატიკა სულ უფრო ფართოვდებოდა. თანდათანობით წინა პლანზე წამოვიდა საქართველო-უკრაინის ჯერ ლიტერატურული, შემდეგ თეატრალური ურთიერთობის, სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში თანამშრომლობის და ურთიერთდახმარების ისტორიის საკითხების შესწავლა. ყურადღების ცენტრში დადგა სამამულო ომის წლებში უკრაინისათვის ბრძოლებში ქართველების მონაწილეობა, ომის შემდგომ აღდგენითი პერიოდის თანამშრომლობის და განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ხანის ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა.

საქართველო-უკრაინის ურთიერთობა დღეს თავისი ისტორიის თითქმის მთელ სიგრძეზეა გაშუქებული. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ქართველი და უკრაინელი ისტორიკოსების ერთობლივი ძალებით გამოცემული სამი კრებული (ორი თბილისში და ერთი კიევში). რაც გაერთიანებული სამეცნიერო სესიების მასალებს წარმოადგენს.

ქართველ მკვლევართა შორის საქართველო-უკრაინის ურთიერთობის ისტორიის თემატიკას ნაშრომები მიუძღვნეს ი. ცინცაძემ, ო. ჟუჟუნაძემ, ნ. შალუტაშვილმა, ო. ბაქანიძემ, გ. პაიჭაძემ, ლ. ხატიაშვილმა, ს. ხუციშვილმა, თ. ტივაძემ, გ. ჟორჟოლიანმა, ც. კალანდაძემ, ო. გვინჩიძემ, მ. ნათმელაძემ, ი. ბაბალაშვილმა, მ. ქოჩიაშვილმა და სხვ.

გურამ მაისურაძე

II. ქართველი და სომეხი ხალხების ისტორიულ ურთიერთობათა ასახვა ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში

ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობის ისტორიის შესწავლა მხოლოდ რევოლუციის შემდგომ ხანაში დადგა მკვიდრ მეცნიერულ საფუძველზე. ყამირის პირველი გამტეხი აქაც აკად. ივ. ჯავახიშვილი იყო. იგი ერთ-ერთი პირველია იმათ შორის, ვინც თვალნათლივ დაინახა მეზობელთა ისტორიის ერთობლივად შესწავლის აუცილებლობა და სარგებლიანობა თითოეული მათგანის ინტერესებისათვის. საქართველოსა და სომხეთის ისტორიული პროცესის ერთობლივი, უფრო ზუსტად, პარალელური განხილვის საუკეთესო მაგალითი ივ. ჯავახიშვილმა უკვე თავისი მეცნიერული მოღვაწეობის გარიჟრაჟზე 1902 წ. „საქარ-

თველოს ისტორიის კურსის“ შესავალ ლექციაში მოგვცა[1]. ამით ფაქტობრივად მან დასვა საკითხი საქართველოსა და სომხეთის საზოგადოებრივი განვითარების მსგავსების შესახებ. უფრო რელიეფურად ეს იდეა განავითარა საეტაპო ნაშრომში «Государственный строй древней Грузии и древней Армении» (СПб, 1905). განიხილავდა რა საქართველოსა და სომხეთს ერთ ისტორიულ-კულტურულ სამყაროდ ივი საერთო კანონზომიერებათა დადგენას ცდილობდა ამიერკავკასიის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში.

ივ. ჯავახიშვილმა თავის მრავალრიცხოვან ნაშრომებში, ზოგჯერ სპეციალურად, ზოგჯერ კი საქართველოს ისტორიის პრობლემებთან დაკავშირებით გულდასმით განიხილა ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობის ისტორიის ისეთი კარდინალური საკითხები, როგორიცაა საეკლესიო ურთიერთობა, სამეურნეო თანამშრომლობა ,ისტორიული გეოგრაფია, ლიტერატურული, იდეოლოგიური, პოლიტიკური ურთიერთობა და სხვა.

საქართველოს ეკონომიური ისტორიის შესწავლისას ივ. ჯავახიშვილმა შეამჩნია, რომ სომხეთში გავრცელებული სახვნელი იარაღების სახელთა უმრავლესობა ქართული წარმოშობისაა ან ქართული გზით არის სომხურში შესული, განსაკუთრებით გაუმჯობესებულ სახვნელთა სახელები[2]. ასევე აღნიშნავს ვაზის ზოგიერთი ჯიშ-სახესხვაობის შეჭრა-გავრცელებას სომხეთში (მაგ. „კახეთუ“, „ვირენი“ მლნკუტ“ ე. ი. კახური, იბერიული და მელისკუდა)[3]. სათანადო მასალით მეცნიერი არა მარტო ადასტურებს სამეურნეო თანამშრომლობის ფაქტს მეზობლებს შორის, არამედ კარგად უჩვენებს ამ თანამშრომლობის ხასიათსაც — „ძველი საქართველოს მიწისმოქმედების მაღალხარისხოვანი კულტურის“ გავლენას მეზობელთა მეურნეობის დარგებზე[4].

ივ. ჯავახიშვილმა ქართველ მეცნიერთა შორის პირველმა შეძლო საფუძვლიანი, მეცნიერული პასუხი გაეცა ქართველ-სომეხთა ისტორიული ურთიერთობის ისეთ რთულსა და მწვავე საკითხებზე, როგორიცაა ამიერკავკასიაში ქრისტიანობის გავრცელება და ქართული და სომხური ანბანების შექმნა, ქართველ-სომეხთა საეკლესიო განხეთქილება და ამ ეკლესიათა იერარქიული ურთიერთდამოკიდებულება და სხვ.[5]. პირველწყაროთა კრიტიკული შესწავლის საფუძველზე ივ. ჯავახიშვილმა დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ საკითხთა ამ წრეს განსაზღვრული პოლიტიკური პირობები ასაზრდოებდნენ და მათი მნიშვნელობა დროთა განმავლობაში იცვლებოდა პოლიტიკური სიტუაციის ცვლილებებთან ერთად. მისი სამართლიანი დასკვნით: „ქართველთა და სომეხთა სარწმუნოებრივი ერთობისა, თუ განხეთქილების საკითხი არსებითად იმაზე იყო დამოკიდებული, აღმოსავლეთის, სპარსეთის საეკლესიო ტრადიციასა და ზოძღვრებას მიემხრობოდა საქართველო, თუ დასავლეთისას, ბერძნულ-რომაულ ქრისტიანობას. პოლიტიკური ორიენტაციის გვერდით შედარებით მეორე-

---

[1] იხ. ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, I, დამატება, თბ., 1960.

[2] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, თბ., 1930, გვ. 155—265.

[3] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, II, თბ., 1935, გვ. 600—603.

[4] იქვე, ტ. I, გვ. 262—265.

[5] იხ. ივ. ჯავახიშვილი, ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, ტფილისი, 1935; მისივე, ქართული პალეოგრაფია, 1949; მისივე, История церковного разрыва между Грузией и Арменией в начале VII века, Известия Императорской АН, VI, № 5, 1908.

ხარისხოვნად გამოიყურებოდნენ კონფლიქტის დოგმატური და ეროვნული მომენტები"[6].

როგორც ვხედავთ, ივ. ჯავახიშვილმა საკმაოდ დიდი ადგილი დაუთმო თავის მეცნიერულ მოღვაწეობაში ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობის ისტორიის შესწავლას, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო საკმარისი. ამიტომ დიდმა მეცნიერმა თვითონვე იზრუნა აღნიშნულ პრობლემაზე სამუშაოდ შესაფერისი კადრების მოსამზადებლად. მისი დავალებით ქართველ-სომეხთა ურთიერთობის საკითხებზე სისტემატურ და ფართო მუშაობას შეუდგა ქართული და სომხური ლიტერატურისა და ისტორიის შესანიშნავი მცოდნე ლ. მელიქსეთ-ბეგი. მოგვიანებით იგი სათავეში ჩაუდგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არმენოლოგიის კათედრას, რომელიც აღნიშნული პრობლემის შემსწავლელ ერთ-ერთ ძირითად უჯრედად იქცა საქართველოში.

პრობლემაზე გეგმაზომიერი მუშაობის დაწყება პირველ რიგში სათანადო წყაროების გამოვლენასა და მათს სისტემაში მოყვანას მოითხოვდა. მან თავი მოუყარა ქართულ წყაროებში გაბნეულ ცნობებს სომხეთისა და სომხების შესახებ და მოამზადა ოთხტომიანი ნაშრომი სომხურ ენაზე, რომელთაგან სამი ტომი გამოქვეყნდა შესაბამისად 1934, 1936 და 1955 წლებში[7]. ხსენებულ საკითხებზე მომუშავე სპეციალისტებს დიდ დახმარებას უწევს მის მიერ შედგენილი ქართულ და სომხურ წყაროთა კატალოგი, სადაც ყველა საჭირო ცნობა მოიპოვება დაინტერესებული მკითხველისათვის[6]. რიგი ნაშრომებისა უძღვნა საქართველოს სომხური ეპიგრაფიკისა და სომხეთის ქართული ეპიგრაფიკის შესწავლას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქართული და სომხური ცივილიზაციების შეხვედრის რაიონი — ისტორიულ ქვემო ქართლში მის მიერ მოძიებული და შესწავლილი ეპიგრაფიკული მასალა. ქართულ ენაზე თარგმნილი და გამოცემული აქვს სათანადო გამოკვლევით რამდენიმე სომხური წყაროც.

განსაკუთრებით დიდია ლ. მელიქსეთ-ბეგის წვლილი მეზობელთა კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის საკითხების კვლევაში. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მისი ცნობილი წიგნი „ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარნი და მათი ვინაობა" (1928), რომელშიც ქართული ფეოდალური მონარქიის მფარველობაში მყოფი სომხური სამეცნიერო-კულტურული კერების საქმიანობასთან დაკავშირებით, განხილულია კონფესიური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის საკითხები.

ქართველი და სომეხი ხალხების ისტორიული ურთიერთობის შესწავლა-გაშუქების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ილ. აბულაძეს. მისი ლიტერატურულ-ფილოლოგიური გამოკვლევები ქართულ-სომხური ენობრივი სამყაროდან[9] დიდად უწყობენ ხელს სპეციალისტებს მეზობელთა ურთიერთობის ხასიათის რიგი მომენტების გარკვევაში. იგი ერთ-ერთი პირველი შეუდგა სომხური

---

[6] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I, 1928, გვ. 355.

[7] Լ. Մելիքսեթ-Բեկ, Վրաց արբյուրները հայաստանի եվ հայերի մասին, Երեվան.

[8] ლ ე ო ნ მ ე ლ ი ქ ს ე თ - ბ ე გ ი, საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების პუბლიკაციები, კატალოგი, I, თბ., 1949.

[9] ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, ქართულ-სომხური ფილოლოგიური შტუდიები, შრომები, I, 1975; სომხურ-ქართულ ლექსიკოლოგიურ ურთიერთობათა შესახებ იხ. მ ი ს ი ვ ე, შრომები, II, 1976; მ ი ს ი ვ ე; ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—XI საუკუნეებში, თბ., 1944 და სხვ.

წყაროების თარგმნასა და მათს მეცნიერულ პუბლიკაციას, რაც ასე აუცილებელია ხსენებული დარგის განვითარებისათვის ჩვენში. განსაკუთრებულია ი. აბულაძის დამსახურება ქართველ არმენოლოგთა კადრების მომზადების საქმეში.

ჩვენი საუკუნის 60-იანი წლები, თამამად შეიძლება მივიჩნიოთ ქართველი და სომეხი ხალხების ისტორიული ურთიერთობის შესწავლის შემდგომ ეტაპად. ასპარეზზე გამოდის მეცნიერ-სპეციალისტთა ახალი თაობა, მუშაობა იწყება წყაროთმცოდნეობითი კვლევა-ძიებით და უკვე 60-იანი წლების დასაწყისიდანვე საზოგადოება იღებს სომხური წყაროების ქართულ თარგმანებს, რომელთა მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება ძნელია.

პირველი ასეთი ნაშრომი იყო ნ. ჯანაშიას წიგნი „ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ“ (1962 წ.). ავტორმა ამ წყაროზე დაყრდნობით თანმიმდევრულად აღადგინა V ს-ის ქართველი და სომეხი ხალხების საბრძოლო თანამშრომლობის ნათელი სურათი, დამაჯერებლად გვიჩვენა მათი ურთიერთკავშირი და მეგობრობა. ამასთან, შეძლო დაეზუსტებინა საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის რიგი საკითხები და დაედგინა ქართლის სამხრეთის საზღვარი V საუკუნეში.

საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობის შესასწავლად განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ზ. ალექსიძის მიერ გამოქვეყნებული ძეგლები „ეპისტოლეთა წიგნი“ (1968 წ.) და უხტანესის „ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან“ (1975 წ.). ეს ის წყაროებია, რომელთა საფუძველზეც უმთავრესად სწარმოებდა მსჯელობა და კამათი მეზობელთა ურთიერთობის ყველაზე უფრო რთულ და მწვავე საკითხებზე. ამიტომ ჯერ კიდევ ივ. ჯავახიშვილმა დასახა გეგმა, კრიტიკულად შესწავლილიყო ქართველთა და სომეხთა მმართველ წრეებს შორის VII ს-ში რელიგიის საკითხებზე ატეხილი უთანხმოების ამსახველი ეს მასალა. დიდი მეცნიერის მიერ დასახული ამოცანა ხსენებული პუბლიკაციებით ზ. ალექსიძემ წარმატებით გადაჭრა. ტექსტების კრიტიკულმა შესწავლამ მას საშუალება მისცა შემდგომ განევითარებინა ივ. ჯავახიშვილის შეხედულებანი ქართული დამწერლობისა და ქართული და სომხური ეკლესიების იერარქიული დამოკიდებულების საკითხებზე.

ზ. ალექსიძის სხვა ნაშრომებიც, რომლებიც ასევე წყაროების ღრმა კრიტიკულ ანალიზს ემყარებიან, სწავლობენ მეზობელი ეკლესიების კონფესიურ-რელიგიურ ურთიერთობასა და ამიერკავკასიის პოლიტიკურ-იდეოლოგიურ სიტუაციას ადრეულ შუა საუკუნეებში.

ქართველ არმენოლოგთა ახალი თაობის დაუღალავი მეცადინეობის შედეგად საკითხით დაინტერესებულ მკითხველ საზოგადოებას ახლა უკვე ხელთ აქვს არა მარტო ადრეფეოდალური, არამედ განვითარებული და გვიანფეოდალური ხანის პირველხარისხოვანი სომხური წყაროების მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული ქართული გამოცემები. ესენია ე. ცაგარეიშვილის მიერ თარგმნილი და კომენტირებული იოანე დრასხანაკერტელის „სომხეთის ისტორია“ და არისტაკეს დასტივერტეცის „ისტორია“, ნ. შოშიაშვილის ნათარგმნი გრიგოლ აკანელის „მოისართა ტომის ისტორია“, შ. დარჩიაშვილის მიერ შესწავლილი და გამოცემული სომხური ლაპიდარული წარწერები XII-XIII საუკუნეების საქართველოს შესახებ, ალ. აბდალაძის მიერ შეკრებილი და გამოცემული „სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ“ (XIV-XV სს.), ლ. დავლიანიძის გამოცემები მხითარ გოშის „ალბანეთის ქრო-

ნიკა", — ზაქარია აგულეცის „დღიური", ჰაკობ შემახელცის „ნადირ-ყული-ხანის ბრძოლები" და აბრამ ერევანცის „ომების ისტორია", კ. კუტიას მიერ შესრულებული თარგმანები არაქელ დავრიჟეცის ცნობებისა საქართველოს შესახებ და ესაი ჰასან ჯალალიანის — „აღვანთა ქვეყნის ისტორია" და სხვ.

წყაროთმცოდნეობითი კვლევა-ძიების გვერდით მეშავდება ქართველი და სომეხი ხალხების ისტორიული ურთიერთობის, როგორც ცალკეული, ისე ზოგადი საკითხები. ივ. ჯავახიშვილის შემდეგაც ქართველ ისტორიკოსებს, მართალია არასპეციალურად, მაგრამ გარკვეულ მოვლენებთან და თვით საქართველოს ისტორიის პრობლემებთან დაკავშირებით მაინც უხდებოდათ სომხეთთან ურთიერთობის ზოგიერთი საკითხების დამუშავება. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს ს. ჯანაშიას ნაშრომი რომელიც ნ. ტოკარსკის წიგნის «Архитектура древней Армении» პასუხად დაიწერა.[10] ამ შედარებით მცირე მოცულობის ნაშრომში მდიდარ წყაროთმცოდნეობით ბაზაზე დაყრდნობით, ს. ჯანაშიამ მისთვის ჩვეული დამაჯერებლობით წარმოაჩინა ტაო-კლარჯეთის ურთიერთობის ხასიათი სომხურ სამყაროსთან და განსაზღვრა XI—XIII სს. ქართული ფეოდალური მონარქიის შემადგენლობაში მყოფი სომხეთის სტატუსი, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მეზობელთა ურთიერთობის ასევე სხვა რთულ საკითხებში გასარკვევად.

ნ. ბერძენიშვილს სპეციალურად არ უკვლევია ქართველ-სომეხთა ურთიერთობის საკითხები, მაგრამ მის მეთოდურ მითითებებსა და გონებამახვილურ დაკვირვებებს, შეიძლება ითქვას, ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვთ ამ დარგში მომუშავე მკვლევართათვის. 1962 წ. ნოემბერში ერთ-ერთ სამეცნიერო სხდომაზე ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავდა „... ჩვენ მთელი სისავსით დღემდე ვერ შეგვიფასებია ამ ჩვენი მოძმე-მეზობლებთან ურთიერთობა და ასეთი თანამშრომლობის კეთილი შედეგები ჩვენი საზოგადოებისათვის ვერ გვიჩვენებია"[11]. ცხადია, ამ ამოცანის გადასაწყვეტად დიდი მეცნიერი ახალგაზრდა თაობას ულოცავდა გზას. მეტად საყურადღებოა და მნიშვნელოვანი მისი შეხედულება ამიერკავკასიაში ფეოდალიზაციის ერთიანი პროცესის შესახებ, რომელიც თავისი განვითარების ლოგიკით ამ ქვეყნების ერთ სახელმწიფო ორგანიზაციაში გაერთიანებას მოითხოვდა. იგი წერდა: „...ვინც ფეოდალური ხანის IX-XIII სს ფაქტებს იცნობს სომეხ-ქართველთა ურთიერთობიდან, მას არ შეიძლება თვალწინ არ გადაეშალოს საგულისხმო ტენდენცია იქით მიმართული, რომ ამიერკავკასია ერთ დიდ სამეურნეო და პოლიტიკურ კულტურულ ერთეულად ქცეულიყო... სულ ერთია ვინ იქნებოდა ეს ერთეული „სომხეთი" თუ „საქართველო" (სხვადასხვა გარემოთა დამთხვევის შედეგად ისე მოხდა, რომ ეს ერთეული საქართველო აღმოჩნდა). მთავარი ის იყო, რომ ეს ერთეული უნდა წარმოქმნილიყო"[12]. მისი აზრით, ეს იყო პროგრესული მოვლენა, რომელიც ხელს შეუწყობდა, საფუძველს შეუქმნიდა ამიერკავკასიის ფეოდალური საზოგადოების უფრო მაღალ საფეხურზე ასვლას[13]. ნ. ბერძენიშვილის ეს შეხედულება არა მარტო კარგი გასაღებია აღმავალი ფეოდალური ხანის ქართველ-სომეხთა ურთიერთობის ბევრ ბუნდოვან და რთულ პრობლემებში გასარკვევად, არამედ საშუალებას

---

[10] С. Джанашиа, Об одном примере искажения исторической правды, Тб., 1947.
[11] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. III, 1966, გვ. 318.
[12] იქვე, ტ. VIII, თბ., 1975, გვ. 398.
[13] იქვე, ტ. V, თბ., 1971, გვ. 157.

იძლევა აგხსნათ მეზობელთა ურთიერთობის ერთი შეხედვით წინააღმდეგობრივი ხასიათის მქონე უფრო გვიანდელი ზოგიერთი მოვლენებიც.

აღმავალი ფეოდალური ხანის სომეხ-ქართველთა ურთიერთობის ისტორიას იკვლევდნენ და იკვლევენ შ. მესხია, მ. ლორთქიფანიძე, ჯ. სტეფნაძე, მაგრამ მათს ნაშრომებში სომხეთთან ურთიერთობის საკითხებს ერთგვარად დაქვემდებარებული ადგილი უკავიათ, მათთვის უფრო ძირითად საქართველოს პოლიტიკური გაერთიანებისა თუ ერთიანი ფეოდალური მონარქიის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის საკითხებთან შედარებით. მიუხედავად ამისა, ამ ნაშრომებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ამიერკავკასიელ მეზობელთა ისტორიული ურთიერთობის შესწავლის საქმეში. მ. ლორთქიფანიძის ნაშრომები „სომეხი და ქართველი ხალხის ბრძოლა არაბთა ბატონობის წინააღმდეგ[14] და „საქართველოს და სომხეთის ურთიერთობის წარსულიდან"[15] ამ ურთიერთობის მეტად მნიშვნელოვანსა და საინტერესო საკითხებს აშუქებენ. დიდ დახმარებას უწევს ამ დარგის მკვლევარებს შ. მესხიას წიგნი „საშინაო პოლიტიკური ვითარება და სამოხელეო წყობილება XII საუკუნის საქართველოში", რამდენადაც ქართულ სამოხელეო წყობილებასა და თამარის სამეფო ხელისუფლების მიმართულებაზე მის მიერ მიღებულ ახალ დასკვნებს, აგრეთვე მხარგრძელთა ფეოდალური გვარის ისტორიასთან დაკავშირებული საკითხების გარკვევას, რაც ნაშრომში უაღრესი მეცნიერული სიზუსტითაა შესრულებული უშუალო კავშირი აქვთ ქართველ-სომეხთა ურთიერთობასთან. ჯ. სტეფნაძის ნაშრომში ქართველ-სომეხთა ურთიერთობის საკითხი კავკასიის ხალხებთან საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობის საერთო რიგშია ჩაყენებული და უფრო მეტად XII ს-ის საქართველოს საგარეო პოლიტიკის ზოგიერთ მხარეს ასახავს[16]

ქართულ ისტორიოგრაფიაში ადგილი ჰქონდა ცდას ქართველი და სომეხი ხალხების ისტორიული ურთიერთობის მთლიანი სურათის წარმოდგენისა უძველესი დროიდან XIX ს-ის ჩათვლით. ასეთ მიზანს ისახავდა კერძოდ ვ. კოპალიანის წიგნი „ამიერკავკასიის ხალხთა ურთიერთობის წარსულიდან", მაგრამ ეს ნაშრომი უფრო მეცნიერულ-პოპულარულ ნარკვევს წარმოადგენს. როგორც თვით ავტორი წიგნის შესავალ ნაწილში აღნიშნავს, იგი მხოლოდ ზოგად წარმოდგენას აძლევს ამ საკითხით დაინტერესებულ მკითხველს[17].

ქართული ისტორიოგრაფიის ბოლოდროინდელმა მიღწევებმა შესაფერი პირობები შექმნეს ქართველი და სომეხი ხალხების ისტორიული ურთიერთობის სპეციალური და თანმიმდევრული შესწავლისათვის. 70-იანი წლებიდან მოყოლებული ზედიზედ ქვეყნდება ცალკეული სტატიები, რომლებიც აშუქებენ მეზობელი ხალხების სამეურნეო-კულტურული თანამშრომლობის ისტორიას XVII—XVIII სს-ში[18], პოლიტიკური ურთიერთობის ცალკეულ საკითხებს იმავე

---

[14] იხ. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, ნაკ. I, 1958.

[15] იხ. კრებული, XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1968.

[16] ჯ. სტეფნაძე, საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა კავკასიის ხალხებთან XII საუკუნეში, თბ., 1974.

[17] ვ. კოპალიანი, ამიერკავკასიის ხალხთა ურთიერთობის წარსულიდან, თბ., 1962, გვ. 5.

[18] გ. მაისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხების სამეურნეო-კულტურული თანამშრომლობის ისტორიიდან XVII—XVIII სს-ში, „მაცნე", № 3, 1970.

საუკუნეებში[19], სომხური სავაჭრო კაპიტალის ქართულ სამეფო კართან დამოკიდებულებისა და ურთიერთობის სოციალურ-კულტურული ასპექტების ზოგიერთ საკითხებს[20], იწყება ცდები ამიერკავკასიის ქვეყნებში ფეოდალიზმის პერიოდიზაციისა და ფეოდალიზმის განვითარების ზოგიერთი თავისებურების ჩვენებისა საქართველოსა და სომხეთში[21] და სხვ. ამჟამად ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში დაგეგმილია ფართო სამუშაოები ქართველ და სომეხი ხალხების ისტორიული ურთიერთობის სისტემატური და გეგმაზომიერი შესწავლისათვის.

გიორგი მაჭარაძე

III. აზერბაიჯანელი და ქართველი ხალხების ისტორიულ ურთიერთობათა ასახვა ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში

ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში აზერბაიჯანის ისტორიის საკითხებისადმი მიძღვნილი სპეციალური მონოგრაფია არ არსებობს, მაგრამ ქართველი ისტორიკოსები, საქართველოს ისტორიის პრობლემებთან დაკავშირებით ეხებიან აზერბაიჯანის ისტორიის ცალკეულ საკითხებს და საფუძვლიან მოსაზრებებს გვთავაზობენ, რომელთაც გვერდს ვერ აუვლიან აზერბაიჯანის ისტორიის მკვლევრები.

ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის ფუძემდებლების ივ. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილის ნარკვევებსა და საქართველოს ისტორიის პირველ კოლექტიურ სახელმძღვანელოში[1], საქართველოს ისტორიის საკითხები განხილულია მეზობელი ხალხების ისტორიასთან მჭიდრო კავშირში და თვით მეზობელი ხალხების ისტორიის რიგი საკითხები ახლებურადაა გადაჭრილი. ასევე მნიშვნელოვანია აზერბაიჯანის ისტორიის ცალკეული საკითხების შესასწავლად საქართველოს ისტორიის ნარკვევების მრავალტომეული, რომელიც ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის უახლესი მიღწევაა.

აზერბაიჯანის ისტორიის შესწავლისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს ქართველი არქეოლოგების, ეთნოგრაფების, ანთროპოლოგებისა და ხელოვნებათმცოდნეების ნაშრომებს კავკასიაში მიმდინარე ისტორიული პროცესების შესასწავლად.

---

[19] გ. მ ა ი ს ურ ა ძ ე, ესაი ჰასან ჯალალიანის ნაშრომი—„ალვანეთის ისტორია“ ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობის შესახებ, კრებულში „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1968; მ ი ს ი ვ ე, ქართველი და სომეხი ხალხების პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიიდან (XVII ს-ის 70-იანი წლები XVIII ს-ის I მესამედი), საისტორიო კრებული, III, თბ., 1970; მ ი ს ი ვ ე. ბაქარი და ამიერკავკასიის ხალხთა განმათავისუფლებელი მოძრაობა XVIII ს-ის პირველი მეოთხედის დასასრულს. კრებულში „ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976.

[20] გ. მ ა ი ს ურ ა ძ ე, კიდევ ერთხელ რაფიელ დანიბეგაშვილისა და მისი „მოგზაურობის“ შესახებ, საისტორიო კრებული, VI, თბ., 1976.

[21] გ. მ ა ი ს ურ ა ძ ე. ფეოდალიზმის ისტორიის პერიოდიზაცია ამიერკავკასიის ქვეყნებში, „მაცნე“, ისტორიის სერია, № 2, 1978.

[1] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, საქართველოს ისტორია, ს. ჯ ა ნ ა შ ი ა ს რედ., თბ., 1943.

აზერბაიჯანის ძველი ისტორიის კვლევისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ა. შანიძის და გ. მელიქიშვილის შრომები. ა. შანიძემ ალბანური დამწერლობის გაშიფვრით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა თანამედროვე აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებული უძველესი სახელმწიფოს — კავკასიის ალბანეთის ისტორიისა და კულტურის კვლევის დარგში[2]; ხოლო გ. მელიქიშვილის ნაშრომების[3] გარეშე, რომლებიც მიძღვნილია კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიის საკითხებისადმი, შეუძლებელია დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მიმდინარე ეთნიკური პროცესების სწორი წარმოდგენა.

აზერბაიჯანის ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის საკითხების დამუშავებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართველმა აღმოსავლეთმცოდნეებმა. ვ. გაბაშვილის რედაქციით გამოქვეყნებულ ნარკვევებში (ავტორები: რ. კიკნაძე, ე. სიხარულიძე, გ. ფუთურიძე, კ. ტაბატაძე, ვ. ჩოჩიევი, კ. კუცია, გ. ბერიძე) მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების (არაბთა სახალიფო, თურქეთი, ირანი) ისტორია განხილულია დაპყრობითი ქვეყნების (საქართველოს, სომხეთი, აზერბაიჯანი) ისტორიასთან კავშირში, გარკვეულია ამიერკავკასიის ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის არაერთი საკითხი[4].

პ. თოფურიას მონოგრაფიაში, შესწავლილია აზერბაიჯანის ტერიტორიაზე XI-XII სს არსებული პოლიტიკური ერთეულების ისტორია. ამასთან, ავტორი განიხილავს ამ პოლიტიკური ერთეულების საქართველოსთან ურთიერთობის ისტორიას[5].

საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობის საკითხებს საგანგებოდ ეხებიან ვ. კოპალიანი, ნ. ასათიანი და ჯ. სტეფნაძე[6]. კერძოდ, ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ისტორიას აშუქებს თავის მონოგრაფიაში ვ. კოპალიანი. ნაშრომში განხილულია ისეთი საკითხები როგორიცაა: ჩრდ. აზერბაიჯანის უძველესი მოსახლეობა და ალბანიის სამეფოს წარმოქმნა, ალბანელებისა და ქართველების ერთობლივი ბრძოლა სასანთა სახელმწიფოს წინააღმდეგ, ამიერკავკასიის ხალხების ბრძოლა არაბთა ბატონობის წინააღმდეგ, ამიერკავკასიის ხალხების ბრძოლა თურქ-სელჩუკების წინააღმდეგ, ამიერკავკასიის ხალხების ბრძოლა თურქეთისა და ირანის აგრესიის წინააღმდეგ XVI—XVIII საუკუნეებში, ამიერკავკასიის ხალხების ურთიერთობა XIX ს-ში.

ნ. ასათიანი სპეციალურად შეეხო საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობას XII ს-ში. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში კარგა ხანია დამკვიდრებულია აზრი იმის შესახებ, რომ შირვანი XII ს-ში საქართველოს ყმადნაფიცი (სავასალო) ქვეყანა იყო. ნ. ასათიანი, ქართული და უცხოური წყაროების მოშველიებით, ამტკიცებს, რომ შირვანიცა და დარუბანდიც საქართველოს ყმად

---

[2] А. Шанидзе. Новооткрытый алфавит кавказских албанцев и его значение для науки. «Известия ЯИМК». т. IV. 1938.

[3] Г. Меликишвили. Наири-урарту, Тб., 1954; გ. მელიქიშვილი, საქართველოს კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965.

[4] ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957; ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, წ., I, თბ., 1966; წ. II, თბ., 1970.

[5] პ. თოფურია, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები XI—XII საუკუნეებში, თბ., 1975.

[6] ვ. კოპალიანი, ამიერკავკასიის ხალხთა ურთიერთობის წარსულიდან, თბ., 1962; ნ. ასათიანი, საქართველო-შირვანის პოლიტიკური ურთიერთობა XII ს-ში, თსუ შრომები, ტ.125, თბ., 1968; ჯ. სტეფნაძე, საქართველოს ურთიერთობა კავკასიის ხალხებთან XII ს-ში, თბ., 1974.

ნაფიცი ქვეყნები იყო, რომ დემეტრე I-ის დროს შირვანში აღდგენილ იქნა შირვანშაჰის ხელისუფლება საქართველოს მეფისადმი ვასალური დამოკიდებულების უფლებით.

საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობას XII—XIII საუკუნეებში ეხება აგრეთვე ჯ. სტეფნაძე. ავტორი თანმიმდევრობით მოუთხრობს მკითხველს დავით აღმაშენებლის, დემეტრე I-ის გიორგი II-ის და თამარის დროს საქართველოს პოლიტიკურ ურთიერთობას აზერბაიჯანის ტერიტორიაზე არსებულ პოლიტიკურ ერთეულებთან (შირვანთან, ადარბადაგანთან და სხვ.)

ამიერკავკასიაში თემურ-ლენგის ლაშქრობების ისტორიის საკითხებზე საყურადღებო გამოკვლევები შექმნეს კ. ტაბატაძემ[7] და დ. კაციტაძემ[8].

XV—XVIII საუკუნეების აზერბაიჯანის ისტორიისა და საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობის საკითხებზე საინტერესო გამოკვლევები აქვთ რ. კიკნაძეს და კ. კუციას. კერძოდ, რ. კიკნაძის ნაშრომში XV—XVIII საუკუნეების აღმოსავლურ წყაროებზე დაყრდნობით, გაშუქებულია ქართველი ხალხის ბრძოლა კონსტანტინე მეფის მეთაურობით, 1412 წ. ყარა-ყოიუნლუს თურქმანული სახელმწიფოს მეთაურის ყარა-იუსუფის წინააღმდეგ, რომელიც აზერბაიჯანში დამკვიდრებისათვის იბრძოდა და შირვანის მმართველის იბრაჰიმისაგან მორჩილებას ითხოვდა. ხოლო კ. კუციას ნაშრომში გაშუქებულია აზერბაიჯანის ქალაქების ისტორიის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა მოსახლეობს რაოდენობა და სოციალურ-ეთნიკური შემადგენლობა, საქალაქო ორგანიზაციები, საქალაქო გადასახადები და ვალდებულებანი [9].

XVIII ს-ის შუა ხანებისა და მეორე ნახევრის საქართველო-აზერბაიჯანის ურთიეთობის საკითხებზე საყურადღებო მოსაზრებებს გვთავაზობენ ნ. ბერძენიშვილი[10] და გ. ქიქოძე[11]. აზერბაიჯანის ისტორიისა და საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობის საკითხების შესწავლისათვის მნიშვნელოვანია აგრეთვე ზ. შარაშენიძის[12], ლ. შენგელიას[13], ი. ცინცაძის[14] და სხვ. ქართველი ისტორიკოსების შრომები.

საქართველო-აზებაიჯანის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ისტორიაში XVIII ს-ის მეორე ნახევარი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და თავისი ხასიათით უაღრესად რთული ეტაპია. მ. სამსონაძის ნაშრომი, რომელიც ეხება ქართლ-კახეთის სამეფოს ურთიერთობას აზერბაიჯანულ სახანოებთან XVIII ს-ის 80-იან წლებში, საგანგებო ყურადღებას იმსახურებს. ავტორს შეუსწავლია საარქივო მასალები, რის საფუძველზე წარმოადგინა ამ ურთიერთობის ნათელი და ობიექტური სურათი[15].

---

[7] კ. ტ ა ბ ა ტ ა ძ ე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV—XV საუკუნეების მიჯნაზე, თბ., 1974.

[8] დ. კ ა ც ი ტ ა ძ ე, საქართველო XIV—XV საუკუნეების მიჯნაზე, თბ., 1975.

[9] რ. კ ი კ ნ ა ძ ე, ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან, თსუ შრომები, ტ. 108, თბ., 1964; კ. კ უ ც ი ა, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქები XVI—XVIII საუკუნეებში, თბ., 1976.

[10] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. VI, თბ., 1973.

[11] გ. ქ ი ქ ო ძ ე, ერეკლე მეორე, თბ., 1941.

[12] ზ. შ ა რ ა შ ე ნ ი ძ ე, ირანი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1970.

[13] ლ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, ირანი ქერიმ-ხან ზენდის დროს, თბ., 1973.

[14] ი. ც ი ნ ც ა ძ ე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, თბ., 1960; მ ი ს ი ვ ე, აღამაჰმად-ხანის თავდასხმა საქართველოზე, თბ., 1963.

[15] მ. ს ა მ ს ო ნ ა ძ ე, ამიერკავკასიის სახანოებთან ქართლ-კახეთის სამეფოს ურთიერთობის ისტორიიდან XVIII ს-ის 80-იან წლებში. იხ. წიგნში: ქართული სამეფო სამთავროების საგარეო პოლიტიკის ისტორიიდან, თბ., 1973.

XIX ს-ის დასაწყისიდან ამიერკავკასიის ქვეყნები რუსეთს შეუერთდა, რასაც დიდი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. ამასთან, ამ აქტის შემდეგ შეიცვალა ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების ურთიერთობის ხასიათი—სახელმწიფოებრივი, პოლიტიკური ურთიერთობის ადგილი მთლიანად დაიკავა ეკონომიკურმა და კულტურულმა ურთიერთობამ, გარეშე მტრის წინააღმდეგ ერთობლივმა ბრძოლამ, გაჩნდა ურთიერთობის ახალი ასპექტიც—რევოლუციური საბრძოლო თანამეგობრობა. აზერბაიჯანის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის მნიშვნელოვანია ი. ანთელავას მონოგრაფია[16].

რუსეთ-კავკასიის კულტურულ ურთიერთობას XIX ს-ის I მესამედში მიუძღვნა მონოგრაფია ჯ. ვათეიშვილმა. ნაშრომში სხვა საკითხებთან ერთად გაშუქებულია ქართველი და აზერბაიჯანელი საზოგადო მოღვაწეების (ს. დოდაშვილი, ა. ბაქიხანოვი) ურთიერთობა რუსეთის მოწინავე ინტელიგენციასთან და მათი იდეური ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ[17].

XIX ს-ში ქართველი, აზერბაიჯანელი, რუსი და ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხების ერთობლივ ბრძოლას ირანელი და თურქი დამპყრობლების წინააღმდეგ მიეძღვნა ნ. ქორთუას[18], შ. მეგრელიძის[19], ლ. შენგელიას[20] და სხვათა ნაშრომები.

აზერბაიჯანის ისტორიისათვის მნიშვნელოვანია აგრეთვე ა. ჩხეიძის ნაშრომი, რომელშიც გაშუქებულია ინგლისის პოლიტიკა კავკასიაში XIX საუკუნეში.[21]

ამიერკავკასიის ხალხების რევოლუციურ საბრძოლო თანამეგობრობას XIX ს-ის II ნახევარში საყურადღებო ნაშრომები მიუძღვნა ზ. შველიძემ[22].

იმპერიალიზმის ეპოქაში ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების რევოლუციური საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიის საკითხებს ეხება ფ. მახარაძის[23], გრ. ჟვანიას[24], დ. შავდიას[25]; ი. ნატროშვილის[26] და სხვა. შრომები.

---

[16] И. Антелава, Реформа поземельного устройства государственных крестьян Закавказья в конце XIX века, Сухуми, 1952.

[17] Д. Л. Ватейшвили, Русская общественная мысль и печать на Кавказе в первой трети XIX века, М., 1973.

[18] ნ. ქორთუა, ამიერკავკასია რუსეთ-ირანის 1826—1828 წლების ომში, თბ., 1978.

[19] Ш. Мегрелидзе, Закавказье в русско-турецкой войне 1877—1878 гг. Тб., 1972.

[20] ლ. შენგელია, ამიერკავკასია და რუსეთ-ირანის ურთიერთობა XIX საუკუნის პირველ ნახევარში, თბ., 1979.

[21] ა. ჩხეიძე, ინგლისის პოლიტიკა კავკასიაში, თბ., 1978.

[22] ზ. შველიძე, რევოლუციური ხალხსნური მოძრაობის ისტორიიდან ამიერკავკასიაში, თბ., 1964; მისივე, ნარკვევები ამიერკავკასიის ხალხთა რევოლუციურ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან, თბ., 1971; მისივე, ამიერკავკასიელები „სრულიად რუსეთის სოციალ-რევოლუციურ ორგანიზაციაში— (1874—1876 წწ.), თბ., 1974.

[23] Ф. Махарадзе, Очерки революционного движения Закавказья, Тб., 1927.

[24] Г. Жвания, Большевистская печать Закавказья накануне и в период первой русской революции, Тб., 1958.

[25] დ. შავდია, ამიერკავკასიის ბოლშევიკების ბრძოლა ცარიზმის აგრარული პოლიტიკის წინააღმდეგ 1905—1907 წწ., თბ., 1977.

[26] ი. ნატროშვილი, „ისკრა“ და რევოლუციური მოძრაობა ამიერკავკასიაში, თბ., 1961.

ამიერკავკასიაში პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის წლებში შექმნილი ვითარებისა და კავკასიაში გერმანელ იმპერიალისტთა გეგმების გასახილველად დიდი მნიშვნელობა აქვს შ. ბასილაიას[27] და გ. ფიფიას[28] ნაშრომებს.

აზერბაიჯანში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლის ისტორიის გაშუქების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ა. სურგულაძის[29], კ. წერეთლისა[30] და გ. ღამბაშიძის[31] ნაშრომებმა.

ქართველი ისტორიკოსები ა. მენთეშაშვილი, დ. ჯიბლაძე, კ. ცქიტიშვილი, საგანგებო ადგილს უთმობენ აზერბაიჯანში სოციალიზმის მშენებლობის ეპოქის ისეთ კარდინალურ პრობლემებს, როგორიცაა ამიერკავკასიის ფედერაციისა და საბჭოთა კავშირის შექმნა[32], საკონცესიო საწარმოები[33], დიდი სამამულო ომი[34] და სხვ.

ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის ისტორიის შესწავლას მიუძღვნეს თავიანთი შრომები ზ. ანჩაბაძემ[35], ც. კალანდაძემ[36], ქ. თოფურიძემ[37], ს. მამულიამ[38] და ე. სიხარულიძემ[39].

ასე წარმოგვიდგება ზოგადად ქართველი საბჭოთა ისტორიკოსების შრომების მნიშვნელობა აზერბაიჯანის ისტორიის შესწავლისათვის.

---

[27] Ш. Басилая, Закавказье в годы первой мировой войны, Сухуми, 1968.

[28] Г. Пипия, Германский империализм в Закавказье 1910—1918 гг., М., 1978.

[29] ა. სურგულაძე, ბრძოლა სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ამიერკავკასიაში (1917—1918 წწ.), თბ., 1957; მისივე, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება ამიერკავკასიაში (1918—1921 წწ.) თბ., 1961.

[30] კ. წერეთელი, საბჭოები და საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლა ამიერკავკასიაში (1917—1921 წწ.), თბ., 1965.

[31] გ. ღამბაშიძე, იმპერიალისტური სახელმწიფოების აგრესიული პოლიტიკა საქართველოსა და ამიერკავკასიაში 1920 წელს, თბ., 1970.

[32] А. Ментешашвили, Большевистская пресса Закавказья в борьбе за создание Закавказской федерации и Союза ССР (1921—1922 гг.) Тб., 1972.

[33] Д. Джибладзе, Концессионные предприятия в Закавказье в 1926—1929 гг., Тб., 1973.

[34] К. Цкитишвили, Закавказье в годы Великой Отечественной войны 1941 — 1945 гг., Тб., 1969.

[35] ზ. ანჩაბაძე, ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიული ურთიერთობა, იხ. წიგნში: საქართველოს უახლესი ისტორიის საკითხები, წ. VI, თბ., 1972.

[36] ც. კალანდაძე, საბჭოთა ხალხების კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან იხ. წიგნში: საქართველოს უახლესი ისტორიის საკითხები, წ. VI, თბ., 1972.

[37] ქ. თოფურიძე, ამიერკავკასიის ხალხთა მეგობრობის ისტორიიდან იხ. წიგნში: საქართველოს უახლესი ისტორიის საკითხები, წ. III, თბ., 1970, მისივე, ამიერკავკასიის ხალხთა კულტურული და ინტერნაციონალური ურთიერთობის ისტორიიდან. იხ. წიგნში: საქართველოს უახლესი ისტორიის საკითხები, წ. VI, თბ., 1972.

[38] С. Мамулия, Из истории сотрудничества и социалистического соревнования Грузии с Азербайджаном и Арменией в области промышленности в 1959—1965 гг., იხ. წიგნში: საქართველოს უახლესი ისტორიის საკითხები, წ. IV, თბ., 1971.

[39] ე. სიხარულიძე, ამიერკავკასიის ხალხთა ურღვევი მეგობრობა, თბ., 1970.

IV. ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიისა და საქართველოსთან მათი ურთიერთობის საკითხები ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში

ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიისა და საქართველოსთან მათი ურთიერთობების ყოველმხრივი მეცნიერული შესწავლაც ფაქტობრივად საბჭოთა ეპოქაში იწყება. მას დასაბამი მისცა ივ. ჯავახიშვილმა, რომელიც გამოდიოდა იბერიულ-კავკასიური ენობრივი ერთობის თეორიიდან, ქართველ ინტელიგენციას მოუწოდებდა ჩრდილო კავკასიელი ხალხების ისტორიის შესწავლისა და ცოდნისაკენ.

ივ. ჯავახიშვილმა დიდი ენერგია შეალია ქართველური და სხვა კავკასიური (დაღესტნურ-ჩეჩნური, აბხაზ-ადიღური) ენების ნათესაობის ლინგვისტურ დასაბუთებას[1]. ჩრდილო კავკასიის ფართო ტერიტორიის უძველესი ტოპო- და ეთნონიმიკის, ონომასტიკის ანალიზის საფუძველზე მან წამოაყენა მოსაზრება, რომ ძვ. წ. I ათასწლეულში იქ მცხოვრებ სკვით-სარმატებში ძირითადად ივულისხმება ქართველთა მონათესავე ჩრდილო კავკასიური მოსახლეობა. ჩრდილო კავკასიური (აფხაზურ-ადიღური და ჩეჩნურ-დაღესტნური) სახელწოდებების ამიერკავკასიაში გავრცელების საფუძველზე ივ. ჯავახიშვილი ასკვნიდა, რომ ძველ დროს ამ ტომებს უნდა ეცხოვრათ სამხრეთ კავკასიაში — ადიღურ ტომებს ისტორიული საქართველოს დასავლეთ ნაწილში, ხოლო მათ აღმოსავლეთით — ჩეჩნურ-დაღესტნურ ტომებს. აქედან ისინი გაერცელდნენ მათი გეიანდელი განსახლების ადგილებში[2].

გ. მელიქიშვილი თვლის, რომ ივ. ჯავახიშვილის მიერ ცალკეული ტოპონიმიკური ფაქტების ზუსტი ანალიზის მიუხედავად, არსებული ფაქტები, განსაკუთრებით სამხრეთ კავკასიაში, შედარებით გვიან ფიქსირებული მასალები, არ იძლევა საშუალებას, რომ უძველეს ხანაში ჯერ მთელი ამიერკავკასია და მთელი ჩრდილო კავკასია და უფრო ჩრდილოეთით მდებარე მიწები აფხაზურ-ადიღური და ჩეჩნურ-დაღესტნური ტომებით დასახლებულად მივიჩნიოთ[3].

ივ. ჯავახიშვილის კონცეფციამ, რა შეფასებასაც არ უნდა იმსახურებდეს დღეს, მძლავრი ბიძგი მისცა ჩრდილო კავკასიის ხალხთა ენებისა და ისტორიის შესწავლას საქართველოში. ისტორიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, 1958 წელს კავკასიის მთიანეთის ხალხთა ისტორიის განყოფილების შექმნით ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის, საქართველოსთან მათი ურთიერთობის შესწავლას მიზანსწრაფული, გეგმაზომიერი ხასიათი მიეცა. კვლევა ორი ძირითადი მიმართულებით გაიშალა: 1. ჩრდილო კავკასიის ხალხთა სოციალურ-ეკონომიური განვითარება და 2. საქართველოს ურთიერთობა ჩრდილო კავკასიასთან.

1. ჩრდილო კავკასიის ხალხთა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური განვითარების საკითხები ქართველ ისტორიკოსთა ყურადღების სფეროში შედარებით გვიან მოექცა.

---

[1] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937.

[2] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950 გვ. 247—250.

[3] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1970, გვ. 324.

ს. ჯანაშიამ სტატიაში „ვახუშტი ქართული ფეოდალიზმის შესახებ“ გაანალიზა მისი მონაცემები ოსეთის შესახებ და დაასკვნა, რომ ვახუშტის მიხედვით, ოსეთის მაგალითზე, ფეოდალურ ურთიერთობათა ჭეშმარიტების პროცესში ეთნიკური მომენტი მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მან ყურადღება მიაქცია ვახუშტის მიერ აღნიშნულ ფაქტს მოხუცებულთა დიდი პატივისცემისა და საზოგადოებრივ ურთიერთობის საკითხების ნართვარეგულირებაში მათი დიდი როლის შესახებ და დაასკვნა: „აქ საუცხოოდაა დახატული რღვევის გზაზე დამდგარი გვაროვნული საზოგადოება თავის პატრიარქებით, რომელთა ხელშია მართლმსაჯულება და თემის ყოველივე გასაგებელი“. ს. ჯანაშია ვახუშტის მიერ დახატულ ოსთა სოციალურ სურათს მიიჩნევს ნახევრადპატრიარქალურ ან პატრიარქალურ მდგომარეობაში მყოფ ტომთა ყოფად. ს. ჯანაშიამ პირველმა მიაქცია ყურადღება იმ გარემოებასაც, რომ ვახუშტის მიხედვით ოსთა ცალკეული საზოგადოებები სოციალური განვითარების სხვადასხვა ფონზე იდგნენ. მაგ., დიგორიისათვის დამახასიათებელია „ნებატონნი ყმიანნი“[4] და სხვ.

1956 წელს გამოქვეყნდა ზ. ანჩაბაძის წერილი „ტლფოკოტლების სოციალური მდგომარეობა და მათი კლასობრივი ბრძოლა ადიღის საზოგადოებაში XIX ს-ის პირველ ნახევარში“. ტლფოკოტლები, რომლებიც ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მთის მოსახლეობის ნახევარზე მეტს შეადგენდნენ, მასში დახასიათებულია როგორც სოციალური ჯგუფი გარდამავალი კლასის ტიპური ნიშნებით. მისთვის დამახასიათებელი იყო სისტემატური დიფერენციაცია სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით. მისი უმნიშვნელო ნაწილი თანდათან გზას იკაფავდა აზნაურული წოდებისაკენ, ძირითადი მასა კი კარგავდა პატრიარქალურ-თემური ეპოქიდან მიღებულ უფლებებს და სულ უფრო ეეცეოდა ფეოდალურ-სატომო ზედაფენის სოციალურ დამოკიდებულებაში. წერილში მოყვანილია საინტერესო მასალები ტლფოკოტლების კლასობრივი ბრძოლის შესახებ[5].

ყაბარდოს XIX ს-ის პირველი ნახევრის სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობათა შესწავლას მიეძღვნა თ. ბოცვაძის ნაშრომი[6]. მან გამოიკვლია ყაბარდოს სამეურნეო-ეკონომიკური განვითარების საკითხები, მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის თანაფარდობა, მიწათმფლობელობის ფორმები, ფეოდალური და დამოკიდებული კლასები, სოციალური ურთიერთობანი მათ შორის, კლასობრივი ბრძოლა და სხვა საკითხები.

მ. ცინცაძე თავის ნაშრომში თვლის, რომ გვიან შუა საუკუნეების დასაწყისისათვის ადიღელები ფეოდალიზმის გზაზე იდგნენ. XVI საუკუნიდან ისინი აღმოჩნდნენ მწვავე პოლიტიკური ბრძოლის ცენტრში, რომელიც მიმდინარეობდა რუსეთს, თურქეთსა და ირანს შორის[7].

XIII-XIV სს. დვალთა სოციალური წყობილება შეისწავლა ვ. გამრეკელმა. დვალები ცენტრალური კავკასიონის მაღალმთიან ზოლში ცხოვრობდნენ — ნარმამისონის ქვაბულში (ამჟამად ჩრდ. ოსეთის ასსრ-ში შედის). ქსნის ერისთავთა საგვარეულო მატიანის „ძეგლი ერისთავთას“ ფრაგმენტული ცნობების

---

[4] ანალები, I, თბ., 1947. გვ. 11—12.

[5] ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. II, 1956, გვ. 201—202, 206—207.

[6] Т. Д. Боцвадзе. Социально-экономические отношения в Кабарде в первой половине XIX века. Тб., 1965.

[7] М. В. Цинцадзе, Социально-экономическое и культурное положение адыгейцев в XVI—XVIII вв. Тб., 1962.

ანალიზის საფუძველზე ავტორი ასკვნის, რომ XV ს-ის დასასრულამდე დვალეთში არ იყო ფეოდალიზმი და თემური წყობილების პირობებში ცხოვრობდნენ, რომ ისინი საგრძნობლად ჩამორჩნენ სოციალურად თავის მეზობლებს — მთიულებსა და ოსებს[8].

ჩრდილო კავკასიის ცალკეულ ხალხთა სოციალური წყობილების შესწავლამ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში, მათ შორის ქართულ ისტორიოგრაფიაში, შექმნა შესაძლებლობა იმ პროცესის განზოგადებისა, რამაც ისინი ფეოდალურ-კლასობრივ ურთიერთობამდე მიიყვანა. ამ მხრივ დიდ ინტერესს იმსახურებს ზ. ანჩაბაძისა და ა. რობაქიძის განმაზოგადებელი წერილი „კავკასიური მთური ფეოდალიზმის ბუნების შესახებ"[9].

XVII-XVIII სს აღმოსავლეთ საქართველოს ბარში ადგილი აქვს დაღესტნის მთიელთა ექსპანსიას. ამან განაპირობა ქართველ ისტორიკოსთა ინტერესი კახეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში დაღესტნის მთებიდან გამოსულთაგან წარმოქმნილ ჭარ-ბელაქნის საზოგადოებათა სოციალური წყობის საკითხებისადმი. ეს საკითხი პირველად ი. პეტრუშევსკიმ დასვა მონოგრაფიაში „ჭარ-ბელაქნის თავისუფალი საზოგადოებები XIX ს-ის პირველ მესამედში" (თბ., 1934). ამ საზოგადოებათა წარმოქმნას იგი საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის შედეგად თვლიდა. მისი აზრით, „ჭარ-ბელაქნის არისტოკრატიული რესპუბლიკები XVIII ბოლოსა და XIX ს. დასაწყისში უკვე ადრეფეოდალიზმის სტადიაში იმყოფებოდნენ და მხოლოდ არქაული ფორმაციის მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი გადმონაშთები შემორჩათ" (გვ. 6). ჭარ-ბელაქნის საზოგადოებათა სოციალურ-ეკონომიკური წყობილების განსაზღვრაში ი. პეტრუშევსკის შეხედულებასთან ახლო დგას მ. დუმბაძის თვალსაზრისი, რომელიც მას თელის ადრეფეოდალური წყობილების ნიშნების შენარევად გვაროვნული წყობილების გადმონაშთებთან[10]. თ. პაპუაშვილიც თვლის, რომ XVIII ს. მეორე ნახევრიდან ჭარ-ბელაქანსა და ელისუს სასულთნოში მიმდინარეობდა ფეოდალიზმის პროცესი, ამასთან იგი ელისუში უფრო სწრაფად მიდიოდა, ვიდრე ჭარ-ბელაქნის თავისუფალ საზოგადოებაში[11]. მთიანი დაღესტნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხები საგანგებოდ შეისწავლა ვ. გამრეკელმა. აღნიშნულ საკითხებს იგი შეეხლო „ლეკიანობის" სოციალურ-ეკონომიკური ნიადაგის შესწავლის მიზნით. „ლეკიანობა" ანუ დაღესტნის მთიელთა ექსპანსია ბარში მას მიაჩნია სოციალურ მოვლენად, რომლის ბუნების გასაგებად აუცილებელია მთიანი დაღესტნის მოსახლეობის სოციალურ სტრუქტურასა და იმ წამყვან სოციალურ პროცესებში გარკვევა, რომელთაც ადგილი ჰქონდათ იქ XVII-XVIII სს[12].

ჩრდილო კავკასიელ მთიელთა სოციალური წყობილების შესახებ საინტერესო კონცეფცია წარმოადგინა გ. მელიქიშვილმა[13]. მან აღნიშნა ტენდენცია

---

[8] В. Н. Гамрекели, Двалы и Двалетия в I—XV вв. н. э. Тб., 1961.

[9] იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XVIII, თბ., 1973, გვ. 111—126.

[10] მ. დუმბაძე, აღმოსავლეთ კახეთის (საინგილოს) ისტორიიდან (XIX ს. რეფორმამდელი პერიოდი), თბ., 1953, გვ. 73, 80.

[11] თ. პაპუაშვილი ჭარ-ბელაქანი, თბ., 1972, გვ. 57.

[12] В. Н. Гамрекели, Вопросы взаимоотношений Восточной Грузии с Северным Кавказом в XVIII веке, автореферат докторской диссертации, Тб., 1972.

[13] Г. А. Меликишвили, К вопросу о характере древних закавказских и средневековых горских северокавказских классовых обществ, «История СССР», № 6, 1975 გვ. 47—55

კავკასიის მთის და. ნაწილობრივ, ბარის რაიონებში ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარების დონის გაზვიადებისა, რასაც მცდარ დასკვნებამდე მივყავართ. კავკასიის ზოგ რაიონში იგი აღიარებს „აღმოსავლურ ფეოდალიზმისა" და „მთური ფეოდალიზმის" ელემენტების გადახლართვას. იგი ვლინდებოდა მწარმოებელთა ძირითადი ფენის მიერ პირადი თავისუფლებისა და მიწაზე უფლების შენარჩუნებაში, გაბატონებული კლასის სამმართველო ხასიათში, მის მიერ რიგ შემთხვევებში წარმოების საშუალებებსა და მწარმოებლის პიროვნებაზე სამემკვიდრეო უფლებების უქონლობაში. მიუხედავად იმისა, რომ „მთური ფეოდალიზმი" „აღმოსავლურთან" შედარებით ნაკლებ განვითარებულად გამოიყურება, ტიპოლოგიურად ისინი ახლო დგანან ერთმანეთთან.

იმის გამო, რომ ფეოდალიზმის ისეთი ფორმები, როგორიცაა „მთური", „მომთაბარე", „აღმოსავლური" წარმოადგენენ თვითმყოფად, ავტონომურად მოქმედ სისტემებს და მათთვის დამახასიათებელი ორგანული თვისებების გამო თითქმის არ გადაიზრდებიან დასავლეთ ევროპული ტიპის განვითარებულ ფეოდალიზმში (სადაც დომინირებენ მიწისმფლობელობაზე დამყარებული ურთიერთობანი), ავტორს შესაძლებლად მიაჩნია უარისთქმა ტერმინზე „ადრეფეოდალური" დასავლეთ ევროპულისაგან განსხვავებული ფეოდალიზმის ტიპების მიმართ. მთურ ფეოდალიზმთან დაკავშირებით მას უფრო მისაღებად მიაჩნია ისეთი ცნებების ხმარება, როგორიც არის „ფეოდალურამდელი", „პროტოფეოდალური", ვიდრე ტერმინ „ადრეფოდალურის" გამოყენება[14].

ჩრდილო კავკასიის მთის ხალხთა სოციალურ ურთიერთობებს იკვლევენ ქართველი ეთნოგრაფებიც. ეთნოგრაფიულ მასალებზე დამყარებული შრომები მიუძღვნეს მათ ა. რობაქიძემ და რ. ხარაძემ[15]. მათ გამოავლინეს მონობის სპეციფიკური ხასიათი კავკასიის მთიელებთან, რაც მდგომარეობდა იმაში, რომ იგი ემსახურებოდა არა მონათმფლობელობის, არამედ ფეოდალიზმის ინტერესებს[16]. ცენტრალური კავკასიონის მთიელთა საოჯახო ყოფას მიეძღვნა ვ. ითონიშვილის მონოგრაფიული გამოკვლევები[17].

II. ბუნებრივია, რომ ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ საქართველოს ჩრდილო კავკასიის ხალხებთან მრავალმხრივი ურთიერთობის საკითხებს. საუკუნეთა მანძილზე საქართველოსათვის ჩრდილო კავკასია წარმოადგენდა ბარიერს მომთაბარე ხალხთაგან, მტკიცე ზურგს, უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ. დამხმარე სამხედრო ძალის ამოუწურავ წყაროს.

ივ. ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორიაში" (ოთხ წიგნად), ასევე სხვა შრომებში, აანალიზებდა ქართული და უცხოური წყაროების მონაცემებს ქართველი და ჩრდილო კავკასიის ხალხთა ურთიერთობის საკითხებზე. მისი აზრით, თითქმის ყველა ჩრდილო კავკასიელი ხალხი XII ს-ის დასაწყისიდან საქართველოს ფეოდალური მონარქიის ვასალი იყო. ამ ვასალურ-სიუზერენუ-

---

[14] Г. А. Меликишвили. დასახ. ნაშრომი. გვ. 52.

[15] რ. ხ ა რ ა ძ ე, სასოფლო თემი ბალყარეთში, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XI, 1960; Р. Л. Харадзе, А. И. Робакидзе, Характер сословных отношений в горной Ингушетии, Кавказский этногафический сборник II., 1968.

[16] ქართული ეთნოგრაფიის კავკასიოლოგიური პრობლემები, კავკ. ეთნოგრ. კრებული, IV, 1972.

[17] ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ცენტრალური კავკასიონის მთიელთა საოჯახო ყოფა, თბ., 1969; მ ი ს ი ვ ე, კავკასიის ხალხთა საოჯახო ყოფა (ისტორიოგრაფიული ნარკვევი) თბ., 1977

ლი ურთიერთობის აღსანიშნავად იგი სარგებლობდა ტერმინ „ყმადნაფიცობით". და თუმცა ბევრი ჩრდილო კავკასიელი ხალხის მიმართ აღნიშნული დებულების დამადასტურებელი პირდაპირი მონაცემები არა გვაქვს, იგი მაინც მტკიცედ დამკვიდრდა ქართულ ისტორიოგრაფიაში[18].

საქართველო-ჩრდილო კავკასიის ურთიერთობის საკითხებზე საინტერესო დაკვირვებები ჰქონდა ს. ჯანაშიას. იგი მოითხოვდა საქართველოს ისტორიის შესწავლას მეზობელ ხალხების ისტორიასთან მჭიდრო კავშირში. აღნიშნავდა რა ძველი საქართველოს სამხედრო-სამოკავშირეო ურთიერთობას ჩრდილო კავკასიის ხალხებთან, იგი მიუთითებდა მათ შორის მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობის არსებობაზეც[19].

ს. ჯანაშია დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იმ სამხედრო მხარდაჭერას, რაც ხაზართა ხაკანმა გაუწია თავის სიძეს — აფხაზთა ერისთავს ლეონს ბიზანტიის იმპერიისაგან დამოუკიდებლობის მოპოვებაში[20]. მასვე მიაჩნდა, რომ ქართული ფეოდალური მონარქია იდეოლოგიურ ექსპანსიას ახორციელებდა ჩრდილო კავკასიაში — ავრცელებდა ქრისტიანობას, რომლის მეშვეობითაც ქართული ენა და დამწერლობა ვრცელდებოდა ოსებსა და ჩერქეზებში[21]. სპეციალურ ნაშრომებში ს. ჯანაშია ასაბუთებდა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩერქეზული ტოპონიმიკის არსებობას, რაც მას პრეისტორიული საქართველოს მოსახლეობაში ჩერქეზული ელემენტის არსებობის ნიშნად მიაჩნდა[22].

საქართველოს ჩრდილო კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის შესწავლის საქმეში დიდი წვლილი შეიტანა ნ. ბერძენიშვილმა. მას ამ პრობლემებისადმი მიძღვნილი სპეციალური ნაშრომი არა აქვს; მაგრამ საქართველოს ისტორიისა და რუსეთ-საქართველოს ურთიერთობისადმი მიძღვნილ ნაშრომებში მოცემულია სახელმძღვანელო დებულებები ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის არაერთი საკვანძო საკითხის შესახებ.

ნ. ბერძენიშვილი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ფეოდალური საქართველო ფეოდალურ ურთიერთობებში ითრევდა კავკასიის მთიელებს, რომ დაღესტნელები, დიდოელები, დურძუკები, ფხოვები, მთიულები, ოსები, დვალები, სვანები, ჯიქები საუკუნეთა მანძილზე ებრძოდნენ ფეოდალური ბარის გავლენას, მაგრამ ჩამორჩენილი მთიულები მარცხდებოდნენ და ფეოდალური ურთიერთობანი მათ უკიდურეს კუნჭულებსაც აღწევდა. ფეოდალიზაციასთან ერთად ხდებოდა მთიანეთის „გაქართულება", გაქრისტიანება[23].

მისი აზრით, XII-XIII სს დასაწყისში საქართველო მთელი კავკასიის თავის გარშემო გაერთიანების პოლიტიკას ატარებდა. ჩერქეზები და ოსები, დურძუკები და ღუნძები ორგანულად მონაწილეობდნენ კავკასიის ერთიანი დიდი ფეოდალური სამყაროს წარმოქმნაში. თამარის მეფობის უკანასკნელ ხანში ყველა ეს იმიერკავკასიელი მთიელები საქართველოს მეფის ყმადნაფიც-

---

18 ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე (1977 წლის აპრილი) გ. თოგოშვილი შეეცადა ამ დებულების დაზუსტებას, თქვა რა, რომ ზოგიერთი ჩრდილო კავკასიელი ხალხის ვასალური დამოკიდებულება საქართველოზე პრობლემატურია. საქართველოს ვასალები იყვნენ ის მთიელები, რომლებიც უშუალოდ ესაზღვრებოდნენ საქართველოს.

19 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, I, თბ., 1949, გვ. 17, 194—195.

20 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 322.

21 საქართველოს ისტორია, საშ. სკოლის სახელ. თბ., 1946, გვ. 158; შრომები. II, გვ. 306.

22 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, III, თბ., 1959, გვ. 117—123.

23 ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VI, 1973, გვ. 62.

თა შორის იმყოფებოდნენ და პოლიტიკური გავლენის გარდა ფეოდალური საქართველოს ძლიერ კულტურულ გავლენასაც განიცდიდნენ[24]. ზემოთქმულთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში კავკასიის მთიანეთის სხვადასხვა რაიონში არსებული ქრისტიანული საკულტო ძეგლები ქართველ მეფეთა და მისიონერთა აშენებულად არის მიჩნეული. ნ. ბერძენიშვილის აზრით, მათ აშენებდა ადგილობრივი ფეოდალური საზოგადოება, რომელიც ამ ნიშნით ქართველობას იჩემებდა (რაშიც ქართული ფეოდალური კულტურა იგულისხმებოდა)[25].

აღსანიშნავია, რომ ნ. ბერძენიშვილი კულტურულ გავლენას არ განიხილავდა როგორც ერთი ხალხის კულტურული მიღწევების სხვა ხალხზე მექანიკურ გადატანას. მისი სამართლიანი მითითებით, კულტურული გავლენის სუბიექტის დავიწყება არ შეიძლება, „მაგრამ გავლენა ბოლოს და ბოლოს ძირითადად ისევ იმით არის ზღვარდადებული, ვინც ამ გავლენის ობიექტია. ამიტომ უცხოურ გავლენაზე შეიძლება ლაპარაკი უმთავრესად ტექნიკის თვალსაზრისით და არა იდეების თვალსაზრისით. **იდეები ადგილობრივი წარმოშობისა თუ არა, ადგილობრივი პირობების მიერ მხარდაჭერილნი უნდა იყვნენ აუცილებლად**“[26] (ხაზი ჩვენია. — გ. თ.). აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს დასკვნა, რომ ავტორი იმიერკავკასიის ხალხებს სოციალურ-პოლიტიკური განვითარების ისეთი საფეხურზე მდგარად განიხილავდა, რომ შეეძლოთ მიეღოთ კლასობრივი ქრისტიანული რელიგია და მასთან ერთად ქართული კულტურა.

განსაკუთრებით ფართოდ შეეხო მკვლევარი საქართველო-დაღესტნის ურთიერთობებს, რომელთაც იგი განიხილავდა რუსეთ-საქართველოს და საქართველო-თურქეთ-ირანის ურთიერთობასთან მჭიდრო კავშირში.

შრომაში „გზები რუსთაველის ეპოქის საქართველოში“ (თბ. 1966) ნ. ბერძენიშვილმა საინტერესო მოსაზრებანი წამოაყენა კავკასიონის ქედზე გამავალი საუღელტეხილო გზების მარშრუტებზე. მათი პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობის საკითხებზე, აღმავლობისა და დაქვეითების პერიოდებზე კავკასიასა და საერთოდ საერთაშორისო არენაზე ისტორიული მოვლენების განვითარების შესაბამისად რომ ხდებოდა. საუღელტეხილო გზები სამხრეთისა და ჩრდილოეთის ქვეყნების ინტენსიური ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის არტერიებად არის მიჩნეული.

საქართველოსა და ჩრდილო კავკასიის ურთიერთობის საკითხებზე საინტერესო მოსაზრებები აქვს გამოთქმული გ. მელიქიშვილს. მან გამოთქვა აზრი, რომ უძველეს დროს (გვიან ბრინჯაოს ეპოქასა და ანტიკურ ხანაში) საქართველოს ტერიტორიაზე ქართველურ ტომთა გვერდით უნდა ეცხოვრათ აფხაზურ-ადიღურ და ჩეჩნურ-დაღესტნური წარმოშობის სხვადასხვა ტომებს[27]. მან ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ საქართველოს

---

[24] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, V, თბ., 1971, გვ. 159; საქართველოს ისტორია, დამხმ. სახელმძღვანელო, თბ., 1958, გვ. 204—205.

[25] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VII, თბ., 1974, გვ. 91.

[26] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, გვ. 48.

[27] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის, თბ., 1965, გვ. 78—79; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1971, გვ. 355, 431—432. განსხვავებული მოსაზრება ამ საკითხზე იხ. ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბ. 1969, გვ. 235. დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის უმთავრესი საკითხები, თბ., 1977, გვ. 63—64.

ჩრდილო კავკასიელ მთიელებთან ურთიერთობის მოტივს დიდი ადგილი უკავია, რომ ფარნავაზიანთა (ქართლის-იბერიის სამეფო დინასტიის) პირველ წარმომადგენლებს შორის გვხვდება ჩრდილო ირანული (სკვითურ-სარმატული) სახელები და ეს იმ დიდი როლის მაჩვენებლად მიაჩნია, რასაც ჩრდილო კავკასიური გაერთიანებები ასრულებდნენ ქართლის ისტორიაში მისი სახელმწიფოებრივობის გარიჟრაჟზე[28]. ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში ქართულ-ჩრდილო კავკასიური ურთიერთობის ანალიზი მეცნიერს საფუძველს აძლევს ამტკიცოს, რომ იბერიის სამხედრო-პოლიტიკური ძლიერება მნიშვნელოვანწილად ემყარებოდა მეზობელ მთიელ და მომთაბარე ტომებთან მშვიდობიან და სამოკავშირეო ურთიერთობებს[29].

ქართულ ისტორიოგრაფიაში სადღეისოდ მონოგრაფიულად შესწავლილია საქართველოს ურთიერთობები ჩრდილო კავკასიის ყველა ძირითად ხალხთან.

საქართველო-დაღესტნის ურთიერთობები XVI-XVIII ს. პირველად შეისწავლა დ. მეგრელაძემ ნაშრომში „საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან[30]. იგი ამ ურთიერთობებს განიხილავს მთისა და ბარის მოსახლეობის ურთიერთობის პრობლემის თვალსაზრისით. იგი ხაზს უსვამს საქართველოსა და დაღესტანს შორის ხანგრძლივი ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის არსებობას, მოაქვს საინტერესოდ დამაჯერებელი საილუსტრაციო მასალა.

საქართველო-დაღესტნისავე ურთიერთობებს ეხება თ. ბოცვაძის მონოგრაფიაც „საქართველო-დაღესტნის ურთიერთობის ისტორიიდან XV-XVIII სს. (თბ., 1968). მასში საქართველო-დაღესტნის პოლიტიკური ურთიერთობები განხილულია ორი მიმართულებით: 1) როგორ ვითარდებოდა დაღესტნელთა ექსპანსია აღმოსავლეთ საქართველოზე, რა პრობლემებს წამოჭრიდა იგი ქართული ფეოდალური საზოგადოების წინაშე და როგორ ცდილობდა ამ პრობლემათა გადაჭრას და 2) როგორ ეხლართებოდა დაღესტნის საკითხი საქართველოს ურთიერთობას ირანთან, თურქეთთან, რუსეთთან, რა ცვლილებებს განიცდიდა საქართველო-დაღესტნის ურთიერთობა საგარეო-პოლიტიკური ფაქტორების გავლენით.

საქართველოს ურთიერთობას ჩეჩნეთ-ინგუშეთთან რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა ა. შავხელიშვილმა. სხვადასხვა სახის ისტორიული წყაროების საფუძველზე ის იკვლევს ქართულ-ვეინახურ ურთიერთობებს ეკონომიკის, პოლიტიკის, კულტურის სფეროში. მან დიდი ადგილი დაუთმო ქართველ მთიელებსა და ვეინახებს შორის მატერიალური და სულიერი კულტურის სფეროში არსებულ მჭიდრო ურთიერთობას, ეთნიკური ინფილტრაციის პროცესებს მათ შორის, მათ დამაკავშირებელ გზა-ბილიკებს და ამ ხალხთა ისტორიის სხვა საკითხებს[31].

---

[28] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб.; 1959, გვ. 39.

[29] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ. 31.

[30] „მაცნე“ № 6, 1967, გვ. 117—140.

[31] А. Шавхелишвили, Из истории взаимоотношений между грузинскими и чечено-ингушскими народами, Грозный 1963; его же, Из истории материальной культуры Тушети и Чечнии, Кавказский этнографический сборник, III, 1970; თუშეთისა და ჩეჩნეთ-ინგუშეთის ურთიერთობის ისტორიიდან (XVI—XIX ს. პირვ. ნახ.) „ორგა“, № 2, 1974 (ჩეჩნ-ენაზე); თუშების ტერიტორიული განსახლება და ჩეჩნეთ-ინგუშეთთან დამაკავშირებელი გზები, „მაცნე“, ისტორიის სერია, № 2, 1972; აღმ. საქართველოს მთიანეთის ისტორიიდან, თბ., 1976.

ქართულ-ჩრდილო კავკასიურ ურთიერთობათა სისტემაში თავის ხანგრძლივობითა და ინტენსივობით საგანგებო ადგილი უჭირავს საქართველო-ოსეთის ურთიერთობას. მას მიეძღვნა გ. თოგოშვილის ოთხი მონოგრაფია[32] და ათეულობით წერილი, რომლებშიც გაშუქებულია საქართველოსა და ოსეთს შორის არსებული ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული კავშირ-ურთიერთობანი უძველესი დროიდან საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე. მათში გატარებულია აზრი, რომ საქართველო-ოსეთის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობანი სხვადასხვა ფაქტორის გავლენით ი

საქართველოს ჩრდილო კავკასიასთან სავაჭრო ურთიერთობის ზოგიერთი ასპექტის შესახებ მსჯელობა გვხვდება მ. სამსონაძის წერილში „საქართველოს საგარეო ვაჭრობის ისტორიიდან XVIII ს. ბოლოს — XIX ს. დასაწყისში“[35].

1974 წელს გამოქვეყნდა ჯ. სტეფნაძის მონოგრაფია „საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობა კავკასიის ხალხებთან XII ს-ში“. მასში ცალკე თავი ეძღვნება საქართველოს ურთიერთობას ჩრდილო კავკასიასთან. ავტორი, ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ, ატარებს აზრს, რომ საქართველოს პოლიტიკური ექსპანსიის საშუალებები და მეთოდები ჩრდილო კავკასიის მიმართ იდენტური იყო მისივე პოლიტიკისა ამიერკავკასიელ მეზობლებისადმი და რომ ჩრდილო კავკასიის ხალხები უკვე X-XI სს .მიჯნაზე საქართველოს ვასალურ დამოკიდებულებაში ექცევიან“[36].

აფხაზურ-ადიღთა ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი გაშუქებულია ზ. ანჩაბაძის მონოგრაფიაში «Из истории средневековой Абхазии» (Сух., 1959). ქართველი და ჩრდილო კავკასიელი მთიელების ურთიერთობის შესახებ საინტერესო მასალებს ვხვდებით ს. მაკალათიას მონოგრაფიებში: „მთიულეთი“ (1930), „ხევსურეთი“ (1930), „მთა რაჭა“ (1930), „თუშეთი“ (1933), „ფშავი“ (1934), „ხევი“ (1934), „საბრძოლო და თავდაცვითი ნაგებობანი საქართველოს მთიანეთში“ (1945).

ყურადღებას იმსახურებს ზ. ანჩაბაძისა და მ. ცინცაძის წერილი „საქართველო და ჩრდილო კავკასია XII—XIII ს. პირველ ნახევარში“[37], რომელშიც შეფასებულია ორ მხარეს შორის არსებული ინტენსიური და მრავალმხრივი ურთიერთობის მნიშვნელობა თითოეული მათგანისათვის.

ქართულ-ადიღურ სამეურნეო-ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობის შესწავლას გვიან შუა საუკუნეებში მიეძღვნა მ. ცინცაძის წერილი[38].

ს. რეხვიაშვილის წიგნში „ქართველი და ჩრდილო კავკასიელი მთიელების მეგობრობის ისტორიიდან“ (თბ., 1977) გაშუქებულია დასავლეთ კავკასიის მთიელებს შორის არსებული ხელოვნური ნათესაობის—კერძობის (ყონაღობის) პრაქტიკა და მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებები, რომლებიც ხელს უწყობდნენ მათ შორის სავაჭრო-ეკონომიკური და კულტურული კავშირების განვითარებას.

ვ. გამრეკელმა რამდენიმე ნაშრომი მიუძღვნა ცენტრალური კავკასიონის მაღალმთიანი ზონის მცხოვრებლებს — დვალებს[39]. მან ისინი ვეინახური ტო-

---

[35] „მაცნე“, ისტ. სერია, № 1, 1972, გვ. 20—31.

[36] ამ მოსაზრების შესახებ იხ. გ. თ ო გ ო შ ვ ი ლ ი, ვახუშტი ბაგრატიონი ოსეთისა და ოსების შესახებ, თბ., 1977, გვ. 70—73.

[37] საქართველო რუსთაველის ეპოქაში, თბ., 1966.

[38] ქართულ-ადიღური ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, XLV, 1967, № 2, გვ. 553—558.

[39] В. Н. Гамрекели, Двалы и Двалетия в I—XV вв. н. э; დვალეთის ტოპონიმიკის ანალიზისათვის, ისტორიის ინსტ. შრომები, ტ. V, ნ. 1, 1958; ისტორიული მასალები დვალეთიდან, საქ. მუზეუმის მოამბე, XXIV—B, 1963; დვალეთის კარი ცენტრალურ კავკასიონზე (სასაზღვრო სიმაგრეები), „ძეგლის მეგობარი“, № 5, 1965. მასალები დვალეთისა და ქართლის ურთიერთობის ისტორიიდან, „ძეგლის მეგობარი“, № 14, 1968.

მების მონათესავედ მიიჩნია, რომლებიც თავის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ასიმილირებული იქნენ ქართველებისა და ოსების მიერ.

რუსულ-ქართულ-ოსური კავშირ-ურთიერთობის ზოგიერთმა საკითხმა ასახვა პოვა ვ. მაჭარაძის წერილებში[40].

ბევრი ნაშრომი მიეძღვნა ქართულ-ჩრდილოკავკასიურ კულტურულ ურთიერთობებს. ზოგი მათგანი ეხება კავკასიონის ქედის ჩრდილო ხეობებში შემორჩენილ საკულტო ძეგლების ქართულ წარწერებს, სხვები მატერიალური კულტურის ძეგლებს (ეკლესიებს, კოშკებს და სხვ.), ზოგიც ქართული ხელნაწერი სასულიერო წიგნების გავრცელებას ჩრდილო კავკასიელ მთიელთა შორის და ა. შ.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ის დიდი და ნაყოფიერი მუშაობა, რასაც ქართველი ეთნოგრაფები ეწევიან კავკასიოლოგიის დარგში. ეთნოგრაფიული მასალის საფუძველზე ისინი ავლენენ ქართულ-კავკასიური კულტურულ-ისტორიულ და გენეტიკურ კავშირებს, კულტურისა და ყოფის, სამეურნეო საქმიანობის საერთო ნიშნებს, განპირობებულს საერთო წარმოშობით, მსგავსი საზოგადოებრივ-ეკონომიური პირობებით, ურთიერთგავლენით. ქართველ ეთნოგრაფთა შრომებში გამოვლენილია კულტურისა და ყოფის ისეთი ნიშნები, რომლებიც ადასტურებენ კავკასიის ხალხთა კულტურულ-ისტორიულ ერთობას. ასეთ ნიშნებად მიჩნეულია მომთაბარული მესაქონლეობა, ინტენსიური მემინდვრეობა მორწყვის რთული სისტემით და სახვნელი იარაღის საგანგებო ფორმებით, დასახლების პატრონიმიული ფორმა, მონუმენტური საცხოვრებლი და საბრძოლო კომპლექსები, დიდი ოჯახის სტრუქტურა და განაწილების წესი, ადათისა და ზოგიერთი წეს-ჩვეულების ერთიანი ფორმების დაცვა კავკასიელ მთიელთა მიერ ეთნიკური და რელიგიური კუთვნილების მიუხედავად და სხვ.

ქართველი და ჩრდილო კავკასიის ხალხთა რევოლუციური თანამეგობრობა ცარიზმის დასამხობად და საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში საფუძვლიანად არის შესწავლილი ა. ლეჟავას ნაშრომებში[41]. ქართველი და ჩრდილო კავკასიელი მშრომელების ეკონომი-

---

[40] რუსეთ-ოსეთის ურთიერთობის ისტორიიდან XVIII ს-ის მე-90—90-იან წწ., საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, XLIV, №2, 1966; ჩრდილო ოსეთის რუსეთთან შეერთების საკითხისათვის. მოხს. თეზისები თსუ ისტ. ფაკ. და პედ. ინსტ. ისტორიის კათედრების სამეცნ. სესიისა, თბ., 1967, გვ. 12—13; დ. ერისთავი, ოსეთის სოფლების აღწერა (XVIII ს-ის მე-იანი წლები) „მაცნე", № 1, 1967.,

[41] ქართველი და ჩრდილო კავკასიელი ხალხების რევოლუციური თანამეგობრობა დენიკინელების წინააღმდეგ ბრძოლაში, თბ., 1970; ქართველი და ჩრდილო კავკასიელი ხალხების რევოლუციური თანამეგობრობის ისტორიიდან (1900—1917 წწ.), თბ., 1971; ქართველი და ჩრდილო კავკასიელი ხალხების რევოლუციური თანამეგობრობის ისტორიიდან (1905—1921 წწ.), თბ., 1973; Революционное содружество народов Грузии и Северного Кавказа в борьбе за победу Социалистической революции, М., 1978.

კური და კულტურული ურთიერთობის საკითხების შესწავლას ომამდელ (1921-1941 წწ.) პერიოდში მიეძღვნა მ. თოგოშვილის ნაშრომები[42].

ჩვენი ისტორიკოსები მონაწილეობას ღებულობენ ჩრდილო კავკასიის ცალკეული ხალხების ისტორიის განმაზოგადებელი კურსების შედგენაში. ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ცალკეული საკითხების შესწავლამ, საქართველოსთან მათი ურთიერთობის გაშუქებამ შესაძლებელი გახადა შექმნილიყო ისეთი განმაზოგადებელი ნაშრომი, როგორიცაა „ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევების ორი ტომი[43] (I — 1969, II — 1978). პირველში მოცემულია ჩრდილო კავკასიელ ხალხთა ისტორია უძველესი დროიდან XVIII ს-ის დასასრულამდე, ხოლო მეორეში—1801 წლიდან 1917 წლის თებერვლის რევოლუციამდე.

სადღეისოდ ქართველ ისტორიკოსებს ყველა პირობა აქვთ შექმნილი იმისათვის, რომ გააფართოონ და გაღრმავონ როგორც ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის პრობლემების, ასევე საქართველოსთან მათი ურთიერთობის საკითხების კვლევა. ქართველ მეცნიერთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის პერსპექტიული გეგმები ამ საქმეში ახალ წარმატებებს გვპირდებიან.

---

[42] საქართველოს სსრ ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა ჩრდილო კავკასიის ხალხებთან (საკანდ. დის. ავტორეფერატი), თბ., 1971; ვ. ი. ლენინი საქ. სსრ ჩრდილო კავკასიასთან ეკონომიკური ურთიერთობის შესახებ, „მაცნე", № 2, 1970; ქართველი და ჩრდილო კავკასიელი მშრომელების სოციალისტური შეჯიბრების ისტორიიდან „მაცნე", № 3, 1977.

[43] „ნარკვევების" I ტომის შესახებ დადებითი რეცენზია გამოქვეყნდა ჟურნალში «Известия Северо-Кавказского научного центра высшей школы (Общественные науки)», № 3, 1975.

გრიგოლ გიორგაძე

ძველაღმოსავლური ისტორიულ-ფილოლოგიური პრობლემების შესწავლა საქართველოში 1921—1980 წლებში*

საქართველოში ძველაღმოსავლური პრობლემატიკის მეცნიერული შესწავლა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გახდა შესაძლებელი. მართალია, საბჭოთა ხელისუფლების არსებობის პირველ წლებში რაიმე მნიშვნელოვანი ნაშრომი ძველი აღმოსავლეთის ისტორიისა და ძველაღმოსავლური ფილოლოგიის დარგში საქართველოში არ შექმნილა, მაგრამ 20-ი ა ნ ი წ ლ ე ბ ი ს ბოლოდან უკვე შეიმჩნეოდა ქართველ მეცნიერთა ყურადღების გამოჩენა ძველი აღმოსავლეთისადმი. 1928 წ., „ქართველი ერის ისტორიის" პირველი წიგნის მესამე გამოცემაში, ივ. ჯავახიშვილი გამოეხმაურა მ. წერეთლის წიგნს — „ხეთის ქვეყანა. მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა", რომელიც 1924 წ. ქართულად დაისტამბა კონსტანტინოპოლში[1]. ბიუხედავად იმისა, რომ როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, ამ მონოგრაფიას ემჩნეოდა განუსაზღვრელი გატაცება ხეთებით, მ. წერეთლის წიგნი უდავოდ იმსახურებდა ყურადღებას, რადგან იგი იყო პირველი, მართალია კომპილაციური, ნაშრომი ქართულად ხეთების შესახებ და ითვალისწინებდა ხეთოლოგიის განვითარების მაშინდელ მიღწევებს.

ხეთოლოგიური საკითხებით დაინტერესება იგრძნობოდა 3 0-ი ა ნ ი წ ლ ე ბ ი ს დამდეგიდანვე. ა. წერეთელმა 1931 წ. გამოაქვეყნა ნაშრომი—„ხეთელები და მათი სამყარო", რომელმაც თავიდანვე მიიქცია მკვლევართა ყურადღება. 1933 წ. კი ქართულ და რუსულ ენებზე დაიბეჭდა ი. ჯიშკარიანის ბროშურა, რომელშიც ხეთების პრობლემა განიხილებოდა კავკასიურ ენებთან დაკავშირებით[2]. ნაშრომის წინასიტყვაობაში ნ. მარი იწონებდა ი. ჯიშკარიანის წიგნაკს, სადაც წამოყენებული იყო ჰიპოთეზა თანამედროვე კავკასიის მოსახლეობასთან ხეთების უშუალო ნათესაობის შესახებ. ავტორი ფანტასტიკურად „აანალიზებდა" ძველ მცირეაზიულ სახელწოდებებს, აძლევდა რა მათ თავისებურ „ინტერპრეტაციებს", რომლებიც შორს იყვნენ მეცნიერებისაგან.

30-იანი წლების დასაწყისიდანვე ქართველ მკვლევართა ყურადღებას იქცევდა არა მარტო ხეთური პრობლემატიკა, არამედ საერთოდ ძველი წინა აზიის ქვეყნებთან დაკავშირებული საკითხები. 1931 წ. ქართულ ენაზე გამოვიდა ე. ჰერცფელდის ცნობილი ნაშრომი ძველ აღმოსავლეთში კულტურულ

---

* ნაშრომის ვრცელი ვარიანტი იბეჭდება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „შრომებში".

[1] ესარგებლობთ ივ. ჯავახიშვილის დასახელებული ნაშრომის მეოთხე გამოცემით. იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, თბ., 1951, გვ. 100 და შმდ.

[2] ი. ჯ ი შ კ ა რ ი ა ნ ი, ხეთების პრობლემა კავკასიური ენების საფუძველზე (მოკლე კონსპექტი), ტფილისი, 1933.

ურთიერთობათა შესახებ[3]. 30-იანი წლების დასაწყისში გამოქვეყნდა აგრეთვე ა. წერეთლის „ძველი აღმოსავლეთის“ ისტორიის ზოგადი კურსი, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ აღნიშნული დარგის პირველ სახელმძღვანელოდ საქართველოში. ა. წერეთლის რედაქციით 1934 წ. რუსულიდან ქართულად ითარგმნა ხამურაბის კანონები ი. ვოლკოვის ცნობილი წიგნის მიხედვით[4]. ამავე ხანებიდან ქართველი მეცნიერები ფართოდ ეცნობოდნენ ძველი აღმოსავლეთის სხვადასხვა სფეროში მოპოვებულ უახლეს წარმატებებს დასავლეთევროპულ ორიენტალისტიკაში და ცდილობდნენ მათ დაკავშირებას საქართველოს უძველესი ისტორიის ცალკეულ მომენტებთან.

30-იან წლებში ივ. ჯავახიშვილმა შექმნა საყურადღებო ნარკვევი — „წინა აზიის ძველი მოსახლეობა“, სადაც მაშინდელი გამოკვლევების შუქზე დახასიათებული იყვნენ შუმერები, ხურიტები, კასიტები, ხეთები, ლუვიელები, პროტოხეთები, მუშქები და სხვანი[5]. ამ ხანებშიც ივ. ჯავახიშვილი იზიარებდა და აეითარებდა მაშინდელ სამეცნიერო ლიტერატურაში ფართოდ გავრცელებულ შეხედულებას, რომლის მიხედვით მუშქებსა და თაბალებს განიხილავდნენ როგორც ქართველთა წინაპრებს, ხოლო ქართველურ ტომებს მიიჩნევდნენ როგორც მცირე აზიიდან თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე გადმოსახლებულთ. დასავლეთევროპულ მეცნიერებაში გამოთქმულ აზრს მუშქებისა და თაბალების ინდოევროპულობის შესახებ 30-იანი წლების ბოლოსაც ივ. ჯავახიშვილი არამყარად მიიჩნევდა[6].

ძველი აღმოსავლეთისადმი, კერძოდ, ხეთებისა და ურარტუს სამეფოებისადმი შეუნელებელი ყურადღების გამოხატულება იყო 1936 წ. საქართველოში ისეთი გამოჩენილი აღმოსავლემცოდნეების მოწვევა, როგორიც იყვნენ კ. ლემან-ჰაუპტი, ცნობილი გერმანელი აღმოსავლეთმცოდნე, და ბ. ჰროზნი, ხეხი ორიენტალისტი და ხეთური ენის გამშიფვრელი, რომლებმაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექციები წაიკითხეს[7]. ბ. ჰროზნის ლექციებს გამოეხმაურა ს. ჯანაშია, რომელმაც 1936 წ. ქართულ და რუსულ ენებზე გამოაქვეყნა სტატია ხეთების ისტორიისა და ხეთური ენის შესახებ[8]. ნაშრომში სამართლიანად იყო გაკრიტიკებული ბ. ჰროზნის ზოგიერთი მოსაზრება, სახელდობრ, მცირერიცხოვანი ინდოევროპელი ხეთების ანატოლიაში მოსვლის გზისა და მათ მიერ ადგილობრივი მრავალრიცხოვანი პროტოხეთური ტომების დაპყრობის საკითხები.

---

[3] ერნსტ ჰ ე რ ც ფ ე ლ დ, კულტურული ურთიერთობანი ძველს აღმოსავლეთში (გერმანულიდან გადმოთარგმნილი ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ), ტფილისი, 1931.

[4] „ბაბილონის მეფის ხამურაპის კანონები“ (თარგმანი შეასრულეს ე ლ. ა ბ ა შ ი ძ ე-რ უ ს ი ა მ და ალ. რ უ ს ი ა მ), ტფილისი, 1934.

[5] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წიგნი პირველი.საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950, გვ. 1 და შმდ.

[6] «Основные историко-этнологические проблемы истории Грузии, Кавказа и Ближнего Востока древнейшей эпохи». იხ. ზემოციტირებული ნაშრომი: ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი..., გვ. 227 და შმდ.

[7] კ. ლემან-ჰაუპტის ლექცია მოგვიანებით დაიბეჭდა კიდეც. იხ. К. Ф. Леман-Хаупт, Вступительная лекция по истории и культуре халдов, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „შრომები“, VI, 1938, გვ. 245—267.

[8] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ხეტების ისტორიისა და ენის საკითხისათვის, გაზ. „კომუნისტი“, 1936 წ. 21 დეკემბერი, № 294 (= «Заря Востока», 1936, № 295).

აღნიშნულ პერიოდში ს. ჯანაშიას ყურადღებას იქცევდა აგრეთვე ურარტუს სამეფოსთან დაკავშირებული საკითხები[9]. ამავე ხანებიდან იგი მხარს უჭერდა წინა აზიიდან ქართველურ ტომთა გადმოსახლების ვარაუდს. მას მოჰყავდა სათანადო არგუმენტები იმისათვის, რომ ეჩვენებინა ასურული წყაროების „თაბალის“ კავშირი ბიბლიის „თუბალთან“, ამ ტერმინთა შესატყვისობა „ტიბარენთან“ და „იბერთან“. იმხანად ეს კავშირები მას აჰყავდა „სუბარ“ და „შუმერ“ ტერმინთა დონემდე[10]. წინა აზიასთან ქართველურ ტომთა უძველესი კავშირების იდეას ემსახურებოდა მის მიერ 1940 წ. გამოთქმული მოსაზრება „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ქრონიკის „არიან“-ის დაკავშირებისა ძველაღმოსავლური წყაროების ხურიტების ქვეყნის სახელწოდებასთან, რომელსაც 30-იან წლებში სპეციალისტები კითხულობდნენ როგორც „ხარი“-ს. მაგრამ მას შემდეგ, რაც წაკითხვა „ხარი“ სამართლიანად შეიცვალა როგორც „ხური“, რომლითაც აღინიშნებოდნენ ხურიტები, ძირითადად ჩრდილოეთ მესოპოტამიაში მობინადრე ტომები, რასაკვირველია, ძალა დაკარგა ჰიპოთეზამ „არიან“ ტერმინის „ხარი“-სთან გაიგივების შესახებ და, მაშასადამე, წინა აზიასთან „არიან ქართლის“ დაკავშირების შესაძლებლობამაც.

30-იანი წლების მეორე ნახევარში გამოქვეყნდა ა. სვანიძის მონოგრაფია „მასალები ალაროდიელ ტომთა ისტორიის შესახებ“[11]. იმდროინდელ მდიდარ სპეციალურ ლიტერატურაზე დაყრდნობით ა. სვანიძე შეეცადა ამოეცნო ცალკეული ენობრივი, ეთნიკური თუ კულტურული ხასიათის კავშირები ძველ ამიერკავკასიასა, განსაკუთრებით, საქართველოსა და წინა აზიის რეგიონებს შორის, რომლებსაც იგი მიიჩნევდა ურთიერთმონათესავე „ალაროდიული“ ტომებით დასახლებულს (-ასა, -ეთი, -ანდა და სხვა სუფიქსის არსებობა ამ ორი დიდი რეგიონის გეოგრაფიულ სახელებში, „თაბალ“ ტერმინის ახსნა ინდოევროპული წარმოშობის „თბილ“-ის დახმარებით, ძველი ქართული სიმღერების მისამღერებში წინააზიური ღვთაებების—ალალე/არალე, ნანა/ნანაია, ეა-ს არსებობა და სხვა). ა. სვანიძის მეცნიერულ მოსაზრებათა ნაწილი ახლაც ყურადღების ღირსია.

30-იანი წლების დასასრულს საქართველოში შეიქმნა მაღალმეცნიერული ურარტოლოგიური ნაშრომი გ. წერეთლისა — „საქართველოს მუზეუმის ურარტული ძეგლები“ (თბ., 1939. „წინასიტყვაობა“ თარგმნილია რუსულ და ინგლისურ ენებზე). ეს ნაშრომი საფუძვლად დაედო საქართველოში ურარტოლოგიის განვითარებას საერთოდ და ურარტული წარწერების მეცნიერული პუბლიკაციის საქმეს, რომელმაც მოგვიანებით ესოდენ დიდი აღიარება პოვა.

30-იანი წლების დასასრულსა და 40-იანი წლების დამდეგს ურარტოლოგიურ და ხეთოლოგიურ საკითხებს რამდენიმე სტატია მიუძღვნა პ. უშაკოვმა. მცირე აზიის, ეგეოსისა და კავკასიის უძველეს ეთნიკურ ჯგუფებში იგი გამოყოფდა ორ უძველეს მთავარ ფენას — პროტოხეთურსა და ხურიტულს (სუბარეულს), რაც ამ რეგიონთა უძველესი ეთნიკური სურათის ძალზედ თავისებური გადმოცემა იყო. მკვლევართა ყურადღება მიიქცია

---

[9] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ურარტუ. „კომუნისტური აღზრდისათვის“, 1937, № 10, გვ. 46 და შმდ.

[10] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი, „ენიმკის“ მოამბე, I, 1937, გვ. 185 და შმდ.

[11] А. С в а н и д з е, Материалы по истории алародийских племен, Тб., 1937.

ბის მიერ ურარტული წყაროების „კულხა“ და „დიაუხი“ სახელწოდებების გაიგივებამ ბერძნული წყაროების „კოლხიდა“ და „ტაოხი“-სთან. პ. უშაკოვი სწორად შენიშნავდა პროტოხეთურსა და აფხაზურ-ადიღეურ, ისევე როგორც ქართველურ ენებში, პრეფიქსაციის არსებობას. მაგრამ რიგი დასკვნებისა ხეთური და ქართველური ენების შედარებიდან გამომდინარე მცდარი იყო, რადგან პ. უშაკოვს ეჭვი შეჰქონდა ხეთურისა და ლუვიურის ინდოევროპულობაში[12].

40-იანი წლების დასაწყისით უნდა დავამთავროთ საბჭოთა საქართველოში ძველაღმოსავლური პრობლემატიკის მეცნიერული შესწავლის ომამდელი პერიოდი. იგი ასახავდა მაშინდელი ძველაღმოსავლური მეცნიერების განვითარების დონეს, როცა, სწარმოებდა რა ძველაღმოსავლური წყაროების მეცნიერული პუბლიკაცია, ახლის ძიებაში ბევრი რამ ზუსტდებოდა, ან საფუძვლიანად იცვლებოდა. მართალია, ამ პერიოდში საქართველოში იქმნებოდა ძირითადად კომპილაციური ხასიათის ნაშრომები, მაგრამ მათში გამოთქმული იყო არაერთი საყურადღებო მოსაზრება, თანამედროვე ძველაღმოსავლურ მეცნიერებაში რომ პოვეს დადასტურება. სწორედ ამ პერიოდში მიეცა დასაბამი საქართველოში ძველაღმოსავლური მეცნიერების ისეთი დარგების განვითარებას, როგორიცაა ურარტოლოგია, ხეთოლოგია, ასირიოლოგია. ამ ხანებში დაიწყო ძველაღმოსავლური ტექსტების მეცნიერული პუბლიკაციის მეთოდის ბრწყინვალე გამოყენება. ეყრდნობოდნენ რა ძირითადად დასავლეთ-ევროპული ორიენტალისტიკის მიღწევებს ძველი აღმოსავლეთის დარგში, ქართველი ისტორიკოსები იჩენდნენ ტენდენციას ეჩვენებინათ ისტორიული საქართველოს სამხრეთით მდებარე ძველაღმოსავლურ ცივილიზაციებთან ქართველურ ტომთა გენეტიკური კავშირები, წინა აზიის რაიონებიდან, განსაკუთრებით, მცირე აზიიდან ქართველ ტომთა გადმოსახლების ვარაუდის სისწორე. მაგრამ საფუძვლიანი, უტყუარი მეცნიერული არგუმენტი ამ სამუშაო ჰიპოთეზის დასამტკიცებლად (მცირე გამონაკლისის გარდა) ჩვენთვის საინტერესო პერიოდში წამოყენებული არ ყოფილა. ამ პერიოდში კიდევ უფრო განმტკიცდა მოსაზრება ძველაღმოსავლური წყაროების „თაბალ“-ისა და ბიბლიის „თუბალ“-ის ხაზით ტიბარენ-იბერებთან, ხოლო იმავე ძველაღმოსავლური წყაროების „მუშქუ“-სა და ბიბლიის „მეშეხ“-ის ხაზით მესხების ტომებთან დაკავშირების შესახებ.

ომის შემდგომი პერიოდით იწყება საქართველოში ძველაღმოსავლური პრობლემატიკის შესწავლის ახალი ეტაპი, რომელიც დღემდე გრძელდება[13].

---

[12] П. Н. У ш а к о в, Проблема древнейшего населения Малой Азии, Кавказа и Эгеиды, ВДИ, 1939, № 4, გვ. 50 და შმდ.; მ ი ს ი ვ ე, Тао-Кларджетия в конце IX и VIII в. до нашей эры, „პუშკინის სახ. თბილისის სახელმწიფო სამასწავლებლო ინსტიტუტის შრომები“, I, 1941, გვ. 159 და შმდ.; მ ი ს ი ვ ე, Хеттская проблема, თსუ-ის „შრომები“, XVIII, 1941, გვ. 87 და შმდ.

[13] აქვე უნდა მოვიხსენიოთ დიდი სამამულო ომის პერიოდში, 1943 წელს, ს. ჯანაშიას რედაქტორობით გამოქვეყნებული სასკოლო სახელმძღვანელო ნ. ბ ერ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ს. ჯ ა ნ ა შ ი ა. საქართველოს ისტორია. ნაწ. I. ამ წიგნში გამოქვეყნილად აისახა ს. ჯანაშიას მოსაზრება ქართველურ ტომთა წარმოშობისა და წინა აზიასთან მათი კავშირების შესახებ. მისი აზრით, წინა აზიის უზარმაზარი ტერიტორია დაკავებული ჰქონდათ „ხეთურ-იბერიული“ მოდგმის ხალხებს—ხეთებს (მცირე აზიაში) და სუბარებს, ე. ი. ხურიტებს (მესოპოტამიიდან კავკასიამდე), რომლებსაც იგი ქართველურ ტომთა წინაპრებად მიიჩნევდა. როგორც ცნობილია, ზემოაღნიშნული მოსაზრება მომდევნო წლებში არ გაიზიარა სპეციალისტთა უმრავ-

40-იანი წლების მეორე ნახევარი აღინიშნა იმით, რომ თავისი პირველი ურარტოლოგიური ნაშრომები გამოაქვეყნა გ. მელიქიშვილმა, რომლის ყურადღება იმზანად მიქცეული იყო ურარტული პანთეონის, ურარტელ ტომთა უძველესი კერის, ურარტული სამშენებლო და საბრძოლო წარწერების სტილის საკითხებისადმი და სხვა. სწორედ 40-იანი წლების მეორე ნახევარსა და 50-იანი წლების დასაწყისში გ. მელიქიშვილმა შექმნა ის დიდმნიშვნელოვანი ურარტოლოგიური ნაშრომები, რომლებმაც უმაღლესი შეფასება მიიღეს არა მარტო საბჭოურ, არამედ საზღვარგარეთულ ისტორიოგრაფიაში.

50-იანი წლების პირველ ნახევარში, როდესაც თბილისსა და მოსკოვში გამოქვეყნდა გ. მელიქიშვილის „ნაირი-ურარტუ" და „ურარტული ლურსმული წარწერები"[14], ქართული და, საერთოდ, საბჭოთა ისტორიული მეცნიერება, ძველაღმოსავლური მეცნიერების ერთ-ერთი წამყვანი დარგი — ურარტოლოგია, გამდიდრდა ამ უმნიშვნელოვანესი მეცნიერული ნაშრომებით. აღნიშნული მონოგრაფიები, რომლებმაც ახალი ეტაპი შექმნეს ურარტოლოგიაში და 1957 წ. მიიღეს ლენინური პრემია, მოიცავდნენ ძველაღმოსავლური პრობლემატიკის ფართო წრეს. „ნაირი-ურარტუში" გაშუქდა ამ რეგიონის ისტორიული გეოგრაფიის, უძველესი ახლო აღმოსავლეთის მრავალრიცხოვან ტომთა განსახლებისა და ეთნიკური ვინაობის საკითხები, შესწავლილ იქნა ამ ვრცელ ტერიტორიაზე მოსახლე სხვადასხვა ხალხის ისტორიული განვითარების პროცესები, აღდგენილ იქნა ნაირი-ურარტუს სახელმწიფოებრივ გაერთიანებათა სოციალურ-ეკონომიკური წყობის სურათი, გამოვლენილ იქნა ამ ტომთა და ხალხთა კულტურისა და რელიგიის ისტორიის სრულიად ახალი მომენტები. „ურარტული ლურსმული წარწერები" კი წარმოადგენდა იმ დროისათვის ცნობილი მთელი ურარტული ეპიგრაფიკული მასალის მეცნიერულ პუბლიკაციას, რაც მანამდე საერთოდ არ იყო შექმნილი. ამ ორ ფუნდამენტალურ ნაშრომში განხილული საკითხების გარდა, 50-იან წლებში გ. მელიქიშვილმა არაერთი გამოკვლევა მიუძღვნა ძველი აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს, სხვადასხვა ტომთა ეთნოგენეზისისა და ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს, ურარტულ ტექსტებთან დაკავშირებულ ფილოლოგიური ხასიათის შენიშვნებს, რომლებმაც მნიშვნელოვნად წასწიეს წინ ძველაღმოსავლური მეცნიერების სხვადასხვა დარგი, განსაკუთრებით, ურარტოლოგია[15].

50-იან წლებში ურარტოლოგიისადმი ღრმა ინტერესის დადასტურება იყო ახალგაზრდა ქართველ მეცნიერთა (თ. გამყრელიძე, ვ. გვახარია, ა. ბარამიძე) ურარტოლოგიური ნაშრომების გამოჩენაც. ისტორიული ხასიათის გა-

---

ლესობამ, როცა გამოვლინდა სამხრეთით არსებული ცივილიზაციის ცენტრებთან (მცირე აზიასთან, შუამდინარეთთან) ქართველურ ტომთა ძირითადად კულტურული და ენობრივი კონტაქტების დამადასტურებელი ფაქტები.

[14] Г. А. Меликишвили, Наири-Урарту, Тб., 1954; მისივე, Урартские клинообразные надписи. ВДИ, 1953, № 1—4; 1954, № 1. ეს ნაშრომი ცალკე წიგნად გამოიცა მოსკოვში 1960 წელს.

[15] გ. მელიქიშვილი, უძველესი სამეფო სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე, „მიმომხილველი", II, 1951, გვ. 203 და შმდ.; მისივე, ლულების ხალხი და ზამუას ქვეყანა, „მიმომხილველი", III, 1953, გვ. 169 და შმდ.; მისივე, მხერ-კაპუსის ურარტული წარწერის ინტერპრეტაციისათვის, „საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე", XIV, 1953, № 3, გვ. 175 და შმდ.; მისივე, К вопросу о хетто-цупанийских переселенцах в Урарту, ВДИ, 1958, № 2, გვ 40 და შმდ. და ა. შ.

ბოკვლევებში ა. ბარამიძემ შეისწავლა ურარტუსა და ასურეთის ურთიერთობანი ძვ. წ. VIII ს-ში, დასვა საკითხი წინა აზიაში კიმერიელთა გამოჩენის თარიღის შესახებ და სხვა[16].

50-იანი წლების შუა ხანებიდან ქართველ მკვლევართა ყურადღება კვლავ მიიპყრო ხეთოლოგიურმა პრობლემატიკამ. სწორედ ამ ხანებში გამოქვეყნდა ქართველ ხეთოლოგთა (თ. გამყრელიძის, ე. მენაბდის, გ. გიორგაძის) პირველი მეცნიერული ნაშრომები. თ. გამყრელიძის მიერ დამუშავებულ საკითხთა წრიდან აღსანიშნავია საკითხები ინდოევროპელ ტომთა მცირე აზიაში გადმოსახლებისა და ხეთური ლურსმული დამწერლობის შესახებ[17]. ზემოაღნიშნულ პერიოდში ე. მენაბდე იყო პირველი ქართველი მკვლევარი, რომელიც შეეხება საქართველოში ხეთური საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების კვლევა-ძიებას, სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა რა ხეთების სახელმწიფოში მონობის ინსტიტუტის საკითხებს[18]. იმავე პერიოდში გ. გიორგაძემ მონოგრაფიულად გამოიკვლია ხეთების ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით მცხოვრებ ტომთა — ქასქების ისტორიის ძირითადი მომენტები (ისტორიული გეოგრაფიის, ეთნიკური ვინაობის, პოლიტიკური ისტორიისა და სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის საკითხები)[19].

50-იან წლებში გამოქვეყნდა რამდენიმე მეცნიერული ნაშრომი ასირიოლოგიის სხვადასხვა სფეროშიც. ო. ცქიტიშვილმა შეისწავლა ნუზის საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ წყობასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი[20], ხოლო ზ. შარაშენიძემ სპეციალური მონოგრაფია მიუძღვნა ზაგროსის მთიანეთში მცხოვრები ტომების — კასიტების ისტორიას[21].

ჩვენთვის საინტერესო პერიოდში ძველაღმოსავლურ პრობლემატიკასთან კავშირში კვლავ განიხილებოდა მცირე აზიის ტომებთან ქართველურ ტომთა მონათესაობის საკითხი. „ხეთურ-იბერიული" ენობრივი და ტომობრივი ერთიანობის თეორიის კრიტიკის დროს ს. კაკაბაძემ გაუმართლებლად მიიჩნია ვარაუდი ძველაღმოსავლური წყაროების მუშქების, თაბალებისა და ქასქების ქართველურ ტომთა წინაპრებად აღიარების შესახებ[22]. კ. წერეთელმა კი შესაძლებლად ჩათვალა ასურულ წყაროებში მოხსენიებული მუშქების გაიგივება

---

[16] А. А. Барамидзе, Из истории ассиро-урартских взаимоотношений в последней четверти VIII в. до н. э., Тб., 1954; მ ი ს ი ვ ე, ურარტუსა და სამხრეთ ამიერკავკასიის ურთიერთობათა ისტორიიდან (უელიქუხის ქვეყანა), „საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე", XX, № 5. 1958, გვ. 621 და შმდ. და ა. შ.

[17] Т. В. Гамкрелидзе, «Хеттские языки» и вопрос о переселении в Малую Азию индо-европейских племен, „საქ. სსრ მეცნ. აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის შრომები" (აღმოსავლური სერია), II, 1957, გვ. 35 და შმდ.; მ ი ს ი ვ ე, Клинописная система аккадско-хеттской группы и вопрос о происхождении хеттской письменности, ВДИ, 1959, № 1. გვ. 9 და შმდ.

[18] Э. А. Менабде, Некоторые вопросы развития института рабства в Хеттском государстве, Тб., 1956.

[19] Г. Г. Гиоргадзе, Из истории племен, проживавших к северу и северо-востоку от Хеттского государства. Тб., 1956.

[20] О. В. Цкитишвили, Из истории хурритского общества по материалам архива Нузи, Тб., 1956.

[21] З. М. Шарашенидзе, Из истории племен нагорного Загра (касситы и их владычество над Вавилонией), Тб., 1956.

[22] С. С. Какабадзе, О так называемых «хеттско-иберийских» языках, ВЯ, 1955, № 4, გვ. 65 და შმდ.

მეახლებთან[23]. გ. მელიქიშვილის აზრით, „თაბალი“ და „მუშქი“ კრებითი სახელწოდებები იყვნენ და აერთიანებდნენ სხვადასხვა წარმოშობის, მათ შორის ქართველური წარმოშობის ტომებს[24].

ძველაღმოსავლური თემატიკის ხაზით 60-იან წლებში შესრულებულ მეცნიერულ ნაშრომებს ახასიათებდათ საკვლევ პრობლემათა მრავალფეროვნება ურარტოლოგიის, ხეთოლოგიისა და ასირიოლოგიის დარგებში.

ურარტუს ისტორიისა და ურარტული ენის საკითხებზე მუშაობას აგრძელებდა გ. მელიქიშვილი, რომელმაც გამოაქვეყნა ვრცელი ნარკვევი ურარტული ენის შესახებ, სპეციალური ნაშრომები მიუძღვნა მცირეაზიული და სირიული სახელმწიფოებრივი წარმონაქმნების ისტორიის საკითხებს[25]. ა. ბარამიძე შეეხო კიმერიელებთან და სკვითურ ტომებთან ურარტელთა კულტურული კავშირების საკითხს[26]. ვ. გვახარიამ შეადგინა „ურარტული ენის ლექსიკონი-სიმფონია“[27]. იმავე პერიოდში გ. მელიქიშვილი იკვლევდა აგრეთვე ქართველი ხალხის წარმომავლობის საკითხს ქართველურ ტომთა მეზობელ ეთნიკურ ჯგუფებთან მიმართებით, საქართველოში, ამიერკავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში, განსაკუთრებით, მცირე აზიაში, ძვ. წ. III—II ათასწლეულებში მომხდარი კულტურულ-ეთნიკური ძვრების ხასიათის საკითხებს[28].

აღნიშნულ პერიოდში ხეთების ისტორიას მიეძღვნა რამდენიმე ნაშრომი. ხეთების „ახალი სამეფოს“ სოციალურ-ეკონომიკური საკითხების კვლევა-ძიებას აგრძელებდა ე. მენაბდე, რომელმაც შეისწავლა ხეთური მემკვიდრეობითი სამართლის ნორმები, ხეთების სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარების ცალკეული ეტაპები, სოციალური სტრუქტურის საკითხები და სხვ. თავისი კვლევის შედეგები მან განაზოგადა მონოგრაფიაში „ხეთური საზოგადოება“, რომელშიც საკვლევ პრობლემათა მთელი წრეა მოცემული[29]. გ. გიორგაძის რამდენიმე ნაშრომი მიეძღვნა ხეთების „ძველი სამეფოს“ ისტორიის საკითხებს — ხეთების ბრძოლას ჩრდილოეთი სირიისათვის (ВДИ, 1964, №1), ხეთებისა და ხურიტების ურთიერთობებს (ВДИ, 1969, № 1), ტახტის მემკვიდრეობის საკითხებს (ВДИ, 1969, № 4). მანვე გამოაქვეყნა ხეთების ადრეული ისტორიისათვის მეტად საყურადღებო დოკუმენტი—„ანითას ტექსტი“[30]. გვიანხეთური პერიოდის მცირე აზიის ისტორიის საკითხებს (მცირე აზიის ისტორიული გეოგრაფიის და ეთნიკური შემადგენლობის სურათს, ფრიგიის პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობებს წინა აზიის ზოგიერთ ქვეყანასთან) იკვლევდა ნ. ხაზარაძე[31].

---

[23] კ. წ ერ ე თ ე ლ ი, ქართული ეთნიკური ტერმინის „მესხ“-ის ისტორიისათვის, „საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე“. XV, № 2. 1954, გვ. 111 და შმდ.

[24] Г. А. Меликишвили. К истории древней Грузии. Тб., 1959, გვ. 72 და შმდ.

[25] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, აღმოსავლეთ მცირე აზიის უძველესი ეთნონიმიკის შესწავლისათვის, „მოამბე“, 1961, № 3. გვ. 87 და შმდ.; მ ი ს ი ვ ე. Урартский язык, М., 1964 (ეს ნაშრომი 1971 წ. იტალიაში დაიბეჭდა გერმანულად).

[26] А. Л. Барамидзе. Материальные памятники Урарту и киммеро-скифский вопрос. „მასალები საქართველოს და კავკასიის არქეოლოგიისათვის“, III, 1963. გვ. 23 და შმდ.

[27] В. Л. Гвахария. Словарь-симфония урартского языка, М., 1963.

[28] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის. თბ., 1965.

[29] Эд. Менабде. Хеттское общество, Тб., 1965.

[30] Г. Г. Гиоргадзе, «Текст Анитты» и некоторые вопросы ранней истории хеттов. ВДИ, 1965, № 4, გვ. 87 და შმდ.

[31] ნ. ხ ა ზ ა რ ა ძ ე, ფრიგიის უძველესი ისტორიის ზოგიერთი საკითხი. „კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული“. II, თბ., 1962, გვ. 45 და შმდ.; მ ი ს ი ვ ე. სამხრეთ-აღმოსავლეთ მცირე აზიის ისტორიული გეოგრაფიიდან, „კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები“. თბ., 1966, გვ. 34 და შმდ.

ასირიოლოგიური პრობლემატიკა ჩვენთვის საინტერესო პერიოდში წარმოდგენილი იყო რამდენიმე მეცნიერული ნაშრომით. ზ. შარაშენიძემ გამოაქვეყნა სტატია კასიტებთან დაკავშირებით[32]. თავის ერთ-ერთ სტატიაში ჯ. შარაშენიძე შეეხო აქადის დინასტიის დროინდელ შუმერში მიწათმფლობელობის ფორმებს[33]. ახალი ბაბილონის სამეფოს ისტორიის საკითხებს სწავლობდა რ. რცხილაძე, რომელიც იკვლევდა ბაბილონის შესახებ ჰეროდოტეს ცნობათა უტყუარობას[34].

იმავე პერიოდში გამოქვეყნდა შუამდინარული ლიტერატურული ძეგლების თარგმანები. ვ. გვახარიამ პირველმა თარგმნა აქადურიდან ქართულად ჰიმნი „ქალღმერთ იშთარის მოგზაურობისა"[35], ხოლო ზ. კიკნაძემ—ბაბილონური ეპოსი სამყაროს შექმნის შესახებ („ოდეს ზემოთ"). მანვე გამოაქვეყნა ქართული მეცნიერული და გალექსილი თარგმანები გილგამეშის პოემისა[36].

როგორც ცნობილია, 60-იან წლებში ფართოდ გაიშალა დისკუსია „წარმოების აზიური წესის" შესახებ. დისკუსიას ერთ-ერთი პირველთაგანი გამოეხმაურა გ. მელიქიშვილი, რომელმაც გამოთქვა შეხედულება უძველეს კლასობრივ საზოგადოებათა ხასიათის შესახებ. მან საეჭვოდ მიიჩნია ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში გავრცელებული წარმოების წესი გაგვეხილა როგორც მონათმფლობელური. ძველაღმოსავლურ ადრეკლასობრივ საზოგადოებებს გ. მელიქიშვილი უწოდებს „პროტოფეოდალურს" (ექსპლუატაციის სხვადასხვა ფორმის არსებობით)[37]. ძველაღმოსავლურ საზოგადოებებში მონობის განუვითარებლობის მიზეზებს (წარმოების განვითარების დაბალი დონე, საკუთრების ფორმათა განუვითარებლობა, სოციალური დიფერენციაციის დაბალი დონე) სპეციალური ნაშრომი მიუძღვნა გ. ყორანაშვილმა[38].

7 0-ი ა ნ წ ლ ე ბ შ ი ძველაღმოსავლურ მეცნიერულ დარგებთან დაკავშირებული პრობლემები შეისწავლებოდა საკმაოდ ფართო მასშტაბით, რაც გამოიხატა საყურადღებო მეცნიერული ნაშრომების შექმნით როგორც ასირიოლოგიის, ურარტოლოგიისა და ხეთოლოგიის, ასევე ხურიტოლოგიისა და ეგვიპტოლოგიის დარგებში.

მესოპოტამიური ლურსმული ტექსტების პუბლიკაციის ხაზით ჯ. შარაშენიძემ გამოსცა გასურიდან და აბაბიდან მომდინარე აქადის დინასტიის დროინდელი სამეურნეო ხასიათის დოკუმენტები და საქართველოში არსებუ-

---

[32] ზ. შ ა რ ა შ ე ნ ი ძ ე, კასიტების პრეცედენტისა და მათი ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის, „მოამბე", 1961, № 2, გვ. 100 და შმდ.

[33] ჯ. შ ა რ ა შ ე ნ ი ძ ე, მიწისმფლობელობის ფორმები აქადის დინასტიის დროინდელ შუმერში, „მაცნე", ისტორიის სერია, 1968, № 3, გვ. 113 და შმდ.

[34] რ. რ ც ხ ი ლ ა ძ ე, ჰეროდოტეს „ბაბილონური ლოგოსი" ევფრატზე ნაოსნობისა და ირიგაციის შესახებ, „საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები", თბ., 1968, გვ. 250 და შმდ.

[35] ე. გ ვ ა ხ ა რ ი ა, ჰიმნი ღვთაება იშთარის მოგზაურობის შესახებ, „მნათობი", 1962, № 7, გვ. 180 და შმდ.

[36] „გილგამეშის ეპოსი", აქადურიდან თარგმნა ზ. კ ი კ ნ ა ძ ე მ, თბ., 1963 (გამომცემლობა „მეცნიერება"); „გილგამეში" („რომელმან სიღრმე იხილა"), აქადურიდან თარგმნა ზ. კ ი კ ნ ა ძ ე მ, თბ., 1963.

[37] Г. А. М е л и к и ш в и л и, К вопросу о характере древнейших классовых обществ, ВИ, 1966, № 11, გვ. 65 და შმდ.).

[38] Г. В. К о р а н а ш в и л и, О причинах неразвитости рабства на Древнем Востоке, ВИ, 1969, № 9, გვ. 100 და შმდ.

ლი ერთადერთი შუმერული ლურსმული ფირფიტა იმპორტულ სურნელებათა შესყიდვის შესახებ[39]. ძველი შუამდინარეთის ისტორიის სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის საკითხებს იმავე მკვლევარმა რამდენიმე სტატია მიუძღვნა[40]. რ. რცხილაძე აგრძელებდა გვიანბაბილონური საზოგადოების შესწავლას ჰეროდოტეს „ისტორიის" ცნობათა მიხედვით (საჯარო ვაჭრობით ქალიშვილთა გათხოვება, ბაბილონური საცხოვრებელი სახლების ტიპები, ტერმინ „ბარბაროსის" შინაარსი და სხვ.)[41]. მესოპოტამიური მითოლოგიის საკითხებზე მუშაობას განაგრძობდა ზ. კიკნაძე, რომელმაც შექმნა ვრცელი განმაზოგადებელი მონოგრაფია შუმერულ-აქადური მითოლოგიის ძირითად საკითხებიან დაკავშირებით[42].

რამდენიმე ნაშრომი მიეძღვნა ხურიტოლოგიურ და ურარტოლოგიურ პრობლემატიკას. სტატიაში „ამიერკავკასიის მიმართულებით ხურიტების ექსპანსიის პრობლემისათვის" გ. მელიქიშვილმა დაუშვა შესაძლებლობა ხურიტული ეთნიკური ელემენტის შეჭრისა შუა ბრინჯაოს ხანის თრიალეთში[43]. მანვე თავისი „ურარტული ლურსმული წარწერების" კორპუსი შეავსო ახლად აღმოჩენილი ურარტული ტექსტებით კომენტარებითურთ[44]. ურარტულ სამყაროსთან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ურთიერთობათა ხასიათის დადგენის მიზნით მ. ხიდაშელმა ერთმანეთს შეუდარა წერილობითი წყაროებისა და არქეოლოგიური მასალის მონაცემები იმისათვის, რომ დაედგინა ამ ურთიერთობათა სამხედრო ხასიათი[45]. ჯ. გვეტაძე შეეცადა ურარტული წარწერების ზოგიერთი ტოპონიმი, სახელდობრ, „უხიმეაშუ" და „კურიანი", დაეკავშირებინა მოგვიანო სანის ი ეთ ქართულ ტოპონიმებთან, როგორიცაა „ოხომა" და „გურია"[46].

ჩვენთვის საინტერესო პერიოდშიც გრძელდებოდა ხეთოლოგიური პრობლემების დამუშავება. ხეთური მითოლოგიისა და რელიგიის საკითხებს სწავლობდა ნ. ბენდუქიძე[47]. გ. გიორგაძემ დაამუშავა ხეთური „საიმუნიტეტო სი-

---

[39] Дж. М. Шарашенидзе. Хозяйственные тексты эпохи династии Аккада, „ძველი ისტორიის საკითხები", თბ., 1970, გვ. 184 და შმდ.; მისივე, ურის III დინასტიის ეპოქის დროინდელი ერთი ლურსმული ფირფიტა, „მაცნე", ისტორიის სერია, 1976, № 3, გვ. 124 და შმდ. (=ВДИ, 1976, № 3, გვ. 108 და შმდ.).

[40] იხ. მაგალითად. Дж. М. Шарашенидзе. Юридический статус gémé и детей рабов в эпоху III династии Ура, ВДИ, 1975, № 3, გვ. 96 და შმდ.

[41] Р. С. Рцхиладзе, Поздний Вавилон в «Истории» Геродота, Тб., 1971; მისივე, Некоторые вопросы религиозных верований вавилонян, «Вопросы древней истории», Тб., 1977, გვ. 46 და შმდ.

[42] ზ. კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგია, თბ., 1976; მისივე, არწივი და სამი სკნელი, „მაცნე", ენისა და ლიტერატურის სერია, 1973, № 4, გვ. 81 და შმდ.

[43] G. A. Melikishvili, On the Problem of Hurrite Expansion in the Direction of Transcaucasia, „ძველი ისტორიის საკითხები", თბ., 1970, გვ. 5 და შმდ.

[44] Г. А. Меликишвили, Урартские клинообразные надписи, II (Открытия и публикации 1954—1970 гг.), ВДИ, 1971, № 3—4.

[45] М. Ш. Хидашели, О характере взаимоотношений Юго-Западной Грузии с урартским миром, «Вопросы древней истории», გვ. 101 და შმდ.

[46] ჯ. გვეტაძე, ურარტუს მეფის სარდური II წარწერაში მოხსენიებული ტოპონიმის „უხიმეაშუს" გაგებისათვის, „მაცნე", ისტორიის სერია, 1972, № 3, გვ. 208 და შმდ.; მისივე, „გურია"-ს ეტიმოლოგიისათვის, „საისტორიო კრებული", VI, 1976, გვ. 161 და შმდ.

[47] Н. А Бендукидзе, Хеттский миф о Телепину и его сванские параллели, «Вопросы древней истории», გვ. 95 და შმდ.

გელები", გამოაქვეყნა მონოგრაფია ხეთების სახელმწიფოში უშუალო მწარმოებელთა შესახებ, განიხილა არამონური შრომის ფორმები[48]. ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებების, კერძოდ, თაბალის ქვეყნის ისტორიას თავისი მონოგრაფია მიუძღვნა ნ. ხაზარაძემ. მისი აზრით, თაბალი უნდა ყოფილიყო ხეთურ-ლუვიური წარმოშობის ადრეკლასობრივი სახელმწიფოებრივი გაერთიანება ძველი მცირეაზიული მდიდარი ტრადიციებით[49].

ძველაღმოსავლური პრობლემატიკის შესწავლის ხაზით 70-იანი წლები საყურადღებო იყო იმით, რომ ჩვენში შეიქმნა ეგვიპტოლოგიური მეცნიერული ნაშრომები, რომელთა ავტორია პირველი ეგვიპტოლოგი საქართველოში მ. სვედელიძე[50].

70-იან წლებშიც მკვლევართა ყურადღებას იქცევდა ქართველურ ტომთა უძველესი ისტორიის საკითხები. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია გ. მელიქიშვილის ნარკვევმა ქართველთა წარმომავლობის და მათი უძველესი პოლიტიკურ (სახელმწიფოებრივ) გაერთიანებათა შესახებ[51]. ძველაღმოსავლური წყაროების მუშაობის, ძველი ბერძნული ტექსტების მოსხებისა და ქართული სამყაროს მესხების დაკავშირების საკითხს შეეხო თ. მიქელაძე. მან ბევრი დაუჭირა მოსაზრებას აღნიშნულ ტომთა იდენტურობის შესახებ[52].

უკანასკნელი წლების გამოკვლევებში გარკვეული ადგილი ეკავა ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიასთან დაკავშირებულ თეორიული ხასიათის პრობლემებს. გ. მელიქიშვილმა შექმნა ნაშრომები, რომლებშიც მან განავითარა 60-იან წლებში მის მიერ გამოთქმული შეხედულებანი ძველი აღმოსავლეთის (ისევე როგორც ძველი ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის) კლასობრივ საზოგადოებათა სოციალურ-ეკონომიკური წყობის შესახებ[53]. ძველ აღმოსავლეთსა და ანტიკური ხანის ქვეყნებში საკუთრების პრობლემის ზოგიერთი ასპექტი წარმოადგინა ე. შენაბდემ[54]. გ. ყორანაშვილმა ყურადღება მიაქცია ძველი აღმოსავლეთისა და ანტიკური სამყაროს საზოგადოებათა სოციალურ-ეკონომიკური წყობის ზოგიერთ საკითხს[55].

---

[48] Г. Г. Гиоргадзе. Очерки по социально-экономической истории Хеттского государства, Тб., 1973.; მ ი ს ი ვ ე, ხეთური „საიმუნიტეტო სიგელები", „მაცნე", ისტორიის სერია, 1976 № 4. გვ. 39 და შმდ.; მ ი ს ი ვ ე, Некоторые формы нерабской эксплуатации в хеттском обществе, „კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული", VI, 1980. გვ. 48 და შმდ.

[49] ნ. ხ ა ზ ა რ ა ძ ე, აღმოსავლეთ მცირე აზიის ეთნიკური და პოლიტიკური გაერთიანებები ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბ., 1978; მ ი ს ი ვ ე, თაბალის ქვეყნის ადგილმდებარეობისათვის, „ძველი ისტორიის საკითხები". გვ. 64 და შმდ.

[50] М. Хведелидзе. Заметки о древнеегипетской драме эпохи Древнего царства. „კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული", VI, გვ. 19 და შმდ.

[51] იხ. „საქართველოს ისტორიის ნარკვევები", I, თბ., 1970. გვ. 312 და შმდ.

[52] თ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე, მესხთა საკითხისათვის, „ი. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული", თბ., 1976, გვ. 110 და შმდ.

[53] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, მახლობელი აღმოსავლეთისა და კავკასიის უძველესი საზოგადოებების ბუნების საკითხისათვის, „ი. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული", გვ. 145 და შმდ.

[54] Эд. Менабде, Проблема собственности в древнем мире, „ძველი ისტორიის საკითხები", გვ. 31 და შმდ.

[55] Г. В. Коранашвили, Древний Восток и античный мир (Опыт сравнительно-исторического изучения цивилизаций), «Вопросы древней истории», გვ. 5 და შმდ.

ამით ვამთავრებთ რა საქართველოში 60 წლის მანძილზე ძველაღმოსავლური ისტორიულ-ფილოლოგიური პრობლემების შესწავლის არასრულ მიმოხილვას, აღვნიშნავთ, რომ ომის შემდგომი პერიოდი საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა ძველაღმოსავლური მეცნიერების სხვადასხვა დარგის განვითარების თვალსაზრისით. სწორედ ამ პერიოდში მომზადდნენ ახალგაზრდა კადრები (ძირითადად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, ენათმეცნიერებისა და გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტებში), რომლებიც პროფესიულ კვლევა-ძიებას აწარმოებდნენ ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის, ფილოლოგიის, კულტურის, რელიგიის სფეროებში. განვითარების მაღალ დონეს მიაღწია ურარტოლოგიამ, საგრძნობლად მომძლავრდა ხეთოლოგია და ასირიოლოგია, შეიქმნა პირველი მეცნიერული ნაშრომები ხურიტოლოგიასა და ეგვიპტოლოგიაში. ჩვენთვის საინტერესო პერიოდში დამუშავდა მდიდარი ძველაღმოსავლური თემატიკა, რომელიც მოიცავდა ისტორიის ძირითად პრობლემებს (მათ შორის, სოციალურ-ეკონომიკური, ზოგადთეორიული და სხვა ხასიათისა). შეიქმნა ამ პრობლემატიკისადმი მიძღვნილი არაერთი განმაზოგადებელი ნაშრომი, ხდებოდა ურარტული, ხეთური, აქადური, შუმერული ტექსტების მეცნიერული პუბლიკაცია, გამოქვეყნდა ძველაღმოსავლური ლიტერატურულ-ისტორიული ძეგლების პირველი ქართული თარგმანები ორიგინალიდან.

ადგილობრივი მეცნიერული კადრების მომზადების შედეგად შესაძლებელი გახდა სპეციალური პერიოდული „კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებულის" შექმნა, რომლის 6 ტომი გამოქვეყნდა უკანასკნელი 20 წლის მანძილზე. ადგილობრივი ბალებითვე მომზადდა და გამოიცა „ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია", რომელიც წარმოადგენს სტუდენტთათვის დამხმარე სახელმძღვანელოს. ძველი აღმოსავლეთის დარგებში მომუშავე ქართველი მეცნიერები მონაწილეობდნენ როგორც საკავშირო, ასევე დიდ საერთაშორისო მეცნიერულ ფორუმებში — სესიების, კონფერენციების, სიმპოზიუმების, კონგრესების მუშაობაში. საქართველოს სსრ ამჟამად აღიარებულია ძველაღმოსავლური პრობლემების შესწავლის ერთ-ერთ მოწინავე ცენტრად მთელს საბჭოთა კავშირსა და მის ფარგლებს გარეთ.

ნოდარ შენგელია

მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის (VI—XVIII სს) შესწავლა საბჭოთა საქართველოში

მახლობელი აღმოსავლეთისა და მისი საქართველოსთან ურთიერთობის კვლევა-ძიებას მდიდარი ტრადიციები აქვს. აღნიშნულ სამეცნიერო პრობლემას ცალკეული პერიოდების მიხედვით ინტენსიურად იკვლევენ ქართველი მეცნიერები. ეს ბუნებრივიცაა, საქართველოს ისტორია განუყოფელადაა დაკავშირებული მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების — ირანის, თურქეთის, არაბეთის მრავალსაუკუნოვან ისტორიასთან. ამიტომ საქართველოს ისტორიის მთელი რიგი პრობლემების დამუშავებასთან ერთად ქართველ მეცნიერებს ძალაუნებურად უხდებოდათ მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების სოციალურ-პოლიტიკური ისტორიის საკითხების შესწავლა, აღმოსავლურ წყაროებში საქართველოს ისტორიის შესახებ არსებული საინტერესო ცნობების მოძიება, შესწავლა-გაანალიზება და ქართული წყაროების მონაცემებთან შეჯერება. ამასთანავე, ქართულ ნარატიულ და დოკუმენტურ წყაროებში უხვად მოგვეპოვება ცნობები როგორც საკუთრივ მახლობელი აღმოსავლეთის ცალკეული ქვეყნების ისტორიის შესახებ, ასევე საქართველოსთან ამ ქვეყნების ურთიერთობაზეც. ამიტომ იყო, რომ საქართველოს ისტორიის მკვლევარნი ყოველთვის გრძნობდნენ მეზობელი ქვეყნების წარსულის შესწავლის აუცილებლობას. ჯერ კიდევ XIX საუკუნიდან მოკიდებული ქართველი მკვლევრები დიდ ინტერესს იჩენდნენ საქართველოს ისტორიის აღმოსავლური წყაროებისადმი. საკმარისია დავასახელოთ დიმიტრი ბაქრაძე, რომელმაც მრავალი ოსმალური დოკუმენტური წყარო გამოავლინა, მაგრამ სამწუხაროდ, მათ ჩვენამდე არ მოულწევიათ. მიუხედავად იმისა, რომ ქართველ მეცნიერებს ყოველთვის ესმოდათ და გრძნობდნენ მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების წარსულის შესწავლის აუცილებლობას და შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ ამ ხარვეზის შევსებას, მაინც ქართულ ისტორიოგრაფიაში მის მეცნიერულ შესწავლას საფუძველი მხოლოდ ახლად დაარსებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაეყარა.

მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის შესწავლა ივ. ჯავახიშვილის სახელთანაა დაკავშირებული. მან პეტერბურგის უნივერსიტეტში გაიარა კარგი ორიენტალისტური სკოლა სახელმოხვეჭილი მეცნიერების — ნ. მარის, ალ. ცაგარელის, ვ. ჟუკოვსკის, ვ. როზენის, ვ. ბარტოლდისა და სხვათა ხელმძღვანელობით. მას კარგად ესმოდა მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის შესწავლის აუცილებლობა საქართველოს წარსულის მეცნიერული დამუშავებისათვის. ამიტომაც იყო, რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებისთანავე ივ. ჯავახიშვილმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია აღმოსავლური ენების შესწავლის საქმეს. ახლადდაარსებული უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის ჰუმანიტარულ

მეცნიერებათა განყოფილება ედრებოდა პეტერბურგის უნივერსიტეტის ისტორიულ-ფილოლოგიური და აღმოსავლური ენების ფაკულტეტს. ისტორიის დარგის სტუდენტებისათვის იმთავითვე იკითხებოდა ძველი და შუა საუკუნეების აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორია.

თვითონ ივ. ჯავახიშვილი ბრწყინვალე ორიენტალისტი იყო და მარჯვედ იყენებდა თავის გამოკვლევებში აღმოსავლურ წყაროებს, უპირატესად სპარსულს და სომხურს.

მის მრავალრიცხოვან გამოკვლევებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის საკითხებს. მაგრამ ივ. ჯავახიშვილს საგანგებოდ არ უკვლევია მახლობელი აღმოსავლეთის ცალკეული ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის საკითხები. ამასთანავე იგრძნობოდა სპეციალისტთა ნაკლებობა, ამიტომ ივ. ჯავახიშვილი თავის მოწაფეებს იმთავითვე ირანისა და სომხეთის ისტორიაში სამუშაოდ ამზადებდა. იგი 1922 წლის 30 ივლისით დათარიღებულ ერთ-ერთ შუამდგომლობაში კატეგორიულად მოითხოვდა, რათა სპარსეთის ისტორიისათვის საპროფესოროდ მოსამზადებლად უნივერსიტეტში დაეტოვებინათ ს. ჯანაშია[1]. ფაკულტეტმა დააკმაყოფილა ივ. ჯავახიშვილის შუამდგომლობა. ს. ჯანაშია წარმატებით მუშაობდა მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობის საკითხებზე და საინტერესო ნაშრომებიც დაგვიტოვა. კერძოდ, მან მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო სასანურ ირანთან საქართველოს ურთიერთობის ისტორიის საკითხებს[2]. ასევე, არანაკლებ საინტერესო გამოკვლევა დაგვიტოვა ს. ჯანაშიამ საქართველოში არაბობის შემოღებისა და დამკვიდრების თაობაზე[3]. ამ ნაშრომში ს. ჯანაშიამ მოგვცა არაბთა ზოგადი დახასიათება, მათი მსოფლიო-ისტორიულ ასპარეზზე გამოსვლისა და დაპყრობითი ომების მიზეზები, შეისწავლა არაბთა პირველი ცდები ამიერკავკასიისა და ქართლის დასაპყრობად. საკუთრივ არაბთა სახალიფოს ისტორიის საკითხების შესწავლასთან ერთად ს. ჯანაშიამ დაამუშავა ქართლში არაბთა მფლობელობის ისტორია, შეეხო ხაზართა ვინაობასაც. საკითხების შესწავლისას ავტორი ემყარებოდა თავისი დროისათვის საკმაოდ ფართო წყაროთმცოდნეობით ბაზას. მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის საკითხებზე სამუშაოდ ემზადებოდა ნიკო ბერძენიშვილიც, ამიტომაც იყო, რომ იგი ერთხანს სწავლობდა სპარსულს, არაბულს, სომხურს[4], მაგრამ მას სპეციალურად აღნიშნული ქვეყნების წარსულის საკითხები არ უკვლევია. თუმცა ნაგვიანევი ხანის ირანთან საქართველოს ურთიერთობაზე საყურადღებო გამოკვლევები აქვს[5].

აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს თ. ლომოურის წვლილი სასანურ ირანსა და საქართველოს შორის სავაჭრო ურთიერთობის შესწავლის საქმეში[6]

---

[1] აკადემიკოსი სიმონ ჯანაშია, თბ., 1949, გვ. 14.

[2] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, ფეოდალური რევოლუცია საქართველოში, შრომები, I, თბ, 1919; მ ი ს ი ვ ე, საქართველო აღრინდელი ფეოდალიზაციის გზაზე, შრომები I, თბ., 1949.

[3] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, არაბობა საქართველოში, შრომები, II, თბ., 1952, გვ. 342-411.

[4] მ. დ უ მ ბ ა ძ ე, ნიკო ბერძენიშვილი, თბ., 1964, გვ. 19-20.

[5] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, რუსეთ საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII საუკუნეთა მიჯნაზე, საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, თბ, 1967; მ ი ს ი ვ ე, Очерк из истории развития феодальных отношений в Грузии (XIII-XVI.), საქართველოს ისტორიის საკითხები, II, 1965,

[6] გ. დ ო ნ დ უ ა, თამარ ნიკოლოზის ასული ლომოური, ძეგლის მეგობარი, 23. თბ., 1970, გვ. 74.

ასე რომ, საბჭოთა ხელისუფლების პირობებში მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიისა და მისი საქართველოსთან ურთიერთობის საკითხების კვლევას დიდხანს სისტემატური ხასიათი არ ჰქონია. მართალია, მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიაში მეცნიერული კვლევა-ძიება და სალექციო კურსების კითხვა უნივერსიტეტში იმთავითვე დაიწყო, მაგრამ სპეციალისტების ნაკლებობა დიდხანს შესამჩნევი იყო. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსთა მომზადების საქმეს მას შემდეგ, რაც 1950 წელს აღმოსავლეთის ისტორიის კათედრა დაარსდა. კათედრის დაარსებიდან ვ. გაბაშვილის ხელმძღვანელობით მომზადდა რამდენიმე ათეული სპეციალისტი მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიაში. შეიქმნა ქართველ აღმოსავლეთმცოდნე-ისტორიკოსთა სკოლა, რომელთა გამოკვლევებში გაშუქებულია როგორც საკუთრივ მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების — არაბეთის, ირანის, ოსმალეთის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და ისტორიოგრაფიული ხასიათის საკითხები, ასევე მათი განვითარების თავისებურებანი და აღმოსავლეთთან საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობის ისტორია.

1945 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაარსებულ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტისა და სათანადო ორიენტალისტური კათედრების (არაბისტიკის, ირანისტიკის, თურქოლოგიის, არმენოლოგიის) ჩამოყალიბების შედეგად გაიზარდა მთელი პლეადა აღმოსავლეთმცოდნე-ისტორიკოსთა, რომლებმაც თავიანთი გამოკვლევებით საყოველთაო აღიარება მოიპოვეს; 1960 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში ჩამოყალიბდა აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი, სადაც წარმატებით მიმდინარეობს მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის შესწავლა. დღეს აღმოსავლეთის ქვეყნების პოლიტიკურსა და სოციალურ-ეკონომიკურ ისტორიას, მის კულტურას, წყაროთმცოდნეობასა და ისტორიოგრაფიას იკვლევენ ქართველი აღმოსავლეთმცოდნე-ისტორიკოსები, რომლებიც სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებში მოღვაწეობენ .საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში მუშაობს მთელი ჯგუფი აღმოსავლეთმცოდნე ისტორიკოსებისა (რ. კიკნაძე, კ. ტაბატაძე, ბ. სილაგაძე, ა. ავალიანი, გ. ანჩაბაძე, გ. ალასანია, მ. გობეჯიშვილი, ნ. სურგულაძე), რომლებიც ნაყოფიერად სწავლობენ აღმოსავლეთის ისტორიას, მის კულტურას, საქართველოს ისტორიის აღმოსავლურ წყაროებს, საქართველოსთან ურთიერთობის პრობლემებს. მათ მიერ გამოქვეყნებულ მონოგრაფიებსა და წერილებში არაერთი საინტერესო საკითხია დასმული და ორიგინალურად გადაწყვეტილი. აღნიშნული მეცნიერები უპირატესად წყაროთმცოდნეობით საქმიანობას ეწევიან, ამდენად, ბუნებრივია, ფართოა მათი გამოკვლევების წყაროთმცოდნეობითი ბაზაც. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში ირან-საქართველოსა და ოსმალეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის პროფილით მომზადდნენ აპირანტები მ. სვანიძე, დ. კაციტაძე, ნ. შენგელია, გ. ანჩაბაძე).

საქართველოს ისტორიის ოსმალურ, სპარსულ და არაბულ პირველწყაროებს წარმატებით სწავლობენ აგრეთვე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (ც. ბბულაძე, მ. მამაცაშვილი, ნ. ყანჩაველი, რ. გვარამია). ქართველ ორიენტალისტ-ისტორიკოსთა კვლევის საგანია ირანის, ოსმალეთისა და არაბული ქვეყნების

კულტურის ისტორიის მთელი რიგი პრობლემები. მნიშვნელოვანი კვლევა-ძიებაა ჩატარებული საკუთრივ ირანის ისტორიის საკითხებზე. ირანის საშინაო ისტორიის საფუძვლიანი ცოდნა ხელს უწყობს საქართველოსთან ურთიერთობის ისტორიისა და საქართველოს შესახებ არსებული უცხოური წყაროების გამოვლენა-შესწავლის საქმეს. ირანისა და მახლობელი აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების (თურქეთი, არაბეთი) ისტორიის შესწავლას საქართველოში მკვიდი საფუძვლები ჩაეყარა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის გახსნითა (1945 წ.) და განსაკუთრებით აღმოსავლეთის ისტორიის კათედრის ჩამოყალიბებით (1950 წ.), რომელსაც დაარსების დღიდან 1973 წლამდე სათავეში ედგა ვ. გაბაშვილი. იგი მომზადდა ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიაში და იმთავითვე კითხულობდა ლექციების კურსს უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტზე ირანისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიაში.

აღმოსავლეთის ისტორიის კათედრაზე განსაკუთრებული ყურადღება მიექცა ირანისა და ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის საკითხების კვლევას. ამ კათედრაზე მომზადნენ ირანისტი ისტორიკოსები — რ. კიკნაძე, კ. ტაბატაძე, ა. ჭეიშვილი, ამავე კათედრის ასპირანტები იყვნენ და აქვე მიიღეს სათანადო მომზადება აგრეთვე გ. ფუთურიძემ, ეთ. სიხარულიძემ, ვ. ჩოჩიევმა, ა. ავალიანმა... 1957 წელს კათედრის ძალებით მომზადდა და გამოქვეყნდა „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან“, სადაც გარკვეული ადგილი უჭირავს ირანის ისტორიის საკითხებს. ამ ნაშრომში წარმოჩენილია სასანური ირანის, ირანის სელჩუკთა სახელმწიფოს, ილხანთა ირანის, თემურიანთა, „შავ“ და „თეთრბატკნიან“ თურქმანთა და სეფიანთა სახელმწიფოს ისტორიის მნიშვნელოვანი საკითხები. ეს ნაშრომი იყო პირველი დამხმარე სახლმძღვანელო საბჭოთა კავშირში, მან დიდი როლი შეასრულა ქართველ ორიენტალისტ-ისტორიკოსთა მომზადების საქმეში და დღეს აც არ დაუკარგავს მნიშვნელობა.

ირანის ისტორიის საკითხების შესწავლა უფრო დაწინაურდა მას შემდეგ, რაც 1960 წელს გაიხსნა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი. აქ ორ განყოფილებაში (ახლო აღმოსავლეთის ფეოდალური ხანის განყოფილება—ხელმძღვანელი ვ. გაბაშვილი, და ახალი და უახლესი პერიოდის განყოფილება — ხელმძღვანელი ო. გიგინეიშვილი) ინტენსიურად მიმდინარეობს შუა საუკუნეების არაბული ქვეყნებისა და თურქეთის ისტორიის, საქართველოსთან მათი ურთიერთობისა და საქართველოს ისტორიის აღმოსავლურ წყაროების გამოვლენა-შესწავლა. აღნიშნული განყოფილებები სწავლობენ მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის პრობლემებს, კერძოდ სასანური ირანის სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას III—IV ს. (გ. ამირანაშვილი), აგრარულ ურთიერთობებს, მიწისმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ფორმებს, საგადასახადო სისტემას მახლობელი აღმოსავლეთის სხვადასხვა ქვეყანაში (ლ. ნადირაძე, მ. სვანიძე), ურბანისტიკის პრობლემებს (ვ. გაბაშვილი, მ. გაბაშვილი, ო. ცქიტიშვილი, კ. კუცია, გ. ბერაძე, დ. გუდიაშვილი, გ. ყორჟოლიანი).

არაერთი საინტერესო საკითხი იქნა შესწავლილი ქართულ-აღმოსავლური ისტორიული ურთიერთობის სფეროდან (თ. ნატროშვილი, დ. გოჩოლეიშვი-

ლი, ნ. გელაშვილი). ამ განყოფილებაში წარმატებით მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს ისტორიის აღმოსავლური წყაროების შესწავლის დარგში.

ირანის ისტორიის საკითხებიდან აღსანიშნავია ვ. გაბაშვილის გამოკვლევები აღმოსავლური ფეოდალიზმის გენეზისის პრობლემებზე[7], ირანული სამართლის ძეგლებზე[8], სპარსულ დიპლომატიკაზე[9], ირანის ქალაქებსა და საქალაქო ცხოვრებაზე[10], სპარსული დიპლომატიის საკითხებზე[11]. ვ. გაბაშვილი ქართული დოკუმენტური და ნარატიული წყაროების მონაცემებს იყენებს მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების, კერძოდ, ირანის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის ცალკეული საკითხების შესასწავლად[12]. მანვე მოგვცა ირანში ფეოდალური ურთიერთობის განვითარების პერიოდიზაცია: 1. ადრეფეოდალური ხანა (VI—X სს.), 2. განვითარებული ფეოდალიზმის ხანა (X—XVIII ს. პირველი ნახევარი) და 3. გვიანფეოდალური ხანა (XVIII ს-ის მეორე ნახევარი — XIX ს.)[13].

საკუთრივ ირანის ისტორიის ცალკეულ საკითხებს გარკვეული პერიოდების მიხედვით სწავლობენ რ. კიკნაძე, კ. ტაბატაძე, კ. კუცია, პ. თოფურია, გ. ბერაძე, გ. ამირანაშვილი და სხვები.

საინტერესო ნაშრომები უძღვნა რევაზ კიკნაძემ ილხანთა ირანის, XV ს-ის აზერბაიჯანისა და შუა აზიის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურის ისტორიის საკითხებს[14]. ხოლო სეფიანთა ირანის, თემურ-ლენგის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლას მიუძღვნეს მონოგრაფიები კ. ტაბატაძემ, დ. კაციტაძემ[15].

---

[7] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი. აღმოსავლური ფეოდალიზმის გენეზისის პრობლემა, მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1963.

[8] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, სპარსული დასტურლამალი, თსუ შრომები, [[[VB, თბ., 1949.

[9] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, სპარსულ დოკუმენტურ წყაროთა პუბლიკაციები საქართველოში და სპარსული დიპლომატიკის საკითხები, აღმოსავლური ფილოლოგია, თბ., II, 1972.

[10] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, შუა საუკუნეების ახლოაღმოსავლური ქალაქი (პერიოდიზაციის ცდა), ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, II, თბ., 1970; მ ი ს ი ვ ე, სოციალური მოძრაობანი მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქებში (XI-XIII სს.), ნარკვევები აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, თბ., 1966; მ ი ს ი ვ ე. მახლობელი აღმოსავლეთის საქალაქო ორგანიზაციის ისტორიიდან („ასაბი"). ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, თბ., 1966.

[11] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, იოსებ ქართველი—XVIII ს-ის დიპლომატი და ისტორიკოსი, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკ. 32. 1955; მ ი ს ი ვ ე. იოსებ ქართველის ვინაობისა და მოღვაწეობის საკითხისათვის, თსუ შრომები, 116, თბ., 1965.

[12] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, XVIII ს. მეორე მეოთხედის ქართული დოკუმენტური მასალები როგორც წყარო მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის, თსუ შრომები, ტ. 91, თბ., 1960; მ ი ს ი ვ ე, აღმოსავლეთი XI-XII სს. ქართული საისტორიო წყაროების ფურცლებზე. XII, . საქართველოს ისტორიის საკითხები, თსუ შრომები. 125. თბ., 1968; მ ი ს ი ვ ე, მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის მასალები ქამთააღმწერლის თხზულებანი, მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის ნარკვევები, თბ., 1968; მ ი ს ი ვ ე, ირანული წარმოშობის სოციალურ-ეკონომიური ტერმინოლოგია უძველეს ქართულ წყაროებში, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები. თბ., 1966.

[13] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი. ამიერკავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქები შუა საუკუნეებში; ნარკვევები აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, II, თბ., 1970, გვ. 6.

[14] რ. კიკნაძის ნაშრომები კრებულებში: „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან", თბ., 1957; მ ი ს ი ვ ე, თამაზ ილხანთა სახელმწიფოში. აღმოსავლური კრებული, I, თბ., 1960; მ ი ს ი ვ ე. ქართველი და აზერბაიჯანელი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან. თსუ შრომები, 108, თბ., 1964.

[15] კ. ტ ა ბ ა ტ ა ძ ე, ამიერკავკასიის ქვეყნები და სეფიანთა სახელმწიფო (შაჰ თამაზ I-ის „თეზქერეს" თბილისური ნუსხა, აღმოსავლური კრებული, I, თბ., 1960; მ ი ს ი ვ ე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV — XV საუკუნეების მიჯნაზე, თბ.,

ლაქებსა და საქალაქო ცხოვრებას სწავლობენ კ. კუცია და დ. კაციტაძე. კ. კუცია აღმოსავლური მიწისმფლობელობის საკითხებითაცაა დაინტერესებული[16]. X—XI სს-ის ირანის ქალაქების სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის საკითხებს იკვლევს გ. ბერაძე[17]; ირანის ფეოდალური სამთავროებისა და ამიერკავკასიის ქალაქების ისტორიის საკითხები შესწავლილი აქვს პ. თოფურიას[18]. გარკვეული ადგილი აქვს დათმობილი ჩვენს ლიტერატურაში სასანური ირანის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის საკითხებს[19]. ირანის ისტორიის სელჩუკთა ბატონობის ხანას ეხება ნ. შენგელიას მონოგრაფია „სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში". ირან-ოსმალეთის საუკუნოვანი ომებისა და მათ შორის დადებული ხელშეკრულებების ანალიზს მიეძღვნა ვ. ჩოჩიევის არაერთი საინტერესო გამოკვლევა[20]. ქართველი ირანისტები ინტენსიურად იკვლევენ XVIII ს-ის ირანის ისტორიის ცალკეულ საკითხებს (შესწავლილია ზენდების მმართველობის პერიოდის ირანის

1974; დ. კ ა ც ი ტ ა ძ ე. ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (შაჰ ისმაილ I-ის საქართველოში ლაშქრობის ისტორიისათვის), თსუ შრომები, 108, თბ., 1964; მ ი ს ი ვ ე, საქართველო XIV—XV სს. მიჯნაზე (სპარსული და სპარსულენოვანი წყაროების მიხედვით), თბ., 1975.

[16] კ. კ უ ც ი ა, სეფიანთა ირანის ქალაქები (I. ხელოსნური ორგანიზაციები სეფიანთა ირანის ქალაქებში; 2. სეფიანთა ირანის საქალაქო წყობილება „თაზკირათ ალ-მოლუქის მიხედვით"). ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, თბ., 1966; მ ი ს ი ვ ე, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ქალაქების სოციალური სტრუქტურა XVI—XVII სს. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, თბ., II. 1970; მ ი ს ი ვ ე, Тиюль и Бахрече по данным грузино-персидских двуязычных документов, Народы Азии и Африки, № 2, 1965; დ. კ ა ც ი ტ ა ძ ე, XVII—XVIII სს. მზითვის წიგნები როგორც წყარო ირანის ქალაქების ისტორიისათვის, „მაცნე", ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია № 2, 1975.

[17] გ. ბ ე რ ა ძ ე, მახლობელ აღმოსავლეთში ფეოდალური ქალაქების წარმოშობის ისტორიიდან. „მაცნე", ისტორიის სერია, № 4, 1964; მ ი ს ი ვ ე, ქალაქის რაისების ინსტიტუტი X—XII სს. ირანში (ქალაქის რაისების ქონებრივი და სოციალური მდგომარეობა), ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, II, თბ., 1970; მ ი ს ი ვ ე, XI—XII სს. ირანის ქალაქების ადმინისტრაციული წყობილების ისტორიიდან („შიჰნას ინსტიტუტი"), საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე, 55, № 1, 1969.

[18] პ. თ ო ფ ु რ ი ა, ამიერკავკასიის ქალაქების ისტორიიდან (დარუბანდი X—XI სს.) მაცნე, ისტორიის სერია, № 4, 1970; მ ი ს ი ვ ე, მასალები ბეშქენიანთა ქართული დინასტიის ისტორიისათვის, მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბ,. 1963; მ ი ს ი ვ ე, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის პოლიტიკური ერთეულები XI—XII სს. თბ., 1975.

[19]. გ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, „თანსარის წერილი" როგორც წყარო სასანური ირანის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიისათვის, მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, I, თბ., 1963, მ ი ს ი ვ ე, სოციალურ-ეკონომიკური ტერმინოლოგია III საუკუნის სასანური ირანის ეპიგრაფიკულ ძეგლებში, თსუ შრომები, ტ. 121, თბ., 1967.

[20] ვ. ჩ ო ჩ ი ე ვ ი, ირან-ოსმალეთის 1639 წლის ზავი და საქართველო, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957; მ ი ს ი ვ ე, ირანისა და ოსმალეთის 1736 — 1746 წლების საზავო ხელშეკრულებები, თსუ შრომები, ტ. 99, თბ., 1962; მ ი ს ი ვ ე, ირანის საერთაშორისო მდგომარეობა ირან-ოსმალეთის 1727 წლის საზავო ხელშეკრულების მიხედვით, თსუ-ს შრომები, ტ. 116, თბ.; 1965; მ ი ს ი ვ ე, მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობანი XVI საუკუნის პირველი ნახევრის ფრანგული დიპლომატიური კორესპონდენციის მიხედვით, თსუ შრომები, ტ. 186, აღმოსავლეთმცოდნეობა, თბ.. 1978.

ისტორია[21]. ასევე საგანგებო კვლევის საგანი გახდა ირანის ისტორიის XVIII ს-ის უკანასკნელი მეოთხედი[22].

საკუთრივ ირანის საგარეო და საშინაო ისტორიის საფუძვლიანი ცოდნა ქართველ ირანისტებს საშუალებას აძლევს საგანგებოდ იკვლიონ ირან-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის ცალკეული საკითხები. აღნიშნული პრობლემების დასამუშავებლად აუცილებელია სპარსული დოკუმენტური და ნარატიული ძეგლების დამუშავება, მათში საქართველოს შესახებ დაცული ცნობების შესწავლა-გაანალიზება და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა. ამ მხრივ დიდი შრომა აქვთ გაწეული ქართველ ორიენტალისტებს, მათ არაერთი საინტერესო სპარსული წყაროს ქართული თარგმანი აქვთ გამოქვეყნებული. მართალია, სპარსული და თურქული დოკუმენტების პუბლიკაციის საქმეს სათავე ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაედო და მნიშვნელოვანი სამუშაო ჩატარდა, მაგრამ ამ საქმიანობამ სისტემატური ხასიათი მიიღო მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში. ირანისა და ირან-კავკასიის ურთიერთობის ისტორიის საკითხების შესახებ არსებული სპარსული დოკუმენტების დამუშავებას ხელი მოკიდა იური მარმა და რამდენიმე დოკუმენტი დამუშავა კიდეც[23]. მას ფართოდ ჰქონდა დაგეგმილი სპარსული დოკუმენტური და ნარატიული წყაროების პუბლიკაცია. გარკვეული ნაწილი გამოაქვეყნა კიდეც[24]. სპარსული დოკუმენტების შესწავლისა და პუბლიკაციის საქმეში წინგადადგმული ნაბიჯი იყო მ. ხუბუას მიერ გამოცემული დოკუმენტების კრებული[25], რომელიც როგორც სამართლიანად შენიშნავს ვ. გაბაშვილი „პოზიტიურ შენაძენად უნდა მივიჩნიოთ სპარსული დიპლომატიკის ისტორიაში“[26].

ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის მთელი რიგი პრობლემების შესასწავლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვლ. ფუთურიძის მიერ ქართულ-სპარსული ორენოვანი დოკუმენტების შესწავლასა და პუბლიკაციას[27]. ვლ. ფუთურიძემ დიდი ამაგი დასდო სპარსული წყაროების შესწავლა-გამომზეურების საქმეს. მან გამოაქვეყნა სპარსულენოვანი დოკუმენტების ოთხი ნაკვეთი[28] და ცალკეული წერილები. მან სპარსულიდან ქართულად თარგმნა

---

[21] ლ უ ი ზ ა შ ე ნ გ ე ლ ი ა, ირანი ქერიმ ხან ზენდის დროს, თბ.,1973; მ ი ს ი ვ ე, შინაფეოდალური ომი ირანში ნადირ შაჰის გარდაცვალების შემდეგ, თბ., 1970; მ ი ს ი ვ ე, ირან-რუსეთის პირველი ომი (1804—1813) და ამიერკავკასია; კრ: მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, II, თბ., 1976; მ ი ს ი ვ ე, ქერიმ ხან ზენდის საშინაო და საგარეო პოლიტიკა, „მაცნე“, ისტორიის სერია 1969 № 6; მ ი ს ი ვ ე, ზენდების სახელმწიფოს წარმოშობის საკითხისათვის, კრ., აქარის მოსახლეობის სამეურნეო ყოფის საკითხები, თბ., 1971.

[22] ზ. შ ა რ ა შ ე ნ ი ძ ე, ირანი XVIII ს-ის მეორე ნახევარში, თბ., 1970; მ ი ს ი ვ ე, მასალები შინაფეოდალური ბრძოლის ისტორიიდან XVIII ს. დასასრულის ირანში, ახლოაღმოსავლეთის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თბ., 1967.

[23] 1933 წ. იური მარმა კავკასიისმცოდნეობის ინსტიტუტში წაიკითხა მოხსენება სპარსული საბუთების ტექსტების შესწავლის თაობაზე: «Предварительный отчет о работе над персидскими документами Музея Грузии»

[24] Передняя Азия в документах, кн. I, Нахичеванские рукописные документы XVII — XIX вв., Тиф., 1936, Указы Кубинских ханов, персидский текст, русский перевод и комментарии Ю. Н. М а р р а, Тб., 1937.

[25] მ ა კ ა რ ხ უ ბ უ ა, საქართველოს მუზეუმის სპარსული ფირმანები და ჰოქმები, თბ., 1949.

[26] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, სპარსულ დოკუმენტურ წყაროთა პუბლიკაციები საქართველოში და სპარსული დიპლომატიკის საკითხები, აღმოსავლური ფილოლოგია, 11, თბ., 1972.

[27] ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ტექსტი დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვლ. ფ უ თ უ რ ი ძ ე მ, თბ., 1955.

[28] სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნსაცავებში. 1 ნაკვ. 1. გამოსცა ვლ. ფ უ თ უ რ ი ძ ე მ, თბ., 1961, ნაკვ. 2, 1962; ნაკვ. 3, თბ., 1965, ნაკვ. 4.თბ., 1977

და გამოსცა არაერთი სპარსელი ავტორის თხზულებაში საქართველოს შესახებ დაცული ცნობა; კერძოდ, მან სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა ისთახრის, „ჰოდუდ ალ-ალემის“ და ჰამდალაჰ ყაზვინის, ისქანდერ მუნშის, ჰასან რუმლუს, ჰაჯი მეჰდი ყული ყაჯარის, მოჰამედ თაჰერის თხზულებათა ცნობები საქართველოს შესახებ[29].

სპარსული წყაროების შესწავლის საქმე წინ წასწიეს რ. კიკნაძემ, კ. ტაბატაძემ, დ. კაციტაძემ, კ. კუციამ, ა. ჭეიშვილმა, მ. მამაცაშვილმა და სხვ[30]. მათ არაერთი სპარსული ნარატიული თუ დოკუმენტური წყარო შეისწავლეს და გამოაქვეყნეს. აღნიშვნის ღირსია მ. თოდუას მიერ გაწეული შრომა XI—XIII სს. საქართველოს ისტორიის სპარსული წყაროების ირანში გამოვლენისა და დამუშავება-პუბლიკაციის საქმეში[31]. ირანისტთა მუშაობას ხელი შეუწყო იმანაც, რომ 1958 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან ჩამოყალიბდა საქართველოს შესახებ არსებული უცხოური წყაროების შემსწავლელი კომისია, რომელსაც გარდაცვალებამდე (1973 წლამდე) სათავეში ედგა გ. წერეთელი.

ქართველ ირანისტთა კადრების მომზადებამ, ირანის ისტორიისა და წყაროების საფუძვლიანმა ცოდნამ საშუალება მისცა ირანისტ ისტორიკოსებს შეექმნათ ფუნდამენტური გამოკვლევები ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის საკითხებზეც; უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია ვ. გაბაშვილის მონოგრაფია[32] და მრავალრიცხოვანი გამოკვლევები, რომლებშიც არაერთი პრობლემა პირველადაა დასმული, შესწავლილი და გადაწყვეტილი. ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის საკითხებზე მნიშვნელოვანი გამოკვლევები აქვთ კ. ტაბატაძეს, რ. კიკნაძეს, დ. კაციტაძეს, რ. ბურჭულაძეს, თ. ნატროშვილს (დაწვრილებით იხ. ბიბლიოგრაფია)[33]. წარმატებით მუშაო-

---

[29] ზემოაღნიშნულ წყაროთა პუბლიკაციების შესახებ დაწვრილებით იხ. დ. კ ა ც ი ტ ა ძ ე, ირანის ისტორიის შესწავლა საბჭოთა საქართველოში (ზოგადი მიმოხილვა), თსუ შრომები, 180, თბ., 1976.

[30] ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსულ ტექსტს შესავალი წაუმძღვარა, ქართული თარგმანი და შენიშვნები დაურთო რ ე ვ ა ზ კ ი კ ნ ა ძ ე მ, თბ., 1974; კ. კ უ ც ი ა, „თაზკირათ ალ-მულუქის“ ცნობები საქართველოს შესახებ, ქართული წყაროთმცოდნეობა, III, თბ., 1971; ა. ჭ ე ი შ ვ ი ლ ი, ერევნის ხანის ბრძანება ეშიკაღასბაშის თაობაზე, აღმოსავლური ფილოლოგია, II, 1972; მაჯდ ოს-სალტანე, ქალაქ თბილისის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმანი და კომენტარები დაურთო მ. მ ა მ ა ც ა შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1971; შაჰ თამაზის საუბარი ოსმალეთის ელჩთან, სპარსული ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა, შენიშვნები და წინასიტყვაობა დაურთო კ. ტ ა ბ ა ტ ა ძ ე მ, თბ., 1976, წ. 1; კ. ტ ა ბ ა ტ ა ძ ე, შერეფ-ხან ბითლისის ცნობები საქართველოს შესახებ, კავკასიურ ახლოაღმოსავლური კრებული, II, თბ., 1962; მ ი ს ი ვ ე, რაშიდ ად-დინის ცნობები საქართველოს შესახებ; ქართული წყაროთმცოდნეობა, II, თბ., 1968; დ. კ ა ც ი ტ ა ძ ე, ისქანდერის ანონიმის ცნობები საქართველოს შესახებ, თსუ შრომები, ტ.116,თბ., 1965; მ ი ს ი ვ ე, აბდარ-რეზაყ სამარყანდის ცნობები საქართველოს შესახებ, მაცნე ისტორიის სერია № 2, 1968; მ ი ს ი ვ ე, ფუმენის ცნობები საქართველოს შესახებ, აღმოსაელური ფილოლოგია, III, 1973; მ ი ს ი ვ ე, XVI—XVII საუკუნეთა სპარსული დოკუმენტური წყაროები საქართველოს ისტორიისათვის, კავკასიურ-ახლოაღმოსავლური კრებული, II, თბ., 1962; „სამყაროს საკეირველებათა“ ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანით, შესაელითა და შენიშვნებით გამოსცა რ ე ვ ა ზ კ ი კ ნ ა ძ ე მ თბ., 1978, წ. 9.

[31] მ. თ ო დ უ ა, ქართულ-სპარსული ეტიუდები, III, თბ., 1979.

[32] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI—XVII საუკუნეებში (შედარებითი შესწავლის ცდა), თბ., 1958.

[33] დ. კ ა ც ი ტ ა ძ ე, ირანის ისტორიის შესწალა საბჭოთა საქართველოში (ზოგადი მიმოხილვა), თსუ შროები, ტ. 180, 1976, თბ., გვ. 118—119.

ბენ როგორც ირანის ისტორიის, ასევე სპარსული დიპლომატიკის, ურბანისტიკის, ირან-საქართველოს ურთიერთობის, სპარსული წყაროების მონაცემებით საქართველოს ქალაქების სეფიანთა სახელმწიფოს ისტორიის ქართული წყაროების შესწავლაზე ახალგაზრდა ირანისტები (მ. გაბაშვილი, თ. აბაშიძე, მ. გობეჯიშვილი, დ. მიხანაშვილი, ნ. გელაშვილი, ნ. სურგულაძე და სხვ).

ცალკე აღნიშვნის ღირსია ვლ. ფუთურიძის, ვ. გაბაშვილის, დ. კაციტაძის, კ. კუციასა და თ. ნატროშვილის გამოკვლევები ირანის პოლიტიკურ, სამხედრო, ეკონომიკურ თუ კულტურის სარბიელზე მოღვაწე ქართველების ცხოვრება-მოღვაწეობაზე[34].

ქართველ ირანისტთა მიერ მომზადდა და გამოიცა სპარსული ენისა (ვლ. ფუთურიძე) და საისტორიო ტექსტების ქრესტომათიები (ჯ. გიუნაშვილი, დ. კაციტაძე); ეს უკანასკნელი მოიცავს X—XVIII ს-ის პირველი მეოთხედის სპარსული საისტორიო ძეგლებიდან ფრაგმენტებს.

ქართველი ირანისტების მიერ გამოქვეყნებული საინტერესო გამოკვლევების და წყაროების გვერდით საყურადღებო ადგილს იჭერს თურქოლოგთა კვლევაძიების შედეგები: საქართველოს ისტორიის თურქული წყაროების, საკუთრივ თურქული ფეოდალიზმის ცალკეული ინსტიტუტების, საქართველოსთან თურქული ეთნიკური სამყაროს ურთიერთობის ისტორიის შესწავლა ჯერ კიდევ XIX საუკუნეში დაიწყო და მნიშვნელოვანი წარმატებებიც იქნა მიღწეული (დიმ. ბაქრაძის საქმიანობა ამ მხრივ საგანგებო კვლევა-ძიების ღირსია); მაგრამ სისტემატური ხასიათი მას მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, მთელი რიგი საალმოსავლეთმცოდნეო სამეცნიერო ცენტრების დაარსებისა და კადრების მომზადების შემდეგ მიეცა. თურქეთის ისტორიის მთელ რიგ პრობლემებს ქართველმა თურქოლოგებმა საინტერესო ნაშრომები მიუძღვნეს. ფართოდ გაიშალა მუშაობა საქართველოს ისტორიის ოსმალური დოკუმენტური და ნარატიული წყაროების შესწავლა-გამოქვეყნების ხაზით. ამ მხრივ ფასდაუდებელი ამაგი დასდო ს. ჯიქიამ ოსმალურ წყაროთმცოდნეობას. მან გამოაქვეყნა „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის" სამი წიგნი[35], რომელიც საუკეთესო წყაროა როგორც საკუთრივ ოსმალეთის იმპერიის სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის, ასევე მათ მიერ დაპყრობილი ქვეყნის — სამხრეთ საქართველოს ისტორიის არაერთი საკვანძო საკითხის გასათვალისწინებლად. იმდენად დიდი მნიშვნელობის მრავალმხრივ საყურადღებო ცნობების შემცველია აღნიშნული „დავთარი", რომ

---

[34] ვლ. ფ უ თ უ რ ი ძ ე, ისქანდერ მუნშის ცნობა მხატვარ საიოშ-ბეგ ქართველის შესახებ. ენიმკის მოამბე, 1938, ტ. III; მ ი ს ი ვ ე, ქართველი მოღვაწენი ერანის კულტურულ ასპარეზზე, ანალები, I, 1947; მ ი ს ი ვ ე, ირანის სპასალარი როსტომ ხან საკაძე, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966; ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, უნდილაანთ ფეოდალური სახლი XVI—XVII სს. ირანში (ქართული წყაროების მიხედვით), მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, I, თბ., 1972; კ. კ უ ც ი ა, კავკასიური ელემენტი სეფიანთა ირანის პოლიტიკურ ასპარეზზე, მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1963; მ ი ს ი ვ ე, ისფაჰანის ქართველი ტარუღები (1618—1722). მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, II, თბ., 1972; დ. კ ა ც ი ტ ა ძ ე, ქართველი ვაჭრები ირანში (XVII—XVIII). ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ., 1976.

[35] გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი, თურქული ტექსტი გამოსცა, ქართულად თარგმნა და კომენტარები დაურთო ს ე რ გ ი ჯ ი ქ ი ა მ, წ. 1, თურქული ტექსტი, თბ., 1947; წ. II, ქართული თარგმანი, თბ., 1941, წ. III, გამოკვლევა, თბ., 1958.

მას არაერთი მკვლევარი შეეხო და შეისწავლა სხვადასხვა კუთხით (გ. ტივაძე, გ. გამყრელიძე, ვ. გაბაშვილი, ნ. შენგელია, მ. სვანიძე და სხვ.)

ოსმალური დოკუმენტების შესწავლის საქმეს საფუძველი ჩაუყარა ს. ჯიქიამ; მან არაერთი საყურადღებო დოკუმენტი გამოავლინა, შეისწავლა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა. მის მიერ გამოქვეყნეული დოკუმენტები—ფირმანები, ბერათები, ჰუჯათები, წერილები და სხვ. ნათლად აჩვენებენ საქართველოს ცალკეულ რეგიონებში ოსმალთა ბატონობის ფორმებს. ოსმალური ფეოდალიზმის თავისებურებებს ქართულ სინამდვილეში. დოკუმენტები მოიიებულია როგორც საქართველოს არქივსაცავებში, ასევე ლენინგრადის ფონდებშიც[36], თურქული დოკუმენტების თარგმნა-კომენტირებისა და სამეცნიერო მიმოქცევაში მათი შემოტანის საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ც. აბულაძეს; მან არაერთი დოკუმენტი შეისწავლა და გამოაქვეყნა; მის მიერ გამოქვეყნებული დოკუმენტები აჩვენებენ როგორც სამხრეთ საქართველოსა და ქართლში, ასევე იმერეთის სამეფოში ოსმალთა ბატონობას და მის შედეგებს[37]. არაერთი ოსმალური დოკუმენტური წყაროს პუბლიკაცია ეკუთვნის ნ. შენგელიას, ვ. ჩოჩიევა, მ. სვანიძეს[38]. საქართველოს ისტორიის ოსმალური დოკუმენტური წყაროების მდიდარი კოლექცია აღმოჩნდა ბულგარეთში, ქ. სოფიის კირილე და მეთოდეს სახელობის სახალხო ბიბლიოთეკის ორიენტალისტიკის სექტორის არქივში; მთელი ფონდი აღწერილია, საქართველოსა და კავკასიის შესახებ არსებული დოკუმენტები გამოვლენილია და პირები ჩამოტანილია საქართველოში[39]. ამჟამად მიმდინარეობს მათი დამუშავება

ოსმალური დოკუმენტური წყაროების გარდა ქართველი თურქოლოგები მუშაობენ ნარატიული ძეგლების შესწავლა-გამოქვეყნებაზე. ინტერესი ამ მხრივ განპირობებული იყო იმ ძვირფასი ცნობებით, რომელთაც ოსმალო ისტორიკოსები და ქრონიკები გვაწვდიან საქართველოს და კავკასიის შესახებ. მათ თხზულებებში დაცულია ცნობები XV—XIX საუკუნეთა საქართველოსა და ოსმალეთ-საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიისათვის. ოსმალო ისტორიკოსთა და მოგზაურთა თხზულებებ-

---

[36] ს. ჯიქიას მიერ გამოქვეყნებული მრავალრიცხოვანი ოსმალური დოკუმენტების შესახებ დაწვრილებით იხილეთ: ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, XV—XV საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბ., 1974, გვ. 136—237.

[37] ც. ა ბ უ ლ ა ძ ე, ორი თურქული ფირმანი, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, I, თბ., 1971; მ ი ს ი ვ ე, ოთხი თურქული დოკუმენტი იმერეთის მეფის სოლომონ II-ის შესახებ, თსუ შრომები, ტ. 121, 1967, მ ი ს ი ვ ე, ტრაპიზონის ფაშის სეიდ სულეიმანის წერილები სოლომონ მეორისადმი; მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, I, 1971; მ ი ს ი ვ ე, სულთნის ფირმანი კვლავ ალთუნ-ყალას შესახებ, აკად. ს. ჯიქიასადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, „აღმოსავლური ფილოლოგია", III თბ., 1973; მ ი ს ი ვ ე, ორი ფირმანი დავით თარხანს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის კრებული „ფილოლოგიური ძიებანი", თბ., 1973; გურჯი-ზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ც. ა ბ უ ლ ა ძ ე მ, თბ., 1975.

[38] დაწვრილებით ბიბლიოგრაფია იხ. ნ. შენგელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 136—237.

[39] ამ ფონდის შესახებ იხ. კ. მ ე შ ვ ე ლ ი ა ნ ი, ბულგარეთის არქივებში დაცული ოსმალური დოკუმენტური წყაროები საქართველოს ისტორიის შესახებ, თსუ შრომები, ტ. 127, 1968, გვ. 413—421; ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, საქართველოს ისტორიის ოსმალური დოკუმენტური წყაროები ბულგარეთის არქივში (სამეცნიერო მივლინების მოკლე ანგარიში), მაცნე, № 1, 1979.

ში საქართველოსა და კავკასიის შესახებ დაცული ცნობების შესწავლა-გამომზეურებისა და გამოქვეყნების საქმეში ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან ს. ჯიქია, გ. ფუთურიძე, ნ. შენგელია, ვ. ჩოჩიევი, გ. ალასანია, გ. ანჩაბაძე და სხვ., რომელთა მიერ გამოქვეყნებულია იბრაჰიმ ფეჩევის, ევლია ჩელების, მუსტაფა ნაიმას, მეჰმედ რაშიდის, ქათიბ ჩელების და სხვათა თხზულებებში დაცული ძვირფასი ცნობები[40]. ცალკეული მონოგრაფიების გარდა აღნიშნულ მკვლევართა მიერ არაერთი წერილია მიძღვნილი რომელიმე ოსმალო ისტორიკოსის თხზულებაში საქართველოსა და კავკასიის შესახებ დაცული ცნობების ქართულად თარგმნა-კომენტირებისადმი. საქართველოს ისტორიის ოსმალური ნარატიული და აგრეთვე დოკუმენტური წყაროები ჩვენს ისტორიოგრაფიაში აღნუსხულია და დაწვრილებითაა ნაჩვენები ქართველ თურქოლოგთა მიერ გაწეული საქმიანობა აღნიშნულ წყაროთა შესწავლისა და პუბლიკაციის დარგში[41]. ამასთანავე ევლია ჩელების ცნობები კავკასიის მთის მოსახლეობის შესახებ რუსულად თარგმნა გიორგი ანჩაბაძემ და საინტერესო გამოკვლევებიც მიუძღვნა ამ საკითხს[42].

ოსმალური წყაროების საფუძვლიანმა შესწავლამ და პუბლიკაციამ ხელი შეუწყო როგორც საკუთრივ ოსმალეთის შინაგანი და საგარეო პოლიტიკური ურთიერთობის საკითხების, ასევე ოსმალეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის პრობლემების მთელი სიღრმით შესწავლას. უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში თურქეთის ისტორიის საკითხების შესწავლა მჭიდროდ უკავშირდება საქართველოს ისტორიის საკითხებს და ეს ბუნებრივიცაა. XI ს-ის 40-იანი წლებიდან ქართველ ხალხს მჭიდრო ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდა თურქულ ეთნიკურ სამყაროსთან. ამ პერიოდიდან იწყება სელჩუკთა შემოსევები მახლობელ აღმოსავლეთში; 1071 წ. მანასკერტის ისტორიული ბრძოლის შემდეგ ბიზანტიის ნაცვლად საქართველოს მეზობლად ჩამოყალიბდა მცირე აზიის სელჩუკთა

---

[40] იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ს. ჯ ი ქ ი ა მ; ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი", თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ ფუთურიძემ, ნაკ. I, ქართული თარგმანი, 1971. ნაკ. II, გამოკვლ ევ, კომენტარები, თბ., 1973. რაშიდის ცნობები საქართველოსა და ზოგიერთი მეზობელი ქვეყნის შესახებ. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსცა, გამოკვლევა და შენიშვნები დაურთო ვ. ჩოჩიევმა, თბ., 1976; ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ თბ., 1978; მუსტაფა ნაიმა, ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა მ, თბ., 1979.

[41] ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, XV—XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბ., 1974.

[42] იხ. გ. ანჩაბაძის საკანდიდატო დისერტაცია «Книга путешествия Э. Челеби как источник по истории с горских народов Кавказа, Тб., 1975. ხელნაწერი, დამატება, გვ. 137—262; მ ი ს ი ე ე, ევლია ჩელები აფხაზეთისა და აფხაზების შესახებ, ჟურნალი „ალაშარა", №1, 1975 (აფხაზურ ენაზე); მ ი ს ი ე ე, Сеяхат-намэ Эвлия Челеби как источник по истории горских народов Кавказа, «Мацне», № 4, серия истории, 1974; е г о ж е, Материалы турецкого путешественника XVII в. Эвлия Челеби по Кавказу (сб. «Обзорные научные статьи по туризму и экскурсиям»), Сухуми, 1975, (на русск. яз.); е г о ж е. Сведения Эвлия Челеби о Дагестане, труды Института истории, языка и литературы им. Х. Цадаса, Махачкала, т. III1977. М и с и е е, ევლია ჩელების ცნობები აფხაზური და აბაზგური ტომების შესახებ, ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკთა შრომების კრებული, VI, თბ., 1975; М и с и е е, Эвлия Челеби о закубанских ногайцах, Тюркологический сборник, 1976, М., 1978.

სახელმწიფო, რასაც უდიდესი უარყოფითი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსა და ამიერკავკასიის ხალხებისათვის. ამიერიდან საქართველოს მეზობლად იყო პლაცდარმი, საიდანაც სისტემატურად მოდიოდნენ საქართველოსა და ამიერკავკასიაში თურქული მოდგმის ტომები. სელჩუკებისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიის საკითხები ჩვენს ისტორიოგრაფიაში მნიშვნელოვანწილად შესწავლილია[43], მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი რამაა გასაკეთებელი აღნიშნული პრობლემის სრულყოფილად დასამუშავებლად.

ქართველი თურქოლოგი-მედიევისტი ისტორიკოსები ძირითადად ოსმალეთ-საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობის საკითხებზე მუშაობენ. ამ მხრივ აღსანიშნავია მ. სვანიძის მონოგრაფია[44], როგორც ცნობილია, ირან-ოსმალეთის დაუსრულებელ ომებში ყოველთვის იდგა „საქართველოს საკითხი", ამიტომ ქართველ თურქოლოგთა კვლევის ობიექტი მუდამ იყო საქართველოს მდგომარეობის გათვალისწინება ირან-ოსმალეთის პოლიტიკური ურთიერთობის ფონზე; ამ მხრივ საყურადღებოა ვ. გაბაშვილის, ვ. ჩოჩიევის, მ სვანიძის და ნ. შენგელიას შრომები[45].

არაერთი საინტერესო გამოკვლევა მიეძღვნა ოსმალთა მიერ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დაპყრობის, იქ ახალციხის საფაშოს წარმოქმნის და არსებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შესწავლას[46].

---

[43] ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, სელჩუკები და საქართველო XI საუკუნეში, თბ., 1968; მ ი ს ი ე ე, ქოსე დაღის ბრძოლა, ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1976; მ ი ს ი ე ე, სადრ ად-დინ აბულ ჰასან ალ-ჰუსეინი ალფ-არსლანის საქართველოსა და ამიერკავკასიის ქვეყნებში ლაშქრობის შესახებ, ნ. ბერძენიშვილის დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბ., 1976; მ ის ი ე ე. იბნ-ბიბი ალა ად-დინ ქეიყობადის საქართველოში ლაშქრობის შ სახებ, „მაცნე", №1, ისტორიის სერია, 1975; მ ი ს ი ე ე, Грузинские историки XI—XIII вв. о сельджуках, тюркологический сборник, 1973, М., е г о ж е, Грузия и Ближный Восток на рубеже XII—XIII вв. тюркологический сборник. 1976, М., 1978; е г о ж е, Вопросы грузино-сельджукских взаимоотношений в современной урецкой историографии. Турция, история, экономика, Сборник статей, М., 1978; е г о ж е, Участие армяно-грузинских войск в Коседагской битве, Проблемы истории Турции, М., 1978.

[44] მ. ს ვ ა ნ ი ძ ე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან XV—XVIII სს. თბ.. 1971.

[45] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, ქართული დიპლომატიის ისტორიიდან (საქართველო და ანტიოსმალური კოალიცია XVI—XVII სს.) მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31. 1954; მ ი ს ი ე ე, ფეოდალური საქართველოს საზოგადოებრივი კლასები და კლასობრივი ბრძოლა ირანისა და თურქეთის ბატონობის პერიოდში, ნარკვევები მახლობელი აღმოსაელეთის ისტორიიდან (ფეოდალური ხანა), თბ., 1957; ვ. ჩ ო ჩ ი ე ე ი, 1639 წლის ირან-ოსმალეთის ზავი და საქართველო, ნარკვევები... მ ი ს ი ვ ე, ირან-თურქეთის 1554 წლის ზავი, აღმოსაელური ფილოლოგია, ტ. III, თბ., 1973; მ ი ს ი ე ე, ირანისა და თურქეთის 1736—1746 წწ. საზავო მოლაპარაკებანი, თსუ შრომები, ტ. 99, თბ., 1962, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, III; მ. ს ე ვ ა ნ ი ძ ე, მუსტაფა ლალა-ფაშას ლაშქრობა ამიერკავკასიაში 1578 წ. თსუ-ს შრომ ბი, ტ. II, თბ., 1965, აღმოსაელეთმცოდნეობის სერია, V; მ ა ს ი ე ე, სიმონ I-ის თურქეთთან ურთიერთობის ზოგიერთი თარიღის დაზუსტებისათვის, ფეოდალური საქართველოს ისტორიიის საკითხები, ტ. 3; ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, ოსმალო ისტორიკოსის მუნეჯიმ-ბაშის ცნობები ლალა მუსტაფა ფაშას ამიერკავკასიის ქვეყნებში ლაშქრობის შესახებ, ქართული წყაროთმცოდნეობა, II, თბ., 1968.

[46] გ. ტ ი ვ ა ძ ე, სამცხე-საათაბაგოს პოლიტიკური მდგომარეობა XVI ს., მნათობი, 1947, № 10; მ. ს ვ ა ნ ი ძ ე, თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ სამხრეთ საქართველოს (სამცხე-საათაბაგოს) ბრძოლის ისტორიიდან XVI ს-ის უკანასკნელ მესამედში. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის შრომები, ტ. 2, ბათუმი, 1957; მ ი ს ი ვ ე, ჩილდირის (ახალციხის) საფაშოს წარმოქმნის ისტორიიდან, საქართველოს სსრ საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, № 7, 1964;

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ოსმალეთის ხელისუფლება თანდათანობით ნერგავდა ოსმალური მიწისმფლობელობისა და მიწათსარგებლობის ფორმებს, ოსმალურ გადასახადებსა და საგადასახადო სისტემას. ოსმალური ფეოდალური ინსტიტუტების დამკვიდრება სამხრეთ საქართველოში ხანგრძლივი პროცესი იყო, მას მთელი რიგი თავისებურებანი ახასიათებდა. ამ თავისებურებათა შესწავლას მიეძღვნა ა. ავალიანისა და მ. სვანიძის ნაშრომები[47]. სამცხე-ჯავახეთი მონოგრაფიულად შეისწავლა შ. ლომსაძემ[48]. ირან-საქართველოსა და ოსმალეთ-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობის საკითხები აისახა ნუმიზმატიკურ მასალაშიც, რომელსაც მნიშვნელოვანი ყურადღება მიექცა ჩვენს ისტორიოგრაფიაში[49].

ქართულ ისტორიოგრაფიაში საგანგებო კვლევის საგანი გახდა საქართველოში ოსმალური სოციალურ-პოლიტიკური სისტემის—ე. წ. „ოსმალობის" საკითხი. მას პირველად ჩვენს ისტორიოგრაფიაში ნ. ბერძენიშვილმა მიაქცია ყურადღება[50]. შემდეგში ოსმალობის საკითხს სხვადასხვა კუთხით შეეხნენ დ. გვრიტიშვილი, ვ. დონდუა და სხვ.

XVIII ს-ის თურქეთ-საქართველოს ურთიერთობის ერთერთი საკითხი შესწავლილი აქვს ოთ. გიგინეიშვილს. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი გამოკვლევები საქართველო-თურქეთის ურთიერთობის შესახებ. იგი საგანგებოდ შეეხო საკითხს, თუ როგორ დგას დღეს საქართველოს ისტორიის კვლევა-ძიება თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიაში[51].

ქართველი თურქოლოგები თურქეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის საკითხებთან ერთად წარმატებით სწავლობენ თურქეთის პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის საკითხებს. ოსმალეთის სახელმწიფოს

გ. ტივაძე, სამცხე-საათაბაგო „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის" მიხედვით, „მნათობი", № 8, 1946; ნ. შენგელია. ოსმალური გადასახადები და ვალდებულებანი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის" მიხედვით, თსუ შრომები, ტ. 91. აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, II, 1960; მისივე, ჯურჯისტანის 1572-73 წ. კანონ-ნამე, აღმოსავლური კრებული, I, თბ., 1960; მ. სვანიძე, სამცხე-საათაბაგოს აღმინისტრაციული დაყოფა და სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის" მიხედვით, თსუ შრომები, ტ. 121. აღმოსავლეთმცოდნეობის სერია. VII. 1967;

[47] ა. ავალიანი, მიწისმფლობელობის ფორმები აჭარაში, ბათუმი, 1960; M. X. Свиридзе, О юртлуках и оджакликах как одной из форм землевладения в Османской империи (на примере Чильдырского пашалыка). Первый конгресс балканских исследований, сообщения советской делегации, М., 1966; его же, Вопросы землевладения в Османской империи на примере Ахалцихского (Чильдырского) пашалыка. Доклады и сообщения советской делегации. III Международный съезд по изучению стран Европы. М., 1974.

[48] შ. ლომსაძე. სამცხე-ჯავახეთი, თბ., 1975.

[49] მ. ანთაძე, თურქული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV—XVIII სს., თბ., 1977 (საკანდიდატო დისერტაცია, ხელ ნაწერი); Т. С. Кутелия, Грузия и Сефевидский Иран (по данным нумизматики), Тб., 1979; И. Л. Джалагания, Иноземная монета в денежном обращении Грузии V—XIII вв., Тб., 1979.

[50] ნ. ბერძენიშვილი, XVIII ს-ის საქართველოს ისტორიიდან, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, 1965; მისივე, საქართველო XVIII საუკუნეში. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. III, თბ., 1966; მისივე, აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. III, თბ., 1966.

[51] ო. გიგინეიშვილი, საქართველო თურქეთის საგარეო პოლიტიკაში XVII ს-ის უკანასკნელ მეოთხედში, თსუ შრომები, ტ. 73, თბ., 1959; მისივე, საქართველოს ისტორიის საკითხები თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიაში, ცისკარი, 1958 №, № 1.

წარმოშობას, მათ დაპყრობით ომებს XIV—XVI სს. თურქეთის მდგომარეობას XVI—XVII სს. სოციალურ მოძრაობებს, ოსმალურ ფეოდალურ მიწისმფლობელობას, სამხედრო-ლენური სისტემას და სხვა საკითხებს მიუძღვნა თავისი ნაშრომები გ. ფუთურიძემ[52]. საგანგებო კვლევის საგანი გახდა გადასახადები და საგადასახადო სისტემა ოსმალეთში[52], აგრარული ურთიერთობა და სხვ[53].

ქართველი მეცნიერები წარმატებით იკვლევენ შუა საუკუნეების ოსმალეთის ქალაქების ისტორიის ცალკეულ საკითხებს; სოციალურ მოძრაობებს, საქალაქო ცხოვრებას, ვაჭრობას, ხელოსნურ ორგანიზაციებს[54], ოსმალეთის იმპერიის ადმინისტრაციულ სისტემას და სხვ[55].

ოსმალეთის იმპერიის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის შესასწავლად კოჩი ბეი გორიჯელისა და აინი ალის „რისალეები" საგანგებოდ იქნა შესწავლილი[56].

განსაკუთრებით აღსანიშნავია XVIII ს-ის თურქეთის საგარეო პოლიტიკის ისტორიის საკითხების შესწავლა ქართულ ისტორიოგრაფიაში (უპირატესად ოსმალეთის ურთიერთობა რუსეთთან, ირანთან, საფრანგეთთან და სხვა ქვეყნებთან)[57].

ამრიგად, როგორც ეხედავთ, ქართველი მეცნიერები ინტენსიურად სწავლობენ როგორც ოსმალეთის საშინაო და საგარეო ურთიერთობის, ასევე საქართველოსთან დამოკიდებულების რიგ პრობლემებს, ამასთანავე ფართოა მათი წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული ბაზა, ქართველი წყაროთმცოდნე-ოსმანისტები ურთულეს ხელნაწერებს შიფრავენ და საინტერესო ცნობებით ამდიდრებენ ჩვენს წყაროთმცოდნეობით ლიტერატურას, ამით ობიექტურად ხელს უწყობენ როგორც საკუთრივ თურქეთის ისტორიის, ასე-

---

[52] ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან (ფეოდალური ხანა), თბ., 1957

[53] ნ. შ ე ნ გ ე ლ ი ა, გადასახადები და საგადასახადო სისტემა XVI ს-ის ოსმალეთში, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, ტ. VI, ნაკვ. 2, 1962; ბ. ს ი ლ ა გ ა ძ ე, ერაყი მამლუქთა ხანაში, თბ., 1978.

[54] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, თურქეთის ქალაქები, ხელოსნობა, ვაჭრობა, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, 1957; მ ი ს ი ვ ე, სოციალური მოძრაობანი ახლო აღმოსავლეთის ქალაქებში, ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, ტ. I, 1966; Д. А. Гудиашвили, Ремесленные организации городов Турции по сеяхат-намэ («Книга путешествия») Эвлия Челеби, Труды Всесоюзной научной конференции аспирантов и молодых научных работников М., 1975.

[55] მ. ს ვ ა ნ ი ძ ე, ოსმალეთის იმპერიის ადმინისტრაციული სტრუქტურა და პროვინციული მმართველობა XVI საუკუნეში, მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, თბ., 1963.

[56] გ. ფ უ თ ურ ი ძ ე, კოჩიბეი გორიჯელის „რისალე" როგორც წყარო თურქეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიისათვის, 1953 (საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი); გ. ა ლ ა ს ა ნ ი ა, აინი ალის „რისალე" როგორც წყარო თურქეთის აგრარული ურთიერთობის შესასწავლად, ქართული წყაროთმცოდნეობა, ტ. III, თბ., 1973.

[57] ო. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ოსმალეთის იმპერიის საშინაო ვითარება ქუჩუკ კაინარჯის ზავის შემდეგ, მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, 1963, თბ., მ ი ს ი ვ ე, თურქეთის ისტორიის ზოგიერთი საკითხი XVIII ს-ის 70-იან წლებში, მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების ახლი და უახლესი ისტორიის საკითხები, თბ., 1975; მ ი ს ი ვ ე, Некоторые вопросы внешней политики Турции в конце XVIII в. Краткие сообщения Института востоковедения АН СССР, 1963; № 73; მ ი ს ი ვ ე, თურქეთ-საფრანგეთის ურთიერთობა XVIII ს. უკანასკნელ მეოთხედში, მახლობელი და შუა აღმოსავლეთის ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები, თბ., 1976.

ვე თურქეთ-საქართველოს ისტორიული ურთიერთობის მთელი რიგი პრობლემების უფრო ღრმად შესწავლის საქმეს.

ასევე წარმატებით მუშაობენ ქართველი არაბისტები არაბული აღმოსავლეთის ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის საკითხებზე. რამდენადაც არაბულ აღმოსავლეთთან საქართველოს იმთავითვე ჰქონდა პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა, ქართველ არაბისტ ისტორიკოსთა კვლევის სფეროში შემოვიდა როგორც საკუთრივ არაბული ქვეყნების ისტორიის ცალკეული საკითხები, ასევე არაბულენოვან წყაროებში საქართველოსა და არაბეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის შესახებ დაცული ცნობების გამომზეურება, შესწავლა, თარგმნა-კომენტირება და პუბლიკაცია; ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთოდ ამ ურთიერთობისა და საკუთრივ საქართველოს შესახებ არაერთი ძვირფასი ცნობაა დაცული არაბულ ნარატიულ თუ დოკუმენტურ წყაროებში.

არაბთა სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ისტორიის საკითხების შესწავლას იმთავითვე მიექცა სათანადო ყურადღება. ჯერ კიდევ 1957 წელს ვ. გაბაშვილის რედაქციით გამოცემულ „ნარკვევებში" მანვე გამოაქვეყნა საინტერესო გამოკვლევა არაბებისა და არაბთა სახელმწიფოს შესახებ[58]. ამავე კრებულში დაიბეჭდა ე. სიხარულიძის გამოკვლევა[59] აბასელთა სახალიფოს სოციალურ-ეკონომიკური ვითარების შესახებ. უფრო მოგვიანებით გამოქვეყნდა მთელი სერია გამოკვლევებისა, რომლებიც მიეძღვნა არაბთა სახალიფოში VII—VIII სს. არსებული საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობის საკითხებზე არსებულ მოსაზრებათა შეფასებას საბჭოურ ორიენტალისტიკაში[60], იკტას ინსტიტუტს არაბთა სახალიფოში[61], მიწაზე სახელმწიფო საკუთრების ფორმებს სახალიფოში VII—VIII სს-ში[62], ამავე პერიოდში თემის საკითხს[63]. სახალიფოს სოციალურ-ეკონომიკური საკითხების შესწავლამ საშუალება მისცა ლ. ნადირაძეს თვალი გაედევნებინა ფეოდალური ურთიერთობისათვის როგორც არაბთა მიერ დაპყრობილ ქვეყნებში[64], ასევე არაბთა სახალიფოში[65].

ქართველი არაბისტები სწავლობენ არაბული ქვეყნების ურბანისტიკის საკითხებსაც. ამ მხრივ საინტერესოა ო. ცქიტიშვილის მონოგრაფია[66], რო-

---

[58] ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, თბ., 1957.

[59] იქვე.

[60] Л. И. Надирадзе, Вопросы общественно-экономического строя государства арабов и халифата VII—VIII вв. в советской историографии. Проблемы социально-экономической истории феодализма в странах Востока (исторический очерк). М., 1969.

[61] Л. И. Надирадзе, Проблеми института икта в арабском халифате в советской историографии. В сб.: История и экономика стран арабского Востока. М., 1973.

[62] Л. И., Надирадзе. Проблемы государственной собственности на земле в Халифате в VII—VIII вв. В сб.: Арабские страны, М., 1970.

[63] Л. И., Надирадзе, Община на территории Восточного халифата в VII—VIII вв. В сб.: Арабские страны. М., 1966.

[64] Л. И. Надирадзе, К вопросу о феодализме в завоеванных арабами странах. В сб.: Современная историография стран зарубежного Востока. М., 1975.

[65] Л. И. Надирадзе, Развитие феодализма в арабском халифате, В сб.: Историография стран Востока (проблемы феодализма). М., 1970.

[66] ო. ცქიტიშვილი, ქალაქ ბაღდადის ისტორიისათვის (მასალები ფეოდალური ქალაქის წარმოშობა-განვითარების ისტორიისათვის მახლობელ აღმოსავლეთში), თბ., 1968; მისივე, К истории города Багдада, Исторический журнал Иракского исторического и археологического общества, т. III, Багдад, 1979 (ინგლისურ ენაზე).

მელშიც წარმოდგენილია მახლობელ აღმოსავლეთში ფეოდალური ქალაქის წარმოშობის საკითხი ბაღდადის შესახებ არსებული კონკრეტული მასალების გაანალიზების საფუძველზე. აქვე მოხმობილია არაბი ავტორების — ალ-იაკუბის, ატ-ტაბარისა და ალ-ხატიბ ალ-ბაღდადის ცნობების არაბული ტექსტები ქართული თარგმანითურთ. ამასთანავე ფოტოტიპიურად ქვეყნდება არაბი გეოგრაფის — იბნ ალ-ფაკიჰის ნაშრომის მაშჰადის ხელნაწერის თავი ბაღდადის შესახებ. ამავე ავტორის თხზულებიდან ო. ცქიტიშვილმა შეისწავლა და გამოაქვეყნა მაშჰადის ხელნაწერიდან სამხრეთ ერაყისა და თაბარისტანის შესახებ არსებული ცნობების არაბული ტექსტი რუსული თარგმანით, შენიშვნებით[67]. ნაშრომში უპირატესად ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის ცნობებია თავმოყრილი; აქვეა ფაქსიმილეებიც. ქართულ ისტორიოგრაფიაში საგანგებო კვლევის საგანი გახდა არაბთა სახალიფოს ზარაფხანები[68].

ქართველ არაბისტთა ყურადღების ცენტრშია საქართველოს შესახებ არსებული არაბული ნარატიული და დოკუმენტური წყაროების შესწავლა-გაანალიზება. არაერთი მეცნიერი შეეხო ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელს“ როგორც წყაროს საქართველოს არაბთა ხალიფებთან დამოკიდებულებისა თუ სხვა თვალსაზრისით[69]. ამ ძეგლს, როგორც წყაროს დიდი მნიშვნელობა აქვს არაერთი საკითხის შესასწავლად, უპირველეს ყოვლისა იგი განსაზღვრავდა დამპყრობელსა და დაპყრობილს შორის პოლიტიკური დამოკიდებულების ფორმას, მათ უფლება-მოვალეობას.

ბ. სილაგაძე არაბ ავტორთა — ალი-იაკუბის, ატ-ტაბარისა და იბნ ალ-ასირის ცნობების შესწავლის საფუძველზე იკვლევს 764 წ. საქართველოში ხაზართა ლაშქრობის საკითხს. აქვე იძლევა აღნიშნულ ავტორთა ტექსტებს ქართული თარგმანითა და სათანადო კომენტარებით[70].

როგორც აღვნიშნეთ, ქართველი არაბისტები ინტენსიურად მუშაობენ საქართველოს ისტორიის არაბული წყაროების გამოქვეყნებაზე. ე. სიხარულიძის მიერ შესწავლილი და გამოქვეყნებულია იაკუთის გეოგრაფიული ლექსიკოდან ამოკრეფილი ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ[71], იბნ ჰაუკალის ცნობები თბილისის შესახებ[72], ას-სამანის ცნობები საქართვე-

---

[67] Ас-Савад и Табаристан по Машхадской рукописи труда Ибн ал-Хамадани, Издание арабского текста, перевод и примечания О. В. Цкитишвили, Тб., 1977.

[68] გ ო ჩ ა ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, აბასელთა სახალიფოს ზარაფხანები, მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის ნარკვევები, თბ., 1968.

[69] მ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ჰაბიბ იბნ მასლამას დაცვის სიგელი, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, თბ., 1951, ნაკვ. 29; ე. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, არაბეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან, თსუ შრომები, თბ., 1959, ტ. 73 (აღმოსავლეთმც. სერია); ბ. ს ი ლ ა გ ა ძ ე, ჰაბიბ იბნ მასლამას დაცვის სიგელის დათარიღებისათვის, მაცნე, № 1, 1971; ო. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, ჰაბიბ იბნ მასლამას „დაცვის სიგელი“ აბუ უბაიდის თხზულებაში, მაცნე, № 1, 1976; ე ლ ე ნ ე ც ა გ ა რ ე ი შ ვ ი ლ ი, სომხური წყაროები არაბეთ - საქართველოს ურთიერთობის შესახებ (I. სებეოსი, 2. ლეონდი), მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, I, თბ., 1971.

[70] ბ. ს ი ლ ა გ ა ძ ე, არაბი მწერლების ცნობები რას ტარ ხანის ლაშქრობის შესახებ საქართველოში 764 წელს (ალ-იაკუბი, ატ- ტაბარი, იბნ ალ-ასირი), ქართული წყაროთმცოდნეობა, V, თბ., 1978.

[71] იაკუთის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ნაკვ. I, არაბული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლით გამოსცა ე თ ე რ ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე მ, თბ., 1964.

[72] ე. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე, იბნ ჰაუკალი თბილისის შესახებ, საქართველოს ისტორიის აღმოსავლური მასალები, წიგნი I, 1976.

ლოს შესახებ[73], ზაქარია ალ-კაზვინის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ[74]. ალ-ჯაუზის ცნობები დავით აღმაშენებელზე[75].

ო. ცქიტიშვილს ზაქარია ალ-კაზვინის ცნობები შესწავლილი აქვს არა-მარტო საქართველოსა და კავკასიის ისტორიის თვალსაზრისით, არამედ მას იგი გამოკვლეული აქვს XIII ს-ის ქალაქ ყაზვინის ტოპოგრაფიის თვალსაზ-რისითაც[76].

საქართველოს ისტორიისათვის დიდ ინტერესს იწვევს არაბი ავტორის იბნ ალ-ასირის ცნობები, ამიტომ მას არაერთი ავტორი შეხებია. ბ. სილაგაძემ საინტერესო გამოკვლევა უძღვნა XII—XIII საუკუნეთა საქართველოს ის-ტორიის ცალკეულ საკითხებს იბნ ალ-ასირის ცნობათა ანალიზის საფუძველ-ზე. მან იბნ ალ-ასირის მონაცემები შეუჯერა ქართული წყაროების ცნობებს და სპეციალური ლიტერატურის გათვალისწინების საფუძველზე მოგვცა საყურადღებო დასკვნები. კერძოდ, მისი დასკვნით, რუქნ ად-დინის საქართვე-ლოში ლაშქრობის თარიღად 1203—1204 წელია. მასვე თამარის გარდაცვალე-ბის თარიღად 1207 წელი მიაჩნია. აქვე ავტორს წარმოჩენილი აქვს მეზობელ მუსლიმანურ ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობის ცალკეული მომენ-ტები[77].

იბნ ალ-ასირის ერთ ცნობასვე, კერძოდ, ლიპარიტ ერისთავის ურთიერ-თობას სელჩუკებთან XI ს-ის 50-იან წლებში, ეხება ბ. სილაგაძე. იგი აზუს-ტებს მას და გვთავაზობს არაბულ ტექსტს ქართული თარგანითა და შესაფე-რისი შენიშვნებით[78].

ქართველ არაბისტთა კვლევის ინტერესებში შემოდის შუა საუკუნეების არაბული ქვეყნების ეკონომიკის საკითხებიც. გ. ჯაფარიძემ შეისწავლა არაბუ-ლი მეტოროლოგიისა[79] და მაღრიბული ოქროს საკითხები[80].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ წყაროებში არაერთი საინტერესო ცნობაა დაცული აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიისათვის XI—XII სს. ქართულ წყაროებში ფიქსირებულია მახლობელ და შუა აღმოსავლეთში მომხ-

---

[73] ე. სიხარულიძე, ას-სამანის ცნობები საქართველოს შესახებ, საქართველოს ისტო-რიის აღმოსავლური მასალები, წ. I, 1976.

[74] ზაქარია ალ-კაზვინის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, არაბულ ტექსტს შესავალი წაუმძღვარა, ქართული თარგმანი და შენიშვნები დაურთო ოთარ ცქიტიშვილმა, თბ., 1975. არანაკლებ საინტერესოა ფაკიჰის ცნობა საქართველოს შესახებ, იხ. Цкитишвили О. В., Об одном сведении Иби ал-факиха ал-Хамадани. Journal of the Economic and Sosial History of the Orient, 1970, XIII, N I.

[75] ო. ცქიტიშვილი, სიბტ იბნ ალ-ჯაუზის ცნობა დავით აღმაშენებლის შესახებ, თსუ შრომები, ტ. 118, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, 1967.

[76] О. В., Цкитишвили, Топография города Казвина XIII в. по данным Закария ал-Казвина. მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, II, თბ., 1972.

[77] ბ. სილაგაძე, XII—XIII სს. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი იბნ ალ-ასირის ცნობათა შუქზე, საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966.

[78] ბ. სილაგაძე, იბნ ალ-ასირის თხზულების „თარიხ ალ-ქამილის“ ერთი ადგილის დადგენისათვის, ქართული წყაროთმცოდნეობა, წ. III, 1971; ამავე საკითხზე იხ. გ. ჯაფარიძე, იბნ ალ-ასირის ერთი ცნობის შესახებ (XI ს. 50-იანი წლები), საქართველოს ისტორიის აღმოსა-ვლური მასალები, წ. I, 1976.

[79] გ. ჯაფარიძე, IX—X საუკუნეების არაბული მეტროლოგიის ისტორიიდან, თსუ შრო-მები, ტ. 121.

[80] გ ჯაფარიძ , მაღრიბული ოქრო XII—XIII სს-ის ქართულ წყაროებში, „მაცნე“, ფილოლოგიის სერია, 1975, № .4.

დარი ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა, ამიტომ ქართველი მეცნიერები მარჯვედ იყენებენ ქართული წყაროს მონაცემებს და უჯერებენ მას აღმოსავლური წყაროების სათანადო ცნობებს მახლობელი აღმოსავლეთის რიგი საკითხების გასათვალისწინებლად. „ქართულ საისტორიო წყაროებში დამოწმებული ცნობები ეკუთვნის აღწერილი მოვლენების „თანადამხვდურ“ და „თვითმხილველ“ ავტორებს, რაც კიდევ უფრო ზრდის მათ ღირსებასა და მნიშვნელობას“[81]. ქართული წყაროების მონაცემებს აღმოსავლეთის ქვეყნების შესასწავლად პირველად ყურადღება მიაქცია ვ. გაბაშვილმა და ქართული წყაროებიდ მომარჯვებით განიხილა XI—XII სს. საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის საკითხები. მან აღნიშნა, რომ ამ ურთიერთობას აპირობებდა „ეგვიპტის აქტიური როლი მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობაში, ხოლო საავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობას — ეგვიპტის განსაკუთრებული მნიშვნელობა მსოფლიო ვაჭრობაში“[82].

ქართველი არაბისტები სრულიად უცნობი არაბული, ქართული და დასავლეთ ევროპული წყაროების მონაცემების გათვალისწინებით წარმატებით სწავლობენ XII—XIII სს. საქართველოსა და ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიის ცალკეულ საკითხებს[83],

მნიშვნელოვანი გამოკვლევებია მამლუქთა ისტორიის საკითხებზე. გამოქვეყნებულია როგორც მონოგრაფიები და ცალკეული წერილები, ასევე გამომზეურებულია და შესწავლილი მამლუქთა საქმიანობის შესახებ საინტერესო წყაროები[84].

მ. ტიკაძემ საგანგებო გამოკვლევები მიუძღვნა სირიის ქალაქების ისტორიას[85], ამიერკავკასიის ქალაქების საავაჭრო ურთიერთობებს სირიის ქალაქებთან[86] და სხვ. სირიასთან საქართველოს ურთიერთობას ეძღვნება რ. მი-

---

[81] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, აღმოსავლეთი XI—XII სს. ქართული საისტორიო წყაროების ფურცლებზე, გვ. 307.

[82] ვ. გ ა ბ ა შ ვ ი ლ ი, საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან (XI—XII სს), თსუ შრომები. 125 ტ. XII საუკუნის საქართველოს ისტორიის საკითხები, შ. მ ე ს ხ ი ა ს რედაქციით, თბ., 1968, გვ. 81.

[83] ბ. ს ი ლ ა გ ა ძ ე, მასალები საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიისათვის (ქართველების ბრძოლა პალესტინის წმინდა ადგილების განთავისუფლებისათვის XIII—XIV საუკუნეებში), ქართული წყაროთმცოდნეობა, II, თბ., 1968; დ. გ ო ჩ ო ლ ე ი შ ვ ი ლ ი, საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიიდან (XIV ს. I ნახ). თსუ შრომები, 1977, ტ. 184; მ ი ს ი ვ ე, საქართველო მახლობელი აღმოსავლეთის საერთაშორისო ურთიერთობათა შუქზე XIII—XIV საუკუნეებში, მაცნე, ისტორიის სერია, № 1, 1978; მ ი ს ი ვ ე, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ისტორიიდან (XIII ს. 70-იანი წლები), მაცნე, ისტორიის სერია, № 4, 1975.

[84] ბ. ს ი ლ ა გ ა ძ ე, დ. ჯ ა ნ ე ლ ი ძ ე, ქართველი მამლუქები ეგვიპტესა და ერაყში, თბ., 1967; ბ. ს ი ლ ა გ ა ძ ე, ერაყი მამლუქთა გამგებლობის ხანაში (1749—1931) თბ., 1978; მ ი ს ი ვ ე, XVIII საუკუნის ერაყის ქართველ მამლუქა ისტორიიდან, თსუ შრომები, ტ. 99, 1962; მ ი ს ე ე, ერაყ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან (XIX ს. 20-იანი წლები) თსუ შრომები. 91: აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, II, თბ., 1960. ს. ლ უ ზ ი ნ ი ა ნ ი, ოსმალეთის პორტის წინააღმდეგ ალი ბეის აჯანყების ისტორია (ინგლისური ტექსტი), ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსცა ბ. ს ი ლ ა გ ა ძ ე მ, თბ., 1973; გ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, მამლუქთა წერილები ეგვიპტიდან, „დროშა“, № 8. 1971.

[85] მ. ტ ი კ ა ძ ე, ქალაქ დამასკოს ისტორიიდან, თსუ შრომები, ტ. 118, აღმოსავლეთმცოდნეობის სერია, თბ., 1967.

[86] მ. ტ ი კ ა ძ ე, ამიერკავკასიის ქალაქების საავაჭრო ურთიერთობები სირიის ქალაქებთან XVI—XVIII სს. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, თბ., 1970.

რიანაშვილის გამოკვლევა[87]. არაერთი საინტერესო ნაშრომია უფრო ნაგვიანევი ხანის არაბული ქვეყნების კულტურის ისტორიის საკითხებზე. ახლახან გამოცემულ ნაშრომში მოკლედ წარმოდგენილია თანამედროვე სირიის ბუნებრივი პირობები, მოცემულია მოკლე ისტორიული ცნობები, სახელმწიფო წყობა, მოსახლეობა, ეკონომიკა, კულტურა და სხვა საკითხები[88].

მახლობელი აღმოსავლეთისა და მისი საქართველოსთან ურთიერთობის ისტორიის საკითხების შესწავლა არ შემოიფარგლება ზემოაღნიშნულით. ქართველ აღმოსავლეთმცოდნე მედიევისტ ისტორიკოსებს გაცილებით მეტი აქვთ გაკეთებული, რომლის ფართოდ წარმოდგენა და აღნუსხვა აქ ვეღარ შევძელით. უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე ვ. გაბაშვილის ხელმძღვანელობით მომზადდა რამდენიმე თაობა მაღალკვალიფიცირებული კადრებისა, რომლებიც თავიანთი მეცნიერული პროდუქციის გარდა აქტიურ მონაწილეობას იღებენ რესპუბლიკურ, საკავშირო თუ საერთაშორისო სესიების, კონფერენციებისა და კონგრესების მუშაობაში, ნაყოფიერად მუშაობენ სსრ კავშირისა თუ უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებში და სასარგებლო სამეცნიერო საქმიანობას ეწევიან.

---

[87] რ. მ ი რ ი ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართველთა კვალი სირიაში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, № 3, 1977.

[88] გ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, თანამედროვე სირია, თბ., 1979.

გიული ალასანია, გიორგი ანჩაბაძე

ქართული საბჭოთა წყاროთმცოდნეობა

საქართველოში წყაროთა შესწავლას ისეთივე დიდი ხნის ტრადიციები აქვს, როგორც საკუთრივ საისტორიო მწერლობას. ძველი ქართველი მემატიანეები წყاროთმცოდნეებიც იყვნენ და წყაროთა შერჩევისა და გამოყენების დროს საუკუნეთა მანძილზე შემუშავებულ ხერხებს იყენებდნენ. განვითარების გარკვეულ საფეხურზე ხდება ცოდნის გადაქცევა მეცნიერებად. საისტორიო მეცნიერების პროგრესთანაა დაკავშირებული ახალი დამხმარე საისტორიო დისციპლინების შექმნაც, რომლებიც დროთა განმავლობაში დამოუკიდებლობას იძენენ. გამოყენებითი დისციპლინების გადაქცევა თავისი საგნობრივი სფეროს მქონე დამოუკიდებელ მეცნიერებად ხანგრძლივი პროცესია. მეცნიერებათა დანაწევრება განუყრელია მათ ინტეგრაციასთან, რასაც თან სდევს მოქმედების სფეროს გაფართოება, მეთოდიკის სრულყოფა და ცვლა, მიჯნების გადაადგილება. ამიტომ კანონზომიერი ჩანს ზოგიერთი თანამედროვე მეცნიერის მოსაზრება, რომ აღარ ვუწოდოთ „დამხმარე საისტორიო დისციპლინები" არქეოგრაფიას, ეპიგრაფიკას, პალეოგრაფიას, დიპლომატიკას, ტექსტოლოგიას და ა. შ., ხოლო მეორე მხრივ — წინადადება ორივე გამოთქმის თანაარსებობის უფლების შესახებ: „სპეციალური წყاროთმცოდნეობითი" ან „დამხმარე საისტორიო" დისციპლინები. წყاროთმცოდნეობა იყენებს ყველა დამხმარე საისტორიო დისციპლინის მონაცემებს, ახდენს მათ სისტემატიზაციასა და განზოგადებას და ამავე დროს ემიჯნება მათ კვლევის საკუთარი საგნით, მიზნებითა და საშუალებებით. წყاროთმცოდნეობა არის სპეციალური საისტორიო დისციპლინა, რომელიც შეიმუშავებს საისტორიო წერილობითი წყاროების გამოვლენის, პუბლიკაციის, შესწავლისა და გამოყენების თეორიასა და მეთოდებს.

წინამდებარე ნაშრომში შეუძლებელია 60 წლის მანძილზე ქართველ მეცნიერთა მიერ აღნიშნულ დარგში ჩატარებული სამუშაოს სრული აღნუსხვა. ჩვენი მიზანია განვითარების ძირითადი ტენდენციების წარმოჩენა.

ქართულ საბჭოთა წყاროთმცოდნეობაში გრძელდება ტრადიციები, რასაც გასულ საუკუნეში საფუძველი ჩაუყარეს გამოჩენილმა ქართველოლოგებმა მ. ბროსემ, დ. ჩუბინაშვილმა, დ. ბაქრაძემ, ა. ცაგარელმა, თ. ჟორდანიამ და სხვებმა. ქართული წყاროთმცოდნეობის როგორც დამოუკიდებელი მეცნიერების ჩამოყალიბება დაკავშირებულია ივ. ჯავახიშვილის სახელთან, კერძოდ, 1916 წ. მისი ნაშრომის „ძველი ქართული საისტორიო მწერლობის" გამოსელასთან, სადაც განსაზღვრულია აღნიშნული საისტორიო დისციპლინის ძირითადი ამოცანები. V-XVIII სს-თა ქართული საისტორიო თხზულებების განხილვის დროს მეცნიერი არკვევს მათი გარეგანი და შინაგანი კრიტიკის საკითხებს, ავტორების ვინაობას და კლასობრივ პოზიციებს, თხზულებების ავთენ-

ტურობას, მათი დაწერის დროსა და ადგილს. ნაშრომებში შესწავლილია ქართული საისტორიო მწერლობის ტერმინოლოგია.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ივ. ჯავახიშვილმა გამოაქვეყნა ამ სერიის დანარჩენი სამი წიგნი: „ქართული საფას-საზომთმცოდნეობა ანუ ნუმიზმატიკა-მეტროლოგია“ (1925 წ.), „ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“ (1926 წ.) და „ქართული სიგელთმცოდნეობა ანუ დიპლომატიკა“ (1926 წ.). უკანასკნელში ნაჩვენებია, თუ რას შეისწავლის დიპლომატიკა, განხილულია მისი განვითარების დონე სხვადასხვა ქვეყანაში. ივ. ჯავახიშვილი სამართლიანად ითვლება ქართული დიპლომატიკის, ისევე როგორც ქართული ნუმიზმატიკისა და მეტროლოგიის ფუძემდებლად. მანვე მოგვცა ქართული სამართლის ძეგლებისა და ეკონომიკური ისტორიის წყაროთა დახასიათება.

ქართული წყაროთმცოდნეობის წინსვლას დიდად შეუწყო ხელი 1918 წ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის დაარსებამ, რომლის საქართველოს ისტორიის კათედრაზე ფართოდ გაიშალა მუშაობა საისტორიო წერილობითი წყაროების მოპოვებისა და პუბლიკაციის მიმართულებით. მნიშვნელოვანი როლი შეასრულა აგრეთვე ვ. ი. ლენინის ინიციატივით ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის მიერ 1922 წ. 20 ივნისს მიღებულმა დადგენილებამ, რომლის თანახმად საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკას დაუბრუნდა მეფის მთავრობის მიერ რუსეთში გატანილი ძველი ქართული ხელნაწერები და საარქივო მასალები[1].

პირველ ხანებში ქართული საბჭოთა წყაროთმცოდნეობა ძირითად ამოცანად წყაროების გამოვლენასა და პუბლიკაციას ისახავდა. არქეოგრაფიის მიღწევები განაპირობებს წყაროთმცოდნეობის შემდგომ განვითარებას. ამავე დროს, რაც უფრო მაღალია წყაროთმცოდნეობის დონე, მით უფრო ხარისხიანია პუბლიკაციები. მთავარი ყურადღება ამ მხრივ „ქართლის ცხოვრებას“ ექცეოდა. ეს აიხსნება არა მარტო ამ კრებულის მნიშვნელობით საქართველოს ისტორიისათვის ,არამედ მისი არასაკმარისი შესწავლილობითაც რევოლუციამდელ წყაროთმცოდნეობაში და, აგრეთვე, XX ს-ის პირველ მეოთხედში „ქართლის ცხოერების“ ახალი, უაღრესად საინტერესო ნუსხების აღმოჩენით. შუა საუკუნეების ქართული წერილობითი ძეგლების მდგომარეობამ განსაზღვრა მკვლევართა ძირითადი ამოცანა პუბლიკაციის დროს: ძველი ტექსტების შეძლებისდაგვარად აღდგენა, რისთვისაც „დიდი ცოდნა, შრომა და გამჭრიახი გონებაა საჭირო“[2].

დიდ ადგილს უთმობდა ქართული საისტორიო ძეგლების გამოცემის საკითხებს ივ. ჯავახიშვილი. საინტერესოა ამ თვალსაზრისით მისი ნაშრომები, რომლებიც ეძღვნება ქართული საისტორიო წყაროების პუბლიკაციის ამოცანებსა და წესებს და ხელნაწერთა აღწერილობას. მკვლევარი უსიოდა ქართულ ძეგლთა სამეცნიერო პუბლიკაციის დარგში ჩამორჩენას, მიუთითებდა ყველა გამოცემისათვის საერთო წესების შექმნის აუცილებლობაზე. თუმცა მეცნიერი ძირითადად რეკონსტრუქციული გამოცემის მომხრე იყო, ამავე დროს არ ივი-

---

[1] შ. ამირანაშვილი, საქართველოდან სხვადასხვა დროს გატანილი სამუზეუმო განძეულობა და მისი დაბრუნება, თბ., 1978.

[2] ა. შანიძე, დღევანდელი ეთარება ვეფხისტყაოსნის ტექსტის დადგენის საქმეში, „მნათობი“, 1965, № 10, გვ. 116.

წყებდა, რომ გამოცემის ტიპი დამოკიდებულია მიზანზე. ასე მაგალითად, „ქართლის ცხოვრების“ გამოცემისას მიზანი უნდა იყოს თხზულებათა აღდგენა არა პირვანდელი სახით, არამედ ისე, როგორც ისინი კრებულში შევიდნენ. ტექსტს უნდა ახლდეს გამოყენებულ ხელნაწერთა აღწერილობა, მონაცემები ენობრივ და გრაფიკულ თავისებურებებზე. ტექსტში შეტანილი ყველა ცვლილება ფიქსირებული უნდა იყოს სქოლიოში. ტექსტს უნდა ახლდეს სახელთა საძიებლები, სასურველია ლექსიკონი. ივ. ჯავახიშვილმა თავისი მოსაზრებები გამოთქვა წიგნების ფორმატისა და გარეკანის შესახებ და შეადგინა გამოსაცემ თხზულებათა სიაც[3].

1927 წ. ივ. ჯავახიშვილმა გამოქვეყნა უცნობი ისტორიკოსის ნაწარმოები, სადაც მოკლედ არის გადმოცემული 1125-1222 წწ. ამბები[4]. ეს თხზულება, რომლის ავტორსაც ივ. ჯავახიშვილმა პირობითად ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე უწოდა, შემონახულია „ქართლის ცხოვრების“ ჩვენამდე მოღწეულ ერთ-ერთ უძველეს ნუსხაში[5]. მკვლევარმა ძეგლი სავარაუდოდ 1222-1223 წწ. დათარიღა. მისი აზრით, თხზულების კლასიკური ქართული სალიტერატურო ენა რამდენადმე შეცვლილია მომდევნო ხანის გადამწერთა მიერ ენის ახალი ფორმებით.

1923 წ. ივ. ჯავახიშვილმა აღმოაჩინა „ქართლის ცხოვრების“ კიდევ ერთი, ჭალაშვილისეული ნუსხა, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება: ძველი და ახალი ტექსტებისაგან. ერაჯ ჭალაშვილმა მის ხელთ არსებული XVI ს-ის ნუსხა, სადაც თხრობა თამარ მეფის ეპოქამდე მოდიოდა, გააგრძელა და შეავსო მომდევნო საუკუნეების ამბებით ვახტანგისეული „ქართლის ცხოვრების“ საფუძველზე. ამ ნუსხის, განსაკუთრებით, მისი ძველი ნაწილის აღმოჩენამ ახალი შუქი შეიტანა „ქართლის ცხოვრების“ შესახებ არსებულ წარმოდგენებში, რომლებიც დამყარებული იყო მანამდე ცნობილი ნუსხების ანალიზზე. ჭალაშვილისეული „ქართლის ცხოვრების“ უნიკალურობა პირველ რიგში იმაში მდგომარეობდა, რომ მის ძველ ნაწილში აღმოჩნდა თამარ მეფის მეორე, მანამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება. იგი მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტისაგან, რომლის მიხედვითაც ძირითადად წარმოედგინათ თამარის ეპოქა. მართალია, ახლად აღმოჩენილი თხზულებაც არ იყო სრული, მას მნიშვნელოვანი ნაწილი აკლია, მაგრამ ამ სახითაც, ივ. ჯავახიშვილის სიტყვებით, ეს ნაწარმოები ჭალაშვილისეული ნუსხის „უძვირფასეს სამკაულს“ წარმოადგენს. მკვლევრის აზრით, თხზულების ავტორი თამარის თანამედროვე ბასილი ეზოსმოძღვარი იყო. ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოსაცემად მომზადებული ტექსტი გამოქვეყნდა 1944 წ.[6] ამ გამოცემაში მოცემულია თხზულების დაკარგული ნაწილის აღდგენის ცდა. ეს შესაძლებელი გახდა „ქართლის ცხოვრების“ ვახტანგისეული რედაქციის მიხედვით, რომლის შემავსებელთაც თამარის ისტორიისათვის გამოუყენებიათ როგორც „ისტორიანი და აზმანი“, ასევე მეორე ისტორიკოსის თხზულებაც.

---

[3] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული საისტორიო ძეგლების ახალი გამოცემის შესახებ; მ ი ს ი ვ ე, ხელნაწერთა აღწერილობისათვის; მ ი ს ი ვ ე, ხელნაწერების ანდერძ-მინაწერების ამოკრებისა და გადმოწერის წესი, „მრავალთავი“, V, თბ., 1975.

[4] ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე, გამოსცა ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ მ ა, თბ., 1927.

[5] ეს ნუსხა ივ. ჯავახიშვილმა აღმოაჩინა 1913 წ., დათარიღა 1479—1495 წლებით და უწოდა ანადედოფლისეული „ქართლის ცხოვრება“.

[6] ბ ა ს ი ლ ი ე ზ ო ს მ ო ძ ღ ვ ა რ ი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისა, გამოც. ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს ა, თბ., 1944.

ჭალაშვილისეულ ნუსხაში, როგორც აღვნიშნეთ, შეტანილია XIV-XVII სს-ის საქართველოს ისტორიის ტექსტი, რომელიც ვახტანგ VI-ის მითითებით დაწერეს „სწავლულმა კაცებმა“ ბერი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით. მართალია, ეს კოლექტიური ნაშრომი უკვე ცნობილი იყო სპეციალისტებისათვის ე. წ. ჯანაშვილისეული „ქართლის ცხოვრებით“, მაგრამ იქ იგი სრულად არ არის შემონახული; ტექსტის დიდი ნაწილი დაკარგულია, ჭალაშვილისეულ ნუსხაში კი „სწავლულ კაცთა“ ნაშრომი თითქმის მთლიანად არის დაცული. აღმოჩენამ საბოლოოდ გამოარკვია, თუ რა კავშირი ჰქონდა ვახტანგ VI-ს „ქართლის ცხოვრებასთან“. ბერი ეგნატაშვილის ხელმძღვანელობით შედგენილი „ქართლის ცხოვრება“ ივ. ჯავახიშვილმა გამოაქვეყნა 1940 წ. მკვლევრის დასკვნით, ამ თხზულებას ბევრი უზუსტობა ახასიათებს, ვინაიდან მისი ავტორები საჭირო წყაროების ნაკლულობას განიცდიდნენ. „საქართველოს ისტორიაში განუსწავლელ მკითხველს ამ ძეგლის ცნობებით სარგებლობისას უაღრესი სიფრთხილე სჭირდება... მეტიც... უკომენტარებოდ და თითოეული ცნობის მკაცრი კრიტიკული განხილვისა და აწონ-დაწონის გარეშე ამ თხზულების მონათხრობის გამოყენება სახიფათოა“[8].

1941 წ. კ. კეკელიძემ გამოსცა თამარის ე. წ. პირველი ისტორიკოსის თხზულება „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“[9]. „ქართლის ცხოვრების“ თხზულებებიდან ამ ძეგლმა ჩვენამდე ყველაზე შერყვნილი სახით მოაღწია. „ისტორიათა და აზმანთა“ გაწმენდა ამ ნაკლისაგან თავის დროზე ჯერ კიდევ ვახტანგ VI-ის კომისიის „სწავლულმა კაცებმა“ სცადეს. ზოგიერთი ადგილი გაასწორეს მ. ბროსემ, ივ. ჯავახიშვილმა, ე. თაყაიშვილმა, მაგრამ თხზულებაში მაინც ბევრი რამ გაუგებარი რჩებოდა. კ. კეკელიძის შრომა მიზნად ისახავდა შეძლებისდაგვარად აღედგინა ტექსტის პირვანდელი სახე. ეს ამოცანა მეცნიერმა საკმაოდ წარმატებით განახორციელა. გასწორდა ძეგლის მრავალი ბუნდოვანი ადგილი და ასობით დამახინჯებული სიტყვა.

1942 წ. ს. ყაუხჩიშვილმა აღმოაჩინა 1736 წ. მოსკოვში გიორგი მაჩაბლის მიერ გადაწერილი ნუსხა, რომელმაც არჩილისეული „ქართლის ცხოვრების“ ზუსტი პირი შემოგვინახა.

ამავე 1942 წ. განხორციელდა ე. წ. ანასეული „ქართლის ცხოვრების“ გამოცემა. ტექსტი მომზადდა ისტორიის ინსტიტუტის ფილოლოგიის განყოფილებაში და გამოქვეყნდა ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით[10]. ეს იყო „ქართლის ცხოვრების“ ამ ნუსხის პირველი სრული გამოცემა. ს. კაკაბაძე პუბლიკაციისადმი მიძღვნილ რეცენზიაში წერდა, რომ ეს გამოცემა ძალზედ საჭირო იყო. იგი შესრულებულია კარგად. ხელნაწერის გარჩევა მოცემულია დიდი და ამომწურავი სიზუსტით. ამასთანავე რეცენზენტი გამოთქვამდა ვარაუდს, რომ ივ. ჯავახიშვილის მიერ შერქმეული სახელი „ანასეული ქართლის ცხოვრება“ სწორი არ იყო. მისი აზრით, ნუსხის შემკვეთი უფრო ანას დედამთილი ნესტანდარეჯანი უნდა ყოფილიყო[11]. შემდეგ ს. კაკაბაძემ, ჩანს, შეცვალა ეს მოსაზ-

[7] ახალი ქართლის ცხოვრება, ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს წინასიტყვაობითა და რედაქციით, თბ., 1940.

[8] იქვე, გვ. XV.

[9] ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი (ცდა ტექსტის აღდგენისა) აკად. კ. კ ე კ ე ლ ი ძ ი ს რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1941.

[10] ქართლის ცხოვრების ანადედოფლისეული ნუსხა. დასაბეჭდად მოამზადა ფილოლოგიის განყოფილებამ ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, თბ., 1942.

[11] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, ქართლის ცხოვრება, ანადედოფლისეული ნუსხა, „მნათობი“, № 11—12.

რება და აღნიშნული ხელნაწერი XVI ს-ის მესამე მეოთხედს დაუკავშირა[12]. ამ ბოლო წლებში პალეოგრაფიული მიღწევების საფუძველზე გახდა შესაძლებელი ამ ნუსხის უფრო ზუსტად დათარიღება. ნ. შოშიაშვილის დასკვნით, რომელიც ტექსტის მრავალმხრივ კვლევაზეა დაფუძნებული, ხელნაწერი XVI ს-ის დასასრულს, ან XVII ს-ის დამდეგს გადაწერილი პირია. ამავე პერიოდშია, მისი აზრით, კრებულში შეტანილი ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანის თხზულებაც[13].

1949 წელს ე. თაყაიშვილმა მარიამისეული და მაჩაბლისეული ნუსხების მიხედვით მესამედ გამოსცა სუმბატ დავითის-ძის ქრონიკა ვრცელი გამოკვლევით და მდიდარი სამეცნიერო აპარატით.

„ქართლის ცხოვრების“ უდიდეს მნიშვნელობაზე ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიისათვის მეტყველებს მისი თარგმნა სომხურ ენაზე ჯერ კიდევ XII ს-ში. 1953 წელს ი. აბულაძემ აღნიშნული სომხური თარგმანი გამოსცა ვრცელი გამოკვლევით, კომენტარებითა და ქართული თარგმანით[14].

1955-1959 წლებში ს. ყაუხჩიშვილმა ორ ტომად გამოსცა „ქართლის ცხოვრება“ გაგრძელებითურთ. პუბლიკაციისათვის წამძღვარებულ გამოკვლევებში პალეოგრაფიისა და ტექსტოლოგიის მონაცემებზე დაყრდნობით გამომცემელი ეხება საკითხთა ფართო წრეს — კრებულის შემადგენლობას, ავტორთა ვინაობას, თხზულებათა მოცულობას და ძეგლის შესწავლის ისტორიას. ტექტები მის გამოცემებში დადგენილია ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით. აღნიშნული გამოცემა „ქართლის ცხოვრების“ შემდგომი სამეცნიერო-კრიტიკული კვლევისათვის დიდ სტიმულად იქცა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ „ქართლის ცხოვრების“ ეს პუბლიკაცია ს. ჯანაშიას პრემიით აღნიშნა.

„ქართლის ცხოვრების“ ვახტანგამდელი ხელნაწერების რიცხვი შეივსო ა. კლიმიაშვილის მიერ 1959 წ. აღმოჩენილი ნუსხით, რომელიც 1697 წელს არის გადაწერილი და უძველესი მცხეთური ნუსხის პირია.

ქართული წყاროთმცოდნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა „ქართლის ცხოვრების“ კრებულის არქიტექტონიკის შესწავლა. გამოქვეყნდა არაერთი ნაშრომი თხზულებათა ავტორების ვინაობის და შედგენის დროის შესახებ. კ. კეკელიძე გამოთქვამდა ვარაუდს, რომ ვახტანგ მეფის ცხოვრების ავტორი ჯუანშერი კი არა, როგორც ამას ი. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, არამედ იგივე ლეონტი მროველის სახელით ცნობილი ისტორიკოსი იყო, რომელმაც დაწერა ამ კრებულის პირველი თხზულება „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“[15]. ს. კაკაბაძის აზრით, ვახტანგ გორგასალის ისტორია შედგენილი იყო ჯუანშერის მიერ VIII ს-ის მეორე ნახევარში, ხოლო ლეონტი მროველი X ს-ის პირვე-

---

[12] მოსაზრება გამოქვეყნებულია საურმაგ კაკაბაძის ნაშრომებში: С. С. Какабадзе, Установление критического текста начальной части «Картлис цховреба»—Палестинский сборник № 15 (78) М—Л., 1966, გვ. 172; ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, „ქართლის ცხოვრების“ ტექსტოლოგიური შესწავლის საკითხები, „მაცნე“, ისტორიის სერია, თბ., 1977, № 2, 48.

[13] ნ. შ ო შ ი ა შ ვ ი ლ ი, ანასეული „ქართლის ცხოვრების“ პირის გადაწერის თარიღი, „მრავალთავი“, V, თბ., 1975.

[14] ქართლის ცხოვრების ძველი სომხური თარგმანი, ქართული ტექსტი და ძველი სომხური თარგმანი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ი. ა ბ უ ლ ა ძ ე მ, თბ., 1953.

[15] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ვახტანგ გორგასალის ისტორიკოსი და მისი ისტორია, „ჩვენი მეცნიერება“, № 4—5, თბ., 1928.

ლი მეოთხედის მოღვაწეა, რომელმაც მატიანეში მხოლოდ მცირე, სარედაქციო ხასიათის ცვლილებები შეიტანა[16]. პ. ინგოროყვას აზრით, ლეონტი მროველი VIII ს-ში ცხოვრობდა. მან თავისი თხზულება ამ საუკუნის პირველ ნახევარში დაწერა, მაგრამ XI ს-ში ლეონტის ნაშრომი იოანე დეკანოზმა შეავსო და დღეისათვის ეს არეული ტექსტია შემორჩენილი[17]. კ. გრიგოლიას ერთ-ერთ ნაშრომში გამოთქმულია აზრი იმის შესახებ, რომ „ქართლის ცხოვრების" ანონიმური თხზულება VIII-XI სს-თა მოვლენებით, რომელსაც ივ. ჯავახიშვილმა პირობითად „მატიანე ქართლისა" უწოდა, ლეონტი მროველს ეკუთვნის[18]. საკითხი, არის თუ არა ლეონტი „ქართლის ცხოვრების" გარკვეული ნაწილის ავტორი, თუ მხოლოდ გადამწერი-რედაქტორია ჯერ კიდევ საკამათო რჩება[19].

გამოთქმულია მოსაზრებები დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის[20], „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" აგებულებისა და ავტორის ვინაობის შესახებ. ს. კაკაბაძის, პ. ინგოროყვასა და ს. ყაუხჩიშვილის აზრით, უკანასკნელი ორ ნაკვეთად დაწერილი თხზულებაა[21]. კ. კეკელიძეს „ისტორიანი და აზმანი" ერთ მთლიან თხზულებად მიაჩნია[22]. თხზულების ავტორის შესახებ განსხვავებული მოსაზრებები აქვთ გამოთქმული — ს. კაკაბაძეს, პ. ინგოროყვას, კ. კეკელიძეს, ი. ლოლაშვილს, კ. გრიგოლიას[23].

აქვე უნდა შევჩერდეთ შოთა რუსთაველის საისტორიო თხზულების საკითხზე. როგორც ცნობილია, კათალიკოსი ანტონ I მიაწერს მას თხზულებას „ცხოვრება თამარისი". ი. აბულაძემ დაუკავშირა პოეტს ივ. ჯავახიშვილის მიერ აღმოჩენილი თხზულება „ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი"[24], კ. კეკელი-

---

[16] ს. კაკაბაძე, ძველი ქართული მატიანეები, საისტორიო ძიებანი, თბ., 1924. გვ. 93—191.

[17] პ. ინგოროყვა, ლეონტი მროველი, ქართველი ისტორიკოსი, „ჰამბავთა" მწერალი VIII ს-ისა, ენიმკის მოამბე, 1941, № X, გვ. 93—152.

[18] კ. გრიგოლია, „მატიანე ქართლისა" და მისი დათარიღების საკითხი, საიუბილეო კრებული, მიძღვნილი ი. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი, თბ., 1976, გვ. 218—232.

[19] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, Тб., 1959, გვ. 28. შ. ბადრიძე, ლეონტი მროველის ავტორობის საკითხისათვის „მნათობი", 1962. № 8; ს. ყაუხჩიშვილი, ღია წერილი „მნათობის" რედაქციას, 1962. № 10, გვ. 190—191; ა. ბოგვერაძე, „ქართლის ცხოვრების" პირველი მატიანე და მისი ავტორი, „ქართული ისტორიოგრაფია" I, 1968; გ. მელიქიშვილი, საქართველოს უძველესი და ძველი ისტორიის წყაროები, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, თბ., 1970, გვ. 50—56; Мровели Леонти, Жизнь Картлийских царей. Перевод с древнегрузинского, предисловие и комментарии Г. В. Цулая, М., 1979, Предисловие.

[20] ჯ. ოდიშელი, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის ვინაობის საკითხისათვის, ხელნაწერთა ინსტ. მოამბე, V, 1963; ა. ბოგვერაძე, დავით აღმაშენებლის ისტორიისა თარიღისა და ხასიათის შესახებ, ქართული ისტორიოგრაფია, II, თბ., 1971; გვ. 71; კ. გრიგოლია, ისევ დავითის ისტორიკოსის ვინაობის შესახებ, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი III, თბ., 1973; ი. ლოლაშვილი, არსენ იყალთოელი, 1978, გვ. 25.

[21] ს. კაკაბაძე, ი. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება და თამარ მეფის მეორე, აქამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება, საისტორიო მოამბე, I, თბ., 1924, გვ. 288. პ. ინგოროყვა, ჩახრუხაისძე, „კავკასიონი", № 1—2, თბ., 1924, გვ. 177; ს. ყაუხჩიშვილი, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი და იოანე პეტრიწი, საქ. სსრ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. III, № 1, 1942, გვ. 89—96.

[22] კ. კეკელიძე, ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი როგორც ლიტერატურული წყარო, 1938.

[23] კ. გრიგოლია, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის" ავტორის ვინაობის საკითხისათვის, თსუ შრომები, ტ. 125; 1968, გვ. 237.

[24] ი. აბულაძე, ცნობა შოთა რუსთაველის ისტორიული თხზულების შესახებ, ენიმკის მოამბე, III, 1938, 206.

ძემ არ მიიღო ანტონ I-ის აღნიშნული ცნობა[25], ხოლო ი. ლოლაშვილმა შოთა რუსთაველი თამარის პირველ ისტორიკოსად, ე. ი. „ისტორიათა და აზმათა“ ავტორად მიიჩნია[26]. კ. გრიგოლიას აზრით, კათალიკოს ანტონ I-ის მიერ დასახელებული თხზულების „ცხოვრება თამარისი“ ბოლო ნაკვეთი შემონახულია ვახტანგისეულ რედაქციაში[27] და წარმოადგენს თამარის ისტორიის დასასრულს.

გამოკვლევა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატიანის შესახებ ეკუთვნის ს. კაკაბაძეს[28].

რაც შეეხება „ქართლის ცხოვრების“ კრებულის შედგენის დათარიღების საკითხს, მას არაერთი მკვლევარი შეხებია: ნ. ბერძენიშვილი, ვ. გაბაშვილი, კ. გრიგოლია, ვ. გუჩუა, ვ. დონდუა, პ. ინგოროყვა, კ. კეკელიძე, რ. კიკნაძე, მ. ლორთქიფანიძე, გ. მელიქიშვილი, თ. პაპუაშვილი, შ. მესხია, ს. ყაუხჩიშვილი, ი. ჯავახიშვილი. გამოთქმულია სრულიად განსხვავებული მოსაზრებები კრებულის შექმნის დროის შესახებ: VII ს-დან XII ს-ის მეორე ნახევრის ჩათვლით[29].

ი. ჯავახიშვილის მიერ დასახული ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა, რომელიც ამჟამად კვლავ დღის წესრიგშია, „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შემავალი თხზულებების ცალ-ცალკე გამოცემაა. ტექსტების პუბლიკაციისათვის მომზადების მიზნით მიმდინარეობს მათი ტექსტოლოგიური ანალიზი. აღსანიშნავია ამ მხრივ რ. კიკნაძის ნაშრომი „ფარსადან გორგიჯანიძე და ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ (თბ., 1975). მანვე გაამზადა გამოსაცემად ყამთაღმწერლის თხზულების ტექსტიც. „ცხოვრება მეფეთ-მეფისი დავითისი“ გამოსაცემად მოამზადა მ. შანიძემ, ხოლო პაპუნა ორბელიანის „ამბავნი ქართლისანი“— ე. ცაგარეიშვილმა. დაწყებულია „ქართლის ცხოვრების“ ნუსხების მონოგრაფიული შესწავლა და უმნიშვნელოვანეს ნუსხათა გამოსაცემად მომზადება.

1968 წელს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“ ფურცლებზე მიმდინარეობდა დისკუსია „ქართლის ცხოვრების“ საშუალო სკოლებში შესწავლის საჭიროების შესახებ. დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს ცნობილმა მეცნიერებმა, გამოითქვა მრავალი საინტერესო მოსაზრება კრებულის შემდგომი შესწავლის გეგმებისა და მნიშვნელობის, მისი სხვა ენებზე თარგმნის საჭიროების შესახებ, ხელნაწერებზე და ა. შ. დისკუსიის მონაწილენი ეხებოდნენ წყაროთმცოდნეობის ზოგიერთ თეორიულ საკითხსაც — წყაროთა კლასიფიკაციას, საისტორიო ძეგლთა სხვადასხვა სახეობათა მნიშვნელობას.

„ქართლის ცხოვრების“ წყაროთმცოდნეობითი შესწავლა ამჟამადაც გრძელდება, რასაც მოწმობს — მ. ბერძნიშვილის, ვ. გაბაშვილის, კ. გრიგოლიას, დ. კაციტაძის, რ. კიკნაძის, გ. მამულიას, თ. მგალობლიშვილის, ჯ. ოდიშელის, თ. ყაუხჩიშვილის, ა. შანიძის, გ. წულაიას და სხვათა გამოკვლევები.

აღნიშნულ პერიოდში გრძელდებოდა ნარატიულ წყაროთა (მატიანეების, ქრონიკების, მინაწერების) პუბლიკაცია და შესწავლა. განსაკუთრებით უნდა-

---

[25] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1958, გვ. 125.

[26] ი. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, რუსთაველი და თამარის ისტორიკოსთა ვინაობის პრობლემა, 1961, გვ. 16.

[27] კ. გ რ ი გ ო ლ ი ა, თამარის კიდევ ერთი მემატიანე ისტორიკოსი, თბ., 1977.

[28] ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, მოქცევაჲ ქართლისაჲ, საისტორიო ძიებანი, 1924, გვ. 56—92.

[29] დაწვრილებით აღნიშნული მოსაზრებები განხილულია ნაშრომში: Р. К. К и к н а д з е, Очерки по источниковедению истории Грузии, Парсадан Горгиджанидзе и «Картлис цховреба», Тб., 1980, გვ. 29.

გამოიყოს XVIII ს-ის პირველი ნახევრის ისტორიკოსის ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომის გამოცემები: თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის მიერ გამოქვეყნებული თხზულების გეოგრაფიული ნაწილი[30], მიძღვნილი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 20 წლისთავისადმი, და ს. ყაუხჩიშვილის მიერ ტექსტის სრული გამოცემა, აღჭურვილი სამეცნიერო აპარატით[31]. უკანასკნელი ივ. ჯავახიშვილის სახ. პრემიით აღინიშნა. საინტერესოა ქ. შარაშენიძის[32], ჯ. ოდიშელის[33], თ. ენუქიძის[34], შ. ლომსაძის[35] პუბლიკაციები.

წყაროთმცოდნეობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი მუდამ იყო აგიოგრაფიულ ძეგლთა შესწავლა, რომელთა ავტორები უთმობდნენ რა დიდ ყურადღებას პატრიოტულ მოტივებს, სრულიად და რეალურად ასახავდნენ თავისი დროის ისტორიულ სინამდვილეს. საბჭოთა საქართველოში გამოქვეყნდა ამ ჟანრის თითქმის ყველა ნაწარმოები. ს. კაკაბაძემ 1928 წ. გამოსცა „ევსტათი მცხეთელის ცხოვრება“ (VI ს.)[36], კ. კეკელიძემ გამოაქვეყნა იოანე საბანისძის (VIII ს.) აბო თბილელის მარტვილობა და ბასილი ზარზმელის (X ს.) სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება. პუბლიკაციები ტექსტის გარდა შეიცავს ვრცელ გამოკვლევებს „ცხოვრებათა“ წარმომავლობის, ქრონოლოგიის, გეოგრაფიის, ავტორთა იდეოლოგიის და სხვა საკითხების შესახებ[37]. ი. ჯავახიშვილის მიერ დასაბეჭდად გამზადებული გიორგი მთაწმინდელის „ცხოვრება იოვანესი და ეფთვმესი“ გამოაქვეყნა ა. შანიძემ[38]. გამოცემას დართული აქვს გამოკვლევები. ი. ჯავახიშვილის — გ. მთაწმინდელი როგორც ისტორიკოსი და ა. შანიძის — გ. მთაწმინდელის ენა. ი. აბულაძემ გამოსცა შუშანიკის და ცხრა ძმა კოლაელთა მარტვილობები[39]. ს. ყუბანეიშვილმა „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათიაში[40] მთლიანად თუ ნაწილობრივ V-XVIII სს-ის ოცზე მეტი

---

[30] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლ ო მ ო უ რ ი ს და ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს რედაქციით, თბ., 1941.

[31] ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი ს მიერ, ქართლის ცხოვრება IV, თბ., 1973.

[32] სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები (XV—XVI სს.) ტექსტების პუბლიკაცია, გამოკვლევა და საძიებლები ქრ. შარაშენიძის, თბ., 1961.

[33] მცირე ქრონიკები (კინკლოსები, მინაწერები), ტექსტები გამოსცა, შესავალი წერილი და კომენტარები დაურთო ჯ. ო დ ი შ ე ლ მ ა, თბ., 1968.

[34] თ ე ი მ ु რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი, ისტორია დავით ბაგრატიონისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ე ნ უ ქ ი ძ ე მ, თბ., 1972; ტბეთის სულთა მატიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ე ნ უ ქ ი ძ ე მ, თბ., 1977.

[35] შ. ლ ო მ ს ა ძ ე, გეიანიშუა საუკუნეების საქართველოს ისტორიიდან, ახალციხის ქრონიკები, თბ., 1979.

[36] ევსტათი მცხეთელის ცხოვრება, „საისტორიო კრებული“, 1928, წ. III, გვ. 76—94.

[37] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, თბ., 1935.

[38] გ ი ო რ გ ი მ თ ა წ მ ი ნ დ ე ლ ი, ცხოვრებაჲ იოვანესი და ეფთჳმესი, გამოსაცემად მოამზადა ივ. ჯავახიშვილმა, გიორგი მთაწმინდელის ენა „იოვანეს და ეფთჳმეს ცხოვრების“ მიხედვით ა. შ ა ნ ი ძ ი ს ა, თბ., 1946.

[39] ც ო რ ტ ა ვ ე ლ ი ი ა კ ო ბ, მარტვილობაჲ შუშანიკისი, ქართული და სომხური ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა, ეარიანტები, ლექსიკონი და საძიებელი დაურთო ი. ა ბ უ ლ ა ძ ე მ, 1938; ცხრათა ძმათა კოლაელთა მარტვილობა, ი. აბულაძის წიგნში „ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში, თბ., 1944, გვ. 184—186.

[40] ს. ყ უ ბ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, II, თბ., 1949.

აგიოგრაფიული ნაწარმოები გამოაქვეყნა. პ. ინგოროყვამ გამოსცა X ს-ის ავტორის გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“[41] და სხვა.

უკანასკნელი წლების ერთ-ერთ დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლების“ 6 ტომად გამოსაცემად მომზადება[42]. ამჟამად მკითხველთა განკარგულებაშია ყველა ტომი მეხუთეს გარდა, რომლის გამოცემა ნავარაუდევია მიმდინარე წელს.

1978 წ. საქართველოში ფართოდ აღინიშნა ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული წერილობითი ძეგლის იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამების“ 1500 წლისთავი. იუბილეს მიეძღვნა რამდენიმე სესია, ძეგლის რუსულ ენაზე[43] და ქართული და სომხური ტექსტების კრიტიკული გამოცემები[44].

ქვეყნის წარსულის ობიექტურად შეფასების სურვილმა ქართულ ისტორიოგრაფიაში ზოგიერთი წყაროს მიმართ ჰიპერკრიტიკული დამოკიდებულება გამოიწვია. ზედმეტად მკაცრად იყო შეფასებული, მაგალითად, ლეონტი მროველის და ჯუანშერის თხზულებები, ფარსადან გორგიჯანიძის „საქართველოს ცხოვრების“[45] ადრეული ხანის მოვლენები, საბუთთა ზოგიერთი სახეობა. 1925 წ. გამოქვეყნდა ფ. გორგიჯანიძის თხზულების მხოლოდ XV-XVII სს-თა ამბების შემცველი ნაწილი, ვინაიდან ტექსტის გამომცემელს ს. კაკაბაძეს თხზულების პირველი ნახევარი მეცნიერულ ღირებულებას მოკლებულად მიაჩნდა[46]. გ. მელიქიშვილის, გ. წერეთლის, რ. კიკნაძის[47] და სხვათა ნაშრომებმა ძირეულად შეცვალეს ქართულ ისტორიოგრაფიაში ზემოაღნიშნული ორი ავტორის მიმართ დიდხანს დამკვიდრებული უარყოფითი დამოკიდებულება.

ქართული წყაროთმცოდნეობა პირველივე დღეებიდან ჩამოყალიბდა როგორც მრავალდარგოვანი მეცნიერება. დიპლომატიკის დარგში მუშაობა მიმდინარეობდა რამდენიმე მიმართულებით. ეს არის, ერთი მხრივ, დოკუმენტთა პუბლიკაცია, მათი ანალიზი სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის თვალსაზრისით, ხოლო მეორე მხრივ, დიპლომატიკური ტერმინოლოგიის შესწავლა, დიპლომატიკური კრიტიკა, რომელიც უმთავრესად შუა საუკუნეებს ეხება, როდესაც ქვეყნის დანაწევრებამ უამრავი ნატყუარი სიგელი წარმოშვა.

ჩვენამდე მოღწეული 65 ათასზე მეტი ქართული საისტორიო საბუთიდან დღემდე დაახლოებით მეათედია გამოცემული. 30-იანი წლებიდან ნ. ბერძენიშვილის ინიციატივით დაიწყო საისტორიო საბუთების თემატური პრინციპით

---

[41] გიორგი მერჩული, ცხოერება გრიგოლ ხანძთელისა და მოყუასთა და მოწაფეთა მისთა, დედანი აღადგინა და გამოკვლევა დაურთო პ. ინგოროყვამ, I, თბ., 1949.

[42] ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები, I—IV, თბ., 1963, 1967, 1971, 1968, 1980.

[43] Мученичество Шушаник, перевод В. Д. Дондуа, предисловие З. Н. Александзе, Тб., 1978; Цуртавели Иакоб, Мученичество Шушаник, пер. с груз. К. Кекелидзе, Тб., 1978.

[44] ცურტაველი იაკობ, მარტვილობაჲ შუშანიკისი, ტექსტი ქართულ და სომხურ ენებზე, თბ., 1978; ცურტაველი იაკობ, წამებაჲ წმინდისა შუშანიკისი დედოფლისაჲ, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი წერილი და ლექსიკონი დაურთო ც. ქურციკიძემ, თბ., 1979

[45] ი. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 171—. 184. 185—191, 284—298.

[46] ფარსადან გორგიჯანიძე, ისტორია, ს. კაკაბაძის გამოცემა, „საისტორიო მოამბე“, II, თბ., 1925, გვ. 198—316.

[47] გ. წერეთელი, არმაზის ბილინგვა, ენიმკის მოამბე, XIII, თბ., 1942; გ. მელიქიშვილი, საქართველოს უძველესი და ძველი ისტორიის წყაროები, „საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, თბ., 1970, გვ. 35—69; რ. კიკნაძე, ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, თბ., 1975.

გამოცემა. გამოქვეყნდა მასალები „საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის“ — სამ წიგნად და „დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან“[43]— ორ წიგნად. რეგიონალური ხასიათის კრებულებიდან აღსანიშნავია ს. კაკაბაძის, ი. ლორთქიფანიძის, პ. ინგოროყვას, მ. დუმბაძის, შ. ბურჯანაძის, ო. სოსელიას, ნ. ბერძენიშვილისა და მ. მ. ბერძნიშვილის, გამოქვეყნებული საბუთები[48]. საეკლესიო დოკუმენტების პუბლიკაციებიდან უნდა აღინიშნოს ს. კაკაბაძის[50], ლ. მუსხელიშვილის[51] ნაშრომები. გარდა ზემოაღნიშნულისა ს. კაკაბაძეს გამოქვეყნებული აქვს მრავალი ცალკეული საბუთი, მათ შორის სასისხლო სიგელები[52]. რაჭის მასალები გამოაქვეყნა გ. ბოჭორიძემ[53]. დოკუმენტების შესწავლაში გარკვეული წვლილი მიუძღვის შ. მესხიას[54]. XIX ს-ის სოციალური ისტორიიდან აღსანიშნავია შ. ჩხეტიას მიერ შედგენილი დოკუმენტების კრებული[55], ი. ანთელავას ნაშრომები[56] და სხვ. რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა ისტორიისათვის საინტერესოა მ. პოლიევექტოვის პუბლიკაციები[57]. უნდა აღინიშნოს გ. პაიჭაძის მიერ ორ ტომად გამოცემული რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა ამსახველი საბუთები[58]. ოსეთის ისტორიის მასა-

---

[48] ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, I—III, თბ., 1938, 1953, 1955; დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, I—II, თბ., 1940, 1953.

[49] ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I—II, თბ., 1921; ს. კაკაბაძე, მასალები დასავლეთ საქართველოს სოციალური და ეკონომიური ისტორიისათვის, „საისტორიო კრებული“, I—III, თბ., 1928; ი. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი XVIII ს-ის პირველ მეოთხედში, I—II, თბ., 1935, IV, I, თბ., 1938; პ. ინგოროყვა, სვანეთის საისტორიო ძეგლები, 1942; მ. დუმბაძე, საარქიეო საბუთები ჭარ-ბელაქანზე, 1950; შ. ბურჯანაძე, ისტორიული დოკუმენტები იმერეთის სამეფოსა და გურია-ოდიშის სამთავროებისა, I, თბ., 1958; ო. სოსელია, მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის ფეოდალური ხანის დას. საქართველოში (XVIII ს. მიწურულიდან XIX ს. 40-იან წლებამდე) თბ., 1960; ნ. ბერძენიშვილი, მ. ბერძნიშვილი, დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის (XVI—XIX ს.), I, თბ., 1962.

[50] ს. კაკაბაძე, აფხაზეთის საკათალიკოზო დიდი იადგარი, „საისტორიო მოამბე“. II, 1925;

[51] ეკანის ქვაბთა განგება (XIII ს.), ლ. მუსხელიშვილის გამ., 1939.

[52] ს. კაკაბაძე, ბარათიანთ გაერის წიგნი 1536, „საისტორიო მოამბე“, I, თბ., 1924; მისივე, გუფავას გვარის სასისხლო სიგელი, „საისტ. მოამბე“, II, 1924; მისივე, საამღლახვროს დავთარი XVII ს-ის მეორე ნახევრისა, თბ., 1925; მისივე, არსენ ჭყონდიდელის გუჯარი, „საისტ. კრებული“, III, 1928; მისივე, XIII ს-ის საჩიერის წიგნი, „საისტ. კრებული“, თბ., 1928; მისივე, სასისხლო სიგელების შესახებ „საისტ. მოამბე“, II. თბ., 1924.

[53] გ. ბოჭორიძე, რაჭის ისტორიული ძეგლები, „მუზეუმის მოამბე“, V, 1929.

[54] მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის, შესავ. წერილი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო შ. მესხიამ, „მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის“, I—(26) თბ., 1948.

[55] შ. ჩხეტია, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1950.

[56] ი. ანთელავა, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, „საისტ. მოამბე“, ტ. V, 1950; Реформа поземельного устройства государственных крестьян Закавказья в конце XIX в. Вводная статья и публикация документов И. Г. Антелава, Сухуми, 1953.

[57] М. Полиевктов, Материалы по истории грузино-русских взаимоотношений (1615—1640), Тб.,1937.

[58] Г. Т. Пайчадзе, Материалы по истории русско-грузинских отношений (80—90-е гг. XVII в.), ч. I—II, 1974, 1979.

ლები გამოსცეს გ. თოგოშვილმა და ი. ცხოვრებოვმა[59]. სამართლის ისტორიის დარგში მნიშვნელოვანი მოვლენაა ი. დოლიძის მიერ ქართული სამართლის ძეგლების გამოცემა 6 ტომად[60], ი. სურგულაძის[61] და თ. ენუქიძის[62] პუბლიკაციები. გარდა ამისა ცალკეული საბუთები და სხვა წერილობითი ძეგლები გამოქვეყნებული აქვთ: მ. ბერძნიშვილს, გ. ბოჭორიძეს, ჯ. ოდიშელს, ნ. შოშიაშვილს და სხვ.

დოკუმენტური მასალის პუბლიკაციასთან ერთად ხდებოდა მისი წყاროთმცოდნეობითი შესწავლა. აღსანიშნავია ამ მხრივ მ. ბერძნიშვილის[63] გამოკვლევა XVIII ს-ის ქართული საისტორიო საბუთების შესახებ.

ხელნაწერთა ინსტიტუტისა და ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომლები ერთობლივად გამოსაცემად ამზადებენ ქართული საისტორიო საბუთების კორპუსს, რომელშიც დაიბეჭდება რბილ მასალაზე (ეტრატი, ქაღალდი) შესრულებული ყველა ქართული დოკუმენტი. გრძელდება ქართული საბუთების სტრუქტურის შესწავლა. ხელნაწერთა ინსტიტუტში მზადდება ქართული საისტორიო საბუთებში მოხსენიებულ პირთა ანოტირებული საძიებელი.

განსახილველ პერიოდში წარმატებით ვითარდებოდა ეპიგრაფიკა[64]. ქართული ქტიტორული წარწერების ნაწილი (V-VI სს.), მათი უძველესი ნიმუშები (ბოლნისის ჯვრის და სხვ.) შეიტანა ა. შანიძის ძველ ქართულ ქრესტომათიაში (1935 წ.) შიდა ქართლის ზოგ სიძველეთა წარწერები გამოაქვეყნა ვ. თოფურიამ[65]. ეპიგრაფიკული მასალები გამოაქვეყნეს აგრეთვე დ. გორდეევმა[66] და ვ. პოლიევექტოვმა[67]. ჯავახეთის ეპიგრაფიკა შესწავლილი აქვს ვ. ცისკარიშვილს (1953). უნდა აღინიშნოს ვ. ბარდაველიძის კახეთის საისტორიო ძეგლების წარწერები (1962), გ. ბოჭორიძის რაჭის ეპიგრაფიკული მასალა[68], ი. მეგრელიძის ნაშრომები[69]. გარდა ამისა წარწერებს და გამოკვლევებს მათ შესახებ აქვეყნებდნენ: გ. აბრამიშვილი, ნ. ალადაშვილი, შ. ამირანაშვილი, ა. ბაქრაძე,

---

[59] История Осетии в документах и материалах с древнейших времен до конца XVIII в. (сост. Г. Д. Тогошвили и И. Н. Цховребов, т. I, Цхинвали), 1962.

[60] ქართული სამართლის ძეგლები, ი. დ ო ლ ი ძ ი ს გამოც., I—VI, თბ., 1963, 1965, 1970, 1972, 1974, 1977.

[61] ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა ი. ს უ რ გ უ ლ ა ძ ე მ, თბ., 1970.

[62] ვახტანგ VI, სამართლის წიგნი (უძველესი ნუსხა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ტერმინთა საძიებლები დაურთო თ. ე ნ უ ქ ი ძ ე მ.

[63] მ. ბ ე რ ძ ნ ი შ ვ ი ლ ი, მეთერთმეტე საუკუნის ქართული საისტორიო წყაროები საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის შესახებ, თბ., 1979.

[64] Н. Ф. Ш о ш и а ш в и л и. Развитие грузинской эпиграфики и палеографии. В кн: Проблемы палеографии в СССР, М., 1974, გვ. 393—403.

[65] ვ. თ ო ფ უ რ ი ა, შიდა ქართლში ზოგ სიძველეთა წარწერები, „საისტორიო მოამბე", II, თბ., 1924.

[66] Д. Г о р д е е в, Из эпиграфических материалов Зарзмы: К обследованию надписи Ивана. сына Сулы, „საისტ. მოამბე", 1925.

[67] М. П о л и е в к т о в, Крестоцеловальная надпись Имеретинского царя Александра III, 9 окт. 1951. „საისტ. მოამბე", 1—1925.

[68] გ. ბ ო ჭ ო რ ი ძ ე, რაჭის ისტორიული ძეგლები, „საქართველოს მუზეუმის მოამბე", V, 1926.

[69] ი. მ ე გ რ ე ლ ა ძ ე, ცხინვალისა და ზემო ნიქოზის სიძველეები, ცხინვალის სახ. პედინსტიტუტის შრომები, I, ცხინვალი, 1962; მ ი ს ი ე ე, ჯავახეთის ხეობის წარწერები და სხვა სიძველეები, ცხინვალის პედინსტიტუტის შრომები, VII, ცხინვალი, 1959.

ვ. ბერიძე, დ. ბერძენიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, გ. ბოჭორიძე, ს. გამსახურდია, გ. გაფრინდაშვილი, ჯ. გვასალია, კ. გრიგოლია, ვ. დოლიძე, თ. ვირსალაძე, ბ. ზაქარაია, ვ. თოფურია, ი. იმნაიშვილი, ა. კალანდაძე, რ. მეფისაშვილი, დ. მუსხელიშვილი, ლ. მუსხელიშვილი, ლ. რჩეულიშვილი, ა. ჩიქობავა, გ. ჩუბინაშვილი, ნ. ჩუბინაშვილი, ა. შანიძე, ი. ჯავახიშვილი და სხვ.

საქართველოს ტერიტორიაზე დაცული უცხო ენებზე შესრულებული ეპიგრაფიკული წყაროების შესწავლის შედეგად მნიშვნელოვანი დასკვნები კეთდება. არამეული დამწერლობის საფუძველზე შედგენილი მცხეთაში აღმოჩენილი არმაზული ბილინგვა[70] ქართული დამწერლობის საწყისს გაცილებით ადრეულ საუკუნეებში გადაიტანს. წარწერა შეისწავლა გ; წერეთელმა, მცხეთის ბერძნული წარწერები — ს. ყაუხჩიშვილმა[71]. 50-იან წლებში გამოვიდა თ. ყაუხჩიშვილის „ბერძნული წარწერები საქართველოში" (1951). ურარტული ლურსმული წარწერები ამოიკითხა და შეისწავლა გ. მელიქიშვილმა[72]. ამ საეტაპო ნაშრომის დიდ მნიშვნელობაზე მეცნიერებისათვის მისთვის მინიჭებული ლენინური პრემიაც მეტყველებს.

უკანასკნელი წლების მიღწევებიდან უნდა აღინიშნოს ზ. ალექსიძის „ატენის სიონის სომხური წარწერები" (1970), „ქართული წარწერების კორპუსის" ორი ტომის გამოცემა: პირველი, ნ. შოშიაშვილის მიერ გამოცემული, აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოს V-X სს. ლაპიდარულ წარწერებს შეიცავს (1980), ხოლო დასავლეთ საქართველოს წარწერები, მოთავსებული მეორე წიგნში, გამოცემულია ვ. სილოგავას მიერ (1980).

რამდენიმე წელია სისტემატურად ეწყობა ეპიგრაფიკული მასალის შემსწავლელი სამეცნიერო ექსპედიციები ზ. ალექსიძის ხელმძღვანელობით. წარმატებით დაწყებული ეს საქმიანობა კვლავაც გაგრძელდება.

პალეოგრაფიის დარგში ცალკეული სტატიების გარდა აღსანიშნავია ა. შანიძის (1924), ა. ჩიქობავას (1927) და ი. აბულაძის (1947, მე-2 გამ. 1973) გამოცემული პალეოგრაფიული ალბომები, ე. მეტრეველის მიერ გამოქვეყნებული იერუსალიმის ქართული მასალების ისტორიისათვის დართული პალეოგრაფიული ალბომი[73], მ. სურგულაძის მონოგრაფია „ძველი ქართული პალეოგრაფიული ტერმინები", (1979), თ. ხაჟომიას, ც. ჭანკიევის, რ. პატარიძის და სხვათა გამოკვლევები.

გარკვეული წარმატებებია მიღწეული ტექსტოლოგიის[74], სფრაგისტიკის[75], და ფილიგრანოლოგიის[76] დარგებში. საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიის შესახებ აღსანიშნავია ა. აბდალაძის, ა. ბარამიძის, ვ. გუჩუას, რ. კიკნაძის, ბ. სილაგაძის და სხვათა გამოკვლევები.

---

[70] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, არმაზის ბილინგვა, ენიმკის მოამბე, XIII, თბ., 1942.

[71] ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, არმაზში აღმოჩენილი ბერძნული წარწერები, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, II, № 1—2, 1941; მცხეთა-სამთავროს ახლად აღმოჩენილი ბერძნული წარწერა, საქ. სსრ. მეცნ. აკად. მოამბე, ტ. IV, № 6, 1943.

[72] Г. А. Меликишвили, Урартские клинообразные надписи, М., 1960.

[73] ე. მ ე ტ რ ე ვ ე ლ ი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, (XI—XVII სს.) თბ., 1962.

[74] იხ. ვ. დონდუას გამოკვლევები: ვ. დ ო ნ დ უ ა, საისტორიო ძიებანი, I—II, თბ., 1967, 1973.

[75] ა. ბ ა ქ რ ა ძ ე, მასალები ქართული სფრაგისტიკის ისტორიისათვის, კატალოგი, თბ., 1978.

[76] კერძოდ, „ქართლის ცხოვრების" ნუსხათა ჭვირნიშნების მიხედვით დათარიღების საკითხებს იკვლევს რ. პატარიძე.

წერილობითი წყაროების შესწავლის ერთ-ერთი ძირითადი მხარეა ძველ ქართველ მემატიანეთა ქართული და უცხოური წყაროების ძიება. ამ თვალსაზრისით საინტერესოა დ. კაციტაძის, რ. კიკნაძის, გ. მამულიას, კ. ტაბატაძის, ნ. ჯანაშიას გამოკვლევები.

საბჭოთა პერიოდში წარმატებით მიმდინარეობდა საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროების შესწავლა. 1936 წ. დაარსდა სერია „გეორგიკა" („ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ") ს. ყაუხჩიშვილის ინიციატივით. მისივე რედაქციით გამოიცა სერია რვა ტომად — ბიზანტიელი მწერლების კრიტიკული ტექსტები საქართველოს შესახებ და მათი ქართული თარგმანები, რასაც დიდად შეუწყო ხელი 1958 წ. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან საქართველოს ისტორიის უცხოურ წყაროთა კომისიის შექმნამ[77]. ანტიკურ წყაროთაგან აღსანიშნავია ა. გამყრელიძის, ნ. კეჟაყმაძის, ნ. ლომოურის, თ. მიქელაძის, ა. ურუშაძის, თ. ყაუხჩიშვილისა და სხვათა კომენტირებული თარგმანების გამოცემა. განსაკუთრებით საყურადღებოა თ. ყაუხჩიშვილის მიერ გამოცემული „ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ" (I-IV, 1967, 1969, 1976, 1980).

ინტენსიურად მუშავდება საქართველოს ისტორიის სომხური წყაროები, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვით ა. აბდალაძეს, ი. აბულაძეს, ზ. ალექსიძეს, ლ. დავლიანიძეს, ლ. მელიქსეთ-ბეგს, ე. ცაგარეიშვილს, ნ. შოშიაშვილს და სხვ.

არანაკლებ მნიშვნელოვან ცნობებს საქართველოს შესახებ XIII ს-დან მოყოლებული შეიცავს ევროპული წყაროები, დოკუმენტური თუ ნარატიული. მათ თარგმნას, გამოცემასა და შესწავლას საქართველოში საკმაო ისტორია აქვს. მიუხედავად ამისა, მასალის დიდი ნაწილი ჯერ კიდევ არ არის შემოსული მეცნიერულ მიმოქცევაში. აღსანიშნავია ვ. ბარნოვის, გ. გელაშვილის, ბ. გიორგაძის, ე. მამისთვალიშვილის, მ. მგალობლიშვილის, ი. ტაბაღუას, გ. ქიქოძის, ს. ლოლობერიძის, პ. ჭყონიას და სხვათა გამოცემები და გამოკვლევები.

საგანგებოდ უნდა შევეხოთ ქართულ საისტორიო წყაროთა რუსულ ენაზე თარგმნის საკითხს. თავდაპირველად თარგმნას შემთხვევითი და იშვიათი ხასიათი ჰქონდა, თუმცა თვით ნაშრომები — ვ. დონდუას, კ. კეკელიძის[78] გამოირჩეოდა მაღალი მეცნიერული დონით. უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გამოცოცხლდა მუშაობა ამ მიმართულებით. მკითხველმა ზედიზედ მიიღო ვახუშტის, სეხნია ჩხეიძის, „მატიანე ქართლისას", „ძეგლი ერისთავთა"-ს, „შუშანიკის წამების", „კოსტანტი-კახის მარტვილობის", ლეონტი მროველის, სუმბატ დავითის-ძის თხზულებათა თარგმანები[79].

---

[77] კომისიის გამოცემების შესახებ იხ. М. Д. Абашидзе, Публикации иностранных источников о Грузии, „მაცნე", ენისა და ლიტ. სერია, № 4, 1974.

[78] Басили, Жизнь царицы цариц Тамары, пер. В. Д. Дондуа, В сб.: «Памятники эпохи Руставели, Л., 1938; Иоанн Царевич, Калмасоба или хождение по сбору, перевод, введение и комментарии В. Д. Дондуа, Тб., 1945; История и восхваление венценосцев, перевод, предисловие и примечания К. С. Кекелидзе, Тб., 1954; Памятники древнегрузинской агиографической литературы, груз. текст перевел, исследованием и примечаниями снабдил К. С. Кекелидзе, Тб., 1956.

[79] Вахушти Багратиони, История царства грузинского, перевод и введение Н. Т. Накашидзе, Тб., 1976; Сехниа Чхеидзе, История Грузии («Жизнь царей»), перевод Н. Т. Накашидзе, Тб., 1976; Матиане Картлиса (Летопись Картли), перевод, введение и примечания М. Д. Лордкипанидзе Тб., 1976; Житие и мученичество святого мученика Костанти грузина, пер., Н. З. Вачнадзе и К. К. Куция,

თუ განვლილი პერიოდის პირველი ნახევარი ხასიათდებოდა ქართველ მეცნიერთა უპირატესი ყურადღებით კონკრეტული წყაროთმცოდნეობის საკითხებისადმი, ნაკლებად ისწავლებოდა წყაროზე მუშაობის პროცესი, არ იყო მკაფიოდ გამიჯნული წყაროთმცოდნეობისა და დამხმარე საისტორიო დისციპლინათა მოქმედების სფეროები, დამუშავებული ცნებები და თეორიული წყაროთმცოდნეობის სხვა აუცილებელი საკითხები, 70-იანი წლებიდან მდგომარეობა აშკარად იცვლება. მაგალითად, უ. სიდამონიძის წიგნში „ისტორიული მეცნიერება და სამეცნიერო ინფორმაციის საკითხები" (თბ., 1975) უახლესი საბჭოთა სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებით დახასიათებულია ძირითადი და დამხმარე საისტორიო დისციპლინები, გამოთქმული და შემოთავაზებულია საყურადღებო მოსაზრებები წყაროთმცოდნეობის პრობლემატიკასთან დაკავშირებით.

ამჟამად წყაროთმცოდნეობითი კვლევა საქართველოში მიმდინარეობს უმთავრესად საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის განყოფილებასა და კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში, აგრეთვე გ. წერეთლის სახ. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში, თბილისის სახ. უნივერსიტეტსა (სადაც ისტორიის ფაკულტეტზე იკითხება წყაროთმცოდნეობის კურსი) და სახელმწიფო არქივებში. ნაშრომები წყაროთმცოდნეობისა და დამხმარე წყაროთმცოდნეობითი დისციპლინების პრობლემატიკაზე სისტემატურად იბეჭდება ჟურნალ „მაცნესა" და სხვადასხვა სპეციალურ კრებულში.

ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის წყაროთმცოდნეობის განყოფილებაში მომზადდა გამოსაცემად საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის სახელმძღვანელო. აქვე მიმდინარეობს მუშაობა წყაროთმცოდნეობის ისტორიოგრაფიის, წყაროთმცოდნეობაში მათემატიკური მეთოდების გამოყენების, წყაროთმცოდნეობითი კვლევის მეთოდიკის, წერილობითი საისტორიო წყაროების კლასიფიკაციის პრინციპებისა და ძველი ქართული ისტორიული ტერმინოლოგიის შესწავლის თვალსაზრისით. ქართული წყაროთმცოდნეობის გარკვეულ პროგრესს შეიძლება გავადევნოთ თვალი განყოფილებაში დამზადებული და გამოცემული „ქართული წყაროთმცოდნეობის" კრებულების მიხედვით[80]. 1978 წ. გამოცემულ მე-5 ტომში კონკრეტულ წყაროთმცოდნეობით გამოკვლევებთან ერთად სათანადო ადგილი აქვს დათმობილი წყაროთმცოდნეობის ისტორიოგრაფიას და საისტორიო წყაროთა გამოცემის მეთოდიკის საკითხებს. ამავე განყოფილებაში დამზადდა ნაშრომთა ციკლი, რომლისათვისაც მის ავტორს — გ. ალასანიას საქართველოს ლენინური კომკავშირის ლაურეატის წოდება მიენიჭა.

ხელნაწერთა ინსტიტუტში ტარდება მუშაობა ქართული საისტორიო წერილობითი წყაროების ხელნაწერების სისტემატიზაციის თვალსაზრისით. ამ

Тб., 1978; Мровели Леонти. Жизнь Картлийских царей. Извлечение сведений об абхазах, народах Северного Кавказа и Дагестана, предисловие и комментарии Г. В. Цулая, М., 1979; Сумбат Давитис-дзе, История и повествование о Багратионах, перевод, введение и примечания М. Д. Лордкипанидзе, Тб., 1979; Памятник эриставов, перевод, исследование и примечания С. С. Какабадзе, Тб., 1979.

[80] ქართული წყაროთმცოდნეობა, I—V, თბ., 1965, 1968, 1971, 1973, 1978.

მხრივ უნდა აღინიშნოს აქ დამზადებული და გამოცემული ხელნაწერთა აღწერილობები. განზრახულია საბჭოთა კავშირის არქივებში დაცული ქართული საბუთების მიკროფილმებისა და ფოტოპირების ფონდების შექმნა. დასრულებულია მოსკოვის არქივების საბუთების დამუშავება. შექმნილია საქართველოს ცენტრალური არქივის და ხელნაწერთა ინსტიტუტის საისტორიო საბუთების სრული კატალოგი. მზადდება საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ეპიგრაფიკული მასალების ფონდები. დღემდე დასრულდა მესხეთ-ჯავახეთის მასალების შეგროვება.

წყაროთა პუბლიკაცია და შესწავლა მყარ საფუძველზე დადგა 1974 წ. საქ. სსრ აკადემიის პრეზიდიუმთან საქართველოს ისტორიის წყაროთა კომისიის შექმნის შემდეგ[81] სერიებით: 1) ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლები; 2) ქართული საისტორიო ძეგლების რუსულ ენაზე თარგმანი; 3) ეპიგრაფიკული ძეგლები და ხელნაწერთა მინაწერები; 4) ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი; 5) საქართველოს ისტორიის უცხოური წყაროები; 6) ქართული სამართლის ძეგლები. ამჟამად სხვადასხვა სერიის ხაზით უკვე გამოცემულია 20-ზე მეტი წიგნი. დამკვიდრდა კომისიის გრიფით გამოსული წიგნების რეცენზირების ტრადიცია. გამოცემები ხორციელდება წყაროთმცოდნეობითი მეცნიერების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად. ორიგინალურ ძეგლთა და თარგმანთა გამოცემის გამოცოცხლებამ გამოიწვია ქართულ საისტორიო ძეგლთა რუსულ ენაზე თარგმნის (რ. კიკნაძე), ქართული საისტორიო საბუთთა გამოცემის (ნ. შოშიაშვილი) და ეპიგრაფიკული ძეგლების გამოცემის (ხ. ალექსიძე, ნ. შოშიაშვილი) წესების შექმნის აუცილებლობა. მუშავდება ქართული წერილობითი წყაროების გამოცემის წესები.

ქართული წყაროთმცოდნეობის აღმავლობის მაუწყებელია ბოლო წლებში ჩატარებული სპეციალური წყაროთმცოდნეობითი სამეცნიერო სესიები. 1969 წ. თბილისში გაიმართა საკავშირო არქეოგრაფიული კონფერენცია. ფარსადან გორგიჯანიძის დაბადების 350 წლისთავი აღინიშნა 1976 წ. ოქტომბერში გორში ჩატარებული სესიით. 1979 წ. ოქტომბერში ქუთაისში გაიმართა პირველი საკავშირო სესია, მიძღვნილი საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების პუბლიკაციისა და შესწავლისადმი, ხოლო 1980 წლის მაისში თელავში ჩატარდა ქართველ წყაროთმცოდნეთა რესპუბლიკური სესია. აღნიშნულ სესიებზე მრავალი საკითხი ახლებურად გაშუქდა.

დასასრულს შეიძლება აღვნიშნოთ, რომ მდიდარი ტრადიციების მქონე ქართული წყაროთმცოდნეობა ამჟამად საკუთარი ჩამოყალიბებული, დამოუკიდებელი მეცნიერებაა. დამხმარე დისციპლინათა განვითარებასთან ერთად ფართოვდება წყაროთმცოდნეობის სფეროც, რაც ქართული საისტორიო მეცნიერების შემდგომი წინსვლის საწინდარია.

---

[81] მ. ა ბ ა შ ი ძ ე, საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია, „მაცნე", ისტორიის სერია, № 3, 1975.

ოთარ ლორთქიფანიძე

საქართველოს არქეოლოგია საბჭოთა საქართველოს 60 წლისთავზე

არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში ჯერ კიდევ XIX საუკუნის 70-იან წლებში დაიწყო, მაგრამ ნამდვილი მეცნიერული ხასიათი მას მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მიეცა[1].

მეცნიერული არქეოლოგიის კვლევის პირველ ცენტრებს წარმოადგენდნენ საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადაც აკად. ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით დაიწყო სამეცნიერო კადრების მომზადება და გეგმაზომიერი საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიებისათვის სამზადისი. 1936 წელს კი სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალთან დაარსდა ენის, ისტორიის და მატერიალური კულტურის ინსტიტუტი, რომელიც ამიერიდან გახდა რესპუბლიკაში არქეოლოგიური კვლევა-ძიების წამყვანი ცენტრი.

საქართველოში არქეოლოგიური კვლევა-ძიების განვითარებაში დიდი როლი შეასრულა არქეოლოგიურმა გათხრებმა მცხეთასა და მის მიდამოებში, რომელიც საქართველოს მთავრობის საგანგებო დადგენილებით დაიწყო 1938 წლიდან აკადემიკოსების ივ. ჯავახიშვილისა და სიმ. ჯანაშიას ხელმძღვანელობით. მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სამუშაოები იმთავითვე აღინიშნა უდიდესი მეცნიერული მნიშვნელობის აღმოჩენებით, ამასთან, მცხეთის ექსპედიცია გახდა დიდი სკოლა ქართველ პროფესიონალ არქეოლოგთა მომზადებისა.

განსაკუთრებით ფართო მასშტაბები მიიღო არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ საქართველოში დიდი სამამულო ომის გამარჯვებით დამთავრების შემდეგ (თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არქეოლოგიური გათხრები მიმდინარეობდა ომის მსვლელობაშიც და ამ ფაქტს მაშინ საერთაშორისო რეზონანსიც კი ჰქონდა)[2].

ამჟამად არქეოლოგიური კვლევა-ძიების უმთავრეს ცენტრს რესპუბლიკაში წარმოადგენს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი და მასთან 1977 წლიდან ჩამოყალიბე-

---

[1] დაწვრ. იხ. გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, ივ. ჯავახიშვილი და გათხრითი არქეოლოგია, „მიმომხილველი“, II, 1951; ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, ქართული საბჭოთა არქეოლოგიის 50 წელი, თბ., 1972; გ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, მასალები XIX საუკუნის მეორე ნახევრის არქეოლოგიის ისტორიისათვის საქართველოში, „საისტორიო კრებული“, VII, 1977.

[2] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, მოკლე ანგარიში აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მუშაობის შესახებ, „ენიმკის მოამბე, XIV, 1944.

ბული „არქეოლოგიური კვლევის ცენტრი“[3]. ნაყოფიერი მეცნიერული და საველე-არქეოლოგიური კვლევა წარმოებს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში[4]. რესპუბლიკის სხვადასხვა პუნქტში არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას აწარმოებენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხვა დაწესებულებებიც: აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტი[5], ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი[6] და სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, აგრეთვე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი[7], საქართველოს ხელოვნების მუზეუმი და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველო. რესპუბლიკაში მიმდინარე არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას ხელმძღვანელობს და კოორდინაციას უწევს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს არქეოლოგიური კომისია[8].

ამჟამად უაღრესად ფართო მასშტაბის კვლევა-ძიება მიმდინარეობს რესპუბლიკის თითქმის ყველა კუთხეში, განსაკუთრებით დიდ ახალმშენებლობათა ზონებში[9]. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად საქართველოში აღმოჩენილია ადამიანთა საზოგადოების განვითარების თითქმის ყველა ეტაპის ძეგლები — ძველი ქვის ხანიდან მოკიდებული ვიდრე გვიან შუა საუკუნეებამდე[10].

1. თვალსაჩინო წარმატებებია მიღწეული ძველი ქვის ხანის არქეოლოგიური ძეგლების შესწავლაში: სადღეისოდ ფიქსირებულია 400-ზე მეტი პალეოლითური სადგომი და დადგენილია, რომ საქართველოსა და კავკასიის ტერიტორიის დასახლება იწყება ე. წ. აშელის ეპოქის ადრეულ და საშუალო საფეხურებიდან[11], ხოლო შემდგომი ხანისათვის (გვიანაშელური და მუსტიეს ეპოქები) მიმდინარეობს ადამიანის განსახლება საქართველოს თითქმის ყველა ლანდშაფტურ-კლიმატურ ზონებში (ზღვისპირეთში, ტყე-ველიან ზონასა და მაღალმთიანეთში)[12]. ამ პრობლემის კვლევის თვალსაზრისით უდიდესი მნიშ-

[3] არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები იბეჭდება ინსტიტუტის სპეციალურ კრებულსა და პერიოდულ გამოცემებში: „მასალები საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიისათვის“, „საქართველოს არქეოლოგიის საკითხები“, „ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები“, «Полевые археологические исследования».

[4] „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“, „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ექსპედიციები“.

[5] იხ. კრებულები: «Известия Абхазского института истории, языка и литературы», «Материалы по археологии и искуству Абхазии», «Абхазский археологический сборник».

[6] კრებული „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები“.

[7] იხ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „შრომები“.

[8] არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები ქვეყნდება აგრეთვე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ორგანოში „მაცნე“, ისტორიის სერია, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის ინსტიტუტის ყოველწლიურ კრებულში «Археологические открытия в СССР».

[9] იხ. კრებული: «Арехеологические исследования на новостройках Грузинской ССР», Тб., 1977.

[10] ქართული საბჭოთა არქეოლოგიის მიღწევები 50 წლის მანძილზე შეჯამებულია რიგ ნაშრომებში (იხ. მაგ., ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, ქართული საბჭოთა არქეოლოგიის 50 წელი, თბ., 1972; მ ი ს ი ვ ე, «Развитие археологической науки в Советской Грузии», СА, 1967, № 4). ამიტომ წინამდებარე წერილში აქცენტი ძირითადად გადატანილია უკანასკნელი ათი წლის შედეგებზე. იხ. აგრეთვე: О. Д. Л о р д к и п а н и д з е, Новейшие археологические открытия в Грузии, «Вестник АН СССР», 1975, № 9; е г о ж е, Археология Грузии: новейшие открытия, проблемы, перспективы, СА, 1977, № 3.

[11] ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, თბ., 1973; В. П. Л ю б и н, Мустьерская Культура Кавказа, М.-Л., 1977.

[12] ალ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, ქვის ხანა საქართველოში, სინ, I, თბ., 1970, გვ. 77.

ვნელობა ჰქონდა 50-იანი და 60-იანი წლების აღმოჩენებს: აშელის ეპოქის სადგომები (კუდარო I, კუდარო III, წონას გამოქვაბულები)[13] და სხვა ქვედაპალეოლითური ძეგლები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (შაეიზღვისპირეთი[14], კოლხეთის დაბლობი[15], რიონ-ყვირილის აუზი[16], ქვემო ქართლი[17], ჯავახეთის პლატო[18] და სხვ.). უკანასკნელი წლების აღმოჩენებიდან განსაკუთრებითაა აღსანიშნავი აშელ-მუსტიეს ეპოქის 50-ზე მეტი სადგომის აღმოჩენა ყვირილის ხეობაში: სოფ. ჯოკოეთსა და ეწერაში აღმოჩენილია აშელის ეპოქის ღია ტიპის სადგომი-სახელოსნოები, ხოლო სოფ. ცუცხვათის მახლობლად მდებარე მრავალიარუსიან კარსტულ გამოქვაბულში (ე. წ. „ბრინჯაოს გამოქვაბული") გამოვლენილია 10 მ-ზე მეტი სისქის კულტურული ფენა, რომელიც ასახავს უწყვეტ ცხოვრებას მუსტიეს ეპოქიდან მოკიდებული ადრებრინჯაოს ხანამდე. მუსტიეს ეპოქის უაღრესად მრავალფეროვან ქვის ინვენტარსა და ფაუნისტურ მასალას შორის ნაპოვნია ნეანდერტალელი ადამიანის კბილები[19]. საინტერესო შედეგებით აღინიშნება უკანასკნელი წლების გათხრები საკაჟიას გამოქვაბულში, რომელიც უკანასკნელ დრომდე არქეოლოგიურ ლიტერატურაში მხოლოდ ზედა პალეოლითის კლასიკურ ძეგლად იყო ცნობილი. ამჟამად აქ აღმოჩენილია უფრო ადრინდელი — მუსტიეს ეპოქის ქვისა და კაჟის იარაღები, მრავალფეროვანი ფაუნისტური მასალა და, რაც საგანგებოდაა აღსანიშნავი, ნეანდერტალელი ადამიანის ქვედა ყბა, რასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება უძველესი ადამიანის პროგრესული მორფოლოგიური ტრანსფორმაციის პროცესის შესწავლაში[20]. აშელ-მუსტიეს ეპოქის ძეგლები აღმოჩენილია აგრეთვე კახეთის ტერიტორიაზე. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ზიარის ღია ტიპის სადგომი-სახელოსნო, რომელიც კაჟის საბადოებთან ახლოსაა გამართული (მდ. რიონის მარცხენა შენაკადის — ლაკმეს მარცხენა ნაპირზე). დადგენილია, რომ ამ სახელოსნოში სრულდებოდა ქვის დამუშავების სრული ციკლი[21].

---

[13] В. П. Любин, Высокогорная пещерная стоянка Кударо I, ИВГО, 91, 1959; его же, Нижнепалеолитические памятники в Юго-Осетии, МИА, 79, 1960; А. Н. Каландадзе, Цонская пещера и ее культура, «Карстовые пещеры Грузии», Тб., 1965.

[14] Н. З. Бердзенишвили, Новые данные по палеолиту Абхазии, ТАИЯЛИ, XXX, 1959; Л. Н. Соловьев, Первобытное общество на территории Абхазии, Сухуми, 1959; თ. ბუგიანიშვილი, სოხუმის მიდამოების ქვედაპალეოლითური ძეგლები, „საისტორიო კრებული", II, თბ., 1971.

[15] გ. გრიგოლია და სხვ., ღასაელეთ საქართველოს საძიებო-არქეოლოგიური ექსპედიციის 1966 წლის მუშაობის შედეგები, მსკა, V, 1973; გ. გრიგოლია, მთა ურთას პალეოლითური ძეგლები, მსკა, V, 1973.

[16] ნ. ბერძენიშვილი, ქვის ხანის ახალი ძეგლი წყალწითელას ხეობაში, თბ., 1964; მისივე, ქვედაპალეოლითური ნაშთები ქუთაისის მიდამოებიდან, მსკა, VI, 1974; დ. თუშაბრამიშვილი, არქეოლოგიური დაზვერვები ყვირილას ხეობაში, სმმ, XXIII—B, 1962; მისივე, ჯრუჭულას გამოქვაბულში 1960—61 წწ.. ჩატარებული მუშაობის ანგარიში, „საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები", II, 1963.

[17] გ. გრიგოლია, ქვემო ქართლის პალეოლითი, თბ., 1963.

[18] გ. გრიგოლია, ჯავახეთის ქვედა პალეოლითური ძეგლები, მსკა, IV, 1965.

[19] იხ. დ. თუშაბრამიშვილის „ანგარიშები" კრებულში სმე (ტ. I—IV) დ. თუშაბრამიშვილი, ნ. მამაცაშვილი, ა. ეეკუა, ბრინჯაოს გამოქვაბული და მისი კულტურის, „მაცნე", ისტორიის სერია, № 4, 1976.

[20] იხ. მ. ნიორაძის „ანგარიშები" კრებულში «ПАИ» (1973—1977 гг.)

[21] თ. ბუგიანიშვილი, ქვედა პალეოლითის ხანის ახალი მასალები კახეთიდან, მსკა, VI, 1974.

მუსტიერული ეპოქის ძეგლების ფართოდ შესწავლა, ერთგვაროვანი კულტურის გავრცელების გარკვეულ არეალებთან ერთად, ავლენს ცალკეულ რეგიონებში კაჟისა და ქვის იარაღის დამუშავების რიგ თავისებურებას, რის საფუძველზე დასმულია საკითხი საქართველოში მუსტიერული კულტურის ლოკალური ვარიანტების შესახებ.

საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ამჟამად ფიქსირებულია აგრეთვე ზედა პალეოლითის განვითარების ყველა სტადია, როდესაც მიმდინარეობს ადამიანის თანამედროვე ფიზიკური ტიპის ჩამოყალიბება და პირველი გვაროვნული თემების წარმოქმნა. ამ ეპოქის თვალსაჩინო ძეგლები დღევანდელ დასავლეთ საქართველოშია გამოვლენილი როგორც ზღვისპირა ზოლში, ასევე მდ. რიონის, ცხენისწყლის, წყალწითელას, ყვირილის ხეობებში. მთლიანადაა გათხრილი გალის რაიონში სოფ. ოქუმთან აღმოჩენილი გამოქვაბული (ოქუმი I), რომელიც ყურადღებას იქცევს მრავალფეროვანი ქვის ინვენტარითა და მეოთხეული ფაუნის მდიდარი ნაშთებით[22]. ზედაპალეოლითური ხანის ქვის ინდუსტრიის ევოლუციის შესასწავლად საინტერესო მასალა მოგვცა გათხრებმა გამოქვაბულ ხერგულის კლდეში, სადაც დადასტურდა ქვის დამუშავების ტექნიკის ორი წესის — ზედაპალეოლითური და ლევალუა-მუსტიერულის თანაარსებობა[23].

დასავლეთ საქართველოს რიგი ზედაპალეოლითური ძეგლების შესწავლის შედეგები განზოგადებულია მ. ნიორაძის მონოგრაფიაში, რომელიც მიეძღვნა გამოქვაბულ სამერცხლე-კლდეს. ეს უკანასკნელი მიეკუთვნება დღევანდელი იმერეთისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე ლოკალიზებულ ზედაპალეოლითური კულტურის (ე. წ. იმერეთის კულტურა) ძეგლების მეორე ჯგუფს[24]. ამასთან „იმერეთის კულტურისათვის" დამახასიათებელ ზოგად ნიშნებთან ერთად დასტურდება ზოგიერთი თავისებურებანი, რომელთა საფუძველზე ამ კულტურის გავრცელების არეალში ივარაუდება ლოკალური კერები[25].

უკანასკნელ წლებში ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების საფუძველზე არსებითად დაზუსტდა ჯერ კიდევ ს. ზამიატნინის მიერ ოცდაათიან წლებში შემუშავებული პერიოდიზაცია, ხოლო ზედაპალეოლითური სადგომების ტოპოგრაფიის საფუძველზე დადასტურდა, რომ ისინი აღარ გვხვდება ზღვის დონიდან 800-1000 მეტრის ზემოთ, რაც კლიმატურ-ეკოლოგიური პირობების ცვლილებებით აიხსნება. ზედაპალეოლითური ძეგლებისადმი მიძღვნილ ნაშრომებში გამოვლენილია გარკვეული მსგავსება და კავშირები მახლობელი აღმოსავლეთის (განსაკუთრებით სირია-პალესტინისა და ერაყის) სინქრონულ ზედაპალეოლითურ კულტურებთან, მაგრამ ამასთან ერთად ხაზი ესმება განვითარების თავისებურ გზას[26].

---

[22] იხ. ნ. ბერძენიშვილის და გ. ხუბუტიას „ანგარიშები" კრებულში «ПАИ» (в 1969, 1971—1972 гг.).

[23] იხ.ნ. ბერძენიშვილის „ანგარიშები" კრებულში «ПАИ» в 1972г.; გ. დ ო ჩ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ხერგულის კლდეში 1967—1968 წწ. მუშაობის შედეგები, მსკა, VI, 1974.

[24] С. Н. З а м я т н и н, Новые данные по палеолиту Закавказья, СЭ, № 2, 1935.

[25] ვ. ნ ი ო რ ა ძ ე, სამერცხლე კლდის მღვიმე, თბ., 1975.

[26] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, ზედა პალეოლითი, „საქართველოს არქეოლოგია", თბ., 1959, გვ. 35—53; მ ი ს ი ვ ე, ქვის ხანის ახალი ძეგლი წყალწითელას ხეობაში, თბ., 1964; დ. თ უ შ ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, გვარჯილას კლდის პალეოლითური ნაშთები, თბ., 1960; მ ი ს ი ვ ე, არქეოლოგიური დაზვერვები ყვირილას ხეობაში, სსმმ, XXIII—B, 1962; ალ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, ქვის ხანა...., გვ. 100 და შემდ.; მ. ნ ი ო რ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი.

ზედა პალეოლითის ფინალური სტადიის — მეზოლითის უაღრესად საყურადღებო და აქამდე სრულიად უცნობი ძეგლები უკანასკნელ წლებში აღმოჩენილია ზღვისპირა ზოლში აფხაზეთის ტერიტორიაზე (ქვაჭარა, იაშთხვა, ჯამპალა და სხვ.) და ქვემო ქართლში (თრიალეთი). ამასთან დგინდება მეზოლითური კულტურის ადგილობრივ ნიადაგზე განვითარება და მისი კავშირი საქართველოს ზედაპალეოლითურ კულტურასთან[27]. დიდ ინტერესს იწვევს კლდეზე ნაკვეთი ნახატების (პეტროგლიფების) აღმოჩენაც[28].

ამრიგად, ამჟამად საქართველოში აღმოჩენილია პალეოლითის ეპოქის თითქმის ყველა სტადიის ძეგლები (გარდა შელისა) — პირველხარისხოვანი წყარო ისეთი დიდმნიშვნელოვანი პრობლემების შესასწავლად, როგორიცაა საქართველოს მიწა-წყალზე ადამიანის პირველადი განსახლების დრო და პირობები, ადამიანთა პირველი საზოგადოებრივი ურთიერთობების სოციალური ბუნება, ეკონომიკა, საწარმოო ძალები და ა. შ.

2. მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული ახალი ქვის ხანის — ნეოლითის შესწავლაში.

ნეოლითური კულტურის ძეგლები, რომელთა რიცხვი არც თუ ისე დიდი ხნის წინ სულ ერთეულებით განისაზღვრებოდა[29] (ბოლო ზოგიერთი მათგანის დათარიღება ახლა სადისკუსიოდაა ქცეული)[30], ამჟამად მრავლადაა აღმოჩენილი მთელს დასავლეთ საქართველოში, როგორც ზღვისპირეთში, ასევე მთის წინა ზოლში. (დარკვეთი[31], პალური[32], ხორში[33], ჩხორთოლი[34], ბათუმისა და ქობულეთის მიდამოებში[35]). ეს ძეგლები ადრე აღმოჩენილთან ერთად (ანასეული) ქმნიან ე. წ. დასავლურ ამიერკავკასიურ ნეოლითური კულტურის ერთიან არეალს, რომლის განვითარებაში გამოიყოფა ორი ეტაპი: ადრენეოლითური და გვიანნეოლითური. სულ გვიანდელ ეტაპს ძვ. წ. VI ათასწლეულით ათარიღებენ. ამ დროს სამოსახლოებზე უკვე გვხვდება ნაირსახოვანი სასოფლო-სამეურნეო იარაღები, მათ შორის ნამგლის ჩასართები, აგრეთვე სასრეს-საფქვავები და სხვ.[36]. ამ დროიდან იწყება, როგორც ფიქრობენ, საქართველოს მიწა-წყალზე ის კარდინალური ძვრები ადამიანთა საზოგადოების განვითარებაში, რომელიც „ნეოლითური რევოლუციის" სახელითაა ცნობილი და აღინიშნება მწარმოებლურ მეურნეობაზე — მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობაზე

---

[27] ლ. წერეთელი, მეზოლითური კულტურა კავკასიის შავიზღვისპირეთში, თბ., 1973; მ. გაბუნია, თრიალეთის მეზოლითური კულტურა, თბ., 1976.

[28] М. Габуния, Археологические исследования в районе Триалети, ПАИ в 1976 г., с. 19, табл. VIII.

[29] ალ. კალანდაძე, მეზოლითურ და ნეოლითურ კულტურათა ნაშთები საქართველოში, „ენიმკის" მოამბე, IV, 3, 1939; ნ. კილაძე, ახალი ქვის ხანის ძეგლები თეთრამიწიდან, მსკი, 29, 1951, მისივე, ახალი ქვის ხანა, „საქართველოს არქეოლოგია", გვ. 237—272; А. Лукин, Неолитическое селище Кистрик близ Гудаут, СА, XII, 1950.

[30] დ. თუშაბრამიშვილი, ლ. ნებიერიძე, საქართველოს ზოგიერთი „ნეოლითური" ძეგლის დათარიღებისათვის, „მაცნე", ისტორიის სერია, № 4, 1971.

[31] ლ. ნებიერიძე, დარკვეთის მრავალფენიანი ეხი, თბ., 1978.

[32] გ. გრიგოლია, ცენტრალური კოლხეთის ნეოლითი, 1977.

[33] Г. К. Григолия, Итоги работ... ПАИ 1972—77 гг.

[34] იხ. ნ. ბერძენიშვილისა დ კ. კალანდაძის „ანგარიშები" კრებულში ПАИ (в 1972—1974 гг.); კ. კალანდაძე, ჩხორთოლის ნეოლითურ ნამოსახლარზე 1971 — 1973 წწ. ჩატარებულ სამუშაოთა ანგარიში, მსკა, VI, 1974.

[35] ს. გოგიტიძე, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ნეოლითური კულტურა, თბ., 1977.

[36] ლ. ნებიერიძე, დასავლეთ ამიერკავკასიის ნეოლითი, თბ., 1972.

გადასვლით. ამ პროცესის ფინალური ეტაპი განსაკუთრებით თვალსაჩინოა ძვ. წ. VI-IV ათასწლეულებით დათარიღებულ ე. წ. ადრესამიწათმოქმედო კულტურის ძეგლებზე, რომელთა აღმოჩენა და შესწავლა 60-იანი და 70-იანი წლების ქართული არქეოლოგიის ერთ-ერთ ყველაზე უფრო თვალსაჩინო მიღწევადაა აღიარებული.

3. მდ. მტკვრის შუა წელზე განლაგებული სამოსახლო ბორცვების (შულავერის გორა, იმირის გორა, ხრამის დიდი გორა და სხვ.) არქეოლოგიური შესწავლის შედეგად გამოვლენილია ალიზით ნაგები მრავალთაღოვანი საცხოვრებელი კომპლექსები, მრავალრიცხოვანი სამეურნეო ნაგებობები, მრავალფეროვანი კერამიკა, ობსიდიანის, ქვის, ძვლისა და რქის იარაღები — უპირატესად სამიწათმოქმედო დანიშნულების, აგრეთვე თიხისაგან გამოძერწილი ქალის ქანდაკებები ნაყოფიერების ღვთაებას „ღმერთების დიდ დედას" რომ წარმოსახავენ[37]. ასევე ბოლნისის რაიონში აღმოჩენილი და გათხრილია ღრმა და განიერი თავდაცვითი თხრილებით გარშემორტყმული მსხვილი სამოსახლო ბორცვები (არუხლო I-IV). გათხრებისას გამოვლენილი მდიდარი პალეობოტანიკური მასალის საფუძველზე დადგინდა, რომ ხელოვნური მორწყვის შედეგად მოჰყავდათ სხვადასხვაგვარი პურეული (ღომი, ქერი, მაგარი და რბილი ხორბალი)[38].

ქვემო ქართლის ძვ. წ. V-IV ათასწლეულების ნამოსახლართა არქეოლოგიური შესწავლის საფუძველზე ჩვენს წინაშე წარმოსდგა უძველესი ბინადარი სამიწათმოქმედო საზოგადოება, რომლის ეკონომიკურ საფუძველს შეადგენდა პრიმიტიულ მორწყვაზე დაფუძნებული მიწათმოქმედება (უპირატესად ხორბლეულის მოყვანა), აგრეთვე მებოსტნეობა და მასთან ერთად მესაქონლეობაც (მსხვილი რქოსანი პირუტყვი). ამ საზოგადოების სოციალური სტრუქტურა ხასიათდება მატრიარქატზე გადასვლით, ტერიტორიულ-მეზობლური თემის ჩამოყალიბებით და ცალკეულ ოჯახთა ეკონომიკური განკერძოებით, რაც უკვე პირველყოფილი საზოგადოების რღვევის სტიმულადაა აღიარებული. ამასთან ერთად, არქეოლოგიური კვლევა-ძიება ავლენს უაღრესად საინტერესო და მრავალფეროვან კულტურულ, ეკონომიკურ და ეთნიკურ ურთიერთკავშირებს კავკასიისა და წინა აზიის უძველეს სამიწათმოქმედო კულტურებთან — ძველი საქართველოს აქტიურ მონაწილეობას ძველი სამყაროს განვითარების მსოფლიო-ისტორიულ პროცესში[39].

---

[37] კრებული „ქვემო ქართლის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები" (აღ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს ა და ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ი ს რედაქტორობით), თბ., 1975, თ. კ ი ღ უ რ ა ძ ე, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის ადრესამიწათმოქმ დო კულტურის პ. რიოდიზაცია, თბ., 1976.

[38] იხ. ტ. ჩ უ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი ს „ანგარიშები" კრებულში ПАИ (в 1972—76 гг.); მ ი ს ი ვ ე, ახალი მასალები ქვემო ქართლის ადრესამიწათმოქმედო კულტურის ისტორიისათვის, „ძეგლის მეგობარი", 33, 1973.

[39] ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, აღ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, უძველესი მიწათმოქმედი მოსახლეობის კულტურა საქართველოს ტერიტორიაზე, თბ., 1971; ტ. ჩ უ ბ ი ნ ი შ ვ ი ლ ი, ენეოლითური და ადრებრინჯაოს კულტურა საქართველოში, სინ, 1, 1970, გვ. 129—201; ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ქართველ ტომთა..., გვ. 46—54; ი. კ ი კ ე ი ძ ე, მიწათმოქმედება და სამიწათმოქმედო კულტი ძველ საქართველოში, თბ., 1976; გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, თეთრი წყაროს ნამოსახლარი, თბილისი, 1977. А. И. Джавахишвили, Строительное дело и архитектура поселений Южного Кавказа V—III тысячилетий до н. э., Тб., 1973; Т. Н. Чубинишвили, Л. М. Челидзе, К вопросу о некоторых определяющих признаках раннеземледельческой культуры, „მაცნე", ისტორიის სერია, № 1, 1978; Г. Н. Лисицина, Л. В. Прищененко, Палеоботанические находки Кавказа и Ближнего Востока, М., 1977.

დასავლეთ საქართველოში ამ დროისათვის გამოვლენილია, რამდენადმე განსხვავებული ენეოლითური კულტურა, რომელიც ადგილობრივი ნეოლითის საფუძველზე განვითარებულადაა მიჩნეული[40]. ამ ხანის ძეგლები აღმოჩენილია როგორც ზღვისპირა ზოლში — აფხაზეთში (მაჭარა, გუადიხუ)[41] ასევე რიონ-ყვირილის აუზში[42]. უკანასკნელი წლების აღმოჩენებიდან საგანგებოდაა აღსანიშნავი წყალტუბოს რაიონის სოფ. ხოტულში ე. წ. „თეთრ მღვიმეში" აღმოჩენილი ენეოლითური ეპოქის ნაშთები: თიხატკეპნილი მოედნები, კერები, თიხის ჭურჭელი (ზოგჯერ ნაკაწრი ხაზოვანი ორნამენტით შემკული), მრავალრიცხოვანი სარიტუალო ნივთები (მათ შორის ხარის, ცხვრის, თხისა და დათვის ქანდაკებები) და, რაც საგანგებოდაა აღსანიშნავი, უძველესი ლითონის ისრისპირი. „თეთრი მღვიმეს" ენეოლითური ძეგლები დიდ მსგავსებას ამჟღავნებენ ყვირილის ხეობის ისეთ სინქრონულ ძეგლებთან, როგორიცაა „სამელე კლდე" და „სამერცხლე კლდე", რომელთაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ე. წ. „მტკვარ-არაქსის" კულტურის გენეზისის პრობლემასთან დაკავშირებით[43].

4. „მტკვარ-არაქსის" კულტურის სახელით იხსენიება ასალი ეტაპი ადგილობრივი საზოგადოების განვითარებაში, რომელიც ძვ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრიდან იწყება. ეს კულტურა ჯერ კიდევ XX საუკუნის 30-იან წლებში აღმოჩნდა და თითქმის 60-იან წლებამდე ენეოლითურ კულტურად იყო მიჩნეული[44], მაგრამ ამჟამად იგი ერთხმადაა აღიარებული ბრინჯაოს კულტურად, რომელიც ამიერკავკასიისა და ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის, ჩრდილოეთ ირანისა და აღმოსავლეთ ანატოლიის ვრცელ ტერიტორიაზეა გავრცელებული. „მტკვარ-არაქსის" კულტურის კლასიკური ძეგლების (საჩხერეს ყორღანები[54], ქვაცხელები[46] და ხიზანაანთ გორა[47], ამირანის გორა[48], ილტო[49] და სხვ.) შესწავლის კვალდაკვალ უკანასკნელ წლებში აღმოჩნდა და გაითხარა ნამოსახლარი და სამაროვანი სამშვილდეში[50], სამაროვანი კოდაში[51], ნამოსახლარი ჟინვა-

---

[40] Л. Глонти, А. Джавахишвили, Г. Джавахишвили, Я. Киквидзе, Д. Тушабрамишвили, Некоторые итоги полевых работ 1964 года Урбнисской и Квирильской экспедиций, სსმმ, XXV—B, 1968. с. 10; В. В. Бжания, Древнейшая культура Абхазии (автореферат канд. дисс.), М., 1966, გვ. 6; გ. ჯავახიშვილი, ნეოლით-ენეოლითური კულტურების ურთიერთობა საქართველოს ტერიტორიაზე, სსმმ, XXIX—B, 1972; И. И. Цвинария, Поселение Гуандра. Тб., 1978.

[41] Л. Глонти და სხვ., დასახ. ნაშრომი; В. В. Бжания, Мачарское поселение эпохи энеолита и бронзы в Абхазии. СА, № 1, 1966.

[42] А. Н. Каландадзе, К. С. Каландадзе, Белая пещера. АИН, გვ. 83—90.

[43] Л. И. Глонти, დასახ. ნაშრომი, გვ. 10; Г. И. Джавахишвили, К истории раннеземледельческой культуры Западного Закавказья (автореферат канд. дисс.), Тб., 1971, გვ. 12.

[44] Б. А. Куфтин, Урартский «колумбарий» у подошвы Арарата и куроаракский энеолит, სსმმ, XIII—B, 1944.

[45] ო. ჯაფარიძე, ქართველი ტომების ისტორიისათვის ლითონის წარმოების ადრეულ საფეხურზე, თბ., 1951.

[46] ალ. ჯავახიშვილი, ლ. ღლონტი, ურბნისი, .1, თბ., 1962.

[47] ი. კიკვიძე, ხიზანაანთ გორის ადრებრინჯაოს ხანის ნასახლარი, თბ., 1972.

[48] ტ. ჩუბინიშვილი, ამირანის გორა, თბ., 1963.

[49] Ш. Ш. Дедабришвили, Культура эпохи ранней бронзы Иори-Алазанского бассеина (автореферат канд. дисс.), Тб., 1970.

[50] გ. მირცხულავა, სამშვილდე, თბ., 1975.

[51] Г. Г. Пхакадзе, Археологические исследования в с. Кода, АИН, გვ. 45—48.

ლის მიდამოებში[52], მრავალფენიანი ნასოფლარები ღრმახევისთავსა (დმანისის რაიონში)[53] და თბილისის მიდამოებში დიღმის ველზე. ამ უკანასკნელის ზედა ქრონოლოგიური საზღვარი ძვ. წ. III ათასწლეულს განეკუთვნება, ხოლო ქვედა ფენები კი — გვიანენეოლითური ეპოქით და ენეოლითიდან ადრებრინჯაოს პერიოდზე გარდამავალი ხანით თარიღდება. ამიტომ ამ აღმოჩენას გარკვეულ მნიშვნელობას ანიჭებენ კავკასიის არქეოლოგიის ისეთი რთული პრობლემის კვლევის საქმეში, როგორიცაა გენეტური კავშირის დადგენა ძვ. წ. V-IV ათასწლეულების ადრესამიწათმოქმედო კულტურებსა და „მტკვარ-არაქსის კულტურას“ შორის[54]. მეორე მხრივ, „მტკვარ-არაქსის კულტურის“ მის შემდგომ შუა ბრინჯაოს ხანის კულტურასთან მიმართების პრობლემასთან დაკავშირებით დიდ ინტერესს იწვევს მდ. მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდ. ოხერას ხეობაში განლაგებული ყორღანების შესწავლა[55].

„მტკვარ-არაქსის კულტურა“ ამჟამად მიჩნეულია განვითარებული მიწათმოქმედ-მესაქონლე საზოგადოების კულტურად. უკვე ძვ. წ. III ათასწლეულის პირველი ნახევრისათვის აღინიშნება მეტალურგიის გამოყოფა ცალკე დარგად. „მტკვარ-არაქსის კულტურის“ გენეზისისა და პერიოდიზაციის, არეალისა და ლოკალური ვარიანტების, ეთნიკური ატრიბუციის, საზოგადოებრივ ურთიერთობათა ფორმებისა და სხვ. პრობლემებს მიეძღვნა რიგი საყურადღებო ნაშრომებისა[56].

5. მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული შუა ბრინჯაოს ხანის (ძვ. წ. III ათასწლეულის დასასრული — II ათასწლეულის პირველი ნახევარი) კულტურის შესწავლაში. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 30-იან წლებში ქვემო ქართლში აღმოჩნდა ბრწყინვალე ყორღანული კულტურა, რომელსაც „თრია-

---

[52] Р. Рамишвили, и др., Археологичкские исследования в Арагвском ущелье, ПАИ в 1977 г., გვ. 140.

[53] Р. Абрамишвили, К. Кахиани, Д. Гоциридзе, Грмахевские селища и могильник, ПАИ в 1974 г., გვ. 20—22.

[54] კრებული „თბილისი I“ (არქეოლოგიური ძეგლები), რ. აბრამიშვილის რედაქციით, თბ., 1976, გვ. 28—48.

[55] З. Шатберашвили, Раскопки курганов Доеси и Охера, ПАИ в 1974. г., გვ. 55—56.

[56] გ. მელიქიშვილი, ქართველები და მათი წარმომაელობის საკითხი, სინ, I, გვ. 343; ო. ჯაფარიძე, ქართველ ტომთა..., გვ. 62—168; ც. აბესაძე, ლითონის წარმოება ამიერკავკასიაში ძვ. წ. III ათასწლეულში, თბ., 1969; გ. ფხაკაძე, მტკვარ-არაქსისა და საქართველოს ადრებრინჯაოს ხანის კულტურების ზოგიერთი შეხვედრა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, „საქართველოს არქეოლოგიის საკითხები“, I, 1978; К. Х. Кушнарева, Т. Н. Чубинишвили, Древние культуры Южного Кавказа, Л., 1970; Т. Н. Чубинишвили, К древней истории Южного Кавказа, Тб., 1971; его же, Некоторые особенности древних культур Южного Кавказа и их взаимоотношения с переднеазиатскими культурами IV—III тысячилетий до н. э., «Вопросы древней истории» (Кавказско-Ближневосточный сборник, IV), Тб., 1973; Г. И. Мирцхулава, Памятники эпохи древнего металла Самшвилде и куроаракская культура квемо Картли (автореферат канд. дисс.), Тб., 1972; А. И. Джавахишвили, Строительное дело... გვ. 223; Р. Ж Бетрозов, Культура племен Центрального Кавказа в эпоху раннего металла, (автореферат канд. дисс.), Тб., 1972; Р. М. Мунчаев, Кавказ на заре бронзового века, М.,1975; Г. Мачавариани, К типологической характеристике общекартвельского языка-основы, ВЯ, 1966,№ 1; Т. В. Гамкрелидзе, В. В. Иванов, Древняя Передняя Азия и индоевропейская проблема, ВДИ, 1980, № 3, გვ. 25—26.

ლეთური კულტურა“ ეწოდა[57]. ამასთან დაკავშირებით, საგანგებოდაა აღსანიშნავი, რომ ახლახან სრულად გამოქვეყნდა თრიალეთური კულტურის ძეგლები ბ. კუფტინის 1936-1940 და 1947-1948 წლების გათხრებიდან[58], რაც მნიშვნელოვანი წვლილია თრიალეთური კულტურის შესწავლის საქმეში. ამასთან გამოქვეყნდა ე. გოგოძის საყურადღებო მონოგრაფია, რომელშიც მოცემულია თრიალეთური კულტურის პერიოდიზაცია, ნაჩვენებია ამ კულტურის ძირითადი ელემენტების გენეტური კავშირი მტკვარ-არაქსის კულტურასთან და სხვ.[59].

60-იან წლებში გომარეთის პლატოზე (დმანისის რაიონი) აღმოჩენილ ყორღანებს მიეძღვნა ო. ჯაფარიძის მონოგრაფია, რომელშიც განხილულია თრიალეთური კულტურის პერიოდიზაციის და ამ კულტურის შემქმნელთა ეთნიკური ვინაობის საკითხები[60].

თრიალეთური კულტურის ადრეული ეტაპის შესასწავლად დიდი მნიშვნელობა აქვს ბედენში მონუმენტური ყორღანული სამარხის აღმოჩენას[61].

70-იანი წლები აღინიშნა ამ კულტურის ახალი კერების აღმოჩენით საკუთრივ თრიალეთის ფარგლებს გარეთ. მესხეთში (ვარძიის მახლობლად) შესწავლილია ყორღანები, მონუმენტური სამარხი კამერებითა და თრიალეთური კულტურისათვის დამახასიათებელი ინვენტარით[62], ხოლო კახეთში (იორ-ალაზნის სარწყავი სისტემის მშენებლობის ზონაში) აღმოჩენილია მთელი სერია ძვ. წ. III და II ათასწლეულების ყორღანებისა, რომლებიც დაკრძალვის წესითა (ხით ნაგები სამარხი დარბაზები, დასაკრძალავი ეტლები) და საკმაოდ მდიდრული ინვენტარით (ოქროსა და ვერცხლის სამკაულები, ბრინჯაოს იარაღი, შავპრიალა კერამიკა) ექცევიან თრიალეთური კულტურის არეალში. კახეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილია აგრეთვე მთელი წყება ნამოსახლარებისა, სადაც პირველადაა ფიქსირებული თრიალეთური კულტურის სინქრონული მძლავრი კულტურული ფენები, აგრეთვე შუა ბრინჯაოს ხანიდან გვიანბრინჯაოს ხანის ადრეულ ეტაპზე გარდამავალი ფენები[63].

6. გვიანბრინჯაოს ხანა (ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარი) საქართველოში აღინიშნება დიდ ტერიტორიაზე ერთგვაროვანი კულტურული არეალების შექმნით (დასავლურ-ქართული ანუ კოლხური ბრინჯაოს კულტურის სახელით რომაა ცნობილი. და აღმოსავლურ-ქართული თუ დასავლურ-ამიერკავკასიური), ამასთან, საწარმოო ძალების, პირველ რიგში, ბრინჯაოს მეტალურგიის სწრაფი განვითარებით, მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის კიდევ უფრო დაწინაურებით. ამავე დროს არქეოლოგიურ მასალებში წარმოჩენილია

---

[57] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, Тб., 1941.

[58] Л. Б. Жоржикашвили, Э. М. Гогадзе, Памятники Триалети эпохи ранней и средней бронзы, Тб., 1972.

[59] ე. გოგაძე, თრიალეთის ყორღანული კულტურის პერიოდიზაცია და გენეზისი, თბ., 1972.

[60] ო. ჯაფარიძე, არქეოლოგიური გათხრები თრიალეთში, თბ., 1969; მისივე, შუა ბრინჯაოს ხანა საქართველოში, სინ, I, გვ. 201—242.

[61] გ. გობეჯიშვილი, ბედენის აკლდამა, ძმ, 1967.

[62] ო. ჯაფარიძე, ი. კიკვიძე, მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიშები, სმაე, III, გვ. 40—54; IV, გვ. 41—47; V, გვ. 43—59; VI, გვ. 46—52.

[63] კ. ფიცხელაურისა, და სხვ. „ანგარიშები“ კრებულში ПАИ (в 1972—1977 гг.); К. Н. Пицхелаури, Ш. Ш. Дедабришвили, Археологические исследования на новостройках Кахети, АИН, гг. 11—12; Ш. Ш. Дедабришвили, Курганы Алазанской долины, Тб,. 1979.

სოციალური დიფერენციაციისა და კლასთა წარმოქმნის პროცესები, ეთნიკურ-დემოგრაფიული ძვრები, პროტოქალაქური ტიპის მსხვილი სამოსახლოების წარმოქმნა და ა. შ. ამიტომაც გვიანბრინჯაოსა და ადრერკინის ხანის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოში სახელმწიფო ორგანიზაციისა და ურბანისტული ცივილიზაციის წანამძღვრების წარმატებული კვლევისათვის.

აღმოსავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაოს ხანის მეცნიერულ შესწავლას, როგორც ცნობილია, მცხეთაში ჩაეყარა საფუძველი: სამთავროს სამაროვანი ამ ეპოქის კლასიკური ძეგლია და მას ამიერკავკასიის არქეოლოგიური ძეგლების პერიოდიზაციისათვის გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებენ[64]. გ. ნიორაძის ხელმძღვანელობით განხორციელებულმა გათხრებმა კოლხეთის დაბლობზე კი[65] დასაბამი მისცეს დასავლურ-ქართული ბრინჯაოს კულტურის შესწავლასაც[66].

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის წარმატებით კვლევაში დიდი როლი შეასრულა აკად. ნ. ბერძენიშვილის თაოსნობით უძველესი სამოსახლო გორების შესწავლამ[67], რომელიც განსაკუთრებით ინტენსიურად 60-იან წლებში მიმდინარეობდა. მაშინ აღმოჩნდა ასეულობით „გორები"[68] და განხორციელდა კიდეც ტოტალური შესწავლა ერთ-ერთი ასეთი გორისა („ხოვლე-გორა")[69].

ამჟამად გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლები (სამოსახლოები, სამაროვნები, სამლოცველოები, განძები, წარმოების ნაშთები) მრავლადაა გამოვლენილი, აღნუსხული და ნაწილობრივ გათხრილ-შესწავლილიც საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში: შიდა ქართლში[70], ცენტრალური

---

[64] ალ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, გვიანბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანის ძეგლები აღმოსავლეთ საქართველოში, სა, გვ. 107—129; რ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოსა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის, სსმმ, XIX—B და XXI—B, 1957; გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, ბრინჯაოს სატევრები და მახვილები სამთავროს უძველეს სამარხებში, თბ., 1974; გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანა საქართველოში, სინ, I, გვ. 243—311.

[65] გ. ნ ი ო რ ა ძ ე, არქეოლოგიური გათხრები კოლხიდაში, „ენიმკის" მოამბე, X, 1941.

[66] ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, კოლხური ცული, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XVI—B, 1950; ო. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, გვიანბრინჯაოს ხანის ძეგლები დასავლეთ საქართველოდან: სა, თბ., 1959; დ. ქ ო რ ი ძ ე, მატერიალური კულტურის უძველესი ძეგლები, თბ., 1961; მ ი ს ი ვ ე, კოლხური კულტურის ისტორიისათვის, I, თბ., 1965; A. A. Иессен, К вопросу о древнейшей металлургии меди на Кавказе, ИГАИМК, вып. 120, 1935; თ. მ ი ქ ე ლ ა ძ ე, ძიებანი კოლხეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიიდან, თბ., 1974; ალ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათუმი, 1974; М. М. Иващенко, Материалы к изучению культуры колхов, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, II, თბ., 1941; Б. А. Куфтин, Материалы по археологии Колхиды, тт. I—II, Тб., 1949/1950

[67] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., I, 1964, გვ. 363; VIII, 1975, გვ. 23.

[68] გ. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, შიდა ქართლის 1955 წ. დაზვერვითი ექსპედიციის შედეგები: „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული", I, 1960.

[69] ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის წყაროთმცოდნეობისა და ისტორიული გეოგრაფიის განყოფილების II სამეცნიერო სესია, 1964 წ. მუშაობის გეგმა და ანოტაციები, თბ., 1964; დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ხოვლეს ნამოსახლარის არქეოლოგიური მასალა, თბ., 1978.

[70] გ. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, მ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, კასპის სამაროვანი, მსკა, IV, 1965; Г. Г. Цкитишвили, З.,Г. Шатберашвили, Итоги археологической экспедиции Каспского района, ПАИ в 1972 г., გვ. 53; Ш. Иремашвили, Могильник позднебронзовой эпохи в с. Рене, ПАИ в1974., გვ. 33—34.

კავკასიონის სამხრეთ კალთებზე[71], არაგვისა და ივრის ხეობებში[72], ქვემო ქართლში[73], მესხეთ-ჯავახეთში[74], კახეთში[75], ზღვისპირა ზოლში (ბათუმიდან ქობულეთამდე[76], სოხუმსა და მის მიდამოებში[77]), რიონის ქვემო წელზე[78], მღ. ტეხურის მარცხენა სანაპიროზე[79], ყვირილის ხეობაში[80], ძველი კოლხეთის მთიან ოლქებში (რაჭა-ლეჩხუმი[81], სვანეთი[82]).

უკანასკნელი წლების აღმოჩენებიდან საგანგებოდაა აღსანიშნავი მცხეთაში სამთავროს ველის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს მდებარე გორაზე სამოსახლოების აღმოჩენა: ნახევრად მიწური, ტერასულად განლაგებული და ბანურ-სახურავიანი ერთოთახიანი სახლები საკურთხეველით, პურის საცხობი ღუმელითა და ზღვეთი[83].

გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის მსხვილი სამოსახლოები მიჩნეულია პროტოქალაქური ტიპის დასახლებებად[84]. ერთ-ერთი ასეთი ტიპის სამოსახლოს არქეოლოგიური შესწავლა ფართო მასშტაბით მიმდინარეობს თბილისის დასავლეთ კარიბჭესთან — დიღმის ველზე. აქ აღმოჩენილია ვრცელი სამოსახლო-„თრელი გორები“, რომლებიც 1,5 კმ-ის მანძილზეა გაჭიმული და სინქრონული სამაროვანი, სადაც რიგით ირმოსამარხებთან ერთად წარმოდგენილია სხვადასხვა ტიპის მდიდრული სამარხებიც, რომლებიც თვალსაჩინოდ ასახავენ „ქალაქური რევოლუციისა“ და სახელმწიფოებრიობის ზღურბლზე მდგარი სა-

---

[71] Б. В. Техов, Очерки древней истории и археологии Юго-Осетии, Тб., 1947 его же, Центральный Кавказ в XVI—X вв. до н. э., М., 1977.

[72] Р. Рамишвили, Б. Джорбенадзе и др., О работе Жинвальской экспедиции, ПАИ (в 1972—1977 гг.); Л. Цитлападзе и др., Археологические исследования в долине р. Нареквави, ПАИ в 1974.; АИН, გვ. 62—66.

[73] Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, გვ. 20—77; ნ. თუშიშვილი, მადნის ჭალის სამაროვანი, თბ., 1972; გ. ავალიშვილი, ქვემო ქართლი ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში, თბ., 1974; მ. მენაბდე, ახალი სამარხეული კომპლექსი ს. განთიადიდან, „მაცნე“, ისტორიის.. სერია, № 4, 1971; ნ. თუშიშვილისა და სხვ. ანგარიშები ПАИ в 1972—1977 гг.

[74] ო. ღამბაშიძე, რველის სამაროვანი, ძმ, № 39, 1975; მისივე, „ანგარიშები“, ПАИ в 1972—1977 гг.

[75] კ. ფიცხელაური, აღმოსავლეთ საქართველოს ტომთა ისტორიის ძირითადი პრობლემები, თბ., 1973, კრებული: «Труды Кахетской археологической экспедиции», Тб., 1969; ПАИ в 1972— 1977 гг.

[76] ა. ინაიშვილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს უძველესი ნამოსახლარებისა და ნაქალაქარის შესწავლის შედეგები, სდსაძ, III, 1973; ალ. რამიშვილი, კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათუმი, 1974; მისივე, Раскопки приморских стоянок в Пичвнари, СА, 1975, № 4.

[77] М. М. Трапш, Труды I, Памятники эпохи бронзы и раннего железа в Абхазии, Сухуми, 1970; Ю. Н. Воронов, Археологическая карта Абхазии, Сухуми, 1970.

[78] თ. მიქელაძე, რიონის ქვემო წელის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1978.

[79] დ. ქორიძე, ე. გოგაძე, სხვ. ნოსირის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგები, სმაე, I, გვ. 35—39; II, გვ. 31—48; III, გვ. 60—65; IV, გვ. 47—58; V, გვ. 60—71; VI; გვ. 53—61.

[80] ჯ. ნადირაძე, ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., გვ. 16.

[81] Л. Сахарова и др., Итоги работ Лечхумской экспедиции, ПАИ в 1972 г.

[82] შ. ჩართოლანი, სვანეთის ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1977.

[83] „მცხეთა“ II (ა. აფაქიძის რედაქციით), თბ., 1978, გვ. 109—119.

[84] დ. ხახუტაიშვილი, იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966; გვ. 62 და შემდ.

ზოგადების შორსწასულ სოციალურ სტრატიფიკაციას. ამავე დროს სამარხთა არაჩვეულებრივი სიმრავლე და მათი სტრატიგრაფიული განლაგება, სამარხეული ინვენტარის ტიპოლოგიური და ფუნქციონალური მრავალფეროვნება განსაზღვრავს „თრელი-გორეების" სამაროვნის მნიშვნელობას გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ეტალონურ ძეგლთა შორის[85].

მთელი წყება ნაშრომებისა მიეძღვნა ისეთი პრობლემების კვლევას, როგორიცაა გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის არქეოლოგიური ძეგლების პერიოდიზაცია[86], არქეოლოგიური კულტურების ეთნიკური ატრიბუცია[87], ცალკეული არქეოლოგიური კომპლექსების დათარიღება[88], არქეოლოგიური კატეგორიების (კერამიკა[89], ლითონის ნაკეთობანი[90]) ტიპოლოგიური ,მხატვრულ სტილისტური[91] და ტექნოლოგიური ანალიზი[92].

მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული რკინის მეტალურგიის შესწავლის საქმეში. ივარაუდება, რომ რკინის წარმოება საქართველოში ძვ. წ. XIV საუკუნიდან იწყება, ხოლო რკინის ფართო ათვისება ძვ. წ. XII ს-ის დასასრულიდან[93]. გეგმაზომიერად განხორციელებული კვლევის შედეგად დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილია ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულითა და I ათასწლეულის პირველი ნახევრით დათარიღებული რკინის წარმოების ასეულობით ნაშთები (რკინის სადნობი ქურები, წიდები, ცეცხლგამძლე თიხის შე-

---

[85] კრებული „თბილისი I" (რ. აბრამიშვილის რედაქციით), თბ., 1978.

[86] რ. აბრამიშვილი, სამთავროს სამაროვანი..., მისივე, La necropole de Samthavro et la chronologie des civilisation archeologique du Bronze Actes du VIII congres international de science prehistoriques et protohistorique, t. III, Belgrad. 1973. თ. მიქელაძე, ძიებანი..., გვ. 10 და შემდ.; კ. ფიცხელაური, აღმ. საქართველოს... Б. В. Техов, Тлийский могильник и проблема хронологии культуры поздней бронзы-раннего железа, СА, 1973, № 3.

[87] გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის. თბ., 1965; მ. ისიეი, ქართველები..., გვ. 312 და შემდ. თ. მიქელაძე. ძიებანი..., გვ. 5; კ. ფიცხელაური, აღმ. საქართველო..., გვ. 190 და შმდ.

[88] ალ. რამიშვილი, ფოქვნარის ზღვისპირას სადგომების დათარიღებისათვის, „მაცნე", № 2, 1974; მ. ბარამიძე, შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, მსკა, VI, 1974; ო. ღამბაშიძე, გვიანბრინჯაოს ძეგლები სოფ. დოღლაურიდან, მსკა, VI, 1974.

[89] ლ. სახაროვა, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კერამიკა ქუთაისის მიდამოებიდან, „მაცნე" № 4, 1970; გ. ფხაკაძე. მასალები აბედათის დიხა-გუჯუბადან, მსკა, VI, 1974;

[90] ლ. სახაროვა, უძველესი საბრძოლო იარაღის ისტორიისათვის, „მაცნე", № 3, 1970; დ. ქორიძე, ალისებურპირიანი შუბებისა და ხელშუბების არეალისა და გენეზისის საკითხისათვის, სსმმ, XXIX—B, 1972.

[91] მ. ხიდაშელი, ირმის სკულპტურული გამოსახულება აღმ. საქართველოდან, „მაცნე", № 2, 1973; ნ. აბრამიშვილი, ბრინჯაოს სარტყელი თრელის სამაროვნიდან, ძმ, 39, 1975; ლ. ფანცხავა, კოლხური ცული ირმის გამოსახულებით, სსმმ, XXIX—B 1972; მისივე, К истории художественного ремесла колхидской и кубанской культуры (автореферат канд. дисс.), Тб., 1975; Н. Е. Урушадзе, Опыт художественно-образного анализа бронзового пояса из Самтавро, СА, 1970. № 1.

[92] ც. აბესაძე, რ. ბახტაძე, თ. დვალი, ო. ჯაფარიძე. სპილენძ-ბრინჯაოს მეტალურგიისათის საქართველოში. თბ., 1958; Ф. Тавадзе, Т. Саквареллидзе, Бронзы древней Грузии, Тб., 1959; Г. А. Вознесенская, Б. В. Техов, Технология производства кузнечных изделий, СА, № 3. 1973.

[93] რ. აბრამიშვილი, რკინის ათვისების საკითხისათვის აღმ. საქართველოს ტერიტორიაზე, სსმმ, XXII—B, 1961.

სანახად განკუთვნილი მოედნები და სხვ.)[94]. ამავე დროს რკინის წარმოების ფართო მასშტაბები შესანიშნავადაა ილუსტრირებული კოლხეთის სხვადასხვა პუნქტში (პალური, ნიგვზიანი, ურეკი, მერხეული, ბრილი) ძვ. წ. VIII-VII სს-ების სამაროვნებზე აღმოჩენილი რკინის სასოფლო-სამეურნეო და საომარი იარაღების არაჩვეულებრივი სიმრავლით[95].

7. ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებიდან საქართველოს მიწა-წყალზე ყალიბდება ორი სახელმწიფო: ქართლის სამეფო (ბერძნულ-რომაული წყაროების იბერია) და დასავლურ-ქართული სახელმწიფო, რომელიც ანტიკურ სამყაროში კოლხეთის სახელით იყო ცნობილი.

მნიშვნელოვანი წარმატებებია მოპოვებული ქართლის სამეფოს ქალაქების შესწავლაში, რასაც საფუძველი 30-იან წლებში ჩაეყარა მცხეთაში, და საკმაო ფართო მასშტაბით ხორციელდებოდა დიდი სამამულო ომის შემდგომ — 50-იან და 60-იან წლებში[96].

უკანასკნელი წლების აღმოჩენებიდან საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მდ. მტკვრის შუა წელზე აღმოჩენილი და შესწავლილი ძვ. წ. IV-III სს-ების ნაქალაქარები (სამადლო[97], ნასტაკისი[98], ციხიაგორა[99]). ამ ნაქალაქართა და მათი სინქრონული სამაროვნების (კამარახევი[100], მუხათგვერდი[101]) აღმოჩენა-შესწავლა ქართული არქეოლოგიის ერთ-ერთ თვალსაჩინო მიღწევად უნდა ვაღიაროთ: უცილობლად დადასტურდა ძველი ქართული საისტორიო ტრადიციის („ქართლის მოქცევა", ლეონტი მროველის „მეფეთა ცხოვრება") დაჟინებითი მითითება ფარნავაზის წინარე ხანის ქართლში ქალაქების არსებობის შესახებ. ურ-

---

[94] ი. გ ძ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, აჭარაში 1960—61 წწ. აღმოჩენილი რკინის სადნობი ჭურა სახელოსნოები, სდსაძ, I, 1964; დ. ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი, რკინის წარმოების ძველკოლხური ცენტრის არქეოლოგიური გათხრები ჩოლოქ-ოჩხამურის ხეობაში 1970 წ., სდსაძ, V, 1975; И. А. Г з е л и ш в и л и, Железноплавильное дело в древней Грузии, Тб., 1964; Д. А. Х а х у т а й ш в и л и, Новооткрытые памятники древнеколхидской металлургии железа, КСИА, 151, 1977; е г о ж е, A contribution of the Kartvelian Tribes to the Masiery of irony metallurgy in the Ancient Near East, Acta Antiqva, Budapest, 1974 t. XXII, fasc. 1—4.

[95] დაწერ. გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, განვითარებული რკინის ხანის ძეგლები რიონის სათავეებში, სა, გვ. 190—206; მ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, მერხეულის სამაროვანი, თბ., 1977 ნ. ო ქ რ ო პ ი რ ი ძ ე, მ. ბ ა რ ა მ ი ძ ე, პალურის საძვლე, მსკა, VI. 1974; Т. К. М и к е л а д з е, М. В. Б а р а м и д з е, Колхский могильник VII—VI вв. до н. э. в с. Нигвзиани, КСИА, 151, 1977; Т. К. М и к е л а д з е и др., Исследования Колхидской экспедиции, ПАИ в 1976 г., гр. 134—137.

[96] ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, ქალაქები და საქალაქო ცხოვრება ძველ საქართველოში, თბ., 1963; დ. ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი, იბერიის ქალაქთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966; მ ი ს ი ვ ე, უფლისციხე, I, 1964; II, 1975; ლ. ჭ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ნაქალაქარი ურბნისი, თბ., 1964; ვ. ზ ა ქ ა რ ა ი ა, ნაქალაქარ ურბნისის ხუროთმოძღვრება, თბ., 1965.

[97] Ю. М. Г а г о ш и д з е, Самадло, Тб., 1979.

[98] Ал. Б о х о ч а л з е, Настакиси, Саркине, Дзалиси—города Иберии античной эпохи, КСИА, 151, 1977.

[99] Г. Г. Ц к и т и ш в и л и, Результаты работ на «Цихиа-гора» (1971—1974), КСИА, 151, 1977.

[100] რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, კამარახევის სამაროვანი, მსკა, II, 1959; „მცხეთა" II, გვ. 103-109.

[101] ძვ. წ. IV—III სს. სამაროვანი მუხათგვერდში 1979 წელს აღმოჩინა მცხეთის ექსპედიციამ.

ბანიზმის დამახასიათებელი არსებითი ნიშნებით: აკროპოლისი და თავდაცვითი კედლები; კრამიტით გადახურული ნაგებობანი, საკულტო და საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები, მდიდრული აკლდამები; ადგილობრივი მრავალფეროვანი ხელოსნური ნაწარმი, რომელთა შორის გამოირჩევა მონუმენტური მოხატული კერამიკა; იმპორტი და სხვ.), რის გამოც ძვ. წ. IV-III სს-ების ქართლში ქალაქთწარმოქმნის ამ პროცესს ჩვენ „ურბანისტული აფეთქება" შეიძლება ვუწოდოთ.

ძვ. წ. I ს-ის დასასრულისა და ახ. წ. პირველი საუკუნეების ქართლის ქალაქებში ხელოსნური წარმოების ისტორიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა მცხეთასთან (ცარსნიხევში) სულ ახლახან აღმოჩენილი „ხელოსანთა უბანი" საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობებით, საწარმოო ნაშთებითა და სამაროვნით[102].

ახ. წ. პირველი საუკუნეების ქართლში მაღალდაწინაურებული საქალაქო ცხოვრების ბრწყინვალე ძეგლია ძალისის ნაქალაქარი. ესაა ე. წ. რეგულარული პრინციპით დაგეგმარებული ქალაქი ურთიერთგადამკვეთი ქუჩებითა და მოედნებით (ზოგიერთი აგურის ფილებით რომაა მოგებული), საზოგადოებრივი, საკულტო და საცხოვრებელი ნაგებობებით, წყალსადენებითა და საკანალიზაციო სისტემებით, შესანიშნავი მოზაიკებით მორთული ტაძრებითა და აბანოებით[103].

თავისი არქიტექტურით სრულიად უნიკალურია საქართველოსათვის მონუმენტური სატაძრო კომპლექსი, რომელიც ქარელის რაიონში „დედოფლის მინდორზეა" აღმოჩენილი და ძვ. წ. II — ახ. წ. I სს.-ებით თარიღდება. უკვე გათხრილია დიდი და მცირე ტაძრები, პორტალი, აივანი და სხვა ნაგებობანი, რომელნიც დაახლოებით 25 ჰა ფართობზეა ე. წ. რეგულარული დაგეგმარებით გაშენებული[104] და ადასტურებენ წერილობითი წყაროების ცნობებს ქართლში სატაძრო თემების არსებობის შესახებ[105].

ქართლის სამეფოს პოლიტიკური ორგანიზაციის ისტორიის თვალსაზრისით უაღრესად დიდ ინტერესს იწვევს არმაზისხევის ფართოდ ცნობილი ერისთავთა სამაროვნის[106] მსგავსი ნივთების შემცველი სამარხების აღმოჩენა ზღუდერში[107], ხოლო უკანასკნელ წლებში — მდიდრული სამარხების სერია და სასახლის ტიპის ნაგებობათა ნაშთები სოფ. არანისთან და არაგვისპირთან, რაც აქ გვიანანტიკური ხანის არაგვის ერისთავთა რეზიდენციის არსებობად იქნა მიჩნეული[108] და შესაბამისად, კიდევ ერთ მოწმობად ძველი ქართული საისტორიო ტრადიციის ჩვენებებისა და ფარნავაზის მიერ ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად დაყოფის შესახებ.

---

[102] „მცხეთა II", გვ. 8 და შემდ.

[103] ალ. ბ ო ხ ო ჩ ა ძ ე, ანტიკური ხანის ქართლის სამეფოს ქალაქების ისტორიის ზოგიერთი საკითხი (ძალისა), სას, II, 1978; ПАИ в 1974— 1977 гг.

[104] ი. გ ა გ ო შ ი ძ ე, წარმართული სატაძრო კომპლექსის გათხრები დედოფლის მინდორზე, სმაე, V, გვ. 72—83; VI, გვ. 62—77; მ ი ს ი ვ ე, Раскопки храма I в. до н. э. в Дедоплис миндори, КСИА, 151, 1977.

[105] გ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ახ. წ. პირველი საუკუნეების ქართლის სოციალურ-ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი საკითხები, სინ, I, გვ. 582—592.

[106] ა. ა ფ ა ქ ი ძ ე, გ. გ ო ბ ე ჯ ი შ ვ ი ლ ი, ალ. ქ ა ლ ა ნ დ ა ძ ე, გ. ლ ო მ თ ა თ ი ძ ე, არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები, „მცხეთა", I", თბ., 1955.

[107] Г. М. Немсадзе, Погребение иберийской знати из Згудери, КСИА, 151, 1977.

[108] Р. М. Рамишвили, Новые открытия на новостройках Арагвского ущелья, КСИА, 151, 1977.

დასავლეთ საქართველოს ანტიკური ხანის ძეგლების შესწავლის მიზნით განხორციელებულმა კვლევა-ძიებამ წარმოაჩინა ძველი კოლხეთი, ადრე რომ მხოლოდ ბერძენ-რომაელ ავტორთა ძუნწი ცნობებითა და ოქროს საწმისისათვის არგონავტთა ლაშქრობის შესახებ მითით იყო ცნობილი.

ჯერ კიდევ დიდი სამამულო ომის წინ და მის შემდგომ ძველი კოლხური სამოსახლოები და სამაროვნები გამოვლინდა კოლხეთის დაბლობსა[109] და მთიან ოლქებში[110]. უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე კი ინტენსიური კვლევა მიმდინარეობს როგორც ზღვისპირა ზოლში, ასევე ქვეყნის შიდა რაიონებსა და მთიან ზოლში[111]. საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებს მიეძღვნა ფუნდამენტური პუბლიკაციები ,ქობულეთ-ფიჭვნარის[112], ,რიონის ქვემო წელის[113], ეშერის[114], ბიჭვინტის[115], ვანის[116], ყვირილას ხეობის[117] ნაქალაქართა და ნამოსახლართა არქეოლოგიური კვლევა-ძიების 'შედეგების შესახებ. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებული მასალების საფუძველზე ოდესღაც „ლეგენდარულ ქვეყნად" წოდებული კოლხეთი ახლა წარმოგვიდგება როგორც მაღალდაწინაურებული ცივილიზაციის ერთ-ერთი მძლავრი კერა — სახელმწიფოებრივი სისტემა მრავალრიცხოვანი ქალაქებით, განვითარებული მიწათმოქმედებით, მრავალდარგობრივი ხელოსნური წარმოებითა და უაღრესად თვითმყოფადი ნივთიერი კულტურით (კერამიკა, ოქრომჭედლობა, ტორევტიკა, არქიტექტურა და ა. შ.), ფულადი მეურნეობით და გაცხოველებული საშინაო თუ საგარეო ვაჭრობით ანტიკურ ცენტრებთან[113].

არქეოლოგიური მასალები იქცა ძირითად წყაროდ ისეთი დიდმნიშვნელოვანი მეცნიერული პრობლემების კვლევისათვის, როგორიცაა ანტიკური ხანის იბერიისა და კოლხეთის პოლიტიკური სისტემები, საზოგადოების სოციალური სტრატიფიკაცია, ქალაქებისა და სამოსახლოების ტიპოლოგიურ-ფუნქციონალური კლასიფიკაცია, ხელოსნური წარმოება, იდეოლოგიური რწმენა-წარმოდგენები, ხელოვნება, ძველი ბერძნული კოლონიზაცია და კოლხეთი, ელინისტური კულტურის გავრცელება, სავაჭრო-ეკონომიური და კულტურული ურთიერთობანი ანტიკურ სამყაროსთან და სხვ[119].

---

[109] ნ. ხოშტარია. ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები დასავლეთ საქართველოში, სა. გვ. 223 –250; Б. А. Куфтин. Материалы по археологии Колхиды, т.т I—II, Тб., 1950—1951.

[110] გ. გობეჯიშვილი, განვითარებული რკინის ხანის ძეგლები რიონის სათავეებში, სა. გვ. 190 –205.

[111] დაწვრ. О. Д. Лордкипанидзе, Новейшие археологические открытия в Грузии. Вестник АН СССР, № 9. 1975; მისივე, La Géorgie et le monde Crec, «Bulletin de Correspondance Hellenique», XCVIII, 1974, Paris.

[112] ა. კახიძე, აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ანტიკური ძეგლები, ბათუმი, 1975.

[113] თ. მიქელაძე, რიონის ქვემო წელის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1978.

[114] Г. К. Шамба, Эшерское городище, Тб., 1980.

[115] „დიდი პიტიუნტი" (ა. აფაქიძის რედაქციით), თბ., I, 1975, II, 1977, III, 1978.

[116] „ვანი" (თ. ლორთქიფანიძის რედაქციით), თბ., I, 1972, II, 1976; III, 1977; IV, 1978; V, 1980.

[117] ჯ. ნადირაძე, ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1975.

[118] О. Д. Лордкипанидзе, Древняя Колхида, Тб., 1979.

[119] გარდა ზემოთ დასახელებული მონოგრაფიებისა, სტატიებისა და კრებულებისა, იხ. რ. ფუთურიძე, გვიანანტიკური ხანის დასავლეთ საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, მსკა, II, 1959; ე. თოლორდავა, მასალები იბერიის სამეფოს ისტორიისათვის ძვ. წ. I ათასწ. მსკა, III, 1964; მისივე, ანტიკური ხანის სამარხები სოფ. ულიანოვკიდან, სას, I, გვ. 81-88;

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი გლიპტიკური ძეგლების კვლევა, რომლის შედეგად დადგინდა მხატვრული ხელოსნობის ამ დარგის განვითარების ძირითადი ეტაპები საქართველოში და წარმოების ადგილობრივი კერების არსებობა[120]. გამოიცა საქართველოს სხვადასხვა პუნქტში მოპოვებული გლიპტიკური ძეგლების კატალოგები[121]. ასევე დიდი და ნაყოფიერი მუშაობაა ჩატარებული ნუმიზმატიკური ძეგლების კვლევის, სისტემატიზაციისა და კატალოგიზირებისათვის, რაც იქცა პირველხარისხოვან წყაროდ ანტიკური ხანის იბერიისა და კოლხეთის ეკონომიური ისტორიისათვის[122]. საყურადღებო გამოკვლევები მიეძღვნა არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილ ეპიგრაფიკულ ძეგლებს[123].

ა. კ ა ხ ი ძ ე, საქართველოს ზღვისპირეთის ანტიკური ხანის ქალაქები, თბ., 1971; ი. გ ა გ ო შ ი ძ ე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები ქსნის ხეობიდან, თბ., 1964; ლ. წ ი თ ლ ა ნ ა ძ ე, ხევის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1976; ნ. მ ა თ ი ა შ ვ ი ლ ი, ძვ. წ. III—I სს. კოლხეთის ქალაქების ეკონომიური ისტორიიდან. თბ., 1977; გ. ლ ე ჟ ა ვ ა, ანტიკური ხანის საქართველოს არქიტექტურული ძეგლები, თბ., 1978: მ. ხ ი დ ა შ ე ლ ი, ბრინჯაოს მხატვრული დამუშავ ის ისტორიისათვის ანტიკურ საქართველოში, თბ.. 1972; რ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, ერწოს ველი გვიანარმაზულ ხანაში, თბ., 1979; ლ. ს ა გ ი ნ ა შ ვ ი ლ ი, ურბნისის სამაროვნის მინის ჭურჭელი, თბ., 1970; ოთ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ანტიკური სამყარო და კოლხეთი, თბ., 1966; მ ი ს ი ვ ე, ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო, თბ., 1968; ვ. ნ ი კ ო ლ ა ი შ ვ ი ლ ი, ანტიკური ხანის ძეგლები დიღმის ხეობიდან, სის, I, გვ. 91—102; ო. ლ ა ნ ჩ ა ვ ა, ქუთაისის ძველი ისტორიისათვის, ქუთაისი, 1975; М. П. И н а д з е, Причерноморские города Колхиды, Тб., 1968; Г. А. Л о р д к и п а н и д з е, Колхида в VI—II вв. до н.э, Тб. 1968; მ ი ს ი ვ ე, К истории древней Колхиды, Тб., 1970; К. М а ч а б е л и, Позднеантичная торевтика Грузии, Тб; 1976; Н. Ш. К и г у р а д з е, Дапнарский могильник, Тб., 1976; М. М. И в а щ е н к о, Самтаврские погребения первых трех веков н. э., მცხეთა III, თბ., 1980; Ю. Н. В о р о н о в. Об Эшерском городище. СА, 1972, № 1; Д Д. К а ч а р а в а, Город Гиэнос в античную эпоху (автореферат канд. дисс.),Тб., 1972; Н. В. В а ш а к и д з е, Археологические памятники античного времени из бассейна рр. Супса и Натанеби (автореферат канд. дисс.), Тб., 1975; К. Д. .К в и ж и н а д з е, Памятники раннеантичного периода Юго-Восточной Грузии (автореферат канд, дисс,)., Тб., 1975; Ц. Ш. Д а в л и а н и д з е, Культура Квемо Картли (Триалети) во второй половине I тысячелетия до н. э. (автореферат канд. дисс.), Тб., 1978; Л. Ш. Д ж и к и я, Археологические памятники Кутаисской земли (автореферат канд. дисс.), Тб., 1979; Г. А. Г а м к р е л и д з е, Древние поселения в среднем течении р. Риони (автореферат канд. дисс.), Тб., 1978; М.,С. П и р ц х а л а в а, Памятники скифской архаики на территории Грузии (автореферат канд. дисс.) Тб., 1975.

[120] М. И. М а к с и м о в а, Геммы из некрополя Мцхета-Самтавро, ССМД, XVI—В, 1950; მარგ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი I. თბ., 1969.

[121] მარგ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გემები,I, 1954; II, 1958; III, 1961: მ ი ს ი ვ ე. კოლხეთის ძვ. წ. V—III სს საბეჭდავი ბეჭდები, თბ., 1975; ქ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ურბნისის ნაქალაქარის გლიპტიკური ძეგლები, თბ., 1972; ქ. რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, სასანური გემები საქართველოში, თბ., 1979.

[122] დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969 (იქვე დასახ. ლიტ.); გ. დ უ ნ დ უ ა, ლომის გამოსახულებიანი კოლხური თეთრის გენეზის-სათვის, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1972, № 1; მ ი ს ი ვ ე. საქართველოში გაერცელებული ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სახელით მოჭრილი მონეტები, „მაცნე“, ისტორიის ს რია, 1973, № 1; მ ი ს ი ვ ე, (ა. კ ა ხ ი ძ ე ს თ ა ნ თანაავტ.), კოლხური თეთრის გენეზისის საკითხები, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1978, № 4; 1979, № 2; მ ი ს ი ვ ე, საქართველოს სამონეტო განძები, თბ. 1979.,

[123] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, არმაზის ბილინგვა, ენიმკის „მოამბე“. XIII, 1941; მ ი ს ი ვ ე, მცხეთის ახლად აღმოჩენილი ებრაული წარწერა, ენიმკის „მოამბე“, V—VI, 1940; მ ი ს ი ვ ე, 12. „მ ა ც ნ ე“, ისტორიის სერია, 1981, № 1

8. შუა საუკუნეების საქართველოს არქეოლოგიური ძეგლების შესწავლას აკად. ივ. ჯავახიშვილის თაოსნობით ჩაეყარა საფუძველი[121]. ჯერ კიდევ 1930 წელს ივ. ჯავახიშვილი მეურვეობდა ნოქალაქევ-არქეოპოლისის კვლევას, ხოლო 1936 წ. შოთა რუსთაველის პოემის „ვეფხისტყაოსნის" 750 წლის იუბილესთან დაკავშირებით დაიწყო შუა საუკუნეების ქალაქების (დმანისი, გუდარეხი) არქეოლოგიური გათხრები, რომელთა წარმართვა მაღალ პროფესიონალურ დონეზე წილად ხვდა აწ განსვენებულ ისტორიკოსსა და არქეოლოგს ლ. მუსხელიშვილს[125].

ომისშემდგომ პერიოდში, განსაკუთრებით კი 50-იანი წლებიდან განხორციელდა ფართო საველე სამუშაოები ქვემო ქართლსა და უჯარმაში, რუსთავსა და თბილისში, ნაქალაქარების, ნასოფლარებისა და წარმოების ნაშთების შესასწავლად[126]. უკანასკნელი წლების აღმოჩენებიდან საგანგებოდაა აღსანიშნავი ადრე შუა საუკუნეების ძეგლთა არქეოლოგიური შესწავლის შედეგები: აფხაზეთში ე. წ. წებელდური კულტურის სამაროვნები[127] და ციხე-ქალაქი გუდავაში, რომელიც ბიზანტიური წყაროების ზიგანისთანაა გაიგივებული[123]; ნოქალაქევში (ბიზანტიური წყაროების „არქეოპოლისი" — ძველი ქართული წყაროების ციხე-გოჯთან იდენტიფიცირებული) — სასიმაგრო კედლები და კოშკები, აბანო, მონუმენტური ბაზილიკა, აგრეთვე ელინისტური ხანის ქვევრსამარხები[128], ვარდციხეში (ბიზანტიური წყაროების „როდოპოლისი") საფორტიფიკაციო ნაგებობანი და მძლავრი კულტურული ფენები[130], ნასტაკისში (ქსნის შესართავთან) IV-VI სს. საცხოვრებელი კვარტალები და ქრისტიანული ტაძრე-

---

მცხეთის ბერძნული წარწერა ვესპასიანეს ხანისა, თბ., 1958; Г. В. Церетели, Армазская билингва, Тб., 1941; его же, Эпиграфические находки во Мцхета, 1948, ВДИ № 2; თ. ყაუხჩიშვილი, ბერძნული წარწერები საქართველოში, თბ., 1951; მისივე, ბიჟეინთის მოზაიკის ბერძნული წარწერა, სმამ, XVI, № 1955; მისივე, ვანის ბერძნული წარწერები, სმამ, XVIII, № 1, 1967; მისივე, წილკანში აღმოჩენილი გემის ბერძნული წარწერა, მსკა, 1, 1955; მისივე, Эпиграфические новости из Грузии, ВДИ, № 4, 1958; ს. ყაუხჩიშვილი, მცხეთა-სამთავროს ახლად აღმოჩენილი ბერძნული წარწერა, სმამ, IV, № 6, 1943; მისივე, არმაზში აღმოჩენილი ბერძნული წარწერები, სმამ, II, № 1—2, 1941.

[124] გ. ლომთათიძე, ივ. ჯავახიშვილი და გათხრითი არქეოლოგია, გვ. 16 და შემდ.

[125] იხ. კრებული „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა", თბ., 1938; „გუდარეხის 1938—1939 წწ. არქეოლოგიური კამპანიის ანგარიში" (ლ. მუსხელიშვილის რედაქციით), თბ., 1954.

[126] იხ. Г. А. Ломтатидзе, Некоторые итоги археологических раскопок памятников феодальной Грузии, СА, XXVII, 1957.

[127] М. М. Трапш, Культура Цебельдинских некрополей, Труды 3. Сухуми, 1971; Г. К. Шамба, Ахаччарху—древний могильник нагорной Абхазии, Сухуми, 1971; Ю. Н. Воронов, Тайна Цебельдинской долины, М., 1975; М. Гунба, Новые памятники Цебельдинской культуры, Тб., 1977.

[128] პ. ზაქარაია, ვ. ლექვინაძე, ჭაქვინჯისა და გუდავას ექსპედიციის ანგარიშები, სმაე, II, გვ. 96—102; III, გვ. 139—148.

[129] პ. ზაქარაია, ნ. ლომოური, ვ. ლექვინაძე, ნოქალაქევის ექსპედიციის ანგარიშები, სმაე, IV, გვ. 97—110; V, გვ. 103—113; VI, გვ. 78—87.

[130] ვ. ჯაფარიძე, ძველი ვარდციხე (ვარდიგორა), ძმ, 46, 1977; მისივე, ნაქალაქარ ვარდციხის არქეოლოგიური შესწავლისათვის, ფხაძ, II, 1974; В. М. Джапаридзе, Д. К. Джгамая, Об археологических исследованиях в зоне строительства Варцихе, ГЭС, АИН, გვ. 91—94.

ბი[131], სოფ. კაზრეთში (სამხრეთ-აღმ. საქართველო) — ადრექრისტიანული საკულტო ნაგებობანი და რელიეფურგამოსახულებიანი ქვის სტელები[132]; დმანისის მიდამოებში ადრექრისტიანული სიუჟეტებით, აგრეთვე მოხელეთა, ცხოველთა და ფრინველთა, „სიცოცხლის ხისა" და სხვ. გამოსახულებით მორთული ქვის სტელები — რელიეფური პლასტიკის შესანიშნავი ნიმუშები[133], ხოლო ბალიჭში — ორფერდა სახურავიანი ქვის სარკოფაგი ახ. წ. VI-VII სს. ქართული წარწერითა და ჯვრის რელიეფური გამოსახულებით[134].

განვითარებული ფეოდალიზმის ისტორია და კულტურა წარმოჩენილია რუსთავის[135], დმანისის[136], ჯავახეთის ახალქალაქის[137], გავაზის ნაქალაქარების[138], აგრეთვე ბორჯომის ხეობის ე. წ. ციკლოპურნაგებობიანი ნასოფლარების[139] არქეოლოგიური კვლევით. ცალკე უნდა აღინიშნოს ტიპოლოგიურად აქამდე უცნობი ფენომენის — მთის ქალაქის შესწავლა არაგვის ხეობაში დღევანდელი ჟინვალის ადგილზე, რომელიც შუა საუკუნეებში „ჟინვანის" სახელით იხსენიება. არქეოლოგიური გათხრების შედეგად გამოვლენილია გალავნით შემოზღუდულ ვრცელ ტერიტორიაზე ტერასისებურად განლაგებული საცხოვრებელი და სამეურნეო კომპლექსები, რომლებშიც აღმოჩენილია ქვევრები, თონეები, საკურთხეველები, XI-XIV სს-ების მრავალრიცხოვანი კერამიკის, ლითონის მინისა და ძვლის ნივთები, მონეტები. ქალაქის ფარგლებში გათხრილია აგრეთვე კერამიკის საწვავი ქურები და სამარხი აკლდამები. პარალელურად გამოვლენილი და შესწავლილია ქალაქის სასოფლო-სამეურნეო ტერიტორია: ქალაქის მიმდებარე სინქრონული ნასოფლარები, რომელთა ტიპიური კომპლექსი შედგება დარბაზული ტიპის საცხოვრებელი ნაგებობისაგან, მარანისა (საწნახელი ქვევრებითურთ) და ბოსელისაგან[140].

უკანასკნელ წლებში მიმდინარეობს აგრეთვე გვიანი შუა საუკუნეების ქალაქებისა და ნამოსახლარების შესწავლა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით საინტერესოა თბილისის დედაციხის (ნარიყალას) კვლევის შედეგები[141] და

---

131 ალ. ბოხოჩაძე, ნასტაკისის არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები, „მაცნე", № 3, 1975; მისივე, Результаты работ археологической экспедиции на новостройках двуречья Ксани и Арагви, АИН, გვ. 66—78.

132 მ. სინაურიძე, კაზრეთის არქეოლოგიური ექსპედიცია, სმაე, III, გვ. 92—105; IV, გვ. 75—89; V, გვ. 129—145; VI, გვ. 124—130; მისივე, Результаты археологического изучения Болнисского района, Тб., 1977.

133 ვ. ჯაფარიძე, ქართული ხელოვნების და ეპიგრაფიკის უძველესი ნიმუშები ქვემო ქართლიდან, ძმ, 20, 1971.

134 იხ. ვ. ჯაფარიძის, ა. შანიძისა და თ. ბარნაველის წერილები, „მაცნე", ისტორიის სერია, № 2, 1969.

135 რუსთავის არქეოლოგიური კვლევის შედეგები იხ. კრებულში ПАИ (в 1972—1977 г).

136 ვ. ჯაფარიძე, ნაქალაქარ ვარდციხის არქეოლოგიური შესწავლისათვის, ფხაძ, II, გვ. 152—173; მისივე, „ანგარიშები"—ПАИ (1972—1977 .).

137 ე. ჯანდიერი, ჯავახეთის ახალქალაქი გვიანფეოდალურ ხანაში, ფხაძ, II, გვ. 49—67; მისივე, „ახალქალაქი ჯავახეთისა", ძმ, 40, 1976.

138 ლ. ჭილაშვილი, ძველი გაეაზი, თბ.,1975.

139 Г. Насидзе, Средневековые селища Восточной Грузии (автореферат канд. дисс.), Тб., 1975.

140 „ჟინვალის ექსპედიცია", (I სამეცნიერო სესიის მოკლე ანგარიშები), რ. რამიშვილის რედაქციით, თბ., 1975; Р. М. Рамишвили, В. А. Джорбенадзе, Арх. исслед. в зоне строительства Жинвальского гидротехнического комплекса, АИН, გვ. 30—44; ПАИ в 1973—1977 гг.

141 გ. ლომთათიძე და სხვ., თბილისის დედაციხის არქეოლოგია, ძმ, 25, 1971.

აღმ. საქართველოს XVI — XVII სს-ების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური და ეკონომიური ცენტრის — გრემის გათხრები, რის შედეგადაც აღმოჩნდა სასახლის კომპლექსი, სავაჭრო მოედნები და სხვ.[142].

შუა საუკუნეების საქართველოს საკმაოდ მჭიდრო და ცხოველი ურთიერთობა ჰქონდა ჩრდ. კავკასიასთან, რის შედეგადაც ამ ტერიტორიაზე მრავლად შემოინახა ქართული კულტურის ძეგლები, რომელთა შესწავლა ბორციელდება არქეოლოგიური კვლევის ცენტრისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის დაღესტნის ფილიალის ისტორიის, ენისა და ლიტერატურის, აგრეთვე ჩრდილოეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან ერთად. უკვე აღმოჩენილია ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების არაერთი საყურადღებო ძეგლი, ძველი ქართული წარწერები, რომელნიც წარმოადგენენ ფრიად ძვირფას წყაროს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ურთიერთობათა ისტორიისათვის[143].

შუა საუკუნეების საქართველოს არქეოლოგიური კვლევის შედეგები განზოგადებულია რიგ ნაშრომებში[144]. საგანგებო გამოკვლევები მიეძღვნა რიგ ნაქალაქარებსა და ნამოსახლარებს: უჯარმას[145], რუსთავს[146], ვარძიას[147], თელავს[148], თბილისს[149], პეტრას[150], ნოსტეს[151],აგრეთვე ლოკის გვიან შუა საუკუნეების ნასოფლარს რკინის დამამუშავებელი სახელოსნოთურთ[152] და მთიანი ოლქების ნასოფლარებს[153], ლაზიკის მონუმენტურ ნაგებობებს[154], სასახლეებსა და საეკლესიო ნაგებობებს[155], კლდეში ნაკვეთ საკულტო ნაგებობებსა[156] და

---

[142] საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გათხრები.

[143] გ. ღამბაშიძე, ქართული კულტურის ძეგლები დვალეთში, „საბჭოთა ხელოვნება“. № 3, 1967; მისივე. «Из раскопок Тхоба-Ерды, «Декоративное искусство СССР», № 7, 1970: იხ. აგრეთვე, ПАИ в 1972 გვ. 74—76; 1973., გვ. 71—74; 1974., გვ., 98—100.

[144] გ. ლომთათიძე. ყოფა და კულტურა საქართველოში VI—X სს., სინ, II, 1973 მისივე, საქართველოს მოსახლეობის კულტურა და ყოფა I—XIII სს; ლ. ჭილაშვილი, ქალაქები ფეოდალურ საქართველოში, I, 1968; II, 1970, თბ.,

[145] დ. მუსხელიშვილი, უჯარმა, თბ., 1966.

[146] ლ. ჭილაშვილი, ქალაქი რუსთავი, თბ., 1958.

[147] К. Мелитаури, Строительство и архитектура Вардзии, Тб., 1975.

[148] ც. ჩიკოიძე, ქალაქი თელავი, თბ., 1979.

[149] ი. გძელიშვილი, ო. ტუეშელაშვილი, თბილისის მატერიალური კულტურის ძეგლები, თბ., 1961.

[150] ა. ინაიშვილი, ციხე-ქალაქი პეტრა, სდსაძ, II, გვ. 74—90; V, გვ. 102—153

[151] მ. ზამთარაძე, ნოსტე: გიორგი საკაძის რეზიდენცია, „მაცნე“, № 1, ისტორიის სერია, 1973.

[152] ალ. ბოხოჩაძე, ლოკის ხეობის ნასოფლარი, მსკა, V, 1973.

[153] რ. დოლაბერიძე, არქეოლოგიური მასალა სოფელ შენაქოდან, თბ., 1973.

[154] В. А. Леквинадзе, Монументальные памятники Западной Грузии I—VI вв. н. э. (автореферат доктор. дисс.), М., 1973; შდრ. Л. Рчеулишвили, По поводу интерпретации архитектурных памятников как исторических документов, „მაცნე“, ისტორიის სერია, № 4, 1975.

[155] გ. ლომთათიძე, შუაფეოდალური ხანის ნამოსახლარების გათხრა სამშვილდის მიდამოებში, ფხაძ, II, გვ. 120—132; რ. რამიშვილი, იაღსარის ნამოსახლარი და მლაშეების ციხის მარანი, ფხაძ, II, გვ. 139—150.

[156] გ. გაფრინდაშვილი, არქიტექტურულ-არქეოლოგიური ძიებანი ეანის ქვაბში, სმაე, I, გვ. 108—113.

ნასახლარებს[157], სასიმაგრო[158] და საკულტო ხუროთმოძღვრებას[159], წყალგაყვანილობათა სისტემას[160]. სპეციალური კვლევის საგნადაა ქცეული აგრეთვე შუა საუკუნეების საქართველოს არქეოლოგიურ ძეგლთა ისეთი კატეგორიები, როგორიცაა კერამიკა[161] და ფაიანსი[162], ლითონისა[163] და მინის[164] ნაწარმი, სამკაულები[165], ძვლის მხატვრული ნაკეთობანი[166], ნუმიზმატიკური მონაპოვარი[167].

9. ამრიგად, ამჟამად საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია ადამიანთა საზოგადოების ისტორიის ყველა პერიოდის ძეგლები — ქვის ხანის ერთ-ერთი ადრეული საფეხურიდან (აშელი) გვიან შუა საუკუნეების ჩათვლით. არქეოლოგიური მასალები წარმოადგენენ უმნიშვნელოვანეს წყაროს საქართველოსა და კავკასიის ისტორიისა და არქეოლოგიის ისეთი საკვანძო

---

[157] ბ. მ ჭ ე დ ლ ი შ ვ ი ლ ი. ივრისპირის „ქვაბების“ არქეოლოგიური ექსპედიცია. სმაე, V, გვ. 157—170; VI, გვ. 114—123.

[158] К. Мелитаури, Крепости дофеодальной и раннефеодальной Грузии. т. I. 1969; т. II, 1971, Тб.

[159] ჯ. ა ბ ი ბ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ადრეფეოდალური ხანის ქართული არქიტექტურისა და რელიეფური ქანდაკების ძეგლები, თბ., 1968; В. Агрба, Раскопки раннесредневековой Базилики в с. Алахадзи Гагрского района, „მაცნე“, № 3, ისტორიის სერია, 1972.

[160] შ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, წყალმომარაგების უძველესი ძეგლები სვანეთში, „მაცნე“, ისტორიის სერია, № 1, 1972.

[161] ვ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, ქართული კერამიკა, თბ., 1956; მ. მ ი ნ წ ი შ ვ ი ლ ი, მოჭიქული ჭურჭელი ძველ საქართველოში, თბ., 1969; მ ი ს ი ვ ე, ქართული მოჭიქული ჭურჭლის წარმოების ისტორიიდან, თბ., 1978; მ ი ს ი ვ ე, მოჭიქული კერამიკის საწარმო შუა საუკუნეების თბილისში, 1979; თ. ა რ ჩ ვ ა ძ ე, თბილისის დედაციხეზე აღმოჩენილი წერნაქიანი ჭურჭელი, ფხაძ. II, გვ. 174—187.

[162] ნ. მ ა მ ა ი ა შ ვ ი ლ ი. ფაიანსი შუასაუკუნეთა საქართველოში, თბ., 1976; მ. მ ი ქ ა ძ ე, იმპორტული ფაიანსი დმანისის ნაქალაქარიდან. „საბჭოთა ხელოვნება“, № 3, 1973.

[163] გ. კ ი კ ნ ა ძ ე. ლითონის ჭურჭლის კატალოგი. თბ., 1974; მ ი ს ი ვ ე, Грузинская средневековая металлическая посуда (автореферат канд. дисс.). Тб., 1972.

[164] ნ. უ გ რ ე ლ ი ძ ე, ადრეულ შუასაუკუნეთა ქართლში მინის წარმოების ისტორიისათვის. თბ., 1967. ფხაძ. II, 244—249; მ. ჩ ხ ა ტ ა რ ა შ ვ ი ლ ი, მინის ჭურჭელი შუა საუკუნეთა საქართველოში, თბ., 1978.

[165] ნ. ა ფ ხ ა ზ ა ვ ა, ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა, თბ., 1979; Р. Долаберидзе. Грузинские украшения X—XII вв.(автореферат канд. дисс.), Т., 1972.

[166] თ. კ ე რ ს ე ლ ი ძ ე, ძვლის ნივთების კატალოგი. თბ., 1978.

[167] თ. ლ ო მ ო უ რ ი. ფული შოთა რუსთაველის ეპოქაში, კრ. „შოთა რუსთაველის ეპოქის მატერიალური კულტურა“, თბ., 1938; მ ი ს ი ვ ე, დავით VII—ის და ვახტანგ III-ის ფულები, საქართველოს მუზეუმის მოამბე, ტ. XV—B, 1948; დ. კ ა პ ა ნ ა ძ ე, XIII—XIV სს. მოჭრილი რამდენიმე სადავო სპილენძის მონეტის შესახებ, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის. მოამბე, ტ. XVII, № 1—2, 1946; მ ი ს ი ვ ე. Продолжительность и характер монгольского владычества в Грузии по нумизматическим данным. СА, 1964, №2; თ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, XIII—XIV სს. დასავლურ-ქართული ფული, თბ., 1959; მ ი ს ი ვ ე, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები, თბილისი, 1965; ირ. ჯ ა ლ ა ღ ა ნ ი ა, საქართველოს სამონეტო განძები, I, თბ., 1976; მ ი ს ი ვ ე, ქუფური მონეტების ტოპოგრაფია საქართველოში, თბ., 1972; მ ი ს ი ვ ე, ქუფური მონეტების მიმოქცევა VIII—X სს. საქართველოში, „მაცნე“, № 4. 1973; მ ი ს ი ვ ე, Иноземная монета в денежном обращении Грузии V—XII, вв. Тб., 1979; გ. დ უ ნ დ უ ა, სამონეტო მიმოქცევის საკითხისათვის XV საუკუნის საქართველოში, თბ., 1964; რ. ქ ე ბ უ ლ ა ძ ე, ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV—XVIII საუკუნეებში. თბ., 1971; Р. В. Кебуладзе, В. М. Потин, Монета Давида Куропалата в кладах Западноевропейских денариев, „მაცნე“, № 2, 1972; თ. ქ უ თ ე ლ ი ა, თბილისის ზარაფხანა XVII—XVIII სს., (ვერცხლის ფული), საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XXXIII—B. თბ., 1978; მ ი ს ი ვ ე, Грузия и Сефевидский Иран (по данным нумизматики), Тб., 1979.

პრობლემების კვლევისათვის, როგორიცაა ადამიანის აქ განსახლების დრო და პირობები; მწარმოებლური მეურნეობის, ბრინჯაოსა და რკინის მეტალურგიის წარმოქმნა-განვითარება; კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოშობა; ანტიკური და შუა საუკუნეების ურბანიზმი და მრავალი სხვ.

ფართო მასშტაბის საველე კვლევა-ძიება (პირველ რიგში დიდ ახალშენებლობათა ზონებში) და საქართველოს (და საერთოდ კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის) ისტორიისა და არქეოლოგიის ფუნდამენტური პრობლემების კვლევა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიღწევების ფართოდ გამოყენებით[168] — ასეთია არქეოლოგიური მეცნიერების განვითარების ტენდენცია საქართველოში.

---

[168] ამ მხრივ საქართველოში კარგა ხანია უკვე დაწყებულია საკმაოდ ნაყოფიერი მუშაობა. გარდა. ზემოთ უკვე დასახელებული ნაშრომებისა (შენიშვნა № 92) იხ. კრებული, სამუზეუმო ექსპონატთა რესტავრაცია, კონსერვაცია, ტექნოლოგია (რ. ბახტაძის რედაქციით), თბ., 1974; თ. მორჩაძე. შიდა ქართლის ანტიკური პერიოდის კერამიკა, თბ., 1979; მ. აბდუშელიშვილი, დიღმის სამაროვანზე მოპოვებული პალეოანთროპოლოგიური მასალის შესახებ, „მაცნე", № 3, 1974; Ф. Н. Тавадзе и др., Исследование археологического железа на микрозоне, САНГ, 74, № 2, 1974; они же, К вопросу распределения кислорода в археологических железных изделиях, САНГ, 78, № 2, 1975; они же, Изучение механических свойств и характера разрушения археологического железа, САНГ, 80, № 2, 1975; Г. В. Инанишвили, Исследование процесса получения структуры и некоторых свойств железа древней Грузии (автореферат кнд. дисс.), Тб., 1976; М. З. Нодиа и др., К вопросу о датировании археологических объектов с помощью археомагнитного метода, САНГ. 65, № 1, 1972; они же, О применении археомагнитного датирования в археологии. САНГ, 67, № 3, 1972; З. А. Челидзе. Результаты археомагнитного-датирования. ПАИ, в 1972 г., 96; в 1973., с. 70—72; в 1974., гз. 103— 104; А. А. Бурчуладзе. и др. Радиоуглеродное датирование образцов органического происхождения, САНГ. 80, № 1, 1975 (там же библиография), М. Г. Абдушелишвили, Антропологический генезис аборигенного населения Кавказа, ТМОИП, XVIII, 1972; М. Г. Абдушелишвили, Д. Джавахишвили, Антропологические особенности населения Восточной Грузии в раннефеодальном периоде, ПАИ в 1974 г. гз. 109—112; М, З. Инашвили, Кариес зубов у человека каменного века «Стоматология», 5, 1973-М.; его же, Эпохальная динамика кариесного заболевания на палеоантропологических и краниологических материалах, САНГ, 70, № 3, 1973; сб. «Материалы по антропологии Кавказа» (под ред. М. Г. Абдушелишвили), вып. I—IV, Тб., 1971—1975; Н. И. Бурчак-Абрамович, Л. Л. Цицишвили, Домашний верблюд в древней Грузии и Закавказье, „მაცნე", ისტორიის სერია, 2, 1974, гз. 130—137.

ვალერიან ითონიშვილი

ქართული საბჭოთა ეთნოგრაფია 1921—1980 წლებში

საქართველოში საბჭოთა წყობილების დამყარებამდე ქართულ ეთნოგრაფიას განვითარების გრძელი გზა ჰქონდა გამოვლილი. საუკუნეების განმავლობაში ქართულსა და არაქართულ წყაროებში აღიბეჭდა ეთნოგრაფიულად საინტერესო მრავალი ცნობა. ქართულ ისტორიულ მწერლობაში გამოჩნდა მეცნიერულად საყურადღებო დაკვირვებებიც (ლეონტი მროველის კონცეფცია კავკასიის ძველ მკვიდრთა საერთო წარმომავლობა-მონათესაობის შესახებ, ვახუშტის მიერ ქართველი და კავკასიელი ხალხების მრავალმხრივი ეთნოგრაფიული აღწერილობა გამოყენებული მასალების მაღალ დონეზე მოცემული კლასიფიკაციითა და მეცნიერული კვალიფიკაციით). XIX ს-ის 50-იან წლებში შეიქმნა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიური განყოფილება (1851 წ.) და დაარსდა კავკასიური მუზეუმი (1852 წ.). ამავე საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი სამოციანელების აქტიური მონაწილეობითა და ილია ჭავჭავაძის თაოსნობით ეთნოგრაფიული მასალის შეგროვებას, დამუშავებას და პუბლიკაციას ინტენსიური ხასიათი მიეცა. ილიას შემდეგ ეთნოგრაფიული მუშაობა გააგრძელა ქართულმა საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ ე. თაყაიშვილის ხელმძღვანელობით, ხოლო ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიის ძირითადი პრობლემების დაფუძნება-განვითარების საქმეში უაღრესად დიდი როლი შეასრულეს ივანე ჯავახიშვილის მონუმენტურმა გამოკვლევებმა, რომლებიც მიეძღვნა სამეურნეო ყოფის, სოციალურ ურთიერთობათა ფორმებისა და სულიერი კულტურის ფართო მონოგრაფიულ შესწავლას (ამ გამოკვლევების შესახებ ქვემოთ).

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების პერიოდში ეთნოგრაფიას შემდგომი განვითარებისათვის მყარი ნიადაგი ჰქონდა შემზადებული, მაგრამ ის ჯერ კიდევ ისტორიული მეცნიერებისათვის მხოლოდ დამხმარე დარგად იყო მიჩნეული. საბჭოთა მეცნიერების აღმავალი განვითარების ინტერესები კი მოითხოვდა ქართული ეთნოგრაფიის ამაღლებას საკუთარი მეთოდის მქონე ისტორიულ მეცნიერებად, რომელიც თავისი კვლევა-ძიების მთავარ წყაროდ გაიხდიდა ცოცხალ სინამდვილეში ინფორმატორთა გამოკითხვით ან უშუალო დაკვირვებით მოპოვებულ ეთნოგრაფიულ მასალებს, ხოლო საველე მასალებთან ერთად ფართოდ გამოიყენებდა მომიჯნავე დისციპლინების (ისტორია, არქეოლოგია, ხელოვნებათმცოდნეობა, ენათმეცნიერება, ფოლკლორი, ანთროპოლოგია, გეოგრაფია...) მონაცემებს. მეცნიერების ამ გზით განვითარება, თავის მხრივ, მოითხოვდა სამეცნიერო-კვლევითი, საველე-საექსპედიციო და სამუზეუმო-საექსპოზიციო მუშაობის ჯეროვან ორგანიზაციას, კვალიფიციური სპეციალისტების ჩაბმას და ახალი კადრების მომზადებას.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე, როდესაც რუსეთში უკვე კრიტიკულად იყო გადასინჯული რევოლუციამდელი სამეცნიერო მემკვიდრეობა ეთნოგრაფიის დარგში და მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების შუქზე საფუძველი მზადდებოდა საბჭოთა ეთნოგრაფიის აღმავალი განვითარებისათვის, კვლევა-ძიების ცენტრად იქცა ეთნოგრაფიის განყოფილება საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. დღის წესრიგში დადგა საკოლექციო ფონდების ცენტრალური ბაზის შექმნა, რაც საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებამდე არ არსებობდა. სამეცნიერო მუშაობა საჭიროებდა თბილისის მუზეუმებში გაბნეული კოლექციების თავმოყრას. „მთავრობის სათანადო დეკრეტით 1923 წლიდან ეს მუშაობა ჩატარდა ისე, რომ ტფილისის მუზეუმებში დაცული ყველა ეთნოგრაფიული ფონდი ვადაეცა საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიულ განყოფილებას"[1]. ამასთან, აუცილებელი იყო ნივთების შეგროვება საქართველოს ყველა კუთხეში და სამუზეუმო ფონდების შევსება ახალი კოლექციებით. ამ საქმიანობის წარმართვისა და წერილობითი საველე მასალების მაღალ დონეზე ფიქსაციისათვის, რაც ეთნოგრაფიის დარგში მეცნიერული მუშაობის გარდაქმნის საფუძველს წარმოადგენდა, საჭირო იყო შესაბამისი მეთოდის შემუშავება.

მანამდე არსებული რარიტეტული, ანტიკვარული და სხვა ბურჟუაზიული მეთოდების ნაცვლად ქართულ ეთნოგრაფიაში თანდათანობით გამოიკვეთა და დაინერგა მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებაზე დაფუძნებული საველე მუშაობის კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდი, რომლის მიხედვითაც ეთნოგრაფიული მოვლენები შეისწავლება ინტენსიურად, კომპლექსურად, ბაზისური და ზედნაშენური მოვლენების ერთიანობის, ისტორიზმის პრინციპის დაცვით. ამ მეთოდის თანახმად, ეთნოგრაფიული დაკვირვების სიღრმე უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სიფართოვე. უმჯობესია მცირე რაიონის ღრმად შესწავლა, ვიდრე ეთნოგრაფიული მოვლენების გავლით ფიქსირება ვრცელ ტერიტორიაზე. კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდი ითვალისწინებს ცალკეული პატარა და დიდი სოციალური ერთეულების (ოჯახი, გვარი, უბანი, სოფელი, თემი...) ღრმად შესწავლას. ამ მეთოდის მიხედვით, ყოველი ხალხის ეთნოგრაფიული სინამდვილე რთული წინააღმდეგობებით აღსავსე მოვლენათა კომპლექსია, რომელშიც მიმდინარეობს ბრძოლა ძველისა ახალთან, პროგრესულთან. ამასთან, მოვლენების ფიქსაციის დროს, ნაცვლად მათი სუბიექტურ-რაოდენობრივი აღწერილობისა, აუცილებელია ობიექტურ-ხარისხობრივი აღწერილობა[2].

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მცირერიცხოვანი განყოფილება ამ მეთოდის გამოყენებით კრებდა როგორც ნივთიერ, ისე ტექსტუალურ მასალებს. მოპოვებული კოლექციების დიდი ნაწილი, ფონდებში დაცულ ძველ ნივთებთან ერთად, ექსპონირებული იყო მუზეუმის დარბაზებში, რის შესა-

---

[1] ს. ჯანაშია, საზოგადოებრივი მეცნიერებანი საბჭოთა საქართველოში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავზე, „ენიმკის მოამბე", I, ტფ., 1937. გვ. XXXVI.

[2] გ. ჩიტაია, ქართული ეთნოლოგია, „მიმომხილველი", I, 1926; მისივე, ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1948 წლისა (წინასწარი ანგარიში), „მიმომხილველი", I, 1949; მისივე, Принципы и метод полевой этнографической работы, «Советская этнография», 1957, № 4.

ხებაც ვრცელ სამეცნიერო ანგარიშში ითქვა: „ფართო მშრომელთა მასებისათვის კულტურის ისტორიის კონკრეტული მასალების მოწოდების მიზნით მოეწყო რამდენიმე ეთნოგრაფიული გამოფენა, მათ შორის ხევსურეთისა და სვანეთის, სადაც ამ კუთხეების მატერიალური კულტურა, სოციალური ყოფა და იდეოლოგიური გადმონაშთები სისრულით იყო წარმოდგენილი; კოლექციების სიუხვესა და კომპლექსური თემების სიმრავლეს თან ახლდა მაღალ დონეზე აყვანილი საგამოფენო გაფორმება“[3].

საქართველოს გააბჭოებიდან ორი ათეული წლის მანძილზე ქართველმა მეცნიერებმა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოპოვებული მასალების საფუძველზე დაწერეს ცალკეული საკითხებისადმი მიძღვნილი გამოკვლევები, რითაც საფუძველი დაედო პერსპექტიულ სამეცნიერო კვლევა-ძიებას ეთნოგრაფიის ისეთი ძირითადი პრობლემების მიხედვით, როგორიცაა სამეურნეო ყოფა, მატერიალური კულტურა, სოციალური ყოფა და სულიერი კულტურა.

მეურნეობისა და მატერიალური კულტურის პრობლემას მიეძღვნა გ. ჩიტაიას წერილები[4], რითაც საფუძველი ჩაეყარა კონკრეტული საკითხების ეთნოგრაფიულ შესწავლას კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდის გამოყენებით. ამ ნაშრომების მიხედვით გამოჩნდა, რომ კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდით კვლევა ითვალისწინებდა კონკრეტული საკითხებისა და მოვლენების გაშუქებას მატერიალური კულტურის, მეურნეობის, სოციალური ურთიერთობისა და სულიერი კულტურის ჭრილში. გ. ჩიტაიას ამ წერილების შემდეგ გამოქვეყნდა ივ. ჯავახიშვილის კაპიტალური ნაშრომი[5], რომელშიც „ფაქტიურ მასალაზე დაყრდნობით ავტორს განხილული აქვს საქართველოს სოფლის მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების—მემინდვრეობის, ბოსტნეობის, მებაღეობის და მევენახეობის — განვითარების ისტორია, ისტორია სასოფლო-სამეურნეო იარაღებისა საქართველოში და მიმოხილული აქვს თვით საქართველოს ეკონომიური ისტორიის წყაროები ძალიან დეტალურად“[6].

ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიის განვითარების წინა ოცწლიან პერიოდში მატერიალური კულტურის სფეროდან მნიშვნელოვანი შედეგებით აღინიშნა საცხოვრებელი ნაგებობების, ქართული ხალხური ორნამენტისა და ნივთიერი კულტურის ცალკეული დეტალების კვლევა[7].

ეთნოგრაფიული მასალის ფიქსაციის და მისი ანალიზის საფუძველზე დამყარებულ კვლევას სერიოზული ხასიათი მიეცა რელიგიის ისტორიის შესწავლის მიმართულებით. 1926—1933 წლებში ქართველმა ეთნოგრაფებმა ამ

---

[3] ს. ჯანაშია დასახ. ნაშრომი, გვ. XXXVI.

[4] გ. ჩიტაია, ეთნოგრაფიული მოგზაურობიდან აღბულაღის რაიონში, „საქართველოს მუზეუმის მოამბე“, IV, 1928; მისივე, მასალები საქართველოს სახვნელი იარაღების ისტორიისათვის, „საქ. მუზ. მოამბე“, V, 1930.

[5] ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, 1930, II, 1934.

[6] ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრომი, გვ. XXX.

[7] გ. ჩიტაია, ეთნოლოგიური შენიშვნები (სვანური „საკურცხილ“), „საქართველოს მუზეუმის მოამბე“, II, 1925; მისივე, ბლეხის სახლი ქვაბლიანში, „მიმომხილველი“, I, 1926; გ. ჩუბინაშვილი, ქართლის დარბაზი, ტფ., 1927; სტ. მენთეშაშვილი, სვანური კვერი, „საქ-ს მუზ. მოამბე“, VIII; ვ. ბარდაველიძე, და გ. ჩიტაია, ქართული ხალხური ორნამენტი, I, ხევსურული, თბ., 1939.

პრობლემას რამდენიმე საინტერესო ნაშრომი შემატეს[8] იმის შემდეგ, რაც ივ. ჯავახიშვილმა, პირველმა ქართველ მკვლევართა შორის, „ქართველი ერის ისტორიის“ პირველ ტომში (პირველი გამოცემა 1908 წელს, მეორე—1913 წელს, ხოლო მესამე—1928 წელს) მაღალ მეცნიერულ დონეზე მონოგრაფიულად შეისწავლა ქართველთა წარმართული რწმენა-წარმოდგენები, უძველესი სარწმუნოებრივი თქმულებები, ქრისტიანობის გავრცელება და ქართული ეკლესიის ისტორია მისი დაარსებიდან VII ს-ის ჩათვლით. აღნიშნული საკითხების გაშუქებით ივ. ჯავახიშვილმა მყარ მეცნიერულ ნიადაგზე დააფუძნა რელიგიის ისტორიის შესწავლა საქართველოში და ახალგაზრდა ქართულ ეთნოგრაფიულ მეცნიერებას ამ სფეროში მუშაობის გაგრძელების ნათელი პერსპექტივები დაუსახა. ივ. ჯავახიშვილმა შემდგომში კვლავ განაგრძო მუშაობა ქართველი ხალხის უძველესი რელიგიური მსოფლმხედველობისა და წარმართული პანთეონის შესწავლის მიზნით, რისთვისაც ეთნოგრაფიული მასალები და ქართველ ეთნოგრაფთა ნაშრომებიც ფართოდ გამოიყენა, მაგრამ მისი კვლევის შედეგები გამოქვეყნდა მისი გარდაცვალებიდან ათი წლის შემდეგ[9].

ქართველ ეთნოგრაფთა ზემოხსენებულ შრომებში გზადაგზა განხილულია სოციალურ ურთიერთობათა საკითხებიც, მაგრამ კადრების ნაკლებობის გამო ამ პრობლემის სპეციალური შესწავლა მოგვიანებით დაიწყო. ისტორიულ მეცნიერებათა განვითარების ოცი წლისთავზე ს. ჯანაშია ამ პრობლემიდან მხოლოდ ერთ თემას ასახელებდა, რაც სვანეთის ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით იყო შესრულებული. ეს ნაშრომი, რომელსაც ს. ჯანაშია იხსენიებს, შემდგომში მისივე რედაქციით გამოქვეყნდა[10]. საანგარიშო პერიოდისათვის ამ ნაშრომის შექმნა სერიოზული ნაბიჯი იყო სოციალურ ურთიერთობათა კვლევის სფეროში, რასაც სათანადო საფუძველი მოუმზადა ივ. ჯავახიშვილმა. ივ. ჯავახიშვილის ფუნდამენტურ ნაშრომში[11] დიდი ადგილი აქვს დათმობილი ქართული საქორწინო წეს-ჩვეულებების, ოჯახის, საოჯახო სამართლის, საკუთრების ფორმებისა და რიგი სხვა საკითხების კვლევას. ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქართულმა საბჭოთა ეთნოგრაფიამ სოციალურ ურთიერთობათა შესწავლისათვის საკმაოდ მდიდარი ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა მიიღო წარსულიდან (ვახუშტი, რ. ერისთავი, ნ. ხიზანაშვილი, ვაჟა-ფშაველა, ბ. ნიჟარაძე, ნ. აბაზაძე...). ამდენად, სვანთა საოჯახო ყოფის შესწავლა, რაც ს. ჯანაშიას მიერ მიჩნეულია სოციალურ ურთიერთობათა ეთნოგრაფიული კვლევის საწყის ეტაპად ქართულ საბჭოთა ეთნოგრაფიაში, ლოგიკური გაგრძელება იყო იმ დიდი შემეცნებლობითი, აღწერილობითი და კვლევითი მუშაობისა, რასაც ეწეოდნენ ჯერ ძველი ეპოქის სწავლულები, ხოლო საქართვე-

---

[8] ს. მაკალათია, ფალოსის კულტი საქართველოში, „მიმომხილველი“, I, 1926; მისივე, ღვთაება მითრას კულტი საქართველოში, „საქართველოს მუზეუმის მოამბე“, III, 1927; ვ. ლომია (ბარდაველიძე), ხის კულტისათვის საქართველოში, „საქ-ს მუზ. მოამბე“, III; მისივე, ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებული რიტუალი მთიან ქართლში, „საქართველოს მუზეუმის მოამბე“, IV, 1928; მისივე, Опыт социологического изучения хевсурских верований, Тифлис, 1933.

[9] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წიგნი I, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950.

[10] რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, ტფ., 1939.

[11] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი, I, ტფ., 1928; წიგნი II, ნაკვეთი I; ტფ., 1928; ნაკვეთი II, ტფ., 1929.

ლოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში — ივანე ჯავახიშვილი.

ეთნოგრაფიული მუშაობის შემდგომი განვითარება დამოკიდებული იყო ახალი სამეცნიერო უჯრედების შექმნაზე, კვალიფიციური კადრების მომზადებაზე და მეცნიერული შრომის ორგანიზაციაზე. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში ქართული ეთნოგრაფიის წინსვლა სამივე ზემოაღნიშნულმა ფაქტორმა განაპირობა. 1936 წლიდან ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტში (ენიმკი) ჩამოყალიბდა ეთნოგრაფიის განყოფილება, რომელიც იქცა ქართული ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების ცენტრად. 1961 წლიდან აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში მოხდა რეორგანიზაცია ეთნოგრაფიის დარგში: შეიქმნა ეთნოგრაფიის სექტორი, რომელიც აერთიანებს ანთროპოლოგიის, საქართველოს ეთნოგრაფიისა და კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილებებს. კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილების შექმნის შედეგად ეთნოგრაფიული კვლევა-ძიება გაიშალა ამიერკავკასიისა და ჩრდილო კავკასიის ხალხთა შესწავლის მასშტაბებით და გამრიკვეთა ქართულ-კავკასიურ კულტურულ-ისტორიულ ურთიერთობათა მეცნიერული კვლევის მიმართულებანი და პერსპექტივები. ამასობაში ნაყოფიერ სამეცნიერო-კვლევითსა და სამუზეუმო-საექსპოზიციო საქმიანობას აგრძელებდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილება. დასახელებული განყოფილებები ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების მთავარ კერებს წარმოადგენენ საბჭოთა საქართველოში. ამასთან ერთად, ნაყოფიერი სამეცნიერო-კვლევითი და საველე მუშაობა მიმდინარეობს აფხაზეთის, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების განყოფილებებში. სასარგებლო ეთნოგრაფიულ საქმიანობას ეწევიან აგრეთვე ისტორიულ-ეთნოგრაფიული და მხარეთმცოდნეობითი მუზეუმები თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, მესტიაში, ახალციხეში, გეგეჭკორში, ყაზბეგში, დუშეთში და სხვა ქალაქებსა და რაიონებში. რესპუბლიკის მასშტაბით ეთნოგრაფიული მუშაობის კოორდინაციას ახორციელებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული ეთნოგრაფიული კომისია, რომელიც შეიქმნა 1977 წელს. კოორდინაციას ეთნოგრაფიის დარგში ხელს უწყობს სამეცნიერო სესიების რეგულარულად ჩატარება რესპუბლიკის ეთნოგრაფთა და ანთროპოლოგთა მონაწილეობით, რაც ავლენს გაწეულ მუშაობაში არსებულ მიღწევებს.

ეთნოგრაფიის დარგში სამეცნიერო კერების დაფუძნება და ზრდა ხდებოდა სამეცნიერო კადრების მომზადების პარალელურად, რაც ხორციელდებოდა თავდაპირველად საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილებაში, ხოლო შემდეგ ენიმკისა და ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტურაში. მომავალი ეთნოგრაფების შერჩევა და სტუდენტობის პერიოდში მათი წვრთნა კი წარმოებდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეთნოგრაფიის კათედრაზე, სადაც ზოგი ასპირანტურის კურსსაც გადიოდა. უნივერსიტეტში იმთავითვე ისწავლება ეთნოგრაფიის საფუძვლები, საქართველოსა და კავკასიის ეთნოგრაფია და სპეციალურსები. ეთნოგრაფიის განყოფილებები და კათედრა ამზადებენ სპეციალისტებს არა მარტო საქართველოს, არამედ კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიაშიც. აქ გამოზრდილი სპეციალისტები წარმატებით მოღვაწეობენ კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკებში. ქართველ- ეთნოგრაფთა ხელმძღვანელობით უმუშავნია უცხოეთიდან მომაგრებულ არა-

ერთ ეთნოგრაფს. განსაკუთრებით იმატა კადრების რაოდენობამ საკუთრივ საქართველოში. თუ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში სამეიოდე ეთნოგრაფი მოღვაწეობდა, განვლილი 60 წლის მანძილზე ეთნოგრაფიულ მეცნიერებას ეზიარა ერთი აკადემიკოსი, 14 მეცნიერებათა დოქტორი და რამდენიმე ათეული კანდიდატი.

საქართველოში ეთნოგრაფიული კერებისა და კადრების ზრდამ სახელი გაუთქვა ქართულ ეთნოგრაფიულ მეცნიერებას, რამაც ხელი შეუწყო საქმიანი ურთიერთობის დამყარებას საქართველოს ფარგლებს გარეთ. ჩვენი ეთნოგრაფიული კვლევის ცენტრებს შემოქმედებითი კონტაქტები აკავშირებს როგორც საბჭოთა კავშირის სამეცნიერო დაწესებულებებთან, ისე საზღვარგარეთის შესაბამის ორგანიზაციებთან, პირველ რიგში სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან. ეს კონტაქტები ხორციელდება ქართველი და საზღვარგარეთელი ეთნოგრაფების შეხვედრებით, კონსულტაციებით და სამეცნიერო კონფერენციებში, სესიებსა და კონგრესებში მონაწილეობით. ქართველმა ეთნოგრაფებმა მონაწილეობა მიიღეს რამდენიმე საერთაშორისო კონგრესისა და სიმპოზიუმის მუშაობაში. ისინი განსაკუთრებით ხელხვავიანად წარსდგნენ VII საერთაშორისო კონგრესზე ქ. მოსკოვში 1964 წელს. იმასთან ერთად, რომ მათ ამ კონგრესზე მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული მოხსენებები წაიკითხეს, კონგრესის მუშაობის პერიოდში გააერცელეს თბილისში დაბეჭდილ მოხსენებათა ტექსტებიც, რომლების წაკითხვა გათვალისწინებული არ ყოფილა მოსკოვში შედგენილი პროგრამით. იქვე წარდგენილ იქნა თბილისში გამოქვეყნებული მონოგრაფიები, კრებულები და ალბომები, რამაც საკმაოდ ეფექტურად წარმოაჩინა გაწეული მრავალწლიანი მუშაობის შედეგები.

ეთნოგრაფიული კვლევის კერებისა და კადრების ზრდის კვალობაზე გაფართოვდა საველე-საექსპედიციო, სამეცნიერო-კვლევითი და სამუზეუმო-საექსპოზიციო საქმიანობა. მცირერიცხოვანი ექსპედიციების ან ინდივიდუალური მივლინებების ნაცვლად, რაც კადრების ნაკლებობის დროს ხორციელდებოდა საქართველოს ცალკეულ კუთხეებში, სპეციალისტების მომრავლების წყალობით დაიგეგმა დიდი კომპლექსური ექსპედიციების მუშაობა. ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიის განვითარების ადრეულ პერიოდში უმთავრესად ყურადღება ექცეოდა მთის მოსახლეობის ეთნოგრაფიულ შესწავლას, მაგრამ დიდი სამამულო ომის შემდგომ პერიოდში საველე მუშაობა ფართოდ გაიშალა როგორც მთის, ისე ბარისა და მთისძირა ზოლის ფარგლებშიც. საველე მუშაობის ეფექტურად წარმართვის საქმეში განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა კომპლექსური ექსპედიციების დაკომპლექტებას ეთნოგრაფების, მხატვრების, არქიტექტორების, ტოპოგრაფების, ფოტოგრაფების ერთობლივი მონაწილეობით, რაც ტექსტუალური და საილუსტრაციო მასალების მოპოვების საშუალებას ქმნიდა. სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა ერთობლივი მუშაობა რეალურს ხდიდა მასალის შეგროვებას კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდის გამოყენებით. ასეთნაირად დაგეგმილი გრძელვადიანი ექსპედიციებიდან, რომლებიც მუშაობდნენ საქართველოსა და კავკასიის სხვადასხვა რეგიონებში განსაკუთრებით აღსანიშნავია: 1. ქართლის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1946—1947 წწ. (ხელმძღვანელი გ. ჩიტაია), 2. კოლხეთის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1958—1960 წწ. (ხელმძღვანელი გ. ჩიტაია), 3. აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1962—1968 წწ. (ხელმძღვანელი ვ. ბარდაველიძე); 4. ჩაჩნეთ-ინგუშეთის ეთნოგრაფიული ექსპე-

დიცია 1962—1965 წწ. (ხელმძღვანელი ალ. რობაქიძე); 5. ოსეთის ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1966—1969 წწ. (ხელმძღვანელები: ალ. რობაქიძე, თ. ჩიქოვანი, ვ. ითონიშვილი); 6. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ექსპედიციები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (ხევი, მთიულეთ-გუდამაყარი, თუშეთი, ქსნის ხეობა, მესხეთ-ჯავახეთი, სვანეთი, იმერეთი, სამეგრელო...).

დასახელებული ექსპედიციების მუშაობის შედეგებს ვეცნობით როგორც ექსპედიციათა ანგარიშების, ისე შექმნილი სამეცნიერო პროდუქციის საშუალებით. ექსპედიციების შონაპოვარი განსაკუთრებით თვალნათლივ გამოჩნდა გამოცემული ნაშრომების მიხედვით. ამ მხრივ შეიძლება გამოვყოთ ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტიდან აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ეთნოგრაფიული ექსპედიცია, რომლის მიერ შეკრებილი მასალები ძირითადად გადმოცემული და გაანალიზებულია ვ. ბარდაველიძის „ბრავალტომეულში"[12]. საექპედიციო მუშაობის შედეგები ასევე მკაფიოდ გამოჩნდა კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილების გეგმით გამოქვეყნებულ შრომებში[13], ხოლო საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების საველე მუშაობის შედეგებს გვაცნობენ ცალკეული კუთხის რიგ ეთნოგრაფიულ თავისებურებათა შესწავლისადმი მიძღვნილი კრებულები[14].

კომპლექსური ექსპედიციებისა და ინდივიდუალურად მივლინებულ ეთნოგრაფთა მიერ მოპოვებულ მასალებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საამუზეუმო კოლექციებს, რითაც შეივსო და გამდიდრდა რევოლუციამდელი პერიოდის ეთნოგრაფიული ფონდები. საბჭოთა საქართველოში 1930-იან წლებში მოწყობილი რეგიონალური და თემატიკური გამოფენების ნაცვლად, რომლებიც თავის დროისათვის მეცნიერულად გამართულ პირველ ეთნოგრაფიულ ექსპოზიციებს წარმოადგენდნენ (პირველ რიგში აღსანიშნავია ვ. ბარდაველიძის და გ. ჩიტაიას ხელმძღვანელობით მოწყობილი სვანეთისა და ხევსურეთის გამოფენები, რომლებშიც კომპლექსურად იყო ნაჩვენები ქართველ მთიელთა ყოფისა და კულტურის თავისებურებანი სამეურნეო პირობების, მატერიალური კულტურის, სოციალურ ურთიერთობათა და სულიერი კულტურის შესწავლის საფუძველზე), დაისახა ერთიანი ეთნოგრაფიული გამოფენის მოწყობის გეგმა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში. ეს გამოფენა მოეწყო და გაიხსნა 1954 წელს, რამაც დადებითი შეფასება მიიღო როგორც რესპუბლიკის, ისე საკავშირო პრესაში. საკავშირო სესიაზე მოსკოვში 1955 წელს ეს გამოფენა ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიის ერთ-ერთ ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მიღწეკად იქნა მიჩნეული. საქართველოს ერთიანი ეთნოგრაფიული გამოფენა, რომლის თემასაც შეადგენს „ქართველი ხალხის ძველი და ახალი ყოფა და კულტურა" მნახველთა ფართო მასებს სამუზეუმო საშუალე-

---

[12] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივი-საკულტო ძეგლები, ტ. I, ფშავი, თბ., 1974 (გამოქვეყნდება მომდევნო ტომები).

[13] კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული, ტ. II, თბ., 1968; ტ. III, თბ., 1971; ტ. IV, თბ., 1972; ტ. V (სამ წიგნად), თბ., 1975, 1979, 1980; ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ცენტრალური კავკასიის მთიელების საოჯახო ყოფა, I, ნახებისა და ოსების საოჯახო ყოფა, თბ., 1969.

[14] თუშეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1967; სვანეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1970; მესხეთ-ჯავახეთი, თბ., 1972; ქსნის ხეობა, თბ., 1975; იმერეთი, თბ., 1978; სამეგრელო, თბ., 1979.

ბებით აცნობს ქართველი ხალხის ცხოვრების ნიშანდობლივ მხარეებს წარსულსა და თანამედროვეობაში[15].

საქართველოსა და კავკასიის სხვადასხვა კუთხეში შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალები, წერილობითი წყაროები და ლიტერატურული მონაცემები საფუძვლად დაედო ფართო სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გაშლას ეთნოგრაფიის ძირითადი პრობლემების მიხედვით, რაც იმთავითვე გეგმაზომიერად იყო გათვალისწინებული. თუ საბჭოთა წყობილების დამყარების დროისათვის სამიოდე ეთნოგრაფი ძირითადი პრობლემებიდან საკითხების მხოლოდ მცირედ ნაწილს სწავლობდა, სადღეისოდ ყოველ პრობლემაზე მიმაგრებულია რამდენიმე სპეციალისტი. ამაზე მეტყველებს თითოეული პრობლემის მრავალთემიანობა და ამ მიმართულებით წარმოებული კვლევის შედეგები. ყოველ ეთნოგრაფიულ პრობლემას მიეძღვნა არაერთი გამოკვლევა, რის შედეგადაც ბევრი საკითხი მონოგრაფიულად იქნა შესწავლილი.

ქართველმა ეთნოგრაფებმა სერიოზული გამოკვლევებით გაამდიდრეს სამეურნეო ყოფის პრობლემა. ამ პრობლემიდან მაღალ მეცნიერულ დონეზე იქნა შესწავლილი მემინდვრეობის სისტემა საქართველოსა და კავკასიაში, სახვნელები და შრომის სხვა იარაღები, ხორბლეულის ენდემური ჯიშები, მემინდვრეობასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ფორმები, სამეურნეო ნაგებობანი, სოციალურ ურთიერთობათა თავისებურებანი. რწმენა-წარმოდგენები, დღეობები და რიტუალები[16]. ხანგრძლივი ნაყოფიერი კვლევა-ძიების შედეგად დადგენილია, რომ საქართველო ერთ-ერთი მაღალგანვითარებული სამიწათმოქმედო ქვეყანაა, რომლისთვისაც ტრადიციულად დამახასიათებელია ვერტიკალური ზონალობა, ე. ი. მთის, მთისძირისა და ბარის მიწათმოქმედების თანაარსებობა ბუნებრივ პირობებთან შეფარდებული მარცვლეული კულტურებით, ნიადაგების დამუშავების ემპირიული ცოდნით, შესაფერისი სამეურნეო იარაღების გამოყენებით და მოსავლიანობის გადიდების ეფექტური საშუალებებით. მემინდვრეობის სისტემებისა და სახვნელი იარაღების განვითარების მეცნიერული შესწავლის შედეგები (გ. ჩიტაია) მნიშვნელოვან მონაპოვრად იქნა აღიარებული აგროეთნოგრაფიის პრობლემის სფეროში და გაზიარებული დებულების სახით ცნობილი გახდა ეთნოგრაფიული მეცნიერებისათვის.

ეთნოგრაფიული მასალებისა და ისტორიული წყაროების მიხედვით მო-

---

[15] ამ გამოფენის ძირითადი პრინციპებისა და თემატიკის შესახებ დაწვრილებით იხ. საქართველოს ერთიანი ეთნოგრაფიული გამოფენის მეგზური, თბ., 1958 (შემდგენელი გ. ჩაჩაშვილი, რედაქტორი გ. ჩიტაია).

[16] გ. ჩიტაია, რაჭული სახვნელი, „ენიმკის მოამბე", I, 1957; მისივე, ქსნური მთის გუთანი, „ენიმკის მოამბე", V—VI,1940; მისივე, Земледельческие системы и пахотные орудия Грузии, «Вопросы этнографии Кавказа», Тб., 1949 (და მრავალი სხვა); გ. ჯალაბაძე, აღმოსავლეთ საქართველოს სამიწათმოქმედო იარაღების ისტორიიდან, თბ., 1960; მისივე, მიწათმოქმედება ფშავ-ხევსურეთში, თბ., 1963; მისივე, მემინდვრეობის კულტურა საქართველოში (სადოქტორო დისერტაცია), 1973; ნ. ბრეგაძე, მთის მიწათმოქმედება დასავლეთ საქართველოში, თბ., 1969; ნ. ჩიჯავაძე, სამიწათმოქმედო ყოფის ისტორიიდან აჭარაში, თბ., 1971; ლ. ბერიაშვილი, მიწათმოქმედება მესხეთში, თბ., 1973; ჯ. რუხაძე, ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში, თბ., 1976; მ. ქანთარია, სამეურნეო ყოფის ისტორიიდან ყაბარდოში, „კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული", თბ., 1964; მისივე, Некоторые вопросы земледельческого быта в горной Осетии, «Кавказский этнографический сборник», т. V, ч. 3, Тб., 1980.

ნოგრაფიულად შეისწავლებოდა სარწყავი მიწათმოქმედება და მიწათმოქმედების ტერასული სისტემა. დადგენილია მორწყვის მრავალგვარი წესები საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არსებულ თავისებურებათა ჩვენებით, გამოვლენილია ქართული ხალხური აგროტექნიკური ცოდნა-გამოცდილება, რასაც დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა სოფლის მეურნეობაში[17].

ეთნოგრაფიულ კვლევაში საპატიო ადგილი დაიმკვიდრა უძველესი ტრადიციების მქონე მაღალგანვითარებულმა მევენახეობა-მეღვინეობის საკითხმა[18]. საქართველოს კუთხეების მიხედვით გამოკვლეულია ვაზის ჯიშები და მისი მოვლა-მოშენების ხალხური ტრადიციები, ღვინის დაყენების წესები, ღვინის ჭურჭელი, მარნის ტიპები, მევენახეობა-მეღვინეობასთან დაკავშირებული შრომის ორგანიზაციის ფორმები, დღესასწაულები და რელიგიური რწმენა-წარმოდგენები.

სამეურნეო ყოფიდან შეისწავლებოდა აგრეთვე მეაბრეშუმეობა, მეხილეობა, მებოსტნეობა და ლუდის გამოხდის წესები[19].

ველზე მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალებისა და ისტორიული წყაროების გაანალიზების შედეგად საფუძვლიანად იქნა გამოკვლეული მონადირეობისა და მეფუტკრეობის ისტორია საქართველოში. მეურნეობის ამ უძველესი დარგების ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლის საფუძველზე მიღებულმა დასკვნებმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირეს მეურნეობის ისტორიის სფეროში ზოგადი ეთნოგრაფიის დონეზე[20].

კვალიფიციურად შესრულებული მონოგრაფიები გამოქვეყნდა მესაქონლეობის შესახებ. ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული მასალების შედარებითი ანალიზის საფუძველზე დაზუსტდა „მომთაბარე მესაქონლეობის" შინაარსი, რასაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება „ალპური მეურნეობის" კულტურულ-ისტორიული არსის გაგებისათვის[21]. როგორც ამ მონოგრაფიებში, ისე სხვა ავტორთა ნაშრომებში შესწავლილია ისეთი საკითხები, როგორიცაა საქონლის ჯიშები, მესაქონლეობის პროდუქტები, საკვები რესურსები და სამეურნეო ბაზები, მესაქონლეობის პროდუქციის რეალიზაციის გზები, საკუთრების ფორმები, შრომის ორგანიზაციის ფორმები და სხვ[22].

---

[17] მ. გ ე ბ ე შ ი ძ ე, სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში, თბ., 1961; ნ. ჩ ი ჯ ა ვ ა ძ ე, ტერასული მიწათმოქმედება საქართველოში, თბ., ., 1976;

[18] ი. ნ ა ნ ო ბ ა შ ვ ი ლ ი, ვაზის ძველი კულტურა ქიზიყში, თბ., 1960; ჯ. ს ო ნ ღ უ ლ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიისათვის, II, თბ., 1974; ლ. ფ რ უ ი ძ ე, მევენახეობა და მეღვინეობა საქართველოში, I, რაჭა, თბ., 1974 (გამოქვეყნდა აგრეთვე ა. ლეკიაშვილის, ნ. თოფურიას, ლ. გაბუნიას და სხვათა წერილები ამ საკითხზე).

[19] ნ. ა ბ ე ს ა ძ ე, მეაბრეშუმეობა საქართველოში, 1957; ჯ. ს ო ნ ღ უ ლ ა შ ვ ი ლ ი, მებოსტნეობა თბილისის სანახებში, თბ., 1959; დ. პ ა ვ ლ ი ა შ ვ ი ლ ი, მეხილეობა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 1962; ა. ლ ე კ ი ა შ ვ ი ლ ი, ლუდის გამოხდის ხალხური წესები ხევსურეთში (საკანდიდატო დისერტაცია).

[20] ალ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, შრომის ორგანიზაციის ფორმები ძველი საქართველოს სახალხო მეურნ ობაში. I. კოლექტიური ნადირობის გადმონაშთ ბი რაჭაში, თბ., 1941; მ ი ს ი ვ ე, მეფუტკრეობის ისტორიისათვის, თბ., 1960.

[21] ვ. შ ა მ ი ლ ა ძ ე, ალპური მესაქონლეობა საქართველოში, თბ., 1969; მ ი ს ი ე ე, Хозяйственно-культурные и социально-экономические проблемы скотоводства Грузии, Тб., 1979.

[22] ნ. თ ო ფ უ რ ი ა, თუშური ყველი, „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის", XVI—XVII, თბ., 1972; მ ი ს ი ე ე, ყველის დამზადების ხალხური ტექნოლოგიიდან, „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის,", XVIII, თბ., 1975 და სხვ.; ბ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, მესაქონლეობა მთაინგუშეთში (საკანდიდატო დისერტაცია), 1969; მ ი ს ი ე ე, Система скотоводства

ქართველმა ეთნოგრაფებმა მრავალი საკითხი დაამუშავეს მატერიალური კულტურის პრობლემიდან. საქართველოს და კავკასიის არაერთი კუთხის მიხედვით შესწავლილია საცხოვრებელ ნაგებობათა სახეობანი და დასახლების ფორმები. საცხოვრებელ და სამეურნეო ნაგებობათა აღწერის, მათი სართულიანობის, გადახურვის სისტემის, ფართობის სეგმენტაციის, საათავსოთა ფუნქციების (საყოფაცხოვრებო, სამეურნეო, სოციალური, საკულტო) გარკვევისა და ვერტიკალური ზონალობის გათვალისწინების, აგრეთვე ცალკეული ეთნოგრაფიული რეგიონების სამეურნეო-ეკონომიკური პირობებისა და სოციალური განვითარების გათვალისწინების ნიადაგზე შემუშავდა საცხოვრებლებისა და დასახლების ფორმების ტიპოლოგიური კლასიფიკაციის პრინციპები საქართველოსა და კავკასიის მასშტაბით. კვლევის შედეგად გამოჩნდა, რომ საცხოვრებლებისა და დასახლებისათვის დამახასიათებელი იყო მაღალი სამშენებლო კულტურა, არქიტექტურულ ფორმათა ნაირსახეობა, რაციონალურად განსაზღვრული სამეურნეო, სოციალური და საკულტო ფუნქციები და დასახლების მრავალგვარი თავისებურება, რაც ბუნებრივ-ისტორიული პირობების შესაბამისად საუკუნეების განმავლობაში ყალიბდებოდა[23].

მატერიალური კულტურის პრობლემიდან ინტენსიური მუშაობა წარმოებდა მასში შემავალ მრავალ საინტერესო საკითხზე. ქართულ-კავკასიური და აღმოსავლური მასალების, სამუზეუმო კოლექციებისა და წერილობითი წყაროების მიხედვით სერიოზული გამოკვლევები დაიწერა ტრანსპორტის, წყალწისქვილების, ავეჯის, ტანსაცმლის, სამკაულისა და საბრძოლო იარაღების შესახებ[24]. შინაარსიანი მონოგრაფიები მიეძღვნა ხალხური მეტალურგიის სა-

---

в горной Осетии, „Кавказский этнографический сборник, V[3], Тб., 1980 და სხვა; მ. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, მსხვილფეხა მესაქონლეობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (საკანდიდატო დისერტაცია), 1975 და სხვ. თ. ც ა გ ა რ ე ი შ ვ ი ლ ი, მესაქონლეობა ქვემო ქართლში (საკანდიდატო დისერტაცია).

[23] გ. ჩ ი ტ ა ი ა, ხევსურული სახლის „სენე", „ანალები", I, თბ., 1947; მ ი ს ი ვ ე, დასახლების ტიპი მთიულეთში, „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის", VI, თბ., 1953; ალ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე. დასახლების ფორმები ბალყარეთში, „მას. საქ. ეთნ.", თბ., 1960; XII — XIII, თბ., 1963; „კავკასიის ეთნ კრ.", I, 1964; მ ი ს ი ვ ე. დასახლების ფორმათა საკითხისათვის ზემო აჭარაში, „ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შრომები", I, 1960; რ. ხ ა რ ა ძ ე, ალ. რ ო ბ ა ქ ი ძ ე, სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1964; მ ა თ ი ვ ე. მთიულეთის სოფელი ძველად. თბ., 1965; А. Р о б а к и д з е, Жилища и поселения горных ингушей, «Кавказский этнографический сборник», II., Тб., 1968; А. Р о б а к и д з е, Г. Г е г е ч к о р и, Формы жилища и структура поселения горной Осетии, «Кавказский этнографический сборник», V[1], Тб., 1975; მ. ჩ ა რ თ ო ლ ა ნ ი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1961 (აგრეთვე მისი ცალკეული გამოკვლევები სვანეთსა და მთიულეთზე); თ. ჩ ი ქ ო ვ ა ნ ი, ქართული ხალხური საცხოვრებელი, თბ., 1960; მ ი ს ი ვ ე, ამიერკავკასიის ხალხურ საცხოვრებელ ნაგებობათა ისტორიიდან, თბ., 1967 (აგრეთვე ცალკეული შრომები); კ. კ ა ხ ი ა ნ ი, გლეხის კარმიდამო იმერეთში, თბ., 1964; ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ხევი ძველად და ახლა (საცხოვრებელი ნაგებობანი). თბ., 1967; გ. გ ე გ ე ჭ კ ო რ ი, ჩაჩნეთ-ინგუშეთის მთური საცხოვრებელი კომპლექსი (საკანდიდატო დისერტაცია), 1970; ა. ქ ა ლ დ ა ნ ი, სვანეთის საცხოვრებელი კომპლექსები (საკანდიდატო დისერტაცია), 1974 და სხვა.

[24] მ. გ ე გ ე შ ი ძ ე. ქართული ხალხური ტრანსპორტი, თბ., 1956; ს. ბ ე დ უ კ ა ძ ე, წყლით მბრუნავი წისქვილები არაგვის ხეობაში, თბ., 1960; ლ. ბ ე დ უ კ ი ძ ე, ხალხური ავეჯი აღმოსაელეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1973; ც. ბ ე ზ ა რ ა შ ვ ი ლ ი, ქალის სამოსელი აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1974; ლ. მ ო ლ ო დ ი ნ ი, გ. ჩ ა ჩ ა შ ვ ი ლ ი, ქართული კოსტუმის კატალოგი, თბ., 1964; ლ. ს ო ს ე ლ ი ა, ოქრომჭედლობის შესწავლისათვის მესხეთში, კრებულში: „მესხეთ-ჯავახეთი", თბ., 1972; კ. ჩ ო ლ ო ყ ა შ ვ ი ლ ი, ქართული საჭურველი (საკანდიდატო დისერტაცია), 1961; ი. ს ა მ ს ო ნ ი ა, აჭარელი ქალის ტანსაცმელი (საკანდიდატო დისერტაცია), თბ., 1974.

კითხებს, ქართული კერამიკული წარმოების შესწავლას, ქვის, ხის, ძვლის, ბატყლის, აბრეშუმის, ხელის, კანაფის ქსოვილების დამზადების წესებს[25].

მატერიალური კულტურისა და სამეურნეო ყოფის პრობლემებიდან სერიოზული მუშაობა მიმდინარეობდა ქართული ზეთსახდელებისა და ზეთის ვამოხდის ხალხურ წესებსა[26] და ქართველ მთიელთა კვების კულტურის საკითხებზე[27]. ამავე პრობლემისა და საერთოდ, ნებისმიერი კუთხის ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლისათვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტოპონიმურ ძიებას, რაშიაც გარკვეული წვლილი შეიტანეს ქართველმა ეთნოგრაფებმა[28].

მატერიალური კულტურისა და სამეურნეო ყოფის შესწავლის შედეგების განზოგადების საუკეთესო საშუალებაა საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, რაზედაც მუშაობა მიმდინარეობს ოც წელზე მეტი ხნის მანძილზე. დასახული გეგმისა და ატლასის შექმნის პრინციპების თანახმად, ცალკეულ ნაკვეთებში უნდა აისახოს სამიწათმოქმედო კულტურა, საცხოვრებელი ნაგებობანი და დასახლების ფორმები, მესაქონლეობა, ეროვნული კოსტიუმი და ხალხური ტრანსპორტი. ატლასის თემაზე დაწერილი შრომებიდან ნაწილი გამოქვეყნდა სამეცნიერო კრებულებში და ჟურნ. „მაცნეში", ხოლო ახლახან გამოქვეყნებული თემატური კრებული ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასისათვის საჭირო სტატიების მომზადებისა და გრაფიკული გაფორმების პირველი ცდაა[29]. ატლასის მომზადება გამოსაცემად მომავალში სერიოზულ სამეცნიერო-კვლევითსა და სარედაქციო მუშაობას საჭიროებს.

ეთნოგრაფიული მასალებისა და ისტორიული წყაროების შესწავლის, საქართველოსა და კავკასიის შესახებ არსებული ეთნოგრაფიული ლიტერატურის კრიტიკული გამოყენებისა და სათანადოდ შემოწმებული ყველა სახის მონაცემების გაანალიზების საფუძველზე მნიშვნელოვანი შედეგები მივიღეთ სოციალურ ურთიერთობათა კვლევის სფეროში. ამ პრობლემაზე მუშაობამ მკაფიოდ წარმოაჩინა შეხედულებათა სხვაობა მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებაზე დამყარებულ საბჭოთა მეცნიერებასა და ბურჟუაზიულ მიმართულებას შორის. ქართველი და კავკასიელი ხალხების სოციალურ ურთიერთობათა პრობლემაში შემავალი კონკრეტული საკითხების კვლევამ მეცნიერული არ-

[25] ნ. რ ე ხ ვ ი ა შ ვ ი ლ ი, მჭედლობა რაჭაში, თბ., 1953; მ ი ს ი ვ ე, ქართული ხალხური მეტალურგია, თბ., 1964; ლ. ბ ო ჭ ო რ ი შ ვ ი ლ ი, ქართული კერამიკა, თბ., 1949; გ. გ ა ს ი ტ ა შ ვ ი ლ ი, ხის დამუშავების ხალხური წესები, თბ., 1962; გ. კ ვ ი რ კ ვ ე ლ ი ა, ირანის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1968; ც. კ ა კ ა ბ ა ძ ე, შროშული კერამიკა (საკანდიდატო დისერტაცია), თბ., 1973; გ. ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი, კერამიკული წარმოება ქსნის ხეობაში (საკანდიდატო დისერტაცია), თბ., 1974; ც. ყ ა რ ა უ ლ ა შ ვ ი ლ ი, ქსოვის ხალხური წესები კახეთში (საკანდიდატო დისერტაცია), თბ., 1973; გ. ჩ ა ჩ ა შ ვ ი ლ ი, საქართველოს მუზეუმის საჩითავები, თბ., 1962; რ. თ ო დ უ ა, კერამიკული წარმოების ხალხურის ტექნიკის საკითხები, „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის", XVIII, თბ., 1975 და სხვ.

[26] ლ. მ ო ლ ო დ ი ნ ი, ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, თბ., 1963.

[27] ნ. ჯ ი ქ ი ა, ქართველ მთიელთა კვების კულტურა (საკანდიდატო დისერტაცია), თბ., 1977.

[28] ვ. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ხევის ტოპონიმია, თბ., 1971; გ. ე ლ ი ა ვ ა, აბაშისა და გეგეჭკორის რაიონების ტოპონიმია თბ., 1979; მ. გ ე გ ე შ ი ძ ე, ქართლის სამეურნეო ტოპონიმია არაგვისა და ქსნის ხეობათა მასალების მიხედვით, „თბილისის უნივერსიტეტის შრომები", XXVII, რ. თ ო ფ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ტოპონიმები როგორც წყარო აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობის მიგრაციის შესასწავლად, ჟურნ. „მაცნე", ისტორიის სერია, 1979, № 2 და სხვ.

[29] საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი (მასალები), თბ., 1980.

გუმენტებით განამტკიცა მარქსისტულ-ლენინურ მოძღვრებაზე დაფუძნებული საბჭოთა ეთნოგრაფიის თვალსაზრისი ბურჟუაზიულ მეცნიერებაში არსებული რეაქციული „პატრიარქალური თეორიის“ უნიადაგობის შესახებ.

სოციალურ ურთიერთობათა პრობლემიდან სისტემატურად შეისწავლებოდა ნათესაობის სისტემა, გვარის სტრუქტურა, პატრონიმიული ორგანიზაცია, ქორწინების ინსტიტუტი, საოჯახო ყოფა, ტერიტორიული თემი, ხალხური მმართველობის სისტემა, ჩვეულებითი სამართალი. ამ საკითხების კვლევისათვის უმთავრესად გამოყენებულია საქართველოსა და კავკასიის მთიანეთში მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალები.

ნათესაობის სისტემისა და გვარის სტრუქტურის შესწავლაში ყურადღება მიექცა სისხლით, მოყვრობითი და ხელოვნური ნათესაობის კატეგორიებს, გვარის გენეალოგიურ სქემას, მისი ერთობის ნიშნებს და ამ ერთობის შემამტკიცებელ ტრადიციებს. გამოიკვეთა შეხედულება, რომ ქართულ-კავკასიურ სინამდვილეში არსებული ნათესაური გაერთიანება წარმოადგენდა პატრონიმიას, დიდი ოჯახის დაყოფის ნიადაგზე წარმოქმნილი და ერთ უბნად დასახლებული ოჯახების გაერთიანებას, რომელიც ინარჩუნებდა მეურნეობრივი, საზოგადოებრივი და იდეოლოგიური ერთობის ნიშნებს[30].

ქართულ საბჭოთა ეთნოგრაფიაში საფუძველი ჩაეყარა ჩვეულებითი სამართლის კვლევას, ხოლო შემდეგ ყურადღება მიექცა ხალხური მმართველობის სისტემის შესწავლას[31], რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც სოციალური საკითხების ეთნოგრაფიული კვლევისათვის, ისე ქართული სამართლის ისტორიის მრავალი საკითხის გაშუქებისათვის.

ქართველმა ეთნოგრაფებმა საქართველოსა და კავკასიის ცალკეული რეგიონების მიხედვით არაერთი ნაშრომი მიუძღვნეს ქორწინების ფორმებისა და საქორწინო წეს-ჩვეულებების შესწავლას, რის საფუძველზედაც დადგენილ იქნა ნიშნობის სხვადასხვა სახეობანი, მოყვრებს შორის მრავალსაფეხურიანი ურთიერთობანი, საქორწილო რიტუალისა და ჯვრის წერის ნაირსახეობანი, სხვადასხვა დროიდან შემორჩენილი ტრადიციები და გადმონაშთები[32].

---

[30] რ. ხარაძე, ნათესაობის სისტემის საკითხისათვის ხევსურეთში, „ენიმკის მოამბე“, V—VI, თბ., 1940; მისივე, კოლატერალური ნათესაობა დიდოელებში, „საქ-ს მეცნ. აკად. მოამბე“, VII, 1946, № 8, მისივე, ხევსურული „ძირი“ და „გვარი“, „მიმომხილველი“, I, 1949; ალ. რობაქიძე, მთიულური კომობის ზოგიერთი მხარე, „კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული“, III, თბ., 1971; მისივე, Патронимия у народов Кавказа, М., 1973; ნ. ჯავახაძე. ნათესაობის სისტემის ისტორიიდან—„შინშის“ საკითხისათვის მთიულეთში, „კავკასიის ეთნ. კრ. “, III; მისივე, Типологическая характеристика осетинской системы родства, «Кавказский этнографический сборник», V², Тб., 1979 და სხვ.

[31] რ. ხარაძე, ხევსურული რჯული, «ანალები», I, თბ., 1947; მისივე. ხევსურული ანდრეზი—ხალხური სამართლის წყარო, «მიმომხილველი», II, თბ., 1951; მისივე, თემური მმართველობის გადმონაშთები ხევში, «ისტორიის ინსტ. შრომები», IV, ნაკვ. 2. თბ., 1959; მისივე, სოფლის თემი ბალყარეთში, «მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის», XI, თბ., 1960; მისივე. ტერიტორიულ-მეზობლური გაერთიანებები სვანეთში, «მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის», XII—XIII, თბ., 1963; რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, სვანეთის სოფელი ძველად, თბ., 1954; მათივე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965; გ. ჩაჩაშვილი, ხალხური მმართველობის ისტორიიდან (შატილის საფეხნო), «მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის», VII, თბ., 1955; Г. Чиковани, Осетинский ныхас, «Кавказский этнографический сборник, V², Тб., 1979 და სხვ.

[32] რ. ხარაძე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, ტფ., 1939; ი. ჭუონია, ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში, I, თბ., 1955; ვ. ითონიშვილი. ქართველ მთიელთა

ინტენსიური მუშაობა წარმოებდა ოჯახის ძველი და ახალი ფორმების, ოჯახის ძირითადი კომპონენტებისა და საოჯახო ყოფის თავისებურებათა შესწავლის მიმართულებით. საქართველოსა და კავკასიის ცალკეული კუთხეების მრავალწლიანი შესწავლის, წერილობითი წყაროების ანალიზისა და ზოგადი ეთნოგრაფიის მონაცემები გათვალისწინების საფუძველზე დადგენილ იქნა, რომ კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების დროიდან გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა ინდივიდუალურ ოჯახებად ცხოვრების წესმა, მაგრამ ამასთან ერთად ხანგრძლივად ინარჩუნებდა არსებობას გაუყრელად ცხოვრების ტრადიცია. გაუყრელი ოჯახების თაობათა შემადგენლობა და სულადობა, მისი მართვის სისტემა, შრომის ორგანიზაცია და ქონების მფლობელობის წესი საფუძველი გამოდგა იმის მტკიცებისა, რომ XIX ს-ის ბოლომდე დიდმა ოჯახმა გადმონაშთის სახით შეინარჩუნა ზოგი ისეთი ნიშანი, რაც გენეტიკურად დამახასიათებელი იყო საოჯახო თემისათვის[33]. ადგილი ჰქონდა აღნიშნული შეხედულების უარყოფის ცდებსაც[34].

სერიოზული მუშაობა მიმდინარეობდა ტერიტორიული თემის სტრუქტურის შესწავლის მიმართულებით, რითაც ჯერ კიდევ XIX ს-ის შეორე ნახევარში დაინტერესდნენ (ნ. ხიზანაშვილი, ალ. ხახანაშვილი). ამ მხრივ მკვლევართა ყურადღება მიიქცია საქართველოს მთიანეთმა. ქართულ საბჭოთა ეთნოგრაფიაში ადრე არსებული შეხედულებების ნაცვლად, რაც ეთნოგრაფიული აზრის განვითარების გარკვეულ საფეხურზე არქაიზაციის ტენდენციებით იყო გაჟღენთილი, ხანგრძლივი კვლევა-ძიების შედეგად ჩამოყალიბდა ორი თვალსაზრისი მთის სოციალური განვითარების შესახებ. ერთი შეხედულების თანახმად, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა სოციალური ცხოვრებისათვის დამახასიათებელი იყო პოლითეიზმი და ღვთაებათა პანთეონის განვითარების სხვადასხვა საფეხური. სოციალური განვითარების დონით ამ პანთეონის არსებობა შეესაბამებოდა პირველყოფილ-თემური წყობილების დაშლისა და ძველ აღმოსავლური ტიპის ადრეკლასობრივი (ადრემონათმფლობელური) სა-

---

საოჯახო ურთიერთობის ისტორიიდან. თბ., 1960; მ ი ს ი ვ ე, ქორწინების ზოგიერთი წეს-ჩვეულება ძველ თბილისში, თბ., 1959; მ. ბ ე ქ ა ი ა, ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში. ბათუმი, 1974; ნ. მ ა ჩ ა ბ ე ლ ი, ქართველი ხალხის საოჯახო ყოფის ისტორიიდან, თბ., 1976; მ ი ს ი ვ ე, ქორწინების ინსტიტუტი ქართლში, თბ., 1978; ლ. მ ე ლ ი ქ ი შ ვ ი ლ ი, ქონებრივი ურთიერთობის ზოგიერთი ფორმის შესახებ მთიულეთში—სათავნო, «კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული», III, თბ., 1971; მ ი ს ი ვ ე, Некоторые стороны осетинского свадебного ритуала, «Кавказский этнографический сборник», V², Тб, 1979; თ. ი ვ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, ნიშნობის წესები სამცხე-ჯავახეთში, ჟურნ. «აცნა», ისტორიის სერია, 1979, № 4; მ ი ს ი ვ ე, სა. ნიკარი სამცხე-ჯავახეთში, «მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის», XX, თბ., 1979 და სხვ.

[33] რ. ხ ა რ ა ძ ე, დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში; მ ი ს ი ვ ე, Грузинская семейная община. I, Тб., 1960; II, Тб., 1961; მ ი ს ი ვ ე, საოჯახო თემის გადმონაშთები თუშეთში, «მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის», X, თბ., 1959; ე. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ცენტრალური კავკასიის მთიელების საოჯახო ყოფა, I, ნახჩისა და ოსების საოჯახო ყოფა, თბ., 1969; მ ი ს ი ვ ე, ფოხეველების საოჯახო ყოფა, თბ., 1970; მ ი ს ი ვ ე, ქართლის მთიელთა ყოფა-ცხოვრებიდან, თბ., 1974; მ ი ს ი ვ ე, კავკასიის ხალხთა საოჯახო ყოფა (ისტორიოგრაფიული ნარკვევი), თბ., 1977; Л. П а ш а е в а, Семья и семейный быт цалкских урумов (канд. дисс.), Тб., 1972.

[34] И. Ч к о н и я, Некоторые вопросы семейной общины в Картли, «ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები», I, თბ., 1955; მ ი ს ი ვ ე, О природе Большой семьи (1964 წლის კონგრესისათვის თბილისში დაბეჭდილი მოხსენება) და სხვ.

ზოგადოების ჩამოყალიბების საფუძვლებს[35]. მეორე თვალსაზრისის მიხედვით, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გვაროვნული წყობილების დაშლის შედეგად წარმოქმნილი სოციალური დიფერენციაცია განსახიერებას პოულობდა ადრეფეოდალურ ანუ მთურ ფეოდალიზმში[36]. ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს გარკვეულ მონაპოვართან, რამდენადაც ორივე ეს შეხედულება გამორიცხავდა მთაში გვაროვნული წყობილების დაშლის გახანგრძლივებულ პროცესს. თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს შეხედულებები სათანადოდაა შეფასებული და გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს საზოგადოებები, ნაცვლად ადრემონათმფლობელურისა ან ადრეფეოდალურისა, მივიჩნიოთ „თემური დემოკრატიის ტიპის ადრეკლასობრივ საზოგადოებად"[37].

მნიშვნელოვანი გამოკვლევები გამოქვეყნდა სულიერი კულტურის მრავალთემიან პრობლემაზე, რაც დაიწყო სასულიერო ტექსტების პუბლიკაციით და მისი მეცნიერული ანალიზით[38]. ამას მოყვა ხალხური ორნამენტის შესწავლა, მდიდარი ეროვნული კულტურის წარმოჩენა და რევოლუციამდელ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში არსებულ მცდარ შეხედულებათა გაფანტვა ქართველი მთიელების (ხევსურების) ეთნიკურ კუთვნილებასთან დაკავშირებით[39]. ამასთან ერთად, შესანიშნავი შრომები მიეძღვნა ასტრალურ ღვთაებათა ბუნებისა და მასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენების შესწავლას[40]. სრულიად ახალი მასალების გაანალიზების საფუძველზე გაირკვა მრავალსულიანობის კონცეფცია[41]. გამოქვეყნდა სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი[42] და ივრის ფშავლების სულიერი ცხოვრების ამსახველი ეთნოგრაფიული დღიური[43]. სვანური მასალის მიხედვით შესწავლილ იქნა ქართული საწესო გრაფიკული ხელოვნება[44]. გამოირკვა, რომ სვანეთის სინამდვილეში ფიქსირებული ხალხური ხელოვნების მონაცემები ტრადიციული მხატვრობის ნიმუშებს წარმოადგენდნენ, რომლისთვისაც დამახასიათებელია ნატურალისტური შინაარსი ორი სხვადასხვა სტილით—რეალისტურით და აბსტრაქტულით. კვლე-

---

[35] В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957; შდრ.. «Народы Кавказа, II, М., 1962, 315.

[36] რ. ხარაძე, ალ. რობაქიძე, მთიულეთის სოფელი ძველად, თბ., 1965; ზ. ანჩაბაძე, ალ. რობაქიძე, კავკასიური მთური ფეოდალიზმის ბუნების საკითხისათვის, «იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება», XVIII, თბ., 1973 და სხვ.

[37] გ. მელიქიშვილი, ქართველ მთიელთა სოციალურ-ეკონომიკური წყობილების დახასიათებისათვის, ჟურნ. «მაცნე», ისტორიის სერია, 1792, № 1.

[38] ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს ქართველი მთიელების სასულიერო ტექსტები, «მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის», I, ტფ., 1938.

[39] ვ. ბარდაველიძე და გ. ჩიტაია, ქართული ხალხური ორნამენტი, I, ხევსური, თბ., 1939; გ. ჩიტაია, სიცოცხლის ხის მოტივი ლაზურ ორნამენტში, «ენიმკის მოამბე» X, თბ., 1941.

[40] ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ). თბ., 1941.

[41] ვ. ბარდაველიძე. ქართველი ხალხის რელიგიური აზროვნების ისტორიიდან (მრავალსულიანობის კონცეფცია), «მიმომხილველი», I, 1949.

[42] ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, I, ახალწლის ციკლი, ტფ., 1939.

[43] ვ. ბარდაველიძე, ივრის ფშავლებში (დღიური), «ენიმკის მოამბე», XI, თბ., 1941.

[44] ვ. ბარდაველიძე, ქართული (სვანური) საწესო გრაფიკული ხელოვნების ნიმუშები, თბ., 1953.

ვის შედეგებით ცნობილი გახდა აბსტრაქტული მხატვრობის მაგიური შინაარსი, რასაც ზოგადთეორიული მნიშვნელობა აქვს პირველყოფილ ხელოვნებაში სიმბოლური ხასიათის გეომეტრიულ გამოსახულებათა გენეზისის დადგენისათვის.

მრავალ საყურადღებო ნაშრომში გაშუქებულია ქართველთა უძველესი რწმენა-წარმოდგენების ხასიათი, შესწავლილია სამეურნეო ყოფასთან დაკავშირებული დღესასწაულები და რიტუალები, ნაყოფიერი მუშაობაა გაწეული მიცვალებულის კულტისა და ხალხური მედიცინის შესწავლის ხაზით[45]. ქართველ მთიელთა სულიერი კულტურის, ეთნიკური ისტორიის, ქართველი და ჩრდილოკავკასიელი მეზობლების კულტურულ-ისტორიული ურთიერთობისა და სოციალური სტრუქტურის შესწავლის საქმეში სასარგებლო შედეგები მოგვცა მითოლოგიური გადმოცემების გაანალიზებამ[46].

ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მონაპოვარს წარმოადგენს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საკულტო ნაგებობათა აღწერა-შესწავლა, რითაც ქართული მატერიალური და სულიერი კულტურის სამუდამო კუთვნილებად იქცა ეს ძეგლები[47].

ქართველი ხალხის ყოფაში ყოველთვის დიდი ადგილი ეჭირა ხალხური სპორტის სახეობებს და გართობა-თამაშობებს — აღზრდის სისტემისა და სულიერი ცხოვრების ამ მნიშვნელოვან კომპონენტებს, რაც კარგად გამოჩნდა საფუძვლიანი გამოკვლევებით[48].

ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიის განვითარებაში იმთავითვე მნიშვნელოვანი ადგილი დაიჭირა მუსიკალურმა ეთნოგრაფიამ. ეთნოგრაფიის განყოფილებაში თანამშრომლობდნენ დ. არაყიშვილი, გ. ჩხიკვაძე, თ. მამალაძე, ხოლო დღეს ნაყოფიერად მოღვაწეობენ მომდევნო თაობათა წარმომადგენლები. კვლევის საგანს შეადგენდა როგორც ხალხური ხმიერი მუსიკის საკითხები, ისე ხალხური სამუსიკო საკრავები და საკრავიერი მუსიკა. შესწავლილია შრომის სიმღერები, მათი სტრუქტურა და სტილისტური თავისებურებანი, მუსიკალური დიალექტები და ტერმინოლოგია, მუსიკალური და პოეტური

---

[45] თ. ო ჩ ი ა უ რ ი, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბ., 1954; ჯ. რ უ ხ ა ძ ე, ქართული ხალხური დღესასწაული, თბ., 1966; მ ი ს ი ვ ე, ხალხური აგრიკულტურა დასავლეთ საქართველოში, გვ. 157—193; ნ. თ ო ფ უ რ ი ა, ღვინის ზედაშეები, «მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის», XII—XIII, თბ., 1963; ი. ს ო ს ო ლ ა ძ ე, «წერა» ცნების გაგებისათვის. «მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის», XVI—XVII. თბ., 1972; მ. მ ა კ ა ლ ა თ ი ა, წყლის კულტთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის შესწავლისათვის, «მასალები საქ-ს ეთნ», XVI—XVII; ა. ს ო ხ ა ძ ე, ქართველთა უძველესი სარწმუნოებისა და მის გადმონაშთებთან ბრძოლის ისტორიიდან, თბ., 1964; დ. გ ი ო რ გ ა ძ ე, მიცვალებულის კულტი აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში (საკანდ. დისერტაცია), თბ., 1977; ნ. მ ი ნ დ ა ძ ე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა ხალხური მედიცინა (საკანდ. დისერტ.) თბ., 1977; ე. ე რ ი ა შ ვ ი ლ ი, საწულე, ჟურნ. «მაცნე», ისტორიის სერია, 1979, № 3; ნ. ბ რ ე გ ა ძ ე, ბერიკაობის ისტორიის შესწავლისათვის, ჟურნ. «მაცნე», ისტორიის სერია, 1980, № 1.

[46] თ. ო ჩ ი ა უ რ ი, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1967.

[47] ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტრადიციული საზოგადოებრივ-საკულტო ძეგლები, I, ფშავი, თბ., 1974.

[48] А. Робакизе, «Цхенбурти» (Опыт восстановления грузинской конно-спортивной игры»), «Вопросы этнографии Кавказа», Тб., 1952; ნ. ღ ო ღ ო ბ ე რ ი ძ ე, ხალხური აღზრდის წესები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში (საკანდიდატო დისერტაცია), თბ., 1975 და სხვ.

მეტრისა და რიტმის ურთიერთმიმართების საკითხები. ინტენსიურად შეისწავლება მთისა და ბარის მუსიკალურ კულტურათა ურთიერთობის ხასიათი, ქართულ-კავკასიური ეთნოკულტურული კავშირები და მუსიკალური ეთნოგრაფიის ზოგადი საკითხები[49].

ქართულმა საბჭოთა ეთნოგრაფიამ თავიდანვე მნიშვნელობა მიანიჭა ზოგადი ეთნოგრაფიის ცოდნას. უნივერსიტეტში და აპირანტურაში ეთნოგრაფიის საფუძვლების სწავლებასთან ერთად სპეციალურ სტატიებში გაშუქდა ზოგადი ეთნოგრაფიის ზოგიერთი საკითხი[50].

სათანადო ყურადღება ექცევა ეთნოგრაფიული მემკვიდრეობის შესწავლა-გამოკვლევას და შეფასებას, ისევე როგორც ადგილობრივი კორესპონდენტების მიერ შეკრებილი მასალებით ივსებოდა ეთნოგრაფიული არქივი. სხვადასხვა დროს ცალკე წიგნებად გამოქვეყნდა ვაჟა-ფშაველას, ნიკო ხიზანიშვილის (ურბნელი), ბესარიონ ნიკარაძის (თავისუფალი სვანი), თედო სახოკიას, ი. ციციშვილის ეთნოგრაფიული ნაწერები. ამ გამოცემებს ახლავს რედაქტორების გ. ქიქოძის, გ. ჩიტაიას და ალ. რობაქიძის წინასიტყვაობანი და შესავალი წერილები, რომლებშიც შეფასებულია ისტორიული ეთნოგრაფიის ეს მნიშვნელოვანი შენაძენი[51].

ნ. ხიზანიშვილის ეთნოგრაფიულ ნაწერებს დაეთმო მეორე ტომი სერიული გამოცემისა—„მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის". ამ გამოცემის პირველ ნაკვეთში დაიბეჭდა სასულიერო ხასიათის ტექსტები (ხუცობანი და სასიმღეროები) ვ. ბარდაველიძის რედაქციითა და გამოკვლევით. „მასალების" მესამე ტომში, რომელიც გ. ჩიტაიას წინასიტყვაობითა და რედაქციით გამოქვეყნდა, მოთავსებულია ალ. ოჩიაურის მ. ბალიაურისა და ნ. მაკალათი-

---

[49] ი. ჯავახიშვილი ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1938; დ. არაყიშვილი, რაჭული ხალხური სიმღერები, თბ., 1950; მისივე, Обзор народной песни Восточной Грузии, Тб., 1948; მისივე, О музыкальной структуре народных песнопении Восточной Грузии. «მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის», VI, 1953; გ. ჩხიკვაძე. ქართული ხალხური სიმღერა, თბ.. 1960; მისივე, თანამედროვე ქართული მუსიკალური ფოლკლორი, თბ., 1961; თ. მამალაძე. შრომის სიმღერები კახეთში, თბ., 1953; მ. შილაკაძე, ქართული ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა, თბ., 1970; ნ. მაისურაძე. აღმოსავლეთ საქართველოს მუსიკალური კულტურა, თბ., 1971 და სხვ.

[50] ა. ლეკიაშვილი, კულტურის დიფუზია და კულტურულ-ისტორიული სკოლის მეთოდოლოგიური პრინციპები, კრებულში: «ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფა და მატერიალური კულტურა», თბ.. 1964; მისივე, «ამერიკული ისტორიული სკოლის» მეთოდოლოგიური პრინციპები, «მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის», XV, თბ., 1970.

[51] ვაჟა-ფშაველა, ეთნოგრაფიული წერილები, ტფ., 1937 (გ. ქიქოძის წინასიტყვაობითა და რედაქციით); ნ. ხიზანიშვილი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940 (გ. ჩიტაიას წინასიტყვაობითა და რედაქციით); თ. სახოკია, მოგზაურობანი, თბ., 1950 (გ. ჩიტაიას წინასიტყვაობითა და რედაქციით); თ. სახოკია, ეთნოგრაფიული ნაწერები. თბ., 1956 (გ. ჩიტაიას წინასიტყვაობითა და რედაქციით; თ. სახოკიას სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ გ. ჩიტაიას წერილი დაიბეჭდა ავგრეთვე კრებულში—«თედო სახოკია», თ 1969); ი. ციციშვილი, მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიისათვის», თბ., 1954 (გ. ჩიტაიას წინასიტყვაობითა და რედაქციით); ბ. ნიკარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I, თბ., 1962; II, თბ., 1964 (ამ გამოცემის პირველ ტომს წამძღვარებული აქვს ალ. რობაქიძის ერცელი წერილი ბ. ნიკარაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. იქვე დაიბეჭდა რ. ხარაძისა და ივ. სურგულაძის წერილი—«ბესარიონ ნიკარაძის ნარკვევები ჩვეულებითი სამართლის შესახებ სვანეთში». ალ. რობაქიძის დასახელებული წერილი რუსულ ენაზე დაერთო ბ. ნიკარაძის ნაწერების მეორე ტომს. ორივე ტომის რედაქტორია ალ. რობაქიძე).

ას მიერ ხევსურეთში ჩაწერილი მასალები მიცვალებულის კულტის შესახებ, აგრეთვე თ. სახოკიას „მიცვალებულის კულტი სამეგრელოში". მეოთხე ნაკვეთი დაეთმო ს. ბედუკაძის მიერ ხალხური პოეზიიდან ამოკრებილ მასალებს საცხოვრებელ ნაგებობათა შესახებ. მალე ცალკე წიგნად გამოიცემა ალექსი ოჩიაურის მიერ ფშავ-ხევსურეთში ჩაწერილი მასალები სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციებზე. გათვალისწინებულია ამ რიგის მასალების თანდათანობით გამოცემა, რაც ხელს შეუწყობს პირველხარისხოვანი ეთნოგრაფიული წყაროების გამოყენების შესაძლებლობას.

მასალების პუბლიკაციასთან ერთად შუქდებოდა საკითხები ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიის ისტორიიდან. გარდა ზემოხსენებულ გამოცემათა შესავალი წერილებისა სპეციალური შრომები მიეძღვნა ილია ჭავჭავაძის. რაფიელ ერისთავის, ვაჟა-ფშაველას, ალ. ყაზბეგის, კოსტა ხეთაგუროვის, ივანე ჯავახიშვილის, სიმონ ჯანაშიას, ნიკო ბერძენიშვილის, გიორგი ჩიტაიას, ვერა ბარდაველიძის, რუსუდან ხარაძის და სხვათა ღვაწლის ჩვენებას ეთნოგრაფიის დარგში[52]. გამოქვეყნდა აგრეთვე ისტორიოგრაფიული ხასიათის წერილები[53] და მონოგრაფია[54].

ეთნოგრაფიის ცალკეული პრობლემებისა და საკითხების სპეციალური კვლევის პარალელურად ნაყოფიერი მუშაობა მიმდინარეობდა საქართველოს კუთხეებისა და ხეობების მხარეთმცოდნეობითი შესწავლის მიმართულებით. ამ მხრივ პირველ რიგში აღსანიშნავია ს. მაკალათიას მრავალრიცხოვანი შრომები. მის წიგნებში, რომლებიც მიეძღვნა მთიულეთის, მთარაჭის, ფშავის,

---

[52] ე. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ეთნოგრაფია, თბ., 1963; მ ი ს ი ვ ე, ვაჟას ეთნოგრაფიული მოღვაწეობიდან. ჟურნ. «ცისკარი», 1961, № 7; მ ი ს ი ვ ე, რაფიელ ერისთავი როგორც ეთნოგრაფი. ჟურნ. «ცისკარი», 1974, № 11; მ ი ს ი ვ ე, რაფიელ ერისთავის ნაწარმოებების ეთნოგრაფიული წყაროები, ჟურნ. «მნათობი», 1974, № 10; მ ი ს ი ვ ე, ალექსანდრე ყაზბეგის ეთნოგრაფიული ნარკვევები, ჟურნ. «მნათობი», 1974, № 11; მ ი ს ი ვ ე, ქართველი ხალხის საოჯახო და საქორწინო ურთიერთობის საკითხები ივანე ჯავახიშვილის შრომებში, ჟურნ. «მაცნე», ისტორიის სერია, 1976, №2 (შდრ. «მნათობი», 1976, №10 და მონოგრაფია—კავკასიის ხალხთა საოჯახო ყოფა, 1977. ამავე მონოგრაფიაში იხ. ს. ჯანაშიას და ბერძენიშვილის შესახებ); მ ი ს ი ვ ე. კოსტა ხეთაგუროვი და ოსეთის მატერიალური კულტურა, ჟურნ. «საბჭოთა ხელოვნება», 1979. № 11; მ ი ს ი ვ ე. კოსტა ხეთაგუროვი და აღზრდის ტრადიციები ოსეთში, ჟურნ. «სკოლა და ცხოვრება», 1979. №11; მ ი ს ი ვ ე, რუსუდან ხარაძის სამეცნიერო მოღვაწეობა, ჟურნ. «მაცნე» 1966, № 3; მ. გ ე გ ე შ ი ძ ე, ივ. ჯავახიშვილი და საქართველოს ეთნოგრაფია—კრებულში: «ივ. ჯავახიშვილი», თბ., 1977; მ ი ს ი ვ ე, გ. ჩიტაიას ცხოვრება და სამეცნიერო მოღვაწეობა, «მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის», XII—XIII; მ ი ს ი ვ ე, ვ. ბარდაველიძის ცხოვრება და სამეცნიერო მოღვაწეობა, «მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის», XVI—XVII; ა კ. ს ო ხ ა ძ ე, ი ვ. ჯავახიშვილი ქართული წარმართობის შესახებ—კრებულში: «ივ. ჯავახიშვილი»; ლ. ფ რ უ ი ძ ე, ივ. ჯავახიშვილი და საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის საკითხები (იგივე კრებული) და სხვ.

[53] Г. Ч и т а я, Этнография Грузии за советский период, «Советская этнография», 1940, № 3; Е г о ж е, Этнографические исследования в Грузинской ССР, СЭ, 1948, № 4; Е г о ж е, Грузинская советская этнография за годы послевоенной пятилетки, СЭ, 1952, № 3; м а н и в е, საქართველოს ეთნოგრაფია დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავზე—კრებულში: «საისტორიო წერილები», თბ., 1968; А. Р о б а к и д з е, Кавказоведческие проблемы грузинской этнографии, КЭК, IV; შ ი ს ი ვ ე, ბათუმის სამეცნიერო-კელევითი ინსტიტუტის ეთნოგრაფიის განყოფილების მუშაობის მოკლე ანგარიში (1958-1969)—კრებულში: «სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის კულტურისა და ყოფის საკითხები», I, თბ., 1973.

[54] ე. ი თ ო ნ ი შ ვ ი ლ ი, კავკასიის ხალხთა საოჯახო ყოფა (ისტორიოგრაფიული ნარკვევი), თბ., 1977.

თუშეთის, ხევის, ხევსურეთის, მესხეთ-ჯავახეთის, სამეგრელოს და ქართლის ხეობათა შესწავლას, თანმიმდევრობით ვეცნობით კუთხის ან ხეობის გეოგრაფიულ მდებარეობას, ისტორიულ წარსულს, სამეურნეო ყოფას, მატერიალურ კულტურას, ხალხურ ზნე-ჩვეულებებს, რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს, დღესასწაულებს და ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს[55].

მხარეთმცოდნეობას სასარგებლო სამსახური გაუწიეს აგრეთვე ზ. ედილის, ჯ. ნოღაიდელის, ე. გაბლიანის, გ. თედორაძის და სხვა ავტორთა ნაშრომებმა[56].

ერთი ხეობის ან სოფლის მონოგრაფიულად შესწავლის მიზნით კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილებაში შესრულდა საკანდიდატო დისერტაციები[57].

გამოქვეყნდა რამდენიმე მეცნიერულ-პოპულარული ნარკვევი[58], რამაც გარკვეული როლი შეასრულა ეთნოგრაფიის პოპულარიზაციის საქმეში, მაგრამ ამ მხრივ მეტის გაკეთებაა საჭირო.

საბჭოთა საქართველოში ეთნოგრაფიული მასალები და შრომები გამოქვეყნდა სამეცნიერო ჟურნალებსა და კრებულებში, რომელთაგან აღსანიშნავია „მიმომხილველი“ (1926); „საქართველოს მუზეუმის შრომები“, ტ. 1—6 (1920—1933); „აკად. ს. ჯანაშიას. სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე“ (1922 წლიდან); „თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები“ (1936 წლიდან); „ენიმკის მოამბე“, ტ. 1—14 (1937—44 წწ.); „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“ (1940 წლიდან); „ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები“ (1955 წლიდან); „ანალები“ (1947); („მიმომხილველი“, ტ. 1—3 (1949—53); „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის (1938 წლიდან); „კავკასის ეთნოგრაფიული კრებული“ (1964 წლიდან); დ. გულიას სახ. აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტის, ბათუმისა და ცხინვალის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების შრომები; „ძეგლის მეგობარი“, ერთდროული თემატური და საუბილეო კრებულები და ა. შ. ეთნოგრაფიული წერილები იბეჭდება რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში („მნათობი“, „ცისკარი“, „განთიადი“, „საბჭო-

---

[55] ს. მაკალათია, მთიულეთი, ტფ., 1930; მისივე, მთის რაჭა, ტფ., 1930, მისივე, თუშეთი, ტფ., 1933; მისივე, ფშავი, ტფ., 1934; მისივე, ხევი, ტფ., 1934; მისივე, ხევსურეთი, ტფ., 1935, მისივე, მესხეთ-ჯავახეთი, თბ., 1938; მისივე, სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941; მისივე, ბორჯომის ხეობა, თბ., 1957; მისივე, ატენის ხეობა, თბ., 1957; მისივე, თეძმის ხეობა, თბ., 1959; მისივე, კაეთურას ხეობა, თბ., 1960; მისივე, ფრონის ხეობა, თბ., 1963; მისივე, ქსნის ხეობა, თბ., 1968; მისივე, ლიახვის ხეობა, თბ., 1971.

[56] ზ. ედილი, საინგილო, თბ., 1947; ე. გაბლიანი, ძველი და ახალი სვანეთი, თბ., 1925; გ. თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, I, თბ., 1930; II, თბ., 1939; ჯ. ნოღაიდელი, აჭარული ზეპირსიტყვიერებისა და ეთნოგრაფიის მასალები, თბ., 1967.

[57] ვ. გოგოლაძე, სოფელი ავნევი, ცხინვალი, 1968; ლ. მარგოშვილი, პანკისის ქისტები (დისერტაცია), თბ., 1969.

[58] ალ. რობაქიძე, ცხენბურთი, თბ., 1952; მისივე, ქართული ხალხური სპორტის შესახებ, თბ., 1955; მისივე, ჭიათურელ მაღაროელთა ახალი ყოფა, თბ., 1952; თ. ოჩიაური, სტუმრად თუშეთში, თბ., 1961; მისივე, ხევსურეთში, თბ., 1964; მისივე, ხევსურეთი და ხევსურები, თბ., 1977; ა. ლეკიაშვილი, შენ ხარ ვენახი, თბ., 1972; გ. გასიტაშვილი, ტასმანიელები, თბ., 1970; თ. ჩიქოვანი, იდუმალა, თბ., 1975; მისივე, თრიალეთი, თბ., 1976; მისივე, მესხეთი, თბ., 1979; ლ. ფრუიძე, საგანძურები, თბ., 1975 და სხვ.

თა ხელოვნება", „სკოლა და ცხოვრება", „კომუნისტი", „ლიტერატურული საქართველო"...). ეთნოგრაფიამ გარკვეული ადგილი დაიჭირა ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში. ქართველ ეთნოგრაფთა შრომები იბეჭდება საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის პერიოდულ გამოცემებში. შრომების უდიდესი ნაწილი ქვეყნდება მონოგრაფიების, მეცნიერულ-პოპულარული ნარკვევების, ალბომების, გზამკვლევებისა და სამუზეუმო კატალოგების სახით. კრებულების სერიებიდან განსაკუთრებით საყურადღებოა ორი გამოცემა — „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის" (გამოქვეყნდა 20 ტომი) და „კავკასიის ეთნოგრაფიული კრებული" (გამოქვეყნდა 5 ტომი, მათ შორის მეხუთე ტომი გამოიცა 3 ნაკვეთად).

ქართული საბჭოთა ეთნოგრაფიის აქტუალურ პრობლემათა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭა კომუნიზმის მშენებელი ხალხის ყოფისა და კულტურის შესწავლას. როგორც კი საბჭოთა ეთნოგრაფიაში ამ პრობლემაზე ინტენსიური მუშაობის საკითხი დადგა, ქართველი ეთნოგრაფები საბჭოთა კავშირის ეთნოგრაფთა შორის მოწინავე პოზიციებზე აღმოჩნდნენ. ისინი ერთ-ერთი ინიციატორისა და ტონის მიმცემის როლში გამოვიდნენ მრეწველობის მუშების, კოლმეურნე გლეხობის, ქალაქისა და სოფლის ინტელიგენციის ყოფისა და კულტურის შესწავლის ფრიად რთულსა და საპასუხისმგებლო საქმეში. კვალიფიციურად დაწერილი მონოგრაფიები და სტატიები მიეძღვნა ჭიათურისა და ტყიბულის მაღაროელთა, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის, თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის, აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის და რიგი სხვა საწარმოების მუშათა და ტექნიკური ინტელიგენციის ყოფა-ცხოვრების შესწავლას[59]. ზოგიერთი კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის მშრომელთა საოჯახო, საზოგადოებრივი და სულიერი ცხოვრების თავისებურებანია ნაჩვენები სპეციალურ შრომებში[60]. ამასთან ერთად, ქართველი ეთნოგრაფები აქტიურად მონაწილეობდნენ სოციალისტური საზოგადოების ყოფისა და კულტურის ეთნოგრაფიული შესწავლის მეთოდოლოგიური საფუძვლების შემუშავებაში. საჭიროა აღინიშნოს, რომ ცენტრალურ ეთნოგრაფიულ ჟურნალში გამოქვეყნდა სტატია, რომელშიც ნაჩვენებია ახალი ყოფისა და კულტურის შესწავლის ამოცანები და ამ მიმართულებით გაშლილ მუშაობაში კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდის უპირატესობა[61].

---

[59] А. Робакидзе, Некоторые стороны быта рабочих Чиатурской марганцевой промышленности, Тб., 1953; М. Гегешидзе, Г. Джавахишвили, Р. Тодуа, Некоторые стороны истории и быта новейших производственных коллективов гор. Кутаиси, კრებულში: „საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები", თბ., 1968; ნ. ბრეგაძე, მ. კანდელაკი, ლ. ბერიაშვილი, ე. ჭერიაშვილი, თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის მუშათა ყოფა და კულტურა, კრებულში: «საქართველოს მუშათა ახალი ყოფა და კულტურა", თბ., 1965; გ. ჯავახიშვილი, ტყიბულის მეშახტეთა ყოფა და კულტურა," თბ., 1971; მისივე, Быт и культура горняков Грузии, Тб., 1980 და სხვ.

[60] გ. ჩიტაია, მ. გეგეშიძე, ი. ჭყონია, ახალი ყოფა გორის რაიონის სოფ. თორტიზის კოლმეურნეობაში, „მიმომხილველი", ტ. II, თბ., 1951; ჯ. რუხაძე, ა. ლეკიაშვილი, ი. ჭყონია, სოფელი აკურა, თბ., 1964; ლ. კალანდარიშვილი, კინტრიშის ხეობის კოლმეურნეთა ყოფისა და კულტურის ზოგიერთი საკითხი (საკანდიდატო დისერტაცია), თბ., 1974; მისივე, აჭარის კოლმეურნეთა ყოფა და კულტურა, ბათუმი, 1970, და ხე.

[61] А. Робакидзе, К некоторым спорным вопросам этнографического изучения нового быта, СЭ, 1952, № 2.

ახალი ყოფისა და კულტურის შესწავლის ამოცანებს, ისევე როგორც ეთნოგრაფიის ტრადიციულ თემატიკას, ორგანულად უკავშირდება მავნე წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიმართულებით ეთნოგრაფიის დარგში მიმდინარე მუშაობა. სერიით — ტრადიცია და თანამედროეობა — ნარკვევებს ყოველწლიურად აქვეყნებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სოციალურ და კულტურულ ტრადიციათა პრობლემების სამეცნიერო ცენტრი[62] (ხელმძღვანელი ალ. რობაქიძე). ამ პრობლემას მიეძღვნა ერთ-ერთი საკანდიდატო დისერტაცია[63], აგრეთვე მეთოდიკური სახელმძღვანელო[64], რომლის შედგენაში მონაწილეობა მიიღეს ეთნოგრაფებმა (თ. ოჩიაური, დ. გიორგაძე, ლ. ფრუიძე ვ. ითონიშვილი). აღნიშნული პრობლემის მიმართ ეთნოგრაფიული მეცნიერების ახალი ამოცანების შესახებ დაიბეჭდა სპეციალური სტატია[65].

ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში ამგვარი მუშაობის პერსპექტივები ნათლად გამოიკვეთა იმის შემდეგ, რაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1975 წლის ნოემბერში მიიღო დადგენილება „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ". ეს ღრმა მეცნიერული შინაარსის დოკუმენტი გარკვეულ მიმართულებას სახავს სოციალურ ურთიერთობათა ფორმებისა და სულიერი კულტურის შესწავლის, შეფასებისა და თანამედროვეობის ინტერესებთან შეფარდების საქმეში. დადგენილებაში აღნიშნულია, რომ გარკვეული პროფილის მქონე სამეცნიერო-კვლევითმა დაწესებულებებმა „კომპლექსურად, მეცნიერულ საფუძველზე გამოიკვლიონ ქართველი ხალხის ძველი ტრადიციების გენეზისი, ფესვები და გამძლეობის ფაქტორები", ამ ამოცანის წარმატებით განხორციელებაში განსაკუთრებით დიდი როლი ეკისრება ეთნოგრაფიულ მეცნიერებას, რამდენადაც ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს, რასაც დადგენილება ეხება, ძირითადად ეთნოგრაფია სწავლობს. დადგენილება თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებს როგორც ძველი ტრადიციების გენეზისის კვლევას, ისე მისი გამძლეობის ფაქტორების შესწავლას და ახალ ყოფაში მათი გარდაქმნის თუ ახალი ტრადიციების წარმოშობის გზების დადგენას. ამდენად, ქართული ეთნოგრაფიის სადღეისო ამოცანას შეადგენს მუშაობის გაძლიერება როგორც სოციალური ურთიერთობისა და სულიერი კულტურის ძველი ფორმების კვლევის, ისე ახალი ყოფისა და კულტურის თავისებურებათა შესწავლის მიმართულებით.

დადგენილებაში დასახულ ღონისძიებათა შუქზე ქართველი და კავკასიელი ხალხების სოციალურ ურთიერთობათა კვლევის გაფართოება გულისხმობს ისეთი საკითხების დაწინაურებას, როგორიცაა ქორწინების ფორმები და საქორწინო წეს-ჩვეულებები, ოჯახის ფორმები და საოჯახო ყოფა, ჩვეულებითი სამართალი, სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციები, ხუფრის კულტუ-

---

[62] ვ. ჩიქოვანი, მავნე ტრადიციების წინააღმდეგ ბრძოლა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პერიოდიკის მიხედვით, თბ., 1979; ლ. ფრუიძე, ტრადიცია და თანამედროეობა, თბ., 1979; ჯ. რუხაძე, ხალხური დღესასწაულები და თანამედროვეობა, თბ., 1980.

[63] მ. გუგუტიშვილი, ახალი ტრადიციები საქართველოში, თბ., 1976.

[64] მეთოდიკური სახელმძღვანელო კულტურის სახალხო უნივერსიტეტების ყოფისა და ტრადიციების ფაკულტეტებისათვის, თბ., 1978.

[65] ალ. რობაქიძე, ეთნოგრაფია და თანამედროვეობა, კრებულში: „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა", V, თბ., 1977.

რა და მენიუ, ერთობლივი შრომის ფორმები, ურთიერთდახმარების წესები, ნათესაური და მეზობლური ურთიერთობის ნორმები. დადგენილების პასუხად ასევე საჭიროა მუშაობის გაძლიერება რელიგიური რწმენა-წარმოდგენების, დღეობების, მიცვალებულის გლოვის, დასაფლავების წესის და რიგი სხვა სახის რიტუალის გენეზისისა და განვითარების ისტორიის შესწავლის მიმართულებით. ამასთან დაკავშირებით ეთნოგრაფიული მეცნიერების წინაშე დგება ტრადიციებისა და გადმონაშთების შინაარსის დაზუსტების საკითხი და იზრდება გადმონაშთების კვლევის მნიშვნელობა, რაც თავის მხრივ, მოითხოვს თეორიული საკითხების დამუშავებას.

აღნიშნულს გარდა, ქართულ საბჭოთა ეთნოგრაფიაში პერსპექტიულ სამუშაოთა რიგს განეკუთვნება საველე-საექსპედიციო, სამუზეუმო-საექსპოზიციო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გაფართოება განმაზოგადებელი ნაშრომების დონემდე. ამ მხრივ ქართულმა ეთნოგრაფიამ გარკვეულ წარმატებებს მიაღწია პირველ რიგში სამუზეუმო საქმიანობათა განხრით (ერთიანი ეთნოგრაფიული გამოფენა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში და თბილისის მუზეუმი ღია ცის ქვეშ ნატურალური ექსპოზიციით). სამეცნიერო კვლევა-ძიების შედეგების შეჯამება-განზოგადების პირველი სერიოზული ცდა მოცემულია ეთნოგრაფიულ კომპენდიუმში[66], მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. პერსპექტიული გეგმა ითვალისწინებს მიღწევებს ეთნოგრაფიის დარგში ისეთი ნაშრომების მომზადებით, როგორიცაა საქართველოს ეთნოგრაფიის სახელმძღვანელო, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული ატლასი, საქართველოს ეთნოგრაფიის ნარკვევების მრავალტომეული, საველე და წერილობით წყაროებში გაბნეული ეთნოგრაფიული მასალების პუბლიკაცია, თბილისის ეთნოგრაფიის ნარკვევები დედაქალაქის ისტორიის სამტომეულისათვის და ა. შ. ქართული ეთნოგრაფიული მეცნიერების როგორც სადღეისო, ისე მომავლის ამოცანას შეადგენს კვლევა-ძიების ფართოდ გაშლა ინოვაციის, ეთნიკური პროცესების, ისტორიული ეთნოგრაფიისა და ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული პარალელების საკითხებზე. ხალხთა შორის მეგობრობის განვითარებისა და ინტერნაციონალიზმის განმტკიცებისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კულტურულ-ისტორიული ურთიერთობის პრობლემას, რაზედაც მუშაობა მიმდინარეობს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის კავკასიის ეთნოგრაფიის განყოფილების თაოსნობით, აფხაზეთს ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ეთნოგრაფიის განყოფილებებთან კოორდინაციის საფუძველზე.

ესოდენ რთული, შრომატევადი და პერსპექტიული სამუშაოების წარმატებით განხორციელების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მრავალრიცხოვანი სამეცნიერო კადრების შესაძლებლობათა მაქსიმალურად გამოყენება, უმაღლეს სასწავლებლებსა და ასპირანტურაში ეთნოგრაფიის სწავლებაში მეცნიერული დონის ამაღლება და შრომის მეცნიერული ორგანიზაცია ეთნოგრაფიული შესწავლის ძირითადი პრობლემების მიხედვით.

---

[66] Народы Грузинской Советской Социалистической Республики, «Народы Кавказа», II, М., 1962.

აკადემიკოსი ვახტანგ ბერიძე

ქართული ხელოვნებათმცოდნეობა ᲘᲘ წლის მანძილზე

ქართველი ერის კულტურულ მემკვიდრეობაში ხელოვნებას განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. საქართველოს მიწა-წყალზე აღრიცხულია მრავალი ათასი ძველი ხუროთმოძღვრული ძეგლი, რომლებიც ქრონოლოგიურად მოიცავს დროის უზარმაზარ მონაკვეთს ძველი წელთაღრიცხვის V ათასწლეულიდან გასული საუკუნის პირველ ნახევრამდე. საქართველოს ერთი პირველადგილთაგანი უჭირავს მონუმენტური მხატვრობის დღემდის შემონახული ნიმუშების რაოდენობით — მათ შორის ბევრია მაღალი მხატვრული ღირსებისა. ბევრი ძველი ტაძრის ფასადებს, კანკელებსა და ქვის სტელებს ამკობს სკულპტურული რელიეფი — ზოგ შემთხვევაში ეს არის ღრმად გააზრებული ანსამბლები, რომლებიც ერთიანი იდეის გამოსახვას ემსახურება. თბილისის, ქუთაისის, მესტიის, სხვა ქალაქების მუზეუმებსა და საცავებში ინახება ფასდაუდებელი განძი — შემკული და დასურათებული ხელნაწერი წიგნები, რაოდენობისა და ხარისხის მხრივ იშვიათი სიმდიდრის კოლექციები ვერცხლისა და ოქროს ჭედური ნივთებისა (არქეოლოგიური მონაპოვარი — ჭურჭელი, სამკაულები, მცირე სკულპტურა, შუა საუკუნეების ხატები, ჯვრები, წიგნების ყდები) და მინანქრებისა. ამას უნდა დაემატოს კერამიკის, ნაქარგობის ნიმუშები, უნდა დაემატოს მრავალფეროვანი და დიდად თავისებური ხალხური ხელოვნება.

მაგრამ საქართველო მხოლოდ ძველი ხელოვნებით არ არის მდიდარი. მრავალმხრივ საყურადღებოა ახალი ხელოვნებაც, რომელიც მკაფიოდ ასახავს XIX ს-ის შუა წლებიდან მომხდარ არსებით სოციალურსა და კულტურულ ცვლილებებს ჩვენი ხალხის ცხოვრებაში. ქართული საბჭოთა ხელოვნება კი — ხუროთმოძღვრება, ფერწერა, ქანდაკება, თეატრალური მხატვრობა, გრაფიკა, გამოყენებითი ხელოვნების სახეობანი — ერთი მოწინავეთაგანია საბჭოთა კავშირში შინაარსის მრავალფეროვნებითაც და წმინდა ესთეტიკური ღირებულებითაც, იგი მუდმივი ძიებისა და წინსვლის პროცესშია, მისი ასპარეზი თანდათან ფართოვდება, მისდამი ინტერესი კი ვრცელდება და ღრმავდება.

ბუნებრივია, რომ ქართული სიძველეები ადრევე იპყრობდა მკვლევართა და მოგზაურთა ყურადღებას. ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში სახელოვანი მეცნიერი ვახუშტი საქართველოს სამეფოს „აღწერაში“ იხსენიებს მისთვის ცნობილ ყველა ტაძარსა და ციხე-სიმაგრეს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. XIX ს-ის მანძილზე მათ შესახებ წერდნენ ქართველი, რუსი და დასავლეთევროპელი ავტორები: ერთი მხრივ, ისტორიკოსები, რომელთაც ხუროთმოძღვრების ძეგლები და ხელოვნების ნიმუშები აინტერესებდათ მხოლოდ როგორც დამხმარე მასალა ისტორიული მოვლენების გასაშუქებლად; მეორე მხრივ, ხელოვნებისმცოდნენიც (მათი რიცხვი ნაკლები იყო), რომლებიც ძეგლებს განიხილავდნენ სწორედ როგორც ხელოვნების ნაწარმოებთ.

XIX ს-ის მეორე ნახევრიდან, როდესაც ქართული სიძველეების შესწავლამ უფრო სისტემური ხასიათი მიიღო (მათ იკვლევდნენ მოსკოვის საიმპერატორო საარქეოლოგო საზოგადოება, ქართული სამეცნიერო საზოგადოებანი და მუზეუმები, რომლებიც XIX საუკუნის მიწურულსა და XX ს-ის დასაწყისში შეიქმნა), მოგროვილ იქნა მდიდარი ფაქტობრივი მასალა — ძეგლთა აღწერილობანი, ანაზომები, ფოტოგრაფიები. ამ მასალას, ცხადია, დღესაც არ დაუკარგავს თავისი დიდი მნიშვნელობა. მაგრამ ხელოვნების ნაწარმოებთა მეცნიერული გაშუქება, სულ მცირე გამონაკლისით, XIX ს-ში არ გასცილებია წმინდა „არქეოლოგიურ" დახასიათებას; ხოლო თითო-ოროლა ცდა, რომ განეზოგადებინათ და ისტორიულ ასპექტში გაეაზრებინათ მოპოვებული ფაქტები, სამწუხაროდ, სრულიად მცდარსა და ზოგჯერ დამახინჯებულ სურათს ქმნიდა. ერთადერთი მეცნიერი, რომელმაც სცადა დაენახა ქართული ხელოვნების განვითარების საკუთარი გზები, იყო გამოჩენილი რუსი მკვლევარი ბიზანტიური ხელოვნებისა აკად. ნიკოდიმე კონდაკოვი, მაგრამ მისი წიგნი ძველი ქართული ხუროთმოძღვრების შესახებ (გამოცემული XIX ს-ის 70-იანი წლების დასასრულს და აწ, რა თქმა უნდა, უკვე მოძველებული), მაშინ შეუმჩნეველი დარჩა. მიზეზები გასაგებია: ფაქტობრივი მასალა არ იყო საკმარისად დამუშავებული, ძეგლთა უმრავლესობის თარიღები დაუდგენელი იყო, და თვით ხელოვნებათმცოდნეობაც, როგორც მეცნიერული დისციპლინა, XIX ს-ის პირველ ნახევარში მხოლოდ ფეხს იდგამდა; დასასრულ, მრავალ შემთხვევაში, მცდარ დასკვნებს იწვევდა ამოცანისადმი მცდარი მეთოდოლოგიური მიდგომა, კერძოდ, გატაცება გავლენების თეორიით, წინასწარ შემუშავებული სქემებით.

ამგვარად, თანდათან შემუშავდა კონცეფცია, რომლის თანახმადაც შუა საუკუნეების ქართული ხელოვნება მხოლოდ ბიზანტიურის ანარეკლი ან განშტოება იყო. მკვლევარნი, რომლებიც თვითონ (თითქმის უგამონაკლისოდ) არ იცნობდნენ ქართულ ძეგლებს და მხოლოდ გაფანტული, ყურმოკრული ცნობებით მსჯელობდნენ მათ შესახებ, სრულიად ვერ ითვალისწინებდნენ ქართული ხელოვნების თავისებურებას, მის დამოუკიდებელ მნიშვნელობას; თითქოს შესაძლებელი იყოს ამა თუ იმ ერის ხელოვნება გავიგოთ და შევაფასოთ თვით ხალხის ცოცხალი ცხოვრებისაგან მოწყვეტით, მხოლოდ უცხო გავლენებითა და მიმბაძველობით; თითქოს იმ ერის ხელოვნება, რომლის შემოქმედებაც ათასწლობით არ დაშრეტილა, შეიძლება განხილული იყოს, მხოლოდ როგორც რომელიმე სხვა ქვეყნის ხელოვნების დამატება (არსებითად, ასეთივე დამოკიდებულება იყო ბალკანეთის, რუსეთისა და მახლობელი აღმოსავლეთის ზოგი ქვეყნის ხელოვნების მიმართაც).

გარდატეხა მოხდა მხოლოდ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, როდესაც ახლად დაარსებულ თბილისის უნივერსიტეტში შეიქმნა ხელოვნების ისტორიის კათედრა და ხელოვნებათმცოდნეობის კაბინეტი. ეს იყო პირველი სპეციალური სამეცნიერო ცენტრი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ქართული ხელოვნების დარგში სისტემურ, თანამიმდევრულსა და მიზანდასახულ კვლევას. კათედრასაც და კაბინეტსაც იმთავითვე სათავეში ჩაუდგა გამოჩენილი ქართველი მეცნიერი გიორგი ჩუბინაშვილი (1885—1973), რომლის სახელთანაც არის დაკავშირებული ქართული ხელოვნების ისტორიის ძირითადი პრობლემების დამუშავება.

ცხადია, დიდზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ კულტურის ძეგლთა დაცვა პირველად იქცა სახელმწიფო მნიშვნელობის საქმედ, სახელმწიფოს

ზრუნვის საგნად. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებშივე შეიქმნა სათანადო დაწესებულებები — სახელმწიფო საცავები და მუზეუმები თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებში, ფართოდ გაიშალა საქმიანობა წარსულის კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციისათვის (გამოფენები, მოხსენებები).

მას შემდეგ რამდენიმე ათეული წელი გავიდა და დღეს, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 60 წლისთავზე, გადაუჭარბებლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენს დარგშიაც თვალსაჩინო წარმატებებია მოპოვებული: ჩამოყალიბდა ახალი მეცნიერული დისციპლინა—ქართული ხელოვნების ისტორია: საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი— ამ დარგში მუშაობის უმთავრესი სამეცნიერო ცენტრი, რომელიც 1941 წლის 1 აპრილს დაარსდა — იკვლევს ქართულ ხუროთმოძღვრებას, სახვით და გამოყენებით („მცირე") ხელოვნებათა ყველა სახეობას უძველესი დროიდან დღევანდელ დღემდე: მას აქვს თავისი პერიოდული ორგანო Ars Georgica—„ქართული ხელოვნება" (სერია A—ძველი ხელოვნება, სერია Б—საბჭოთა ხელოვნება: ღღემდის გამოსულია 10 ტომი); საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში თავმოყრილია ქართული ჭედურობის, ნაქარგობის, ფერწერის, გრაფიკისა და ქანდაკების უამრავი ნიმუში; უძველესი ხელოვნების ნიმუშებს (არქეოლოგიურ მონაპოვარს) თავს უყრის ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, ხოლო რამდენსამე ათეულ ათას ხელნაწერ წიგნსა და საბუთს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი; ძეგლთა დაცვას განაგებს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს საგანგებო მთავარი სამმართველო, რომელსაც აქვს 1959 წ. დაარსებული სპეციალური საწარმოო სამეცნიერო-სარესტავრაციო სახელოსნო. ნაყოფიერად მუშაობს კულტურის ძეგლთა დაცვის საქართველოს საზოგადოება. უძველესი საბჭოთა კავშირში. მან ღღემდე გამოსცა კრებული „ძეგლის მეგობრის" 50-ზე მეტი ნომერი.

მთელი ეს სამეცნიერო და საორგანიზაციო საქმიანობა თავისი მნიშვნელობით, რა თქმა უნდა, სცილდება ხელოვნების ისტორიისა და თვით კულტურის ისტორიის ფარგლებსაც. უმდიდრესი ისტორიული წარსულის მქონე ხალხისათვის, რომელსაც დიდხანს დაკარგული ჰქონდა და შემდეგ კვლავ მოიპოვა თავისი სახელმწიფოებრიობა, ეს იყო ეროვნული „თვითგანმტკიცების" არსებითი ფაქტორი და ახალი შემოქმედებითი აღმავლობის მძლავრი სტიმული.

ძველი ქართული ხელოვნების მეცნიერულ კვლევაში, რევოლუციამდელ ნაშრომებთან შედარებით, პრინციპულად ახალი იყო შემდეგი: ა) ხელოვნების ძეგლები პირველად იქნა განხილული მათი შემქმნელი საზოგადოების ისტორიასთან, ქართველი ხალხის ისტორიასთან კავშირში, როგორც ხალხის ორიგინალური შემოქმედების ნაყოფი: ბ) დაისახა ამოცანა, რომ შესწავლილიყო არა მხოლოდ ცალკეული ძეგლი, არამედ დადგენილიყო ეროვნული ხელოვნების განვითარების პროცესი; გ) ხელოვნების ძეგლები შეისწავლებოდა ხელოვნებათმცოდნეობის თვალსაზრისით, ქართული ხელოვნების მიმართ პირველად იქნა გამოყენებული სტილის კატეგორიები, მიზნად იქნა დასახული სტილის ევოლუციის საფეხურთა გამოვლენა.

ამგვარმა — ერთადერთმა სწორმა — მიდგომამ ამოცანისაღმი სრულიად შეცვალა წინათ შემუშავებული ყალბი სურათი; სრული სიცხადით გამოჩნდა ქართული ხელოვნების ეროვნული თავისებურება და განვითარების დამოუკიდებლობა. თავისთავად ცხადია, რომ ისტორიულ განზოგადებათა საფუძველს წარმოადგენდა წერილობითი წყაროების (მატიანეთა, საბუთების, წარწერათა)

კრიტიკული განხილვა და გამოყენება, და ის უზარმაზარი ფაქტობრივი მასალა, რომელიც გროვდებოდა და დღესაც გროვდება ყოველწლიური სამეცნიერო ექსპედიციების წყალობით.

რევოლუციის შემდგომ პერიოდში ძველი ქართული ხელოვნების შესწავლა მეთოდურად, მკაცრი თანმიმდევრობით წარმოებდა. უპირველესი ადგილი დაეთმო ხუროთმოძღვრებას, რაკი საქართველოში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებშიც, შუა საუკუნეების მანძილზე ხუროთმოძღვრება ხელოვნების წამძღოლი დარგი იყო. უმთავრესი ადგილი საკულტო ძეგლებს ეჭირა. არსებითად ისინი შეადგენდნენ შუა საუკუნეებში „საზოგადოებრივ შენობებს“: იმავე დროს, საერო ხუროთმოძღვრების ნიმუშები ჩვენში — დასავლეთ ევროპისა და მუსლიმანური აღმოსავლეთისაგან განსხვავებით — ცუდად არის დაცული: არ გადარჩენილა დაუნგრეველად არც ერთი საქალაქო საცხოვრებელი სახლი, გლეხის ძველი საცხოვრებელიც ბევრი აღარ არის (და ისიც მხოლოდ ზოგ კუთხეშია, უმეტესად მთა-საქართველოში); თითო ოროლაა ფეოდალთა საცხოვრებელი (აგრეთვე დანგრეული), ხოლო სამეფო სასახლეები ან სულ გაქრა, ან შემოძარცულ ნანგრევებადღა დარჩა. ამის მიზეზია, ერთი მხრივ ისიც, რომ ძველი საცხოვრებელი სახლები ნაკლებ გამძლე იყო, თანაც დროთა განმავლობაში მათ ხშირად ცვლიდნენ, მაშინ, როდესაც ძველ ეკლესიას ხელს არავინ ახლებდა (შემოსეული მტრის გარდა).

წინაფეოდალური საქართველოს ძეგლები ამ ორმოცდაათი-სამოცი წლის წინათ თითქმის უცნობი იყო. და მაინც „ქრისტიანული“ არქიტექტურის უძველესმა ნიმუშებმა, რომლებიც ფეოდალიზმის ჩასახვის ხანაშია შექმნილი, მკვლევარნი იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ მაშინდელი (IV-V სს.) ხუროთმოძღვრების ძეგლები აშკარად ატარებს მონუმენტური არქიტექტურის ხანგრძლივი წინა-განვითარების კვალს და მოწმობს სამშენებლო ხელოვნების ძირეული მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების არსებობას.

მაშინ ამის შესახებ შეიძლებოდა მსჯელობა მხოლოდ ძველი ბერძენი და რომაელი ავტორების მოკლე ცნობებით და ადრინდელ ძეგლთა თითო-ოროლა ნიმუშით (მაგ. უფლისციხის დარბაზებით, რომლებსაც კესონებიანი კამარები აქვს). შემდეგ კი ეს დებულება თვალნათლივ დაადასტურა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის და საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მიერ წარმოებულმა სისტემურმა, მრავალწლიანმა გათხრებმა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში*. იმავე

---

*) სათანადო სამეცნიერო პუბლიკაციების წყალობით უკვე ფართოდ არის ცნობილი თრიალეთის, მცხეთა-არმაზის, ბაგინეთის, ბიჭვინტის, ვანის, გათხრების შედეგები: გარდა „მცირე ხელოვნებათა“ მრავალი ღირსშესანიშნავი ნიმუშისა, ძალიან მნიშვნელოვანია ხუროთმოძღვრულ ნაგებობათა ნაშთები, რომლებიც შუქს ფენს სამშენებლო ხელოვნების განვითარების ადრინდელი საფეხურებს. არც ისე დიდი ხანია, რაც აღმოჩნდა ძვ. წელთაღრიცხვის V და IV ათწლეულების ნამოსახლარები შულავერსა და ურბნისში, წარმართული ტაძრის დიდი კომპლექსი დედოფლის მინდორზე, ქართლში. ყოველი არქეოლოგიური კამპანია ახალ მასალას გვაწვდის ქართული არქიტექტურის უძველესი ისტორიისათვის ნოქალაქევსა და ნასტაკისში.

წინაფეოდალური ხანის ქართული ხუროთმოძღვრების პირველი მიმოხილვა ხელოვნებათმცოდნეობის თვალსაზრისით მოგვცა გ. ჩუბინიშვილმა. მან გამოჰყო ძირითადი პრობლემები და გამოავლინა ის არსებითი კომპოზიციური თავისებურებანი, რომლებიც საფუძვლად დაედო ქართული ხუროთმოძღვრების შემდგომ განვითარებას. ცნობები წინაფეოდალური ხანის ნაქალაქარების, ნეკროპოლების, სხვა კომპლექსების შესახებ მოიპოვება ქართველ არქეოლოგთა მონოგრაფიებში, ნარკვევებში, ცალკეულ დიდი ობიექტებისადმი მიძღვნილ კრებულებში (იხ. ა. აფაქიძის, ი. გაგოშიძის, გ. გობეჯიშვილის ა. კალანდაძის, გ. ლომთათიძის, ო. ლორთქიფანიძის, თ. მიქელაძის, ირ. ციციშვილის, ალ. ჯავახიშვილის, ო. ჯაფარიძისა და სხვათა ნაშრომები)

დროს დადგინდა, რომ ქართული მონუმენტური არქიტექტურა თავისი ფესვებით მჭიდროდ უკავშირდება, ერთი მხრივ, მახლობელი აღმოსავლეთის ნიადაგს, მეორე მხრივ, ხალხურ ხუროთმოძღვრებას, კერძოდ, გლეხურ საცხოვრებელ სახლს „დარბაზს", რომლის წინაპრები და პროტოტიპები შორეულ წარსულში უნდა მოვიძიოთ, ხოლო გადარჩენილმა ნიმუშებმა ჩვენს დრომდე მოაღწია. ამ ტიპს ბევრი პარალელი მოეძებნება მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში.

ჯერ კიდევ ოციან წლებში საქართველოს სამხატვრო აკადემიამ გ. ჩუბინაშვილის რედაქციით გამოსცა არქიტექტორ ნიკ. სევეროვისა და მხატვარ იოს. შარლემანის ნახატებისა და ანაზომების რამდენიმე ალბომი, მიძღვნილი ქართლის „დარბაზისადმი". ამ ალბომებმა პირველად გამოაჩინა ხალხური არქიტექტურის დიდი მხატვრული ღირებულება და მისი ადგილი ეროვნული ხუროთმოძღვრების საერთო ისტორიულ ევოლუციაში. შემდეგში დარბაზის ტიპის შენობები აღმოსავლეთსა და სამხრეთ საქართველოში საგანგებოდ გამოიკვლია არქ. ლონგინოზ სუმბაძემ, რომელსაც გამოქვეყნებული აქვს წიგნი და ცალკეული ნარკვევები. საქმე არ შემოფარგლულა მარტო ამ ტიპის შესწავლით. უკვე დიდი ხანია წარმოებს კვლევა-ძიება გლეხური საცხოვრებლებისა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. გამოვლინდა ტიპების დიდი მრავალგვარობა, რაც აიხსნება საქართველოს სხვადასხვა პროვინციის განსხვავებული კლიმატური პირობებითა და რელიეფით. (პროფ. ლ. სუმბაძისა და არქ. ილ. ადამიას ნაშრომები). საგანგებოდ უნდა აღინიშნოს გამოკვლევები მიძღვნილი მთა-საქართველოს ხალხური მშენებლობისადმი (განსვენებული ცნობილი არქიტექტორის გიორგი ლეჟავასა და არქ. მარიამ ჯანდიერის წიგნები სვანეთისა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთისა და საერთოდ კოშკური არქიტექტურის შესახებ, ვახტ. დოლიძის წერილები ხევის საცხოვრებლებზე და სხვ.).

როგორ-ღა მიმდინარეობდა შუა საუკუნეების მონუმენტური არქიტექტურის შესწავლა? გამოიყო საკულტო შენობათა ძირითადი ტიპოლოგიური ჯგუფები. პირველ ჯგუფს შეადგენენ ბაზილიკები, რომელთაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ შუა საუკუნეების არქიტექტურის განვითარების პირველ ხანებში. ეს თემა საქართველომ უცხოეთიდან, პირველი ქრისტიანული ცენტრებიდან მიიღო (ჩვენში ტრადიციული იყო ცენტრული კომპოზიციები) და თავისებურებად გადაამუშავა იგი. საქართველოშივე შემუშავდა ბაზილიკის თავისებური ვარიანტი (ნაგები გაყოფილია არა ბოძებით, არამედ კედლებით), რომელსაც გ. ჩუბინაშვილმა სამეკლესიიანი ბაზილიკა დაარქვა. მისივე მონოგრაფია ბოლნისის სიონის შესახებ წარმოადგენს ფუძემდებელ გამოკვლევას ქართული ბაზილიკებისა და სხვა ქვეყნის არქიტექტურასთან მათი მიმართების შესახებ. ამ თემას დიდი ადგილი უჭირავს გ. ჩუბინაშვილის ფუნდამენტურ მონოგრაფიაში, რომელიც კახეთის ხუროთმოძღვრებისადმია მიძღვნილი.

საინტერესო მონაცემებით გაამდიდრა ჩვენი ცოდნა ბაზილიკების შესახებ თბილისის უძველესი ძეგლის ანჩისხატის ეკლესიის ძველი ნაწილების გამოვლენამ და შენობის რესტავრაციამ (არქ. რუსუდან გვერდწითელის ხელმძღვანელობით), რომელიც თბილისის 1500 წლის იუბილესთან დაკავშირებით ჩატარდა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ძველი ქართული ხუროთმოძღვრების არსის დასადგენად, მისი განვითარების დამოუკიდებელი გზების გასაგებად ჰქონდა VI-VII საუკუნეების გუმბათოვან ნაგებობათა შესწავლას. აქაც დიდი

ღვაწლი. მიუძღვის გ. ჩუბინაშვილს, რომელმაც ამ პრობლემას დიდი ადგილი დაუთმო ხსენებულ ნაშრომში კახეთის არქიტექტურაზე, განსაკუთრებით კი ცნობილ მონოგრაფიაში მცხეთის ჯვრის ტიპის ძეგლების შესახებ. დადგენილ იქნა გენეტიკური კავშირი მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნების არქიტექტურასთან, კერძოდ, კვადრატზე მოთავსებული გუმბათის თემის გამოყენების მხრივ, გამოვლენილ იქნა უმთავრესი ტიპები გუმბათოვანი შენობებისა, გამოირკვა, რომ საქართველოში განვითარების ყველაზე საინტერესო, თავისებური გზა განვლო ტეტრაქონქის (ე. ი. ოთხყურა გეგმის მქონე) ტიპმა, რომელმაც თავისი უმაღლესი მხატვრული ხორცშესხმა პოვა მცხეთის ჯვრის გენიალურ ტაძარში. გამოირკვა ისიც, რომ ეს ძეგლი განმარტოებული კი არ არის, არამედ „სათავეში უდგას" ანალოგიურ ძეგლების ჯგუფს, რომ იგი ქართული ხუროთმოძღვრების ორგანული განვითარების შედეგად არის აღმოცენებული და რომ პარალელები (შესაბამისად განსხვავებული ეროვნული ნიშნების მქონენი) მას ახლოლად სომხეთში მოეძებნება.

გ. ჩუბინაშვილმა ცალკე მონოგრაფია მიუძღვნა წრომის ტაძარს (VII ს-ის პირველი მესამედი). იგი მცხეთის ჯვრის მომდევნო ეტაპის ნიმუშია და მიეკუთვნება მთელ საქრისტიანო სამყაროში გავრცელებულ ტიპს, რომელსაც „ჩახნულ ჯვარს" უწოდებენ. მონოგრაფიაში ვრცელი შესადარებელი მასალის მოშველიებით და ადრე ფეოდალური ხანის არქიტექტურის პრობლემათა გაშუქებით ნათლად არის ნაჩვენები ტიპის ჩამოყალიბებისა და ევოლუციის ზოგადი სურათი, ნაჩვენებია ისიც, რომ ქართული ძეგლი ერთი უადრესი დასრულებული ნიმუშთაგანია ტიპისა მთელ მსოფლიოში.

ადრეფეოდალური ხანის ქართული ხუროთმოძღვრების ზოგადი სურათი, დაფუძნებული ცალკეულ ძეგლთა და ტიპების ხსენებულ მონოგრაფიულ შესწავლაზე, წარმოდგენილია გ. ჩუბინაშვილის 1936 წელს გამოსულ „ქართული ხელოვნების ისტორიის" I ტომში. თუმცა აქ ძირითადი დებულებები მოცემულია, გზა გაკვალულია, ამ დროინდელი ეპოქის შესწავლა ამით მაინც არ დამთავრებულა: სურათი შეივსო ახალი, მანამდის უცნობი, ან სპეციალური თვალსაზრისით შეუსწავლელი ძეგლების გამოკვლევითა და პუბლიკაციით, ახალი მოსაზრებებით (გ. აბრამიშვილი, მ. დვალი, პ. ზაქარაია, ლ. რჩეულიშვილი, რ. შმერლინგი, ნ. ჩუბინაშვილი, ვ. ცინცაძე). ამავე პერიოდს უძღვნა ზოგადი ხასიათის ნარკვევები ვახტანგ ბერიძემ.

იმავე 1936 წელს გამოქვეყნდა გ. ჩუბინაშვილის „ქართული არქიტექტურის გზები". ეს იყო არქიტექტორთა ყრილობაზე წაკითხული მოხსენების ტექსტი. ამ ნაშრომის მნიშვნელობა ის არის, რომ აქ, თუმცა კი მოკლედ, პირველად არის წარმოდგენილი შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიული განვითარების პროცესი, სტილისტიკური ევოლუცია თვით XIX ს-ის პირველ ნახევრამდე.

შემდგომი ამოცანა იყო ამ ხანგრძლივი გზის უფრო დაწვრილებით გაშუქება—ცალკეული ეტაპების, ძეგლთა ჯგუფების, ისტორიული პროვინციების ნაგებობათა მონოგრაფიული კვლევა, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ერთიანი ისტორიული სურათის ყოველმხრივ და საფუძვლიანად ჩვენება. ეს მუშაობა განსაკუთრებით ინტენსიურად გაიშალა ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის შექმნის შემდეგ. რა თქმა უნდა, ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი რამ დარჩა გასაკეთებელი: დღემდის არა გვაქვს ვრცელი მონოგრაფიები ზოგი უმ-

ნიშვნელოვანესი ძეგლის შესახებ; სავსებით შესაძლებელია აქამდე უცნობი ძეგლების აღმოჩენაც, მით უფრო, მას შემდეგ, რაც ინსტიტუტში დაარსდა ძეგლთა ნუსხის განყოფილება (ხელმძღვანელი ვ. დოლიძე), რომლის მოვალეობაც არის საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ყველა ძეგლის სრული ანოტირებული ინვენტარის შედგენა; დასასრულ, უკვე ცნობილი და გამოკვლეული ძეგლებიც შეიძლება ახალი ასპექტით დავინახოთ, ბუნებრივად ისმის ახლებური განზოგადების ამოცანაც.

ძალიან მნიშვნელოვანი იყო ე. წ. „გარდამავალი ხანის" გამოვლენა და დახასიათება. ეს არის ხანა VII ს-ის მეორე ნახევრიდან X ს-ის ბოლო ათეულ წლებამდე, რთული ხანა არაბობისა, ახალი ქართული სამეფო-სამთავროების წარმოშობისა, საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლისა. საქმეს ართულებდა და ართულებს ის, რომ ამ დროის დამახასიათებელ ძეგლთა დიდი ნაწილი, რომელიც ძველი ტაო-კლარჯეთის მიწა-წყალზე შეიქმნა, ჩვენთვის მიუწვდომელია. ამიტომ განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმ რევოლუციამდელ ავტორთა — უპირველეს ყოვლისა, ექვთიმე თაყაიშვილისა და ნიკო მარის — ნაშრომები, რომელთაც საშუალება ჰქონდათ თავისი თვალით ეხილათ და აეწერათ თურქეთის ფარგლებში დარჩენილი ქართული ძეგლები. ეპოქის არქიტექტურის სტილისტური ნიშნები ნათლად გამოავლინა გ. ჩუბინაშვილმა კახეთისა და ქართლის ძეგლთა (მათ შორის საერო ნაგებობათა — ფეოდალთა ნასახლარების) ანალიზის საფუძველზე. არა ერთი საყურადღებო ნაგებობა გამოიკვლიეს და გამოაქვეყნეს ნ. სეევროვმა, რ. მეფისაშვილმა, ლ. რჩეულიშვილმა, ვ. ცინცაძემ, ვ. დოლიძემ, ნ. ჩუბინაშვილმა, ნ. ქადეიშვილმა. ვახტანგ ბერიძემ მონოგრაფია უძღვნა „ტაო-კლარჯეთის ძეგლების ადგილს ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიაში". ნაშრომში ნაჩვენებია იქაური ძეგლების ორგანული კავშირი და მნიშვნელობა ქართული არქიტექტურის განვითარებაში, სამხრეთ საქართველოს ეროვნული კულტურის ერთიანობა.

გ. ჩუბინაშვილმა ჯერ კიდევ ოციან წლებში მკაფიოდ მოხაზა ქართული ფეოდალური არქიტექტურის მეორე აყვავების ხანის (X-XIII სს.) სტილისტური ნიშნები (იხ. მისი წერილი „ქართული ხუროთმოძღვრება შუა საუკუნეებში და მისი სამი მთავარი კათედრალი"; შემდეგ — ხსენებული „ქართული ხუროთმოძღვრების გზები", „კახეთის არქიტექტურა"). სხვა ავტორებმა შექმნეს მონოგრაფიული გამოკვლევები ცალკეულ ძეგლთა, ცალკეულ ისტორიულ პროვინციათა არქიტექტურის შესახებ, განზოგადებული ნაშრომებიც (ნ. ანდღულაძე, ვ. ბერიძე, რ. გვერდწითელი, ი. გომელაური, მ. დვალი, პ. ზაქარაია, რ. მეფისაშვილი, ლ. მუსხელიშვილი, ლ. რჩეულიშვილი, თ. სანიკიძე, ნ. სეევროვი, გ. სოხაშვილი, რ. შმერლინგი, ვ. ცინცაძე). სპეციალური გამოკვლევა მიეძღვნა ამ დროს არქიტექტურის ძირითადი ასპექტების დახასიათებას და შედარებას ბიზანტიის, სომხეთის, რუსეთისა და რომანული დასავლეთის არქიტექტურასთან (ვახტანგ ბერიძე). რ. მეფისაშვილმა და ვ. ცინცაძემ გამოაქვეყნეს წიგნი შიდა ქართლის მთიანი რაიონების (ძირითადად, დღევანდელი სამხრეთ-ოსეთის) არქიტექტურის შესახებ, რომელშიც ცნობილ ძეგლებთან ერთად, ბევრი უცნობი ან ნაკლებად ცნობილიც არის გამოქვეყნებული. დასაფასებელია და მადლობით მოსახსენებელი არა ხელოვნების მცოდნეთა — ისტორიკოსებისა, არქეოლოგებისა და ფილოლოგების — მიერ გამოქვეყნებული ნარკვევები, რომლებიც შეიცავს საყურადღებო ინფორმაციას ნივთიერი კულ-

ტურის ძეგლთა შესახებ (თ. ბარნაველი, გ. ბოჭორიძე, ლ. მელიქსეთ-ბეგი, გ. ჩიტაია, ს. ყაუხჩიშვილი ვ. ჯაფარიძე).

ჯერ VI-VII შემდეგ კი X-XI საუკუნეების ქართული ტაძრების მხატვრული სახის შესაქმნელად არსებითი როლი ენიჭებოდა ფასადებისა და კანკელების დეკორაციულ სკულპტურას, რომელმაც თავისი განვითარების მწვერვალს XI ს-ის I ნახევარში მიაღწია. მისი ევოლუციის საფეხურები — ჯერ ერთგვარი კავშირი ელინისტური ტრადიციებთან, მერე სავსებით არაპლასტიკური, ხაზოვან-დეკორაციული გამოსახვის საფეხურზე გადასვლა, ბოლოს კი პლასტიკური ამოცანების წინ წამოწევა — ქვის ქანდაკებაში ისეთივეა, როგორიც მცირე პლასტიკაში (ვედური გამოსახულებანი, ხის კარების მორთულობა) — იხ. ამის შესახებ ქვემოთ. V-XI საუკუნების ფიგურულ რელიეფებს ფუნდამენტური გამოკვლევა უძღვნა ნ. ალადაშვილმა. ა. ვოლსკაიამ შეისწავლა შიო მღვიმის ტაძრის კანკელის რელიეფები. XI ს-ის ხეზე კვეთის დიდად საინტერესო ნიმუშები გამოიკვლია ნიკო ჩუბინაშვილმა. მასვე ეკუთვნის მონოგრაფიული ნაშრომები ქვის რელიეფური სკულპტურის ისტორიიდან.

ძალიან მნიშვნელოვანია ძეგლთა შესასწავლად, მათი ავტორების თავდაპირველი ჩანაფიქრის აღსადგენად, სამეცნიერო-სარესტავრაციო საქმიანობა, რომელიც საქართველოში უკვე მრავალი წელია სისტემურად წარმოებს. რესტავრირებულია საეტაპო მნიშვნელობის ძეგლები — ბოლნისის სიონი, ანჩისხატის ეკლესია, წრომის ტაძარი, სამწევროსის პატარა ეკლესია VII ს-ისა, ადრინდელი ფეოდალური ხანის მშვენიერი ძეგლი, რომელიც 1940 წლის მიწისძვრის დროს ნახევრად დაინგრა, წირქოლის ეკლესია ქსნის ხეობაში, ქუთაისის ბაგრატის ტაძარი, სვეტიცხოვლის გალავნის კარიბჭე, ბეთანიის ეკლესია, ციხე-სიმაგრეები, სასახლეები; ბევრი ძეგლი გაიწმინდა და შეკეთდა, ბევრგან გაიხსნა ძველი კედლის მხატვრობა. დიდი ამაგი დასდეს საეკლესიო, საერო და სათავდაცვო არქიტექტურის ძეგლთა რესტავრაციას ცნობილმა რესტავრატორებმა ვ. ცინცაძემ და რ. გვერდწითელმა, თ. ნემსაძემ, ლ. ხიმშიაშვილმა და სხვ... დიდად ამდიდრებს ჩვენს ცოდნას შუა საუკუნეთა ნაქალაქარების გათხრა, თუმცა ჯერჯერობით, სამწუხაროდ, საქმე ბოლომდის არ არის მოყვანილი (ნაქალაქარები, ნოქალაქევი, რუსთავი, დმანისი, გრემი).

ძველი ქართული ხუროთმოძღვრული დეკორის დიდმა მცოდნემ რენე შმერლინგმა (1901-1967) მრავალი წლის მუშაობის შემდეგ გამოაქვეყნა საფუძვლიანი მონოგრაფია ქართული ეკლესიების კანკელების მორთულობის შესახებ. კანკელი ეკლესიის ინტერიერის ორგანული ნაწილი იყო და მისი ორნამენტული და სკულპტურული სამკაული საყურადღებო ფურცელია ძველი ქართული ხელოვნებისა. მონოგრაფიას ეწოდება „მცირე ფორმები ქართულ ხუროთმოძღვრებაში“.

თუმცა X—XIII საუკუნეების ე.ი. საქართველოს გაერთიანების ხანის ხუროთმოძღვრება ჯერ კიდევ ამოწურული არ არის (არა გვაქვს სრული მონოგრაფიები თუნდაც ბაგრატის ტაძრის, სვეტიცხოვლის, სამთავისის კათედრალის შესახებ; რ. შმერლინგის განმაზოგადებელი ნაშრომი XII—XIII სს. მიჯნის ხუროთმოძღვრების შესახებ დაუმთავრებელი დარჩა; არის სხვა გაუშუქებელი საკითხებიც), გაწეულმა საკვლევაძიებო მუშაობამ საშუალება მოგვცა გადაგვედგა შემდეგი ნაბიჯები და წინ, გვიან ფეოდალური ხანისაკენ, ე. ი. XIV—XVIII საუკუნეებისაკენ, წავწეულიყავით.

ვახტ. ბერიძემ შეისწავლა სამცხის ხუროთმოძღვრება XIII—XVI საუკუნე-

ებისა. მისი ნაშრომი აშუქებს მშენებლობის ისტორიას საქართველოს ისტორიულ პროვინციაში, სადაც, შექმნილი ვითარების გამო, მშენებლობა უფრო ინტენსიურად წარმოებდა, ვიდრე სხვა კუთხეებში. დადგენილია მხატვრულ-სტილისტური ცვლილებები, რომლებიც მაშინ განიცადა ქართულმა ხუროთმოძღვრებამ. მისივე ორტომიანი მონოგრაფია ეძღვნება მომდევნო ხანას—XVI—XVIII საუკუნეებს, რომლებმაც .საქართველოს ყველა კუთხეში დაგვიტოვა საეკლესიო, საერო, სათავდაცვო, უტილიტარული დანიშნულების მრავალი ნაგებობა. გ. ჩუბინაშვილმა ოცდაათიან წლებში მოგვცა ამ ეპოქის მოკლე დახასიათება, ხოლო ძეგლები, ძეგლთა ჯგუფები — საეკლესიოც, საეროც, სათავდაცვოც შეისწავლეს და გააშუქეს პ. ზაქარაიამ (მან ცალკე წიგნები უძღვნა ქართლის ციხე-სიმაგრეებს, კახეთის საფორტიფიკაციო ნაგებობათ), ლ. რჩეულიშვილმა (გვიან ფეოდალური ხანის სასახლეები, წიგნი ქალაქ თელავის შესახებ), ვახტ. ცინცაძემ.

ძველი ქართული ხუროთმოძღვრების სურათი სრული არ იქნებოდა საქართველოს საქვეყნოდ ცნობილი გამოქვაბული კომპლექსების შესწავლის გარეშე. გ. ჩუბინაშვილის მონოგრაფია „დავით გარეჯის გამოქვაბული მონასტრები" მიეძღვნა ჯერ კიდევ VI ს-ში დაარსებული და შემდეგ ფართოდ განშტოებული მონასტრების ისტორიას, არქიტექტურასა და კედლის მხატვრობას. ვარძიის სახელგანთქმულ კომპლექსსა და საერთოდ კლდეში ნაკვეთი ანსამბლების პრობლემებს სწავლობდნენ ც. გაბაშვილი, გ. გაფრინდაშვილი, კ. მელითაური. ორმა უკანასკნელმა ცალკე მონოგრაფიებიც გამოაქვეყნა. უფლის ციხის კლდის ქალაქს ნაშრომები უძღვნეს ნ. ჩუბინაშვილმა, დ. ხახუტაიშვილმა.

კვლევა-ძიება შეეხო ძველი ქართული ხუროთმოძღვრების დამამთავრებელ საფეხურსაც, რომელიც უკავშირდება ძველი ქართული სამეფოების არსებობის დასასრულს, ფეოდალიზმის რღვევას. ეს არის XIX ს-ის პირველი ნახევარი, როდესაც საქართველო უკვე რუსეთის იმპერიის ფარგლებში შედიოდა. ეს იყო გარდამავალი პერიოდი, რომლის არქიტექტურაც ძალიან მკაფიოდ ასახავს ქვეყნის სოციალურ, ეკონომიკურსა და კულტურულ სფეროებში მიმდინარ არსებით ცვლილებებს. ამდროინდელი თბილისი შეისწავლა ვახტ. ცინცაძემ, რომლის წიგნშიც გაშუქებულია ქალაქის ზრდის წინა ეტაპებიც. გამოცემას თან ერთვის ავტორის მიერ წარმოდგენილი გრაფიკული რეკონსტრუქციები და ანაზომების მიხედვით შესრულებული ნახაზები. ვახტანგ ბერიძის ორტომიანი ნაშრომი „თბილისის ხუროთმოძღვრება, 1901—1917 წლები" ემყარება, გარდა თვით რეალური ქალაქის მონაცემებისა, საარქივო საბუთებს ამ ხანის მშენებლობის შესახებ, ძველ პროექტებს.

ბუნებრივია, რომ ცალკეული ძეგლების, ეტაპების, ტიპების შესწავლამ ნიადაგი მოამზადა ზოგადი მიმოხილვითი ნაშრომებისათვის, რომლებშიც წარმოდგენილი იქნებოდა ქართული ხუროთმოძღვრების მიერ განვლილი გზა. გ. ჩუბინაშვილის ორი ნაშრომი უკვე მოვიხსენიეთ. არქიტექტურას ადგილი აქვს დათმობილი შ. ამირანაშვილის „ქართული ხელოვნების ისტორიაში", რომელიც რამდენიმეჯერ გამოვიდა (ქართულად და რუსულად); ქართული არქიტექტურის ისტორიულ მიმოხილვას წარმოადგენს ნ. სევეროვის „ქართული არქიტექტურის ძეგლები" და ირ. ციციშვილის წიგნი (რომელსაც „ქართული არქიტექტურის ისტორია" ეწოდება), ვახტანგ ბერიძის „ძველი ქართული ხუროთმოძღვრება", რომელიც აგრეთვე რამდენიმე ვარიანტის სახით არის გამოცემული ქართულად და რუსულად, ნ. ჯანბერიძისა და ი. ციციშვილის „საქართველოს არქიტექტურა" (მოსკოვი, 1976).

ქართული ხუროთმოძღვრების ისტორიული განვითარების ყველა საფეხურის შესწავლა გრძელდება — მასალა ამოუწურავია.

როგორც დასაწყისშივე ითქვა, ძველ საქართველოში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ჭედურ ხელოვნებას, რომლის ძირებიც შორეულ წარსულშია საძიებელი(ვგულისხმობ ვერცხლისა და ოქროს ნივთებს, თუმცა სხვა მასალასაც იყენებდნენ, მით უფრო, ადრეულ საფეხურებზე). წინათ ქართული ჭედურობის უძველესი, შუა საუკუნეებზე ადრინდელი, ნიმუშები შემთხვევით აღმოჩენილი ნივთებითა და განძით იყო ცნობილი (გავიხსენოთ მაგალითად, „ახალგორის განძი"). მხოლოდ საბჭოთა საქართველოში წარმოებულმა არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ გამოაჩინა ის უძვირფასესი განძი, რომლის გარეშეც დღეს შეუძლებელია საქართველოს ისტორიის ადრინდელი საფეხურების გაგება და შეფასება. ცნობები ამ ნივთების — ჭურჭლის, სამკაულების, მცირე ქანდაკებების — შესახებ, მათი ისტორიულ-არქეოლოგიური ინტერპრეტაცია მოცემულია ქართველ არქეოლოგთა ცნობილ მონოგრაფიებში. თავის დროზე „ახალგორის განძს" ნარკვევი უძღვნა რუსმა ხელოვნებისმცოდნემ იაკობ სმირნოვმა, რომლის ნაშრომიც უკვე საბჭოთა პერიოდში გამოქვეყნდა. საქართველოში მოპოვებული. ანტიკური ვერცხლის ანალიზს ხელოვნებათმცოდნეობის თვალსაზრისით მიეძღვნა კ. მაჩაბლის შრომები („არმაზის ხევის ვერცხლის ფიალები", „საქართველოს გვიანანტიკური ტორევტიკა").

შუა საუკუნეების ჭედური ნივთების რიცხვი ათასობით დაითვლება. ეს კი მხოლოდ მცირე ნაწილია იმისა, რაც საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა, რაც ინახებოდა სასახლეებში, დიდ ტაძრებში და მცირე სამლოცველოებშიც კი. ერთი ინგლისელი მკვლევრის სიტყვით, თუმცა მაშინ ეს ტექნიკა იხმარებოდა ბიზანტიურ სამყაროში, ვენეციასა და საფრანგეთში, საეჭვოა, რომ ყველა ამ ქვეყანაში მოვაგროვოთ მეათედი იმისა, რაც შეგროვილი და თავმოყრილია საქართველოში. ეს მართლაც ასეა, თუმცა ბევრი რამ დაიღუპა უცხოელთა შემოსევების დროს, ბევრი ნივთი XIX ს-შიც, ეკლესიების ცუდი დაცულობისა და საეკლესიო ხელისუფლების დანაშაულებრივი გულგრილობის გამო. სამწუხაროდ, ზოგი ნივთი ემსხვერპლა სტიქიურ ანტირელიგიურ მოძრაობასაც, ჩვენი საუკუნის ოციან წლებში.

ამ ნაწარმოებთა მნიშვნელობასა და მათდამი ინტერესს ის ზრდის, რომ ხატები, ყდები, ჯვრები, ჭურჭელი მხოლოდ ორნამენტული სახეებით კი არ იყო მორთული, არამედ სკულპტურული გამოსახულებითაც — გარკვეულ პერიოდში ეს იყო მთავარი. რელიეფურია არა მარტო ცალკეული ფიგურა, არამედ მრავალფიგურიანი კომპოზიციები — სახარების, ან სხვადასხვა წმინდანის ცხოვრების სცენები. თითქოს პლასტიკის ენით გამოსახვის სურვილმა სწორედ ჭედურ ხელოვნებაში პოვა გამოსავალი, რაკი შუა საუკუნეების საქართველოში მონუმენტურმა „მრგვალმა" ქანდაკებამ ვერ შეძლო განვითარება. პლასტიკური გამომსახველობის ევოლუციის საფეხურები, რომლებიც ზემოთ ქვის რელიეფებთან დაკავშირებით მოვიხსენიეთ, აქ განსაკუთრებული სიცხადით იჩენს თავს.

ქართული ჭედურობის შესწავლა ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში დაიწყო (ნიკოდიმე კონდაკოვის შრომები). ხოლო მთლიანი სურათი ამ დარგის განვითარებისა, მისი სტილისტური ევოლუციისა (რაც ნიშნავდა საერთოდ ქართული პლასტიკის ეტაპების დადგენას) მოგვცა ვ. ჩუბინაშვილმა თავის მონუმენტურ მონოგრაფიაში „ქართული ჭედური ხელოვნება" (ტექსტისა და ტაბულების

ტომები). ამ მონოგრაფიის ერთგვარი დამატებაა დიდი ალბომი „ქართული ოქრომჭედლობა", რომელშიც ზოგი ნაწარმოების ფოტო-სურათი ნატურალური ზომისაა (ტექსტი ქართულ, რუსულ, ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზე). ქართულ ჭედურობასა და მინანქრებს წერილები და წიგნები უძღვნეს შალვა ამირანაშვილმა (მონოგრაფია ბექა ოპიზარის შესახებ), დ. გორდეევმა, ლ. მაცულევიჩმა, რ. შმერლინგმა, რ. ყენიამ (მონოგრაფია ხახულის კარედის შესახებ), თ. საყვარელიძემ ო. სანებლიძემ, ა. ჩხარტიშვილმა.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ტიხროვანი მინანქრის კოლექციის სიმდიდრით საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს ერთი პირველი ადგილთაგანი უჭირავს მსოფლიოში. ქართული მინანქრები თარიღდება დროის მონაკვეთით VIII—IX საუკუნეებიდან დაახლ. XIII საუკუნემდის. გასულ საუკუნეში ბევრი შესანიშნავი ნიმუში დაიკარგა ეკლესიების მეთოდური ძარცვის შედეგად. ზოგი მათგანი შეიძინეს რუსმა კოლექციონერებმა (ეს ნიმუშები საბჭოთა ხელისუფლების დროს დაუბრუნდა საქართველოს), ზოგი ამერიკაში მოხვდა და დღესაც იქ ინახება.

ქართულმა ტიხროვანმა მინანქრებმა ადრევე მიიპყრო ყურადღება. მათ შესახებ წერდნენ იგივე ნ. კონდაკოვი, დ. გორდეევი; გზადაგზა თავის ნაშრომებში მათ ეხებოდნენ დასავლეთევროპელი ავტორებიც. მაგრამ ძირითადი საკითხები — ატრიბუცია, დათარიღება, მხატვრული დახასიათება — ბოლო დრომდე მაინც უპასუხოდ რჩებოდა. 1962 წ. პარიზში გამოიცა შ. ამირანაშვილის წიგნი „საქართველოს მინანქრები", მრავალრიცხოვანი ფერადი ილუსტრაციით (ჯერ ფრანგულად, შემდეგ ინგლისურად და იტალიურად). აქ პირველად იყო წარმოდგენილი ქრონოლოგიურად დაჯგუფებული ყველა უმთავრესი ნიმუში ქართული სამინანქრო ხელოვნებისა, მოცემული იყო მათი მოკლე დახასიათება. სულ ბოლო დროს საფუძვლიანი გამოკვლევა უძღვნა მინანქრებს ლ. ხუსკივაძემ, რომლის ნაშრომშიც წარმოდგენილია ამ დარგის ისტორიული განვითარების ზოგადი სურათი.

ქართული კედლის მხატვრობის ნიმუშები ხშირად იხსენიება XIX ს-ისა და XX ს-ის დასაწყისის ავტორთა შრომებში, თუმცა მათ გაცილებით ნაკლები ადგილი ეთმობოდა, ვიდრე ხუროთმოძღვრების ძეგლებს. ავტორთა ყურადღებას იპყრობდა უმეტესად იკონოგრაფია, ფრესკებზე გამოსახულ ისტორიულ პირთა იდენტიფიკაცია, წარწერების ამოკითხვა. მხატვრული მხარე, მცირე გამონაკლისით, ხელუხლებელი რჩებოდა, ან არ სცილდებოდა კერძო დაკვირვებებისა და დასკვნების ფარგლებს; მით უფრო, არ ისმოდა საკითხი ქართული მხატვრობის ეროვნული თავისებურების ძიებისა მხატვრული თვალსაზრისით.

საბჭოთა ხანაში მონუმენტური მხატვრობის მეცნიერულ შესწავლასაც სათანადო ყურადღება მიექცა. მკვლევართათვის არსებითი დამხმარე მასალაა ფრესკების პირები, რომლებიც, იმავე დროს, აუცილებელია სამუზეუმო ექსპოზიციისათვის, რომ ფართო საზოგადოებისათვის მისაწვდომი იყოს ჩვენი ეროვნული ხელოვნების ეს მნიშვნელოვანი დარგი. პირების გადმოღება დაიწყო უკვე 20—30-იან წლებიდან (ნ. ტოლმაჩევსკაია, რომელმაც თავისი დაკვირვებების საფუძველზე წიგნიც გამოსცა ქართული ფრესკების შესახებ; ტ. შევიაკოვა, ს. მირზაშვილი, გ. ერისთავი, მ. მიქელაძე-ბაგრატიონი და სხვანი). დიდი ამაგი დასდო ქართული კედლის მხატვრობის შემაგრება-რესტავრაციის საქმეს განსვენებულმა შ. აბრამიშვილმა, რომელიც მხატვრობის პირებსაც ასრულებდა. მის საქმეს ნაყოფიერად აგრძელებენ კ. ბაკურაძე, გ. ჭეიშვილი და ახალ-

გაზრდა კოპიისტ-რესტავრატორების თაობა. აქტიურად ჩაება ქართული მხატვრობის კოპირებისა და გაწმენდა-აღდგენის საქმეში მოსკოველი სპეციალისტი ა. ოვჩინიკოვი.

თავისი ნაშრომების დიდი ნაწილი მიუძღვნა ძველი ქართული მხატვრობის შესწავლას შ. ამირანაშვილმა (1899—1975). მან გამოაქვეყნა ცალკე მონოგრაფიები (დიდი ალბომი შესავალი ტექსტით უბისის მხატვრობის შესახებ, რომელიც მოგვიანოდ რამდენადმე შეცვლილი რედაქციით კვლავ დაიბეჭდა), ნარკვევები, ერთი ტომი ქართული მონუმენტური მხატვრობის ისტორიისა, დიდი ადგილი დაუთმო მხატვრობას „ქართული ხელოვნების ისტორიაში". მისი ზოგი ნაშრომი არა ქართულ ძეგლებსაც ეხება, მაგრამ ისეთებს, რომელთა კვლევის დროს შეიძლება დაისვას ქართული ხელოვნების თვალსაზრისითაც საინტერესო საკითხები (ნარკვევი ნერედიცას ფრესკებზე, წიგნი ირანული მხატვრობის შესახებ).

გ. ჩუბინაშვილის ნაშრომთაგან, როგორც ითქვა, მხატვრობას დიდი ადგილი ეთმობა „დავით გარეჯის გამოქვაბულ მონასტრებში". აქტიურად წარიმართა მონუმენტური ფერწერის კვლევა ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ფერწერისა და ქანდაკების განყოფილებაში, რომლის თანამშრომელთა ნაშრომებში ისტორიულ და იკონოგრაფიულ საკითხებთან ერთად, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ძეგლთა მხატვრული თვისებების, სტილისტიკური ევოლუციისა და ეროვნული თავისებურების საკითხებს, ქართულისა, ბიზანტიურისა და სხვა ქვეყნების მხატვრობათა რეალური მხატვრულ-ისტორიული ურთიერთობისა და ურთიერთშეფარდების პრობლემას. X—XIII საუკუნეთა მხატვრობის შესახებ უმთავრესი ნაშრომები—მონოგრაფიები, განზოგადებანი ეკუთვნის თ. ვირსალაძეს, რომელმაც დიდი შრომა გასწია მხატვრობის სტილისტური ევოლუციის დასადგენად, გ. ალიბეგაშვილს, ნ. ალადაშვილს, ა. ვოლსკაიას, ე. პრივალოვას, ლ. შერვაშიძეს, გ. აბრამიშვილს. XIV—XV ს-თა პერიოდს იკვლევს ი. ლორთქიფანიძე. მკვლევართა ახალი თაობის ყურადღება ბუნებრივად არის მიპყრობილი მომდევნო პერიოდზე—XVI—XVII საუკუნეებზე—რომელიც დღემდის არ გამხდარა საგანგებო შესწავლის საგნად. ეს პერიოდიც მდიდარია საინტერესო და თავისებური ნიმუშებით. მკვლევართა საგანგებო ინტერესს იწვევს ქართული მონუმენტური მხატვრობის სხვადასხვა სკოლის შესწავლა (ტაო-კლარჯეთის სკოლა, დავით გარეჯისა, „დედაქალაქური"). უკვე რამდენიმე ნაშრომი მიეძღვნა მაგალითად, სვანური ეკლესიების მოხატულობას (სვანეთი ძველი ქართული ხელოვნების ნამდილი საგანძურია!) წამოიჭრა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხიც, როგორიც არის ხალხური საწყისების როლი და ხალხური ნაკადის არსებობა მონუმენტურ მხატვრობაში. კვლევის საგანია საერო მხატვრობა, კერძოდ, ისტორიული პორტრეტები (გ. ალიბეგაშვილი). ბოლო ხანებში მიკვლეულია აქამდის უცნობი დიდად მნიშველოვანი ძეგლები მხატვრობისა (მაგ., საბერეების გამოქვაბულებში დავით გარეჯის კომპლექსში—მათ იკვლევს ა. ვოლსკაია), ან გაწმენდილია დროთა განმავლობაში ჭუჭყის და შელესილობისაგან დაფარული ფრესკები (მაგ., ალავერდის ტაძარში.)

შეიძლება ითქვას, რომ ძველი ქართული მხატვრობის ისტორიაში ახალი ფურცელია ფერწერული ხატების შესწავლა, რასაც ხელს უწყობს ძველი, დროისაგან დაზიანებული, ხატების გაწმენდა და რესტავრაცია (მათ იკვლევს გ. ალიბეგაშვილი).

მონუმენტური მხატვრობის გარდა, როგორც ცნობილია, ძველი საქართველო მდიდარი იყო ხელნაწერი წიგნების მორთულობითა და მინიატურებით —

ესეც ერთი იმ დარგთაგანია, რომელიც მოწმობს საერთოდ შუა საუკუნეების ეროვნული კულტურის მაღალ დონეს.

სრულიად ბუნებრივია, რომ ქართულ სიძველეთა მკვლევარნი იმთავითვე განსაკუთრებულ ადგილს უთმობდნენ ქართულ ხელნაწერებს, მით უფრო რომ ბევრ მათგანს, გარდა ძირითადი ტექსტისა (სარწმუნოებრივი შინაარსისა იქნება იგი, თუ საეროსი), აქვს უძვირფასესი ისტორიული ინფორმაციის შემცველი მინაწერები. ალ. ცაგარელმა, თედო ჟორდანიამ, მოსე ჯანაშვილმა, ექვთაყაიშვილმა, ნიკო მარმა, ივ. ჯავახიშვილმა დიდად გაამდიდრეს ჩვენი ეროვნული წარსულის კვლევა ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის გამოცემით. აღწერილი იყო როგორც საქართველოში თავმოყრილი ხელნაწერები — საეკლესიო მუზეუმისა, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა, ისე უცხოეთის ქართული სავანეების წიგნთსაცავები (თუმცა ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის შესწავლილი და დასადგენი). უკვე საბჭოთა წლებში ეს დიდი საქმე გააგრძელა და ახალ მეცნიერულ საფეხურზე აიყვანა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტმა — უკვე გამოიცა რამდენიმე ათეული ტომი ხელნაწერთა აღწერილობისა, რომელთა გარეშე დღეს შეუძლებელია ქართული კულტურის ისტორიის კვლევა. ეს „აღწერილობანი", თუ შეიძლება ასე ითქვას, ისტორიულ-ფილოლოგიური ხასიათისაა. რა თქმა უნდა, ყველა შემთხვევაში მოცემულია ცნობები ხელნაწერთა სამკაულებისა და მინიატურების შესახებ, მაგრამ მათი განხილვა ხელოვნებათმცოდნეობის თვალსაზრისით სცილდება გამოცემის ამოცანათა ფარგლებს.

წინა-საბჭოთა სპეციალურ ლიტერატურაში ქართული მინიატურის განხილვისადმი სულ რამდენიმე ნარკვევია მიძღვნილი. სინამდვილეში ამ დარგის მეცნიერული კვლევა სათანადო დონეზე საბჭოთა ხანაში დადგა. აქაც, ისევე, როგორც კედლის მხატვრობის შესწავლისას, ამოცანად დაისახა ხელნაწერი მორთულობის მთელი სისტემის დაწვრილებითი პროფესიული შესწავლა, საუკუნეთა მანძილზე ამ სისტემის სტილისტური ევოლუციისათვის თვალის გადევნება, ბიზანტიური და აღმოსავლური ხელნაწერი წიგნების მორთულობასთან ურთიერთობის გარკვევა. ეს ეხება როგორც ფურცლის გაფორმების საკუთრივ დეკორაციულ ელემენტებს, ისევე მინიატურებს.

დიდი დამსახურება მიუძღვის ხელნაწერთა მორთულობის მეცნიერული კვლევის საქმეში რენე შმერლინგს. ჯერ კიდევ 1940 წელს მისი ტექსტით გამოიცა ქართულ ხელნაწერთა მორთულობის ნიმუშების ალბომი (ფერადი ტაბულებიანი), ხოლო ავტორის გარდაცვალების შემდეგ ორტომიანი ფუნდამენტური გამოკვლევა IX—XI საუკუნეების ხელნაწერთა მორთულობის შესახებ, ფუძემდებელი ნაშრომი ამ დარგში.

ქართული სამინიატურო მხატვრობის ისტორიას მიეძღვნა შალვა ამირანაშვილის წიგნი. მანვე ადრე გამოსცა ორტომეული ვეფხისტყაოსნის ძველი მინიატურების შესახებ, რომელიც 1966 წლის საიუბილეო დღეებში გამოვიდა. გვიან ფეოდალური ხანის სამინიატურო ხელოვნების ნიმუშები სხვა ავტორების ყურადღებასაც იპყრობს: ლ. შერვაშიძის შესწავლის საგანი იყო XV ს-ის ქართული საერო ხასიათის მინიატურები (ბატალური სცენები ჯრუჭის ფსალმუნისა). ხოლო ი. ხუსკივაძის მონოგრაფიის საგანია XVI—XVIII საუკუნეების მინიატურები—„ვეფხისტყაოსნისა" და „ქილილა და დამანას" ქართული ვერსიის დასურათება. ბუნებრივია, აქაც ერთი უმთავრესი საკითხთაგანია ქართული და უცხოური მინიატურის ურთიერთობა, რაკი ეს იყო ირანული სამინიატურო ხე-

ლოვნების გავლენის ხანა. ავტორი იკვლევს ქართულ-ირანულ „შეფარდებებს“, ქართული მინიატურის განმასხვავებელ ნიშნებს და სხვ.

გასული წლების მანძილზე უყურადღებოდ არ დარჩენილა არც გამოყენებითი ხელოვნების სხვადასხვა დარგის კვლევა. იგულისხმება ნაქარგობა, კერამიკა, ხისა და ლითონის დამუშავება და სხვა.

გასაგებია, რომ ეს დარგები ახლოა და ხშირად ემთხვევა კიდეც ხალხურ ხელოვნებას, რაც მით უფრო ზრდის მათდამი ინტერესს.

ს. ბარნაველმა, რომელსაც გამოქვეყნებული აქვს საყურადღებო წერილობითი საბუთები მშენებლობისა და მხატვრობის ისტორიის შესახებ, მონოგრაფია უძღვნა ქართულ დროშებს (ეს არის ამ დარგში ერთადერთი ნაშრომი), ნარკვევები და ცალკე წიგნი ქართულ საბეჭდავებს, ჩვენი ნიეთიერი კულტურის კიდევ ერთი დარგის საყურადღებო ნიმუშებს.

ბუნებრივია, რომ ანტიკური და შუა საუკუნეების კერამიკა ყოველთვის იპყრობდა არქეოლოგებისა და ეთნოგრაფების ყურადღებას, ძველი კერამიკის ნიმუშები (ხშირად ფრაგმენტების სახით მოღწეული) უმეტესად თვით არქეოლოგების მოპოვებულია, ხოლო ახალი და დღევანდელი კერამიკა ეთნოგრაფიული ყოფის განუყოფელი კომპონენტია. ცოცხალი ხალხური ხელოვნების ერთ-ერთი დარგი. ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტში ძველი კერამიკის ტექნოლოგიურსა და მხატვრულ მხარეს მრავალი წლის განმავლობაში იკვლევდა (და ექსპერიმენტებსაც აწარმოებდა) ცნობილი კერამიკოსი, აწ განსვენებული ზაქარია მაისურაძე (1911—1971). შუა საუკუნეების კერამიკას ნაშრომები უძღვნა არქეოლოგმა ვახტ. ჯაფარიძემ.

რამდენადმე წაიწია წინ ქართული ნაქარგობის შესწავლამ (ქ. დავითაშვილი, მ. კეცხოველი), თუმცა ჯერჯერობით უმეტესი ნაწილი გადარჩენილი და დღემდის მოღწეული ნიმუშებისა მაინც გამოუცემელია (მაგალითად, შესანიშნავი „გარდამოხსნები“ XV—XVIII საუკუნეებისა, საეკლესიო და საერო ტანსაცმლის ნიმუშები და სხვ.).

თანამედროვე ხელოვნება ყოველთვის შეადგენდა მხატვრული კრიტიკის საგანს. ვერ ვიტყვით, რომ ჩვენი მხატვრული კრიტიკა მუდამ თავის დონეზე იდგა, ან დღეს გვაკმაყოფილებდეს სავსებით. მაგრამ თბილისის პერიოდიკა მაინც ყურადღებით ეკიდებოდა ქართული სახვითი ხელოვნებისა და ხუროთმოძღვრების აქტუალურ საკითხებს, იძლეოდა ინფორმაციას, ასე რომ, თუ დღეს გადავხედავთ ჟურნალ-გაზეთებს სამოცი წლის მანძილზე, შეიძლება მეტ-ნაკლები სისავსით აღვადგინოთ ქართული საბჭოთა ხელოვნების მატიანე, მისი უმთავრესი ეტაპები, ყველაზე ღირშესანიშნავი მოვლენები, პარტიისა და მთავრობის ღონისძიებანი, რომლებიც საბჭოთა ხელოვნების წარმართვას ისახავენ მიზნად. ბუნებრივია, როცა საქმე ხელოვნებას ეხება, არსებითი მნიშვნელობა ენიჭება რეპროდუქციებს. ქართველი მხატვრების სურათები ქვეყნდებოდა (ხან ამა თუ იმ გამოფენასთან დაკავშირებით, ხან რომელსამე თარიღთან: არის საგანგებო ჩანართებიც ცალკეულ მხატვარზე) „დროშაში“, „ცისკარში“, „საბჭოთა ქალში“, ზოგ სხვა ჟურნალშიც. საბავშვო ჟურნალებში იბეჭდება ქართველ მხატვართა მიერ შესრულებული ილუსტრაციები. ცალკეა მოსახსენებელი ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“, რომელიც უკვე რამდენიმე ათეული წელია არსებობს და რომლის ერთი უმთავრესი ამოცანათაგანია სწორედ დღევანდელი ქართული სახვითი ხელოვნებისა და ხუროთმოძღვრების მიღწევათა პროპაგანდა და კრიტიკული განხილვა. ჟურნალი, მიო უმეტეს ბო-

ლო წლებში, დიდ ადგილს უთმობს სერიოზულ პროფესიულ წერილებს თანამედროვე (და აგრეთვე ძველი) ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკების, გამოყენებით ხელოვნებათა და ხუროთმოძღვრების საკითხებზე. იგი უხვად არის დასურათებული. 20—30-იან წლებს მიეკუთვნება პირველი ცდები სრულიად ახალგაზრდა საბჭოთა ხელოვნების გამოცდილების ისტორიული გააზრებისა და განზოგადებისა. სავსებით კანონზომიერია, რომ ახალი გზების ძიების პროცესში, როდესაც ხელოვნების წინაშე ძველისაგან არსებითად განსხვავებული ამოცანები ისახებოდა, როდესაც მწვავედ ისმოდა ხელოვნებაში ახალი იდეოლოგიის პოზიციებზე გადასვლის საკითხი, საკითხები ახალი შინაარსისათვის ადეკვატური ფორმის ძიებისა, კლასიკური მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულებისა, მხატვრული კრიტიკაც და განზოგადების პრეტენზიის მქონე წერილებიც და წიგნებიც ხშირად პოლემიკური ხასიათისა იყო. ხშირად ემოციები, მემარცხენე ფრაზეოლოგია, ძველის დამხობის სურვილი სცვლიდა ლოგიკურ საბუთიანობას, გააზრებულ დაფუძნებას. საქმეს აძნელებდა „დისტანციის“ უქონლობა; ხშირად ჭირდა უმთავრესისა და მეორეხარისხოვნის, ნიშანდობლივისა და შემთხვევითის გარჩევა. შემდეგ ამას დაერთო რეალიზმის ვიწროდ, დოგმატურად გაგება, შეუწყნარებლობა სხვაგვარად მოაზროვნეთა მიმართ, რასაც იჩენდნენ „ორთოდოქსულად“ მიჩნეული „კრიტიკოსები“, რომელთაც ერთხანს მბრძანებელი პოზიციები ეპყრათ. ამის შედეგი იყო, რომ ორმოცდაათიანი წლების მეორე ნახევრამდე ხშირად ქვეყნდებოდა წერილები, წიგნებიც (თბილისელი და მოსკოველი ავტორებისაც), რომლებშიც თანამედროვე ქართველ მხატვართა რეალური ღვაწლის შეფასება, ქარხნული საბჭოთა ხელოვნების განვითარების რეალური სურათი თავდაყირა იყო დაყენებული. ეს არ ნიშნავს, რომ არ იბეჭდებოდა სამართლიანი წერილებიც რეალისტური ხელოვნების პოზიციების დასაცავად, ფორმალიზმის საწინააღმდეგოდ, მაგრამ როგორც ითქვა, თვით რეალიზმის ცნება იყო უკიდურესად შეზღუდული და გაყალბებული. აშკარა გარდატეხა 50-ინი წლების ნახევრიდან დაიწყო.

საბჭოთა ქართული სახვითი ხელოვნების საკითხებზე ნარკვევები (მიმოხილვითი ხასიათისა ან ამა თუ იმ მხატვრის შემოქმედებისადმი მიძღვნილი) სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული აქვთ შ. ამირანაშვილს, ქ. ბაგრატიშვილს, ბ. გორდეზიანს ალ. დუდუჩავას, მ. დუდუჩავას, ნ. ეზერსკაიას, ნ. ელიაშვილს, ლ. ესაკიას, ლ. თაბუკაშვილს, შ. კვასხვაძეს, ვახტანგ კოტეტიშვილს, ალ. მიხაილოვს, ვლ. სოკოლს, ი. ურუშაძეს, ნ. ურუშაძეს, ო. ფირალიშვილს, ქ. ღლონტს, ალ. წერეთელს (მონოგრაფია ქართული სკულპტურული პორტრეტის შესახებ), დ. ჯანელიძეს, გ. ჯაფარიძეს (სტატიები, წიგნი თ. აბაკელიაზე, „შეხვედრები ქართველ მხატვრებთან“) და სხვებს. პერიოდიკაში ეკვეყნდებოდა წერილები ქართველი საბჭოთა არქიტექტურის საკითხებზედაც. გ. ჩუბინაშვილი თავის ზეპირ გამოსვლებსა და წერილებში ყურადღებას ამახვილებდა ეროვნული ხუროთმოძღვრული მემკვიდრეობის ათვისების და გამოყენების საკითხებზე. ცალკეულ ავტორთა წერილები ეხებოდა ამავე პრობლემას, რომელიც მუდამ მწვავედ ისმოდა, აგრეთვე ქალაქდაგეგმარებას, საკურორტო მშენებლობას, ტიპობრივ დაპროექტებას, საზოგადოებრივი და საცხოვრებელი სახლების მშენებლობას და მრავალ სხვა აქტუალურ, საჭირბოროტო საკითხს (ბ. ლორთქიფანიძე, ლ. სუმბაძე, ვ. ბერიძე, თ. კვირკველია, ს. კინწურაშვილი, გ. ხიზანიშვილი, ე. გაგოშიძე და სხვ.).

50-იანი წლების დასაწყისიდან აქტიურად ჩაება საბჭოთა ხელოვნების შესწავლის საქმეში ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი, რომელშიც დაარსებული იქნა ცალკე განყოფილება. ამ ხნის განმავლობაში გამოიცა მონოგრაფიები და წერილები ცალკეულ მხატვრებზე და არქიტექტორებზე, ხუროთმოძღვრულ ობიექტებზე (გ. ალიბეგაშვილი, ვ. ბერიძე, ვ. დოლიძე, თ. ვირსალაძე, მ. კარბელაშვილი, ი. ლორთქიფანიძე, გ. მასხარაშვილი, კ. მაჩაბელი, ე. პრივალოვა, თ. სანიკიძე, ნ. ჯანბერიძე). ინსტიტუტში მომზადდა ნ. ჯანბერიძის დიდი მონოგრაფია — ქართული საბჭოთა აოქიტექტურის პირველი ვრცელი ისტორია; მოსკოვში გამოიცა, ქართული ხელოვნების ისტორიის ინ-ტიტუტისა და სსრკ სამხატვრო აკადემიის ხელოვნების თეორიისაა და ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლობით, ვ. ბერიძისა და ნ. ეზერსკაიას „საბჭოთა საქართველოს ხელოვნება. 1921—1970. ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება“ —არსებითად, ესეც პირველი დასაბუთებული ისტორიაა ქართული საბჭოთა საბ-ვითი ხელოვნებისა. ინსტიტუტის ახალგაზრდა თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ გამოფენათა განხილვაში, აქვეყნებენ კრიტიკულ წერილებს გამოფენებსა და ცალკეულ მხატვართა შემოქმედებაზე. მნიშვნელოვანი დოკუმენტებია ქართული საბჭოთა ხელოვნების შესახებ გამოფენების კატალოგები, რომლებსაც სურათების გალერეა ბეჭდავს — მათი საჭიროება დროთა განმავლობაში სულ უფრო და უფრო თვალსაჩინო ხდება.

ქართული ხელოვნების მეცნიერულ კვლევასთან განუყრელად არის დაკავშირებული ხელოვნების ნაწარმოებთა და თვით ხელოვნებათმცოდნეობის მონაპოვართა პოპულარიზაცია, რომელიც, რაც დრო გადის, ფართო მასშტაბებს აღწევს. გარდა მეცნიერულ-პოპულარული გამოცემებისა, გზისმკვლეველებისა, პრესისა — ყველენებული ჟურნალ-გაზეთებისა — დიდ როლს თამაშობს ამ მხრივ ქართული ტელევიზია და რადიო: მრავალი წელია სისტემატურად ეწყობა გადაცემები ხელოვნების სამყაროში მომხდარი მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ. ცალკე გადაცემები და გადაცემათა ციკლები ეძღვნება მსოფლიო მუზეუმებს, მსოფლიო ხელოვნების ცალკეულ დარგებს, განსაკუთრებით კი ქართულ ხელოვნების ძეგლებს, მათი დაცვის საკითხებს, მხატვართა შემოქმედებას. ასევე არსებითია საჯარო ლექციების როლი — ასეთ ლექციებს აწყობენ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი; დიდ მუშაობას ეწევა სალექციო და სატელევიზიო პროპაგანდის მხრივ ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი. რა თქმა უნდა, ამავე მიზნებს ემსახურება ინსტიტუტის სამეცნიერო სესიებიც, რომლებიც ერთგვარი ანგარიშია, რომლითაც საკვლევი დაწესებულება სამეცნიერო საზოგადოებრიობის წინაშე წარდგება.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ცხოველი ინტერესი როგორც ძველი, ისე თანამედროვე ხელოვნებისადმი სულ უფრო და უფრო ღვივდება საზოგადოების ფართო წრეებში. ამას ხელს უწყობს (და ამის მაჩვენებელიც არის), ბევრ სხვა ფაქტორთან ერთად, სურათების გალერიების დაარსება რაიონულ ცენტრებში (მარტო ბოლო წლებში ასეთი გალერიები გაიხსნა ქუთაისში, ამბროლაურში, თელავში, ცხაკაიაში). მაგრამ დღემდის გადაუწყვეტელ საკითხად რჩება ბავშვთა ესთეტიკური აღზრდა საშუალო სკოლაში, სადაც მოსწავლენი ელემენტარულ ცნობებსაც კი ვერ ღებულობენ ხელოვნების ისტორიის შესახებ (გამონაკლისი მცირეა). სწორედ ამიტომ, დიდად დასაფასებელია თბილისის პიონერთა სასახლის მხატვრებმცოდნეობის კაბინეტის საქმინობა — ჩვენი რეს-

პუბლიკის მოსწავლეთა ჩაბმა მშობლიური კუთხის ეთნოგრაფიული ყოფისა და აგრეთვე კულტურის ძეგლთა გაცნობისა და მოვლა-პატრონობის საქმეში (ამ მხრივ დიდი ღვაწლი მიუძღვის კაბინეტის ხელმძღვანელს დიდი ხნის განმავლობაში, განსვენებულ ირინე მიქელაძეს). უეჭველი პროგრესის მაჩვენებელია ის, რომ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიასა და სახელმწიფო უნივერსიტეტში შექმნილია ხელოვნებათმცოდნეობის ფაკულტეტები, ხოლო პირველში, აგრეთვე, ხუროთმოძღვრებისა და მხატვრობის რესტავრაციის სპეციალობა. ამ ფაკულტეტების ბევრი კურსდამთავრებული უკვე აქტიურ საქმიანობას ეწევა სპეციალურ დაწესებულებებში.

უმეტესად ახალგაზრდობისთვის არის განკუთვნილი გამომცემლობა „ნაკადულის" ალმანახი ფრესკა, რომელშიაც იბეჭდება საინტერესო წერილები (და ფერადი სურათები) ქართული და უცხოური ხელოვნების შესახებ. სამწუხაროდ, ალმანახი ძალიან იშვიათად გამოდის.

უკანასკნელი ათეული წლის მანძილზე სამეცნიერო ინტერესი ქართული ხელოვნებისადმი დიდად გაიზარდა მსოფლიოს სპეციალისტთა შორის. ქართველ საბჭოთა ხელოვნების ისტორიკოსთა მიზანდასახულმა, სისტემურმა მუშაობამ, აგრეთვე საკუთარი კვლევა-ძიების გარკვეულმა გაღრმავებამ აიძულა დასავლელი მეცნიერები, რომელნიც ბიზანტიის, მახლობელი აღმოსავლეთისა და რომანული ევროპის ხელოვნებას სწავლობენ, დაეთმოთ წინანდელი პოზიციები და მისულიყვნენ იმ დასკვნამდე, რომ: ა) ქართულ ხელოვნებას უეჭველად დამოუკიდებელი, თავისთავადი ღირებულება აქვს; ბ) აუცილებელია ანგარიში გაეწიოს ქართული ხელოვნების, კერძოდ ხუროთმოძღვრებისა და მონუმენტური მხატვრობის, მონაცემებს, თუ გვსურს სწორად და სრულად გავაშუქოთ საერთოდ შუა საუკუნეთა ხელოვნების მრავალი კარდინალური პრობლემა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, უცილობელი გახდა, რომ ქართული ხელოვნების ცოდნისა და გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია შუა საუკუნეების ზოგადი ხელოვნების მართალი ისტორიის დაწერა.

ამ გაზრდილი ინტერესის მაჩვენებელია იტალიელი, ფრანგი, გერმანელი, უნგრელი, ბელგიელი მეცნიერების წერილები და წიგნები, რომლებიც ფაქტობრივი მასალის უკეთეს ცოდნას ემყარება და მეტი მეცნიერული ობიექტურობით გამოირჩევა. ბევრი მათგანი არა მარტო ინფორმაციას შეიცავს, არამედ საინტერესო საკუთარ დაკვირვებებსა და დასკვნებსაც (იტალიელები ადრიანო ალპაგო ნოველო, პაოლო ვერძონე, ენძო ჰიბში; ფრანგები ცოლ-ქმარნი ნიკოლ და ჟან მიშელ ტიერი, რომელთაც ექვთ. თაყაიშვილის შემდეგ პირველებმა შეძლეს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძეგლების ნახვა და გამოაქვეყნეს მათი ხუროთმოძღვრებისა და მხატვრობის შესახებ საყურადღებო წერილები; ტანია ველმანსი; ჟაკლინ ლაფონტენ-დოზონი, ედიტ ნოიბაუერი, ერნსტ ბადშტიუბნერი, ჰაინრიხ ნიკელი, ერეზეტ ტომპოში, დევიდ უინფილდი, ვახტანგ ჯობაძე, რომელსაც აგრეთვე გამოქვეყნებული აქვს ნარკვევები ტაო-კლარჯეთის ძეგლებზე და წერილები ქართული ხელოვნების სხვადასხვა საკითხზე, და სხვანი; გერმანიასა და ბელგიაში გამოდის ქართველ ავტორთა წიგნები, (რ. მეფისაშვილი, ვ. ცინცაძე, ვ. ბერიძე).

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული ხელოვნებისადმი ყურადღების გამახვილებისათვის, კვლევა-ძიების გაფართოებისა და გაღრმავებისათვის, მისდამი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმებს. პირველი 1974 წელს შედგა ჩრდილოეთ იტალიის ქალაქ ბერგამოში იქაური უნივერსიტეტის (პროფ. ნინო

ყაუხჩიშვილი), მალანოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა (პროფ. ალპაგო-ნოველო) და ტურინოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის (პროფ. პაოლო ვერძონე) ინიციატივითა და ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის უშუალო მონაწილეობით. მოსმენილ იქნა ქართველ, იტალიელ, ფრანგ, ინგლისელ, გერმანელ, უნგრელ, ბელგიელ მეცნიერთა ოცდაათამდე მოხსენება (1977 წელს გამოიცა სიმპოზიუმის „აქტები"). მეორე სიმპოზიუმი შედგა 1977 წლის მაისში თბილისსა და გელათში. მოსმენილ იქნა 150 -ზე მეტი მოხსენება, მიძღვნილი წინაფეოდალური ხელოვნებისა, შუა საუკუნეების ხუროთმოძღვრებისა, დეკორაციული ქანდაკებისა, კედლის მხატვრობისა, ჭედურობისა და გამოყენებითი ხელოვნებისადმი, ახალი და საბჭოთა ხელოვნებისადმი, ძეგლთა დაცვის საკითხებისადმი. გარდა საბჭოთა კავშირის ქალაქებიდან (მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, კიევიდან, ნოვგოროდიდან, ბაქოდან, ერევნიდან) ჩამოსული სპეციალისტებისა, სიმპოზიუმში მონაწილეობდა დასავლეთის ქვეყნების ბევრი მეცნიერი. მესამე სიმპოზიუმი მოეწყო კვლავ იტალიაში, საუნივერსიტეტო ქალაქებში ბარისა და ლეჩეში 1980 წლის ოქტომბერში. მუშაობდა ხუთი სექცია („არქიტექტურა", „ფერწერა და ქანდაკება", „მცირე ხელოვნებანი", „გამოქვაბული ნაგებობანი", „ქართული კულტურა და დასავლეთი"). მოსმენილ იქნა 40-მდე მოხსენება, რომელთა თემატიკა X-XIV საუკუნეებს მოიცავდა.

დიდად ნაყოფიერი იყო კონტაქტები საბჭოთა კავშირის სახელოვნო დაწესებულებებთან: ერთობლივი კონფერენცია ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტისა და სსრკ კულტურის სამინისტროს ხელოვნებათმცოდნეობის ინსტიტუტისა (შედეგი: კრებული „შუა საუკუნეების ხელოვნება. რუსეთი-საქართველო", მოსკოვი, 1978), ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტისა და სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ხელოვნების ინსტიტუტისა 1979 წელს.

უკვე ჩვეულებრივ მოვლენად იქცა ქართული ხელოვნების შესახებ ლექციების კითხვა დასავლეთ ევროპის უნივერსიტეტებში და კურსებზე (რავენა, ტურინო, ბრიუსელი, მარბურგი, ლაიფციგი, ბუდაპეშტი). დიდ ინტერესს იწვევს ძველი და საბჭოთა ქართული ხელოვნების გამოფენები უცხოეთში. თანამედროვე ქართულ მხატვრობას და გამოყენებით ხელოვნებას ყოველწლიურად ეცნობიან სხვადასხვა ქვეყანაში. ბევრგან დიდი წარმატებებით ჩატარდა ფიროსმანის ნაწარმოებთა გამოფენები. 1974 წელს ბერგამოში გაიმართა ძველი ქართული ხუროთმოძღვრების გამოფენა, რომელიც მას შემდეგ მოგზაურობს იტალიის ქალაქებში, იყო ბელგიაშიც. გამოიცა ამ გამოფენის კატალოგები (გამოფენის ხელმძღვანელები ა. ალპაგო ნოველო და ენძო ჰიბში). 1979 წელს ჟენევაში დიდი წარმატებით ჩატარდა ქართული ჭედური ხელოვნების გამოფენა და გამოიცა უხვად დასურათებული კატალოგი თ. სანიკიძისა და გ. აბრამიშვილის შესავალი წერილებით.

ქართული ხელოვნების მეცნიერული კვლევა სულ უფრო და უფრო შლის ფრთებს, ფართოვდება და ღრმავდება, მდიდრდება ახალი აღმოჩენებით, მოიცავს ახალ დარგებსა და პრობლემებს.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ა. ლეჟავა, ნათელი მომავლისათვის ბრძოლის ისტორიიდან, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1980

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ანტონ ლეჟავა უკვე მრავალი წლის მანძილზე ნაყოფიერად იკვლევს ქართველი და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების რევოლუციური თანამეგობრობის ისტორიას, საკმარისია ითქვას, რომ აღნიშნული მონოგრაფია რიგით მეექვსეა. ამასთან ერთად ა. ლეჟავა კარგად გრძნობს ჩვენი დროის მაჯისცემას. ამ შემთხვევაში მისასალმებელია ის ფაქტი, რომ მისი უკანასკნელი წიგნი გამოვიდა სწორედ მაშინ, როდესაც ქართველი ხალხი, სხვა მომძმე რესპუბლიკების მცხოვრებლებთან ერთად, აღნიშნავს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების მე-60 წლისთავს.

ამ თვალსაზრისით არა მარტო დიდი შემეცნებითი, არამედ აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს ქართველი ხალხის საუკეთესო შვილების იმ წვლილის შესწავლას, რომელიც მათ შეიტანეს, საერთოდ, ოქტომბრის რევოლუციის საბოლოო გამარჯვებისა და კერძოდ, ჩვენი დიადი ქვეყნის ცალკეული ხალხების სოციალური და ეროვნული განთავისუფლების საქმეში. ეს განსაკუთრებით კარგად იგრძნობოდა ჩრდილოეთ კავკასიაში, რაც ა. ლეჟავამ საკმაოდ ფართოდ გააშუქა თავის მრავალრიცხოვან ნაშრომებში, რომლებიც წარმოადგენენ არა მარტო ავტორის წვლილს საბჭოთა ისტორიული მეცნიერების განვითარებაში, არამედ მნიშვნელოვან საშუალებას ჩვენი ახალგაზრდობის ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში.

ამჯერად ავტორის ყურადღება ეთმობა ძირითადად კავკასიის ჩრდილო-დასავლეთ რეგიონს (ადიღე და ყარაჩაი-ჩერქეზეთს) რევოლუციური მოძრაობის სრულიად განსაზღვრულ და შეტად მნიშვნელოვან პერიოდში (1907—1921 წწ.), რომელიც მოიცავს როგორც რუსეთის სამივე რევოლუციის, ისე საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და განმტკიცების ხანას.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ის თავისთავად დიდი შრომა, რომელიც ავტორმა გასწია საჭირო პირველწყაროების შესაგროვებლად. საკმარისია ითქვას, რომ მის მიერ შესწავლილია მოსკოვის, თბილისის, კრასნოდარის, ნოვოროსიისკის, სოჭის, ტუაფსეს, ადიღეს და ყარაჩაი-ჩერქეზეთის სახელმწიფო, პარტიული არქივებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მდიდარი მასალები.

ამ მასალებსა და არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაზე დაყრდნობით ავტორი საკვლევ სამართლიანად გვიჩვენებს, რომ ადიღესა და ყარაჩაი-ჩერქეზეთის მუშებისა და გლეხების გამოსვლები, მათი რევოლუციური ბრძოლა წარმოადგენდა რუსეთის 1905—1907 წწ. ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის შემადგენელ ნაწილს (გვ. 15—41). ასევე განუყოფელია რუსეთის პროლეტარიატის მოძრაობისაგან ადგილობრივი მოსახლეობის ბრძოლა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ისტორიის შემდგომ მონაკვეთზეც (1907—1917 წწ.) და შემდეგ საბჭოთა ხელისუფლებისათვის უშუალოდ ბრძოლის პერიოდშიც.

ავტორი დასახული მიზნის გათვალისწინებით, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ადიღესა და ყარაჩაი-ჩერქეზეთში მშრომელთა რევოლუციურ გამოსვლებს მხარს უჭერდნენ სხვა ერების წარმომადგენლები (ს. ვოლსკაია, ა. ქულკოვსკი, ი. პუზირევი და სხვანი) და მათ შორის ქართველებიც (ს. ჯაკობია, ი. ოჩიგავა, ა. გვათუა, მ. ორმოცაძე და მრავალი სხვ.), ამასთან უნდა ითქვას, რომ ავტორმა არა მარტო აღადგინა მათი მოღვაწეობის მთელი რიგი ფაქტები, არამედ რიგ შემთხვევაში დაგვიბრუნა კიდეც ზოგიერთი უსამართლოდ მივიწყებული სახელი.

ავტორი ამავე დროს საკვლევით სამართლიანად ითვალისწინებს ადგილობრივ თავისებურებებს და აღნიშნავს ამ მხარეში რევოლუციური მოძრაობის გარკვეულ ჩამორჩენას რუსეთის ცენტრალურ სამრეწველო რაიონებთან შედარებით, რაც აიხსნებოდა მთელი რიგი ფაქტორით (მუშათა კლასის მცირერიცხოვნება და სისუსტე, ეთნიკური სიჯერე და მასთან დაკავშირებული წინააღმდეგობანი სხვადასხვა ეროვნებას შორის, მრავალრიცხოვანი კაზაკების არსებობა, რომლის ზედა ფენა კონტრრევოლუციურად იყო განწყობილი, მხარის სოციალ-პოლიტიკური ჩამორჩენილობა და ა. შ.). ამიტომ, აღნიშნავს ა. ლეჟავა, ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლებისათვის აქ მიმდინარეობდა შეტად ძნელ პირობებში და სოციალისტური წყობილების საბოლოო გამარჯვებას ადგილობ-

რიემა მოსახლეობამ მხოლოდ 1918 წლის მარტში მიაღწია.

შემდგომ ავტორი საკმაოდ ვრცლად წარმოგვიდგენს ადგილობრივი რევოლუციურად განწყობილი მასების თაედადებულ ბრძოლას დენიკინის თეთრგვარდიელი ბანდებისა და ადგილობრივი კონტრრევოლუციის წინააღმდეგ და აღნიშნავს, რომ 1920 წლის მარტისათვის მთელი ჩრდილოეთ კავკასია, და მათ შორის ადიღე და ყარაჩაი-ჩერქეზეთი, განთავისუფლებული იყო დენიკინელებისაგან, რაშიც ადგილობრივ მოსახლეობას უდიდესი დახმარება გაუწიეს წითელი არმიის ნაწილებმა.

საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში ჩრდილო-კავკასიის მშრომელებს დიდ დახმარებას უწევდნენ, აღნიშნავს ავტორი, რუსეთისა და ამიერკავკასიის ხალხები, კონკრეტულად მე-11 არმიის სამხედრო-რევოლუციური საბჭო და რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) კავკასიის სამხარეო კომიტეტი.

საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში აღიღესა და ყარაჩაი-ჩერქეზეთში, და საერთოდ მთელ კრასნოდარის მხარეში მონაწილეობდა მრავალი ქართველი რევოლუციონერი, რომელთა შორის ა. ლეკავა განსაკუთრებით გამოყოფს შ. ჯანაშიას, ი. სირაძეს, ნ. ლაკობას, ნ. აზნარაშვილს, ე. ფრუიძეს და სხვებს. ამ ბრძოლაში, აღნიშნავს ავტორი, იწრთობოდა კავკასიის ხალხთა მეგობრობა რუს ხალხთან. ამ საბრძოლო თანამეგობრობამ გადამწყვეტი როლი შეასრულა საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებასა და მის აღდგენაში ჩრდილოეთ კავკასიაში.

დენიკინის დამარცხების და საბჭოთა ხელისუფლების აღდგენის შემდეგ ადიღესა და ყარაჩაი-ჩერქეზეთის მშრომელები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და რუსი ხალხის დახმარებით შეუდგნენ საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას და საკუთარი ცხოვრების გარდაქმნას სოციალიზმის საფუძველზე.

საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცება, განაგრძობს ავტორი, დაკავშირებული იყო გარკვეულ სიძნელეებთან. ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებს დახმარების ხელი გაუწოდეს საბჭოთა რუსეთმა, კომუნისტურმა პარტიამ და პირადად ვ. ი. ლენინმა. ადიღესა და ყარაჩაი-ჩერქეზეთის ტერიტორიაზე კონტრრევოლუციური ბანდების განადგურების შემდეგ შეიქმნა ავტონომიური ოლქები, რაც კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ლენინური ეროვნული პოლიტიკის მკაფიო გამოხატულებას წარმოადგენდა. საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებასა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში საერთო ხელმძღვანელობას ჩრდილოეთ კავკასიაში ახორციელებდნენ ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწენი სერგო ორჯონიკიძე და ს. მ. კიროვი.

დაბოლოს ავტორი იმ დასკვნამდე მიდის, რომ „უკვალოდ არ ჩაუვლია იმ რევოლუციურ ბრძოლას, რასაც ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის ხალხები ეწეოდნენ თავისუფლებისათვის. განვლილმა რევოლუციურმა სკოლამ მოამზადა ისინი სოციალისტური რევოლუციისათვის, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის შეგნებული ბრძოლისათვის“ (გვ. 153).

როგორც ვრწმუნდებით ამ ნაშრომის გაცნობისას, ა. ლეკავამ შეასრულა დასახული ამოცანა. ამასთან თუ გავითვალისწინებთ მის წინა ნაშრომებსაც (საინტერესოა, რომ ერთი მათგანი დაისტამბა მოსკოვში აკად. მინცის წინასიტყვაობით), შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ მკვლევარი იხილავს დასახელებულ პრობლემას საკმაოდ ფართო დიაპაზონში.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, წიგნი, ჩვენი აზრით, არ არის მოცლებული ზოგიერთ ნაკლოვანებას და გაუგებრობას.

ასე მაგალითად, 47-ე გვერდზე ავტორი გვიხატავს ადიღეში რევოლუციური ბრძოლის შემდგომი გაშლის ფართო ტილოს, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ „ადიღეს პროლეტარიატი და ღარიბი გლეხობა სულ უფრო ებმებოდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლაში“, „ხდებოდა ეკონომიკური და პოლიტიკური ბრძოლის გადაჯალრთვა“, და ყოველივე ამის შემდეგ მოულოდნელად დაასკვნის: „ამ დროს ქვეყანაში ადგილი ჰქონდა რევოლუციურ კრიზისს“. მაშ, რა დასკვნა უნდა გაკეთოს აქედან მკითხველმა: რევოლუციური მოძრაობის აღმავლობასთან გვაქვს საქმე თუ მის კრიზისთან?

66-ე გვერდზე ავტორი მოგვითხრობს, რომ რეპრესიების დაწყებასთან დაკავშირებით მაიკოპიდან გაემგზავრა ოთხად ოთხი ამხანაგი და დაასკვნის: „ამ ამხანაგების გამგზავრება ადიღედან დიდი დანაკლისი იყო ადიღური ბოლშევიკური ორგანიზაციისათვის. იგი განახორციელა რიცხობრივად (ხაზი ჩვენია. — ე. მ.) და, რაც მთავარია, დაკლდა ყველაზე ორგანიზებული და მომზადებული ნაწილი“. აი თურმე რამდენს იწონიდა (რიცხობრივად და ხარისხობრივად) ოთხი ამხანაგი! და რამდენს აკეთებდა 8 კაცისაგან შემდგარი ორგანიზაცია!

ცხადია, ამგვარი შეუსაბამობანი არ ცვლის წიგნისაგან მიღებულ საერთო შთაბეჭდილებას, მაგრამ კარგი იყო ავტორს უფრო ყურადღებით გადაეკითხა ნაშრომი, რათა მცირეოდენი ხარვეზიც არ გაპარულიყო.

ედუარდ მენაბდე

©

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-95-50 Телефон

ჩაბარდა წარმოებას 30.XII.80; ხელმოწერილია დასაბეჭდად 5.IV.81; შეკვ. 4299; ანაწყობის ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108 1/16; ნაბეჭდი თაბახი 19.6; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 16,9; უე 17507; ტირაჟი 1250;
ფასი 1 მან.

*

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

*

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Груз. ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19